780
1979

ISSN 0134 – 9848

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუნჯე

55

1979 1

გუგა არაგული. „ეკლესია“.
8 წ. მეორე ექსპერ. სკ.

გუგა არაგული. „მამიკო“.
8 წ. მეორე ექსპერ. სკ.

მანანა ქავთარაძე. „თუთიყუში“. 8 წ. 43-ე საშ. სკ.

გუგა არაგული. „ფარშევანგი“. 8. წ. მეორე ექსპერ. სკ.

1 6270

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
 შოთა ნიშნიანიძე
ჰ. მგ. მდივანი
ნანა დარჩია
სარედაქციო კოლეგია:
მზია გაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
მიხეილ კვესელავა
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
ოთარ ნოდია
ნიკო ყიასაშვილი
თამაზ ჩხენკელი
დავით ფერედიანი

«САУНДЖЕ»
литературно-
художественный
альманах
на
грузинском
языке
№ 1
1979

Главная
редакционная
коллегия
художественного
перевода
и
литературных
взаимосвязей

Тбилиси
улица
Шалвы
Дадиани, 2

ОГ 10 ІV

გარეკანზე: ლეონარდო და ვინჩი. „მადონა ლიტა“.

მხატვრული რედაქტორი ლ. ცუცქირიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/IX-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-78 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108¹/₁₆. სააღრ.-საგამომ. თაბახი 17,35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1251.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეზოტვარი ავთანდილ ვართაგავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქს ფრიში

ვიქნეგი თუნდაც განტენგაინი

რომანი

გერმანულიდან თარგმნა ლალი ფანჯიკიძემ

●

საუბარი ბურისთან ჩვენს ამასწინანდელ საუბარზე. სიამოვნებით მოვისმენდი რას ფიქრობს ბური „ჩემს“ ლილაზე. ლილას მოწიწებით ახსენებს. მესიამოვნა, მაგრამ გულში შიშიც შემეპარა. ბური რომ წავიდა, რამდენიმე საათს გამოთაყვანებულივით ვიჯექი ადგილზე და ნიკაპი გადაჭდობილ ხელებზე მქონდა დაყრდნობილი. მან ისე ილაპარაკა ლილაზე (თუმცა ძალიან მოკლედ), როგორც ნამდვილ ადამიანზე და ეტყობა, მე ვყოფილვარ ერთადერთი კაცი, ვინც მას ვერ ხედავს.

ლილა მსახიობია.

(დამატება).

სტუმრები რომ მოვლენ, იგი მომხიბლავად გაითამაშებს წინსაფარაფარებული დიასახლისის როლს და ამ თამაშს ვერც ერთი სტუმარი, მათ შორის გამჭრიახი და ეშმაკი ბურიც კი ვერ მიუხვდება. მე მგონი, ლილაც მშვენივრად იფერებს დიასახლისის როლს — იგი სტუმრების შემოსვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე შემოდის სახლში, შემოდის „მაკბეტის“ რეპეტიციებისაგან გასავათებული, თუმცა რეპეტიცია დილით ჰქონდა, ახლა კი საღამოა. სავარძელზე ეცემა და თუმცა სასტიკად დაღლილია, იმწამსვე ახალ ჟურნალებს იღებს ხელში, არც პალტოს გაიხდის და არც სუფრისკენ გაიხედავს, განტენბაინი რომ აწყობს ამასობაში. მას განტენბაინის იმედი აქვს. შეიძლება მხოლოდ უკანასკნელ წუთს იკითხოს შეცბუნებულმა, მაიონეზი თუ გაგახსენდაო. გახსენებია. რა ბედნიერებაა, რომ სტუმრები მეტწილად იგვიანებენ ხოლმე. ლილამ, ბოლოს და ბოლოს, თმაც ხომ უნდა დაივარცხნოს. თქვენ წარმოიდგინეთ, განტენბაინს მაიონეზზეც უფიქრია და პურზეც. პური მაინც ხომ ნაკ-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 6.

კ. მარქსის სახ. ...
სახელმწიფო ...
ბიბლიოთეკა

ლებად გვხვდება თვალში, როცა მაგიდაზე დევს. ლილას ასთაკვა შეუკვეთია, მოუტანიათ კიდეც და მგონი ახლა სუფრას აღარაფერი აკლია. ლილა ამაყობს მშვენიერი ასთაკვით, საწყენია, განტენბაინი რომ ვერ ხედავს, რა მშვენიერია ასთაკვა, რომელიც ლილამ ტელეფონით ამოირჩია. მაინც რა საოცარია ეს მეწამული ცხოველი, ყველაფერზე თვითონვე ზრუნავს: მხოლოდ მაიონეზზე კი არა, თავის შესაფერ ღვინოზეც და ცივად მოხარშულ ხორცზეც, თუ ვინიცობაა ვინმეს ასთაკვა არ უყვარს, და ხილზეც, რომელიც ბოლოს შემოვა სუფრაზე, როცა მისი ნაშთები უკვე სანაგვე ვედროში ეყრება. როგორც ვთქვით, საბედნიეროდ, სტუმრები ყოველთვის იგვიანებენ და ლილას შეუძლია, თან თმა დაივარცხნოს და თან განტენბაინს ჩამოუთვალოს, ვინ მოვა. საზოგადოებაში ყოველთვის გამოერევა ვინმე, ვისაც ხმის ამოღებას არ ანებებენ და ხომ შეიძლება განტენბაინს ეგონოს, ესა თუ ის პიროვნება აქ არ არისო და წამოსცდეს რამე. აუცილებელია დაიმახსოვროს სტუმრების სია. ბოლოს და ბოლოს, გაისმის ზარის ხმა, ლილას თმა უკვე კოხტად აქვს დავარცხნილი. მაგრამ კარებთან მაინც ვერ მივა. ეს სწორედ ის წუთი გახლავთ, როცა სტუმრების შესახვედრად ლილა წინსაფარს იკეთებს ხოლმე. განტენბაინი ახლა დამახსოვრებულ სახელებს ანაწილებს და ყოველ სახელს სავარძელს მიუჩენს. ლილა მისალმებისათვის ძლივს იცლის, ხოლო სტუმრები გაოცებას ვერ ფარავენ: წინსაფრიანი ლედი მაკბეტი. ყველას გული უჩუყდება, ყველა მოხმარებაზე დებს თავს განტენბაინის გარდა, რომელმაც იცის, რომ ყველაფერი უკვე მზადაა!

ნუ სწუხდებით, ამბობს ლილა, მე თვითონ!

აპერიტივს ხელდახელ სვამს.

ნუ სწუხდებით, ამბობს ლილა, ყველაფერს მე გავაკეთებ!

განტენბაინს მხოლოდ ის ევალება, რომ სტუმრების აღტაცება გაიზიაროს, აღტაცებას თუ არ გაიზიარებს, ხელი მაინც არ შეუშალოს ლილას, წინსაფარაფარებული რომ დარბის აქეთ-იქით. განტენბაინი ფაშასავით ზის. ლილა სამზარეულოში ახლა სალათას ამზადებს, სალათა განტენბაინმა წინდახედულად გარეცხა, სტუმრებმა კი აღარ იციან აღტაცებისაგან რა ჰქნან, ან სირცხვილს სად წაუვიდნენ, რომ ამ დიდ მსახიობს ამდენ ჯაფას აყენებენ. განტენბაინს ფეხი ფეხზე გადაუდვია და ფაშასავით წამოჭიმულა სკამ-საქანელაში. იმედია, ლილას არაფერი დაავიწყდება. ლილა დაბნეულია, მაგრამ დაბნეულობა შვენის. სამწუხაროდ, ლიმონები არა გვაქვსო, ამბობს იგი და ეს მართლაც სამწუხაროა — ლიმონები სამზარეულოში აწყვია, მაგრამ ლილა რომ ვერ ხედავს, ეს კი მართლაც სამწუხაროა. შემდეგ ლილა ძლივს ელევა თავის სახელგანთქმულ წინსაფარს. ამ წუთიდან განტენბაინმა იცის, რომ შეუძლია იმოქმედოს, პირველი შთაბეჭდილება მაინც აღარ გაქარწყლდება და განტენბაინს მოაქვს ლიმონი და სხვა და სხვა.

ერთხელ კიდევ ვცვლი:

ლილა არც ვიკონტესაა და არც მსახიობი. არ მესმის, როგორ მომივიდა თავში ეს აზრი. ლილა უბრალოდ ქალია, გათხოვილი ქალი, გათხოვილია იმ მამაკაცზე, ვისაც მაშინ ბარში უნდა შევხვედროდი. ოცდათერთმეტი წლისაა. არც მორფინისტია და არც კათოლიკე. არავითარი პროფესია არა აქვს. თვალწარმტაცი ქალია; რა საჭიროა ამის თქმა, ვითომ მე თვითონ არ ვიცოდე. რად უნდა ლილას პროფესია? იქნებ ქალიშვილობაში სწავლობდა კიდეც მედიცი-

ნას, იქნებ პირველი გამოცდები ჩააბარა კიდეც, შემდეგ გათხოვებამ შეუშალა ხელი, ან იქნებ სამსახიობო სკოლაშიც სწავლობდა და ერთ ზამთარს თამაშობდა კიდეც სახელგანთქმული მსახიობების გვერდით. ეს ყველაფერი საესებით შესაძლებელია, მაგრამ ანგარიშში ჩასაგდები არ არის. პროფესიის გარეშეც იოლად წავა, ის ხომ ქალია. მართალია, საკუთარი შემოსავალი არა აქვს, მაგრამ უამისოდაც დამოუკიდებლად გრძნობს თავს. ასე რომ არ იყოს, მაშინ იმუშავებდა, თავს არ გაუჭირვებდა და საკუთარი ხელით შეკერილ კაბებს მაინც არ ჩაიცვამდა. ენების მცოდნე ქალი ყოველთვის იშოვიდა მდიენის ადგილს, მაგალითად, რომელიმე გამომცემლობაში, ვაჭრობაში ან სოცუზრუნველყოფის დაწესებულებაში რიგით მოსამსახურედ არც იკადრებდა მუშაობას. ყველაფერს გამომცემლობაში სამსახურს ვამჯობინებდი რედაქტორადო, ეს არასდროს არ გამიჭირდებოდაო. მაგრამ რაკი გათხოვილია, მუშაობა არ სჭირდება. ხანდახან მოენატრება მუშაობა, გული დასწყდება მიტოვებულ პროფესიაზე. ის ხომ დიასახლისი არაა. დიასახლისობას კითხვა ურჩევნია. ჰყავს საკუთარი მანქანა. სხვაგვარად დამოუკიდებლობის შეგრძნება არ ექნებოდა, მანქანა ქმარმა უყიდა, ქმარს საკმაო შემოსავალი აქვს. ქმარი ჯერ არ გამოუცვლია. ჯანი და ღონე არ აკლია, მაგრამ ისეთი სიფრიფანაა, რომ შენდაუნებურად ზედ დაჰკანკალებ, არაფერი დაემართოსო. ქალიშვილობაში ტუბერკულოზი გადაუტანია, ამ მოგონებას თავის შესაცოდებლად იყენებს, როცა გაუჭირდება. იგი არც ისეთი უქნარაა (როგორც ვიკონტესა) და არც ისეთი პატივმოყვარე (როგორც მსახიობი), მაგრამ, როგორც ვთქვით, დიასახლისი არ გახლავთ. ჭკუა იმდენად კი უჭრის, რომ მამაკაცებს არ დაუჯეროს, თითქოს ქალი სწორედ ისეთი შრომისათვის იყოს გაჩენილი, თვით მამაკაცებს მოსაწყენად რომ მიაჩნიათ. იგი ქალია, ოღონდ ქვეშევრდომი არ გახლავთ, ესე იგი, სავსებით თანამედროვე ქალია, ჩემი აზრით, დიდებული ქალია, ეს არის ამ საუკუნის ერთ-ერთი უპირველესი ქალი, რომელიც გაუბრანჭაოდ უტყდება საკუთარ თავს, რომ საერთოდ არ იტაცებს არც ერთი პროფესია.

P. S.

არ ვიცი, საიდან გაიგო მისმა ქმარმა ან საიდან გაიგებს მერე, რომ ლილას მე ვუყვარვარ. ეს ამბავი სულაც არ მაწუხებს. მე სვობოდას არ ვიცნობ. რა ჩემი ბრალია, რომ იმ დღეს ბარში ერთმანეთს ვერ შევხვდით. სახელისა და გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფრანტიშეკ სვობოდა ჩეხი უნდა იყოს. არ ვიცი, როგორ იქცევიან ჩეხები, როცა მათი საყვარელი ქალი სხვა კაცს შეიყვარებს...

წარმომიდგენია:

სტუმრები ჰყავთ, სვამენ და საუბრობენ, სვობოდა ჩვეულებრივად იქცევა, ჰყვება ლონდონის ამბებს, ლილაც ჩვეულებრივად იქცევა, სვობოდა ბოთლებს ხსნის, ლაპარაკობენ კოსმოსში რუსების უპირატესობაზე, ლილას ყვითელი კოსტიუმი აცვია (ზუსტად ერთი თვეა გასული ჩვენი პირველი ღამის შემდეგ), ან სხვა რომელიმე კოსტიუმი, მე ჯერ რომ არ მინახავს, და სტუმრები ეუბნებიან ბრწყინვალედ გამოიყურებიო, ვიღაც სწორედ იმ საოპერო წარმოდგენაზე ლაპარაკობს, რომელზეც სამწუხაროდ, ლილა არ წასულა. თუმცა ლილა ოპერის საწინააღმდეგო ყველა მოსაზრებაში არ მეთანხმება, მაგრამ ჩემს აზრს მაინც ანგარიშს უწევს და ერთ-ერთი შეხედულების სახით ურთავს საუბარში, რომ იმ გაცდენილ საღამოს გვერდი აუაროს და კამათს

პრინციპული სახე მისცეს. რა თქმა უნდა, არავინ იცის, ვისი შეხედულებაა ეს, შეხედულება კი ჰქვია და სვობოდა უბრალოდ მაგიდის ქვეშ ვერ შეუძახებს (რა თქმა უნდა, ოპერა, როგორც იგი მოცარტმა შექმნა, საუცხოოა და ხელშეუხებელი, მაგრამ მე მოცარტი არ მიხსენებია, მე თანამედროვე ოპერა მქონდა მხედველობაში). უცნაური კაცია სვობოდა, ისე მოსდის გული, თითქოს ჩემი შეხედულება პირადად მას შეურაცხყოფდეს. იგი ჩემი აზრის გასაბათილებლად ფირფიტას დებს: ეს გახლავთ „დონ ჟუანი", სტუმრები უსმენენ, ლილა სახეგაცისკროვნებული ზის და მხოლოდ ფიშერ-დისკაუთი კი არ ტკბება, თუმცა იგი დიდებული გახლავთ, არამედ უფრო ცერლინეთი: ცერლინე ერთადერთი პიროვნებაა მთელ ამ ორომტრიალში, ვის მხარეზეცაა სიმართლე, დიახ, იგი ამ ამბიდან ტრაგედიას არ ჰქმნის, რადგან ბუნება მის მხარეზეა, იგია ერთადერთი თავისუფალი ადამიანი და ეს მუსიკაშიც ვლინდება. ერთ-ერთ სტუმარს ჭკუაში უჯდება ეს აზრი და სავსებით ეთანხმება ლილას, როცა იმ ადგილს ხელმეორედ ისმენენ. შემდეგ საუბარი საერთო ნაცნობებზე გადადის... სვობოდამ ცოტა ხანს წაიძინა, მაგრამ ნაშუაღამევის სამ საათზე ისე უეცრად გამოეღვიძა, თითქოს თოფის ხმა გაეგონოს. მაგრამ ირგვლივ სიჩუმეა. სვობოდა შუქს არ ანთებს. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ვიღაც უჩხიკინებდეს კარს. მაგრამ არავინაა, შინ მხოლოდ ლილა და სვობოდა არიან.

— გძინავს?

— რატომ მეკითხები?

— არ ვიცი, — ეუბნება იგი, — სიცოცხლე შემძულდა.

ლილა სდუმს.

— სიცოცხლე შემძულდა, გესმის?

ლილა სდუმს.

— მე მგონი, ჩვენ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს.

— მაგას რატომ ამბობ?

— ერთმანეთს უნდა დავცილდეთ.

ეს ადვილი სათქმელი როდია, ადამიანს უეცრად ეუფლება ყოვლად დაუსაბუთებელი აზრი, ამ აზრს ეჭვიანობაც კი არ უძევს საფუძვლად, ეს არის სულში ქურდივით შემოპარული რწმენა. იქნებ ბევრი დალია სვობოდამ, სიმთვრალეს აბებით ეშველება, მაგრამ არაფერი ეშველება იმას, სტუმრების დანახვაზე ლილას სახე რომ უცისკროვნდება. აი, რამ გამოაღვიძა სვობოდა. თითქოს სიზმრიდან გამოერკვა.

რას ნიშნავს, დავცილდეთ?

ლილა ნიღაბს იფარებსო, ეს გრძნობა რამდენიმე კვირაა გაუჩნდა სვობოდას. მაინც როდიდან? მის გვერდით რომ ლილას ნიღაბის აფარება სჭირდება, ეს არაფრად ვარგა. ეს მისი ბრალია უთუოდ. ეტყობა, მის გვერდით შეუძლებელი გამხდარა ცხოვრება.

— იცი, რას გეტყვი, — ეუბნება ლილა, — ძილის წამალი დალიე!

ლილა სინათლეს ანთებს და იგიც იჯერებს, რაღაც მომელანდაო. არ უნდა ვინმე მოემსახუროს, თვითონ მოაქვს წამალი და ხმას არ იღებს. დღეს მართლა ბევრი დალია სვობოდამ.

(მე მძინავს).

სვობოდას ჩასთვლიმა, ყოველ შემთხვევაში, პასუხს აღარ იძლევა და ლილა სიბნელეში ეუბნება, წერილი მოგწერეო, დიახ, წერილი მოგწერე ლონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონში, მაგრამ აღარ გამომიგზავნია და თუ გინდა დილით წაიკითხეო, ახლა კი სჯობია დაიძინოო...

წარმომიდგენია:

მეორე დღეს, სამსახურის საქმეებით თავბრუდახვეული სვობოდა შინაგანად ვეღარ იცლის ნახევრად სიზმარეულ საუბარზე ფიქრისათვის, იგი ივიწყებს წუხანდელ ამბავს, რაცხვენია, ყოველ შემთხვევაში, წერილს არ თხოულობს, მაგრამ ლილას აღარ სჯერა, რომ მან ყველაფერი დაივიწყა. უკვე გაუქარწყლდა ხალისიანი და უეშმაკო რწმენა, სვობოდა ვერაფერს ხვდებაო. სამწუხაროდ, ასეა. იგი გრძნობს, რომ დუმილი აღარ შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა სვობოდა არაფერს ითხოვს და ამით ცხოვრებას ციოლებს.

წარმომიდგენია:

მისი ბრალია, რომ ხსენებული წერილი მაინცდამაინც რესტორანში გადასცეს, გადასცეს იმ დროს, როცა აქეთ-იქიდან ოფიციანტების ესკორტი დასტრიალებდათ თავს, როცა აქეთ-იქიდან უცხო ხალხი უთვალთვალებდათ.

მერე რა, რომ სტუმრები ამ წუთში იცინიან ან ასთაკვას კირკნიან, ყურები ხომ აქვთ. დიახ, მისი ბრალია, ლილას დღეს სულ არ უნდოდა სახლიდან გამოსვლა, იქნებ ბედმაც გაუღიმა, რომ ეს წერილი ლონდონში კი არა, ამ რესტორანში გაუხდა წასაკითხი, სადაც სვობოდას ყველა იცნობს? თევზი, ჩვეულებისამებრ, მშვენიერია. საწყენია, რომ ლილას მადა არა აქვს, ეს ოფიციანტსაც აწუხებს, ლილა ეწევა, სვობოდაც ხომ არ დაჰყრის ღანა-ჩანგალს და კარგა ხანი გადის, სანამ იგი თეფშის იქით გაშლილი წერილის კითხვას შეუდგებოდეს. სერიოზული სახით კითხულობს, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ წერილი დიდად არ აღელვებს, მშვიდად კითხულობს, სალათა არ ავიწყდება, წერილის პირველ გვერდზე ხომ არაფერია ახალი: დაახლოებით იგივეა, რაც სხვა წერილშიც ეწერა, რომელიც ლილამ მართლა გამოუგზავნა ლონდონში. აქ ჩანს ამხანაგური დამოკიდებულება, მშვიდობით მგზავრობის სურვილი, ზრუნვა მის კუჭზე, ახალი ამბები. საკმაოდ ალერსიანი წერილია. რატომ არ გამოუგზავნა ეს წერილი? ლილა ეწევა, სვობოდა კი თევზს ვერ მოეშვება, თორემ იმწამსვე ოფიციანტი დაადგება თავზე სულთამხუთავივით, ზუსტად მაშინ, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავს: ძველებურად მიყვარხარ და მინდა, არც შენ აიყარო გული ჩემზე, თუნდაც სხვა გრძნობა გამიჩნდესო. რა ესაქმება ოფიციანტს ამ სიტყვებთან? სვობოდა ერთ ბოთლს კიდევ უკვეთავს, რომ რამდენიმე სტრიქონის მანძილზე მაინც მოიშოროს ოფიციანტი თავიდან და გაიგოს, რატომ ჩასჩიჩინებს ეს წერილი, არავითარი ასაღელვებელი მიზეზი არა გაქვსო? ღვინო უკვე მოიტანეს. ერთი ოფიციანტი ღვინოს უსხამს, მეორე თეფშს უცვლის და წერილის კითხვა შეუძლებელი ხდება. სვობოდას მაინც უწინდებურად უჭირავს ხელში წერილი, ოღონდ ჯერ სიგარეტს მოუკიდებს და მერე ჩაიკითხავს ბოლომდე. თითქოს ბევრს მოელოდეს. ასაღელვებელი არაფერია, ხომ გეტყოდი, ჩვენს ურთიერთობაში რაიმე რომ შეცვლილიყოო. აქ წყდება წერილი და ოფიციანტი მაგიდიდან ნამცეცებს ფერთხაკს. მშვენიერი წერილია. დესერტად რა აქვთ? ალუბალი ჰქონიათ. ახლა ვის ეკუთვნის ვითომ ეს წერილი? ის ჯერ კიდევ საფერფლის გვერდით დევს. სვობოდამ უნდა ჩაიდოს ჯიბეში თუ ლილას უნდა დაუბრუნოს? ალუბალს ის უპირატესობა აქვს, რომ სალაპარაკოდ ვერ მოიცლი. ალუბალს რომ მიირთმევ და თან სიგარეტიც გიჭირავს ხელში, ლაპარაკს ნამდვილად ვეღარ მოახერხებ. სვო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდამ, როგორც ჩანს, დაუჯერა იმ წერილს, ასაღელვებელი არაფერიაო და ლილა ახლა ნანობს, რომ საერთოდ უჩვენა ის წერილი. სვობოდა დანახარჯს იხდის, სვობოდა ყიდულობს გაზეთს და იქვე ქუჩაში შლის, თითქოს ერთი სული ჰქონდეს, სანამ ახალ ამბებს წაიკითხავდეს, ყავას ბარში სვამენ, სვობოდა ყოველდღიურ საქმეებზე გადადის, ლილას გულზე მოეშვა. ნამდვილად არ სჯეროდა, რომ სვობოდა ზუსტად ისე მოიქცეოდა, როგორც იმედოვნებდა თვითონ — აი, დგას ახლა და ყავას სვამს: მშვიდადაა, მაგრამ პირზე კლიტეს არ იდებს, გულჩათხრობილობა არ ეტყობა, ჩაფიქრებულია, მაგრამ გაბოროტებული არ უნდა იყოს, ირგვლივ ყველაფერს ამჩნევს, გულგრილობას ვერ დასწამებ, მაგრამ თავის უპირატესობას გრძნობს და ლილას ყურადღებიანად ეჭცევა, ლილა კი გაფართოებული თვალებით შესცქერის.

(მე ვითომც არ ვარსებულვარ).

ალბათ ახლა კინოში წავლენ.

(ამაოდ ველი მის ზარს).

შემდეგ შინ ბრუნდებიან...

წარმომიდგენია:

სვობოდა აყლაყუდა ჩეხია, მაგრამ ხმა ალერსიანი აქვს (რბილი კი არა, ალერსიანი), თავს უფრო თამამად გრძნობს, როცა საყელოს ზედა ღილს შეიხსნის და ჰალსტუხს მოაბოშებს, ეს არის კაცი, რომელსაც ვერაფრით ვერ გააგებინებ, რომ მისი სიკეთე (ნასწავლი კი არა, თანდაყოლილი სიკეთე) ტირანის სიკეთესა ჰგავს, კეთილი და პატიოსანი, არ ვიცი, სვობოდა, სანამ საბოლოოდ არ დავრწმუნდები, რომ სულ სხვანაირი ყოფილა, რატომ წარმომიდგენია მაინცდამაინც წყლისფერთვალებიან და წარბებდაფანჩულ კაცად. ამგვარად, სვობოდამ სამზარეულოდან ყინული გამოიტანა, რომ თავის ლილას ვისკი მოუმზადოს და ახლა ხუმრობანარევი კილოთი ელაპარაკება, სარკასტულად კი არა, არამედ ისე, როგორც ბავშვს ელაპარაკებიან, ფანჯრის მინა რომ ჩაუმსხვრევია და ახლა ისე სულგანაბული ზის, თითქოს ეს ზარალი აუნაზღაურებელი იყოს.

— აბა, მითხარი, რა ამბავია?

წერილში ხომ ყველაფერი სწერია.

— სოდიანი წყალი აღარა გვაქვს, — დასძენს იგი.

წერილში ხომ ყველაფერი სწერიაო, ფიქრობს ლილა, პასუხისაგან თავის დასაძვრენად დგება და უგულისყუროდ ეძებს სოდიან წყალს, რწმუნდება, რომ სოდიანი წყალი მართლაც აღარ ჰქონიათ და ინიშნავს კიდეც, რომ სოდიანი წყალი შესაკვეთია, სვობოდა ფეხზე დგას, ჭიქა ხელში უკავია და ერთხანს ისე უჭირავს თავი, თითქოს ფოსტის თვალიერებით იყოს გართული, მაგრამ არც ერთ წერილს არ ხსნის, მხოლოდ დახედავს, ვისგანაა წერილი გამოგზავნილი და წერილები ისე უჭირავს ხელში, თითქოს თავის ოთახში აპირებდეს გასვლას. ჭიქას სცლის.

— აღარ იტყვი? — ამბობს იგი.

რა უნდა? რა დაემართა?

— შენ მომწერე, სხვა გრძნობა გამიჩნდაო...

პაუზა.

— მე ძალიან მიყვარს ერთი კაცი, — ამბობს ლილა.

პაუზა.

ლილას სახეზე ექსტაზი არ ეხატება, მხოლოდ უუცხოვდება სახე, ხმა საქმიანი აქვს. ძალიან მიყვარს. გრძნობა სახეზე ეხატება. ძალიან მიყვარს. ეს უბრალო სიტყვები სიმართლეა. ამიტომ ვერაფერს დავუმატებ. მაგიდაზე რატომ აწყობს სვობოდა თავის წერილებს? კარგა ხანი გადის. სვობოდა ჩიბუხს ტენის და სმენაში ჩარჩენილი ექოდან ნელ-ნელა გამოაქვს აზრი, რომ ლილას მის დასაზოგად არ მიუნიშებია თავისი ნათქვამისათვის უწყინარი ელფერი, მან ფაქტს დაარქვა შესაფერი სახელი და ამ ფაქტის სერიოზულობა ზეაწეულ სიტყვებს ვერ შეიფერებდა. სვობოდა უყურებს ლილას, ერთხანს ისევ ჩიბუხს ტენის და გულში იმედი უჭიატებს, იქნებ კარგად ვერ გავიგე მისი ნათქვამიო, მაგრამ ლილას გაუცხოებული სახე ერთი წუთით გაელვებულ იმედს უქარწყლებს. ძალიან მიყვარს. ამ ნათქვამში არაფერი იცვლება. ძალიან მიყვარს. ექო არც მაშინ ჩუმდება, როცა სვობოდა, ბოლოს და ბოლოს, უკიდებს ჩიბუხს და აბოლებს. ისიც საქმიანი ხმით ეკითხება ლილას:

— ვინ არის იგი?

პაუზა.

— არ გინდა მითხრა?

— რატომაც არა, — სიჯიუტეგარეული კილოთი პასუხობს ლილა, მაგრამ იცდის. ვითომ არ იცის? პასუხს აყოვნებს, თითქოს ერჩივნოს სვობოდამ თვითონ გამოიცნოს ის სახელი, მას კი მხოლოდ თავის დაქნევა დასჭირდეს. რატომ არ ეხმარება? სვობოდას ათასნაირი ვარაუდი უტრიალებს თავში, ყველა ვარაუდი სიგიჟედ ეჩვენება და პირველად უხარია კიდეც, ლილა რომ, ბოლოს და ბოლოს, ეუბნება:

— შენ არ იცნობ.

იგი სვამს.

ლილაც არ არის კარგ დღეში...

სვობოდა ჯერ ასანთს ეძებს, რადგან ჩიბუხი ჩაუქრა, შემდეგ კი ჩიბუხის საწმენდს, ახლა საქმე უნდა გაუჩინოს ხელებს, თორემ იმ აუღელვებელ, ხუმრობანარევ გამამხნევებელ კილოს ვეღარ მიაგნებს და ვითომ სხვათა შორის ვეღარ ჰკითხავს ლილას:

— რა გვარია?

პაუზა.

— ენდერლინი.

ლილა მადლობელია, რომ მან არ გაიმეორა ეს გვარი და ისე გაჩუმდა, თითქოს მეტი აღარაფერი ყოფილიყოს სათქმელი; ლილა დგება, ხოლო სვობოდა კვლავ თავის ჩიბუხს წმენდს... რაკი ეს გვარი გაიგონა, უკვე იცის, ლილა სად და როდის შემხვდა მე. სვობოდას აგონდება ჩვენი პაემანი ბარში, რომელიც არ შემდგარა, არ შემდგარა მისი მიზეზით. ახლა ალბათ ნანობს, ლილას სატრფო თვალით რომ არ უნახავს. მე სვობოდას ვუცდიდი. მაინც როდის იყო ეს? იგი ანგარიშობს. როდის იყო თვითონ ლონდონში? მისი აზრით, თარიღს დიდი მნიშვნელობა აქვს. მარტის პირველ რიცხვებში. ნოხს დაჰყურებს და თვალიდან ლიბრი ეცლება, აგონდება მარტიდან მოყოლებული რა სიცოცხლით სავსე იყო ლილა. აი, თურმე რა ყოფილა მისი ბედნიერების მიზეზი! ლილა მის ჩეხურ აზრებს ვერ სწვდება. პირველი საათია, ლილას აღარ უნდა მისი უადგილო კითხვები მოისმინოს და თავისით ამბობს:

— ამერიკაში მიდის, ჰარვარდშია მიწვეული, იგი დოცენტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ რის გაგებას ისურვებს კიდევ?

— იგი ჟურნალის მთავარი რედაქტორია, შენც იცი...

სვობოდა სდუმს.

— ჰო, — ამბობს ლილა, — კიდევ რა გითხრა?

ლილა ისე ლაპარაკობს, თითქოს ვინმეს კითხვებით შეეწუხებინოს, თავი მოებეზრებინოს და დაეტანჯოს იგი. სვობოდას აღიზიანებს ლილას სახე, მაგრამ ჩიბუხი მუჭში უჭირავს და უცდის, სანამ ლილა გაჩუმდებოდეს. რაც ლილამ ჩემს აკადემიურ მოღვაწეობაზე ილაპარაკა, იმის შემდეგ სავსებით მოულოდნელი ეჩვენა სვობოდას როყიო კითხვა:

— თქვენს შორის უკვე მოხდა რამე?

პაუზა.

— სდუმხარ? — ეკითხება იგი, — ესე იგი, ჰო.

— ჰო.

ორივენი მშვიდად არიან.

— ჰო, — ამბობს ლილა, — რა მერე?

— ჰო, — ამბობს იგი და ყურს უგდებს საკუთარ მშვიდ ხმას, მაგრამ ის კი ვეღარ მოუფიქრებია, ამ მშვიდი ხმით რა უნდა ეთქვა. ამიტომ ჩუმდება და ჯდება. ტკივილი ჯერ ისევ თითქმის ფიზიკურ ტკბობასავით უვლის ტანში. ლილა თვალს არიდებს, მის მზერას გაურბის, მაგრამ სირცხვილის გამო არა, იგი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, შეურაცხყოფილად გრძნობს თავს სვობოდასაგან, რომელმაც ძალით ჩააყენა ამ სულელურ მდგომარეობაში და ისიც ვერ მოუნელებია, სვობოდას რომ სწერდა იმ წერილში, ძალიან მიყვარხარო, ამ წუთში მართალი რომ აღარ არის. სვობოდას ჯერ კიდევ არ უნებებია მისი წყენინება. ჯერ ისევ ზის, ხელები ჯიბეებში უწყვია, დანა კბილს არ უხსნის, მაგრამ ნირი არ შესცვლია. ჯერ კიდევ არ აუწყვეტია და არ წამოუყენებია თავისი უფლებები, თუნდაც იმის უფლება, რომ გულახდილობა მოსთხოვოს ლილას. ჯერ კიდევ შერჩენია ძალა, ცხოვრებას მშვიდად გაუსწოროს თვალი. როდემდე? რაღაც ხომ უნდა თქვას, თუნდაც ასეთი რამ:

— რამდენი წლისაა?

ლილა დაიღალა.

— ახლა ნუღარაფერს მეკითხები, — ეუბნება იგი, — ეს არის სულ, სვობ, რაც შემეძლო შენთვის მეთქვა.

— რომ ძალიან გიყვარს, არა?

სამწუხაროდ, დრო არ ჩერდება, სამწუხაროდ, ფარდა არ ეშვება. სანამ სვობოდა ასე ზის, მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი, ნელთბილი ვისკი ორივე ხელით ჩაუბღუჯავს და უსიტყვოდ ინარჩუნებს დამარცხებულის ღირსებას, სდუმს თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ ვერაფერი მოუსაზრებია. ის კითხვაც ნაადრევია ჯერ, აწი რაღა ვქნათო. მხოლოდ ის იცის, რომ ეს კითხვაც დაისმება... იცის ზოგადად. დიახ, იცის. მაგრამ ამ წუთში თითქოს გახევდა, პირში მხოლოდ მტკნარი ვისკის გემოს გრძნობს, რომელიც გამდნარი ყინულისაგან გაწყალებულა. ვისკი ისე ჩაუგუბებია პირში, თითქოს ყელში უნდოდეს მისი გამოვლება.

— სვობ, — ეუბნება ლილა, — დაღლილობისაგან საცაა წავიქცევი.

სვობი ახლა ასე რომ არ იჯდეს, ლილას შეეძლო ამხანაგურად, ალერსიანად მოჰქცეოდა. მისი ბრალია, ლილა რომ ცივად ექცევა. ლილა საფერფ-

ლეებს ცლის. სვობოდა ხედავს, რომ მოხდა რაღაც, რამაც თავდაყირა დააყენა ყველაფერი: ლილა მხოლოდ საფერფლეებს კი არ ცლის, ბინასაც ალაგებს, ლილა დიასახლისის როლშია, იღებს მის პიჯაკს და საკიდზე ჰკიდებს. სვობოდას შიში იპყრობს. ლილას არასოდეს უქნია ეს. ხედავს, რა დაბნეულია ლილა. მგონი, აღარ იცის, მათ ცოლ-ქმრობაში რა არის მიღებული და რა არა. ნუთუ ასე შესტოპა უკვე? იგი უყურებს ლილას და იდაყვები ორივე მუხლზე აქვს დაყრდნობილი.

— გითხარი, არა, გარაჟიდან რომ დარეკეს დაზღვევის თაობაზე, — ეუბნება ლილა.

— მითხარი.

— ანგარიშის გამო დარეკეს, ანგარიში სადაზღვევო კანტორას უნდა გაუგზავნონ...

სვობოდა სდუმს.

— არ დაგავიწყდეს, — ამბობს ლილა.

— რა?

ლილა ახლა ყველაფერზე ფიქრობს, სვობოდას მამის დაბადების დღეც კი აგონდება, მასთან მოსასვლელი ხალხიც და ის ამანათიც, ჯერ კიდევ საბაჟოში რომ გდია. ლილა გამოიტანს იმ ამანათს, ჰო, ხვალ მაინც გასასვლელია ქალაქში, აუარებელი საქმე აქვს ლილას, აუარებელი საფიქრალი აწუხებს და შუაღამე რომ არ იყოს, მაცივრის ოსტატს დაურეკავდა ახლავე, მაგრამ ხვალ მაინც გასასვლელია ქალაქში, ფსტაც გაუთავდათ, პარასკევს კი ჰინრიქსენები მოვლენ, კვირას მალერის კონცერტია, ლილა ბილეთზეც შეივლის, იგი ახლა მართლა ყველაფერზე ფიქრობს, არა მარტო იმ იდუმალ ამანათზე, რომელიც ჯერ კიდევ საბაჟოში დევს და არა მარტო სვობოდას მამის დაბადების დღეზე, არამედ ძაღლის გადასახადზეც კი... ცხოვრება გრძელდება, სვობოდა კი სდუმს.

სვობოდა ფანჯარასთან დგას.

სვობოდა ფიქრობს, როდის უნდა შემემჩნია ეს ცვლილებაო. რა ტყუილად იტეხავს თავს? ამის შემჩნევას რა დიდი ამბავი უნდოდა? განა ყოველდღე არ ამჩნევდა! პირდაპირ სასაცილოა, იმდენი რამ შეამჩნია, დაწყებული იმით, რომ ლილა ლონდონიდან დაბრუნებულს გალამაზებული და გაახალგაზრდავებული დაუხვდა. შემდეგ დაბადების დღეზე უზარმაზარი საჩუქარი მოართვა; ხოლო მანამდე შაკიკმა გაუარა. მისი აღმაფრენა, სიხარულისაგან გაბრწყინებული სახე, განსაკუთრებით სტუმრიანობისას, მისი გამოცოცხლება, სახის ფერი — ეს ყველაფერი სვობოდამ შეამჩნია და სასწაულს მიაწერა. მისი წერილი, ის მეორე წერილი, რომელიც ლონდონში გამოუგზავნა, მოკლე იყო, მაგრამ სიყვარულით აღსავსე. ოპერაზე არაფერს სწერდა. სხვათა შორის, უკომენტაროდ იხსენიებდა ერთ კაცს, რომელიც სვობოდას ვერ შეხვდა. ბოლო ხანებში წერილებს ზედ აღარ უყურებს ლილა, საკუთარ ოჯახს აგდებულად ეკიდება, აშკარა ინტერესს იჩენს ახალი ჟურნალისადმი, მაგრამ ამ ჟურნალზე თავის აზრს მალავს. პირდაპირ მოთხოვნილებად გადაექცა მოჰყვეს, ვინ შეხვდა დღეს. თმა სხვანაირად დაიყენა. ყოველგვარ საერთო გეგმას ყოყმანით ეკიდება. სულ არ აინტერესებს, სვობოდა ვის ხვდება და ვის არა, სამაგიეროდ, და-ძმურ სიხარულს ვერ ფარავს, როცა სვობოდა სამსახურში მიაღწევს წარმატებას. ერთხელ თავზე წაადგა, საერთაშორისო ავია-განრიგს რომ ჩაჰკირკიტებდა. ნერვიული პუნქტუალობა დასჩემდა კვირის განსაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ დღეებში. ყველაფერი ახლა მოაგონდა სვობოდას, მოაგონდა მისი ხუმრობანარევი ფრაზები, მოურიდებელი ლაპარაკი საერთოდ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, მისი აღტაცება ერთი თამამი ფილმით, განსაკუთრებით კი იმ სცენით, სადაც ქალი თავის ქმარს ჰკოცნის და ამ დროს ფეხებით სხვას ეალერსება, მოაგონდა საერთოდ მისი იუმორით შეფერილი, შენიღბული ზრუნვა სვობოდაზე, როცა იგი თავისთვის იჯდა ხოლმე ჩაფიქრებული, მისი თანაგრძნობა ზოოპარკში დამწყვდეული ცხოველებისადმი, მისი შენიშვნა გედებზე, რა მედიდურად დაცურავენო წყვილად და ასე შემდეგ... განა მისი ბრალია, რომ სვობოდა ვერაფერს ხვდებოდა. მას არც დაუფარავს, სიცოცხლეს რომ შეჰხაროდა. მისი ბრალია, რომ ლილას ხალისიანობა ხან საკუთარ თავს მიაწერა და ხან სასწაულს. თუმცა ეს ბედნიერი ხანა იყო მისთვისაც, დიახ, ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ ბედნიერი დღეები ედგა სვობოდას.

— იცი რა, მე ვიძინებ, — ეუბნება ლილა.

თავს რატომ აქნევს?

ჰმ, ენდერლინი!

ჯერ არ წარმოუთქვამს ეს გვარი. სასაცილოა, როგორ უეცრად გამოტყვერება ყველა სხვა გვარებიდან ერთი რომელიმე გვარი და გულზე დაგესობა ეკლად. თუმცა მეც ხომ შეიძლებოდა სულ სხვა გვარი მქონოდა.

— ვერ გამიგია, რა გაცინებს, — ეუბნება ლილა.

იცინის, რომ ტრაგედიად არ აქციოს ეს ამბავი.

ჩემი აზრით, სვობოდა ეკუთვნის იმ მამაკაცების რიცხვს, რომლებსაც ქალები მოფერებით დათვს ეძახიან. ცხოველთა სამყაროდან აღებული სხვა საალერსო სახელი სვობოდას არც არასოდეს რგებია. სულ სხვადასხვა ჯურის ქალები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დათვს ეძახდნენ ხოლმე. ეტყობა, ჰქონდა ამას თავის მიზეზი. ეს მიზეზი თავშესაქცევი სითამამე თუა, ალბათ ღონიერებაც, სიტლანქეც და მოუქნელობაც, შემპარავი სინაზეც და ვერაგული მოლხენაც ამ წვრილთვალება მხეცისა, რომელიც შეიძლება უეცრად გაბოროტდეს და გამძვინვარდეს. მაშინ ხომ აღარავის დაინდობს, მანამდე კი იმ საბრალო მათხოვარსა ჰგავს, ერთი კვნიტი შაქრისათვის ძუნძულით დავლურს რომ ჩამოუვლის. ეს ვითომ უწყინარი ბანჯგვლიანი არსება სიბრალულსა და აღტაცებას იწვევს, მეორე წუთში კი თითქმის სრულიად უმიზეზოდ ისეთ გაშმაგებულ მხეცად გადაიქცევა, რომ ვეღარაფერი შეაკავებს და ვერც ვერავითარი შაქარი დააშოშმინებს, ამ დროს თამაშის წესებს აღარაფრად დაგიდევთ და აღარც მსხვერპლის დაგლეჯაზე დაიხევს უკან. ლილას მისი ეშინია... მთელი ღამე (სანამ ჩიტები აჭიკჭიკდებიან და მზე ამოვა) გაშმაგებული სვობოდა სიტყვით წალეკავს ყველაფერს, დილით კი გამოფხიზლებულსა და დარცხვენილს თვითონვე აღარ ეხსომება, რა წამოროშა, ბრჭყალებს დამალავს და ბოდიშს მოიხდის, დიახ, ბოდიშს მოიხდის და კვლავ მათხოვრად გადაიქცევა. მაგრამ ლილამ იცის, რომ იგი კვლავ აიწყვეტს — ბოდიშებით კაცი არ შეიცვლება. იგი კვლავ აბობოქრდება და მწარ-მწარე სიტყვებით ყველაფერს დაგლეჯს...

ჯერ საქმე აქამდე არ მისულა.

— ჰო, — მიუგებს იგი, — წადი, დაიძინე.

იგი ჯერ კიდევ საკმაოდ ფხიზელია.

— ჰო, ღამე მშვიდობისა, — ეტყვის და ვისკის მოსვამს.

— ახლა ვხვდები, — ამბობს იგი, — ახლა ვხვდები, მაშინ ლონდონში რატომაც დამირეკე...

ეს რა შუაშია?

— ლამაზია ის ენდერლინი? — იღიმება იგი.

ამაზე ლილა, რა თქმა უნდა, არაფერს უპასუხებს. ის ენდერლინი! ჩემზე ამ ტონით ლაპარაკი არ შეიძლება და ამას სვობოდაც გრძნობს.

იგი სვამს.

რატომ, დიახ, რატომ არ ეშვება ახლა ფარდა?

ხომ ცნობილია, მერე რა მოხდა...

დაახლოებით დილის ხუთ საათზე (მე მძინავს) საქმე იქამდე მიდის, რომ უეცრად ბუხარში ჩაიმსხვრევა ვისკის ჭიქა. კი მაგრამ, რატომ? განა იმიტომ, თითქოს მას არ ესმოდეს, ლილას სხვა მამაკაცის ალერსი რატომ ურჩევნია, არამედ იმიტომ, რომ ლილას ვერ გაუგია ვერაფერი. მაინც რა ვერ გაუგია? ლილას ვერ გაუგია, საერთოდ რა არის აქ გასაგები. იქნებ ამისათვის საჭიროა ლილა სვობოდად იქცეს, რომელიც ყოველი ნათქვამი სიტყვით უსამართლობას სჩადის? ლილა არ შეკამათებია, ლაპარაკით ისე მოაოხებინა გული. მაშ რატომღა ესვრის ვისკის ჭიქას მის შემბრალე დუმილს? ლილას მართლა ვერ გაუგია, ამ კაცს რა უნდა. თვითონ კი იცის, რა უნდა?

— მაპატიე! — ეუბნება სვობოდა.

გარეთ თენდება...

სვობოდა ისე იქცევა, თითქოს დაკარგულ უბიწოებას მისტიროდეს. განა თვითონვე არ უნდა სცოდნოდა, რომ ამაზე არ ღირდა ლაპარაკი? საღამოს ცხრა საათიდან მოყოლებული, როცა ოფიციანტებით გარშემორტყმულმა წაიკითხა მისი მეგობრული წერილი, ნაშუაღამევის ორ საათამდე იმ აზრს უტრიალებდა, ჩემს დიდსულოვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ლილას ახლა ჩემი არც გრძნობები აინტერესებს, არც პრინციპული შეხედულებანი და არც გეგმებიო. ეტყობა, მის დიდსულოვნებას მოჰყვა ყველაფერი და არა იმას, თითქოს ლილას დაემთქნარებინოს, თუმცა შუაღამის მერე დაღლილობისაგან ძლივს იდგა ფეხზე. გულშიც კი არ გავივლებ, ლილა მაინცდამაინც ჩემზე ფიქრობდეს იმ წუთებში, როცა სვობოდა ჯერ ოთახში ბოლთას სცემს, შემდეგ ჯდება და უფრო ნელა აგრძელებს ლაპარაკს, რომ არ გაცეცხლდეს. სვობოდას კი უნდა ასე იყოს, მაგრამ ლილასათვის მე („ის ენდერლინი") საერთო საუბრის თემად ვერ გადავიქცევი. სვობოდა ვითომ მთელი ამბის გაგებას ესწრაფვის და ამას ვეღარ უნდა მიხვდეს? ლილა სდუმს, მაგრამ იმიტომ კი არ სდუმს, რომ არ უსმენს; უსმენს, მაგრამ აქ არ არის, არც ჩემთანაა, მაგრამ არც აქ არის. იგი მარტოა. ის ამბავი, რაც სვობოდას აღელვებს და ლილას დახმარებით უნდა გაარკვიოს, მათი საერთო საქმე არ არის. სწორედ ეს ანიჭებს ადამიანს თავისუფლებას: ლილა მარტოა.

დუმილი.

გარეთ ჩიტები ჭიკჭიკებენ.

— ლილა, — ეუბნება იგი, — თქვი რამე!

— აბა, რა უნდა გითხრა, — პასუხობს ლილა, — რა უნდა გითხრა, როცა მთელ ამ ამბავში ჩემში მხოლოდ ქალს ხედავ, ეს აზრი ყველა შენს ნათქვამ სიტყვაში მესმის, შენ მხოლოდ და მხოლოდ ამ მხრიდან უყურებ ყველაფერს.

— რომელი მხრიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ჩემში მხოლოდ ქალს ხედავ.

სვობოდა ფიქრებში გაერთო.

— მაპატიე! — ისეთი ხმით ამბობს იგი, თითქოს შეცდომა შეეგნოს, მაგრამ შემდეგ იცინის. — შენ მართალი ხარ, მაპატიე, შენ მართალი ხარ.

ამით რა უნდა თქვას?

— ჰო, მე შენში მხოლოდ ქალს ვხედავ, — ეუბნება იგი და ისე მიასობს მზერას, რომ ლილას შიშის ჟრუანტელი უვლის ტანში. თვალებში უეცრად გაუჩნდა ბოროტი ნაპერწკალი, თუმცა გარეგნულად მშვიდად გამოიყურება. — მე შენში მხოლოდ ქალს ვხედავ, — ისე იმეორებს იგი, როგორც უკბილო ხუმრობას ამოიჩემებს ხოლმე კაცი, — ბატონი ენდერლინი კი... მესმის! — ამბობს და ისევ აპირებს გაიცინოს, მაგრამ ლილას მზერამ უკვე დატუქსა იგი: — მაპატიე! — ამბობს ისევ, დგება და დაწრიალებს ოთახში, სადაც ამ დროს უკვე დილის მზემ შემოანათა. — მაპატიე! — ამბობს და ეტყობა, თავისი გადმონთხეული შხამი ცოტა ხნით მაინც აშოშმინებს, შემდეგ კი უკვე ვისკის ბოთლი იმსხვრევა ბუხარში. — მაპატიე! — ამბობს იგი და ცახცახებს. — მაპატიე.

ლილა უყურებს.

ნუთუ აღარ დაეშვება ფარდა?

ახლა იგი თავს აცოდებს ლილას.

— როგორ გგონია, საშინელება არ არის, რასაც შენ მეუბნები? თითქოს მე შენში მხოლოდ ქალს ვხედავდე და ამას მეუბნები ახლა, როცა უკვე სხვა მამაკაცთან გაათიე ღამე, თუმცა ალბათ არა როგორც ქალმა. მე არ გსაყვედურობ, პირიქით, შენ მეუბნები საყვედურს, არ მესმის, რატომ მესაყვედურები. დიახ, ჩემო ძვირფასო, მესაყვედურები დუმილითაც, სიტყვითაც, რომ ჩემთან ლაპარაკი არ შეგიძლია, რახან მე მხოლოდ ქალს ვხედავ შენში...

— ყოველ შემთხვევაში ამ ამბავში მაინც.

ლილა ადვილად გამოდის მართალი.

— კარგი, დავიძინოთ, — ეუბნება იგი.

ამასობაში დადგა ხუთშაბათი, დიახ, მაგრამ ფარდა ჯერ კიდევ არ ეშვება. ცხოვრება, სინამდვილე: არ დაგანებებს არამც თუ ერთი წლით და ერთი თვით, არამედ ერთი კვირითაც რომ გადაახტე თავზე, თუნდაც მიახლოებით იცოდე, მერე რა მოხდება...

(არც სვობოდობა მინდა!)

ამბავი კამილასათვის:

მამაკაცი და ქალი, როცა გაუცნობიერებელი სიყვარულის პირველმა თრობამ გაუარათ, მიხვდნენ, რომ ერთმანეთისათვის იყვნენ გაჩენილნი. საუცხოოდ უგებდნენ ერთმანეთს, მაგრამ თრობას უკვე გაევლო და ასე ცხოვრობდნენ ერთად, არც დიდად მოლხენილნი, მაგრამ არც ჩხუბობდნენ. მხოლოდ ხანდახან თუ გაუჩნდებოდა კაცს ისეთი გრძნობა, თითქოს შორიდან უყურებდა თავიანთ ცოლ-ქმრულ ალერსს, თითქოს იქვე სავარძელში იჯდა ან ფანჯარასთან იდგა და თავში ისეთი ფიქრები მოსდიოდა, თითქოს ფანჯრიდან იხედებოდა ქუჩაში, ცუდს კი არაფერს ფიქრობდა, მაგრამ ფიქრი მაინც ფიქრი იყო, შემდეგ ფიქრებიდან გამოერკვეოდა და კვლავ ერთ არ-

სებად იქცეოდნენ ხოლმე. შემდეგ ქალი ჩაის აადუღებდა, ის კი საალერსო სახელებს ეძახდა, ხოლო ჩაის რომ უსხამდა, ეუბნებოდა, მიყვარხარო და ეს სრული სიმართლე გახლდათ. ალბათ ქალსაც ასევე ემართებოდა. ქალსაც უყვარდა იგი, მხოლოდ იგი, თუმცა ახლა სხვაგვარად, უფრო გამორჩეულად უყვარდა. ისინი განუყრელნი იყვნენ, ერთად მოგზაურობდნენ. ერთხელ კაცმა სასტუმროს ოთახის სარკეში თავიანთი ცოლ-ქმრული ალერსი დაინახა. ჯერ გაოგნდა, მერე კი გაეხარდა, რომ ეს მისი საკუთარი სხეული იყო, რომელთანაც ქალი ღალატობდა და სარკეშივე ხედავდა, რომ თვითონაც ასევე ღალატობდა მას. ზოგჯერ სულ უბრალო ამბების გამო კრიზისი დაუდგებოდათ, თუმცა ერთმანეთი მაინც უყვარდათ. ერთ საღამოს, იმ ამბიდან კარგა ხნის შემდეგ, იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ქალი კი ლოგინში იწვა. თავში ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფიქრები უტრიალებდა, აი ისეთივე, ხანდახან ალერსის დროს რომ შემოეპარებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა მართლა სავარძელში იჯდა, ქალს ეძინა, მას კი იმ სარკემ თვალი აუხილა და შეეძლო გაუჭირვებლად წარმოედგინა, სხვა როგორ მიეალერსებოდა ქალს. ამ აზრს არ შეუძრწუნებია, პირიქით, თითქოს გაეხარდა კიდეც, საკუთარი პიროვნება ასე რომ გააცამტვერა, გამხიარულებული ფიქრობდა იმ სხვა კაცის ადგილზე ყოფნას არ ვისურვებდიო. იგი გაზეთს კითხულობდა და დიდი სიყვარულით იყო აღვსილი, ქალს კი ეძინა და იქნებ სიზმარში ხედავდა იმას, რაც მას შორიდან ჰქონდა წარმოდგენილი. ამ წყვილს სახელად ფილემონი და ბავკიდე ერქვა.

ვთქვათ, სვობოდა დაახლოებით ისეთია შესახედავად, როგორიც მე წარმომიდგენია: აყლაყუდა ჩეხი, მხარბეჭგანიერი. მე რომ მკითხოთ, ისეთ გრაციოზულ ქალს, როგორიც ლილაა, ასეთი ახმახი არ შეეფერება, მაღალ ქუსლებზე თუ შედგა, ქმარს მხრებამდე სწვდება, ხოლო თუ ფეხშიშველაა, მაშინ ხომ მართლა შეუფერებელი წყვილი ეთქმით. სვობოდა ზორბა კაცია, მაგრამ არც მსუქანია და არც მოუხეშავი, სპორტული ტიპისაა, ასეთი ტიპის კაცს, სხვათა შორის, მყისვე ქერად აღიქვამ, თუმცა თავი მთლად გამელოტებული აქვს. მიუხედავად ამისა, თმაგაცვენილის შთაბეჭდილებას მაინც არ ახდენს, მისი მელოტი თავი ვაჟკაცური სახის ისეთივე განუყრელი ნაწილი გეგონებათ, როგორც ნიკაპი და შუბლია, კოხტა თავი აქვს, ასეთი თავი, სხვათა შორის, შეიძლებოდა რუსსაც ჰქონოდა, ჯიუტი, მრგვალი, თავისებურად მოყვანილი თავი. სარკეში ჩახედვა არ უყვარს, რადგან ვერ გაუგია, ქალებს რა მოსწონთ მისი. სვობოდა სმოკინგში დამატყვევებელია, ეს თვითონაც იცის, თან კარგი მოცეკვავეა. ეს კაცი, თუ გაიოფლება, თორემ გათოშვით არასოდეს გაითოშება, ღვინო ადვილად არ ეკიდება. საერთოდ ჩუმი კაცია, იმ სამიოდე საათის გამოკლებით, როცა მოუვლის ხოლმე, ჩვეულებრივ სიტყვაძუნწი უფრო ეთქმის, ეწევა ჩიბუხს, დინჯი კაცია, სახოგადოებაში გულიანად იცინის ხოლმე, სათვალეს არ ატარებს, ეტყობა, მარჯვე მზარეული იქნება, მელანქოლიურია, დათვივით ზორზოხაა, მაგრამ მოძრავი, მოუხეშავად მხოლოდ იმიტომ დადის (განსაკუთრებით ლილას დასანახავად), რომ თავისი ძალა არ გამოამჟღავნოს, ლილას მისი ეშინია, თუმცა არასოდეს მოხვედრია მისი ხელი... ვთქვათ, სვობოდა მართლა ასეთია, მაშინ ადვილი მისახვედრია, თავის მხრივ ის ენდერლინი როგორ წარმოუდგენია. მისი წარ-

კ. მარქსის ... სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენით, ენდერლინი მაღალი, კაფანდარა ინტელიგენტი იქნება, მკერდჩავარდნილი არა, მაგრამ საკმაოდ სიფრიფანა. უფრო ჩიტს ემგვანება, ვიდრე დათვს. ჩეხი არ არის. უფრო ესპანური ან ფრანგული ტიპის სახე ექნება, ადვილი შესაძლებელია იტალიელიც იყოს, ყოველ შემთხვევაში, შავი თმა და თხელი, კეხიანი ცხვირი ექნება (არც ერთია სწორი და არც მეორე). ასეთ ცხვირს კლასიკური, სწორკუთხა, დაბალი შუბლი უხდება, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ხალხებს რომ აქვთ ხოლმე. მართალია, მისი გვარი ალემანურს წაგავს, მაგრამ სვობოდა ამ ანკეტაზე არ წამოეგება — კარგად იცის, რა ტიპის მამაკაცები მოსწონს ლილას: მრგვალთავა არა, მოგრძო თავი უნდა ჰქონდეს, ყოველმხრივი, გასაოცარი ცოდნით გამოტენილი, რომ მასთან არ მოსწყინდეს. იქნებ რაღაცით ჰომოსექსუალისტსაც წააგავდეს და სვობოდას თავისით ვერც ეცნო ვერასდროს, იქნებ ძაღლიც ჰყავდეს. ფრანტი არ ეთქმის, მაგრამ თავს უვლის. ფრჩხილებში ჭუჭყი არასოდეს დაუგროვდება. არც ჭორფლი ეყრება სახეზე. ასეთ შავთმიან ტიპებს თავი არასდროს არ უმელოტდებათ. ამას წყალი არ გაუვა. სპორტულ მამაკაცს ვერ დაარქმევ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭკუა და გონება არ აკლია, იქნებ სწორედ იმით იზიდავს ქალებს, რომ რაღაც უჭირს, სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ასე არ იქნება. ერთი სიტყვით, ინტელიგენტია და დიდად განათლებულიც. ლილასთან ხელიხელგაყრილი რომ მიდის, ჭაბუკური მიხრა-მოხრა აქვს. თავზე ბერეტი ახურავს. ყოველ შემთხვევაში, სვობოდაზე ახალგაზრდა და განათლებული რომ იქნება, ამას წყალი არ გაუვა. მზარეულობა არ ეხერხება. შტეფსელი რომ გაუფუჭდეს, ხელს ვერ გაანძრევს. მოკლედ, არც ხელოსნობა ეხერხება. ლილას მისი არ ეშინია. ერთი შვიდი ენა მაინც ეცოდინება, ბერძნულით დაწყებული და თანამედროვე ენებით დამთავრებული. საბანაო კოსტიუმში ცვილივით ყვითელი გამოჩნდება, მაგრამ მამაკაცური არ არისო, ვერ იტყვით, ყოველ შემთხვევაში ტანზე შავი ბალანი ექნება. ყოველგვარ სიტუაციაში ხუმრობს. ამბების თხრობა არ ეხერხება, თუმცა ენამახვილობა არ აკლია. საწოლში ფრანგული ფილმების ყაიდაზე იქცევა. პოლიტიკურად როგორიღაა? ალბათ ნახევრად მემარცხენე იქნება. როცა ლილა კორბუზიეს სტილის სათვალეს ჩამოხსნის, რბილნაკვთებიანი, მაგრამ მაინც გამხდარი სახე გამოუჩნდება. არ სვამს. გიგანტი არ არის, მაგრამ არც უსუსურია, ლილას ჩემოდნებს ეზიდება, თუმცა ლილას სიმაღლით ვერ სჯობნის. არ ცეკვავს. ლილა რამ მოხიბლა, რა თქმა უნდა, თვითონაც არ ეცოდინება და ამის კითხვა არც ღირდა... უბრალოდ, მოსწონს ეს ტიპი. არაჩეხური ტიპი. ოდესმე ასეც უნდა მომხდარიყო. შავთმიანი, რომანული, ტორეორო, კოხტა და ფართოთვალება, ეს ის ტიპია, სვობოდას ვითომ ხუმრობით ოდითგანვე სახიფათოდ რომ მიაჩნდა, შავთმიანი, ჩიტის სახიანი, შავი თმა მხოლოდ თავზე კი არა, ფეხებზეც რომა აქვს ამოსული...

სვობოდას მოლოდინს გავუცრუებ!

ლილას რომ ვეკითხები, სვობოდა როგორ მოიქცა-მეთქი, არაფერს მეუბნება. ასეა თუ ისე, სვობოდა მისთვის აღარ არსებობს და ამიერიდან მის საქციელსაც არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. ამაზე ნურც შენ შეიწუხებ თავსო, როგორც უნდა, ისე მოიქცესო...

მე ვხედავ უამრავ ვარიანტს:

სვობოდა თავისი მანქანით ხეს შეეჯახება.

ანდა:

სვობოდა დიდსულოვნად იქცევა. მას დროის იმედი აქვს, რომელიც ყოველთვის სიყვარულის მტერია, ესე იგი, ჩვენი მტერია. ზოგჯერ იგი სვამს, როცა ჩვენ მისი დიდსულოვნების ხარჯზე ცოტა ხნით სადმე მივემგზავრებით ხოლმე. როცა ფხიზელია, ყოველგვარ ატავისტურ გრძნობას იხშობს. ჯიბრის გამო არ მისჯაჭვია ამ ბოლო დროს სახლს. ლილას ზოგჯერ მძინარე ხვდება, ან სძინავს ან თავს იმძინარებს. შემდეგ ისევ სმას მიჰყოფს ხელს, სმა კი მის თირკმელებს არ უხდება. ლილას ამაში ბრალი არ მიუძღვის და მან იცის ეს. ერთადერთი, რასაც იგი ყურს უყრუებს, ეს გახლავთ ლილას წუხილი მისი თირკმელების გამო. გადაწყვეტილების მიღებას არ ეშურება. ეს ცხოვრება რაც არის, კარგად იცის. იგი იცდის. ასე გადის სამი თვე, ნახევარი წელიწადი. იგი ისე თავაზიანად იქცევა, როგორც ლილას უნდა და ლილაც პატივს სცემს. მხოლოდ ხანდახან იჩენს ხოლმე ხიფათი თავს, გული არ გაუცივდეს ლილაზე. თავისთავად გასაგებია, ჩემი და ლილას ბედნიერება ხანდახან მერყეობს, სვობოდაც, რა თქმა უნდა, ამჩნევს ამას, რადგან ეს მერყეობა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვლინდება — ლილა ხან ღიღინებს, ხან კი სახეგაქვავებული დაბორიალებს მათ საერთო სახლში, ამ დროს გული არ უძლებს, ლილას არ უთანაგრძნოს და ეს თანაგრძნობა სიყვარულს აგონებს. ასე გრძელდება ერთ წელიწადს. სვობოდამ საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ არ არსებობს ქვეყანაზე ადამიანი, ურომლისოდაც ამქვეყნად არ გაიძლებოდეს. და ამიტომ ყოველ წუთს აჩვენებს ლილას, უშენოდ სიცოცხლე შემიძლია, მაგრამ ამას არ ვშვრებიო. იგი მიეჩვია თავის დიდსულოვნებას. თავს არ აბეზრებს ლილას საერთო გეგმებით, იცდის მხოლოდ. რას უცდის? ლილა ბედნიერია და არავითარი ცვლილებისაკენ არ მიიღტვის. იგი, როგორც ვთქვით, სვობოდას ახლა უფრო მეტ პატივს სცემს, ეიდრე ოდესმე. პატივს სცემს მისი დიდსულოვნებისათვის. მაგრამ, ბუნებრივია, იგი ასეც დაკარგავს ლილას...

ანდა:

სვობოდა (იმ სულელური ღამის შემდეგ, როცა ვისკის ჭიქები ჩალეწა ბუხარში და კიდევ ერთი კვირა დაუნდობელ, მაგრამ უსარგებლო საუბრებს რომ შეალია) ნავსაყუდელად ღამის კლუბებს ირჩევს. იგი ცეკვავს. დადარდიანებულია, მაგრამ მაინც ცეკვავს. დადის საცურაო აუზში. იქ ბუზებივით ირევიან ქალები და გოგონები, ისინი მშვენივრად გასწევდნენ ლილას მაგივრობას, სვობოდა რომ მხოლოდ ქალს ხედავდეს ლილაში და თან გამუდმებით მასზე არ ფიქრობდეს. იგი ხან ტარზანივით ცურავს, ხან კი უსაქმოდ დგას, დინჯი შემოუყრია და აქეთ-იქით იყურება ეს ზორბა, მხარბეჭიანი კაცი. ერთი ბიკინიანი მანდილოსნის ბავშვს დედასთან დაახლოების მიზნით ბურთს ეთამაშება, მაგრამ საქმე ბავშვთან ბურთის თამაშის იქით არ მიდის. ყიდულობს ღია მანქანას, ყოველთვის მზად არის „ავტოსტოპისათვის", მაგრამ მეტწილად ბიჭები ემგზავრებიან, ერთხელ ორი გოგონა ჩაისვა, მაგრამ ისინი უცნობ ენაზე ლაპარაკობდნენ და ენის მოტეხის მეტი არაფერი გამოუვიდა. არც ერთ ვერნისაჟს არ აკლდება და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ ახალგაზრდა ფოტოგრაფი ქალი შინ არ მიაცილოს მანქანით: ცდილობს შეიყვაროს ვინმე, ვინძლო ბედნიერების წონასწორობა თუ არა, ეჭვიანობის წონასწორობა მაინც აღიდგინოს. თითქოს ლილას ახლა ეჭვიანობისათვის ეცა-

ლოს! იგი ხედავს მათ ბაგეებს, მაგრამ ვერავის იყვარებს. ქალები გეშს იღებენ, რომ სვობოდას ახლა ავადმყოფი მხეცის სუნი ასდის და ბუნება მის წინააღმდეგ მხედრდება. ასეა თუ ისე, მაინც შთააგონებს საკუთარ თავს, მეც ჩემი გზით მივდივარო და ყოველმხრივ ამჟღავნებს ამას. მაგრამ ლილა ცნობისმოყვარე არ არის. არც უტიფარია, რომ აშკარად აგრძნობინოს, შენი გზაკვალი არ მაინტერესებსო, მაგრამ სინამდვილეში არც მისი ღალატი აინტერესებს და არც მისი ერთგულება. ასე იქნება თუ ისე, სვობოდა მაინც დაკარგავს ლილას...

ანდა:

სვობოდა იმაზე უფრო სერიოზულად არ ეკიდება ამ ამბავს, ვიდრე ეს საქმით დაკავებულ კაცს შეჰფერის. მას სხვა საზრუნავი აქვს. ერთ წუთზე მეტს არასდროს არ ფიქრობს ამაზე. კარგი, ასე იყოს, ხდება ხოლმე, ჩვეულებრივი ამბავია, სქესს თავისი გააქვს. იმ ორის ურთიერთობის ამბავს გულთან ახლოს არ იკარებს და დარდით თავს არ იკლავს. სქესს თავისი გააქვს. მხოლოდ ის აცინებს, ლილა თუ უფრო მეტს ხედავს ამაში, რა გაეწყობა, მისი ნებაა. მაგრამ ლილა ქალია და ამ ამბავს გაცილებით სერიოზულად ეკიდება, ვიდრე მას ჰგონია. ჩემზე იქნებ სწორადაც მსჯელობდეს, მაგრამ ლილას სწორედ იმით კარგავს, ნაადრევად რომ განსჭვრიტა მისი სიბრმავე...

ანდა:

სვობოდა სალამანკაშია და პლაცა მაიორზე ფეხსაცმელს აწმენდინებს, ტურისტები ხომ იმისთვის არსებობენ ამ ქვეყანაზე, რომ ფეხსაცმლის მწმენდავებს საქმე გაუჩინონ. ისინი უკვე სამი დღეა იცნობენ მას, საათობით ზის ხოლმე ერთსა და იმავე მაგიდასთან და ხანგამოშვებით საათს დასცქერის, არავის არ ელოდება და მაინც იცდის, არც გაზეთს კითხულობს, არც სახელგანთქმული არქიტექტურა სტაცებს თვალს, დასცქერის საათს და მაგიდაზე მონეტას უკაკუნებს, დანახარჯს იხდის, დგება და რაც შეიძლება ნელა მიდის ფოსტამტისაკენ, მიდის დილით, შუადღისას, საღამოს, ბრუნდება უკან და კვლავ მაგიდასთან ჯდება, უკვეთავს ხერესს, აბოლებს და ფეხსაცმელს აწმენდინებს, გინდ სალამანკაში ყოფილა და გინდა სხვაგან სადმე, მაინც ვერაფერს ხედავს, წერილები გინდა არლიში დაუწერია და გინდა აგრიჯენტში. ყოველთვის ერთსა და იმავე სარკმელთან მიდის, პასპორტს წარმოადგენს (რაც საჭირო აღარ არის, მას უკვე იცნობენ და სჯერათ, რომ იგი სვობოდაა) და ამაოდ კითხულობს, ჩემს სახელზე წერილი ხომ არ მოსულაო. ლილამ იცის, რომ იგი ან სალამანკაშია ან სიენაში ან სადმე სხვაგან და მართლაც არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, ფოსტის გაღებამდე დროის გასაყვანად სად გააწმენდინებს სვობოდა თავის ფეხსაცმელებს. ეს ბრინდიზიშიც შეიძლება იყოს (რაც მართლაც აუტანელი იქნებოდა: ბრინდიზიში ჩამოდიან გემში ჩასასხდომად, აქ თავისი ნებით არავინ რჩება ხოლმე) და კადისშიც...

აი, რას ხედავს სვობოდა:

გზებს, შავს, რუხს, თეთრს, ყვითელს, ასფალტს ან ბეტონს, გახურებულ, მირაჟებიან ასფალტს, კილომეტრების მაჩვენებელ ბოძკინტებს, ჩრდილებით აჭრელებულ ხეივნებს, სახედარშებმულ ორთვალებს, ფისით სავსე კასრებს, გარეუბნებს, ნავსადგურში ღუზაჩაშვებულ ხომალდებს, ხალხს, შუქნიშნებს, სიღატაკეს, რკინიგზის მიწაყრილებს, საბარგო მატარებლის ბორბლებს შორის მოლივლივე ზღვას, მიხვეულ-მოხვეულ სანაპირო ზოლს, გზა ზოგან ლა-

რიგითაა გაჭიმული, მერე უეცრად მარჯვნივ მოუხვევს, მერე მარცხნივ, ისევ მარჯვნივ და ასე შემდეგ, მეორე სიჩქარე, მესამე სიჩქარე, მეორე სიჩქარე, ავტობუსები შენს უკან, საბარგო მანქანების მტვერი შენს უკან, ვიადუკები, ზღვა, კაქტუსები, ზღვა, ნარშავი, ზღვა, ხიდები, სოფლები, რომლებიც კვლავ და კვლავ გვხვდებიან, პატარა ქალაქები, ძეგლებით დამშვენებული მოედნები, ბინდბუნდში მორიალე ციცინათელები, ფარების შუქით განათებული ხეები, ფარების შუქით განათებული ბოძკინტები, ჯერ თეთრხარებშებმული ურემი გამოჩნდება უეცრად, მერე ფარების შუქით განათებული ლაქაშები, წყვდიადივით გაწოლილი ზღვა, უკანა მაშუქები, ფარების შუქზე აელვარებული მწვანე თვალების ზღვად ქცეული ცხვრის ფარა, საჭეს ჩაფრენილი ხელები, მთვარის შუქზე ალაპლაპებული ასფალტი, ზღვაზე გადმომდგარი მთვარე, ფარების შუქით განათებული ბოძკინტები, გზა, საჭეს ჩაფრენილი ხელები, გზა და ასე შემდეგ.

აი, რას ვერ ხედავს სვობოდა:

მის სახეს.

ერთხელ (შემეძლო ესეც წარმომედგინა) შუა გზაში უსკდება საბურავი, შუადღეა, ამ პაპანაქება სიცხეში ბორბლის გამოცვლაღა აკლდა. მშვენიერად ესმის, რომ ლილა აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ჯავრს მაინც ლილაზე იყრის, თან ხელსაწყოებს იღებს, მანქანას დომკრატს უყენებს და ისე მოსდის გული, თითქოს ლილა აბნევდეს გზაზე ამოდენა ლურსმნებს. განა სასაცილო არ არის? დიახ, მშვენივრად იცის, რომ ესეც სასაცილოა და მთელი ეს მოგზაურობაც...

სამი კვირით მივემგზავრები, რომ თქვენ დრო მოგცეთო! ეს უბრალოდ ითქმის ასე. რატომ მაინცდამაინც სამი კვირით? მის ჟესტს (მას შემდეგ, რაც ღამით ჭიქები დაამსხვრია) არ აკლდა საღი და ამდენად დამაჯერებელი დიდებულება, მაგრამ სამი კვირა ძალიან დიდი დროა. რომ თქვენ დრო მოგცეთო! ლილას იგი არ შეუგულიანებია, მაგრამ არც შეუჩერებია. ცოტა არ იყოს უკვირდა, სვობოდა ასე სერიოზულად, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ლილაზე უფრო სერიოზულად რომ ეკიდებოდა ამ ამბავს და თან ისიც ეწყინა, ერთად დასვენებისათვის სვობოდას არასოდეს რომ არ გამოუძებნია ამდენი დრო. სამი ან ოთხი კვირით მივდიეარო, უთხრა ლილას, შემდეგ უფრო კარგად განვსჯით როგორ მოვიქცეთო, დასძინა და შუბლზე აკოცა, ლილას არც მისი გამგზავრება სჭირდებოდა და სამაგიერო ამბორისთვისაც უფრო გონიერი შუბლი ერჩია. განზრახვა მოუწონა, მუშაობით შენსავით გადაღლილ კაცს მკურნალობა ნამდვილად სჭირდებაო, მაგრამ კადისი რატომ აირჩიეო? მეგონა ბოლცანოში ან ენგადინში წახვიდოდი, ამ სიშორეზე რა გინდაო? სიტყვა სიტყვაა, ვაჟკაცი კაცი სიტყვას არ გასტეხს და აი, კადისამდე (ან ბრინდიზიმდე) 110 კილომეტრია დარჩენილი, გათხუპნული და გაოფლილი სვობოდა კი შუადღის პაპანაქებაში მზის გულზე დგას, ხელსაწყოებსა და გამსკდარ საბურავს საბარგულში ყრის და უკან არ ბრუნდება, თუმცა მშვენივრად ხედავს, რომ სწორედ ამ ადგილზე ყოველგვარი მანევრირების გარეშე შეიძლებოდა მანქანის შემობრუნება, იქნებ კადისში (ან ბრინდიზიში) წერილი ელოდება...

რას ელის სვობოდა?

ამ ამბისადმი მისი დამოკიდებულება თვით ამბავზე უფრო სერიოზულია. მისი გამგზავრება, უპირველეს ყოვლისა კი მისი უსაყვედურო წერილები, რომელთაც არც ღირსება აკლიათ და არც გაბედულება, უფრო კი ამ წერილებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყენებული კეთილგონივრული აზრების კორიანტელი ლილას აიძულებს სერიოზულად მოეკიდოს ამ ამბავს და აუცილებლად მიიღოს გადაწყვეტილება, რაც ასე თუ ისე მაინც ნაჩქარევი აღმოჩნდება.

დეპეშა:

წერილს მიიღებ ზეგ წრტ შენი ლილა

სვობოდა ფეხსაცმელს აწმენდინებს.

კადისში ნამყოფი ვარ, ოღონდ მაშინ მარტო არ ვიყავი, შორიდან ქალაქი თეთრი ნიჟარებისაგან ნაგებ ოცნებას ჰგავს, მაგრამ როგორც კი შეხვალ შიგ, იმედს გაგიცრუებს. სანაპირო უდაბურია, თან ქვაღორღიანი, საშმელზე გული არ მიგივა, თუ მარტო ხარ, მხოლოდ ხერესი თუ გაგახალისებს...

სვობოდობას არ ვისურვებდი.

სვობოდა რწმუნდება, რომ ძალა არ შესწევს განაზოგადოს თავისი უბედურება და ხერესს ეწაფება, ხერესი კი გრძნობებს გაუცნობიერებლად აძლევს გასაქანს, ესე იგი ათრობს და აბრუებს...

მეორე დეპეშა:

წერილს ვაგზავნი ბარსელონაში წრტ როცა წაიკითხო ფრთხილად იარე წრტ გთხოვ დროზე მაცნობო როდის ჩამოდიხარ წრტ ლილა

სვობოდა ნეაპოლიტანელივით მიაქროლებს მანქანას. ბარსელონაში კვირას ჩასულს წერილი ფოსტაში ხვდება, მაგრამ მხოლოდ ორშაბათს აძლევენ. ლილას წერილს, მისი წერილისა არ იყოს, არც ღირსება აკლია, არც შეხედულებათა სითამამე და არც საღი განსჯა (ალბათ სვობოდას უკვე მტრობად ეჩვენება, ქალი რომ საღად აზროვნებს). წერილი ჭკვიანურია, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არა ჩანს, თუმცა ესეც კმარა, რომ სვობოდას მუხლები მოეკეცოს და ჩაჯდეს: მაშ აქამდე მისულა საქმე! ვრცელი წერილი უკვე გადაიკითხა, ახლა ჩიბუხს ტენის, მაგრამ კვლავ ფოსტამტის ჰოლში ზის. თავისი უღროო დროს წამოწყებული მოგზაურობით და უპირველეს ყოვლისა წერილებით, სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას რომ მოითხოვდა, არ უნდა ეფიქრა, რომ შეიძლებოდა მიეღოთ მისი გამოწვევა? თუმცა ჩიბუხს ისე აბოლებს, თითქოს ფარ-ხმალი არ ჰქონდეს დაყრილი, თითქოს ასეც მოელოდა, ზის და ისევე იღვრება ოფლად, როგორც შუადღისას იმ ბორბლის გამოცვლაზე გადასდიოდა ხვითქი — მაშ ლილა სერიოზულად ფიქრობს სვობოდასთან იცხოვროს, იმ ბატონ ენდერლინთან თუ მარტო. როგორც ვთქვით, გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. მგონი ლილა გრძნობს, რომ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას სვობოდა აიძულებს და არა ის კაცი. სთხოვს, მოითმინეო, თან ეტყობა, ეშვიც არ ეპარება, რომ ის ბატონი, გვარად ენდერლინი (სახელს არა წერს. რა სვობოდას საქმეა, რა ჰქვია ენდერლინს) არაფერს არ დაიშურებს, ერთი წუთითაც არ შეყოყმანდება, ოღონდ კი ლილა ჰყავდეს გვერდით. ლილა ჭკვიანურად ასაბუთებს, რატომ არ შეუძლია სვობოდასთან ცხოვრება, მიზეზები ჭკვიანურია, თითქოს არც უსულგულო, მაგრამ იმდენად ჭკვიანურია, რომ სიყვარულით ვეღარ შეერკინები. მიზეზები სიტყვიერად პირველად გამოითქვა, თორემ აშკარად არ არის ახალი. მეორე მხრივ, არავითარი დასაბუთება არ სჭირდება იმას, ენდერლინთან რატომ გაეძლება, ასეა და მორჩა, არც მისი განდიდება სჭირდება და არც კარგად გაცნობა. ამიტომ იმ კაცის შესახებ, ვინც ენდერლინის გვარს ატარებს, ძალიან ძუნწ ცნობებს იძლევა: ასაკს, პროფესიას, ქვეშევრდომობას და იმ ფაქტს, რომ იგი მის სიყვარულს თანაუგრძ-

ნობს... სვობოდამ წერილი ერთხელ კიდევ გადაიკითხა და, როგორც იქნა, თავის გამტვერილ მანქანაში ჩაჯდა, გასაღები მოარგო, ნელა გათიშა გადაბმულობა, შემდეგ სანამ პირველ სიჩქარეს ჩართავდა, ძრავა აამუშავა, გამოცდაზე გასულ მოწაფესავით ყველაფერი ერთმანეთზე მიყოლებით გააკეთა, ოღონდ სამწუხაროდ, ხელის მუხრუჭის მოქაჩვა დაავიწყდა. სვობოდას გულზე მოეშვა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დაცემულიყოს, მაგრამ არაფერი დაშავებოდეს და ახლა ეგრძნოს შვება. განა მხნეობა არ გემატება, როცა გეჩვენება, რომ ცხოვრება წინ მიდის? ნიმში ანტიკური თეატრი დაათვალიერა, ეს იყო ერთადერთი, რაც ამ ხანგრძლივი მოგზაურობისას მართლა ნახა. ვიენში (ლიონის მახლობლად) მდიდრულ (სამვარსკვლავიან) რესტორანში ისადილა. პირველად იგრძნო, რომ უკვე გრძნობებით შეუზღუდავი გარეშე კაცივით სჭერეტდა მომავალს, უფრო სწორად მომავალს კი არა, იმ წარსულის დასასრულს, რომელსაც აწმყო აღარ დაუდგებოდა. ლილა მართალია. სვობოდა მიჰქრის, მარცხენა მკლავი ფანჯრიდან გადმოუკიდია და ქარი უგრილებს, საჭეს ცალი ხელით ატრიალებს, დამშვიდებულია. ლილა მართალია, თვითონ ახლა იმ გარეშე პირსა ჰგავს, რომელსაც არ უნდა ვინმესთვის რჩევის მიცემა, მაგრამ მაინც იძლევა რჩევას, იცის, რომ ამ წყვილს განშორების მეტი აღარაფერი უშველის და რაც უფრო ჩქარა გაშორდებიან ერთმანეთს, მით უკეთესი, მაშ, ნულარ აყოვნებთ. იგი უსტვენს. ახლა კაცობრიობის ბედზეც შეუძლია იფიქროს, მაშასადამე, დარდი აღარ აწუხებს, ყველაფერი ჩამოიცილა, რასაც პირად საქმეებს ეძახიან და ახლა შინისაკენ მიეშურება, ოღონდ საშუალოდ ასი კილომეტრის სიჩქარით მიდის, წარსულს არსად მიეჩქარება...

. წარმომიდგენია:

სვობს სამი კვირა ღია მანქანით მოგზაურობის წყალობით მზე მოჰკიდებია, ცოტა გამხდარა კიდეც, ყოველ შემთხვევაში სახე დასთხელებია და ისე გაახალგაზრდავებულა, რომ ლილა ძლივსღა სცნობს. სვობოდას გულში არავითარი ზრახვა არ უდევს, მაგრამ მაინც დამპყრობელია, იგი უცხოა და მხიარული, რაკი დასაკარგავი არაფერი აქვს, ამიტომ მიმზიდველიც. ლილა უკვე ერთი საათის შემდეგ მღალატობს და მანამდე ნეტარებს, სანამ სვობოდა არავითარ უფლებას, თვით სევდის უფლებასაც კი არ იჩემებს. ლილა მეორე დღესვე მხედება, ის ჩამოვიდა და ნულარ დამირეკავო, დიდხანს არ ჩერდება, დაბნეულია და სიტყვაძუნწი, სვობოდას კი ამ დროს დილის ხალათი აცვია, შინ თავის წერილებს ათვალიერებს და უსტვენს. დგება ნახევრად თაფლობის თვე, ნახევარი გრძნობის კი არა, ხანგრძლიობის თვალსაზრისით, ოღონდ ბედნიერების ხანა ვერაფერს აკლებს ბარსელონაში გამოგზავნილი წერილის განმაიარაღებელ გონივრულობას. შემდეგ სვობოდა ისევ ძველ კალაპოტში დგება, მოითხოვს პასუხს, როგორ მოვიქცეო.

წარმომიდგენია:

ცხოვრება გრძელდება, მაგრამ წინ არ მიდის და დგება კითხვა, თუნდაც უსიტყვო, ვინ არის ამაში დამნაშავე, სვობოდა, რომელსაც სახეზე მოლოდინი აღბეჭდვია, თუ ლილა, რომელიც სალონური ცხოვრების წესებს ეფარება.

— სვობ, — იცინის ლილა, — შენ ხომ არ გაძუნწდი?

— რა იყო?

— ღვინო გამოგველია.

— უკაცრავად, უკაცრავად, — ბოდიშობს იგი. ლილა მართალია, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებთან ერთად უგდებდა ყურს, როგორ ჰყვებოდა ლილა საბერძნეთში ნანახი გველის ამბავს. აგონდება: ბედნიერი დღე იყო ის დღე, სიყვარულის დღე. ამასთან ღვინოს მოწყურებულ სტუმრებს არაფერი ესაქმებათ და იქნებ ლილა სწორად იქცევა, სიმართლეს რომ მალავს. მაშინ რატომღა ჰყვება? ლილა მხოლოდ იმას ჰყვება, როგორ დაოსდნენ სიცხისაგან, საზიზღარი ღვინისა და მზით სიდამწვრის მეტი არაფერი რგებიათ, სიგარეტებსაც კი ვერ შოულობდნენ, საერთოდ ვერაფერს ვერ შოულობდნენ, და ამ დროს მათი საქორწინო მოგზაურობის მტვრიან გზაზე მანქანისგან თავგასრესილი გველი იკლაკნებოდა...

სვობოდა ბოთლს ხსნის.

ლილას ერთ-ერთ მეგობარს სცოდნია, რომ ლილას ჯერ კიდევ არ დაუწყვია ამ ზაფხულის გეგმები. საუბარში სხვათა შორის ირკვევა, შეიძლება ლილა კოპენჰაგენში წავიდესო. სვობოდას პირველად ესმის ეს. ეტყობა, სხვები მასზე უფრო უკეთ არიან ინფორმირებულნი. ოღონდ, იმავე მეგობრის სიტყვით, ლილას კოპენჰაგენში წასვლა თურმე ჯერ გადაწყვეტილი არ ყოფილა. შესაძლოა, ზღვაზეც წავიდნენ ლილა და სვობოდა, რომ სადმე აგარაკზე (ასე მოჰყავს ციტატა იმ მეგობარს, რადგან ლილას გამოთქმა სასაცილოდ ეჩვენება) — „family style"[1] დაისვენონო.

სვობოდა ღვინოს ასხამს.

ვილაც გაკვრით ახსენებს ენდერლინს, ხომ იცით, ჰარვარდშია მიწვეული, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო არ მიდისო...

და ასე შემდეგ!

სვობოდა სულ უფრო და უფრო მგრძნობიარე ხდება.

— ოხ, ეს კვამლი! — ეუბნება ლილა. — რატომ გიჭირავს ყოველთვის ჩიბუხი ისე, რომ სახეში შემომაბოლო?

ანდა:

— ნუთუ არ შეგიძლია ისე ატარო მანქანა, რომ შიშისაგან გული არ მისკდებოდეს? — ეუბნება იგი, — არ შეიძლება?

ანდა:

— სვობ, ამდენს ნუ ჭამ!

ანდა:

— სვობ, დახედე შენს ფრჩხილებს, რას გიგავს? ექვსი წელია გთხოვ...

ანდა:

— კიდევ აიღე ჩემი გასაღები?

— მე? — ეკითხება სვობოდა, —რატომ უნდა ამეღო?

— აბა რომ ვერ ვპოულობ?

გასაღები მოუძებნა.

— ბოდიშს გიხდი, — ეუბნება ლილა, — დამავიწყდა, სად დავდე. ყველაფერზე ხომ ვერ ვიფიქრებ, ბოდიშს გიხდი.

ანდა:

— უკაცრავად, — ეუბნება ლილა, — მე უკვე გითხარი დილა მშვიდობისა, მაგრამ შენ თუ არ გესმის...

ანდა:

---

[1] ოჯახურ სტილში (ინგლ.).

— სვობ, ხომ ყველაფერს ეკეთებ, რაც შენ გინდა.

და ასე შემდეგ.

თან ლილა მართლაც აკეთებს ყველაფერს, რაც სვობოდას უნდა, ასე განსაჯეთ, ზღვაზე საზაფხულო მოგზაურობაც კი არ ჩაეშლებათ...

რას გამოელის სვობოდა აქედან?

„Family style“:

პლაჟზე ვწევარ, უცხო გაზეთს ვკითხულობ, მარტოდმარტო ვარ უცხო ხალხში, ცხელი შუადღეა, პლაჟი საჩრდილობლებით მოფენილა, მარცხნივ რადიო დუდუნებს, მარჯვნივ წყვილი წევს, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან — რა თქმა უნდა, სხვა წყვილია, სვობი და ლილა არა! კაცი ცხელ ქვიშაში ზის და მხრებს მალამოთი იზელავს, ქალი კი საფენზე წევს პირქვე და ქმრისთვის ზურგი შეუქცევია. ზღვაში შეეედი და სხვათა შორის, კინაღამ დავიხრჩე. ჩემს ადგილზე რომ დავბრუნდი, ის დადუმებული წყვილი იქ აღარ დამიხვდა. ჩემს ახლოს მათი ჭრელა-ჭრელა ნივთები ეყარა მხოლოდ. ეტყობა, კაცმა მოახერხა ქალი ალეყოლიებინა. ახლა ისინი ბურთს თამაშობენ, ბურთი ძალიან მჩატეა, ქარი თავის ნებაზე დააფარფატებს და ჩემსკენ მოაგორებს. ბურთს უკან ვაბრუნებ. ქალი მადლობას მიხდის (იტალიურად). სახე ისეთი სანდომიანი და გამოცოცხლებული აქვს, რომ ძლივსღა ეცნობ. თვალი ზედ დაგრჩება, ისეთი ქალია. ყოველ შემთხვევაში, ამ წუთში მაინც უცხო თვალს რომ გრძნობს, მთლად გოგონას ემსგავსება. ჩემს დასანახად გაშლილ თმას უკან იყრის და ბურთისკენ იწვართება. აქამდე თუ მოუქნელად თამაშობდა, ახლა მის მარცხიან თამაშს გრაციოზულობა მაინც ეტყობა. იგი სულაც არ დაღლილა, მხოლოდ პარტნიორი არ უმართლებს, მართლაც რომ თვალწარმტაცი ქალია ანდა როგორც იტყვიან, სიკისკასის განსახიერება გახლავთ. პარტნიორი რომ უვარგოდეს! თუმცა კაცი ამ არლეკინის ბურთს ისე უმარჯვებს, რომ ქალმა შესძლოს დაჭერა, ისევე როგორც ჩემი მიწოდებული ბურთი დაიჭირა ცოტა ხნის წინ, მაგრამ ამაოდ — არაფერი გამოდის. ქალი უყურადღებოდ თამაშობს, მაინცდამაინც მაშინ იყრის უკან თავის მართლაც რომ თვალის დამატკბობელ თმას, როცა კაცი ბურთს ესვრის. მათდა სავალალოდ, ბურთი ზღვაში ვარდება. ის წყვილი თვალთვალით რომ არ შევაწუხო, პირდაპირ ვიხედები: ჰორიზონტზე შავი სატვირთო გემი სრჩოლავს, ზღვა ტყვიის ფურცელს ჰგავს, მზე თეთრად დასჩახჩახებს ჯანღიან ნაპირებს თავზე. ორივენი უსიტყვოდ უბრუნდებიან თავიანთ ადგილს და ვხედავ, რომ ქალი კოჭლობს. სახეზე აწერია, ფეხი რომ დაეშავე, მისი ბრალიაო. განა მან არ დააძალა ბურთის თამაში? ზურგზე ვწვები და თვალებს ვხუჭავ, მაგრამ მესმის:

— მტკივა, აბა რა!

ცოტა ხნის შემდეგ:

— რას ატრიალებ მაგ საჩრდილობელს?

— მზეს გიჩრდილავ.

— ბოდიში, მაგრამ მე ვიყინები, — ეუბნება ქალი.

— მე კი მეგონა, მზე გწვავდა.

ცოტა ხნის შემდეგ:

— ძვირფასო, — ეუბნება ქალი, — თუ ხათრი გაქვს, მომაწოდე მალამო და თუ არ შეწუხდები, ზურგიც დამიზილე. ოღონდ არ მატკინო, უხ, რა ტლანქი ხელები გაქვს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის შემდეგ:

— არ გეწყინოს და, კვამლს ისევ სახეში მაბოლებ, განუწყვეტლივ მაბოლებ, — ამბობს ქალი.

ცოტა ხნის შემდეგ:

— ძალიან გთხოვ, ცოტა ფრთხილად იყავი, — ეუბნება ქალი კაცს და რაკი იგი ვერ ხვდება, რა დააშავა, განაგრძობს, — წამდაუწუმ მაყრი ქვიშას.

როცა კაცმა დაუმტკიცა, რომ ქარის მეტი ვერავინ გაბედავდა მანდილოსანი შეეწუხებინა და თან შეეცადა ის ბოროტი ქვიშა ბეჭებიდან სულის შებერვით მოეცილებინა, ქალმა უთხრა:

— კარგი, მოეშვი, — მერე დასძინა: — ზღვაში რატომ არ შედიხარ?

როგორც გარეშე კაცი გამოიტანდა დასკვნებს, საუბრის ასეთი ნაგლეჯები რომ მოესმინა, სვობოდამაც ასევე იცის, რომ ლილამ და მან არამცთუ მიაღწიეს, არამედ გადააბიჯეს კიდეც იმ უხილავ წერტილს, the point of no return,[1] სადაც აუცილებელია ერთმანეთთან გამომშვიდობება და ახლა მხოლოდ იმაზეა საქმე, ვინ იკისრებს გამომშვიდობების მოწყობას ისე, რომ ეს წუთები არ ჩაშხამდეთ. ორივე მხარე დიდი გაბრაზების მიზეზს უდარაჯებს, რომ მოქმედებაზე გადავიდნენ. მათ იციან ეს. ის სიყვარული, რომელსაც უნდა გამოემშვიდობონ, ისე შემოლევიათ ხელში, რომ ორივენი ნათლად ჭვრეტენ ერთმანეთს.

ახალი ამბავი: სვობოდას სურს შეხვდეს ენდერლინს და ელაპარაკოს!.. არ ვიცი, თვითონ როგორ წარმოუდგენია ჩვენი შეხვედრა, მე კი, როცა ლილა ამას მატყობინებს, ტუჩებზე ვისვამ ხელს. რა გვაქვს სალაპარაკო? სვობოდა მთავაზობს ხუთშაბათს, პარასკევს ან შაბათს. რა თქმა უნდა, ლილას ხათრით უკან არ დავიხევ, მაგრამ ხუთშაბათი არაფრით არ გამოვა, ბოლოს და ბოლოს, სამსახური მაქვს და ეს ლილასაც კარგად ესმის. ლილა საერთოდ წინააღმდეგია ამ შეხვედრის და მეც ასევე მესმის მისი. არავითარი სურვილი არა აქვს სვობოდა და ენდერლინი გვერდიგვერდ იხილოს. მაინც რას გამოელის სვობოდა აქედან? აჩრდილთან ცხოვრება აღარ შემიძლიაო. ძალიან ვწუხვარ, რომ მეცინება. სამთავეს შეხვედრა უხერხულობას სულაც არ გამოიწვევს, გაჭირვებით კი გაგვიჭირდება და, რაც მთავარია, უმიზნო იქნება. სვობოდა მეცოდება. ცივი უარი რომ შევუთვალო, მგონი, ლილა მადლობელი დამრჩება. მაგრამ ასე არ ივარგებს, ეს თავის დაძვრენას დაემსგავსება. რა გაეწყობა, ასე იყოს! ოღონდ თითქოს ჯიბრზე გამახსენდა, რომ სამწუხაროდ, პარასკევსაც არ ხერხდება ჩვენი შეხვედრა. არა, ტყუილად არაფერს ვიმიზეზებ. მოკლედ, უარზე არა ვარ, თუ სვობოდამ მანამდე არ გადაიფიქრა, კეთილი და პატიოსანი. აპერიტივზე მოვალ. აბა მთელ ვახშამზე რა საჭიროა? ბევრი არაფერი მექნება სათქმელი. მე მისი ცოლი მიყვარს. რატომ იკატუნებს თავს, თითქოს ეს არ იცოდეს და მაინცდამაინც რატომ უნდა მე ვუთხრა? თვითონ რა ექნება სათქმელი, წარმომიდგენია, ოღონდ რაც უნდა ღირსეულად ეჭიროს თავი, რაც უნდა ამხანაგურად წარმართოს საუბარი, არაფერი ეშველება იმას, რომ მის ცოლს ახლა სხვა უყვარს. ასეა და რას იზამ. მე მგონი, აპერიტივი ნამდვილად საკმარისია. შეხვედრა რომელიმე ბარში მერჩივნა, მაგრამ მესმის:

[1] წერტილი, საიდანაც უკან მობრუნება აღარ შეიძლება (ინგლ.).

მე უნდა ვნახო სვობოდასა და ლილას სახლი, ვითომ ჯერ არ მენახოს, კეთილი და პატიოსანი. მაშ, შაბათს, ექვს საათზე მოვალ. სვობოდა ჩემთვის კარგად ნაცნობ შინაურ ბარში ვისკის მოგვიმზადებს, სურვილისამებრ — Whisky on the rocks [1] ან სოდიანს, თვითონ კი მინერალურ წყალს დალევს. ალბათ სვობოდა ვერ მიხვდება, რა ნახა ლილამ ჩემში...

ზღვა ძალიან არ ბობოქრობდა, მხოლოდ კაცის სიმაღლე ქაფიანი ტალღები ენარცხებოდა ზათქით ნაპირს და შხეფებს ისროდა. იმ ტალღებში ჩავყვინთე, ქვეშ გავუძვერი, ზათქი და გრუხუნი უკან მოვიტოვე და დიდ, სრიალა, აუქაფებელ ტალღებს ზემოდან მოვექეცი. ასეთ ტალღებში ცურვა ნეტარებაა. ტალღებთან ბრძოლა არ გვჭირდება, აყვები და დაყვები ტალღას. ხანდახან წამოიქოჩრება ჩქერები, მაგრამ თავზე არ გადაგივლის, ცურვა ადვილია, ტალღა ტალღას მოსდევს, ლუდის ბოთლივით მწვანე, მზის ათინათის შიშინა მაქმანით შემოქარგული. მარტო რომ არ ვყოფილიყავი, ყიჟინით ავიკლებდი იქაურობას. ტალღებს შუა ჩაზნექილი წყალი გლუვია, მელნისფერი და ზედ ქაფის მოთეთრო ხვეულები ეტყობა. ერთხელ წყალი გადავყლაპე. ჩემს მეტი არავინ ცურავდა, ჩემს უკან ტალღების ყრუ გუგუნი ისმოდა, ირგვლივ სიჩუმე იდგა, შუადღე იყო, მზე თვალისმომჭრელად ანათებდა, მაგრამ თითქოს იისფერ ღამეულ ცაზე იყო დაკიდებული. ხანდახან ტალღა მაღლა ამიყვანდა და მაშინ შორს, ჰორიზონტზე სატვირთო გემს ვხედავდი, უკან საკმაოდ ახლოს მოჩანდა ჭრელა-ჭრელა საჩრდილობლებით მოფენილი ბრტყელი ნაპირი, იქით ანძაზე ყვითელი დროშა ფრიალებდა ხმელეთისაკენ წაგორებული ტალღების თავზე, ტალღები შხეფებს ისროდნენ და ნაპირს ენარცხებოდნენ, უფრო შორს კი ხმელეთი მოჩანდა, ვარდისფერი დასდებოდა რძისფერ ნისლში გახვეულ მთებს... ნაპირისაკენ გავცურე, დაღლას სულ არ ვგრძნობდი, ნაპირამდე ოცდაათი მეტრი თუ მექნებოდა დარჩენილი და მეგონა უკვე მიწას დავადგამდი ფეხს, მაგრამ უეცრად ფეხქვეშ მიწა კი არა, ყავისფერი და შავი წყალმცენარეების ძენძი ვიგრძენი. იძულებული გავხდი ისევ გამეცურა, ტალღები თავზე გადამდიოდა, ტალღებს წინ კი არ მივყავდი, ქვეშ მიქცევდნენ, ტალღებს შუა მოქცეული მიწას ველარ ვაწვდენდი ფეხს, მთელი ძალით ვებრძოდი წყალს, უკუქცეული ტალღა უკანვე მითრევდა და წინ ველარ მივდიოდი. შიშისაგან სუნთქვა შემეკრა, მაგრამ ჯერ კიდევ არ მინდოდა ჩემი გასაჭირი დამეჯერებინა, არ მინდოდა ამ საჩრდილობლებით მოფენილი ნაპირიდან ოცდაათ მეტრზე საშველად მომეხმო ვინმე. ჩემს ძახილს მაინც ვერავინ გაიგონებდა. სული ძლივს მოვითქვი, რომ კვლავ ახალმა ტალღამ დამარტყა. ჯერ კიდევ ვებრძოდი წყალს, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი გათავდა, არც არაფერი მიკვირდა, ერთხელ ხომ უნდა მომხდარიყო ეს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც აქ, რატომ მაინცდამაინც ახლა, მაწუხებდა იმის შეგნება, რომ ყველაფერი გათავდა. მაწუხებდა რაღაც კომიკურის შეგრძნება და მეც ამ კომიკურსღა ვეურჩებოდი, სანამ გონება არ დავკარგე. მერე უეცრად ქვიშა ვიგრძენი... ნაპირისკენ ფეხებს ძლივს რომ მივათრევდი, მრცხვენოდა, თუმცა ვერავინ მხედავდა. ნაპირს რომ მივაღწიე, მაშინ სხვების დასანახად ვითომ ნიჟარებს დავუწყე ძებნა, რომ არავის შეემჩნია, რა გასავათებული ვიყავი. შემდეგ იძულებული გავხდი, მაინც დავმჯდარიყავი.

[1] გაუზავებელ ვისკის (ინგლ.).

ზღვისკენ პირშექცეულმა ტანი ზეთით დავიზილე. ჩახჩახებს მზე, ჰორიზონტზე სატვირთო გემი ხრჩოლავს, დგას ჩვეულებრივი ლურჯი შუადღე. შევეცადე მეფიქრა, რა იქნებოდა, ახლა რომ დავმხრჩვალიყავი-მეთქი, მაგრამ თავში არაფერი მომივიდა... ტანი გულმოდგინედ დავიზილე, დავიზილე მხრები და კანჭები, ბარძაყებიც, მკერდიც, შუბლიც, მკლავებიც, კანჭები ხელმეორედ დავიზილე. მარცხნივ რადიო დუდუნებდა, მარჯვნივ არლეკინის ბურთიანი იტალიელი წყვილი იწვა. წყვილს მოწყენილობა ჰკლავდა — „family style".

ამბავი კამილასათვის:

ადამიანზე, რომელიც სულ აპირებს ცხოვრების ახლებურად დაწყებას და, რა თქმა უნდა, ვერა და ვერ მოუხერხებია... ერთხელ ის კაცი ჩვეულებისამებრ, შინ მიფრინავდა. იგი გარეთ აღარ იხედება ხოლმე, როცა თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე დგას და აფრენის ნებართვას ელოდება. ახლაც სტარტისათვის აღარ მოუცდია, გაზეთი გაშალა და უეცრად თავისი მშობლიური ქალაქის დილის გაზეთში, რომელიც უცხო აეროპორტში იყიდა და, რა თქმა უნდა, ცოტა მოძველებული გახლდათ, შემთხვევით საკუთარი სიკვდილის განცხადება წაიკითხა. საკუთარი გარდაცვალების ამბავი მისთვის არავის შეუტყობინებია, არავინ იცოდა იმ დღეებში სად იყო იგი, ცოლმაც კი არ იცოდა. მიხვდა თუ არა, რა ეწერა იმ განცხადებაში, მაშინვე ილუმინატორს ეცა, მაგრამ თვითმფრინავიდან გადმოსვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო — ასაფრენი ბილიკი უკვე მიჰქროდა მათ ფეხქვეშ და თვითმფრინავიც ის იყო მიწას მოსწყდა. ჯერ კიდევ ხედავდა მდელოებს, კარ-მიდამოებს, გზებით დაქსელილ ფიქვნარს, გზაზე მიმავალ ფურგონს, მალე ლიანდაგებიანი სადგურიც გამოჩნდა, მაგრამ ზემოდან ყველაფერი უკვე სათამაშოებს ჰგავდა. შემდეგ ნისლი ჩამოწვა. ბედი მისი, რომ გვერდით არავინ ეჯდა, თორემ ვერც გაბედავდა ის დილის გაზეთი ერთხელ კიდევ გადაეშალა. შავ ჩარჩოში ჩასმული სახელი ხომ მისი იყო და მისი, ჭირისუფალთა სახელებიც რომ ემთხვეოდა? თავისი ამბავი თვითონ უკეთ არ იცოდა, მაგრამ ეტყობა, მაინც გაფითრდა. სტიუარდესამ ღიმილით ჰკითხა, ხომ ვერაფრით მოგეხმარებითო და მის თავს ზემოთ ვენტილატორის ხრახნი მოუშვა. სტიუარდესას ხილის წვენი მოატანინა. დილის გაზეთი გუშინწინდელი იყო. სამი სამგლოვიარო განცხადება ერთად მიეცათ, თითქოს უნდოდათ ყოველგვარი ეჭვი გამოერიცხათ: ერთი განცხადება ოჯახისა იყო, ერთი დაწესებულების გამგეობას გამოექვეყნებინა და ერთიც პროფკავშირებს. ღმერთს მხოლოდ ოჯახის განცხადებაში ახსენებდნენ, სამაგიეროდ, სიკვდილის მიზეზად ყველა განცხადებაში ტრაგიკული შემთხვევა იყო დასახელებული. ხილის წვენს სვამდა და განცხადებებს ისე კითხულობდა, მაგრამ რამდენჯერაც არ უნდა გადაეკითხა, მეტს დილის გაზეთიდან მაინც ვერაფერს შეიტყობდა. იქნებ, იმდღევანდელივით ვიღაც მაწანწალამ გაიტაცა მისი მანქანა, ბენზინმზიდს დაეჯახა და თვითონ ისე დანახშირდა, რომ ვერავინ ამოიცნო. დაკრძალვა დღეს არის. ესე იგი, თუ თვითმფრინავი არ დაიგვიანებდა, ამ კაცს შეეძლო საკუთარი დაკრძალვისათვის მიესწრო...

ასე ნელა არასოდეს უფრენია რეაქტიულ ლაინერს.

იქნებ იგი შეეცადა კიდეც გონების თვალით გადაეხედა თავისი მიწიერი ცხოვრებისათვის, როცა მზით განათებულ ღრუბლებს ზემოთ მიფრინავდნენ, მაგრამ ვერ შესძლო. ამ დროს მუდამ პირმომღიმარმა სტიუარდესამ ლანგარი

მოუტანა, მაგრამ მან უარის ნიშნად მხოლოდ თავი გააქნია. არც ჭამა შეეძლო და არც ფიქრი, მხოლოდ საათს დაჰყურებდა წამდაუწუმ — ამ დროს კი მისი ქვრივი ნამტირალევ სახეზე შავ პირბადეს იფარებდა...

როგორც იქნა დაიხრიალა რეპროდუქტორმა.

No smoking [1].

თვითმფრინავი ქარისაგან ისე ირყეოდა, რომ ფრთები უყანყალებდა, შემდეგ ერთი ოცი წუთის განმავლობაში მაინც იტრიალა ნისლში. თავის სიცოცხლეში პირველად შეეშინდა.

როგორც მოსალოდნელი იყო:

მისი მანქანა ადგილზე არ აღმოჩნდა. ავტოსადგომის დარაჯს ტალონი უჩვენა. მაგრამ დარაჯი რას უშველიდა. მან მხოლოდ ურჩია, პოლიციას მიმართეო...

იგი ტაქსში ჩაჯდა.

ბარგი არ გამოუტანია.

სასაფლაოზე პირველი მივიდა. შინ, რა თქმა უნდა, დაფრენისთანავე დარეკა, მაგრამ არავინ უპასუხა — მგლოვიარენი უკვე გზაში იყვნენ. სასაფლაოზე არავინ ჩანდა, მხოლოდ მებაღე ხვეტავდა ნეშომპალას. გვირგვინების ლენტები დაათვალიერა. წვიმიანი დღე იყო. ალბათ დანარჩენი ლენტები შენობაში იქნებოდა კუბოზე დაწყობილი, მაგრამ ლენტების დასათვალიერებლად კრემატორიუმში შესვლა ვერ გაბედა, შეეშინდა ვინმეს თვალში არ მოხვედროდა მისი თეთრი ლაბადა. ბუნებრივია, უნდოდა გაერკვია საქმის ვითარება, ეს მისი მოვალეობა გახლდათ. დარაჯს განსვენებულის გვარი რომ ჰკითხა, დაიბნა, ჩიბუხი პირიდან გამოიღო, მერე პირველი მანქანების დანახვაზე ხომ სულ მოუთავდა ხელი. ისე ამოეფარა რომელიღაც კვიპაროსს, თითქოს თავი ზედმეტად იგრძნოო. საგონებელში ჩავარდა: ყველას შავები ეცვა, დადუმებულნი ან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ნელ-ნელა ან თითო-თითოდ, ხალხი საკმაოდ ბევრი იყო, ზოგს სულ არ იცნობდა, ალბათ რომელიმე გილდიის ან ფირმის წარმომადგენლები თუ იყვნენ, აქაურობას მეზობლის ბავშვებიც არ აკლდნენ, დიდი ხნის უნახავი მეგობრებიც მოსულიყვნენ, ყველას შავები ეცვა, მხოლოდ მას ეცვა თეთრი ლაბადა, ჩიბუხი ხელში დაეკავებინა და კვიპაროსის უკან მიმალულიყო. ხელსაყრელი წუთი ხელიდან გაუშვა, რომ ხალხს დანახვებოდა. პროცესიას ბოლო არ უჩანდა, ზოგი შორიდანაც ჩამოსულიყო. კაცმა რომ თქვას, გულმოდგინე დამალვა არც სჭირდებოდა, ხრაშუნა ხრეშით მოფენილ გზაზე მიმავალნი ძირს იყურებოდნენ — ყველანი თვალდახრილნი მიაბიჯებდნენ, მგლოვიარენიც და ვითომ მგლოვიარენიც. ნაცნობები მხოლოდ ოდნავ უქნევდნენ თავს ერთმანეთს. არავინ არ ეწეოდა, რა თქმა უნდა, არა, და მანაც უნებურად ჩაიდო თავისი ჩამქრალი ჩიბუხი ჯიბეში. ეს როგორ მოუვიდა? ამ ჟესტით ხომ მანამდე აღიარა ეს ცერემონიალი, სანამ პირშებურვილი ქვრივი გამოჩნდებოდა, ახლა ისღა დარჩენოდა, უილაჯოდ მდგარიყო და ეყურებინა, რა მოხდებოდა შემდეგ. წელან წვიმით დალორთხილი სამგლოვიარო ლენტების კითხვისას გული აუჩუყდა, ახლა კი ამ გრძნობამ გაუარა და მთელ ამ ცერემონიალს შეთქმულებად აღიქვამდა. ქვრივს, როგორც მოსალოდნელი იყო, შავი პირბადე ეხურა, იგი მის ცოლისძმებს მოჰყავდათ ხელკავით, წელში გამართული ძმები მედიდურად მოაბიჯებდნენ და

[1] ნუ მოსწევთ (ინგლ.).

ქვრივს მოსამძიმრეთა სალმისგან იფარავდნენ, მის მაგიერ ხან იქით და ხან აქეთ იქნევდნენ დინჯად თავს. ხანდახან ხრეშიან გზაზე მანქანა თუ გაიშრიალებდა, რასაც კარის მოჯახუნების ხმა მოჰყვებოდა, ზოგჯერ კვიპაროსიდან ჩამოვარდნილი წვეთი დაეცემოდა წკაპუნით მიწაზე. ახლა ვინღა გაბედავდა თეთრი ლაბადით სამალავიდან გამოსვლას! ამ დროს ორღანის ხმაც გაისმა. სიმართლე თუ გნებავთ, ამ კაცს ისღა დარჩენოდა, პროცესიას კუდში მიჰყოლოდა, რაკი ცერემონიალის შეწყვეტა უკვე შეუძლებელი იყო. დიახ, კუდში მიჰყოლოდა და სამგლოვიარო სიტყვა მოესმინა. ეს ორნი გაუვიდოდა — კრემატორიუმში რომ დასხდებიან, ადამიანები თვალებს არ აცეცებენ და მიცვალებულს შეუძლია, თუ ჭკვიანად მოიქცევა, სავსებით მშვიდად იდგეს კარებთან. ცოტა ხანს კიდევ შეიცადა, რომ სულ ბოლოს მოსულნიც გაეტარებინა. ერთად თავმოყრილმა ამდენმა მანქანამ, ორღანმა, მთელმა ამ ორომტრიალმა, უფრო კი მაინც ორღანმა, მღელვარება მოჰგვარა. მომსვლელებს ბოლო აღარ უჩანდა, სინამდვილეში იმაზე მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე კრემატორიუმი დაიტევდა და ზოგი იძულებული გახდა ქუდმოხდილი კარებში გაჩერებულიყო, ზოგი სულ გარეთ დარჩა. მოკლედ, ხელი აქაც მოეცარა. ახლა კარებში ხალხი რომ მისწიმოსწიოს, ნამდვილად დაინახავენ. ორღანი ჩაჩუმდა, ახლა მხოლოდ კვიპაროსიდან ჩამოცვენილი წვეთების წკაპუნი ესმოდა, ჩიბუხი კვლავ პირში ედო, ოღონდ არ ეწეოდა. იდგა და ვერ მოესაზრებინა, მის დღეში ჩავარდნილი კაცი რა გზას უნდა დასდგომოდა, კინოში წასულიყო თუ შინ? ერთ-ერთ მძღოლს ჰკითხა, მგლოვიარენი დაკრძალვის შემდეგ საით აპირებენ წასვლასო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გზას ფეხით დაუდგა. კაცს უეცრად გაუჩნდა ამდენი დრო და ზანტად და არხეინად მიაბიჯებდა გზაზე, ამასობაში კი პასტორი, რომელიც მას არც კი იცნობდა, მის ბიოგრაფიას კითხულობდა. თეთრლაბადიანი კაცი... იგი ერთხელ შეჩერდა. შეჰყურებდა, ბალჩებშორის როგორ თამაშობდნენ ბიჭები ბურთს და ელოდა, როდის გადმოფრინდებოდა ბურთი მესერს გადმოღმა. ამაზე დიდი ცდუნება რაღა იქნებოდა, თავის დაკრძალვის დღეს ფეხბურთი რომ ეთამაშა? მაგრამ ბურთი მასთან არ მიგორებულა. კაცმა გზა განაგრძო და კონსერვის ცარიელ ქილას გაჰკრა ფეხი, ქილა ჯერ ფეხბურთის სათამაშო ბურთივით გაფრინდა, მერე ფერდობზე ჩარახრახდა, მგლოვიარენი კი ამ დროს თავჩაქინდრულნი იდგნენ, ორღანის ხმა გულზე სალბუნად ედებოდათ და მას იგონებდნენ. ერთი მხრივ უხაროდა, თავისი ბიოგრაფიის მოსმენამ რომ არ მოუწია, მეორე მხრივ კი გული მოსდიოდა, თვითონ ამ ამბის თაობაზე ხმის ამოღება რომ არ შეეძლო. იმ კაფეში შევიდა, სადაც მგლოვიარენი აპირებდნენ შეკრებას, ჯერ გრაპა დალია, გრაპას ლუდი დააყოლა, შემდეგ მეორე ჭიქა გრაპაც გადაჰკრა, ისე რომ ლაბადა არ გაუხდია. ეს რა საძაგელი ადგილია, ნამდვილი ჩვენებურ ყაიდაზე მოწყობილი კაფეაო, გაიფიქრა. საქელეხოდ ზემო სართული დაექირავებინათ. საკმაო დრო გავიდა, სანამ მის სახელს ამოფარებულ მაწანწალას აქცევდნენ ფერფლად. ერთი პირობა იფიქრა, ზევით ავალ და მგლოვიარეებს იქ დავხვდებიო, მაგრამ ქვრივის რიდით ესეც გადაიფიქრა. ქვრივს ამ უკანასკნელი სამი დღის მანძილზე გადატანილი უბედურებაც ეყოფოდა. გულახდილად რომ ვთქვათ, არც თვითონ იყო კარგ დღეში. მართლა ვერ მოესაზრებინა, რა გზას დასდგომოდა. იქნებ თავსაც საყვედურობდა, რომ მივფრინავდი, რატომ არაფერი ვთქვიო, და ერთი გრაპა კიდევ შეუკვეთა, მერე დღევანდელი გაზეთები

გადაათვალიერა, მაგრამ ნეკროლოგს ვეღარსად წააწყდა. ბოლოს და ბოლოს, გაზეთში ყოველდღე ახალ-ახალი მასალა ქვეყნდება. იმ ხალხისათვის ჯერ კიდევ მგლოვიარეები შეიძლებოდა გვეწოდებინა, ახლა ჯგუფ-ჯგუფად რომ ამოდიოდნენ კიბეზე. ზოგნი სამსახურებრივი ნიშნით დაჯგუფებულიყვნენ, ზოგს ერთმანეთთან ნათესაობა აკავშირებდა, ზოგნი სრულიად შემთხვევით მიჰყოლებოდნენ ერთმანეთს. მართალია, ცოტას ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათ ხმას უკვე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ტონი დაჰბრუნებოდა. ყველა ცდილობდა კარებში ჯერ სხვა გაეტარებინა. ამ ხალხში ორი ან სამი ნამდვილი მეგობარი უეჭველად ერია. იმათ მაინც სიამოვნებით ააცილებდა თავიდან ქელეხს, მით უმეტეს, რომ ეს საჩოთირო სიტუაცია მისი გულისთვის კი არა, მისი ოჯახის ხათრით უნდა აეტანათ. რატომ არ ჩამოდიან ქვევით! ეს ფიქრი გულს უკლავდა. კარგად რომ დათვრა, ავტომატთან მივიდა და რაღაც მყვირალა უხამსობა ჩართო. ცოტა ხნის შემდეგ ძირს კაფეს პატრონი ჩამოვიდა, სხვათა შორის, ისიც შავებში გახლდათ გამოწყობილი, და სავსებით გასაგები მიზეზის გამო უსაყვედურა, მაგრამ ავტომატი, სანამ სიმღერას არ ჩაათავებდა, აღარ გამოირთვებოდა და იძულებულნი გახდნენ ის უხამსობა ბოლომდე მოესმინათ. იოლად წარმოიდგინა, რა ხდებოდა ახლა ზემო სართულზე. იქ, ნალისებრი მაგიდის ირგვლივ დარბაისლური ატმოსფერო სუფევდა, ქვრივს პირბადე მოეხსნა, მაგრამ სახე ნამტირალევი ჰქონდა, უბრალო საუზმეს მიირთმევდნენ — შაშხსა და კლევნერ-ბეერლის — და განსვენებულს თვითეული თავისებურად ახსენებდა. ვიღაცას ნამდვილად დააკლდები, სხვას იმაზე უფრო ნაკლებად, ვიდრე თვითონ ჰგონია. ერთი ქალი, რომელიც ოცნებაშიც კი არ შეურიგდებოდა, ნამდვილად არ იყო იქ და ამ აზრმა შვება მოჰგვარა. საერთოდ, ზემოთ შეკრებილ საზოგადოებას ცოტა რამ აკავშირებდა მის ცხოვრებასთან, თავისუფლად შეეძლო გულგრილად მოჰკიდებოდა მათ, უფრო გულგრილად, ვიდრე ამის უფლება სიცოცხლეში გაქვს ხოლმე კაცს. მერე ტუალეტში დასჭირდა წასვლა. ტუალეტი ზემოთ იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, შესასვლელში არავინ შეხვედრია. აღებინა. მერე ვიღაც შემოვიდა, მაგრამ კარი უკვე ჩაკეტილი ჰქონდა. მგლოვიარე გავიდა. უეცრად ძალიან უბედურად იგრძნო თავი ჩაკეტილ კარს უკან მჯდომმა კაცმა, შეეშინდა, კარებს ვეღარ გავაღებო, მაგრამ არ უნდოდა ვინმესთვის საშველად მოეხმო. ახლა ალბათ დარბაზში უკვე სავსებით ბუნებრივად საუბრობენ, მხოლოდ ქვრივი სდუმს, რაც ყველასათვის გასაგებია, მაგრამ გუნება ყველას გამოკეთებული აქვს უკვე. უეცრად შემოსასვლელში ხმები გაიგონა, ორი კაცი ლაპარაკობდა პირსაბანთან, ლაპარაკობდნენ სამსახურებრივ საქმეებზე, რაც კარს უკან მჯდომ კაცსაც აინტერესებდა. მამაკაცები გულმოდგინედ იბანდნენ ხელს, მერე გულმოდგინედ იმშრალებდნენ, რომ იმ საქმეზე მეტხანს ელაპარაკათ, ბოლოს კარებთან შეჩერდნენ და ერთმა ანეგდოტი უამბო მეორეს, რა თქმა უნდა, მიცვალებულზე არა — სულ სხვა რამეზე... კაცს ანეგდოტი ესიამოვნა, თუმცა ეს ანეგდოტი უკვე იცოდა. ახლა კი შეეძლო დარბაზში შესულიყო. ცხოვრება გრძელდება. დარბაზში სწორედ შესაფერი გუნება-განწყობა იქნებოდა გამეფებული. მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ისეთი გასაცოდავებული იყო, რომ ქუჩაში ხეტიალის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქუჩაში კი გადაუღებლად წვიმდა.

მისი ბარგი ჯერ კიდევ აეროპორტში იყო.

არაფერი არ ამძიმებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაცდელ დარბაზში გამოიძინა, შუაღამისას გამოეღვიძა, სასმელი უკვე გამონელებოდა და კვლავ შემოაწვა ნაღველი. ანელი ასატანია მშობლიურ ქალაქში ცისქვეშ დარჩენა. შეეძლო სასტუმროში აბაზანიანი ოთახი დაექირავებინა. ბარგი არ ჰქონდა თან, თორემ ფულიც ჰქონდა და პასპორტიც, მაგრამ ამის გაფიქრებაზე ისე დაფრთხა, თითქოს ყოველ კარისკაცს ეცოდინებოდა, ვინ აქციეს დღეს ფერფლად. კინოს სეანსები ჩათავებული იყო. და აი, იჯდა პარკში მერხზე, წვიმაში, უქუდოდ, დაქანცული, გათოშილი, ნელ-ნელა ეძალებოდა სიხარული, რომ ცოცხალი იყო და უეცრად ზეიმი მოუნდა, დიახ, წრეგადასული ზეიმი. მაგრამ ვისთან ერთად? წვიმაში, მარტო, უქუდოდ დარჩენილმა მას შემდეგ, რაც ვიღაც ქუჩის ქალს თავაზიანად უთხრა უარი, აღმოაჩინა, რომ იმ მცირერიცხოვან ადამიანებს, რომლებიც დღეის შემდეგ კიდევ ჩაითვლებოდნენ მის მეგობრებად, დიდი ხანია თვითონ ეკიდებოდა უყურადღებოდ და განა ახლა შეიძლებოდა ნაშუაღამევს კუბოდან წამომდგარი აჩრდილივით წამოსდგომოდა თავზე? იქნებ რომელიმეს გახარებოდა კიდეც მისი სტუმრობა. მან სინანულით მოიგონა ისინი. მაგრამ სინანულს ჭერი არ ჰქონდა, რომ თავი შეეფარებინა, რაღაც აუცილებლად უნდა ეღონა. როცა, ბოლოს და ბოლოს, ტელეფონის ჯიხურში შევიდა და შინ დარეკა, ყურმილი არავინ აიღო. ალბათ ქვრივი თავის ძმებისას ათევდა ღამეს, ისინი კი სიძეს დიდად არაფრად აგდებდნენ. არც გაემტყუნებოდათ, ეს თეთრლაბადიანი კაცი, რომელიც ახლა სატელეფონო ჯიხურში იდგა, მათ ოჯახს არ შეეფერებოდა. ეს თვითონაც კარგად იცოდა. ძმებისთვის ყოველთვის გაუგებარი იყო დის არჩევანი. დის მწუხარება ორივეს გულს უკლავდა — ჭეშმარიტი ტკივილი ხომ მეტწილად დაკრძალვის შემდეგ მოდის ხოლმე — ძმები ალბათ არც ახლა ამბობდნენ იმას, რასაც მთელი ამ წლების განმავლობაში ფიქრობდნენ. ისინი მხოლოდ ანუგეშებდნენ უბედურ ქალს. საბედნიეროდ, ბავშვები არ ჰყოლიათ. ანუგეშებდნენ და კარგადაც უგებდნენ უბედურს. არ აჩუმებდნენ, როცა იგი გულამოსკვნილი ქვითინებდა და ერთი პორტუგალიელი მონაზონივით მიცვალებულს კი არა, თავის სიყვარულს დასტიროდა მწარედ...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ყურმილი არავის აუღია.

თეთრლაბადიანმა კაცმა, ბოლოს და ბოლოს, ყურმილი დაკიდა და ავტომატიდან გადმოვარდნილი მონეტა ჯიბეში ჩაიდო, შეამოწმა, სახლის გასაღები თანა მაქვს თუ არაო, ტაქსი დაიჭირა და შინ წავიდა. ეძინებოდა. ბინა ჩაბნელებული იყო. სინათლე აანთო და ერთხანს ასე იდგა... თვალწინ კომიკური სანახაობა გადაეშალა: მაგიდაზე შვიდი ფინჯანი იდგა, ეტყობა, ჭირისუფლები დაკრძალვის წინ ჩაით მოღონიერებულიყვნენ, ირგვლივ ყვავილები ეყარა, კოლოფში სამძიმრის ბარათები და შავარშიიანი წერილები ეწყო. თავი გვერდზე გადაიგდო და რამდენიმე ბარათი ზეზეურად წაიკითხა. ვიღაცას შავი შლაპა დარჩენოდა. სხვა ყველაფერი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მხოლოდ უჯრები იყო გამოღებული. ესეც გასაგებია: საბუთები დასჭირდებოდათ, ეტყობა, ანდერძს ეძებდნენ და უპოვიათ კიდეც, რომ შემდეგ მაინც მღვდელი ელაპარაკებინათ. კარგი, ასე იყოს. საძინებელ ოთახში შუქი აანთო: ფართო საწოლზე მისი შავი პირბადე აგდია. შუქი ჩააქრო. ერთადერთი ცოცხალი არსება მთელ სახლში თავის კალათაში ჩაძინებული კატა იყო. სამზარეულოშიც აანთო შუქი, კარადიდან ჭიქა გამოიღო და წყლით გაავსო, დალია, ერთხელ კიდევ გაავსო. შემდეგ კვლავ სასტუმრო ოთახში შემობრუნდა, ჭიქა ხელში ეჭირა,

ერთხელ კიდევ მოათვალიერა ოთახი, ლაბადა არ გაუხდია, მეორე ხელი შარვლის ჯიბეში ედო, რომ თავის საკუთარ ნივთებში არ ეფათურებინა, რომლებიც უჯრებიდან ამოეყარათ: ეს იყო წერილების შეკვრა, ქვითრები, ოდინდელი სპორტული სამკერდე ნიშანი, გადასახადის ქვითრები, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პოლისი, ფოტოსურათები, საპატიო სიგელი, ხარახურა. გულდაწყვეტილი უყურებდა თავისი წვისა და დაგვის ამ უტყვ მოწმეებს, ახლა რომ ასე უსარგებლონი ჩანდნენ. წყალი დალია. ამასობაში კატას გამოეღვიძა და ოთახში შემოვიდა. კატის ფაჩუნმა შეაშინა. შემდეგ გაეცინა, სამგლოვიარო სუფრიდან ბისკვიტი აიღო და კატას მისცა. ბინაში დიდხანს არ დარჩენილა, ასე ეგონა, აქ აღარაფერი ესაქმებოდა, ხელს ვერაფერს შეავლებდა. ოღონდ კალის თასში ჩაწყობილი ჩიბუხები რომ დაინახა, გულმა ვეღარ მოუთმინა და საუკეთესო ამოირჩია, სამაგიეროდ, ლაბადის ჯიბეში რომ ჰქონდა, ის ჩიბუხი ჩადო. ეს იყო და ეს. შემდეგ ერთხელ კიდევ მოავლო იქაურობას თვალი და შუქი ჩააქრო. კიბეებზე ხმაური მოეყურა და ერთხანს სულგანაბული იმალებოდა კედლის ნიშაში. კიბეზე მართლა ამოდიოდა ვიღაც! მაგრამ შემდეგ გაიგონა, როგორ გაიჭრიალა კარმა ქვედა სართულზე და სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს საყვარლისაგან მოდიოდა, ისე მოიპარებოდა კიბეზე, ყოველი ჩქამი აკრთობდა, როგორც იქნა, შეუმჩნეველად მიაღწია სადარბაზო კარს და ფრთხილად გამოაღო. წვიმას გადაეღო. ლაბადის საყელო წამოიწია, სახლის ფასადს თვალი ააყოლა და წავიდა... მხოლოდ სამზარეულოში დარჩენოდა სინათლე, სხვა კვალი არ დაუტოვებია. საწერ მაგიდაზე დატოვებული წყლით სავსე ჭიქა თვალში არავის მოხვედრია. მისი გასაღები საფოსტო ყუთში იდო და ეს აუხსნელი დარჩა...

სვობოდას მაინც ვერ ვეშვები.

(...იმიტომ, რომ უსამართლოდ მოვექეცი. არ შეიძლება ადამიანი მხოლოდ მეორესქესთან ურთიერთობაში წარმოადგინო, მამაკაცის ასე ცალმხრივად წარმოდგენა არ შეიძლება, ცხოვრების უმეტეს ნაწილს ჩვენ მუშაობაში ვატარებთ).

წარმომიდგენია:

სვობოდას თეთრი სამუშაო ხალათი აცვია. ორ მხაზველს ნამუშევარს უმოწმებს და სახეზე ვერც ერთი ვერ ატყობს ვერაფერს. სვობოდა ყოველ დილით ასეთია ხოლმე. ზის, ბალნიანი ხელები სახაზავი მაგიდის კიდეებზე დაუყრდნია და ჩაფიქრებულა, ორი ხელქვეითი კი მარცხნიდან და მარჯვნიდან ამოსდგომია და მის განაჩენს დაძაბულნი ელიან. ეტყობა, რაღაც არ მოეწონა. ალბათ პროპორცია. ჯერ თვითონაც ვერ მიმხვდარა, იღებს მასშტაბს, ზომავს, სდუმს, დაჰყურებს ნახაზს და ხვდება, რომ ასე არ ივარგებს. სამწუხაროა. სვობოდა არ გაბრაზებულა, ჩაფიქრდა მხოლოდ: საჭიროა იდეა, სხვა იდეა. ამგვარად, სვობოდა ჩაფიქრებულია, მაგრამ არავის საყვედურობს. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მისი საკუთარი იდეა იყო, რაც აქ ფაქიზად, მაგარი ფანქრით და მასშტაბის დაცვით არის ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად დაგეგმარებული. მაშასადამე, ასე არ ივარგებს. მაინც გარკვეულობა სჯობია — რაც არ გამოდის, თავს დაანებებ. აი, ეს არის სამუშაო, ეს მესმის. სვობოდა კვლავ სახაზავი მაგიდის კუთხეებს ეყრდნობა თავისი ბალნიანი ხელებით. სხვები, ასე ვთქვათ, კონვეიერზე მომუშავეებივით იდეას ელოდებიან, ის კი ფან-

ჯარაში იყურება და სწორედ ამ წუთში სულ სხვა რამეზე ფიქრობს — ფიქრობს ლილაზე და წუხანდელ ღამეზე, მაგრამ ფიქრებს დიდხანს არ მიჰყვება... აი, ეს ღია კონკურსზე გასატანი პროექტი უფრო საჩქაროა და იგი კალკის რულონს თხოულობს, რულონს დინჯად შლის, შემდეგ თხოულობს ფანქარს, რბილ ფანქარს, B-5-ს. ვინ იცის, იქნებ უეცრად სახაზავ ფანქარს დაებადოს იდეა. შემდეგ აუღელვებლად აფუჭებს კალკის მეორე ფურცელს, მესამეს, მეოთხეს. მზერა დაძაბული აქვს, მაგრამ თვითონ მღელვარება არ ეტყობა. რაღაც გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს. სვობოდა ომახიანი კაცი არ არის, მაგრამ კარგი სპეციალისტია, იცის თავისი საქმე და რაც ამ დილით (ვისკის ბოთლებით წუხანდელი ჯახჯუხის შემდეგ) ქაღალდზე გადააქვს, უკვე სჯობია წინანდელს, ყოველ შემთხვევაში, უფრო ნათელია და ცხადი. ორივე მხაზველს ისევ წაუწვდენია კისერი, ესკიზს კითხულობენ და კმაყოფილების ნიშნად თავს აქნევენ... ახლა სხვა საქმეებიც გამოუჩნდა, რეკავენ სამშენებლო ობიექტიდან, სვობოდა რაღაც საკითხს წყვეტს. ცოტა ხნის შემდეგ ისმის მისი სიცილი. შემდეგ სვობოდა რომელიღაც დაწესებულებაში მიდის, ხოლო მხაზველები წვერს უთლიან თავიანთ გრაფიტებს. ნაშუადღევს სვობოდას ისევ თეთრ სამუშაო ხალათში ვხედავ, ბალნიანი ხელები კვლავ სახაზავი მაგიდის კიდეებზე უწყვია: დილით რომ ესკიზი გააკეთა, ის მგონი მართლა აღმოჩენაა, თუმცა მოკრძალებულიო, ფიქრობს იგი, მოკრძალებული მასშტაბის თვალსაზრისითო. ასე რომ სვობოდა კვლავ შლის ჭრაჭუნა კალკას და ახლა იდეის ხორცშესხმა, თუ გნებავთ, მხოლოდ ზედმეტი სამუშაო საათების საქმეა. მდივანმა ქალმა უკვე მოახსენა ჩემი მოსვლა, ოთახში შევდივარ და პირველად მის მზემოკიდებულ მელოტ თავს ვხედავ, ვიცდი, სანამ მხაზველები კარგად გაერკვეოდნენ საქმის ვითარებაში, სანამ იგი ტრიალა სავარძელს შემოაბრუნებდეს, ადგებოდეს და რქის სათვალეს მოიხსნიდეს.

— ხელი ხომ არ შეგიშალე? — ვეკითხები მე.

იგი ხელებს იბანს, შემდეგ იმშრალებს, მთასავით კაცია, შესაცოდი არაფერი სჭირს. სწორედ კარგ დროს მოხვედიო, მეუბნება, თუმცა ეტყობა, რომ ფიქრით ისევ იმ კალკას დასტრიალებს, გულითადად მელაპარაკება და მე მჯერა მისი, რადგან იმწამსვე რომელიღაც მაკეტს მიჩვენებს — დილეტანტის აზრი აინტერესებს.

— უკაცრავად, — მეუბნება იგი.

მე ვხედავ:

სვობოდა ყურმილს მხრით იჭერს, უჯრიდან ფიქალების კატალოგს იღებს, ფურცლავს, თან ლაპარაკობს და მდივან ქალს სთხოვს, ხარჯთაღრიცხვა მომიტანეო. შუალედში მე მეკითხება:

— მოგწონს ანტიკური თეატრის ტიპის ღია სცენა?

— ისე რა, — ვეუბნები მე.

იქნებ სვობოდას მერე ვესაუბრო ამ საგანზე, როცა მეტი დრო ექნება, ვთქვათ, მანქანაში გავაგრძელოთ საუბარი. ახლა კი მისი მაკეტის წინ ჩავცუცქდი. მაკეტი ძალიან მომწონს. სამუშაო მაკეტია, ეს კიდევ შეიცვლებაო. ფიქალის თაობაზე გულის გამაწვრილებელი კამათი კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, დადო ყურმილი, კატალოგიც დახურა და მითხრა:

— აი, სისულელე თუ გინდა, ეს არის.

ვხედავ, როგორ იყურება სვობოდა მაჯის საათზე, თეთრ სამუშაო ხალათს

იხდის, შემდეგ პიჯაკს იღებს, ამჯერად ჩუმადაა. ეტყობა, ფიქალის საქმემ ნერვები მოუშალა.

— გმადლობ, — მეუბნება იგი, — მშვენივრად ვარ.

სანამ გარეთ გამოვიდოდეთ (მე უკვე კარის სახელურზე მიკიდია ხელი, მაგრამ არ ვჩქარობ), სვობოდა მეორე ოთახში შედის, იქ ყველას თეთრი ხალათები აცვია, ზოგი ზის, ზოგი ზეზეურად დახრილა რაისშინეზე ან შიმშაზე და თავიდანვე გარკვეულ საქმეზე მუშაობენ. ეს სახელოსნოც თოვლივით ქათქათებს. ერთ ხნიერ ტექნიკოსს, ეტყობა, მოუწევს მთელი პროექტის ფიქალზე გადაანგარიშება (როგორც ტელეფონით საუბრიდან შევიტყვე, საქმე გარაჟის მშენებლობას ეხება), დიახ, სამწუხაროდ, ასეა.

— შენ როგორა ხარ, — მეკითხება სვობოდა მანქანაში, — იერუსალიმში იყავი, არა? — აგონდება უცებ, — როგორ მოიარე?

მე ვხედავ:

სვობოდა საჭესთან ზის, ორივე ხელი ზემოდან უწყვია, როგორც გრძელ გზაზე მგზავრობისას დასვენების მიზნით იციან ხოლმე, ღამენათევი სახე აქვს, მაგრამ მაინც ფხიზლად გამოიყურება. მანქანა ჭკვიანურად დაჰყავს, შესაძლებლობა თუ მიეცემა, მაშინვე ისე გაუსწრებს სხვას, რომ ლაპარაკსაც არ შეწყვეტს, თუ გასწრება არ ხერხდება, მაშინ ნელა მიდის და არც ამაზე ნერვიულობს. ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს მანქანას ქუჩა მართავდეს, ის კი საუბრობდეს მხოლოდ.

ლილას არ ახსენებს.

მერე ვხედავ სამშენებლო ობიექტს და სვობოდას, რომელიც მოყანყალე ფიცრებზე დადის, ვხედავ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მიტოვებულ მშენებლობას, ჯერ კიდევ ხარაჩოებში ჩასმულ შენობას, ბეტონსარევი მანქანა სდუმს და წვეთავს, მის გვერდით პორტლანდცემენტის ტომრები აწყვია, აყვავებული ალუბლის ძირში სახელდახელო საპირფარეშო მოუწყვიათ, იქვე ხელურემი დგას, ფარდულზე სადენების ხლართს ქვეშ ქაღალდის პლაკატია გაკრული: სამშენებლო ობიექტზე გარეშე პირთა შემოსვლა სასტიკად აკრძალულია. სვობოდას პალტო აცვია. რასაც იგი სასტუმრო ოთახს უწოდებს, ის ბოძებისა და ძელების ჯუნგლებს წარმოადგენს, ამას შეფიცვრას ეძახიან, ჭერი დღეს დაუბეტონებიათ, ზედ ჯუთი აფენია, ზემოდან წყალი მოწვეთავს. ყველგან მასალა ყრია: ტოლის რულონები, ხელის შეხებაზე ზუმფარის ქაღალდს რომ მოგაგონებს, ბინძური წყლით სავსე კასრში ალუბლის ყვავილები ჩაცვენილა, ნიჩბები, ბალახზე მიყრილი არმატურა, ბალახგადავლილი ნაგვის ბორცვები, დაისივით მკრთალი ვარდისფერი აგურის შტაბელები. სვობოდამ ყვითელი დასაკეცი მეტრი ამოიღო. მაზუთით სავსე კასრი თავისი ორმოს თავთან დაყუდებულა და იცდის, ყველგან გუბეები დგას, ფიცრებზე მოჩანს დამღა: „სკოტონი და K°“, იქვე თოკებისგან გაკეთებული შვეულაჩამოკიდებული რაღაც ხელსაწყო დგას, მიწაზე ყრია წაბლისფრად მოლაპლაპე მილები, ვხედავ კანალიზაციას, დაცემენტებულ კოლექტორს, ზედ გადადებულ ოწინარიან ხარიხებს, არყის ხის ძირებში მიხვეტილი ხრეშის ბორცვები შემოუფიცრავთ, ბალახში ლუდის ბოთლები და ცემენტის ცარიელი ტომრები ყრია. სვობოდა, ეტყობა, კმაყოფილია.

— წავედით, არა? — მეუბნება სვობოდა.

შინ:

— რას დალევ, — მეკითხება იგი, ლილამ ყინული და წუხელ ბუხარში დამსხვრევას გადარჩენილი ჭიქები გამოიტანა, რაზეც სვობოდას მადლობა არ უთქვამს.

— აბა, შენი ღვიძლის პატრონი, რას დალევ?

— ვისკის.

— ხომ გეუბნებოდი, — ეუბნება იგი ლილას, — ესეც წყლის ნაყვად თვლის ანტიკური თეატრის ტიპის სცენაზე ყოველგვარ ლაპარაკს...

მაშ ეს ლილას აზრი ყოფილა.

მე იერუსალიმის ამბებს ვყვები...

ლილა მაინც მსახიობია!

მე რომ სვობოდა ვიყო:

გამოვიღებდი კარადიდან ჩემს შაშხანას, არმიულ შაშხანას, დავწვებოდი მუცელზე, შეიძლება ერთხელ კიდევ წამოვმდგარიყავი, რომ პიჯაკი გამეხადა, შემდეგ, სანამ ისევ დავწვებოდი მუცელზე, ჩიბუხს გამოვიღებდი პირიდან, შაშხანაში პირველ მჭიდეს ჩავდებდი და ცერს დავაჭერდი, როგორც მასწავლეს ისე, მერე საკეტს ჩავკეტავდი, ყველაფერს გავაკეთებდი მშვიდად და აუღელვებლად. შაშხანას ერთი წუთით ვდებ ძირს და შეიძლება გეგონოთ ვყოყმანობდე ან სულელური მეჩვენებოდეს ჩემი განზრახვა, ნურას უკაცრავად. შაშხანა მხოლოდ იმიტომ დავდე, რომ შარვალმა მომიჭირა, თან სათვალეც უნდა გავწმინდო, სანამ ჩახმახს ფეხზე შევაყენებდე და კონდახს ლოყაზე მიეიხუტებდე, შემდეგ უნდა დავუმიზნო, სავსებით მშვიდად უნდა დავუმიზნო, მაგალითად, ლუი მეთხუთმეტეს სტილის საათს. გახსოვს ის საათი? სამიზნესავით თეთრსა და მრგვალ ფაიფურის ციფერბლატზე ოქროსფერი ისრები აქვს. ტკაც! და საკეტს ვხსნი, რომ ცარიელი მასრა გადმოვარდეს, იმედია, მასრა ხალიჩას არ დაგვიწვავს, საკეტს ისევ ვკეტავ, მშვიდ და თანაბარ სუნთქვას დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა, მაგალითად, ვენეციურ სარკეს უმიზნებ. ჩახმახს ფეხზე ვაყენებ და სამიზნედან სარკეში ჩემივე თვალის ანარეკლს ვუსწორებ თვალს, შემდეგ ნელ-ნელა ვხრი საჩვენებელ თითს: ზრრ! ისევ ვხსნი საკეტს, ისევ ვკეტავ, როგორც ნასწავლი მაქვს, ოღონდ დამიზნებისას არ ვჩქაროობ — ამჯერად ალბათ Hi-Fi ფირმის რეპროდუქტორს დავუმიზნებ, ჯერ ისევ შუბერტს რომ გადმოსცემს (ტრიო № 1) და სანამ ჩახმახს არ გამოვკრავ, თვალსაც არ დავახამხამებ. ბაც! ჰალსტუხი მოვაბოშე, სანამ უფრო ფაქიზ ამოცანებზე გადავიდოდი, და შაშხანის ღვედი მარცხენა იდაყვზე დავიხვიე, რომ ხელი არ ამკანკალებოდა. აბა ახლა იმ ლურსმანს მოვახვედროთ, შენი პორტრეტი რომ ჰკიდია! ოთხი ვაზნა მივახარჯე, სანამ სურათი ქანაობას დაიწყებდა. მთვრალი ხომ არა ვარ? შაშხანა ხელახლა უნდა გავტენო, საკეტი უკან, მჭიდე შაშხანაში, საკეტი წინ, ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც გვასწავლეს, შაშხანა მხართან. წიგნებს რაღა ვუყო? ლოყაზე გრილი კონდახი მელამუნება, როცა მილერს ვუმიზნებ. ბუჰ! უკვე დიდი ხანია მესმის ქუჩიდან ძახილი, ხმები, მაგრამ მე ჩემს სახლში ვარ. საკეტს ვაღებ, საკეტს ვკეტავ, განვაგრძოთ! ქუჩაში ვიღაცეები ყვირიან, რა მათი საქმეა რა ხდება? მე კი ამასობაში უფრო წვრილ-წვრილ სამიზნეებს მივადექი, მაგალითად, „პორტუგალიელი მონაზვნის წერილებს". ამ წიგნს სამი ვაზნა მივახარჯე. მგონი, წიგნებზე ვაზნების ხარჯვა არა ღირს, ბარი უკეთესი სამიზნეა: ვისკი — პინგ, ჯინი — პინგ! ბოთლები კარგად წკრიალებენ და ყოველი ცხელი მასრის გა-

მოვარდნა მამხიარულებს. არ მესმის, რატომ რეკავს ტელეფონი. თვითონაც მიკვირს, მაგრამ ნამდვილად არავინ მენატრება. ტელეფონი რეკავს და რეკავს, სანამ იმასაც არ მოვუღე ბოლო: ტრახ! ახლა აღარ ვიცი, რას დავუმიზნო, შაშხანაში კიდევ ერთ, უკანასკნელის წინა მჭიდეს ვტენი, საკეტს ვკეტავ, კონდახს ლოყაზე ვიდებ. სიჩუმეა. არა, შენ ნამდვილად არ დამირეკავდი. აბა, საიდან მოგეპრიანებოდა? შენ ხომ ახლა სხვასთან წევხარ, მე კი ჩემი საქმე უნდა განვაგრძო. იქნებ ეს ვიღაც მესამე, ვინმე უდანაშაულო კაცი მირეკავდა შენი დავალებით, რომ შეეტყობინებინა (სასიამოვნო დავალება არ არის, მაგრამ რას არ იზამს კაცი შენი გულისთვის?), ლილას მატარებელმა გამოასწროო. მჯერა, მჯერა. შენი უჯრის საკეტს რაღა ვუყო? მაგრამ შენი საიდუმლოებანი დიდი ხანია მოძველდა. სამიზნედ ტყავის სავარძლები მირჩევნია. ბაც, ბუც! ეს კამეჩებზე უხეირო ნადირობას ჰგავს. შემდეგ ჩემდა სამარცხვინოდ ავაცილე პერუელი ინკების ნახელავ თიხის ძაღლს, ახლა ისევ უნდა გავტენო შაშხანა, და თან იმ ბრძოლის ველს ვუყურო, ჩვენი ბინა რომ ერქვა. ვისვრი, სანამ ვაზნები გამომელეოდეს, დიახ, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. უკან დასახევი გზა მოჭრილია. ნათურებს რომ დავუმიზნო, რა იქნება? ოთხ ნათურაზე ხუთი ვაზნა მეხარჯება და ახლა წყვდიადიდან თაბაშირი ცვივა. უკანასკნელი ვაზნა მთვარეს ერგო, რომელიც მყისვე შეეცადა გაეწია ნათურების მაგიერობა და ეგონა, ფანჯრის შუშის მიღმა ვერაფერს დამაკლებენო: ზრრ! ამ დროს კარებში პოლიციელი გამოჩნდა, ბედი მისი, რომ ვაზნა აღარ დამრჩა, მას ხელში უსირცხვილოდ მოკაშკაშე ჯიბის ფარანი უჭირავს და საბუთებს მთხოვს...

მაგრამ მე სვობოდა არ გახლავართ.

ვიქნები თუნდაც განტენბაინი.

კამილასათვის შეთხზულ ამბებს ერთ მშვენიერ დღეს ბოლო მოეღება. დღეს უკანასკნელად ვიკეთებ მანიკიურს.

— თქვენ და თქვენი ამბები!

იგი იცინის, ამ დროს სწორედ განტენბაინის მარცხენა ცერს ამუშავებს, იცინის მოკლედ, თავს არ იღებს და განტენბაინი მხოლოდ მის წყალბაღის ზეჟანგით გამოხუნებულ ქოჩორს ხედავს. სხვათა შორის, ეს ქოჩორი წყალბადის ზეჟანგით გამოხუნებული აღარ გახლავთ. ალბათ კარგა ხანია ასეა, მაგრამ ეტყობა, განტენბაინი ვეღარ ხედავს კამილას ისე, როგორც უნდა ხედავდეს.

— კამილა, — ვეკითხები მე, — რა მოგივიდათ?

კამილას ამბების მოსმენა აღარ სწყურია. ეტყობა, თვითონ მის თავს ხდება რაღაც ამბავი, ნამდვილი ამბავი.

— დიახ, თქვენ ახლა სხვა მემანიკიურე უნდა მოძებნოთ,—მეუბნება იგი და უკანასკნელად მიქლიბავს ცერზე ფრჩხილს, თავს არც ახლა იღებს და თითქოს სხვათა შორის დასძენს:

— ვთხოვდები.

ვულოცავ.

მის საქმროს, კბილის ექიმს, რომელიც განცხადების წყალობით იპოვა, აღარ უნდა. მისმა კამილამ მანიკიური აკეთოს. მაშასადამე, კვლავ ბოლო ეღება ქალის დამოუკიდებლობას.

— მე ავადმყოფების მიღებაში მივეხმარები, — ამბობს იგი და ამ სიტყვებს დაუფარავი სიამაყით წარმოთქვამს. — ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე შვილები გვეყოლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გინდათ შვილები იყოლიოთ?

მარჯვენა ხელის თითებსაც ვათვალიერებ და ვხვდები, რომ ეს ჩემი უკანასკნელი სტუმრობა ყოფილა კამილა ჰუბერთან. გული დამწყდა. კარგად მესმის იმ კბილის ექიმის, რომ აღარ უნდა კამილამ ისევ აკეთოს მანიკიური. ჩვენ ერთმანეთს ველარ ვნახავთ, ესეც მესმის, თორემ კბილის ექიმი რაღაც ცუდს იფიქრებს, ამას კი არც მე ვინდომებდი. ხელახლა ვულოცავ, მაგრამ გული მწყდება: კამილა და განტენბაინი დამეგობრდნენ და, როგორც ახლა გამოჩნდა, ნამდვილი მეგობრებიც ყოფილან.

— ბატონო განტენბაინ, — მეუბნება იგი.

— დიახ?

— თქვენ ბრმა არა ხართ.

არ ვეკითხები, როდის შემატყო ეს.

— მართალია, მერე რა? — ვეუბნები მე.

შავი ხელჯოხი ავიღე, დერეფანში ვდგავართ, კაცმა რომ თქვას, უკვე გამოვემშვიდობეთ კიდეც ერთმანეთს, ხელი კარის სახელურზე მიკიდია, მაგრამ კამილას სახეზე ვატყობ, კიდევ რაღაცის თქმა უნდა.

— ბატონო განტენბაინ, — ამბობს იგი.

მე ველოდები.

— მე არავის ვეტყვი, თქვენ რომ ბრმა არა ხართ, გქონდეთ ამის იმედი, ოღონდ ნურც თქვენ ეტყვით ნურავის, რაც აქ გინახავთ.

ეს არის ჩვენი ხელშეკრულება.

მხოლოდ ახლა შევამჩნიე და ცოტა არ იყოს შევშფოთდი კიდეც, რომ ლილას, როგორც არ უნდა წარმოვიდგინო იგი, არასოდეს არა ჰყავს ბავშვი. უბრალოდ, ამაზე არასოდეს მიფიქრია. ბავშვი, მაგრამ ვისგან?

წარმომიდგენია:

ნაშუაღამევს, იმ ბარში, უცხო კაცმა რომ ჰკითხა, შვილები თუ გყავთო, (იმასაც მართლა კი არ აინტერესებდა, ისე ჰკითხა, უბრალოდ, სანამ კიდევ ერთ ფსტას ჩაიდებდა პირში), ქალს დუმილით კი არ უპასუხია, ისიც კი უთხრა რამდენი წლის იყო მისი შვილი. ბავშვის არსებობა მას დაავიწყდა მხოლოდ, შავ კოსტიუმში გამოწყობილ უცხო კაცს დაავიწყდა ბავშვის არსებობა, როცა ოპერაში წასასვლელად გამოუარა და სასტუმრო ოთახში უცდიდა ქალს. იგი წიგნების თაროების წინ დგას, თავი გვერდზე გადაუგდია და სათაურებს კითხულობს, ხელები კი პიჯაკის ჯიბეებში უწყვია, რომ არაფერს შეეხოს. ნეტავ ამდენ ხანს რას აკეთებს ქალი, ქურქი ხომ კარგა ხანია ჩააცვა. მაგრამ იგი არც მოუთმენლობას ამჟღავნებს და არც უმკაყოფილების კვალი აჩნია. ალბათ გასაღები ვერ იპოვა. ამასობაში თვითონ ხვდება, რა მომგებიან მდგომარეობაშია მის ქმართან შედარებით, რომელსაც ჩიბუხები ინკების ნახელოვნებ თასში უწყვია, თვითონ კი ლონდონში გახლავთ. ამდენ ხანს ლოდინს ვერც ერთი ქმარი ვერ მოითმენდა. წარმოდგენა რომ არა აქვს ლილა ამდენ ხანს რას აკეთებს, სწორედ ამაშია უცხო მამაკაცისათვის მთელი მომხიბლაობა. ერთხელ კი გაიგონა ჰოლში მისი მაღალი ქუსლების პაკაპუკი. ოთახიდან რომ გადიოდა, ბარზე მიუთითა და უთხრა, რომელი სასმელიც გნებავთ, მიირთვითო, მაგრამ მას არაფერი უნდა. არ უნდა აქ რაიმეს მიეკაროს. ამ უცხო მამაკაცს ხელები პიჯაკის ჯიბეებში უწყვია და მშვიდად იცდის, ისიც კი არ უნდა იცოდეს, სად არის, ცნობისმოყვარეობას არ ამჟღავნებს. წიგნებიც არ უნდა დაეთ-

ვალიერებინა, ამით ხომ მაინც ჩაიხედა მის ოჯახურ გარემოში, მაინც შეეხო იმ გარემოს, რომლის გაცნობაც არ უნდოდა. ამას კიდევ ინკების ნახელოვნებთასში ჩაწყობილი ჩიბუხები დაემატა. მშვენივრად იცის, რომ ქალი ციდან არ ჩამოვარდნილა მხოლოდ იმისათვის, რომ მასთან ერთად ოპერაში წასულიყო. დღისით, მზისით, ბარში, ქალები ციდან არ ვარდებიან. ეს ყველამ იცის, ადრე თუ გვიან თვალწინ გადაგეშლება: რეალური გარემო, ოჯახი, ისტორია, ნამდვილი, ვითომ სხვანაირი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი. ოღონდ მას არაფერი არ უნდა იცოდეს, ჩამოჯდომასაც კი ერიდება, კვესისთვისაც რომ არ ეხლო ხელი, სჯობდა, ისე მოეწამლა ერთი წუთით გუნება (ეს ოქროს კვესი „დანჰილი“ ალბათ ქალმა აჩუქა მეუღლეს). სულაც არ უნდა გაშინაურდეს. დგას და ეწევა. ვერ გაუგია, რატომ აღიზიანებს სვობოდასა და ლილას ბინა. იგი გემოვნებითაა მორთული: ლუდოვიკო მეთხუთმეტის სტილის საათი, თეთრტყავგადაკრული რბილი ავეჯი, ინკების ნახელოვნები თიხის ძაღლი. ყველაფერს დიდი გემოვნების ბეჭედი აზის, მაგრამ ყველაფერს სული უდგას. რატომაა, ვინმეს თუ შეხვდი, მერე მისი სახე სიცარიელეში რომ არ დაფარფატებს? ამიტომ არ უნდა ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედოს. ოპერაში წასელა ჯობია! როცა ქალი ისევ შემოდის ოთახში, იგი ფანჯარასთან დგას, რომ ბინაში კი არა, გარეთ იყურებოდეს. კაცს დაავიწყდა, მას რომ ბავშვი ჰყავს და სანამ დედიკო ოპერაში წავიდოდეს, ბავშვი რომ უნდა დააშოშმინოს.

— რატომ არაფერს სვამთ?

ქალი ბართან მიდის, რომ უცხო მამაკაცს მოართვას რამე. კაცს ესმის: ბავშვს უტირია, მაგრამ ახლა, მგონი, დაწყნარებულა იმ პირობით, თუ დედიკო მთელ ოპერას მოუყვება, შინ რომ დაბრუნდება.

— რამდენი წლისაა? — ეკითხება იგი ქალს.

ქალი ერთხელ კიდევ ეუბნება.

— გმადლობთ, — პასუხობს იგი, — დიდი მადლობა!

სვამენ, საუბრობენ და ეწევიან. დასხდნენ და საუბარს შეჰყვნენ, ოპერა უკვე დიდი ხანია დაწყებულია. ლილას ქურქი არ გაუხდია, ორივე გრძნობს, რომ სჯობდა სახლიდან გასულიყვნენ და ქალაქში გაესეირნათ, თუმცა არც იმით დაშავდება რამე, თუ ქალი შუაღამისას შინ ვიღაცას გაუმასპინძლდება. ისე, ჯერ შუაღამე მაინც არ არის... ბავშვს სძინავს... ეტყობა, კაცს ისევ დაავიწყდა ბავშვის არსებობა, მაგრამ ქალს არ დავიწყებია. ის ხომ დედაა. თავის მძინარე შვილზე არც ლაპარაკობს და არც ფიქრობს, მაგრამ იცის, ახლა სვობთან ერთად რატომ არ არის ლონდონში. იმიტომ რომ დედაა. დიახ, ეს ბედნიერებაა. ხვალ ბავშვს საბავშვო ბაღში წაიყვანს. იცის, რომ საფიქრალი არაფერი აქვს. შეუძლია იმედიანად იყოს. ხანდახან ლილას (იგი ოცდათერთმეტი წლისაა) საკუთარი თავი ბებერი ეჩვენება. ორივე ერთდროულად დგება ფეხზე, უეცრად გადაწყვიტეს ქალაქში გასვლა და ერთი წუთით გაოგნებულნი შესცქერიან ერთმანეთს, ასე უსიტყვოდ რომ შეთანხმდენ. ქალი ტორშერს აქრობს. აქამდე მთელი ბინა გაჩირაღდნებული იყო და ყველა კარი, ბავშვის ოთახის გარდა, ფართოდ მოღებული იმ წუთიდან, რაც ქალი პერუს გზების რუკას ეძებდა, სამზარეულოს კარიც კი ღია იყო, თითქოს ქალს დაკეტილი კარის ეშინოდა. კაცი კრთება, როცა იგი ტორშერსაც აქრობს და ჭაღსაც და მერე ჰოლისაკენ მიეშურება, სადაც ჯერ კიდევ ანთია სინათლე. კაციც მზადაა გასასვლელად და მხოლოდ იმას უცდის, როდის იპოვის ქალი მანქანის გასა-

ღებს. ქალმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას, ყველაფერი რიგზეა თუ არაო, და მარცხენა ხელი უკვე გამომრთველს შეახო. წავიდეთ! ჩურჩულებს ქალი, იგი კი, თითქოს რაღაცის შანსი გაუშვა ხელიდანო, უნებურად და თან ირონიულად, რაკი გრძნობს, რომ განმეორება გამოუდის, შუბლზე ხელს უსვამს ქალს. წავიდეთ! ჩურჩულებს ისიც. სად? ამას არავინ ამბობს. ჩურჩულებენ, რომ ბავშვი არ გააღვიძონ. ჩურჩული აახლოებს ადამიანებს. ქალი კრთება და უცხო მამაკაცს აღარ უყურებს, ისე აქრობს ჰოლში სინათლეს, შემდეგ კი შუქი აღარ ანთებულა, სანამ ფანჯარაში რიჟრაჟმა არ შემოიხედა. მანამდე მხოლოდ ბავშვის ოთახში აინთო შუქი: ქალი სამ საათზე გავიდა ბავშვთან — ხველება გაიგონა. შუქი აანთო, რომ დარწმუნებულიყო, ბავშვს ეძინა თუ არა. ბავშვს ეძინა. იქნებ განგებ გააღვიძა? იგი აღვიძებს ბავშვს და ეუბნება, დედიკო უკვე შინ არის, ოპერიდან დაბრუნდაო. მერე უყვება ოპერას, დაწვრილებით არა, მაგრამ ისე, რომ ბავშვს დაამახსოვრდეს: როცა გაიზრდება, ისიც წავა ოპერაში, ხოლო დიდი რომ გაიზარდოს, ახლა უნდა დაიძინოს. დედა ბავშვს შაქარწყალს ასმევს და შემდეგ სინათლეს აქრობს. ცოტა ხანს დგას საწოლთან, მაგრამ ბავშვს არ ჰკოცნის. მხოლოდ ეუბნება, მამიკო ხვალ ჩამოვა და უეცველად რაღაცას ჩამოგიტანსო, შოტლანდიურ კაბიან თოჯინას (თუ ბავშვი გოგონაა) ან იალქნიან ხომალდს (თუ ბიჭია), ოღონდ ახლა უნდა დაიძინოო. ერთხანს კიდევ იცდის, სანამ ოთხი შესრულდებოდეს, შემდეგ ოთახის კარს გარედან კეტავს და უკან ბრუნდება. არაფერს ამბობს, ჩურჩულითაც კი არ ამბობს არაფერს, ისე ეხუტება სახით მის შიშველ მკლავს, ის კი ღრმა პირით მშვიდად სუნთქავს და ყურთასმენადაა ქცეული. სიჩუმეა...

მეორე დღეს ჩამოდის სვობოდა.

ბავშვი (ეტყობა, შოტლანდიური თოჯინის ამბავი აღარ გაუგონია და გული არ სწყდება, მამამ რომ არაფერი ჩამოუტანა) უყვება ოპერას, რომელიც დედამ მოისმინა, უყვება თავშესაქცევად.

ბავშვი ვითომ მფარველი ანგელოზია?

მაგნიტოფონი შევიძინე თქვენი საუბრის ჩასაწერად, როცა უჩემოდ საუბრობთ ხოლმე. ვიცი, ვერაგულად ვიქცევი. ყოველთვის სირცხვილი მწვავს, როცა ყავისფერ ბობინას აცახცახებული თითებით ვდებ იმ ეშმაკის მანქანაში...

ნეტავი რისთვის!

ხანდახან მგონია, რომ თავისუფლად შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ აგრძელებენ ჩემი მეგობრები საუბარს უჩემოდ, ხან კი ვერაფრით ვერ წარმომიდგენია. ოთახიდან რომ გავდივარ, ვითომ მერეც პაპების ისტორიაზე აგრძელებენ ლაპარაკს? თუ სხვა რამეზე? უპირველეს ყოვლისა საინტერესოა, როგორ ლაპარაკობენ ახლა? სხვანაირად? ზუსტად ისევე? უფრო სერიოზულად თუ უფრო ხუმრობის კილოთი? არ ვიცი, რატომ მინდა ვიცოდე ეს. ნამდვილად მჯერა, რომ ზოგი ჩემი წამოსვლის შემდეგაც ზუსტად ისევე გააგრძელებს ლაპარაკს და მართალი რომ გითხრათ, ასეთი ადამიანებისა ბევრი არაფერი მწამს, ისინი ჩემს თვალში მოსაწყენნი და არაადამიანურნიც კი არიან. თუმცა შეიძლება ვცდებოდე კიდეც. ბურის წასვლის შემდეგ ვინმე ზუსტად ძველებურად რომ აგრძელებს საუბარს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ჩემი წასვლის შემდეგაც ასევე ილაპარაკებს. ზოგი თვითონ გიბიძგებს ღალატისაკენ, ზოგი კი არა. მაინც რას ჰქვია ღალატი? სულაც არ მგონია, რომ ადამიანები

მარტონი დარჩებიან თუ არა, ჩემზე იფხანენ ენას, თუნდაც ასე იყოს — ცნობისმოყვარეობას სულ სხვა რამ მიღიზიანებს. მაგალითად, ლილასთან მარტო დარჩენილ ბურის სხვა სახე ექნება თუ არა? როცა უჩემოდ წამოწყებულ საუბარს გამოვიგონებ ხოლმე, საფრთხის წინაშე ვდგები: შეიძლება ადამიანების მიმართ იმის მიხედვით გამიჩნდეს შიში, სიყვარული თუ პატივისცემა, როგორც ისინი საუბრობენ ჩემს წარმოდგენაში, როცა მათთან არა ვარ. ჩემს ბრმა რწმენას, მაგალითად, ბურის მიმართ, მხოლოდ ის ასაზრდოებს, რომ იგი ჩემს გამოგონილ საუბრებში არც სხვანაირად ლაპარაკობს, არც სხვანაირად სდუმს და არც სხვანაირად იცინის, ამას კი იქამდე მივყავარ, რომ უბრალოდ არ მჯერა, როცა მეუბნებიან ბურიმ ასე და ასე თქვაო. ჭორია! ჭორების მოსმენა არა მსურს. აი, რა გამოდის აქედან: მე ბურის კი არ ვუყურებ ეჭვის თვალით, არამედ იმ ადამიანებს, რომლებიც მეუბნებიან, ბურიმ ამას წინათ შენს იქ არყოფნაში ასე და ასე თქვაო. შეიძლება მართლა თქვა რაღაც, მაგრამ არა ისე, როგორც მერე ჭორად გადმომცემენ ხოლმე. მოკლედ, შეიძლება სიტყვა სიტყვით ასე თქვა, მაგრამ არა იმ ტონით. უბრალოდ ვერ წარმომიდგენია, ბურიმ მოსწრებული სიტყვისათვის გამყიდოს. და ზუსტად ასევე, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, მექმნება წარმოდგენა ყოველ ადამიანზე, ასე ყალიბდება ჩემი მრავალწლოვანი უნდობლობა სხვების მიმართ, მაგალითად, ყოველთვის შებორკილი ვარ დოლფთან, მხოლოდ იმიტომ, რომ სინამდვილიდან ჩემს წარმოდგენაში გადაინაცვლებს თუ არა, მაშინვე გაცილებით დახვეწილად და ჭკვიანურად იწყებს ლაპარაკს და მდიდარ ცოდნასაც ამჟღავნებს, რომელსაც თითქოს ჩემი უმეცრების გამო ფარავდა მანამდე.

ასე განსაჯეთ, უფრო გონებამახვილი და სიტყვამოსწრებულიც კი ხდება. დარწმუნებული ვარ, ზოგი მიმალავს თავის გონებამახვილობას. არა მწყინს, მხოლოდ გაოცებული ვარ, ჩემი თანდასწრებით რატომ არ ოხუნჯობენ, გონებამახვილობით რატომ არ ბრწყინავენ, გულით რატომ არ მხიარულობენ და არ ლაღობენ. ასე მგონია, მერე იძიებენ ამისათვის შურს. თუმცა დამამტკიცებელ საბუთს ვერაფერს მოვიტან. ასეთია დოლფიც. იმ საუბარში, ხან შინისაკენ მიმავალი რომ წარმოვიდგენ, ხან კი აბაზანაში მწოლიარე, დოლფი იუმორის გრძნობასაც ამჟღავნებს და იმ ცოდნასაც დაუნანებლად ფანტავს აქეთ-იქით, მე რომ ყოველთვის მიმალავს ხოლმე. როგორ ხდება ეს? ხშირად მხოლოდ იმისთვის არ მივდივარ სტუმრად, რომ, რაც უნდა ჩუმად ვიყო, ჩემი იქ ყოფნა მაინც იგრძნობა ხოლმე. როგორც კი საზოგადოებაში გავერევი, ეს უკვე ალარ არის ის საზოგადოება, მე რომ მაინტერესებს, იგი ნიღბების საზოგადოებად იქცევა და ამაში ბრალი მე მიმიძღვის...

ამიტომ ავირჩიე მაგნიტოფონი!

სირცხვილი მშვიდად მწვავს, ჩემი აკანკალებული თითები კი აჩქარებით ამზადებენ ბობინას. ნამდვილად ყოველთვის მრცხვენია, როცა მაგნიტოფონს ვრთავ, მაგრამ თავს ვერ ვერევი. პირველ მეტრს ყოველთვის ვჭრი, მაგრამ ზოგიერთ ფირზე მაინც რჩება ხოლმე ჩემი საკუთარი ხმა და ხმადაბლა ნათქვამი სიცრუე: მე სიგარეტების მოსატანად მივდივარ! შემდეგ მართლა მივდივარ, მაგრამ მანამდე ამ ეშმაკის მანქანას წიგნებს უკან ვმალავ და ვრთავ. ჩემს აღთქმას, ფირებს არასოდეს გამოვიყენებ-მეთქი, ჩალის ფასი აქვს. ფირზე წაიშლება ჩანაწერი, მეხსიერებაში კი არა. მაინც რას გამოველი? მეტწილად ბევრს ვერაფერს ვარჩევ, ყველა ერთად ლაპარაკობს და ხმები ერთმანეთში

ირევა. ვუსმენ და ვაბოლებ. მიკვირს, თქვენ როგორ უგებთ ერთმანეთს. სიცილი! საბაბს ვერ ვხედავ. სიცილი სიცილს მოჰყვება! თქვენი საუბრიდან არ ჩანს, რა გამხიარულებთ ასე. ასევე გაუგებარია უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმეც. ხანდახან მგონია, ფირი ხომ არ გაწყდა-მეთქი, მაგრამ არა, სამარისებური სიჩუმეა. წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება. სამარისებური სიჩუმე გრძელდება. ხომ არ შენიშნეთ, რომ სადღაც მანქანა, ყური, მეხსიერებაა ჩასაფრებული? ახლა მოისმის ხმა, ქალის დაბალი ხმა: შინამოსამსახურეებზე ლაპარაკობს. ვეწევი და ველოდები დოლფის ყრუ ხმას, მის იუმორს, მაგრამ იუმორი არსად ჩანს და ნელ-ნელა მიცრუვდება იმედი: ასე ხომ მეც შემეძლო მათთან ერთად ვმჯდარიყავი. ლილა სადღაა? მხოლოდ ლილას შესცელია ხმა და მისი ხმის გაგონებაზე სუნთქვა მეკვრის. მაგრამ ისიც არაფერს ამბობს ისეთს, რასაც ისედაც ვერ მოვისმენდი, არც იმათ ახსენებს, ვისაც ჩემი თანდასწრებით ვერ ახსენებდა, და მაინც სხვა ხმა აქვს, უფრო თავისუფლად ლაპარაკობს. როცა ვინმე გაიხუმრებს, სხვანაირად იცინის, უფრო ხმამაღლა და უფრო მეტს. ხომ არ ეშინია, ჩემი თანდასწრებით ასე რომ გაიცინოს, არ ეფიქრო, მე დამცინის-მეთქი? მე რომ ოთახში არა ვარ, მგონი, უფრო თამამდება, უფრო ბავშვური ხდება. ეს გასაგებიცაა. შემდეგ ისეთი ხმით ლაპარაკობს, როგორიც ჩვენი გაცნობისას ჰქონდა. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ზუსტად ისე ლაპარაკობს. ეს ფირი კი დღესაა ჩაწერილი. ასეთი თამამი ხუმრობა მეც აღტაცებას მომგვრიდა და თუმცა ჩასაფრებული კაცის პოზიცია დიდად სახარბიელო არ გახლავთ, სიცილისაგან თავს მაინც ვერ ვიკავებ. თქვენ ახლა პოლიტიკაზე საუბრობთ. ერთხელ ყური მოვკარი ჩემს სახელს. გამოეთიშო? უკვე გვიანაა: ვიღაცამ უკვე შემაქო. რისთვის შემაქო, ის კი ველარ გავიგონე. შემეძლო ბობინა გადამეხვია და მომესმინა, მაგრამ თავი გავანებე. ალბათ მარანი თუ შემიქეს, რადგან ახლა საუბარმა ღვინოებზე გადაინაცვლა და ლილამ სხვათა შორის მომიკითხა, ამდენ ხანს სად დაიკარგაო. აქ ჩამიქრა ჩიბუხი. ფირი ნახევრამდე მაქვს მოსმენილი. გეტყობათ, დრო გაგყავთ, ჩემი ბობინის ჩათავებას ელოდებით, რომ შემდეგ მართლა ილაპარაკოთ შეუნიღბავად. თქვენ ახლა კორპსაძრობს ეძებთ, კარგად მესმის, მაგრამ ვერ მოგეშველებით. კორპსაძრობი სამზარეულოშია. დოლფი ჩემზე ამბობს, რა სამწუხაროა, რომ პოლიტიკას არ ეტანებაო. რაო? მისი მტკიცება, თითქოს ჩემთვის ერჩიოს პოლიტიკით დაინტერესდიო, სიმართლეს არ შეეფერება, ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს და არც ის მაგონდება, ახლანდელ სოციალ-დემოკრატებზე ასეთი ბრწყინვალე აზრები გამომეთქვას (ჩანაწერი განსაკუთრებით მომგებიანად ჟღერს). რატომ მამკობს თავის საკუთარი ბუმბულით? შემდეგ ისე ჩუმდება, თითქოს ამ ბრწყინვალე აზრების ავტორს ყოველ წუთს შეეძლოს ოთახში შემოსვლა, ამასობაში, ეტყობა, ლილა სამზარეულოში გავიდა კორპსაძრობის მოსატანად. მესმის, რომ ლილა ახლა ოთახში არ არის. ამას ბრმასავით აღვიქვამ, ლილა სხვებს არ ჰგავს დუმილში. იგი ოთახში არ არის. ჩვენი სტუმრები მარტონი არიან. შეიძლება ამას ტონის მსუბუქ ცვლილებაზეც ვხვდებოდე. თქვენ ახლა ფელინის ფილმზე ალაპარაკდით ყველანი ერთად, ხმაში მეტი ხალისი დაგეტყოთ, მეტი სიცოცხლე და თან მცირეოდენი უხერხულობაც, რაკი მარტონი ხართ და არ გევალდებულებათ მასპინძლების სავარაუდო აზრს ანგარიში გაუწიოთ. ისეთი ყაყანი ისმის, თითქოს აქამდე არ შეიძლებოდა ფელინიზე გელაპარაკათ. გაჩუმებისა გეშინიათ, რომ მერე მას-

პინძლებზე ჭორაობას არ მოჰყვეთ. ვიღაც იძახის: ლილა, რას აკეთებთ? და ექოსავით ისმის იგივე ხმა: ნეტავ რას აკეთებს? რა ბედნიერებაა, რომ ფელინის ეს ფილმი ყველას ნანახი აქვს და კიდევ უფრო დიდი ბედნიერებაა, რომ ერთმანეთს არ ეთანხმებიან. კათოლიციზმი ფელინის ფილმში...

ბობინა გათავდა.

ისევ მოვუკიდე ჩიბუხს.

ეს იყო ყველაფერი.

ღალატი (თუკი ასე შეიძლება ეწოდოს) არ შემდგარა. ჩანაწერს ვშლი. მან მხოლოდ ერთი რამ მასწავლა: ღალატი მწყურია. მინდა ვიცოდე, რომ ვარსებობ. ის, რაც არ მღალატობს, ეჭვს მიღვიძებს, რომ მხოლოდ ჩემს წარმოდგენაში ცოცხლობს, მე კი მინდა ჩემს წარმოდგენას დავუსხლტე და ამქვეყნად ვიარსებო. სულით და გულით მინდა მიღალატონ. უცნაური კია (იესოს ისტორიის კითხვისას ხშირად გამჩენია გრძნობა, რომ იესოსათვის, როცა საიდუმლო სერობაზე მოსალოდნელ ღალატზე ლაპარაკობს, მოღალატის შერცხვენა როდია მთავარი, მას უნდა თვითონ უბიძგოს ღალატისაკენ ერთ-ერთ თავის მოწაფეთაგანს, რომ ამქვეყნად იარსებოს, რომ თავისი ამქვეყნად ყოფნა დაამტკიცოს...).

მაშ, ჩიბუხს ვაბოლებ.

დავმშვიდდი ვითომ?

მაგნიტოფონმა გამაწბილა. თქვენს საუბარს კი ვისმენ, მაგრამ ღალატს ვერ ვხედავ, რომელიც სახეებზე უნდა გეწეროთ, ოღონდ ასევე ჩუმად თქვენი სახეების გადაღებაც რომ შემეძლოს, ის ფილმიც გამიმტყუნებდა იმედს. ღალატი, ეტყობა, მეტად ფაქიზი რამ არის, მას ვერც დაინახავ და ვერც გაიგონებ, თუ წარმოსახვაში არ გააზვიადე.

P. S.

ეჭვიანობა ჭეშმარიტი ტკივილია იმის გამო, რომ ჩვენში ჩასახლებული არსება ამავე დროს ჩვენს გარეთ იმყოფება. ეს დღისით, მზისით მოლანდებული ავი სიზმარია. ეჭვიანობას სქესთა ურთიერთსიყვარულთან უფრო ნაკლები კავშირი აქვს, ვიდრე გვგონია. იგი სამყაროსა და ჩვენს წარმოსახვას შორის გაჩენილი უფსკრულია, ეჭვიანობა უფრო ვიწრო გაგებით კი ამ უფსკრულის კერძო გამოვლენა, მწარე დარტყმა გახლავთ: სამყარო მხოლოდ ჩემს პარტნიორთანაა შერწყმული და არა ჩემთან, მე სიყვარულმა მხოლოდ ჩემს წარმოსახვასთან გამაერთიანა.

ვიქნები თუნდაც განტენბაინი!
(ოღონდ საბოლოოდ!).

წარმომიდგენია:

განტენბაინი ბრმა მოწმედ გამოჰყავთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე. იგი სათვალით, შავი ხელჯოხითა და ყვითელი სამკლავურითაა აღჭურვილი. ამ საჭურველს მხოლოდ ოფიციალური გამოსვლებისათვის ხმარობს, ყოველთვის არ ატარებს ხოლმე. ასე აღჭურვილი დგას ამომრჩევლის როლში საკვირაო ურნასთან, მმაჩშიაც და, რაღა თქმა უნდა, სასამართლოშიც; განტენბაინი მარტოა მოსაცდელში, ჯოხი მუხლებს შორის ისე მოუქცევია, თითქოს საყრდენი სჭირდებოდეს.

რა უნდა გაიგონ ჩემგან?

ის შემთხვევა, კვირეების განმავლობაში ყველა გაზეთში მთელი სვეტი რომ ჰქონდა დათმობილი, ყველამ იცის, ვინც გაზეთს კითხულობს, და ალბათ განტენბაინსაც ეცოდინება. თავიდან ეს ამბავი მხოლოდ სათაურად იყო გამოტანილი იმ ფარებზე, გაზეთის გამყიდველები მუცელზე ჩამოკიდებულს რომ ატარებენ ხოლმე. „მკვლელობა ზეეფელდში“ — გაჰყვიროდნენ მეგაზეთენი, მკითხველებმა ტრამვაიშივე წაიკითხეს და მალე მიავიწყდათ კიდეც ეს ამბავი, სისხლის სამართლის პოლიცია კი თვეების განმავლობაში ამაოდ იძიებდა საქმეს. შემდეგ ეს მკვლელობა სენსაციად იქცა, როცა ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე დააპატიმრეს. ამ სკანდალმა შესძრა ყველას გული და გონება, ხოლო რაკი საქმე საბოლოოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაეცა, ახლა იგი შეიძლებოდა პოლიტიკურ სკანდალად გადაქცეულიყო...

— ბატონო განტენბაინ, — მეუბნება ვიღაცის ხმა, — ჯერ საჩქარო არაფერია, მაგრამ მოემზადეთ.

რა ჩვენებას მივცემ?

— იჯექით, იჯექით, — მეუბნება ხმა, — მე წაგიყვანთ, როცა დრო მოვა.

დღეს დილით უკანასკნელად დაკითხავენ მოწმეებს. არ ვიცი, განტენბაინი ბრალდებამ გამოიწვია თუ დაცვამ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ვერდიქტი, რომელიც ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გამოიტანონ, საზოგადოებრიობას უკვე გამოტანილი აქვს, ხოლო რაც შეეხება განტენბაინს, მე თუ მკითხავთ, სხვა მოწმეებისა არ იყოს, მასაც ერთადერთი მიზანი ამოძრავებს: არ გამოვიდეს როლიდან და თვალსაც ამიტომ ხუჭავს... ისმის კურანტების რეკვა — თერთმეტი საათია. საათი ჩაჩუმდა და კვლავ გაისმა მტრედების ღუღუნი, მათი წყნარი ღუღუნი, მათი იდიოტური ღუღუნი.

მხოლოდ ერთი რამ ვიცი:

თუ განტენბაინმა ახლა, როგორც მოწმემ, სიმართლე თქვა და ლილამ გაზეთიდან გაიგო, რომ მე ბრმა არა ვარ, ლილამ და ყველა ჩემმა ნაცნობმა, მაშინ...

— წყალი ინებეთ.

ეტყობა, ხედავენ, ოფლს რომ მასხამს, მაგრამ, რა თქმა უნდა, გრაფინსა და ჭიქას ხელს არ ვკიდებ, მხოლოდ ყურს ვუგდებ, სასამართლოს მსახური როგორ ავსებს ჭიქას. როგორც ჩანს, მე პირველი არ ჩავვარდნილვარ ამ დღეში. აქ გამოძახებულ მოწმესაც კი თავი ბრალდებული ჰგონია.

— ბატონო განტენბაინ, — მეუბნება ხმა, — თუ შეიძლება, წამობრძანდით...

მე ვდგები.

— საჩქარო არაფერია.

თვალები დახუჭული მაქვს, რათა სასამართლოს წინაშე როლიდან არ გამოვიდე, თვალები უკვე დავხუჭე, რადგან არავითარ შემთხვევაში არ მინდა ბრალდებული კვლავ დავინახო. ვდგავარ ჩემს შავ ხელჯოხზე დაყრდნობილი და მზად ვარ სასამართლოს ვემსახურო. მხოლოდ უნდა წამიყვანოს ვინმემ. იდაყვზე ღონიერ, ალერსიან ხელს ვგრძნობ. ეს ხელი არ მიმატოვებს, სანამ მე, თეო განტენბაინი, მოწმის ხარიხასთან არ დავდგები ან არ დავჯდები.

— ნელა, — მესმის ხმა, — მხოლოდ ნელა.

მესმის ჩემი ნაბიჯების ხმა, დერეფანში მივდივართ.

— ფრთხილად, — მესმის ხმა, — აქ საფეხურებია...

ფეხს მაღლა ეწევ.

— ...სამი საფეხურია.

მაშ მარჯვენა, მარცხენა, მარჯვენა.

— კარგი, — მესმის ხმა და ხელი ჩემს იდაყეს შორდება. — აქ დაიცადეთ!

მესმის, როგორ იღება კარი, უხმაურო კარი და უეცრად ვგრძნობ დარბაზს.

— მობრძანდით!

ისევ მკიდებენ ხელს იდაყვში და მიმაცილებენ. თვალის გახელა მართლა არ მჭირდება, შავ ხელჯოხს ვრცელ სიჩუმეში მივაკაკუნებ და ამ სიჩუმეს მხოლოდ ჩემი ჯოხის კაკუნი არღვევს. დგას დაძაბული სიჩუმე.

— აი, აქ დაბრძანდით, — მესმის ხმა.

ხელის ფათურით ვეძებ მერხს, მერხი მართლაც აქ არის, ვჯდები და ხელს მიშვებენ. ოღონდ ახლა არ გავახილო თვალი! ქაღალდის შრიალი... დარბაზი დიდი და მაღალჭერიანი უნდა იყოს, შიშველკედლებიანი. ეტყობა, ფანჯრები ჩაკეტილია და შიგ მტრედების ღუღუნი ვერ ატანს. დარბაზი სავსეა მფშვინავი ადამიანებით. მათ შორის იქნება ბრალდებულიც. მიცნობს თუ არა? უპირველეს ყოვლისა, მესმის თუ მეჩვენება, რომ მესმის, როგორ მიფეთქავს კისერზე ძარღვი. ჯერჯერობით სხვა არაფერი ხდება. ხანდახან უკანა რიგებიდან ჩახველების ხმა მოდის, წინ ვიღაც ჩურჩულებს, მერე კვლავ ქაღალდების შრიალი ისმის. ასე თუ ისე, მაინც სიჩუმე დგას. ახლა თვალი რომ გავახილო, ვიცი, რასაც დავინახავდი: ორ ჟანდარმს შორის ჩაყენებულ ბრალდებულს, მის უკან შემაღლებულ ადგილზე სასამართლოს თავმჯდომარეს, სადღაც მანტიამოსხმული პროკურორი იქნება, ალბათ ისაა, ჯერ კიდევ ქაღალდებს რომ აშრიალებს, აქვე იქნება პენსნეიანი იურისტი, ასევე მანტიამოსხმული, და ვექილი, წინ რომ გადახრილა და ბრალდებულს სწორედ ამ წუთში ბარათს აწვდის. აქ იქნებიან კიდევ ნაფიცი მსაჯულები, რომლებმაც დღესვე უნდა შეიმუშაონ თავიანთი ვერდიქტი. ეს იქნება სახემოღლილი, სულ სხვადასხვა წარმომავლობის ხალხის რიგი. საიდანმე ალბათ სამართლიანობის ქალღმერთის კლასიკური გამოსახულება გადმოგვცქერის, სასწორითა და ახვეული თვალებით... ახლა ვიღაც განტენბაინის ანკეტურ მონაცემებს კითხულობს, მე ჯერ ეს მონაცემები უნდა დავადასტურო, მერე კი მოვისმინო გაფრთხილება, რომ უნდა ვთქვა სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, მესმის ჩემივე ფიცის ექო, შემდეგ ვიღაცის ჩახველება, ქაღალდის შრიალი, ხის მერხებზე გადავლილი შარიშური, ვიღაც ჩემსკენ მოემართება, მესმის მისი ხმა.

— ბატონო განტენბაინ, იცნობდით კამილა ჰუბერს? — მესმის შეკითხვა, — როდიდან?

მე თავს ვუქნევ.

— როდიდან?

ვცდილობ გავიხსენო.

— ხომ არ შეგქმნიათ ოდესმე შთაბეჭდილება, რომ...

— მე მინდა აღვნიშნო, — აწყვეტინებს სხვა ხმა, — მინდა მოგახსენოთ, რომ მოწმე ბრმაა და ამის გამო ზედმეტია, ბატონებო, ისეთი კითხვების დასმა, რასაც ბრმა ფიცით ვერ დაადასტურებს, განსაკუთრებით კი შეკითხვა...

ზარის წკარუნი.

— მე პროტესტს ვაცხადებ...

ზარის წკარუნი.

— ბატონებო...

დარბაზში გნიასი დგას, ეტყობა მოთმინება აღარავის ჰყოფნის, ველოდები, სანამ კვლავ თავმჯდომარე აიღებდეს სიტყვას, მაგრამ იგი ერთი წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმით სარგებლობს და სიტყვას სხვა ხმას აძლევს, რომელიც ჯერ არ გამიგონია.

— იცნობდით მოკლულს?

თვალს ვახელ, მაგრამ მოკლულს მაინც ვერ ვხედავ.

— რა სახის ურთიერთობა გქონდათ მასთან?

— მანიკიურს მიკეთებდა.

ტრიბუნაზე იცინიან.

— მართალს მოგახსენებთ, — ვამბობ მე.

არ მიჯერებენ.

— ხშირად დადიოდით ჰუბერთან?

— კამილა ჰუბერთან?

— დიახ.

— სისტემატურად.

— მანიკიურის გასაკეთებლად?

— დიახ, — ვამბობ მე, — მანიკიურის გასაკეთებლად.

რა თქმა უნდა, ტვირთი მეხსნება, რაკი მათ აშკარად არ უნდათ იმ სიმართლის ცოდნა, რის სათქმელადაც დამაფიცეს.

თავმჯდომარე:

— მთავარ თემას რომ არ გადავუხვიოთ...

— მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, — ხმამაღლა ამბობს დარბაზში სხვა ხმა, — მოწმე ბრმაა, მაშასადამე, იგი მოკლულს ვერ დაინახავდა.

რეპლიკა:

— ეგ რა მოსატანია!

ზარის წკარუნი.

— ბრმა მოწმედ ვერ გამოდგება!

როგორც ვთქვით, ეს ისეთი შემთხვევაა, ადამიანებს რომ აფორიაქებს. მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები სხედან გაქვავებული სახეებით, ბრალდებულიც ასევე ზის, მაგრამ იგი ნაფიც მსაჯულთაგან განსხვავებით თითქმის არ უგდებს ყურს, მის ირგვლივ რა ხდება — მისი ცხოვრება, ასე იქნება თუ ისე, მაინც განადგურებულია.

აი, რა ვიცი გაზეთიდან:

მოხრჩობილია ფარდის ასაწევი ზონრით. თვითმკვლელობა სარწმუნო არა ჩანს. მოკლულს ხალისიან ადამიანად ახასიათებენ. მკვლელობა ჩადენილია ან გაძარცვის მიზნით ან სქესობრივი გაუკუღმართების გამო. მისი ხელობა („განსაკუთრებული მომსახურების სფერო") და მისი ბიოგრაფია: დაბადებულია საშუალო შეძლების ბურჟუაზიულ ოჯახში. ეჭვი მიტანილია მამაკაცზე, ვინც „კარმანი" აჩუქა. არსებობს კიდევ სხვა სამხილები, ოღონდ ისინი საბოლოოდ დამტკიცებული არ არის. ალიბი არ არსებობს. არსებობს მისი მიმოწერა ბრალდებულთან. არსებობს მისი განცხადებები გათხოვების თაობაზე. მოკლულია ერთ კბილის ექიმთან მოსალოდნელი დაქორწინების წინა დღეს...

დამცველი:

— დავუბრუნდეთ ისევ საქმეს. მაშასადამე, თქვენ კამილა ჰუბერისაგან არასოდეს გაგიგონიათ ბრალდებულის სახელი? — მეკითხება იგი.

პროკურორი:

— თუ უხსენებია ჰუბერს თქვენთან ერთი კლიენტი, თუნდაც უსახელოდ, რომელიც ეჭვიანობის ნიადაგზე წლების განმავლობაში ემუქრებოდა წერილებით?

აი, ეს არის, რისი გაგებაც უნდათ ჩემგან და არ ვიცი, იმის მაგიერ, რომ უბრალოდ გავაქნიო თავი, რატომ ვეკითხები:

— რას გულისხმობთ ეჭვიანობაში?

დარბაზში იფეთქა „ბლიცმა“.

— მიპასუხეთ ჩემს შეკითხვაზე.

დარწმუნებული არა ვარ, ვერ შეემჩნიოთ, „ბლიცზე“ განტენბაინიც რომ შეკრთა და ვპასუხობ: არა! მაგრამ ვგრძნობ, რომ შეკრთომამ ჩემს პასუხს დამაჯერებლობა დაუკარგა.

ვხედავ ბრალდებულს:

ეს კაცი რამდენჯერმე მინახავს. ოდესღაც იგი პიროვნება იყო, განათლებული კაცი, რაც იმას არ ნიშნავს, რომ გეგონოს, დანაშაულს არ ჩაიდენდაო. მინახავს ეჭვიანობა, ვერავითარი განათლება რომ ვერ გაუმკლავდება. პირიქით, განათლება მანამდე აგუბებს ეჭვიანობის გრძნობას, სანამ იგი მთლად პრიმიტიული არ გახდება. ამაზე საშინელი არაფერია. შემიძლია გავუგო. ოდესღაც იგი პიროვნება იყო, დღეს კი განადგურებული კაცია. უზადოდ და სუფთად აცვია, სდუმს, ტუჩის კუთხეები მაშინვე ნერვიულად აუტოკდება (ზუსტად ისე, როგორც კრიმინალურ რომანებშია), როგორც კი ფარდის ზონარზე ჩამოვარდება სიტყვა. მისი ნერვიულობა სათანადო კომენტარით აღინიშნა გაზეთებში და საქმეს უფუჭებს მხოლოდ. რატომ არ აღიარებს დანაშაულს? თან სახეზე ეტყობა, რომ ხანგამოშვებით მძიმე სინანული სტანჯავს. მაშინ შუბლზე ხელს იფარებს ხოლმე. ეს იმ ადამიანის ჟესტია, საკუთარი თავისაც რომ ვეღარაფერი გაუგია. მეძავთან მისი ხანგრძლივი მიმოწერის გამოქვეყნებაც კმაროდა მის გასანადგურებლად, თუმცა ის წერილები მშვენიერია, უფრო მეტიც, არაჩვეულებრივად მშვენიერიც კია, რასაც სასამართლოს დარბაზში კითხულობენ და გაზეთებში აქვეყნებენ. დაბეჭდილნიც კი არ იწვევენ ღიმილს. ისინი დიდ ვნებათაღელვას მოწმობენ. ამ ვნებაში იქნებ გამოსჭვიოდეს კიდეც მკვლელობის ჟინი, მაგრამ უხეში მუქარა კი არა, სინაზით აღსავსე მონატრება ამხელს, ამ კაცს ვინ უყვარს. უპირველეს ყოვლისა დაცვა იყენებს ამ წერილებს, რადგან წერილებს არც გულის მოსანადირებელი გონებამახვილობა აკლია და მსმენელის თანაგრძნობას ამითაც იწვევს. განა ასეთი კაცი ფარდის ზონარს აიღებს ხელშიო, რამდენიმე კვირაა გაიძახის დაცვა. ამას საბოლოო სიტყვაშიც გაიმეორებენ, მაგრამ გარჯა ფუჭად ჩაუვლით. ბრალდებულს სულ სხვა რამ ამტყუნებს: ეს არც სამხილების ჯამი გახლავთ, არც თითების ანაბეჭდის საკამათო ექსპერტიზა, არც ის, რომ ლიფტის გასაღები აღმოაჩნდა, ის ფაქტიც კი არა, რომ იმ თხუთმეტი წუთის უეჭველი ალიბი არსად უჩანს, როცა ჰუბერის ბინიდან ყვირილი გაიგონეს, მას ამხელს ტუჩის კუთხეების უნებური ტოკვა, ნერვიული შეტევები და უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის ფაქიზი შეგრძნება, მისი წერილებიდან თითქოს წინასწარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გამოსჭვივის. მას ამხელს საკუთარი თავისა და იმ ცნებებისადმი მიმართული ირონია, რაც დიდი თანამდებობის პირისათვის წმიდათაწმიდა უნდა იყოს. ეს გახლავთ დაღუპული კაცი, საზოგადოებრივი თვალსაზრისით დაღუპული კაცი, კაცი, რომელიც თავის დამცველის სიტყვებს იმით აუფასურებს, რომ ისინი მეტისმეტად უბადრუკად მიაჩნია. ეს მაშინაც ეტყობა სახეზე, როცა სდუმს. ხოლო როცა ლაპარაკობს (ლაპარაკითაც უკვე იშვიათად ლაპარაკობს), ისეთი უმწეო ჩანს, თითქოს რაღაც გამოცდილება ბორკავდეს, რაც სხვებმა მხოლოდ საქმით უნდა შეიძინონ. იგი პარლამენტის წევრი გახლდათ და ბრწყინვალე ორატორადაც ითვლებოდა, აქ კი ეჭვს იმითაც აღძრავს, რომ ბევრჯერ, როცა პროკურორი (სხვათა შორის, მისი პარტიელი ამხანაგი) გასაქანს აღარ მისცემს, ბორძიკით იწყებს ლაპარაკს, დიახ, ნამდვილად ბორძიკობს. უდანაშაულობის დასამტკიცებლად სიტყვები არ ჰყოფნის. ასე არ ყოფილა! ამის თქმა ყველას შეუძლია. მაშ როგორ იყო? თითქოს გამორიცხულად არ მიაჩნდეს, რომ ამის ჩადენა შეეძლო, ისე იმეორებს რამდენიმე კვირაა, ეს მე არ ჩამიდენია, არ ჩამიდენიაო. როგორც ვთქვით, თავიდანვე ისიც კმაროდა სასკანდალოდ, რომ ამ კაცზე მიიტანეს ეჭვი. ვინ იფიქრებდა, რომ მეძავთან ასეთი მიმოწერა ექნებოდა გაჩაღებული. თუმცა თავიდანვე საკმაოდ მძიმე სამხილები არსებობდა მის წინააღმდეგ, სასამართლოს პირველ სხდომებზე მაინც ვერავინ იჯერებდა, რომ იგი შეიძლებოდა მეძავის მკვლელი ყოფილიყო. შემდეგ კი (თავისი პიროვნების წყალობით) მოახერხა შეეცვალა პირველი შთაბეჭდილება და ამგვარად ვერდიქტი, კაცმა რომ თქვას, უკვე დიდი ხანია შემუშავებულია...

თავმჯდომარე:

— ამით მოწმეთა დაკითხვა დამთავრებულია. ბრალდებისა და დაცვის სიტყვის მოსასმენად სასამართლო შეიკრიბება დღეს, ნაშუადღევის ორ საათზე. — ხმას დაუდაბლა მან.

მე თავისუფალი ვარ.

კითხვა, ერთადერთი კითხვა, რომლისაც მეშინოდა, არავის დაუსვამს: ხომ არ უნახავს განტენბაინს იმ ღამით (00. 35—00. 50) ბრალდებული. სულ ერთია, ეს დასახელებულ ბარში იქნებოდა თუ ქუჩაში. ის ბარი არ ვიცი, აღწერის მიხედვით პოლიციისათვის კარგად ნაცნობი იაფფასიანი საეჭვო ბარი უნდა იყოს. განტენბაინიც ამდაგვარადვე უპასუხებდა და გაჩუმდებოდა. მაგრამ ეს კითხვა, რა თქმა უნდა, მისი ყვითელი სამკლავურის შემხედვარეთ აღარ დაუსვამთ. სხვა მოწმეები, ვინც იმ დროს ბარში იყვნენ, კარგად ვერ იხსენებდნენ ბრალდებულს. ზოგიერთები თითქოს იხსენებდნენ კიდეც, მაგრამ მათი ყაიდის ხალხის სიტყვას დიდად მაინც რომ არავინ ენდობოდა, ისინიც შეყოყმანდნენ, ჰოდა, ახლა, მოწმეების დაკითხვის დასასრულს კიდევ ბრმისათვის რომ მიეცათ იგივე კითხვა, უკბილო ოხუნჯობად ჩაეთვლებოდათ. დამტკიცებულია, რომ ბრალდებულის მანქანა ფელდეგშტრასეზე იდგა. ამიტომ აჰყვნენ ცდუნებას, ალიბი იმ ბარში ეძებნათ, მაგრამ მგონი თვით ბრალდებულიც ვეღარ იგონებდა, იმ საბედისწერო წუთებში სად იყო ნამდვილად. დაცვა ჩაებღაუჭა მის ყალბ ჩვენებას, კვირეების განმავლობაში იმ ბარს იშველიებდნენ და ახლა სხვა ალიბიც ვეღარ აღმოჩნდებოდა სარწმუნო, თორემ ყვითელსამკლავურიანი განტენბაინის მიერ დამოწმებულ ალიბის ვინღა დაიჯერებდა. ჩვენ ერთმანეთს ხშირად შევხვედრივართ, როცა მანიკიურის გასაკეთებლად

მივდიოდი ხოლმე, ერთხელ ლიფტშიც შევეჩეხე, მაგრამ რაკი არ იცოდა, რომ განტენბაინი მას ხედავდა, არასოდეს მივსალმებივართ ერთმანეთს. სამწუხაროდ, ასე იყო, თორემ იმ ღამით, თორმეტსა და პირველს შუა ჩემს პაჩს უტოს სანაპიროზე რომ დავასეირნებდი, დავინახე, როგორ აპურებდა იგი გედებს. ერთმანეთი რომ გვცნობოდა, ალბათ საალიბე საუბარიც შედგებოდა, ის საუბარი მასაც მოაგონდებოდა და განტენბაინიც ისე დაემოწმებოდა, არც დასჭირდებოდა ბრმის როლის მსხვერპლად გაღება.

თავმჯდომარე:

— სხდომა დამთავრებულია.

დარბაზში ვნიასი დგას.

სანამ თვალებს დავხუჭავდე, ერთხელ კიდევ ვაპარებ მზერას ბრალდებულისაკენ და ვხედავ, როგორ უტოკავს ტუჩის კუთხეები, თითქოს დიდი ხანია იცოდეს, სინამდვილეში აქ რა კომედია თამაშდება: ქვეყნის მმართველი წრეები ბევრ რამეში სცოდავენ, მაგრამ ეს რომ აღიარონ, ხელმძღვანელი როლის დაკარგვა არ ასცდებათ, ამიტომ ვერ დაუშვებენ, თავიანთი რომელიმე წარმომადგენელი, სამარცხვინო ცხოვრების წესში მხილებული და დანაშულზე ეჭვმიტანილი, თუნდაც ეს ცხოვრების წესი მხოლოდ პირად ხასიათს ატარებდეს, მამხილებელი საბუთების ნაკლებობის გამო მთელი ხალხის წინაშე გაამართლონ. მაშინ გამოდის, რომ ყველა თანასწორი არ ყოფილა კანონის წინაშე და ეს ბუნდოვანი ეჭვი თვით მმართველ წრეებზეც გავრცელდება. სახელგატეხილ ადამიანს შენს გვერდით ვერ იყოლიებ. ქვეყნის მმართველ წრეებს სათავეში მაინც უნდა ედგნენ ისეთი პიროვნებები, რომელთა პირადი წესიერება სხვა ყველაფერს დაფარავს, თორემ მმართველობა დიქტატურას დაემსგავსება.

— ბატონო განტენბაინ...

მე თვალებს ვხუჭავ.

— აქ საფეხურებია! — მეუბნება სასამართლოს მსახური, იდაყვზე ხელს მიჭერს, ქუჩაში გავყავარ და მეკითხება:

— ახლა გაიგნებთ გზას?

მადლობას ვუხდი.

— აი, ბორდიური აქ გადის.

ჯოხს მივაკაკუნებ.

ყოველ როლს თავისი დანაშაული აქვს... მოუთმენლად მოველი ვერდიქტს.

ერთადერთი ჭეშმარიტება ლილაზე: ისეთი ლილა, როგორიც მე წარმომიდგენია, ამქვეყნად არ არსებობს. ოდესმე ალბათ მეც დავინახავ ლილას უცხო თვალით...

კვლავ გემზე ვიმყოფები. რამდენიმე წუთიც და გემი ღია ზღვაში გავა. ღრუბლიანი დღეა, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე ვარ და ჩიბუხს ვტენი, კაცმა რომ თქვას, სხვა ვერაფერი მომიგონია ამ დაძაბული და საამო წუთების შესაფერი, აბა ხალხის თვალწინ ხომ არ ამღერდები ან ხომ არ ჩამოუვლი შუა გემბანზე. არც კი მინდა ჩემს თავს ჩავეძიო, ზღვაში გასასვლელად გამზადებული ამ თეთრი გემის ბორტზე რატომ მსიამოვნებს ყოფნა, თან არათუ ამ გემზე, მთელ ნავსადგურშიც ჩემზე გახარებული კაცი არ მეგულება. ჩიბუხს ვტენი, მაგრამ მოკიდებას **არ ვაპირებ, უსაქმოდ ვდგავარ, პორტის** მუშები ამ დროს გრძელ და მძიმე ბაგირს რკინის პალოებიდან ხსნიან, ერთ ჭაპანწყვეტაში არიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი უსაქმოდ ვდგავარ და წინასწარ ვტკბები, რომ წინ კიდევ მიძევს უსაქმო დღეები. გემმა უკვე აკეცა ტრაპი, ჩიბუხი პირში ჩავიდე, მაგრამ არ ვაბოლებ, ხელები ჯიბეებში მიწყვია. აი, რატომ ვარ კარგად: არავისთვის არ მჭირდება ხელის დაქნევა, მხოლოდ ყრუ საყვირს ველოდები, ძვალ-რბილში რომ დაუვლის ხოლმე ადამიანს მისი ხმა, ველოდები ხრინწიან საყვირს, ერთხელ უკვე დამიარა იმ ხმამ ძვალსა და რბილში. არავიზე არ ვფიქრობ, ორივე იდაყვით მოაჯირს ვეყრდნობი და კვამლში გახვეულ საბუქსირე კატარღებს დავცქერი, თოკზე გამობმულ ქოფაკებს რომ ჰგვანან. ნეაპოლი ნისლშია გახვეული. შემდეგ მეორე მხარეს ვინაცვლებ, რომ ხალხი დავინახო, დიდძალი ხალხი, რომელიც ხმელეთზე რჩება. ისინი ხელს გვიქნევენ — ოჯახები, მეგობრები, საცოლეები, ასლუკუნებული მოხუცი დედილო. ვეზუვს ვერ ვხედავ. ღრუბლიანი დღეა, სულის შემხუთავი სიცხეა, თან ქარი უბერავს. მძიმე ბაგირები ნავსადგურის მუქ წყალში ატყაპუნდნენ, საყვირის ხმამ ბარაკებსა და საბაჟოს შენობებს გადაუღმუვლა, ხელების ქნევა ძლიერდება, ქათქათა ცხვირსახოცები ნარგიზების ჯარივით ფრიალებენ. ჩემ გვერდით ვიღაც ქალი დგას, არც ის უქნევს ხელს არავის. ამასობაში ნავმისადგომსა და გემს შორის ნაპრალი თანდათან ფართოვდება, მაგრამ ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს ნავმისადგომი ტრიალდებოდეს და არა ჩვენი გემი. საბუქსირე კატარღები ხრჩოლავენ და წყალს მედიდურად აქაფებენ. ქალის სახეს ვერ ვხედავ (ან რაში მაინტერესებს!), აფრიალებული თავსაფარი უფარავს. დგას ასე უბრალოდ და ხელები ჟაკეტის ჯიბეებში უწყვია. არც მას სჭირდება ხელის დაქნევა. ვხედავ, რომ ნელ-ნელა ვუმატებთ სვლას, მაგრამ ზღვას ჯერ არ ვაზვირთებთ. ზოგიერთები ისევ იქნევენ ხელს, იქნევენ, იქნევენ დაუსრულებლად, მაგრამ ამ ქნევა-ქნევაში თანდათან ეცვლებათ სახის გამომეტყველება. უკვე ველარ ხედავენ, ხელს ვის უქნევენ და სინამდვილეს უბრუნდებიან, ოღონდ სინამდვილე ჯერ ცარიელია, მოღიავებული, მჩატე, როგორღაც გამაოგნებლად ცარიელი. ახლა შავმა საბუქსირე კატარღებმაც დაიღმუვლეს, რუხი ბაგირები ჩამოიხსნეს, წყალში ჩაუშვეს და უკან გაბრუნდნენ. ჩვენ კი საკუთარი ძალით განვაგრძობთ სვლას, ნელა, მაგრამ მტკიცედ მივდივართ. ჩავუარეთ უკანასკნელ შუქურას და წყალმცენარეებისაგან ჩაშავებულ, თოლიებით გადაქათქათებულ ნავმისადგომს, სადაც შხეფებს ისროდნენ ზვირთმჭრელები და შემდეგ თავისუფლად გავინავარდეთ — თავისუფალნი ვართ შვიდი დღით, — უკან თანაბრად მოგვდევს ჩვენგან აგორებული ტალღების კუდი და დილაში, შუადღეში და საღამოში იკარგება...

გემბანზე ვზივარ.

ზღვის ხედით მოგვრილი მოწყენილობა, ნეტარი მოწყენილობა: არც მკვდარი ხარ და არც სიცოცხლე გევალება...

ვცდილობ ვიკითხო.

ნეტავ ოდესმე ვინმეს თუ მოუხერხებია გემზე მუშაობა?

უსაქმურობისაგან ბარში შევედი.

როგორც ვთქვი, თავს კარგად ვგრძნობ, შეიძლება ძალიან კარგად არა, მაგრამ დარდი მაინც არაფრის მაწუხებს. არც საუბრის გაბმას ვცდილობ ვინმესთან, არც ეგრეთ წოდებული შეხვედრების მოწყობას. ბარში რომ შევედი, ლურჯი თავსაფარი ვიცანი და მის სახეს დავაკვირდი — მშვენიერი სახე აქვს, ოცდაათს გადაცილებული იქნება, უჩვეულო სახე აქვს, მაგრამ შეწუხებული,

ვიქნები თუნდაც განტენა

ქმის არაფერს ჭამს. დესერტს აღარ უცდის, ჩვენ თავს ვუქნევთ, მიდის და ხელჩანთა რჩება. ახალგაზრდა კაცი ჩანთას აწვდის. ნამდვილი ჯენტლმენია. მისი კბილები, გაღიმებისას რომ მოუჩანს, მისი კეფა, მისი მიხრა-მოხრა, დარბაზი რომ გაიარა... ვაშლს ვთლი და თვალით ვაცილებ...

ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო ლილა.

(ლილა უცხო თვალით).

ბარში მამაკაცები მის შემოსვლაზე იჯგიმებიან, რომ თავისუფლად გაატარონ თავიანთ შორის. ყველა წითელი ტაბურეტი უკვე დაკავებულია და მე ვდგები. ოღონდ არაფერს ვეუბნები და ისიც ისე ჯდება, რომ თავს არ მიქნევს. მე მესმის მისი ზიზღი მამაკაცებისადმი და ღამის საცქერლად გემბანზე გავდივარ...

გიბრალტარი: ღუზა ყურეში ჩავუშვით და რამდენიმე საათია ვდგავართ ცნობილი კლდის პირდაპირ. ჩვენს ირგვლივ ტალღებზე კარჭაპები ირწევიან, ვაჭრები მაროკოულ ხალიჩებს გვთავაზობენ, ისმის ყვირილი, გემბანზე თოკს ისვრიან, თოკს მოქაჩავ და შენს დოლარებს კალათაში ჩააწყობ, ქარია, მაგრამ ყველა გემბანზეა გამოფენილი, ჩვენც აქა ვართ, ლურჯთავსაფრიანი ქალი და მე, ხელები ჯიბეებში მიწყვია, არ ვიცი, როგორ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს — ყოველ შემთხვევაში, არც შორიდან მოგვივლია და არც ასეთი კითხვა დაგვისვამს: პირველად მგზავრობთ ატლანტის ოკეანეზე?.. არც ლილა (ვთქვათ, ეს ლილაა) ყიდულობს სამახსოვროებს, მხოლოდ ვაჭრობას უყურებს, ხელები ნატის პიჯაკის ჯიბეებში უწყვია. გამოცოცხლებულია, თოლიასავით მსუბუქია და ფარატინა.

— დიახ, — ვეუბნები მე, — აქ აღარავინ ამოვა.

გერმანულად ვლაპარაკობთ.

— ნეტავ მაცოდინა, ეს თოლიები ისევ ისინი არიან თუ არა, ნეაპოლში რომ აგვედევნენ, — ვამბობ მე.

მას, ეტყობა, სხვა დარდი აწუხებს.

— ჩვენს სუფრასთან რომ ახალგაზრდა კაცი ზის, — განვაგრძობ მე, რომ საუბარი არ გაწყდეს, — ის ამტკიცებს, ეს ის თოლიები არიან და ამერიკამდე მიგვაცილებენო.

პაუზა ჩამოვარდა, რადგან თოლიებზე მეტი ვეღარაფერი მოვიფიქრე და ჩიბუხი გამოვბერტყე...

სულ ეს იყო ჩვენი საუბარი!

ფეხები თეთრ, მოძაგძაგე მოაჯირზე მიწყვია, ატლანტის ოკეანე ჩემს ფეხსაცმელებს შორის მოჩანს, შეზლონგზე ვზივარ და იმ პატარა წიგნსაც ვეღარ ვუდებ გულს ამ ლურჯი უსაქმურობის უდროჟამო დინებაში. ბარში შესვლაც არ მინდა, ისიც ბარში იქნება და იმიტომ...

ჩვენ არაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი.

სამწუხაროდ, იგი ჭადრაკს არ თამაშობს.

როგორც კი წარმოვიდგენ, რომ ეს ქალი ლილაა, ან ჩემს თავს ჩავეკითხები თუ არა, ლილა ამ ქალისნაირი თუ შეიძლებოდა ყოფილიყო-მეთქი, უცნაური რამ ხდება: წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის იგი, ისიც ვიცი, რომ ამაზე წარმოდგენა არა მაქვს და მაინც ნელ-ნელა ვხვდები, გულში რა დარდს იკლავს.

ასეთი ქალი სიყვარულისთვისაა გაჩენილი.

დარწმუნებული ვარ: ამ სახის პატრონი არამცთუ ვისკის ჭიქებს არ და-

ლეწავს, არამედ იმასაც შესძლებს, რაც საპირისპირო შემთხვევაში სვობოდამ ვერ შესძლო: იგი მამაკაცს ცხოვრებას უადვილებს, არ დაანახვებს, ღამეებს ტირილში რომ ათენებს და ისიც ვერ მიხვდება თავის ბედნიერებას ვის უნდა უმადლოდეს. ასეთი ქალი არც მამაკაცივით შეურაცხყოფილი დარჩება და არც ლაპარაკით მოიფხანს ენას. ვინც იმ ხანებში შეხვედრია, ვერაფერი შეუტყვია მისთვის. განა მამაკაცი ოდესმე შესძლებს ამას? იგი ასრულებს იმ მოვალეობას, რასაც ის სხვა უტოვებს, ასრულებს ცოლ-ქმრული ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებებს, ოდნავ უშნოვდება, მაგრამ ამითაც ცხოვრებას უიოლებს ქმარს. მას არ სჯერა, რომ ყოველგვარი სიყვარული წარმავალია, მას საოცრებისა სჯერა. ქმარს არ ემუქრება, დამკარგავო; მეორეხარისხოვან როლს სწავლობს. მისი დიდსულოვნება გამომძალველობას არ დაემსგავსება. იგი პატივს სცემს ქმარს. მხოლოდ იმიტომ, რომ მის ქმარს სხვა უყვარს, იმ სხვას არ გალანძღავს. არც მიზეზებს იძიებს და არც გესლს ანთხევს, არც გუნებას მოუშხამავს ქმარს, თუკი მას თვითონ ეყოფა ძალა გამხიარულდეს, ხოლო, როცა ქმარი თავის სამუშაოზე ელაპარაკება, ისე უსმენს, თითქოს ამქვეყნად ამაზე მთავარი არა იყოს რა. იგი საშუალებას აძლევს ქმარს, სასურველი გამოჩნდეს. ოღონდ აბაზანაში არ დაენახვება, შიშველი არ დაენახვება. იცის, რომ არსებობს სხვა და არ სურს იცოდეს ის წვრილმანები, რაც მას არ ეხება. პოულობს სხვის სავარცხლებს და უსიტყვოდ ყრის. საზოგადოებაში სამივენი ერთად გამოდიან. იგი ძუნწი არ არის. იმ სხვას, როგორც მასზე უფრო ბედნიერ დას, ისე ელაპარაკება და მისით აღტაცებას არა მალავს...

დიდებული ქალია.

ვითომ სვობოდამ არ იცის ეს?

სვობოდას შეხედულებანი: ბუნებრივი განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის, რომელსაც ვერავითარი თანასწორუფლებიანობა ვერ დასძლევს, ის არის, რომ ფიზიკური სიახლოვისას მუდამ მამაკაცი მოქმედებს. იგი თავის თავს არ ღალატობს და ეს იცის ქალმა. ქალი იცნობს მას და სულაც არ უნდა იცოდეს ის, რასაც შეუძლია ისედაც მიხვდეს. მამაკაცმა კი პირიქით, არასოდეს არ იცის, ქალი რომ მიატოვებს, სხვასთან როგორი იქნება. ამის გამოცნობა მამაკაცს უბრალოდ არ შეუძლია. ქალს შეგუების საშინელი, თითქმის უსაზღვრო უნარი გააჩნია და როცა სხვისგან ბრუნდება, იგივე აღარ არის. სხვასთან ურთიერთობა თუ კარგა ხანს გაგრძელდა, ეს ქალის სულიერ ინტერესებსაც დაეტყობა, შეხედულებებსაც და განსჯასაც. იმიტომ, რომ ქალმა თუ გაიწია, მამაკაცზე გაცილებით ღრმად შესტოპავს, ხოლო თუ უკან დაბრუნდა, იძულებული იქნება ითვალთმაქცოს უბრალო საუბარშიც კი. ამიტომ სურს მამაკაცს იცოდეს ის, რაც მას არ ეხება. გემოვნებიანი ქალი ამას არასოდეს გაუმხელს მამაკაცს, მამაკაცი კი თუ შემთხვევა მიეცა, სიამოვნებით შეაწყენს ხოლმე ქალს ტრაბახით თავს, აქაოდა სულ სხვანაირი ალერსიც შემიძლიაო. ამაზეა დამყარებული გონიერი ქალის დიდსულოვნება, მისი აუტანელი დიდსულოვნება, რაც ჩვენს შეზღუდულობას გვახსენებს ხოლმე.

ასე ფიქრობს სვობოდა.

— აი, უკვე აქა ვართ! — ვეუბნები ქალს და წითელ ალამს ვუჩვენებ, რომელსაც ყოველ დილით ამაგრებენ ხოლმე ატლანტის ოკეანის უზარმაზარ რუკაზე. ეს ალმები გვიჩვენებენ მერიდიანებით დაქსელილ ლურჯ სიცარიელეში ჩვენს ადგილ-სამყოფელს. — ხედავთ, როგორ მივიწევთ წინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს ხუთშაბათია, არა?

— დიახ, — ვპასუხობ მე.

— დიახ, — პასუხობს ის ახალგაზრდა კაციც, კანადა აქამდე საფიცრად რომ ჰქონდა გამხდარი, — რა საწყენია, რომ ზეგ უკვე ჩავდივართ.

ორივეს მარტო ვტოვებ.

ჩემს შეზლონგზე ვზივარ, ფეხები მოძაგძაგე მოაჯირზე მიწყვია და მზის სათვალით სწორედ იმ ჯიბის ფორმატის წიგნს ვკითხულობ, მას რომ მოეწონებოდა. ეს გახლავთ ერთი კაცის ამბავი, რომელსაც ატავიზმის ნიშანწყალი არ ეტყობა. ახლა სწორედ ერთ საინტერესო თავს ვკითხულობ, სადაც ეს კაცი, რომელმაც უკვე ას ორმოცდაათ გვერდზე მეტია იცის, რომ საყვარელმა ქალმა ღამე სხვასთან გაათია, საუზმეს აწყობს სამი კაცისათვის. მადისაღმძვრელია არა მარტო საჭმელ-სასმელი: სუფრაზე აწყვია შაშხიანი ერბოკვერცხი, ნაირ-ნაირი ყველი, შავი პური, ხილი, ყველაფერი მადისაღმძვრელადაა აღწერილი, მაგრამ არანაკლებ მადისაღმძვრელია სამთა საუბარი, საუბრობენ ენამოსწრებულად, ყოველგვარი კინკლაობისა და მანჭვა-გრეხის გარეშე, არც ნართაულებს ეუბნებიან ერთმანეთს და არც ისეთ ფაქტებს იმოწმებენ, საბუთად მოშველიების წყალობით თავისთავად სარწმუნო რომ გამოდიან. ჰოდა, მეც მაინტერესებს რა მოხდება შემდეგ...

სამწუხაროდ, ზღვა ღელავს.

უკანასკნელის წინა სადილი: ჩვენს ახალგაზრდა წყვილს დღითი დღე ელევა ერთმანეთთან სალაპარაკო, ეს განსაკუთრებით მამაკაცს ეტყობა, აღარც კი ჰგონია, თავის ახალგაზრდა ცოლს, რომელსაც კანადაში უკრა თავი, რაიმე თუ შეეძლება ჰქონდეს სათქმელი...

ნაშუადღევია: მე ვკითხულობ, მაინტერესებს რა ხდება ჩემს ჯიბის ფორმატის წიგნში, ხანდახან გვერდებს ვახტები, არ ვიცი, რა მოუთმენლობა შემეყარა. ვუყურებ, თოლიები თუ მოგვყვებიან კიდევ, იგივე თოლიები თუ მოგვყვებიან. ცუდი მკითხველი ვარ: ჩემი ფიქრები გემს ადევნებულ თოლიებს ჰგვანან, ისინი მისდევენ და მისდევენ გემს, უეცრად გზიდან გადაუხვევენ და ღია ზღვაში გაინავარდებენ, შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებიან, წინ გვისწრებენ, იგივე თოლიები არიან, ხან უკან რჩებიან, ისევე როგორც ჩემი ფიქრები ჩამორჩება ხოლმე წასაკითხ ამბავს, რომელიც შეუჩერებლივ, აფრაგაშლილი მიექანება წინ.

ერთხელ დავინახე, პინგ-პონგს თამაშობდნენ.

ეტყობა, ჯერ კიდევ არ არსებობს საღებავი, ამ მლაშე წყლით გაჟღენთილ ჰაერს რომ უძლებდეს. სამი მეზღვაური, ნეაპოლიდან მოყოლებული ნიუ-იორკამდე, გამუდმებით ღებავს მოძაგძაგე მოაჯირებს, შემდეგ ხელახლა უბრუნდებიან შეღებილს, თითქოს ყველაფერ თეთრს განუკურნებელი ყვავილი შეჰყროდეს, ამწე ონკანები და ჯალამბრები, კიბეები, სტვენია საევნტილაციო მილები, ყველაფერი, რასაც კი თეთრი ფერი აქვს, დახეთქილი გეგონება, მათ ხელახლა ღებავენ, მაგრამ ისევ აჩნდებათ მოყვითალო და ყავისფერი ჟანგის ლაქები...

უკანასკნელის წინა საღამო: ისინი ცეკვავენ, ის ქალი, ლილა რომ შეიძლებოდა ყოფილიყო, და ახალგაზრდა ინჟინერი. ამაოდ ვცდილობ აღვწერო მისი სახე, ინჟინრის მხარს ზემოთ რომ მოჩანს. ქუთუთოების ერთი დახრა კმარა, ახლოს ან შორს ერთი გახედვა, თმის გადასაწევად ხელის ერთი მოძრა-

ობა, შემდეგ ერთი გაცინება, ერთი შემობრუნება ჩემსკენ, მერე პროფილში დადგომა, შუქის მცირე ცვალებადობა, ერთი გადასვლა სიცილიდან დუმილზე, შუბლის ერთი შეჭმუხვნა კმარა, რომ ჩემი ნაგროვები ყველა ეპითეტი უბრალოდ ჩამოსცვივდეს სახიდან...

მივდივარ დასაძინებლად.

უკანასკნელი ნაშუადღევი: ჩემი ჯიბის ფორმატის წიგნი დავამთავრე და სხვა არც არაფერი გამიკეთებია ამ გაგრძელებულ მოკლე დღეებში, ხეირიანად არც კი მისაუბრია ვინმესთან, საჩემოც არაფერი მომსვლია თავში, არც წარსული მომიგონებია და არც მომავლის გეგმები დამიწყვია. ნახევარი დღე ნამდვილად ისე გადის, რომ არც არავისზე ვფიქრობ, არც საკუთარი თავი მახსენდება და ამით ვტკბები. ფეხები მოძაგძაგე მოაჯირზე მიწყვია, ახლა აღარც ვკითხულობ, მაგრამ არც მძინავს, ამ წუთში სწორედ ახალგაზრდა მეუღლეს ვხედავ, რომელიც თავის ინჟინერს დაეძებს. დიახ, ვნახე საცურაო აუზში, მაგრამ ახლა იქ აღარ უნდა იყოს. არა მგონია, ის ორნი ზღვაში გადაცვენილიყვნენ, რაკი კაცი ინჟინერია, სამანქანო განყოფილებას თუ ათვალიერებენ. გემი ნამდვილი ლაბირინთია...

უკანასკნელი საღამო: იგი სუფრასთან არ გამოჩენილა.

მე თავგამოდებით ვლაპარაკობ (ჯერ ერთი, არ მინდა, დუმილით ჩვენი თანამესუფრის არყოფნას გავუსვა ხაზი, მერე იმიტომაც, რომ ინჟინრის ახალგაზრდა ცოლი გაქვავებულივით ზის და სდუმს), ეს თემა ასე ძალიან როდი მაინტერესებს, მაგრამ მაინც თავგამოდებით ველაპარაკები ახალგაზრდა ინჟინერს, რომელიც სხვათა შორის, ზღვაში არ გადავარდნილა. ვესაუბრები, საზელდობრ, გამუდმებით მოძაგძაგე მოაჯირზე, ვიბრაციის პრობლემაზე. ვიბრაციის პრობლემა, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი.

შუაღამე გემბანზე. ვარსკვლავები. ქარი.

ამერიკელ მღვდელს ვესაუბრები და თან გემის ცხვირიდან კიჩომდე და კიჩოდან ცხვირამდე ვკეცავ მანძილს, მივაბიჯებ მისი აფრიალებული შავი სერთუკის გვერდით და თავს ვაქნევ, როცა გემბანზე გამოსული წყვილი გრძნობს, რომ ვიცანი...

უკანასკნელი დილა: ბორტზე ლოცმანი ამოდის, რეპროდუქტორები სამ ენაზე სთხოვენ მგზავრებს, კაიუტებიდან გამობრძანდითო და ასე შემდეგ. ტალანებში აურზაურია, ხალხი ჭიანჭველების დაქსაქსული გუნდივით დაფუსფუსებს, მგზავრებს პალტოები აცვიათ, ჩემოდნები ერთი მეორეზეა დახერგილი, აქვეა გემის მომსახურე პერსონალი, თეთრეული აკრეფილია, „არყის ფული“ დარიგებული, სალონში გაჩნდნენ აშშ-ს ოფიცრები, ისინი მშვიდად სხედან და საქმიანად სინჯავენ პასპორტებს, უფრო მეტიც, რენტგენის სურათებსაც კი უკირკიტებენ, აცრის დამადასტურებელ ცნობებს ხომ სინჯავენ და სინჯავენ, ეს ამბავი კარგა ხანს გრძელდება, ყველა მგზავრს უკანასკნელად სთხოვენ გამობრძანდნენ კაიუტებიდან. ტალანში თეთრეულის ფუთები აწყვია... მე ვფიქრობ: იმედია ჩემოდნები და ჩანთები ჩალაგებული ექნება! ალბათ ახლა თავის კაიუტაში ზის და თმას ივარცხნის, სანამ თავზე ლურჯ თავსაფარს წაიკრავდეს. (ნეტავ რაზე ვიტეხ თავს? პასპორტი და აცრის ცნობა ხელში მიჭირავს, ჩემს რიგს ველოდები და კმაყოფილი ვარ, რომ ამჯერად არავინა მყავს მისახედი...).

ის ქალი შეიძლებოდა ლილა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ აღარ მინახავს.

ლილა უცხო თვალით: მისი სახე სარკეში. ყელი მოუღერებია და თმას ისე ივარცხნის, მერე სარკეს შეაბრუნებს, თმას ზევით აიწევს და კეფა და შიშველი ყური გამოუჩნდება. თმა გაშლილი აქვს, შემდეგ გაშლილ თმას ძირს დაუშვებს, ხშირი თმა ჩანჩქერივით ეცემა მხრებზე, თმას უკან გადაიყრის. ტალანიდან ესმის რეპროდუქტორის ხმა. ორივე ხელის თითებით ღაწვებს და საფეთქლებს იზელს, შემდეგ თითებს ყურებს უკან მშრალი თმის ქვეშ შეიცურებს, თითებზე კრემი აცხია, გრძნობს თავის სალუქ კანს, ლოყები რბილი აქვს და ელასტიური, თითებს ნიკაპზე ისვამს, შემდეგ კვლავ ზევით აუყვება საფეთქლებისკენ, სადაც სახე მაგარია, მერე თითები მკვრივ, მაგრამ ნაზ ცხვირს და ნატიფ ნესტოებს ელამუნება, კრემს იცხებს და თან ილუმინატორთან მომდგარ წყალს ზემოთ ნაპირს გასცქერის — ფაირ-აილენდია ალბათ — შემდეგ სარკეში კვლავ მოჩანს მისი სახე. ჩერდება: ძნელია საკუთარ თავს ერთდროულად ორთავ თვალში ჩახედო: ქვავდება საკუთარი მზერის წინაშე, რომელიც სულ ახლოს მოჩანს შუშის მიღმა. სხვა ყველაფერი შუშის მიღმა რჩება, მისი შუბლი, მისი ფერმკრთალი ტუჩები და მისი წამწამები, ჯაგრისით რომ იღებავს. ამას დროს მიაქვს, თვალებქვეშ სიფრიფანა აბრეშუმის ქაღალდივით უბზინავს გამჭვირვალე და სათუთი კანი, რომელსაც შემოდგომის სველი ფოთოლივით მოცისფრო-მოყავისფრო ფერი ადევს, პუდრს ისვამს, ამას დრო მიაქვს, შემდეგ თმას ივარცხნის, ამასობაში ნაპირი ახლოვდება, სარჭი ტუჩებით უჭირავს, ნაპირზე ხეები და ბარაკები თითქოს ნელ-ნელა მისრიალებენ, ხანგამოშვებით ტივტივა მოჩანს, თმის ვარცხნაც დიდხანს გრძელდება, ტალანში აღარ გაისმის რეპროდუქტორის ხმა, პირიდან სარჭს იღებს და ტუჩებს იღებავს, ტუჩებს სადაფივით თეთრად მოელვარე კბილებს ზემოთ ბურცავს, რბილ, სავსე, ნაზ და თან ღონიერ ტუჩებს ხან წელავს, ხან ამრგვალებს და ერთმანეთს აჭერს, რომ ფაქიზი ხაზი შემოავლოს ირგვლივ, სარკისაკენ იხრება, რომ უკეთ დაინახოს თავისი ბაგე, გახლეჩილი ჭერამივით სველი ბაგე, შემდეგ ტუჩებს ერთმანეთს შეაწებებს, რათა თანაბრად განაწილდეს ფერი, პომადას ხურავს, ისევ უყურებს სარკეში ტუჩებს, ოდნავ აღებს პირს, მაგრამ უხმოდ, უკვე დროა, ისმის ღუზის ჯაჭვების ჟღრიალი, დროა შემოიკრას ლურჯი თავსაფარი, ეგებ გარეთ ქარი უბერავდეს, გემი, ეტყობა, აღარ სრიალებს. ისევ მოისმის ღუზის ჯაჭვების ჟღრიალი, არაფერი არ ავიწყდება, რადგან მარტოა და ირგვლივ ყურადღებით იხედება. სარკეში მისი სხეული მოჩანს: ასეთს ხედავს მის სხეულს მამაკაცი, ასე ევლება მის სხეულს უცხო თვალი, იგი მამაკაცზე არ ფიქრობს, ისე იხვევს დავარცხნილ თმაზე ლურჯ თავსაფარს, მის სხეულს უკვე დაავიწყდა იგი, თავსაფარს ნიკაპქვეშ იკრავს, მზად არის იმისათვის, რომ თხუთმეტიოდე წუთში ნაპირზე შეეგებონ დაუეჭვებელი ხელებით, თვალებითა და კოცნით...

ვითომ ასე ხდება ყველაფერი?

ეს სვობოდა ხედავს ამ ამბავს ასე.

ვდგავარ მოაჯირთან, ხელები ჯიბეებში მიწყვია, ბაგირებს ნაპირისაკენ ისვრიან, გემბანზე თითქმის მარტო მეღა დავრჩი, ყველა გასასვლელს მისევია, ჩამოსვლის ციებ-ცხელებაა, გრილი დილაა, ნისლში ჰორიზონტი იკვეთება.

განა მე სვობოდა ვარ?

განტენბაინის გამოცდას ბოლო აღარ უჩანს: წყალში დავტყაპუნებ, ბინაში მარტო ვარ, წყალი ლაპლაპებს, ლივლივებს, ფეხის ყოველ გადადგმაზე იტალღება, დგაფუნებს, ჩვენი უშველებელი დერეფნის მთელ სიგრძეზე წყალი დგას, მშვენივრად მესმის, რომ აქ ბრმის როლის თამაში ვერაფერს მიშველის — სადაც არ უნდა გახვიდე, ყველგან წყალი ჭყაპუნებს და დგაფუნებს, სასტუმრო ოთახშიც გასულა წყალი, ოთახიდან ოთახში გასულა, შიგ ფანჯრიდან შემოჭრილი სინათლე ირეკლება, წყალი ნელთბილია... პირველი შემთხვევა არ არის, ლილა დაგვიანების შიშით რომ ჩქარობს და შხაპის გადაკეტვა ავიწყდება, მაგრამ განტენბაინს კი პირველად მოუვიდა, დროზე რომ ვერ შენიშნა ეს... ამგვარად, მე წყალში დავტყაპუნებ, ლილა კი ამ დროს სცენაზე დგას. მესმის: ალბათ თავის როლზე ფიქრობდა იმ წუთში. ღმერთმა ხელი მოუმართოს, ვლოცავ გულში. იქნებ სჯობდეს, შხაპი გადავკეტო? ეს განტენბაინს ხშირად უქნია, ისე რომ სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ დღეს ძალიან დააგვიანდა. ამჯერად ლილა მიხვდება ვინ გადაკეტა შხაპი და მე თავს გავცემ. რა ვქნა? პალტოგაუხდელი, ქუდმოუხდელი უმწეოდ ვდგავარ დატბორილ ბინაში. ეს იმის ბრალია, რომ განტენბაინს როლიდან გამოსვლის შიშით არასოდეს დაუძრავს ამაზე სიტყვა. იქნებ სჯობდეს შხაპს თავი დავანებო, სარწეველაში ჩავჯდე და ფეხები მაგიდაზე შევაწყო. განა ასე უფრო არ დაიჯერებენ, რომ განტენბაინი ბრმაა და წყალდიდობას ვერ შეამჩნევდა? ეს გადაწყვეტილება ძვირი დამიჯდება — პარკეტი აიბურცება. თან ლილა სანამ მოვიდოდეს, შუაღამეც დადგება და ამასობაში ქვედა სართულის მობინადრენიც ატეხენ განგაშს. იქნებ სჯობდეს განტენბაინი ადგეს და გავიდეს სახლიდან? აივნის ზღურბლზე მაღლა წყალი არ აიწევს. მე მგონი, არსებობს ერთადერთი გამოსავალი: შხაპი კვლავ უნდა მოვუშვა და ისე უნდა ჩამოვკიდო, რომ წყალი აბაზანის კიდეზე ჩამოწანწკარებდეს, მერე კი სახლიდან გავიდე. რა მიშლის ხელს ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში? საქმის პედაგოგიური მხარე. უკვე მზად ვარ გარეთ გასასვლელად და ვხედავ წყლის ჭირვეული ნაკადი როგორ ნელ-ნელა ეპარება წიგნებსა და ფირფიტებს, იატაკზე რომ არ უნდა ეყაროს, მაგრამ ყრია. გულმა ვეღარ გამიძლო და წიგნები და ფირფიტები გადავარჩინე, გადავარჩინე მისი აბრეშუმის მაშიებიც და ფარდებიც, რომლებსაც უკვე შესდგომოდა ოსმოსი. განა შეუძლია ბრმას ასე იმოქმედოს? შხაპის გადაკეტვა კიდევ შეიძლება აიხსნას: განტენბაინიც იგრძნობს, ფეხი რომ დაუსველდება და იმასაც გაიგონებს, წყლის ხმა საიდან ისმის. მაგრამ წიგნებისა და ფირფიტების გადარჩენა როგორღა ავხსნათ? და აი, ვდგავარ, წიგნები და ფირფიტები უკვე სამშვიდობოს გავიტანე, ვდგავარ ფეხშიშველა და ვხვდები, რომ წყლის კვალიც უნდა მოვსპო, თორემ გამცემს, თან დაუყოვნებლივ უნდა შევუდგე საქმეს, რომ იატაკმა ლილას დაბრუნებამდე გაშრობაც მოასწროს. ხაოიანი პირსახოცი თუ არ ჩაერია საქმეში, წყევლა-კრულვა ვერაფერს მიშველის. პირსახოცს ფრთხილად ვაფენ პარკეტზე, რომ წყალი არ ავატალღო და ეს პატარა წარღვნა მთელ ბინას არ მოედოს, შემდეგ გაჟღენთვას ვაცლი და აბაზანაში ვწურავ. თითო გამოწურვაზე მეოთხედი ლიტრი წყალი გამოდის, მეტი არა, და ასე დავრბივარ აქეთ-იქით ფეხშიშველი. ჯერ ვერაფერ შედეგს ვერ ვხედავ, ჯერ ისევ ლაპლაპებს და დგაფუნებს წყალი. საათ-ნახევარში საქმეს მოვრჩი, პირველ სიგარეტს ვეწევი და საათს ვუყურებ: ახლა ლილა მესამე მოქმედებას თამაშობს. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ხალიჩებს რაღა ვუყო? ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწამაწიაში დამბალი ხალიჩები აღარ გამხსენებია. უილაჯობისაგან ოფლს მასხამს. მეტი რა გზა მაქვს, ახლა ხალიჩებს უნდა მივდგე. განტენბაინის ჯავრს ხალიჩებზე ვიყრი, იატაკზე ვიჩოქებ, ხალიჩებს ვაგორგლებ და ვწურავ, რაც ძალა და ღონე მაქვს. პაჩი ძალიან გაამხიარულა ამ ამბავმა. ჯერ მხოლოდ ხალიჩებიდან გამონაწურ მღვრიე წყალს ვხედავ მთელ ბინაში, პაჩის თათების კვალს კი ვერა. ერთი საათის შემდეგ ხალიჩებს წყალი აღარ გამოსდის. რა თქმა უნდა, ხალიჩები ჯერ არ გამშრალა, მაგრამ დანარჩენს ორპირ ქარს ვანდობ — ვაღებ ყველა ფანჯარას და შემდეგ ერთ კათხა ლუდს ვსვამ. შუაღამემდე კიდევ ერთი საათია დარჩენილი! სარწეველაში ვჯდები ქანცგაწყვეტილი და ჩემს თავს ვეკითხები, სწორად მოვიქეცი თუ არა, მაგრამ ფიქრისთვის ვეღარ ვიცლი — მხოლოდ ახლა დავინახე, პაჩს ამასობაში ჭუჭყიანი თათებით როგორ დაუტყაპნია მთელი ბინა. ეს კი ხაოიანი პირსახოცით კიდევ ერთ შემოვლას და შემდეგ აბაზანის გარეცხვას მოითხოვს. საბედნიეროდ, ლილა იგვიანებს და ხალიჩებს გასაშრობად დრო მეტი რჩება. ალბათ მისი ხელოვნების რომელიმე თაყვანისმცემელს შეხვდა და ამ ამბავმა შეიძლება სამ საათამდეც გასტანოს. ახლა შუაღამეა. ხელს ვადებ ხალიჩას. მხოლოდ იმის იმედი შემიძლია ვიქონიო, რომ ზიბენჰაგენთანაც შეივლიან. ამასობაში ოთხი საათიც გახდება. ხალიჩები მაინც არ გაშრება, მაგრამ ლილას მაშინვე მუხლებზე დავისვამ და ფეხს იატაკზე არ დავაკარებინებ. იგი შემეკითხება, მთელი საღამო რას აკეთებდიო.

ვმუშაობდი-მეთქი, ვეტყვი მე.

ლილას გაეხარდება.

მე გავიღიმებ.

მაგრამ მეორე დილით (მხოლოდ ახლა მომაგონდა!) რას ემგვანება პარკეტი! რუხი იქნება, გადათეთრებული და დალაქული. არ ვიცი, განტენბაინი როგორ ახსნის ამ ამბავს. ისევ უმწეოდ ვიგრძენი თავი. პარკეტი გამცემს. ამას არაფერი ეშველება. მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს. ხელახლა ვიკეთებ ჰალსტუხს, თუმცა არა, ჯერ სუფთა პერანგს ვიცვამ, შემდეგ ჰალსტუხს ვიკეთებ, შემდეგ შხაპს ვუშვებ და ისე ვაყენებ, რომ წყალი აბაზანის გარეთ იღვრებოდეს. წყალდიდობა რომ დაიწყო, წიგნები და ფირფიტები ისევ იატაკზე დავყარე, შემდეგ ჩემი პიჯაკი და შავი ხელჯოხი ავიღე და ქუჩაში გამოვედი.

მერე?

ლილა წყალდიდობას ხედავს, მაგრამ მაინც ვერ დაუჯერებია, რომ მას დარჩა შხაპი. ეს მხოლოდ ჩემი ბრალი შეიძლება იყოს. ასეთი რამ არასოდეს არ მომსვლიაო. განტენბაინი ვერ ეკამათება.

იქნებ ბრიყვია განტენბაინი?

განტენბაინი მამის როლში:

უღროს ექთანს იგი თეთრ პაწაწინა საწოლთან მიჰყავს. ვერ გაუგია, ბრმას რაში სჭირდება ბავშვის ნახვა, მაგრამ თან იმასაც გრძნობს, რა საცოდაობაა, მამა ვერასოდეს რომ ვერ დაინახავს შვილს, თავის სიცოცხლეში რომ ვერ დაინახავს. იგი მკაცრად აფრთხილებს განტენბაინს, ჩვილს ხელი არ შეახოს, მით უმეტეს, არ აკოცოს და ბავშვს თეთრ საბურავს ხდის. განტენბაინს თვალთმაქცობა არ სჭირდება: არაჩვეულებრივს და განსაკუთრებულს ვერაფერს ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავს. ნამდვილად დიადი წამია, მაგრამ არა თვალისათვის. ისტორიული წამია. აი, რას ხედავს იგი: ჩვილს. რასაც უფროსი ექთანი დამატებით ეუბნება, იმას განტენბაინი ვერ ხედავს. ეს ჩვილი არაფრით გამოირჩევა სხვა ათასობით ჩვილისაგან. ასეც მოელოდა, უფრო სწორად, სხვას არც არაფერს მოელოდა. იგი სდუმს. განტენბაინს თვალთმაქცობა არ სჭირდება. პირველმა შეხვედრამ გაუმართლა. უხარია, რომ ლილამ მშობიაობა კარგად გადაიტანა. შემაძრწუნებელი იყო მისი კივილი. ახლა კი საწოლში წევს, თმის ღერები ერთმანეთს შესწებებია, სახე გაფითრებული აქვს, მაგრამ იღიმება და განტენბაინს ხელში მისი ნოტიო ხელი უჭირავს.

დე ბავშვი გოგონა იყოს.

შემდეგ განტენბაინი მარტო მიდის ქუჩაში და შავ ხელჯოხს მიაკაკუნებს, პაჩი უკან მიჰყვება, პაჩს არაფერი გაუგია. განტენბაინი ქალაქის პარკში ჩამოჯდება მერხზე და პირველი მამობრივი დარდი შემოაწვება: ვაითუ ჩვილი დაბანისას, აწონვისას ან შეხვევისას სხვა ჩვილში შეეცვალოთ. თვითონ, როგორც ვთქვით, ბავშვს სხვებში ვერც გამოარჩევდა. აფორიაქებული ისევ საავადმყოფოში ბრუნდება. ჩვილი უნდა ნახოს. უარის გაგონებაც არ უნდა, საავადმყოფოს რეჟიმის რა მცოდნიაო. ყვითელსამკლავურიანი კაცისათვის საკმაოდ უცნაური ჩანს ეს სურვილი, მაგრამ უარს მაინც ვერ ეუბნებიან. ლილას სძინავს და ფეხის წვერებზე უნდა იაროს, ხოლო უფროს ექთანს მართლა უჩუყდება გული, როცა ხედავს ბატონი განტენბაინი, ბრმა მამა, ათი წუთი მაინც როგორ დგას პაწაწინა თეთრ საწოლთან. რა თქმა უნდა, ექთანს არ ეკითხება, ეს ნამდვილად ჩემი შვილია თუ არაო. ასეთ შეკითხვას ცუდად გაუგებენ. გარეთ, დერეფანში, სადაც უამრავი ჩვილი უწვენიათ, უფროს ექთანს ხელკავით მიჰყავს განტენბაინი. განტენბაინს თავი მართლა ბრმა ჰგონია. ასე ბრმად არასდროს უგრძვნია თავი. ქუჩაში ისე გამოვიდა, დარდი არ განელებია, პაჩი წინ მიუძღვება. განტენბაინი ბარში შედის, რომ ერთი ალუბლის ნაყენი გადაჰკრას და გონს მოვიდეს. გონს მოსვლა კი იმას ნიშნავს, რომ ამ ამბავს დაიჯერებს და სტამბაში წავა, ოღონდ ჯერ ბრმის სათვალეს და ყვითელ სამკლავურს მოიხსნის, რადგან მისთვის სულერთი სულაც არ არის, შრიფტი როგორი იქნება. ნიმუში კარგად უნდა დაათვალიეროს, სანამ სასიხარულო განცხადებას დააბეჭდვინებდეს:

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე

მშვენიერი სახელია...

ბეატრიჩე განტენბაინი არც ისე ლამაზად ჟღერს, მაგრამ ამას არაფერი ეშველება, სხვა არჩევანი არ არის. რა გვარისაც არ უნდა იყოს, მამა მაინც მამაა.

წარმომიდგენია:

ამ სასიხარულო განცხადების წამკითხველთაგან ზოგს სჯერა, რომ ბავშვი ნამდვილად განტენბაინისაა, სხვებს ეჭვი ეპარებათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობენ: ბოლოს და ბოლოს, რა მათი საქმეა. ისინი ლილას თაყვანს სცემენ, განტენბაინი მოსწონთ, ორივეს ულოცავენ, ყვავილებიც მოაქვთ. არწმუნებენ განტენბაინს, ბავშვი ძალიან გგავსო. იგი ხომ ბავშვს ვერ ხედავს. ზედგამოჭრილი მამაა, ამბობს ყველა. საბავშვო ეტლთან რაღაც ხომ უნდა სთქვას კაცმა და ლილას უხარია, ამას რომ ამბობენ. მით უმეტეს, რომ თვითონაც ასე ფიქრობს...

წარმომიდგენია:

გადის დრო და აი, განტენბაინს უკვე ხელიხელჩაკიდებული გამოჰყავს ბავშვი და არავინ იცის, ვის ვინ მიჰყავს, მთავარია, რომ საბარგო მანქანა არ დაეჯახოთ ქუჩაში ბრმა მამასთან ერთად გამოსულ ბავშვს და განტენბაინს, რომელსაც ლილას შვილი მიჰყავს თუ თვითონ მიჰყვება ლილას შვილს. განტენბაინი ნაყინს ყიდულობს ბავშვისათვის და ზოოპარკში ბაჯბაჯა დათვებს უჩვენებს. დათვები წინა თათებით მათხოვრობენ, ხოლო უკანა თათებზე ცეკვავენ, სანამ სტაფილოს გადაუგდებდეს ვინმე და ბრმა განტენბაინი (როგორც მამიკოს შეეფერება) სტაფილოს სროლაში სხვაზე მეტ სიმარჯვეს იჩენს...

წარმომიდგენია:

ბეატრიჩესთან ერთად გაიზრდება მისი შიშიც, რომ ბავშვი ერთ მშვენიერ დღეს მიუხვდება თვალთმაქცობას, საბოლოოდ ჩამოხსნის ნიღაბს და აღარც უფროსების წინ დაანებებს ბრმის როლის თამაშს, თუმცა უფროსებს ხელს აძლევთ მისი სიბრმავე...

რამდენ ხანს მიჰყვება საერთოდ ბავშვს რწმენა?

ოდესღაც, ჩემი მეგობრების წრეში, ერთ ბავშვს ვიცნობდი. მუხლებზე დასმას ვერ მოასწრებდი, რომ სათვალეზე წაგავლებდა ხელს და ჩამოგგლეჯდა. ამ მანიას ვერც გაწყრომა შველოდა, ვერ დასჯა და ვერც იუმორი. ბავშვი ოთხი წლის იყო მაშინ და თითქმის ვერ ლაპარაკობდა. გეგონებოდათ დიდი ინტერესით უსმენს რომელიმე მხიარულ ამბავსო, ის კი ამ დროს სათვალეს ეცემოდა და ხელში მოიგდებდა ხოლმე. სათვალის დასაკუთრება კი არ უნდოდა, სათვალის ჩამოგლეჯა სიამოვნებდა ვინმეს სახიდან.

წარმომიდგენია:

განტენბაინი მის ბავშვურ ნახატებს უყურებს. ეს ნახატები ისე ამაღელვებლად მშვენიერია, რომ ძალაუნებურად ირწმუნებ ბავშვის გენიალობას, მაგრამ განტენბაინს უფლება არა აქვს შეაქოს ისინი, იძულებულია დაფაროს თავისი გაოცება და მხოლოდ ჰკითხოს ბეატრიჩეს, რა დახატეო, ბეატრიჩე კი სწორედ ამას ვერ ეტყვის, მას მხოლოდ გრიფელით ხატვა შეუძლია და განტენბაინი ამას ხედავს: აი, ეს სამკლავურიანი კაცი მამიკოა, აქ კი ყველაფერი ხატია, რაც გზაში უჩვენა და უამბო, ყველაფერი ხატია ჭახჭახა ფერებით, ცირკიც, წყალქვეშა ფრთიანი გემიც, კუდიანი დედაბერიც, დროშებიც, ისეფერ ცაზე დაკლაკნილი ელვაც და გადმობრუნებული ქოლგაც, ყველაფერი, მთები, მოგრიალე დაფდაფები, კიბეზე შლანგით ხელში გამოჭიმული სქელი მეხანძრე, აგერ ბეატრიჩე და მამიკო, მამიკოს ყვითელი სამკლავური უკეთია და ხელჯოხით რაღაცას უჩვენებს ბეატრიჩეს. ხატია კიდევ ბევრი რამ, რასაც განტენბაინი ვერც კი სცნობს.

განტენბაინს უჭირს.

შემდეგ იწყება ბეატრიჩეს პირველი ტყუილები...

ბეატრიჩემ პირი ჩაიტკბარუნა. ეს მის უმანკო ბაგესაც ატყვია და მის წინსაფარსაც, მაგრამ ბაგე ამას უარყოფს. მურაბა რომ უჭამია, ამას განტენბაინი ვერ ეუბნება, მხოლოდ უსიტყვოდ იღიმება და ბეატრიჩე ტირის. ეტყობა, პირს ისე ვერ ჩაიტკბარუნებ, მამიკომ რომ არ გაგიგოს. მაინც საიდან იგებს? მამიკომ ყველაფერი იცის. ანდა ბეატრიჩეს მაგიდის ფიცარქვეშ შეუტენია საძულველი პურის ნაჭრები, განტენბაინს მთელი კვირა არაფერი შეუნიშნავს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პურის გამხმარი ქერქები მაგიდაზე აწყ-

ვია. მერე რა, რომ ბრმა მამიკო არ ტუქსავს, ამ მოულოდნელი ძღვენის დანახვა არ შეუძლია და ამიტომ არ ტუქსავს, ბეატრიჩე კი მაინც წითლდება. არაფერი არ იმალება. ტყუილის თქმა არ შეიძლება. მაღალი ღმერთი და მამიკო ერთნი არიან კარგა ხანს... შემდეგ ბეატრიჩემ შეამჩნია, რომ იქ, სადაც განტენბაინი არ შედის, მაგალითად, ტყეში, სადაც იგი ბიჭებთან ეშმაკობს, არც მაღალი ღმერთი შედის ხოლმე.

ესე იგი, ტყუილის თქმა შეიძლება — მამიკომ ყველაფერი არ იცის.

მან ისიც არ იცის, როგორია ბატონი ზიბენჰაგენი, რომელიც ლილას ჩოგბურთს ეთამაშება ხოლმე, არც ის იცის, რა ფერისაა მისი მანქანა. ეს რომ იცოდეს, კი უნდა, მაგრამ მაღალი ღმერთი არ ეუბნება.

განტენბაინი მხოლოდ მის ბავშვურ ნახატებზე ხედავს თეთრ დედიკოს, ბადის თავზე დახატულ თეთრ ბურთს და ბატონ ზიბენჰაგენს, რომელსაც შავი წვერი, თეთრი ფეხები და გრძელი ნაბიჯები ჰქონია...

წარმომიდგენია:

მართალია, ლილა უკვე მუშაობს და რეპეტიციებისა და სპექტაკლების გამო (ამას გასტროლებიც ემატება) დრო ცოტა აქვს, მაგრამ მაინც უსაზღვროდ უყვარს ბავშვი და ყველაფერზე თავს უქნევს, რაც ბეატრიჩეს მოეპრიანება. რასაც განტენბაინი აღზრდას ეძახის, ის ლილას ამაზრზენი ეჩვენება, აღზრდის ამგვარ მეთოდებს დუმილით პასუხობს და ბავშვს გადახედავს ხოლმე. ის და ბავშვი განუყოფელნი არიან. ვინც ბავშვს ტუქსავს, ის დედასაც ტუქსავს. აბა სხვა რა დავარქვათ განტენბაინის საქციელს: განტენბაინი ბავშვს არ ტუქსავს, მაგრამ იმას სთხოვს, რასაც ლამაზი დედა არ სთხოვს საკუთარ თავს. ისე გამოდის, თითქოს ლილას აღზრდა მოეწადინებინოს. როგორ უნდა მიაჩვიო ბავშვი, რომ პალტო იატაკზე არ დააგდოს (რეპეტიციიდან დაბრუნებული ლილასავით)? ამ დროს, ჩვეულებრივ, პალტოს ლილა იღებს ხოლმე და თავის ადგილზე ჰკიდებს. მეტი რაღა უნდა განტენბაინს? რაც არ უნდა დააშავოს ბავშვმა, ლილა მოთმინებას არ ჰკარგავს და აი, რა გამოდის ხოლმე: ბავშვი სუფრაზე მუსრს ავლებს ფსტას. ლამაზი ბავშვია, რა ვუყოთ მერე, ბოლოს და ბოლოს, სტუმრები ფსტის გულისათვის ხომ არ მოსულან. ლილა მართალია. თან სტუმრებს ყოველთვის აქვთ იუმორის გრძნობა. ზოგჯერ ბეატრიჩეს მეტისმეტი მოსდის, მაგალითად, ხანდახან სწყინდება უფროსების საუბარი და ლილასაგან თავბრუდახვეულ რომელიმე სტუმარს ჰავანურ სიგარას უქუცმაცებს, ბრმა განტენბაინი ამ დროს მაინც ასწრებს გაუწყრეს ბავშვს.

რა თქმა უნდა, სტუმარს, რაკი საქმე მის ბავშვს კი არა, მის სიგარას ეხება, განტენბაინზე მეტი აღმოაჩნდება ხოლმე იუმორის გრძნობა, მაგრამ როცა დარწმუნდება, რომ ეს მისი უკანასკნელი ჰავანური სიგარა ყოფილა, სათქმელს თავს ვეღარ უყრის. პაუზა. ჰო, რას ვლაპარაკობდით? ლილა იბუტება, მისი დედობრივი თავმოყვარეობა შელახულია. ამიტომ ბავშვს თვალით ანუგეშებს, ბავშვია, ბოლოს და ბოლოს...

— მამიკო ცუდია.

ასეც ხდება ხოლმე.

— სხვა მამიკო მინდა.

ეს ლილასაც აღარ მოსწონს, თუმცა სტუმრებს საოხუნჯო საბაბი ეძლევათ. ახლა ლილა ტუქსავს ბავშვს და დასჯითაც ემუქრება. ბეატრიჩემ არ უნდა თქვას, სხვა მამიკო მინდაო, ეს სიტყვები დესერტის ფასად უჯდება. ამ სა-

კითხში ლილა ზედმიწევნით მკაცრია. განტენბაინი კი უსიტყვოდ ფცქვნის ბანანს — ბოლოს და ბოლოს, ბავშვს ისეთი არაფერი დაუშავებია: იქნებ ეს კაცი, ბრმად რომ ფცქვნის თავის ბანანს, მართლაც არ არის მისი მამა... მაგრამ მოვეშვათ ამ საკითხს: **ტელევიზიაზე იყო ლაპარაკი, ტელევიზიაზე,** როგორც შემეცნებითი ინდუსტრიის იარაღზე და საერთოდ ხელოვნებაზე ტექნიკურ საუკუნეში, მაგრამ **განსაკუთრებით ტელევიზიაზე ამახვილებდნენ ყურადღებას,** ამ საკითხზე ყველას შეუძლია რაიმე თქვას, გარდა განტენბაინისა, რომელსაც პირი ბანანითა აქვს სავსე.

წარმომიდგენია:

ისე, ცხოვრება მშვენივრად აეწყო, ლილა და განტენბაინი ბავშვთან ერთად დასეირნობენ, ბავშვი ბავშვია, განტენბაინი და ლილა მკლავებში ჩაჭიდებენ ხელს და აქანავებენ, ლილას სავსე კოვზი უჭირავს ხელში და თიეთ დატვირთული ფორანის ზღაპარს ჰყვება, საბძელში რომ უნდოდა შესელა. ბავშვი თუ დაიღალა, განტენბაინი მხრებზე შეისვამს ხოლმე და აჩუ, აჩუ, ჩემო ცხენო, გაიძახის. ეს ხანა რომ გაივლის, მერე სხვა თამაშობანიც არის. ერთხელ ბავშვს ყივანახველაც ემართება და მაქსისა და მორიცის[1] დროც დგება. ზაფხულში ბანაობენ, ზამთარში ციგაობენ, ყველაფერს თავის დრო აქვს, ლილა გემოვნებით ურჩევს ბავშვს ქვედაკაბებს, განტენბაინი წარღვნისა და ნოეს კიდობნის ამბავს უყვება, იცინიან ბავშვის ტიტინზე, ხოლო როცა ლილა გასტროლებზეა, იქიდან რეკავს და ბეატრიჩეს ეტიკეტიკება ხოლმე. დაუვიწყარი სანახაობაა, ბეატრიჩე რომ პონიზე ზის, შემდეგ დგება ფლეიტის ჯერი და ასე შემდეგ. ლილას და განტენბაინს ერთმანეთთან ბევრი ლაპარაკი აღარ სჭირდებათ, ბავშვი თითქმის ყოველთვის მათთანაა, ხოლო როცა ბეატრიჩე მოინდომებს გაიგოს, საიდან ჩნდებიან ბავშვები, მშობლები რაღაცას მიედმოედებიან...

წარმომიდგენია:

ანეგდოტი მათ პირველ შეხვედრაზე, ანუ ანეგდოტი აღფრთოვანებულ ბრმა განტენბაინზე, ვარდებით ხელში რომ შეიჭრა ლილას საგრიმიოროში, თითქმის სრული სიმართლეა, მხოლოდ თითქმის, რადგან სრულ სიმართლეს საერთოდ არც ერთი ანეგდოტი არ შეიცავს ხოლმე... იმ ხანებში ლილა, რა თქმა უნდა, მარტო არ ცხოვრობდა, მაგრამ განტენბაინს სულ არ ენაღვლებოდა ეს. ამას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ბუნებრივია, რომ ანეგდოტში, რომელსაც ლილა ასე დიდი სიამოვნებით ჰყვება ხოლმე, ის კაცი არ იხსენიება. ლილას მეგობარი მაშინ საგრიმიოროში იჯდა, მაგრამ განტენბაინს ის მართლა არ დაუნახავს. ის კაცი კი მთელი იმ დროის განმავლობაში ოთახში იჯდა (ანეგდოტში თუ არა, სინამდვილეში მაინც), მართალია, ლილას საგრიმიორო მაგიდასთან არა, მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინო ადგილზე იყო წამოჭიმული ერთადერთ მოხერხებულ სავარძელში და გაზეთს ფურცლავდა, იჯდა ჩუმად, შლაპა თავზე ეხურა, ფეხები გაელაჯა და დარწმუნებულიც ბრძანდებოდა, აქა ვარო. დიახ, ასე იჯდა იგი, ავეჯივით. მამაკაცისათვის საუკეთესო წლები ედგა, ოდესღაც ლილასთვის ჭკუას ჰკარგავდა, ახლა კი მისი სიყვარული სიმწიფის სტადიაში შესულიყო, ცოლად თუნდაც დღესვე შეირთავდა, მაგრამ მოუთმენლობას არ იჩენდა. ვარდებით ხელდამშვენებული განტენბაინი რომ თავის უნი-

[1] ვილჰელმ ბუშის სახუმარო ლექსების პერსონაჟები (მთარგმნ.).

ათო ნომერს ასრულებდა, იმას ამ დროს შლაპა მაგრად ეხურა თავზე. ეს ნომერი მხოლოდ ანეგდოტში ჩანდა დამაჯერებელი, თორემ ის შლაპიანი კაცი არც კი უსმენდა, ეტყობა, კარგად იცოდა ლილას მიდრეკილება ბრმა თაყვანისცემისადმი. ერთი ჩახველება კმაროდა, რომ დაეფრთხო ბრმა თაყვანისმცემელი, მას კი გაზეთიდან არც მერე აუღია თავი, ისე სხვათა შორის იკითხა, ეს რა ჩიტი იყოო. ამ „ჩიტმა" საკმაოდ გაანაწყენა ლილა. რაც არ უნდა იყოს, ეს აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი გახლდათ და სხვათა შორის თავზე შლაპა არ ეხურა. ლილა გაჩუმდა, გაჩუმდა განტენბაინის სასარგებლოდ. იმ წუთებში იგი მართლა ლილას ხედავდა მხოლოდ. სიბრმავის ამაზე უფრო დიდ დამამტკიცებელ საბუთს ვერც გაითამაშებდა... შემდეგ, რა თქმა უნდა, გაიგო, რომ მაშინ ლილა მარტო არ ცხოვრობდა, მაგრამ თვალის გახელა გვიანღა იყო: საგრიმიოროში აღარავინ ჩანდა. ის სავარძელი ისევ ისე იდგა, ოღონდ შიგ ახლა განტენბაინი იჯდა, ხოლო სცენაზე ლილა იმავე როლს თამაშობდა. სანამ დარბაზში ტაში არ იგრიალებდა, განტენბაინი თავს უფლებას ვერ მისცემდა გაზეთი გადაეშალა, რადგან ლილას სჯეროდა მისი სიბრმავე. ლილას იგი მისი სიბრმავისთვის უყვარდა. ხედავდა ლილას სარკეში გაჩრილ დეპეშებსა და მილოცვებს. ზოგი უკვე გაყვითლებულიყო. ხედავდა თავის თავს ლილას სარკეში: შეყვარებულ კაცს, რომელიც ბრმად იცდის, სანამ გარეთ ტაში გრიალებს. ასე იყო ყოველ საღამოს, სანამ ლილა შემოვიდოდა: მორთულ-მოკაზმული, სხვისი თმით დამშვენებული, ნახევრად თოჯინა, ლამაზი, მაგრამ პროექტორების შუქისათვის შეღებილი, ლამაზი დასანახავი შორიდან. წარბები ლურჯი ჰქონდა, ქუთუთოები — მწვანე, ლოყები — ყვითელი. გრიმს სახე გაეუხეშებინა, საოცრად ლამაზად გაეუხეშებინა და თითქოს თვალებიც კი გაედიდებინა. განტენბაინი მის დანახვაზე ყოველთვის ისე კრთებოდა, თითქოს უცხო ფრინველი დაენახოს. საგრიმიორო ძალიან პატარა იყო. ლილას ჯერ კიდევ როლის ფრთები ესხა, ოღონდ ტექსტის გარეშე. როგორ წავიდა წარმოდგენა? ეკითხებოდა იგი, რომ მისი ხმა გაეგონა. მხოლოდ ხმა იყო ლილა. შემდეგ ლილა ისევ სცენაზე გადიოდა, მაყურებელი ისევ უკრავდა ტაშს, უკრავდა დემონსტრაციულად, თითქოს ბრმა განტენბაინისათვის უნდა გაეგებინებინათ, რა დიდებული იყო ის ქალი, ვინც მას უყვარდა. ასე იყო ყოველ საღამოს. იგი, რაღა თქმა უნდა, სიამაყით ივსებოდა და შამპანურის პატარა ბოთლს ხსნიდა. რითი ამაყობდა? თან თავი ზედმეტი ეჩვენებოდა. ტაშის დაკვრა მას არ შეეძლო, თაყვანისცემის უფლება წართმეული ჰქონდა. ლილას ჭიქას თუ გაუვსებდა, ეს იყო სულ, რისი გაკეთებაც შეეძლო. ბოლოს და ბოლოს, ყველა ოვაცია ცხრება ხოლმე და ლილა შეჰხაროდა მის სიყვარულს, თავის მაგიდასთან იჯდა და შამპანურს სვამდა, განტენბაინი კი იმ ერთადერთ მოხერხებულ სავარძელში მოკალათებულიყო, თვალებზე ბრმის შავი სათვალე ეკეთა და უყურებდა, როგორ იწმენდდა ლილა ბამბით სახეს. ლილას აბრეშუმის ხალათი ეცვა, განტენბაინს შავი ჯოხი ეჭირა ხელში. ასე იჯდა ლილას საგრიმიოროში, ბრმა, მაგრამ აარსებული ამქვეყნად. ლილა ისეთი იყო, როგორც ყოველთვის სპექტაკლის შემდეგ: მოთენთილი, აღელვებული, დაბნეული და კაკუნი არ გაუგონია, ის კაცი კი პასუხს აღარ დაელოდა და შემოვიდა. ეტყობა, იცოდა, განტენბაინი რომ ბრმა იყო და მისთვის თავიც არ დაუქნევია. ისე იქცეოდა, ვითომ განტენბაინი არც ყოფილიყოს იქ. იქნებ ეს კაცი თეატრის მთავარი რეჟისორი ბრძანდებოდა და არ ევალებოდა ზრდილობის წესების დაცვაზე თავი შეეწუხებინა.

ხნიერი არ ეთქმოდა, მაგრამ საცაა გადააბიჯებდა მამაკაცისთვის საუკეთესო ასაკს. ლილას მოსული არ დაუნახავს (სწორედ იმ წუთში თვალები დახუჭული ჰქონდა და ქუთუთოებიდან გრიმს იცილებდა) და განტენბაინმა თქვა: მგონი, ვიღაც აკაკუნებს. ლილას კაკუნი არ გაუგონია, ხოლო ის ვაჟბატონი, რაკი დარწმუნებული იყო განტენბაინი ვერ მხედავსო, ხმას არ იღებდა. ლილა ამ დროს ჭუჭყიან ბამბის ფთილებს კალათაში ყრიდა და საცაა განტენბაინთან სასაუბროდ მოიცლიდა. ლილამ თითები ტილოზე შეიწმინდა და განტენბაინს ჰკითხა, სად ვივახშმოთო. იგი უბრალოდ ვერ ამჩნევდა, რომ ოთახში კიდევ იყო ვიღაც. განტენბაინმა როგორღა გაატარა დღე? გეგონებოდათ, ის სხვა ოთახში იმისთვის შემოიჭრა, რომ ჯიბიდან რევოლვერი ამოეღო და ლილასთვის ესროლა, ახლა კი დაიბნა და კრინტს არ ძრავს, იქნებ განტენბაინმა ჩემი აქ ყოფნა ვერ შეამჩნიოსო. იქნებ ამას სულაც არ აპირებდა და ლილასთან ლაპარაკი უნდოდა მხოლოდ, ოღონდ მოწმის გარეშე. კაცს სახე გაფითრებული ჰქონდა, გაუპარსავი იყო, ღამენათევი. განტენბაინს ჯერ ვერ მოეფიქრებინა, სად შეიძლებოდა ევახშმათ და ძაღლს უსიტყვოდ ეფერებოდა. პაჩი წრიალებდა და ცმუტავდა. ეს ყველაფერი ერთ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ იმ წუთს დასასრული არ უჩანდა. ლილა სარკისკენ დაიხარა, თავის წამწამებს დააკვირდა და შეკრთა, საფეთქლებთან მიტანილი თხელი თითები გაუშეშდა სარკეში არეკლილი კაცის დანახვაზე. ლილამ იცნო იგი. მისი იქ ყოფნა რომ არ გაემჟღავნებინა, არც ლილას ამოუღია ხმა. განტენბაინი უყურებდა ლილას სახეს და ეჭვი აღარ ეპარებოდა: მაშ ეს ყოფილა ის კაცი, მაშინ განტენბაინმა რომ ვერ დაინახა. კაცს შლაპა აღარ ეხურა. ახლა რომ გაემხილა, ბრმა არა ვარ და ყველაფერს ვხვდებიო, ვერაგობა იქნებოდა. ამიტომ ისევ ძაღლს ეფერებოდა, მაგრამ მასაც რომ აღარ ამოეღო ხმა, დუმილი გასცემდა და ლილას რამდენიმე ადგილი დაუსახელა, სადაც შეიძლებოდა ევახშმათ. ოთახში მარტო განტენბაინი ლაპარაკობდა. ლილა რომ შემობრუნდა, ის კაცი სარკიდანაც გამქრალიყო და ოთახიდანაც. გამქრალიყო უსიტყვოდ. მის შემოსვლას ვითომ კომიკური შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა და შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება კი დატოვა. ახლა ხომ ვეღარ იკითხავდა განტენბაინი, ის კაცი ვინ იყოო? თან იცოდა, ვინც იყო, ოღონდ ეს ვიზიტი რას ნიშნავდა, მგონი ლილაც ვერ მიმხვდარიყო. ლილა შეეცოდა — შიშისაგან ფერი დაჰკარგვოდა. მაგრამ განტენბაინმა არ იცოდა რა ეთქვა, ბოლოს და ბოლოს, თვითონაც საკმაოდ შეეშინდა და თავისი გასაჭირი ჰყოფნიდა. იმ კაცს, იმ სხვას, რა უნდოდა, ძნელი გამოსაცნობი არ იყო: მას თავისი ლილა უნდოდა დაებრუნებინა. თავისი! დიახ, ამიტომ შემოვიდა ასე გაალმასებული, თვალებში მხოლოდ ეს უსიტყვო სურვილი ედგა და განტენბაინს მოეჩვენა, ხელში რევოლვერი აქვს ჩაბღუჯულიო. სწორედ ამან დააბნია განტენბაინიც და ლილაც. ალბათ ლილას ასეთი არასოდეს უნახავს იგი. ლილას შიშისაგან ჯერ კიდევ მიტკლისფერი ედო სახეზე, წამოდგა და საგრიმიოროს კარი გადარაზა. განტენბაინი შეეცადა გაერთო ლილა და პაჩის ერთ-ერთი მხიარული ოინის თხრობა წამოიწყო, ახალი ოინისა, რომელიც ზუსტად ისეთივე გამოგონილი იყო, როგორიც სხვა დანარჩენები. ოღონდ პაჩს ეს ხელს არ უშლიდა, თავმომწონედ ექიცინებინა კუდი. განტენბაინი ამაოდ დაშვრა, ლილას სახე უფრო გაუქვავდა, ეტყობა, ეშინოდა, ის კაცი თეატრის გასასვლელში არ მელოდებოდეს ბნელ ეზოში მიმალულიო. ეს სავსებით შესაძლებელი გახლდათ. ოღონდ რევოლვერი ნამდ-

ვილად არ ექნებოდა, მისმა სახემ შეაცდინა ორივე — იგი ლილას მისახვრეტად არ მოსულა, მის ცოლად შესართავად იყო მოსული. დაუგვიანდა. კარზე დააკაკუნეს, მაგრამ ლილამ ურდულის გამოწევა არ ისურვა და კარი განტენბაინმა გააღო. ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა თავისი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად, მაგრამ კარებთან მხოლოდ მეგარდერობე ქალი იდგა. მან ლილას ბარათი გადასცა. ლილამ მაშინვე გახსნა წერილი და წაიკითხა, ოღონდ სარკის ჩარჩოში არ ჩაუდვია. როცა, ბოლოს და ბოლოს, ყალბი თმაც მოხსნეს, ლილა განტენბაინს დააკვირდა, თითქოს პირველად შეიტანა ეჭვი მის სიბრმავეში, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, მართლა არაფერი დაუნახავს თუ არაო. ლილა საკუთარ თმას დაემშვენებინა, დაწყნარებული ჩანდა, ეტყობა, იმ ბარათმა გაუქარწყლა შიში, რომ უკანა ეზოში ვინმე დაუდარაჯდებოდა. შემდეგ ლილამ და განტენბაინმა ერთად ივახშმეს და განტენბაინი, ჩვეულებისამებრ, კალმახს ურჩევდა ლილას. შემდეგ შინ წავიდნენ. ისინი არავის შეუწუხებია. განტენბაინმა სხვათა შორის ჰკითხა ლილას, შენს წინანდელ მეგობარზე ხომ არაფერი გსმენიაო და მანაც გულახდილად უპასუხა, დაბრუნებულა, ქალაქში არისო, ვნახე, მაგრამ არ გვილაპარაკიაო. პასუხიც ისეთივე სასხვათაშორისო იყო, როგორიც კითხვა, ხოლო რაც ლილას არ უთქვამს, ის საკუთარი თვალით ნახა განტენბაინმა, სახელდობრ, როგორ აფორიაქდა ლილა...

კარგად მესმის:

ძველი სატრფო უნდა მიატოვო, გადაწყვეტილება გადაწყვეტილებაა და ურყევიცაა, მაგრამ ეს საბოლოო განშორებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ადამიანს უნდა ღირსეულად დასვას წერტილი, მაგრამ წერტილის დასმაში სწორედ ღირსება უშლის ხელს. ერთ-ერთი პარტნიორი მანამდე ვერ ხედავს დასასრულის მოახლოებას, სანამ ღირსება შეულახავი რჩება და ისე შეყვარებულია, როგორც არასდროს. ერთ საღამოს ის კაცი ისევ მოვიდა. მხოლოდ წერილებით გამომშვიდობება შეუძლებელია. განტენბაინს მეტი აღარაფერი დარჩენოდა და უსიტყვოდ აღიარა, რომ აუცილებელი იყო, ისინი ერთმანეთს შეხვედროდნენ...

ეს იყო თებერვალში.

ლილა საგრიმიორო მაგიდასთან იჯდა (ამჯერად წარმოდგენის დაწყებამდე) და ჩემსკენ არც შემობრუნებულა, ხუმრობანარევი კილოთი ისე გამანდო ახალი ამბავი. სიტყვა სხვათა შორის ისროლა, დაძაბული ელოდა ზარს, რომელსაც სცენაზე გასვლა უნდა ეუწყებინა. ნერვიულობა სულ არ ეტყობოდა, მაგრამ ახლა სასაუბროდ ნამდვილად არ ეცალა. დაბნეულიც არ ეთქმოდა, პირიქით, სცენაზე გასასვლელად იყო შემართული. ახალი ამბავი სხვათა შორის მაუწყა, იმ წუთში სწორედ ცხვირს იპუდრავდა. მოკლედ ისროლა სიტყვა, არც შემობრუნებულა, არც დაინტერესებულა, ახლა ვინ იჯდა იმ ერთადერთ მოხერხებულ სავარძელში, ხუმრობანარევი კილოთი ისე დასძინა: ნურც ზარზეიმს შექმნი და ნურც შეშფოთდები, ის ამბავი ხშირად არეულ-დარეულად მემართებაო. ამ დროს გაისმა ზარი... ლილა მაშინ ოცდათერთმეტი წლისა იყო, არც იმას ეთქმოდა გამოუცდელი გოგონა და არც განტენბაინი გახლდათ პირზე რძეშეუშრობელი ყმაწვილი, რომ პირველად მდგარიყო გადასაჭრელი პრობლემის წინაშე. მაგრამ ერთხელ ხომ მაინც მოუწევდათ ამაზე პრინციპული ლაპარაკი. იმ წარმოდგენის შემდეგ განტენბაინმა თავისი პაჩი ასეირნა, მაგრამ არც იმ საღამოს და არც მეორე დღეს ლილას, ეტყობა, აღარც გახსენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია ეს ამბავი. განტენბაინს რაღაზე უნდა ემტვრია თავი? მაგრამ იგი მაინც ფიქრობდა, შეშფოთებული არ იყო, პირიქით, ზოგჯერ სიხარულითაც კი ფიქრობდა, როგორი იქნებოდა ლილა დედის როლში და უკვირდა, რომ სამი, ოთხი დღე ისე გავიდა, ლილას კრინტი არ დაუძრავს ამ ამბავზე. მისი უზრუნველობა თითქოს გულს ელამუნებოდა, მაგრამ არ გადასდებია. მაშინ ერთმა აზრმა გაუელვა თავში, კალენდართან დაკავშირებულმა აზრმა, მაგრამ ჯერჯერობით იმ აზრს იოლად იცილებდა ხოლმე თავიდან და თუკი საფიქრალი აღარაფერი ექნებოდა როდისმე, განტენბაინს ერჩია, მის გულში იმ ფიქრს არ გაევლო. ლილას არაფრის დარდი არ აწუხებდა, ეტყობა, ნეტარებით მოელოდა მომავალ შემოდგომაზე მოსალოდნელ არაჩვეულებრივ როლს. როცა ერთხელ განტენბაინმა რაღაც საბაბით (ბინის ქირის გამო) რიცხვი იკითხა, უკვე მარტი იდგა. ლილა ბინის ქირის დაგვიანებამაც შეაშფოთა და დროის რბოლამაც, რა სწრაფად გადის დროო. ეს იყო რესტორანში, ლილას ღრმად გულამოჭრილი კაბა ეცვა და მის მარგალიტებში სანთლების შუქი თინათინობდა. ლილამ სიცილით თქვა: მართლა რომ გვეყოლოს ბავშვი, რას იზამო. რესტორანი, რა თქმა უნდა, საიმისო ადგილი არ იყო, რომ ეს დაგეჯერებინა. თუმცა ოფიციანტი თავაზიანად იდგა საკმაო მანძილზე, მაგრამ მოუთმენლად ელოდა დაკვეთის მიღებას. ჩვენ უსიტყვოდ ვციცქნიდით ფუნთუშას. განტენბაინის ეშვი, ვითომ ლილას მისგან მალულად ნდომოდეს ბავშვის გაჩენა, სისულელე იყო. ხუთი თვის ფეხმძიმეს ბრმაც შეატყობდა. უბრალოდ, რესტორანში ამაზე ლაპარაკი არ ღირდა. ექიმთან მიდიო, ისიც არ უნდა ეთქვა — სიტუაცია ისე დაიძაბა, სანთლების ციმციმიც ვეღარაფერს შველოდა.

იმ დღის მერე განტენბაინსაც აღარ ამოუღია ხმა.

ერთხელ მეგობართა წრეში ლილამ თქვა, ბავშვის გაჩენა რომ მომენდომებინა, ჩემთვის სულ ერთი იქნებოდა, ბავშვი ვისგან მეყოლებოდაო! ეს სისხლის სიწმინდის ერთი თავგამოდებული დამცველის გასამტყუნებლად თქვა და იმ წუთში სავსებით სწორი გახლდათ. ადამიანი ბევრ რამეს ამბობს ხოლმე, რაც იმ წუთში სწორია, — განტენბაინს აღარ უნდოდა ამაზე ეფიქრა. ლილამ ისეთ დროს უთხრა ბავშვი გვეყოლებაო, როცა მართლა არ ფიქრობდა ამ ამბავზე. ეს იყო სამი წუთით ადრე სტუმრების შემოსვლამდე.

განტენბაინი ისე შეკრთა, რომ ენა ჩაუვარდა.

— ექიმთან ვიყავი...

ამ დროს რეპლიკაზე გათვლილივით დაიწკრიალა ზარმა. სტუმრები! და მოხდა სასწაული: ის სამარცხვინო, კალენდართან დაკავშირებული ფიქრი ნამდვილად აღარ მოსვლია თავში, ბრმა სიხარულმა აიტაცა და ისე გულითადად მიესალმა სტუმრებს, რომ ყველას შეეძლო საკუთარ თავზე მიეღო მისი წრეგადასული აღფრთოვანება. ზოგი ბატონ განტენბაინს ჯერ არ იცნობდა და ხედავდა, როგორ უხერხულად იშმუშნებოდნენ ისინი, როცა ბრმა მასპინძელს ეცნობოდნენ... მაშინ პირველად უამბო ლილამ სტუმრებს ის პიკანტური ანეგდოტი, განტენბაინი მის საგრიმიოროში ვარდებით რომ გამოცხადდა... მეორე დილას განტენბაინს ისე უეცრად გამოეღვიძა, თითქოს თავში ნაჯახი ჩაარტყესო. გუშინდელი საღამო აღარ გახსენებია, მხოლოდ ბავშვის ამბავი მოაგონდა და ბედი მისი, რომ ლილას რეპეტიცია ჰქონდა და წასასვლელად ემზადებოდა, თორემ ალბათ შეეკითხებოდა, თებერვალში იმასთან ხომ არ გაგითევია ღამეო. მერე? ალბათ ისიც ეტყოდა: ჰო. უყოყმანოდ, უბრალოდ ეტყო-

და: ჰო, ან შეყოყმანდებოდა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, როცა მიხვდებოდა, რა სასაცილო იყო მისი კითხვა, სიგარეტის მოკიდებისას ეტყოდა: რატომ მეკითხები? ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა ბავშვი განტენბაინისა ყოფილიყო. ოღონდ საკითხავი ახლა ის იქნებოდა, ასეთი კითხვის შემდეგ ლილა თუ ინდომებდა, განტენბაინისაგან შვილი ჰყოლოდა. ალბათ აღარასოდეს აღარ იტყოდა ლილა „ჩვენი ბავშვიო". ის „მისი ბავშვი" იქნებოდა მხოლოდ... განტენბაინი ისე იწვა, თითქოს ნაჯახი ჩაეცხოთ თავში და რაკი შინ მარტო იყო, კითხვაც დაუსმელი დარჩა... იქნებ ლილას ეთქვა: არა. ოდნავ შეყოყმანებულიყო, მაგრამ მერე უბრალოდ ეთქვა: არა. ოღონდ ეს პასუხი მომაგლისათვის ბევრად უკეთესი ვერ გამოდგებოდა, იგი მხოლოდ წამიერ შვებას მოუტანდა, სამაგიეროდ, მისი შვება ლილას მოჰგვრიდა ზიზღს, ლილა ასეთი გულისტკენის შემდეგ ან აღარ მოინდომებდა თავისი ბავშვის მამისთვის ეკოცნა ან ბავშვი სულ არ გაჩნდებოდა ამქვეყნად. ბედმა გაუღიმა... გამოსავალი მხოლოდ ერთია: განტენბაინი ფიქრობს, რომ ბავშვი, ლილას ბავშვი, მისი არ არის, მაგრამ თავის ეჭვს არასოდეს გაამხელს, იმ იმედით, რომ ბავშვი მისი გახდება.

წარმომიდგენია:

ის შეკამათება სისხლის სიწმინდის თავგამოდებულ დამცველთან მაშინ გასაგები იყო, მაგრამ ლილა ახლა ალბათ უარზე დადგება, ასეთი რამ არასოდეს წამომცდენიაო.

წარმომიდგენია:

ექვსი წლის ბეატრიჩე აბაზანაში ზის, განტენბაინი მამიკოს როლშია, იგი საპონს უსვამს გოგონას: მისი ტანი, მისი უმანკო კანი, მისი კანი და ქაფიანი კულულები... მამიკო ვერ ხედავს, სად მალავს ბეატრიჩე ფეხს, მაგრამ მაინც მიაგნებს, ფეხის თითებსაც მოუძებნის და გაუსაპნავს. განტენბაინი პერანგის ამარაა, სახელოებიც დაუკაპიწებია. ეს განა ბეატრიჩეა, რომ ცელქობს და შხეფებს ჰყრის, ეს კრიზიმიზი ადგაფუნებს აბაზანაში წყალს, მამიკოსაც კრიზიმიზი უხიცინებს და საპონს უმალავს, მამიკო უჩინარ კრიზიმიზის ვერ დაინახავს, კრიზიმიზი კუდიანი დედაბრის ქმარია, ბეატრიჩე რომ ეტყვის, დაუჯერებს და წყალს აღარ ააშხეფებს. მაშინ განტენბაინი საპონს უსვამს მის ბავშვურ ზურგსა და ტაკუნებს, ყურებს, იღლიებს, ოღონდ ბეატრიჩემ ბრმას არ უნდა გაუმხილოს, კრიზიმიზი როგორია. ახლა ბეატრიჩეს უნდა მამიკომ მისი საშინელი ნაჭრილობევი დაინახოს და განტენბაინი მართლა ხედავს მუხლზე პაწაწინა განაჩხაპნს, ნატკენ ადგილს საპონს არიდებს, მერე პუდრს აყრის და სათუთად უხვევს, მერე გაორთქლილ სათვალესაც იხსნის, მაგრამ კრიზიმიზის მაინც ვერ ხედავს. ისიც არ ეპუება და ჭყაპუნსა და შხაპუნს ბოლო შანამდე არ უჩანს, სანამ განტენბაინი აბაზანას არ დაცლის და ბავშვს შხაპქვეშ არ შეაყენებს. ჩამობანს ქაფიან კულულებს, საპნით აპრიალებულ პატარა მკლავებსა და თეძოებს, მთელ სხეულს, არა, მისგან მეზღვაური არ გამოვა, არა და არა, ნამდვილად გოგონა დადგება, ამას არც შარვალი უშველის და არც შარვლის ჯიბეებში პაწაწინა ხელების ჩაწყობა, არც იდაყვების გაჩაჩხვა და არც აბაზანის კიდეზე ოინბაზობა. ამ დროს ბეატრიჩე ხალიჩაზე ისკუპებს, მამიკოს ეს კი უნდა დაენახა და როცა თეთრ ხაოიან პირსახოცში გახვეული ბავშვი ერთი წუთით ნეტარებისაგან გაინაბება და მის ღონიერ ხელებს ტანის შემშრალებას დაანებებს, უეცრად ისმის შეკითხვა: მამიკო, შენ მართლა ვერაფერს ხედავ? და ამის შესამოწმებლად, იმწამსვე დასძენს: იცი, მე ფრენა

შემიძლია! მამიკო თუ ბრმაა, ამაში ეჭვი არ უნდა შეეპაროს, ისიც იძულებულია დაიჯეროს და ხელები მოაშოროს, რათა ბეატრიჩემ უთხრას: ხედავ, როგორ დავფრინავ? ერთი წამით გაუელვა თავში, იქნებ ბეატრიჩე მართლაც არ არის ჩემი შვილიო და ბავშვი მაღლა აიტაცა. ბავშვი ატკარცალდა: ხედავ! ბავშვი ტკარცალებს: ვერა მხედავ? ბავშვი ტკარცალებს...

წარმომიდგენია:

ათი წლის ბეატრიჩე ველოსიპედიდან გადმოვარდა და ტვინში სისხლი ჩაექცა. მთელი ღამე შიშში გაატარეს, არ მოკვდესო. ეს იყო დედისა და მამის საერთო შიში, ფართოდ გახელილ, ცრემლად დაღვრილ თვალებში ჩამდგარი სიკვდილის შიში...

წარმომიდგენია:

განტენბაინი სულაც არ არის ცუდი მამა, თუმცა ბრმის როლის გამო იძულებული გახდა ბავშვის აღზრდაზე ხელი აეღო... ზოგჯერ ბეატრიჩე უბრალოდ არ აკეთებს იმას, რაც არ ეპრიანება, რადგან იმედი აქვს, განტენბაინი მაინც ვერაფერს დაინახავსო, მაგალითად, ვერ დაინახავს, მისი კაბები საკიდზე ჰკიდია თუ ისევ ისეა მიყრილ-მოყრილი. განტენბაინს კაბების დარდი სულ არ აწუხებს, ადამიანიშვილი ენაღვლება, რადგან ადამიანიშვილი, მისი აზრით, როდესმე და როგორმე სწორედ იმის გაკეთებას უნდა მიეჩვიოს, რაც არ ეპრიანება. განტენბაინმა საღამოს რომ იკითხოს, კაბები თუ დაკიდეო და თან მისდა სავალალოდ ხედავდეს, რომ კაბები ისევ ისე ჰყრია, რა გამოვა აქედან? არაფერი, თუკი ლილაც დედის როლში ასევე ბრმას თამაშობს და სდუმს, რათა ბავშვის მხარე დაიჭიროს და მის დასჯას ყოველთვის შეუშალოს ხელი. წლები გადის, სანამ განტენბაინი მიხვდებოდეს, რომ თუ დედას არ უნდა, ბავშვს ვერ აღზრდი და თანდათან ბავშვთან ურთიერთობაშიც ეგუება ბრმის როლს, ოღონდ საყვარელი მამიკო იყოს და უამრავ წვრილმანში ატყუებინებს თავს, მზად არის ყოველგვარ აღზრდა-განათლებას თავი დაანებოს და ბეატრიჩეს მაშინ მიეშველოს, როცა თვით ცხოვრება აგრძნობინებს თავის სუსხს.

ეს დღეც დგება.

ეს დღეც დგება და შემთხვევიდან შემთხვევამდე დავიწყებასაც ეძლევა, თუკი საქმეს ეშველება ხოლმე, დიახ, მაგრამ მამა ჯადოქარი არ არის. გაუგონრობის წყალობაა, რომ წითელამ ქუთუთოების განუკურნებელი პარეზი დაუტოვა ბავშვს. საკუთარმა სისუსტემ გულში დანაშაულის შეგრძნება ჩაუტოვა განტენბაინს, ასეთი შეგრძნება სხვა დროსაც გასჩენია, ხოლო დანაშაულის შეგრძნება მამობრივ სიყვარულს ბადებს და ბავშვის გარეშე სიცოცხლე ვეღარ წარმოუდგენია...

ბეატრიჩე ანეგდოტი არ არის.

ბავშვური ნახატების დრო წავიდა და მამობრივ სიყვარულს ახლა „აჩუ, აჩუ, ცხენოთი“ ვეღარ დაამტკიცებ, უკვე დიდი ხანია ვეღარ დაამტკიცებ. ბეატრიჩე ლათინურს ერკინება, accusativ cum infinitiv-ს სწავლობს, მშობლიური სიყვარული ისეთი ამოცანების წინაშე აყენებს, რომ განტენბაინს უჭირს გამკლავება. რას აღარ თხოულობენ ჩვენი ბავშვებისა და მათი მამებისაგან! თავი რომ მოაჩვენოს ბეატრიჩეს, თითქოს ახსოვდეს ყველაფერი, რაც ოდესღაც უსწავლია, იძულებულია, სანამ ბეატრიჩე სკოლაშია და არ უთვალთვალებს, სასკოლო პროგრამას ჩაუჯდეს. ახლა ალგებრას არ იკითხავთ! მოწიფულ

კაცს ჰგონია, ფესვის ამოღება ვიცი, მაგრამ დახეთ, ხელახლა სასწავლი არ გახდომია?! და საფეთქლებგაჭაღარავებული კაცი ხელახლა სწავლობს ყველაფერს, როცა ერთუცნობიანი, ორუცნობიანი, სამუცნობიანი განტოლების წინაშე აღმოჩნდება.

წარმომიდგენია:

ერთ დღეს, ერთ განსაკუთრებით მშვენიერ და ხასხასა დღეს სეირნობიდან ბრუნდებიან, ლილა საჭესთან ზის და ნერვიულობს, გზაზე მანქანების მწკრივი გაჭიმულა, ის კი შვიდზე აეროდრომზე უნდა იყოს, ვიღაცას უნდა დახვდეს, დიახ, ვიღაცას, განტენბაინი არ ეკითხება ვინ ვიღაცასო. ის ვიღაც მარტო ჩამოდის და გული დასწყდება, თუ არავინ დახვდა აეროდრომზე, მით უმეტეს, რომ იგი ლილას გულისთვის ჩამოდის, მგონი, რომელიღაც ფილმის საქმეზე, ესე იგი, ლილას საქმეზე. განტენბაინს ბრმის სათვალე უკეთია და გახსნილ დეპეშას გუშინ ვერ წაიკითხავდა, მაგრამ მაინც იცის, ვინ მოფრინავს შვიდ საათსა და ოც წუთზე და ლილას არაფერს ეკითხება. უკვე ექვსი საათია, მაგრამ ავტომანქანების მწკრივს ვერაფერს მოუხერხებ, ლილას სასო წარეკვეთა, ეს დრო მოუღებს ბოლოს, დრო არ ეყოფა, რომ ჯერ განტენბაინი და ბავშვი მიიყვანოს შინ და შემდეგ აეროდრომზე გავიდეს, ვერა, ვერ მოასწრებს. საბრალო ლილა საჭესთან ზის, ვიღაცას ძალიან დასწყდება გული, მით უმეტეს, რომ თვითონ ლილამ მოიპატიჟა ის კაცი. ეს ნამდვილი უბედურებაა! განტენბაინი ეშმაკურად სთავაზობს გზის შემოკლებას, შინ ნუ მიგვიყვან, პირდაპირ აეროპორტში გავიდეთო. ლილა ჩუმდება, არა, ეს შეუძლებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ლილა კი არ იდგეს აეროდრომზე, არამედ ლილა ქმარ-შვილით, „family style“, ის ვიღაცა სახტად დარჩება, განტენბაინს ეს თუ არ ესმის, მაშინ... არა, როგორ არ ესმის, მაგრამ მაინც გზის შემოკლება სჯობიაო, მუხანათურად იჟინებს განტენბაინი, თან ჩიბუხს აბოლებს არხეინად. ლილა გადასახვევთან მანქანას აჩერებს, არა, შეუძლებელია, ეგრე არ ივარგებსო! ისე ამბობს, თითქოს ეეჭვებოდეს განტენბაინის სიბრმავე, მაშინ განტენბაინი ბავშვს ხელს ავლებს და შუა ქუჩაში გადმოდის მანქანიდან. უკან ერთხმად აპიპინდნენ მანქანები...

რაც შეეხება ზიბენჰაგენს:

მას ლილასთან აქვს საქმე, თუ ოდესღაც ჰქონდა, როცა ჯერ კიდევ წვერს ატარებდა, ვინ იცის, იქნებ მეგობრებმა იციან კიდეც, მაგრამ არ ჭორაობენ. ალბათ ლილასთან ოდესღაც ბურის გარდა ყველას გაუთევია თითო ღამე, ვინ იცის. მართლა ასე რომ იყოს, მაშინ? განტენბაინი მხრებს იჩეჩავს. მისი ლილა ვისთან ათევს ღამეს და ვისთან არა, ეს საკითხი თავისთავად ამაზრზენი ეჩვენება. მართლა ასე რომ იყოს, მაშინ? ლილას საიდუმლოს პატივს სცემს, მაგრამ თანდათან მისთვის სულ ერთი ხდება, ზიბენჰაგენიც ურევია იმ ყველაში, თუ არა. შეიძლება ერიოს, შეიძლება არა. ეს ნამდვილად არავინ იცის, ყოველ შემთხვევაში განტენბაინმა არ იცის, მეგობრებს ეცოდინებათ ალბათ, თუმცა, იქნებ ყველანი ცდებიან კიდეც.

ნამდვილად არსებობს ბავშვი.

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე.

ერთხელ, კარგა ხნის შემდეგ (თუმცა აქამდე იქნებ აღარც მივიდეს საქმე) კაფეში სხედან მამა და შვილი, ბეატრიჩე უკვე ქალიშვილია და გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ისეთი არაფერია, რომ სალაპარაკოდ ღირდეს, ხელი მოეცარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში ჩაიჭრა გამოცდაზე და ახლა მხოლოდ ის უნდა მოიფიქრონ, კიდევ რა სკოლები არსებობს. ხელის მოცარვა შაქარლამითურთ! განტენბაინი ეწევა და გული სიამაყით ევსება, რომ ამ გაფურჩქნილი არსების წყალობით ამქვეყნად არსებობს. ახლა ეს არსება გამოცდაზე ჩაიჭრა, მისი დახმარება სჭირდება და შაქარლამას ამიტომ მიირთმევს. ვინ არ ჩაჭრილა გამოცდაზე? განტენბაინს ბრმის სათვალე უკეთია: გადიდებული სურათივით ხედავს მაგიდაზე დადებულ საკუთარ ბებერ ხელს და საკუთარ თავს უსმენს მამის როლში. მამასაც სჭირდება გაგება, მასაც უნდა ამხანაგური დამოკიდებულება ჰქონდეს შვილთან და სანამ ბეატრიჩე გათქვეფილი ნაღებით მოიჯერებდეს გულს, გასამხნევებლად საკუთარი მარცხის ამბავს უყვება, მაგრამ ბავშვს სწყინდება მხოლოდ. იგი ჯერ კიდევ ბავშვია, ჩვიდმეტი წლისაა, მაშასადამე, უკვე სავსებით გონებაგახსნილია, მაგრამ გამოცდილება აკლია და თავის შაქარლამას ასე ჩუმად იმიტომ მიირთმევს. მხოლოდ ტუჩების უნებური ტოკვა და თვალებში გაელვებული სხივი ამხელს მის მოუთმენლობას, როცა საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებანი ესმის, მაგალითად, ის, რომ ქალს პროფესია სჭირდება, რათა დამოუკიდებელი იყოს და სხვა მისთანები. ნეტავ რა საჭიროა ეს გაჭიანურებული მაგალითები! სხვისი მარცხი რაში აინტერესებს. ბეატრიჩეს ნუგეში არ სჭირდება, მისი ხელმოწერა და ფული სჭირდება უკეთეს სკოლაში შესასვლელად. მისი მოთხოვნა ნათელია და მარტივი, ამხანაგური დამოკიდებულება სულაც არ უნდა მამასთან ჰქონდეს, მამა კი თავისას არ იშლის და ვითომ ნდობის მოსაპოვებლად თავის საკუთარი ცხოვრებისა და მძიმე შეცდომების ამბავს უყვება. ბავშვმა ეს ისედაც იცის და მოღიმარი სახით სადღაც პარკისაკენ იყურება. ამაოდ დაშვრა განტენბაინი, გონებაგახსნილ, მაგრამ, გამოუცდელ არსებასთან ვერაფერს გახდები. რაღა უნდა განტენბაინს? მისი ხელმოწერა და შაქარლამა საკმარისია. რაც უნდა გულისხმიერი იყოს ბავშვი, მაინც ვერ მიხვდება, რომ თავის სატკივარი მამასაც აწუხებს. მამამ იკითხოს მერე. განტენბაინი, ისევე როგორც ყველა სხვა, ვინც უკვე ცხოვრების ასპარეზზეა გამოსული, წარსულს ეკუთვნის, აწმყოს მამა და ქალიშვილი როდი წარმოადგენენ, მხოლოდ ქალიშვილია აწმყო. ისღა აკლია, მამა არ დაეხმაროს! ხელი მოუწერა, მაგრამ ლაპარაკს რომ აღარ მორჩა?! ბეატრიჩე მართალია. იგი თავის ჩიბუხის ან სიგარის კვამლს მიღმა ხედავს, როგორ უსიტყვოდ და ცივად იღიმება ბეატრიჩე. როგორ წითლდება, მამა რომ მასთან დამეგობრებას ლამობს. როგორც იქნა მოუხმო განტენბაინმა ოფიციანტს და დანახარჯი გადაიხადა. ქვევით, პარკში, ბეატრიჩეს მეგობარი ელოდება, მკლავში უყრის ხელს და მიჰყავს...

ეხ, ჩემი შვილი!

თავის გზით მიდის უკვე...

ჩვენი შვილი!

ერთ გვიან საღამოს (ნეტავ რას მოჰყვა ეს ზედმეტი სიტყვა?) ბური მეუბნება, ვიღაცამ მითხრაო, ვითომ ზიბენჰაგენს ეთქვას, ლილამ თქვა, ქალმა ყოველთვის იცის, მისი შვილის მამა ვინ არისო, მე, მაგალითად, ეს ნამდვილად ვიცი. ვითომ ასე ეთქვას ლილას ზიბენჰაგენის სიტყვით, უფრო სწორად, ვიღაცის სიტყვით, ვისაც ზიბენჰაგენმა უთხრა ეს...

ჭორია!

ალბათ, ერთი წუთით განტენბაინი იგრძნობს, რომ ახლა კი დადგა დასასრული. მართალია, ყოველთვის ეჭვობდა, რომ ეს ასეც იყო, მაგრამ ბეატრიჩეს

გაჩენის საიდუმლოს ლილა მას უმალავდა, თვითონაც ხომ საიდუმლოდ ინახავდა ამ ამბავს და როგორ იფიქრებდა, რომ ლილა ამ საიდუმლოს მესამე პირს (ზიბენჰაგენს) გაუმხელდა. მხოლოდ ერთი წუთით ეუფლება ეს გრძნობა, შემდეგ ხმას აღარ იღებს...

სიტყვა ვერ მოუძებნია.

(„ღალატი“?)

ლილას სახე არ შესცვლია...

ერთი შეხედეთ მის სახეს!

სახეზე არაფერი აწერია...

ჭორია!

ალბათ ბურიც კარგი მოლაყბეა.

რა მოხდება შემდეგ?

განტენბაინი აეროდრომზეა. ყოველდღე, გეგონებათ, ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც აეროდრომზე იყოს და ყოველთვის ერთსა და იმავე დარბაზში იდგეს თავის შავ ხელჯოხზე დაყრდნობილი, რათა ბრმის სათვალით შეეგებოს თავის ლილას. არათუ ყოველდღე, ყოველ კვირაც არ უწევს აქ მოსვლა. განტენბაინმაც იცის ეს, მაგრამ ეჩვენება, თითქოს მთელი სიცოცხლე ასე იდგეს აეროდრომზე, ამ დარბაზში, ზუსტად ამ ადგილზე და ლილას ხვდებოდეს მთელი სიცოცხლე... დღესაც და სხვა დროსაც განტენბაინი კიოსკთან დგას, სანამ ბრმის სათვალის აფარების დრო დადგებოდეს, შემდეგ კი ტერასაზე გადის, რომ დედამიწის ყოველი კუთხიდან მოფრენილი თვითმფრინავების დასხდომას უყუროს. მალე ჩაესმის, რომ ჰამბურგში ნისლი ყოფილა და თვითმფრინავი იგვიანებს. განტენბაინმა ეს ცნობა მანამდე გაიგონა, სანამ რეპროდუქტორი დაიჩხაკუნებდა, ახრიალდებოდა და აგრიალდებოდა. შემდეგ, როცა ცნობა სამ ენაზე გადმოსცეს და ექომ დარბაზები მოირბინა, განტენბაინს უეცრად ეშვი შეეპარა: დღეს გადმოსცეს ნისლიანობის ცნობა, თუ ეს წინანდელ დახვედრაზე იყო? იძულებული ხდება „information desk“[1]-თან მივიდეს და იკითხოს, რეპროდუქტორები მართლა ახლა გრიალებდნენ, თუ მე მაქვს ჩარჩენილი ყურში მათი გრიალიო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ლოდინისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პაჩს, მის ძაღლს, უფრო ეადვილება ლოდინი. იგი არავის არ ელოდება, ყურებდაცქვეტილი ძაღლია, ირგვლივ ყველაფერს ყნოსავს, კუდიდან დინგამდე აწმყოა, ძაღლია დროის გარეშე, ძაღლია მუდამ და ყოველთვის, წინ გადაუდგება ერთ ცქვიტ, სხვათა შორის, საკმაოდ ზორბა ძუკნას, მაგრამ მაშინვე ავიწყდება იგი, როგორც კი მოქაჩავს პატრონი, ავიწყდება და იატაკზე წვება უდარდელად.

ძაღლს რა უჭირს.

განტენბაინს ფიქრი მობეზრდა, ეს ფიქრები ისევე ნაცნობია მისთვის, როგორც ისრების ტოკვა აქაურ საათზე. დარბაზში ბოლთას სცემს და უხარია, რომ მოზაიკიან იატაკზე გამოყვანილი ფიგურები დროს ანაწევრებს. ახლა იგი ლილას როდი ელოდება მოუთმენლად, ცნობისმოყვარეობა ჰკლავს, ხელჯოხს სწორედ ფილებს შორის დარჩენილ ნაპრალებში მოახვედრებს თუ არა. რაც შეიძლება ნელა დააბიჯებს, რადგან რაც უფრო სწრაფად დადის, მით უფრო ნელა გადის დრო, ხოლო „information desk“-ს თუ დავუჯერებთ, ორმოცი

[1] ცნობათა ბიურო (ინგლ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთი მაინცაა დარჩენილი იქამდე, სანამ ლილას დაინახავდეს, ლილას თავისი ჩანთებითა და ჟურნალებითურთ, როგორც ყოველთვის, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე. რა არის დრო? იატაკზე მოგებულ ფილებზე გამოყვანილი სახეები და ფიქრი; რაც უფრო სწრაფად დადის განტენბაინი, მით უფრო უნელებს სვლას თვითმფრინავი და შიში იპყრობს, მოგეხსენებათ, თვითმფრინავს აუცილებლად სჭირდება სისწრაფის რაღაც მინიმუმი, რომ ღრუბლებიდან არ ჩამოვარდეს. ლილას მისი მოთმინება აჩერებს, ძალა მამაკაცისა, რომელიც ნელა იცდის, ნელა დადის, ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, იქით და აქეთ, მთელი სიცოცხლე იცდის, საათის ისრებივით აუჩქარებლად იცდის.

(ვითომ საჭიროა კიდევ ზიბენჰაგენის გამოგონება?)

ლილა დაეშვა და შეხეთ, მარტოა, პალტოთი, ჩანთითა და ჟურნალებით დატვირთული, სულ მარტოდმარტო.

რა მოხდა?

საბაჟოში არავინ ეხმარება...

მაშ ბრმა მეუღლე რაღა საჭიროა?

ბრმა განტენბაინს გვერდით უსალმოდ აღარავინ ჩაუვლის. მე ამას ვგულისხმობ: უსალმოდ ბევრი ჩაუვლის, მაგრამ იმათში არავინ გამოერევა ისეთი, ქმრის სიბრმავით რომ სარგებლობდეს... ცოტაც და განტენბაინი ხელს დაუქნევს ლილას. ლილა ბარიერს გამოივლის და, როგორც ყოველთვის, კოცნის განტენბაინს. შემდეგ, როგორც ყოველთვის, ხელმკლავით მიდიან. მხოლოდ განტენბაინია სხვანაირი, იგი სდუმს, ლილა კი ისე იქცევა, თითქოს ყველაფერი ისე იყოს, როგორც ყოველთვის. აი, რა არის გამაოგნებელი: ლილას სახეზე არავითარი ცვლილება არ ეტყობა. მძიმე პალტო და ჩანთები ჩამოართვა განტენბაინმა, როგორც ყოველთვის, მაგრამ უსიტყვოდ. ლილას სახეზე არ ეტყობა, რომ აღარ ცრუობს, რომ აღარაფერს მალავს. გულღია სახე აქვს, როგორც ყოველთვის. განტენბაინი მანქანაშიც არ იღებს ხმას და ლილა შეწუხებული ეკითხება, რა მოგვიდაო, ხოლო თვითონ იმას ჰყვება, რასაც ყოველთვის ჰყვებოდა. ოღონდ ახლა ყველაფერი სრული სიმართლე გახლავთ. ნუთუ არ სჯერა მისი? მას ლილას ბარგი მოაქვს, როგორც ყოველთვის. ერთმანეთის პირისპირ სხდებიან. ლილა, როგორც ყოველთვის, გახარებულია შინ დაბრუნებით. ნუთუ განტენბაინს არ უხარია ლილას დაბრუნება? განტენბაინი გაოცებულია. განტენბაინი თავს ყოველთვის ისე აჩვენებდა, თითქოს სჯეროდა მისი სიხარული, ახლა კი პირველად ხედავს, თურმე რა სრულყოფილად თამაშობდა ლილა — ის ტყუილი არაფრით განსხვავდებოდა ახლანდელი სიმართლისაგან. ალბათ ამან თუ წაართვა ლაპარაკის უნარი. ლილა მუხლებზე უჯდება, როგორც ყოველთვის, ოღონდ იგი თმაზე აღარ ეფერება, თუმცა თმა ისეთივე აქვს, როგორც ყოველთვის. უფრო მეტიც, განტენბაინი წყურვილს იმიზეზებს და დგება. რა აუტანელი კაცია? განა შეიძლება ახლა წყალი დალიოს კაცმა, თუნდაც მართლა მოსწყურდეს! იგი დგას და წყალს სვამს.

ლილა არ ატყუებს.

საამისო როლი აღარა აქვს განტენბაინს.

— ლილა, — ამბობს ის.

— რა იყო? — ეკითხება ლილა.

ამ დროს განტენბაინი იხსნის სათვალეს — კი არ იგლეჯს სახიდან, როგორც სხვა დროსაც უქნია, არც ისე იხსნის, რომ თვალები მოიფშვნიტოს და

ხელახლა გაიკეთოს, სულ სხვანაირად იხსნის. უკანასკნელად იხსნის სათვალეს და იღიმება, ან ჰგონია, რომ იღიმება. ოღონდ ადამიანის სახე აღარ ადევს.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — ეკითხება ლილა.

— ლილა, — იმეორებს იგი.

— თქვი, თუ ამბობ, — ეუბნება ლილა, — გეველრები, თქვი, არ ვიცი, რა მოხდა, მართლა არ ვიცი.

წარმომიდგენია:

როცა ის სცენა უეცრად გათამაშდა, რომელიც განტენბაინს ათასჯერ და სულ სხვადასხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, სინამდვილემ, უპირველეს ყოვლისა, თავისი სრული სიცარიელით გააოგნა და მხოლოდ თავი გააქნია გაწბილებულმა. მაგრამ ლილას ხომ სურს იცოდეს, რას უმალავს განტენბაინი. განტენბაინს ლაპარაკი სულ არ ეხალისებოდა, მაგრამ მაინც ნელ-ნელა ამოღერღა ის, რაზეც ამდენი წელი ხმას არ იღებდა და აღმოჩნდა, რომ ბოლოს და ბოლოს, არსებითი ვერაფერი თქვა. ეტყობა, ნამდვილად სჭირდება გონს მოსვლა. სათვალეს არ აგდებს, თუმცა სათვალე ამიერიდან აღარ სჭირდება, არც ჯიბეში იდებს, უჭირავს ხელში და რელიქვიასავით თუ სუვენირივით დასცქერის. თან ლაპარაკობს, ხან რას იხსენებს და ხან რას, რაზეც სხვადასხვა დროს სტკენია გული, მაგრამ ახლა ყველაფერი ისეთი არარაობა ჩანს, რომ სალაპარაკოდაც არა ღირს... სიმართლე თუ გნებავთ, რასაც ახლა ვითომ გულგრილად და მხიარულად ვამბობ, სიყვარულის ახსნასავით გამომიდისო, ფიქრობს თვითონ. დიახ, მშვენივრად ხედავდა ყველაფერს, მართალია, ყველაფერი არ იცის, რაც წლების მანძილზე ხდებოდა, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი რამ გაიგო, თუმცა დანამდვილებით არაფერი იცოდა და არც ახლა უნდა დანამდვილებით იცოდეს რამე, თვითონაც ხომ თამაშობდა, ბოლოს და ბოლოს.

დასასრული:

(მოკლე და შეუსაბამო).

წადი, მომშორდი! მეუბნება ლილა და სიგარეტს იღებს, შემდეგ უკიდებს, მე კი ამ დროს ვეკითხები, ღმერთო დიდებულო, ისეთი რა მოხდა-მეთქი. მთელი ეს წლები!.. ამბობს იგი და აბოლებს. მაინც რა გითხარი ისეთი? აქამდე ქვითინებდა, ახლა კი მხოლოდ ამას ამბობს: წადი, მომშორდი! თან სიგარეტს ეწევა. მე ვატყუებდი ლილას? რომ ამბობენ, ადამიანს თმა ყალყზე დაუდგაო, თურმე მართლა ხდება ასეთი რამ, დავინახე, როგორ დაუდგა ლილას თმა ყალყზე. ნუთუ მართლა სჯეროდა, რომ ბრმა ვიყავი? მაშ, დასასრული დამდგარა და ესაა. მერე და რატომ? ამაოდ ვთხოვ პატიებას, რომ რაღაცეები დავინახე. მთელი ეს წლები! ახლა ვხვდები, რომ არასდროს არ გყვარებივარ, არასდროს, ახლა ვხვდები და მინდა, რომ წახვიდე, წახვიდე! ამბობს იგი და სიგარეტს ეწევა, მერე კი ყვირის: მინდა, რომ წახვიდე!

გამოღვიძება (ვითომ არაფერი მომხდარიყოს!) ტყუილი აღმოჩნდა. ყოველთვის ხდებოდა რაღაც, ოღონდ სხვანაირად ხდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს მე დამკითხავენ.

— აბა, — ამბობს ვიღაც, ვისაც ეს ამბავი სულ არ ეკითხება და მარტონი კი ვლაპარაკობთ, — მაინც როგორი იყო თქვენი ცხოვრება, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება?

მე ვდუმვარ.

— ერთ კაცს უყვარს ერთი ქალი, — ამბობს იგი, — ამ ქალს უყვარს სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, პირველ კაცს უყვარს სხვა ქალი, რომელიც ასევე უყვარს სხვა კაცს, — ამბობს იგი და ასეთ დასკვნამდე მიდის: — სავსებით ჩვეულებრივი ისტორიაა, რომელსაც თავსა და ბოლოს ვერ უპოვი...

თავს ვუქნევ.

— რატომ არ იტყვით მოკლედ და გარკვევით, იმ ორი კაციდან რომელი ხართ თქვენ თვითონ? — მეკითხება იგი და ეტყობა, საცაა გამოელევა მოთმინება.

მხრებს ვიჩეჩავ.

— გამოძიებამ დაადგინა, — ამბობს იგი და ხმაში მუქარა ეპარება, — რომ პიროვნება, როგორიცაა, მაგალითად, კამილა ჰუბერი, არ არსებობს და არც არასდროს არსებულა, ისევე როგორც არ არსებობს კაცი ვეარად განტენბაინი...

— ვიცი.

— თქვენ მხოლოდ გამონაგონ ამბებს ჰყვებით.

— მე მხოლოდ გამონაგონ ამბებს განვიცდი.

— ასე იყოს, — ამბობს იგი, — მაგრამ რა მოხდა ნამდვილად იმ დროს, იმ ადგილებში, სადაც თქვენ იმყოფებოდით?

თვალებს ვხუჭავ.

— რატომ არ მპასუხობთ?

მე ვდუმვარ.

— თქვენ გავიწყდებათ, ჩემო კარგო, რომ არსებობენ მოწმეები.

შემდეგ მესმის, როგორ აღებს იგი კარს, მესმის წვეტიანი ქუსლების პაკაპუკი და ისევ ვახელ თვალებს, რომ დავინახო, აქ რა თამაშდება...

ვხედავ:

ბოთლში ჩარჩენილ ბურგუნდულს. ნაცნობი სურათია. წითელი ღვინის ზედაპირზე ობის პაწაწკინტელა კუნძულები მოჩანს, ვხედავ აგურივით გამაგრებულ პურის ნარჩენებს, მაცივარში ლორის გამომხმარი ნაჭერი მოკრუნჩხულა, თასში ჩარჩენილი კომპოტი ამღვრეულა, ძირში გარგარის ლექი მოჩანს, ეს მუმიის საგზალია, ვიცი, ვზივარ პალტოსა და ქუდში გამოჭიმული, ოთახში ქაფურის, მტვრისა და მასტიკის სუნი დგას, ხალიჩები დაგორგლილია, მე სავარძლის ზურგზე ვზივარ და ხელში კორპსაძრობს ვათამაშებ, არ ვიცი, რა მოხდა, ყველა სავარძელს თეთრი ტილო აქვს გადაფარებული, ნაცნობი სურათია, დარაბები დაკეტილია, ყველა კარი ღიაა, ადგომაც არ მჭირდება, ისედაც ვიცი ეს...

მე ბრმა ვარ. მხოლოდ ხანდახან, ყოველთვის არა. შემდეგ ისევ მეპარება ეჭვი: ნუთუ ის არ არის ჩემი ცხოვრება, რაც შემიძლია წარმოვიდგინო? მე ეს არ მჯერა. ვერ დავიჯერებ, რასაც ვხედავ, სწორედ ეს იყოს წუთისოფელი.

ამბავი კამილასათვის:

(კანტონის პოლიციელის ვიზიტის შემდეგ).

— წესრიგი ნამდვილად საჭიროა, — ვამბობ მე. — რამდენიმე წლის წინ ერთი ამბავი მოხდა, რამაც ძალიან ააფორიაქა ესენი. აქვე, ქალაქში, უეცრად გამოტყვრა ადამიანი, რომელსაც არამცთუ თავისი ისტორია, თავისი სახელიც კი არ უნდოდა დაეტოვებინა ამქვეყნად. ადამიანებმა თავიანთ ერთ თანამედროვეზე მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იგი ცხოვრობდა ამქვეყნად. ამ ფაქტს, თუ გნებავთ, მისი გვამი ადასტურებდა, ერთ დღეს, უფრო სწორად, ერთ მეტისმეტად მშვენიერ დილას რომ იპოვეს ლიმატში. კარგად მახსოვს ის დილა. სწო-

რედ იმ დილით ჰელმჰაუზის ხიდზე გადავდიოდი, რომ გედები დამეპურებინა. მაშინ იქ დიდი ტირიფი იდგა, იქნებ დღესაც დგას ის ტირიფი, იხვებისა და გედების ნაკრძალში ეულად ამოსული მტირალა ტირიფი, გრძელი ტოტები მწვანე ლიმატში რომ ჰქონდა ჩაშვებული. ტირიფის ფოთლები გირლიანდებივით იკლაკნებოდა წყალში, ხოლო ჭრელ-ჭრელი იხვის ჭუკები პრიალა ქაღალდისაგან გამოჭრილებს ჰგავდნენ და იდილიურ სანახაობას ჰქმნიდნენ. ამ სანახაობას გედების თეთრი მედიდურება ემატებოდა, ზემოთ გროსმიუნსტერი წამომართულიყო, კარლოს დიდს გვირგვინზე თოლიები ასხდნენ, ისმოდა თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი... ეტყობა, იგი აქ გაეჩხირა. ალბათ დიდხანს ვერ იპოვიდნენ, იქნებ ვერც ვერასდროს ეპოვათ, ის კასრები რომ არ ჩაჟანგულიყო, იხვების სადგომის ცხაურს რომ იჭერდნენ. ამ საქმეს მიწისქვეშა ნაგებობების სამმართველო განაგებს თუ პარკის ხელმძღვანელობა, არ ეიცი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, დაჟანგული კასრები ოდესმე ხომ უნდა გამოეცვალათ. ცხაურს დამპალი ფიცრები მოხსნეს, რადგანაც შლამით დაფარულ კასრებს ისე ვერ მიუდგებოდნენ და შლამით დაფარული გვამიც დაინახეს, მაშინვე შეწყვიტეს მუშაობა, პოლიციას შეატყობინეს და ისინიც მალე მოცურდნენ მწვანე კარაპით. ამ დროს კოშკის საათი სწორედ თერთმეტს რეკავდა. რეკვა ათ წუთს გაგრძელდა. თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი ჩემს ყველაზე უფრო სანუკვარი მოგონებების რიცხვს მიეკუთვნება. მე თუ მკითხავთ, ზარების გუგუნი ყველაზე უფრო კარგად მაშინ გესმის, როცა ჰელმჰაუზის ხიდს მიუყვები, მაშინ ყველა კოშკის ზარების ხმა თითქოს წყლის ზედაპირზე ერწყმის ერთმანეთს... იქნებ გვამიც ამიტომ გაეჩხირა მაინცდამაინც აქ. რა თქმა უნდა, მარტო მე არ მინდოდა ამ ამბის ყურება. ორიეე პოლიციელი ქალაქის ღერბით დამშვენებულ მწვანე კარაპაში იდგა, ერთი ორთაყვირს ჩასჭიდებოდა, მეორე კი გრძელი ჭოკით შეიარაღებულიყო, ორივეს ფორმა ეცვა და ჩაფხუტები ეხურა, თითქოს ვინმე ჰყავდათ დასაპატიმრებელი. პოლიციელები ნერვიულობდნენ, ამდენი ხალხი რომ დაჰყურებდათ ხიდიდან, მოხდენით კი არაფერი ხდებოდა. ისმოდა თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი. ხიდის მოაჯირთან თავმოყრილი ჭკუის კოლოფები ბჭობდნენ, ერთი გულიანად რომ შეებან საქმეს, გვამს ამოათრევენო. უკვე ყველამ იცოდა, რომ საქმე გვამს შეეხებოდა და ეტყობა, უფლებაც ჰქონდათ გაეგოთ, გვამი ვისი იყო. გვამი კი დაჟანგულ კასრებს შორის ჩაჭედილიყო. რაც უფრო ცუდი პირი უჩანდა საქმეს, მით უფრო მატულობდა ინტერესი. ამასობაში თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნიც ჩაწყნარდა. ბოლოს და ბოლოს, რაღაც უნდა მომხდარიყო, თუნდაც გვამის გულისთვის არა, რომელიც საათებს აღარაფრად დაგიდევდათ. ეტყობა, გვამის დაჭერის სხვა ხერხი არ არსებობდა: მეორე პოლიციელი ჭოკიანს რაღაცას ასწავლიდა, თვითონ კი გრძელი ორთაყვირით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მდინარეზას ებრძოდა, ჭოკიანი ჩაჟანგულ და შლამმოდებულ კასრებს უჩხიკინებდა და ის კი აღარ იფიქრა, რომ წლების მანძილზე კასრებს შორის ჩაჭედილი გვამი თავს აიშვებდა თუ არა, მაშინვე დინებას გაჰყვებოდა თან. ასეც მოხდა და ხიდზე თავმოყრილი მაყურებლები პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ. მდინარეზე რაღაც მიცურავდა, ეს გვამი იყო, ნელა მიცურავდა, მაგრამ თითქოს კიდევ შერჩენოდა ნება, ასე განსაჯეთ, მტკიცე ნება, აქაურობას გასცლოდა. სანამ პოლიციელები ღონივრად მოუსვამდნენ ნიჩბებს, გრძელ კარაპას შემოატრია-

ლებდნენ და გამოუდგებოდნენ, გვამს რამდენიმე მეტრი უკვე მოგებული ჰქონდა. გვამი პირქვე იწვა, რა თქმა უნდა, არც ინძრეოდა და არც ხელებს უსვამდა, მაგრამ ისე მიცურავდა, თითქოს წლების განმავლობაში ამ წუთს ელოდაო, მდინარებას მიჰყვებოდა და ქალაქის ღერბიანი კარაპა მიაცილებდა. კარაპა ნიჩბების ღონიერი მოსმისაგან სახიფათოდ ირყეოდა. აქაურებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ დევნა მხოლოდ ურანიას ხიდამდე შეიძლებოდა, რადგან იმ ხიდის ქვეშ ვერავითარი კარაპა ვერ გაეტეოდა. ზოგიერთი მაყურებელი ლიმატის გასწვრივ გარბოდა, უფრო სწორად, რაც შეიძლება სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდა ნაპირს, უმრავლესობა ქალაქის ღირსების შელახვას მოერიდა, სეირის ცქერას თავი მიანება და ისე გაუდგა თავის გზას, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. მათ გედებივით ღირსეულად იბრუნეს პირი. გედებმა ერთი კი ააფათქუნეს ფრთები, მაგრამ მალე ისევ ძირს დაუშვეს და წყალში მედიდურად გაცურდნენ. ამასობაში გვამი შორს არ წასულა. მრავალხიმინჯიან ბოსტნეულის ხიდთან ისევ გაეჩხირა და დინებამ გულაღმა გადმოაბრუნა. მამაკაცი იყო. იმ ადგილზე მეყვავილეებს უდგათ დახლები და რამდენიმემ დაინახა კიდეც მისი გახრწნილი სახე. პოლიციასაც სწორედ აქა აქვს საგუშაგო და სასწრაფოდ საკმაოდ მრავლადაც მოიყარეს თავი, რათა გამვლელები იმ გზაზე არ გაეტარებინათ. ყოველ შემთხვევაში, ხიდზე ნამდვილად გაბატონდნენ, მაგრამ ყურადღება რომ არ მიექციათ, ეს კი აღარ გამოუვიდათ. აქეთ არავინ იცოდა, რა მოხდა, შეკითხვაზე პასუხს არავინ იძლეოდა და ისე ჩანდა, თითქოს ყვავილების გამო ატეხილიყოს ეს ვაი-უშველებელი. ყვავილების დახლებს არაფერი ეტყობოდა, მაგრამ გეგონებოდათ ციურიხში უცებ აკრძალესო ყვავილების ყიდვა. კარგა ხანს არაფერი მომხდარა. თუმცა შემდგომი ოპერაციის ხელმძღვანელი პოლიციის ინსპექტორი მაშინვე ადგილზე გაჩნდა, მაგრამ მის მიერ გაცემული განკარგულება, რომ შემთხვევის ადგილი საგულდაგულოდ დაეთვალიერებინათ, დროს მოითხოვდა. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ინსპექტორი „როსლის“ აბოლებდა და იცდიდა. გვამი ისე იყო გახრწნილი, კიდურებით რომ მოექაჩათ, საეჭვოა, მთლიანად შერჩენოდათ ხელში. ამასობაში მოშუადღევდა, დადგა პიკის საათი. მხოლოდ გვამს არ მიეჩქარებოდა არსად. პირაღმა იწვა, ტრანსპორტის ხმაური არ ესმოდა, ლიმატი ჩუხჩუხით ეევლებოდა გარს მის შლამით გავსებულ წვერს და იფიქრებდით, გაქცევაზე ხელი აუღიაო, მაგრამ პოლიციის ინსპექტორი წინდახედული კაცი გახლდათ და გვამს დარაჯებს არ აცილებდა, თან სიგარას უფრო ღეჭავდა, ვიდრე აბოლებდა. კარაპა ახლა პალოზე გამოებათ და მასაც ისევე ჩუხჩუხით უვლიდა ირგვლივ წყალი. კარაპა გვამიდან ჭოკის მისაწვდენზე დაეყენებინათ და ერთი პოლიციელი გვამს კეთილსინდისიერად სდარაჯობდა. აგვისტოს თბილი შუადღე იდგა. ლეშს საზამთრო პალტო ეცვა და ხელთათმანები ეკეთა, ოღონდ ქუდი არ ეხურა. პოლიციელმა ჩაფხუტი მოიხადა, ოფლი მოიწმინდა, ჩაფხუტი კვლავ დაიხურა და ისევ სმენაზე დადგა. ეტყობა, ლეშს ყველაფერს ერჩივნა ჩაძირულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ თავმა მოახერხა. როგორც იქნა, მოვიდა შავი მანქანა და კუბო მოიტანა. ახლა ალყის მიუხედავად ცნობისმოყვარეებს რაღაც მაინც ჰქონდათ საყურებელი: ეს იყო ნაძვის ხისაგან გამოჩორკნილი კუბო. როცა კუბოს თოკების ჩაბმა დასჭირდა, ინსპექტორმაც გამოიღო ხელი. გეგმა ნათელი გახლდათ: ლეში წყლის ქვეშ უნდა ჩაედოთ კუბოში. გვამი ისე გახრწნილი იქნებოდა და ისე დაფარული შლამით, რომ იმ კოკარდიან პოლიციელებს,

რომლებსაც, ასე ვთქვათ, გვამის კუბოთი ამოხაპვა ევალებოდათ, შესაშურად ნამდვილად არ ჰქონდათ საქმე. საკმაო ხანი გავიდა, სანამ კუბოს თოკებით ჩაუშვებდნენ ძირს, პოლიციელების ზურგს უკან მიჭყლეტილი ცნობისმოყვარეები კი მხოლოდ ინსპექტორს ხედავდნენ, რომელიც მოაჯირთან იდგა და განკარგულებას იძლეოდა. პოლიციის ინსპექტორი ისე საქმიანად და აუღელვებლად ირჯებოდა, ვითომც აქ არაფერიაო, მაგრამ ცოტა ხანში თავის ქნევას უმატა. ეტყობოდა, ლეში არ ემორჩილებოდა მის განკარგულებებს. ცნობისმოყვარეთაგან ბევრს უკვე მოთმინება დაეკარგა, რადგან დამუნჯებული პოლიცია კითხვებზე არავითარ პასუხს არ იძლეოდა, რომ უეცრად ყვირილი გაისმა, თუმცა მაინც ვერავინ მიხვდა, რა უნდა მომხდარიყო. ზოგიერთებს ეცინებოდათ კიდეც. პოლიციის ინსპექტორი მხოლოდ თავს აქნევს და ხმას არ იღებს, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ყველა ხედავს, როგორ მიცურავს ლიმატის მწვანე ტალღებში ცარიელი ჩაფხუტი, მას უკან ლეშიანი კუბო მიჰყვება, ორივეს კი კარაპა მისდევს, ერთი, უფრო მარჯვე მენიჩბე ნავში დგას, მეორე წყალში ჩავარდნილა, მუნდირითა და ჩექმებით ნაპირისაკენ მიცურავს და ოპერაციის შემდგომი ბედი სულ აღარ ენაღვლება. კარაპასაც მეტი რაღა დარჩენოდა — იგი ჯერ კიდევ მიაცილებდა ნელა მიმავალ კუბოს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ურანიას ხიდთან მისი მსვლელობა დასრულდა. ამის შემდეგ ლეში მარტო მიცურავდა, ხან ფეხები მოექცეოდა წინ, ხან თავი, თითქოს უნდოდა მოესინჯა, ხანგრძლივი მოგზაურობისათვის რა მდებარეობა აჯობებდა. ამ დროს კუბოს წყალმა მარჯვნისკენ აქნევინა პირი და სანაპიროს ჯებირს რამდენიმეჯერ ისე მიაჯახა, რომ კინაღამ გადააბრუნა. ასე გაგრძელდა სადგურის ხიდამდე, სადაც მაშინვე არავის შეუნიშნავს კუბო. ყველა როდი იყურება წყალში, თუ ხიდზე პოლიცია არა დგას. ბოსტნეულის ხიდზე პოლიციის ალყას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ ალყა მაინც არ მოუხსნიათ. აქ კი ერთი პოლიციელიც არსად ჭაჭანებდა და ლეშმა შეისვენა, მით უმეტეს, რომ ამ ადგილზე სანაპიროს ჯებირებიც საკმაოდ მაღალი იყო. კარგად ჩანდა, კუბოში როგორ ყანყალებდა ლეში, მაგრამ იქამდე ხელი არავის მიუწვდებოდა. კუბო რამდენჯერმე მიეხალა კედელს, გადაიხარა და გვამს ერთი ხელი ძირს გადმოეკიდა. პოსტიდან მოძრაობის მომწესრიგებელი პოლიციელი გამოიხმეს, ის რას გააწყობდა, მაგრამ თეთრი ხელთათმანი მაინც გაიხადა. ეტყობოდა, თვითონვე აინტერესებდა, მერე რას მოიმოქმედებდა, მაგრამ მერეც არაფერი უღონია. ბევრი უკან გატრიალდა. ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ხელი ზარავდათ, წყალში რომ ინძრეოდა, ოდნავ, ისიც ხანდახან, მაგრამ მაინც ინძრეოდა. მხოლოდ პოლიციელს არ უბრუნებია პირი, თეთრი ხელთათმანები მუჭში ეჭირა და ისე ფეხმოუცვლელად იდგა, თითქოს მუნდირის წინაშე იხდიდა ვალს. ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება იყო მთავარი საგუშაგო გამოეძახებინა და ეს ამბავი მათთვის ეპატაკებინა, მაგრამ ეტყობა, ლეშიც ამას ელოდა. ის იყო პოლიციელი ამ განზრახვით მოშორდა ნაპირს, რომ კუბოს ერთი პატარა ჩქერი გადაევლო და ისიც გზას გაუდგა. არ გადაბრუნებულა, ნარნარად მოუხვია, სადგურის ხიდთან გასასვლელი იპოვა, ხიდქვეშ გაძვრა და ამჯერად დინებისაკენ თავშექცეული გაუდგა გზას. მერე სულ ასე თავშექცეული მიცურავდა, ტრიალს თავი გაანება, აშკარად გაბედულად მოქმედებდა და მდინარეზე გადმომდგარ დაწესებულებებთან მგონი სვლასაც მოუჩქარა, თითქოს დღესვე უნდოდა ზღვამდე მიეღწია. იყურებოდა თუ არა იმ დროს ვინმე დაწესებულებების ფანჯ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებიდან, არ ვიცი. კუბო ვალხეს ახალი ხიდის ბურჯს გამოედო, მაგრამ იქ დიდხანს არ შეჩერებულა. ერთი კი დაბზრიალდა, მაგრამ არ გადაბრუნებულა, მხოლოდ სხვა მხარეს დაყირავდა და სვლა განაგრძო, ჩაუარა შვეიცარიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ზაფხულის შესაფერისად ამწვანებულ პარკს და ახლა ისევ ფეხები მოექცა წინ. კუბო ყანყალებდა, მაგრამ შეუჩერებლივ მიდიოდა და უკვე აშკარად ეტყობოდა, რომ ციურიხი ვეღარ დაიჭერდა, ციურიხი, რომელიც უკვე დაჰბრუნებოდა დღის ჩვეულ დინებას: ჰელმჰაუზთან თეთრი გედები კვლავ მედიდურად დაცურავდნენ მტირალა ტირიფის ქვეშ, ძველებურად ისხდნენ თოლიები კარლოს დიდის გვირგვინზე, ოღონდ თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნის მაგიერ ახლა ბერომიუნსტერის დროის მაუწყებელი სიგნალები ისმოდა, ბოსტნეულის ხიდიდან ალყა მოეხსნათ, კარაპა თავის ადგილზე დაებათ ჯაჭვით, მოძრაობის მარეგულირებელი პოლიციელი ისევ ისე იდგა თავის კვარცხლბეკზე და თეთრხელთათმანიან ხელს იქნევდა... კარგა ხნის შემდეგ იგი ერთმა ბავშვიანმა ქალმა აღმოაჩინა და პოლიციას შეატყობინა. ქმარმა დაატანა ძალა, ასეთი ამბავი პოლიციას უნდა შეატყობინოთო. იგი ეგრეთ წოდებულ პატარა სამჭედლოსთან იპოვეს, იქ წყალი გუბდება და ალბათ ამან თუ დატოვა სახტად: თავღია კუბო თითქმის შეეულად იყო ამოჩრილი მობუყბუყე წყლიდან, გვამი კი შიგ თითქოს მიწოლილიყო.

კამილას შეძრწუნება გამოეხატა სახეზე.

— დიახ, ასე იყო, — ვთქვი მე.

— საშინელებაა!

— სულ ცოტა კი დააკლდა, რომ თავისი გაეტანა, — ვამბობ და უკვე გაკოხტავებულ ფრჩხილებს დავცქერი, — სულ ცოტა დააკლდა...

— რაზე?

— სულ ცოტა დააკლდა, რომ თავისი გაეტანა და ამქვეყნიდან უისტორიოდ გადაკარგულიყო.

თითქოს არაფერი მომხდარიყოს... სექტემბრის დღე დგას და ბნელი, მაგრამ არცთუ ისე გრილი საფლავებიდან კვლავ დღის სინათლეზე რომ ამოვდივართ, თვალებს ვჭუტავთ, ისეთი ჩახჩახაა დღე. საფლავების თავზე გადახნული ყანების წითელ ბელტებს ვხედავ, შორს მუქად ლივლივებს შემოდგომის ზღვა, შუადღეა, ყველაფერი აწმყოსეულია, მტვრიან ნარშავებში ქარი დათარეშობს, მესმის ფლეიტის ხმები, მაგრამ ეს საფლავებში ახმიანებული ეტრუსკული ფლეიტები როდია, ეს ქარი დათარეშობს მავთულებში, ზეთისხილის მეჩხერ ჩრდილს მტვრისაგან გადათეთრებული, სიცხისაგან გავარვარებული ჩემი მანქანა შეჰფარებია. ქარი ვერ ანელებს ჯოჯოხეთურ სიცხეს, მაგრამ უკვე სექტემბერი დამდგარა ისევ, ოღონდ ესაა, რომ აწმყოს დავბრუნებივართ, ვსხედვართ მაგიდასთან ჩრდილში და სანამ თევზი შეიწვებოდეს, პურს შევექცევით. ბოთლს ხელს ვავლებ და ვსინჯავ, ღვინო (ვერდიკიო) ცივია თუ არა, მწყურია, მშია, კარგია სიცოცხლე...

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა ახმადულინა

თარგმნა **თედო ბექიშვილმა**

* *

თითქოსდა თავზე დამექცა ჭერი,
საცაა სული წამივა უცებ, —
ვატყობ, ამაოდ ვაწუხებ ფურცელს,
როდესაც შენზე დავიწყებ წერას...

რამდენი მწეწა ცხოვრების ჯარამ,
რამდენი შიში მოგროვდა გულთან...
და საქართველო დარდსა და ვარამს
მიმსუბუქებდა, მშველოდა მუდამ.

და დღემდის დამრჩა შეუცნობელი,
რა ტრფობის ცრემლი გილბობდა თვალებს?
ო, რომ იცოდეთ, რა მახლობელი
გრძნობით ვუყვარდი ამ ღვთიურ მსარეს!

თბილისო, ახლაც მიჭირს გაგება —
ისე, ვით ჩვილი საკუთარ კალთას
ჩამოიშოროს უგულო დედამ,
მე ვინ მომაგდო შენს ღია კართან?

არ მიკითხია, რად ხდება ასე,
არც შენ აპირებ ამის განდობას,
რომ სიყვარულით ყელამდე მავსებ
და ისევ თვითონ მისდი მადლობას.

ჩემი ცხოვრების ხვალინდელ დღეთა
მთელ განმს მოგიძღვნი დაუფიქრებლად,
თუმცა ამ ტრფობის გადასახდელად
ვიცი, ყოველი მცირე იქნება...

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუნა მორიცი

თარგმნა **ბიბი გეგეჭკორმა**

ჩემს ბიჭუნას

— მეც წამოვალ!
— ვერ წაგიყვან!
როგორ უნდა გაგიყოლო,
იმ უხილავ გზაზე ყველა
მარტოდმარტო მიდის მსოლოდ.

მიიკვლევენ გზას და მათი
დამცირება არ იფიქროთ,
მათი სუნთქვა სიმღერაა
დაყოფილი სტრიქონ-სტრიქონ.

გზას მისდევენ თუ აქლემით,
თუ ქურციკით თუ სახედრით,
უბელოდ და უნაგირით,
თუ ფაშატით თუ კარეტით.

იუნკერი და ჰუსარი
თუ მუნდირით და თუ ფრაკით,
თუ ვაჭარი თუ კორსარი,
წყვდიადით და ფათერაკით.

ზოგს ყულფი აქვს მორგებული,
ზოგს — სალათი, ზოგს — აბჯარი...
მე პეგასზე არა ვზივარ,
მე ვარ ცოცხზე გადამჯდარი.

□

ვლადისლავ ფოფინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა **ემზარ კვიტაიშვილმა**

ზედაზენი

ნიკოლოზ ტიხონოვს

ისევ მივყვები ზედაზნის აღმართს,
მუქი ჩრდილები ერთმანეთს კვეთენ,
ვაიშრიალა ნიავმა ლაღმა,
ძალე დავლანდავ მონასტრის კედელს.

უსვევს და უსვევს ბილიკი მწვანე,
ტყეს გადაუცვამს ფოთლების თორი.
ცაღაზიდულნი, მიმზერენ მთანი,
შემოგარენი გაშლილან გორის.

ნისლის ფთილებით ბოლავს ხეები,
გზაჯვარედინიც გამოჩნდა მცხეთის;
მწვანედ ტორტმანებს კონცხი ვეება —
რიჟრაჟის ტბაში ტაატით შედის.

მთის წყაროს ერთხელ გავუგე გემო,
უცებ გაისხნა ცა დაბურვილი,
მერე მივიწევ ზემოთ და ზემოთ,
ველარ მოვიკალ დიდი წყურვილი.

იმ დღიდან მაღალ მთას ვეტანები,
მიწაზე ყოფნა მექცა წუხილად.
უხდა ასრულდეს ჩემი ზმანება,
მჯერა, რომ მთიდან განახავ უხილავს.

ტვირთს ვისხნი,
ოფლი საფეთქლებს ღარავს
და მეღიმება დაღლილს, კმაყოფილს;
გაღმა ფერდობზე ბალასობს ფარა —
თეთრი და შავი თუთის ნაყოფი.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივან ბუნინი

მოთხრობები

სუხოდოლი

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა პეტრე ლიკლიკაძემ

I

ნატალიას ერთგულება სუხოდოლისადმი მუდამ გვაოცებდა. ნატალია მამაჩვენის ძუძუმტე და თანშეზრდილი გახლდათ. რვა წელიწადი ცხოვრობდა ჩვენთან ლუნევოში, ცხოვრობდა, როგორც მამაჩვენის ღვიძლი დაი და არა როგორც ყოფილი ყმა ან მოახლე. რვა წელიწადია მოსვენებული ვარ იმ ვაი-უბედურებისაგან, რაც იქ, სუხოდოლში, მტანჯავდა და მაწამებდაო, ხშირად იტყოდა, მაგრამ ხალხს მართალი უთქვამს: თაგვს საბან-ბუმბულში აწვენდნენ და მაინც სოროსაკენ გარბოდაო — ნატალიამ დაგვზარდა, ფეხზე დაგვაყენა და მერე ისევ სუხოდოლს მიაშურა. მახსოვს, ბავშვურ საუბარს გავუბამდით ხოლმე:

— ნატალია, შენ ხომ ობოლი ხარ?

— ობოლი ვარ ჩემი ბატონებივით. ცხონებული ბებიათქვენი, ანა გრიგორის ასული ადრე იახლა უფალმა! მეც უდროოდ დამეხოცა დედ-მამა.

— უდროოდ რამ დახოცა?

— სიკვდილმა მოაკითხა და იმანა.

— არა, უდროოდ რატომ მოაკითხა?

— ღმერთმა ასე ინება. მამაჩემს რაღაც დაუშავებია და ბატონებსაც ჯარში მიუბრძანებიათ. დედაჩემი კი ინდაურებს გადაჰყოლია თან. თავად არ მახსოვს, სხვებისაგან გამიგონია: ბატონის ინდაურებს უვლიდა თურმე უბედური და იმდენი მოუშენებია, სათვალავი აღარა ჰქონია. ერთ დღეს მინდვრად გარეკილ ინდაურებს სეტყვა დასტეხიათ და სულ ერთიანად გაჟუჟულან. მაშინვე გაქცეულა საწყალი დედაჩემი და დახოცილი ინდაურები რომ დაუნახავს, შიშით გული გახეთქია!

— შენ რატომ არ გათხოვდი?

— საქმრო ჯერ არ მოწიფულა.

— არა, მართლა, ხუმრობის გარეშე?

— ამბობენ, ქალბატონ მამიდათქვენს უნებებია ასე. ამიტომაც მე ცოდვილიც ბატონის ასულად მომნათლეს...

— ერიჰაა, შენ რანაირი ბატონის ასული ხარ!

— ზრდილობით, დიახაც, ბატონიშვილი გახლავართ! — გვიპასუხებდა ნატალია და სუსტი ღიმილით ანაოჭებულ ტუჩებზე თავის მოცახცახე ბებრულ ხელს მოისვამდა, — მე ხომ არკადი პეტრეს ძის ძუძუმტე ვარ, თქვენი მეორე მამიდა...

დრო გადიოდა, ვიზრდებოდით და უფრო მეტის ყურადღებით ვიბეჭდავდით თავში ყველაფერს, რასაც ჩვენს სახლში სუხოდოლზე ჰყვებოდნენ. რაც წინათ გაუგებარი იყო, ახლა ნელ-ნელა ნათელი ხდებოდა: უკვე ცხადად შეგვეძლო წარმოგვედგინა სუხოდოლური ცხოვრების უცნაურობანი. ამდენხანს გვეგონა, ნატალია მამაჩვენის ჭირ-ვარამის მოზიარე და ჩვენი, ტახტის აზნაურ ხრუშჩოვების, ღვიძლი ნათესავი იყო, მაგრამ დახეთ რა ყოფილა! ამ ბატონებს ნატალიას მამა ჯარში გაუმწესებიათ, დედა კი ისე დაშინებული ჰყოლიათ, რომ საბრალო ქალს სეტყვისაგან გაჟუჟული ინდაურების დანახვაზე გული გასკდომია!

— დიახ, ასე იყო, — ამბობდა ნატალია, — რომ არ მომკვდარიყო, სულ ერთია, ბატონები მოჟაის იქით გადაჰკარგავდნენ!..

მერმე უცნაურზე უცნაური ამბებიც გავიგეთ სუხოდოლზე: იქაურ ბატონებზე უბრალო და კეთილი ხალხი თურმე „დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა“, მაგრამ მათზე მეტი „სიფიცხეც“ არავის სცოდნია. ბნელი და იდუმალებით მოცული ყოფილა ჩვენი სახლი სუხოდოლში: პაპაჩვენი, ჭკუაზე შეშლილი პეტრე კირილეს ძე, იმ სახლში მოუკლავს თავისსავე ბუშს — გერვასკას, მამაჩვენის კარგ მეგობარსა და ნატალიას ბიძაშვილს; უიღბლო სიყვარულისაგან დიდი ხანია ჭკუაზე შეშლილა ტონია მამიდა და ახლა განმარტოებით ცხოვრობს უკაცრიელი საბატონო სახლის ეზოში, ერთ მიყრუებულ, ძველისძველ ქოხში, თან მუდამდღე ყურისწამღებად აჟღრიალებს ძველ, მოშლილ-მონჯღრეულ ფორტეპიანოზე ეკოსეზს [1]. გავიგეთ ისიც, რომ ერთი ხანობა ნატალიაც გაგიჟებულა: თურმე ბავშობიდანვე თავდავიწყებით შეყვარებია აწ განსვენებული ბიძაჩვენი პეტრე პეტრეს ძე. მაგრამ უგულო კაცს საწყალი მოახლე გოგო ხუტორ სოშკიში გაუსახლებია... ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რატომ ვოცნებობდით ასე მხურვალედ სუხოდოლზე, რომელიც ჩვენთვის წარსულის პოეტური ძეგლი გახლდათ მხოლოდ. ნატალიასათვის კი... ერთხელ, თითქოს საკუთარ ფიქრს უპასუხაო, ნატალიამ უსაზღვრო გულისტკივილით თქვა:

— სუხოდოლში სუფრასთანაც კი ბალღოჯის წკნელები ჰქონდათ მომარჯვებული ხელში! ტანში მზარავს, რომ მახსენდება.

— შოლტები ეჭირათ? — ვკითხეთ ჩვენ.

— ეგ სულ ერთია.

— რად უნდოდათ?

— ვინიცობაა, ჩხუბი ატეხილიყო...

---

[1] ეკოსეზი — ძველი შოტლანდიური საცეკვაო (მთარგმნელის შენიშვნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სუხოდოლში ყველა ჩხუბობდა?

— ღმერთო, შენ მიშველე! უაყალმაყალოდ დღე არ გავიდოდა! ფიცხი ხალხი იყო — პატარა რამეზეც კი ფინდიხივით აფეთქდებოდნენ!

ნატალიას ლაპარაკისას ჩვენ გავინაბებოდით და აღტაცებული გადავხედავდით ხოლმე ერთმანეთს. ვინ იცის, რამდენჯერ დაგვდგომია თვალწინ უზარმაზარი კარ-მიდამო და გამჭვარტლულ-გაშავებული ისლის სახურავიანი მუხის ძველი ძელური სახლი. აგერ ბატონები მაგიდას შემოსხდომიან და სადილობენ, ძვლებს პირდაპირ იატაკზე უყრიან მეძებარ ძაღლებს, ერთმანეთს უბღვერენ და ყველას შოლტები უდევს მუხლებზე... წარმოვიდგენდით ამას და ვოცნებობდით, ნეტავი მალე გავიზრდებოდეთ, რომ ჩვენც შოლტმომარჯვებულებმა ვისადილოთ-თქო. განა არ ვიცოდით, იმ შოლტებს ნატალიასათვის კარგი დღე რომ არ დაუთენებია, მაგრამ მაინც ვოცნებობდით... ჰოდა, წავიდა ჩვენი ნატალია ლუნევოდან სუხოდოლს — თავის ტკბილ-მწარე მოგონებათა ადგილის დედას მიაშურა, იქ საკუთარი კედელ-ყურე არ გააჩნდა, არც ახლო ნათესავთაგანი ჰყავდა ვინმე, მაგრამ მაინც წავიდა. მხოლოდ ახლა წინანდელ ქალბატონს, ტონია მამიდას კი არა, ცხონებული პეტრე პეტრეს ძის ქვრივს — კლავდია მარკის ასულს ემოახლებოდა. დიახ, სუხოდოლის საბატონო სახლკარს გარდა ნატალიას გული ვერსად უძლებდა.

რა ვქნა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, — მორიდებით ამბობდა იგი, — ხომ გაგიგონიათ, ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასაო...

მარტო ნატალიას როდი უყვარდა ასე უზომოდ სუხოდოლი! ღმერთო ჩემო, რა ხარბად იგონებდნენ იმ სოფელს სხვა სუხოდოლელნიც!

ტონია მამიდა ღარიბულად ცხოვრობდა პატარა ქოხმახში. სუხოდოლმა დაეკარგვინა მას ბედიც, გონიც და ადამიანური სახეც, მაგრამ მშობლიური ბუდის მიტოვებასა და ლუნევოში გადასვლას ვერ უხსენებდი. მამაჩემის ხვეწნაზე მხოლოდ ამას უპასუხებდა: კლდეს მოგლეჯილი ქვა რიღას მაქნისიაო.

თავად მამაჩემი ერთი უდარდელი კაცი გახლდათ, არაფრის სიყვარულით არ იკლავდა თავს, მაგრამ სუხოდოლის ხსენებაზე მასაც ღრმა სევდა დაეუფლებოდა ხოლმე. კარგა ხანია სუხოდოლიდან ლუნევოში, ჩვენი ბებიის ოლღა კირილეს ასულის მამულში გადმოსახლებულა, მაგრამ თითქმის სიკვდილამდე გულისტკივილით ამბობდა:

— ეჰ, ერთადერთი ხრუშჩოვიღა დარჩა ამქვეყნად და ისიც სუხოდოლში არა ცხოვრობს!

მართალია ხშირად ამ სიტყვების შემდეგ ჩაფიქრდებოდა, სარკმელში გაიხედავდა, დამცინავი ღიმილი გადაურბენდა სახეზე და მერე კედლიდან გიტარასაც ჩამოხსნიდა, მაგრამ ისეთივე გულწრფელობით განაგრძობდა, როგორითაც წუთის წინათ ლაპარაკობდა:

— ოჰ, რა კარგია სუხოდოლი, დალახვროს ეშმაკმა, რა კარგია!

დიახ, სული ნამდვილი სუხოდოლელისა ჰქონდა მასაც, სული — უსაზღვროდ დათრგუნული მოგონებათა სიმძიმისაგან, უკიდეგანო სტეპისა და იმ ძველისძველი გვარის უღიმღამო ყოფისაგან, რაც ერთი ჰქონდათ სოფელსაც, შინაყმებსაც და სუხოდოლურ სახლ-კარსაც. ხრუშჩოვები, დიახაც, რომ ტახტის აზნაურნი ვართ, დაბეჭდილ წიგნებშიც ვწერივართ, ჩვენს სასიქადულო წინაპრებში მრავლად ყოფილა საუკუნოვანი ლიტვური სისხლისა და თათართა დიდე-

ბულების სახელოვანი წარმომადგენლებიც. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხრუშჩოვთა სისხლი დროთა განმავლობაში შინაყმებისა და სოფლელების სისხლში აირია. ვინ მოავლინა ქვეყანას პეტრე კირილეს ძე? ვინ იცის, რას აღარ ამბობენ მის წარმომავლობაზე. ვინ იყო მისი მკვლელის გერვასკას მამა? ბავშვობაშივე გაგვიგონია, თავად პეტრე კირილეს ძე ყოფილა გერვასკას მამა. რატომ არ ჰგავდნენ ასერიგად მამაჩვენი და ბიძაჩვენი ერთმანეთს? ამაზეც ათასნაირ ამბებს თხზავდნენ. ნატალია მამაჩვენის ძუძუმტე იყო, თავად მამაჩვენი გერვასკას გაეფიცა ძმად — ჯვარი შეუცვალა... დროა, ხრუშჩოვებმა პატივი მიაგონ შინაყმებსა და სოფელთან ნათესაობას!

სუხოდოლი მეც და ჩემს დასაც დიდხანს გვიზიდავდა, გვაცდუნებდა თავისი სიძველით. შინაყმები, სოფელი, სახლ-კარი სუხოდოლში ერთ ოჯახს წარმოადგენდა და მას ოდითგანვე ჩვენი პაპათა პაპები მართავდნენ. სიძველისაკენ სწრაფვა შთამომავლობასაც კარგა ხანს გამოჰყვა. ოჯახის, საგვარეულოს ყოფის ამბავი ბნელი, დახლართული, იდუმალებით მოცული და ზოგჯერ საშინელიც გახლავთ, მაგრამ იგი მაინც ძალუმად გიზიდავს ჩაწყვდიადებული სიღრმითა და თქმულებებით. წერილობითი და სხვა ძეგლების სიმრავლით სუხოდოლი დიდად არ გამოირჩევა ბაშკირეთის სტეპის ულუსებში, რუსეთში წერილობით და სხვა ძეგლებსაც თქმულება-გადმოცემები სცვლის, რომლებიც, უნდა ითქვას, პირდაპირ სლავთა სულის მალამოა! ჩვენი ნაყმევები ძალზე ზარმაცები და მუცლითმეზღაპრენი იყვნენ და სხვაგან სად მოიოხებდნენ გულს, თუ არა ჩვენს სახლში? სუხოდოლელ მებატონეთაგანაც მხოლოდ მამაჩვენიღა შემორჩენოდა ამ წუთისოფელს. ენა რომ ავიდგით, სუხოდოლურ კილოზეც ავტიტინდით. სუხოდოლური იყო მამისა და ნატალიას მონათხრობი ამბებიც, პირველსავე მოსმენაზე რომ გული აგვიჩქროლა. ვის შეეძლო ასე „უდარდელი“ სევდით, ასე ალერსიანი საყვედურითა და აგდებული გულწრფელობით ემღერა თავისი „გაპრანჭულ-გადატყლარჭული ქალბატონისათვის“, როგორც მამაჩვენი, — შინაყმათა ნაშეგირდალი, — მღეროდა? ვის შეეძლო ნატალიასავით ამბის მოყოლა, ან ვინ იყო ჩვენთვის სუხოდოლელ გლეხებზე უფრო მშობლიური და საყვარელი?

ერთ ოჯახად მცხოვრები სხვა გვარებისა არ იყოს, ხრუშჩოვთა მოდგმაც განთქმული გახლდათ ერთმანეთის თავპირის ხეთქვითა და კინკლაობით. ჩვენს ბავშვობაში სუხოდოლელებსა და ლუნევოელებს შორის ისეთი ჩხუბი მომხდარა, რომ მამას თითქმის ათი წელი არ დაუდგამს ფეხი მშობლიურ სახლში. ალბათ, ამის გამო იყო, რომ ბავშვობაში არ გაგვაკარეს სუხოდოლს. მხოლოდ ერთხელ ვიხილეთ და ისიც ზადონსკისაკენ მიმავლებმა, მაგრამ სიზმარს ცხადზე მეტი ძალა აქვს ზოგჯერ და ჩვენც ბუნდოვნად, მაგრამ წარუშლელად ჩაგვრჩა ხსოვნაში ის გრძელი დღე, მობიბინე ველ-მინდვრები და დიდი, მიყრუებული გზა, რამაც უზომოდ მოგვხიბლა თავისი სიდიადითა და აქა-იქ შემორჩენილი გამოფუღრული წნორებით. დაგვამახსოვრდა ღვთისანაბარა მიტოვებული სკა, გზიდან კარგა მოშორებით, პურის ყანაში აღმართულ ასევე ღვთისანაბარა მიტოვებულ წნორზე; დაგვამახსოვრდა ფართო მოსახვევთან თვალუწვდენელი გადახრუკული იალაღი, სადაც უსაკომურო ქოხმახები მიმოფანტულიყო, ქოხებს მიღმა კლდოვანი ხევები ჩაყვითლებულიყვნენ, ვიწრო ხევებში მიყრილ-მოყრილი შიშველი ლოდები და ღორღი ქათქათებდა თეთრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხოდოლში მოხდა ის ამბავიც, რამაც ასერიგად შეგვაძრწუნა პირველად ჩვენს ცხოვრებაში — გერვასკამ პაპაჩვენი მოკლა! ვუსმენდით ამ საშინელი ამბის მთხრობელს და წამდაუწუმ გველანდებოდა ჩაყვითლებული ხევები. ალბათ ეს ხევები გადაირბინა გერვასკამ, როცა საზარელი გულისწადილი აისრულა და „მერე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, აღარავის უნახავს...“

სუხოდოლელი გლეხები ლუნევოში, შინაყმებისაგან განსხვავებით, სხვა საქმეზე ჩამოდიოდნენ — მათ მიწის საკითხი აწუხებდათ, მაგრამ ჩვენს სახლში მაინც შინაურებივით შემოალაჯებდნენ, ჯერ მამას მიეახლებოდნენ, მდაბლად თავს დაუკრავდნენ და ხელზე ეამბორებოდნენ, მერე თავს აიქნევდნენ, თმას უკან გადაიყრიდნენ და სათითაოდ ტუჩებში გვკოცნიდნენ; საჩუქრად თაფლი, კვერცხები და პირსახოცები მოჰქონდათ.

მინდვრად გაზრდილებს ყნოსვა გამახვილებული გვქონდა და სიმღერა-თქმულებების მოსმენაზე ნაკლებ არ გვაფორიაქებდა ის გამორჩეული, რაღაცნაირად სასიამოვნო კანაფის სუნი, სუხოდოლელ გლეხებს რომ ასდიოდათ. აქამდე გვახსოვს, მათ საჩუქრებსაც ძველი, სტეპური სოფლის სუნი სდიოდა: თაფლს — აყვავებული წიწიბურასი და დამპალი მუხის გეჯასი, პირსახოცებს — მამა-პაპათა დროინდელი უსაკომურო ქოხებისა, მჭვარტლისა...

სუხოდოლელი გლეხები არაფერს გვიამბობდნენ, ან კი რა ჰქონდათ საამბობი, როცა ერთი თქმულებაც არ ებადათ! უსახელოდ კვდებოდნენ, ხოლო ცოცხალთათვის ეს წუთისოფელი ერთნაირი იყო — დუხჭირი და უკვალო, რამეთუ მათი შრომის ნაყოფი იყო მხოლოდ პური, ნამდვილი პური, შეჭამდი და მერე არაფერი გრჩებოდა. კარგა ხანია დაშრა კამენკა, გლეხები კი მაინც არ ეშვებოდნენ, ეგებ ღორღიან კალაპოტში წყალი დავაგუბოთო. მაგრამ არც ეს იყო საიმედო — შრებოდა წარამარა: სახლებიც აიშენეს, მაგრამ განა სასლი ეთქმოდა ამ ქოხმახებს? ერთი ნაპერწკალი და, მთელი ოჯახი დედაბუდიანად ამოიბუგებოდა... მაშ, რაღად გვიზიდავდა გაშიშვლებული საძოვრები და ეს საცოდავი ქოხები, რაღად გვეწეოდა თავისკენ ჩაყვითლებული ხევები და სუხოდოლის გაპარტახებული კარ-მიდამო?

II

ის სახლ-კარი, სადაც ნატალია დაიბადა და მთელი სიცოცხლე გაატარა, ჩვენ მხოლოდ ჭაბუკობისას ვიხილეთ.

გუშინდელივით მახსოვს: სუხოდოლს რომ მივუახლოვდით, ღვართქაფმა იმძლავრა, ჭექა-ქუხილი დედამიწას აზანზარებდა, ელვა წამდაუწუმ იკლაკნებოდა ცაზე დამაბრმავებელ ცეცხლის გველებად, შავ-სოსანი ღრუბელი მძიმედ დაეშვა ჩრდილო-დასავლეთისაკენ და თითქმის ნახევარი ცა დიდებულად დაჰფარა. ბრტყლად, გამოკვეთილად და მომწვანო მკვდრისფრად გამოიყურებოდა პურის ყანები მის უზარმაზარ ფონზე. უჩვეულოდ ხასხასებდა ნაწვიმარი წვრილი ბალახი დიდ გზაზე. გალუმპული, თითქმის თვალსა და ხელსშუა ხორცჩამოყრილი ცხენები ლურჯ ტალახში მითქარუნებდნენ და ნალებს აელვებდნენ, ტარანტასიც მიჭყაპუნებდა ტალახში. უცებ, ზედ სუხოდოლის შესახვევთან, ტანაყრილ, სველ ჭვავის ყანაში მაღალი და ფრიად უცნაური ფიგურა დავინახეთ — ხალათი ეცვა, თავზე რაღაც ძონძი ეფარა და ჭრელ

დოლა ძროხას წკნელს უტლაშუნებდა. კარგად ვერც კი გავარჩიეთ დედაბერი იყო თუ ბერიკაცი. ჩვენს მიახლოებაზე სახრემ უფრო ძლიერ გაიშხუილა და ძროხაც კუდის ქნევით გამოზოზინდა გზაზე. საფრთხობელამ შეჰყვირა და ტარანტასისაკენ გამოექანა; მოგვვარდა, გაფითრებული ლოყა მოგვიშვირა. ვკოცნიდით და შიშნეულად ვუცქერდით ჩაშრეტილ, გიჟურ თვალებში, მისი წაწვეტილი ცხვირი ცივად გვედებოდა სახეზე. დედაბერს ქოხის მძაფრი სუნი ასდიოდა. ნეტა ვინ არის?კუდიანი დედაბერი თუ?.. თავზე რაღაც ბინძური, დაძონძილი წოწოლა ქუდი წამოეკოფსა, ზედ შიშველ ტანზე შემოცმული დაგლეჯილი და კალთადასველებული ხალათი დამჭკნარ ძუძუებს ვერ უფარავდა... ისე ხმამაღლა შემოგვყვიროდა, ალბათ სმენადახშული ვეგონეთ, ან ფიცხელი ომის ატეხას გვიპირებდა... ყვირილზე მივხვდით, ტონია მამიდა იყო.

მხიარული და აღფრთოვანებული შეგვხვდა კლავდია მარკის ასულიც — ჩაგოდრებული, ჩია დედაკაცი, ჭაღარა წვერი და უჩვეულოდ მეტყველი თვალები რომ ჰქონდა. იგი ღია ფანჯარასთან იჯდა და წინდასა ქსოვდა, სათვალე შუბლზე აეწია და ხანდახან ეზოს მომიჯნავე იალაღს გასცქეროდა. სახლს ორი წინკარი ჰქონდა, მარჯვენა წინკარიდან ნატალია მოგვესალმა. მზე მოკიდებოდა, ფეხზე ქალამნები ეცვა, ტანზე — შალის წითელი ქვედატანი და ფართოდ გულამოჭრილი ნაცრისფერი კოფთა, საიდანაც ჩამუქებულ-დანაოჭებული ყელი მოუჩანდა. ვუცქერდი მის დაღლილ, ნაღვლიან თვალებს და, მახსოვს, გავიფიქრე: „აი, ეს ქალი იზრდებოდა აქ, მამაჩვენთან ერთად, დიდი ხნის წინათ. ახლა ამ არემარეზე, სადაც მრავალგზის ნახანძრალი პაპისეული მუხის სახლიდან ეს უშნო ნაგებობაღა დარჩენილა, ბაღიც გადამჭკნარა და მხოლოდ აქა-იქღა შემორჩენილა ორიოდე ძირი ბებერი არყისხე და ალვა, შრამელებისა და სამოახლოების ადგილას ათასგვარი ბალა-ბურდოთი დაფარული ქოხი, ბეღელი, თიხის ფარდული და ცივი სარდაფიღა დგას“. სამოვარი აჩუხჩუხდა, შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა, ასწლოვანი საჭურჭლე კარადიდან გადმოალაგეს ბროლის პაწია სამურაბე ვაზები, ნეკერჩხლის ფოთოლივით გასიფრიფანებული დაძველებული ოქროს კოვზები, სასტუმროდ გადანახული შაქრის ბლითები... კარგა ხნის წინათ მომხდარი ჩხუბის მერე ეს შეხვედრა მეტისმეტად გულთბილი გამოდგა. სანამ უფროსები გულითადად საუბრობდნენ, ჩვენ ბნელ ოთახებში დავბორიალებდით — ბაღში გამავალ აივანს ვეძებდით.

დაბალჭერიან, თითქმის გამოცარიელებულ ოთახებში რაც იდგა, უბრალო და უხეში იყო. ოთახები ისევე გახლდათ განლაგებული, როგორც პაპაჩვენის დროსა ყოფილა, თანაც სწორედ პაპისეული სახლის ნარჩენებისაგან აეგოთ. საფარეშო ოთახის კუთხეში შავად მოჩანდა მერკური სმოლენსკელის ხატი. ამ წმინდანის რკინის ხამლები და მუზარადი სმოლენსკის ძველ ტაძარში ინახება. ფრიად უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა მერკური; სმოლენსკის ღვთისმშობლის ხატმა უღაღადა მას — სმოლენსკის მხარე თათრების უღლისაგან იხსენიო. თათრები რომ ამოჟლიტა, ბრძოლაგადახდილ მერკურს ჩაეძინა, მოღალატეები მიეპარნენ და თავი მოჰკვეთეს. მაშინ იგი თავისივე მოკვეთილი თავით ხელში ქალაქის კარიბჭეს მიადგა, რათა თანამოძმეთათვის ეუწყებინა მომხდარი ამბავი... უთავო ადამიანის ეს სუზდალური გამოსახულება, ცალ ხელში მკვდრისებრ გალურჯებული მუზარადიანი თავი რომ უჭირავს და მეორეში ღვთისმშობლის ხატი — შემზარავი სანახავი იყო. ამბობენ, პაპაჩვენის ეს საბუკვარი ხატი მრავალ ხანძარს გადაურჩაო. ზედაც ეტყობოდა, დახეთქილ-გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუჯული იყო ალაგ-ალაგ; სწორედ ამ ვერცხლით მოჭედილ ხატს შემოენახა უკანა მხარეზე ხრუშჩოვთა ქარაგმებიანი საგვარეულო ნუსხები. ზუსტად ხატის ყაიდისავე უხეში, მძიმე რკინის საკეტები ჰქონდა გაყრილი ოთახის კარებს მაღლაც და დაბლაც. დარბაზის იატაკზე უზომოდ ფართო ფიცრები დაეგოთ, მუქი და პრიალა, ფანჯრები კი პატარა, ასაწევი იყო. გავიარეთ იმ სასადილო ოთახის შემცირებული ასლი, საცა ხრუშჩოვები შოლტმომარჯვებული უსხდნენ ხოლმე მაგიდას, იქიდან სასტუმროში გავედით. იქ, აივნის კარის პირდაპირ, კედელთან ოდესღაც ფორტეპიანო მდგარა და პეტრე პეტრეს ძის ამხანაგზე, ოფიცერ ვოიტკევიჩზე გამიჯნურებული ტონია მამიდა უკრავდა თურმე; ცოტა მოშორებით, ხახადაფჩენილი კარიდან მოჩანდა პაპაჩვენის მოსასვენებელი ოთახი.

გაჩეხილი ბაღის კიდეების, ნახევრად ჩანგრეული კარაპნისა და ვერცხლისფერ ალვის ხეთა მიღმა ხანდახან ელვა იფეთქებდა ხოლმე და ოქროვარდისფერ ღრუბელთა მთებს გამოაჩენდა... კოკისპირულმა წვიმამ, ეტყობოდა, ვერ უწია ტროშინის ტყეს, რომელიც ბაღიდან შორს, ხევებგაღმა ფერდობებზე შეფენილიყო და ბუნდოვნად მოჩანდა, იქიდან ჩვენამდე აღწევდა მცენარეთა ნოტიო და მუხის მშრალი, თბილი სურნელი — ხეივანში შემორჩენილი არყისხეთა კენწეროებიდან, აწოწილი ჭინჭრებიდან, შამბნარებიდან და აივნის ახლო ბუჩქებიდან მონაბერ ნიავს მოჰქონდა იგი. საღამოსეული, სტეპური, გამოყრუებული რუსეთისეული სიწყნარე გამეფებულიყო ირგვლივ.

— მობრძანდით, ჩაი მიირთვით! — ხმადაბლა გამოგვძახა ვიღაცამ. ეს გახლდათ მთელი აქაური ცხოვრების მონაწილე, მოწმე და მთავარი მთხრობელი — ჩვენი ნატალია. მის უკან ტონია მამიდა მოჩანდა: შეშფოთებული, შეშლილი თვალებით ყურადღებით გვაკვირდებოდა, მერე წელში ოდნავ მოხრილი მუქ გლუვ იატაკზე გაფოთიალდა. მამიდას ძონძის წოწოლა ქუდი კიდევ ედო თავზე, სამაგიეროდ სხვაფრივ საგანგებოდ გამოპრანჭულიყო, ძველმოდური კაბა ჩაეცვა და მხრებზე მკრთალი ოქროსფერი აბრეშუმის მოსასხამი მოეხურა.

— Oú êtes-vous, mes enfants? [1] — მამიდას ღიმილისაგან სახე ემანჭებოდა, თუთიყუშივით ხრინწიანი მკვეთრი ხმა დაცარიელებულ, ბნელ ოთახებში იდუმალად ისმოდა.

III

ნატალიას გლეხური უბრალოებისა და თბილი საბრალო გულისა არ იყოს, ამ გაღატაკებულ სახლ-კარსაც თავისი მომხიბლაობა ჰქონდა. იატაკდაბრეცილ, ძველ სასტუმრო ოთახში ჟასმინის სუნი იდგა: დამპალი, ჟამთასვლისაგან მორუხო-ცისფერდაკრული აივანი ჭინჭრებში, ანწლებსა და ჭანჭყატებში ჩაფლულიყო. კიბეს საფეხურები არა ჰქონდა და ეზოში ჩასვლა თუ მოგესურვებოდათ, პირდაპირ აივნიდან უნდა ჩამხტარიყავით.

პაპანაქებაში, როცა აივანს მზე აცხუნებდა და მონჯღრეული შემინული კარიც ღია იყო, შუშის ბრჭყვიალა ანარეკლი კარის მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ მრგვალ, გამქრქალებულ სარკეს ეცემოდა და ჩვენ მუდამ ტონია მამიდას ფორტეპიანო გვახსენდებოდა, ოდესღაც ამ სარკის ქვემოთ რომ მდგარა...

[1] სადა ხართ, ბავშვებო? (ფრანგ.).

მაშინ იგი ფორტეპიანოს უკრავდა, თან ჩაყვითლებულ ნოტებს დაჰყურებდა, ის კი უკან იდგა: კრიჭაშეკრულსა და მოღუშულს მარცხენა ხელით დოინჯი შემოეყარა. ოთახში ნაირნაირი პეპლები დაფარფატებდნენ — ფრთებდაჩითული, მოშავო-ლილისფერი ხავერდისნაირი, ზოგიც იაპონურად მოკაზმული, გამგზავრების წინ გუნებაშლილმა ვოიტკევიჩმა ფორტეპიანოს სახურავზე გარინდულ ერთ პეპელას ხელისგული ისე დაარტყა, რომ მისგან მხოლოდ ვერცხლისფერი მტვერიღა დარჩა. ერთი-ორი დღის შემდეგ უგნურმა მოახლე ქალებმა მტვერი გადაწმინდეს, ამაზე ტონია მამიდამ ისტერიული წივილ-კივილი ატეხა და ატირდა თურმე...

სასტუმრო ოთახიდან აივანზე გავდიოდით, მზეზე გახურებულ ფიცრებზე ჩამოვსხდებოდით და ოცნებებს ვაძლევდით თავს...

ქარი ხმაურითა და სისინით მოჰქროდა მინდვრებიდან და ჩვენამდე მოჰქონდა თეთრი, სევადით ტანაჭრელებული და ფართოდ გაშლილ ტოტებაწყვანებული არყისხეების აბრეშუმისებრი შარიშური. მომწვანოოქროსფერი მოლაღური ისარივით გადაუქროლებდა ხოლმე თეთრ ყვავილებს და მხიარულად დასჭყივლებდა მოყრანტალე ჭკებს, გუნდებად რომ ბუდობდნენ დანგრეულ საკვამურებსა და ჩაბნელებულ სხვენებზე, სადაც ძველი აგურის ნოტიო სუნი იდგა და სამერცხლულებიდან ოქროსფერი მზის სხივები ზოლებად ეფინებოდა ლეგაიისფერ ნაცარს... საღამო ხანს სიწყნარე გამეფდებოდა; ყვავილებზე, აივანთან, ფუტკრები ზანტად დაღოღავდნენ და აუჩქარებლად შრომობდნენ. მწუხრისეულ სიჩუმეში ნაზად ჩურჩულებდნენ მოშრიალე ალვის ხეთა ვერცხლისფერი ფოთლები... ჩვენ ბაღში დავეხეტებოდით, მერე კი მივაკითხავდით. მივარდნილ, განაპირა ადგილს პურის ყანებთან — ჭერჩაქცეულ ძველთაძველ აბანოს, სადაც წინათ ნატალია პეტრე პეტრეს ძისეულ სარკეს მალავდა და სადაც ახლა თეთრი კურდღლები ბინადრობდნენ მხოლოდ. ისინი სკუპსკუპით ახტებოდნენ ზღურბლს, ულვაშსა და ტუჩ-პირს უცნაურად აცმაცუნებდნენ, დაკუსული თვალებით გაოცებით შეჰყურებდნენ კვრინჩხსა და ქონდარა ბალამწარებზე მოდებულ მაღალ ბალღოჯებს, ლენცოფას ბუჩქებსა და ჭინჭარს. ნახევრად გადახდილ კარაპანში კი ჭოტს დაედო ბინა, საშრობზე საგანგებოდ ბნელი ადგილი შეერჩია, ყურებდაცქვეტილს უსინათლო, ყვითელი თვალები დაეკუსა და მაჯლაჯუნას ჰგავდა... მზე ბაღს მიღმა, პურის ყანებში ეშვებოდა — შემოდიოდა მშვიდი და წყნარი საღამო; ტროშინის ტყიდან გუგუს ძახილი ისმოდა, სადღაც მინდვრებში მოხუცი მწყემსის, სტიოპას ნახირი უამურად აჟღარუნებდა ზანზალაკებს... ჭოტი კი იჯდა და დაბნელებას ელოდა. ხოლო ღამით, სულიერიცა და უსულოც ძილს რომ მისცემდა თავს, აკივლდებოდა და მოსთქვამდა, ზოგჯერ უხმოდ შემოუფრენდა კარაპანს, მერე ტონია მამიდას ქოხთან მიფრთხიალდებოდა, სახურავზე მსუბუქად დაეშვებოდა და ერთს ისე გულსაკლავად დაიკივლებდა, ღუმელთან მიმჯდარ ტონია მამიდას მაშინვე გაეღვიძებოდა.

— ნეტარო იესო, შემიბრალე მე უბედური! — ამოიოხრებდა ტონია მამიდა. ბუზები უხალისოდ ზუზუნებდნენ დახუთული და ჩაბნელებული ქოხის ჭერზე. ყოველღამე რაღაცა აფრთხობდათ: ხან ძროხა იფხანდა ფერდს ქოხის კედელზე ან ვირთხა გადაირბენდა ფორტეპიანოზე და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ააჟღრიალებდა კლავიშებს, მერე ისკუპებდა და საგულდაგულოდ კუთხეში მილაგებულ თიხის ნამტვრევებზე დახტებოდა. ბებერი, მწვანეთვალება შავი

კატაც საიდანღაც ბრუნდებოდა და ღნავილით იხვეწებოდა, კარი გამიღეთო, ეს ჭოტი ხომ ყოველღამ კიოდა და მოთქვამდა ავბედითად! მამიდა ძილს თავს წაართმევდა, ზედ სახეში შემოსეულ ბუზებს ხელს აუქნევდა, ადგებოდა, სკამებს შორის გაბორიალდებოდა, კარს გაიჯახუნებდა და წინკარში გასული, სარეცხის საჯანდრავს ალალბედზე ისროდა ვარსკვლავიან ცაში. ჭოტი შეიფრთხიალებდა, ჩალას ფრთას გაჭკრავდა, სახურავს მოსწყდებოდა და სიბნელეში ისე დაბლა ეშვებოდა, ზოგჯერ მიწასაც ეხებოდა, ნარნარით მიფრინდებოდა კარაპანთან და ფრთების ფართხუნით დირეზე შემოსკუპდებოდა; ისევ მოედებოდა ეზო-გარემოს მისი მოთქმა და ტირილი. თითქოს რაღაცას იხსენებსო, ერთხანს დადუმდებოდა, მერე კი კვლავ კივილი აღმოხდებოდა, ისევ დადუმდებოდა და მოულოდნელად ისევ ისტერიულ კივილს, ოხვრასა და ხარხარს ასტეხდა. გაჩუმდებოდა და მერე კვნესა, „სლუკუნი და ქვითინი წასკდებოდა“. ისე კი ღამე აქ ბნელი, თბილი, იისფერღრუბლიანი და წყნარზე წყნარი იცოდა. ბაღს ეფინებოდა მძინარე ალვის ხეთა დუნე შრიალი. ბინდში ჩაძირული ტროშინის ტყეს ციაგი დაჰკრთოდა, ჰაერში მუხის თბილი, მშრალი სუნი ტრიალებდა, ტყის მახლობლად აღაღანებულ შვრიის ყანებს ღრუბლებში მოჭიატე ღრიანკალის ვერცხლისფერი სამკუთხედი დაჰკაშკაშებდა.

შინ გვიან ვბრუნდებოდით. ღამეული ნამით, გრილი სტეპური სიოთი, მინდვრის ბალახებისა და ყვავილების სურნელებით გულმოჯერებულნი ფრთხილად შევილალებოდით ჩაბნელებულ წინკარში. რამდენჯერ წავდგომივართ თავზე მერკური სმოლენსკელის ხატთან ლოცვაში გართულ ნატალიას. ეს ჩია დედაკაცი ფეხშიშველი იდგა ხატის წინ და გაუთავებლად ჩურჩულებდა, პირჯვარს იწერდა, სიბნელეში უჩინარ წმინდანს თავს უხრიდა და ყოველივე ამას ისე უბრალოდ აკეთებდა, იფიქრებდით ვიღაც ახლობელს, კეთილსა და გულმოწყალე კაცს ესაუბრებაო.

— ნატალია ხარ? — ჩუმად შევეხმიანებოდით.

— გახლავართ, — წყნარად გვიპასუხებდა იგი და ლოცვას შეწყვეტდა.

— რატომ არ გძინავს?

— ძილი სამარეშიც მეყოფა...

ჩვენ ფანჯარას გამოვაღებდით, რაფაზე ჩამოვსხდებოდით, ის კი ისევ გულხელდაკრეფილი იდგა. იდუმალი ციაგი აკრთობდა ჩაბნელებულ ოთახებს, სადღაც შორს, ნამიან ველზე, მწყერი ეხმიანებოდა ბნელს, დროდადრო იხვი ავიშვიშდებოდა შეშფოთებული.

— ისეირნით?

— ვისეირნეთ.

— ასეც უნდა. ყმაწვილები ხართ. მეც რამდენჯერ შემომთენებია სეირნობაში.

— ადრე კარგად ცხოვრობდით?

— კარგად...

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდებოდა.

— ძიძა, ეს ჭოტი ნეტა რას გაჰკივის? — ჰკითხავდა ჩემი და.

— რა ვიცი, ჯანდაბას მაგისი თავი. ნეტა თოფით მაინც დააფრთხობდეს ვინმე. ტანში მზარავს მაგისი მოთქმა-ძახილი. სულ იმას ეფიქრობ, უბედურებას რასმე ხომ არ გვიქადის-მეთქი? ბატონის ასულსაც ეშინია.. ღმერთო, რა მშიშარაა!

— რისგან არის ეგრე მამიდაჩვენი?

— აბა, რა კარგ დღეს დააყრიდა გამუდმებული ტირილი და დარდი... შემ-

დეგ ლოცვას მოჰყვა... ეჰ, ქალიშვილებს არა გვწყალობდნენ, ბიჭებსაც უბრაზ-დებოდნენ ხოლმე...

შოლტები გაგვახსენდა და ვკითხეთ:

— მაშ, სიამტკბილობით ვერა ცხოვრობდით?

— სიამტკბილობით კი არადა!.. ჩვენი ყოფა მერე უნდა გენახათ, პაპა რომ გარდაიცვალა. ბატონიშვილები დავაჟკაცდნენ, ცხონებულმა პეტრე პეტრეს ძემ ცოლი შეირთო. აკი გითხარით, ფიცხები იყვნენ — ერთ ბეწო რამეზე თოფის წამალივით ფეთქდებოდნენ-მეთქი!

— შინაყმებს ხშირად როზგავდნენ?

— ეგეთი წესი ჩვენებს არა ჰქონიათ. მე რომ დანაშაული ჩავიდინე, პეტრე პეტრეს ძემ ბრძანა, თავი დუქარდით გადახოტრეთ და საშინაო პერანგისამარა ხუტორში გაგზავნეთო... ეს იყო და ეს...

— კი მაგრამ, საამისო რა შესცოდე?

ამ შეკითხვაზე ნატალია იშვიათად გვიპასუხებდა გულწრფელად და სწრაფად. ხანდახან საოცარი სიწრფელითა და გულმოდგინებით გვიამბობდა თავის ამბებს, ხანდახან კი ენა დაებმებოდა, ჩაფიქრდებოდა, მერე ოდნავ ამოიხვნეშებდა და, თუმცა სიბნელეში ვერა ვხედავდით, ხმაზე ვატყობდით, ნაღვლიანად ჩაიცინებდა:

— ის შევცოდე, რომ... აკი გიამბეთ... სულელი გოგო ვიყავი, „სევდით და დარდით გულდათუთქული, ბაღში გალობდა ნაზად ბულბული“, გაგეგონებათ, ჩემი საქმეც ასე იყო...

ჩემი და ალერსიანად შეეხვეწებოდა:

— ძიძა, გვითხარი, რა, ეგ ლექსი ბოლომდე?

— ლექსი კი არა სიმღერაა, მაგრამ ახლა აღარ მახსოვს.

— ტყუილს ამბობ, გახსოვს!

— რახან არ იშლით... — იტყოდა და სხაპასხუპით წარმოთქვამდა: — როგორ ვამბობდი? ჰო, „სევდით და დარდით გულდათუთქული, ბაღში გალობდა ნაზად ბულბული; ეს ტკბილი მღერა იმ ბნელ ღამეში, მე ძილს მიფრთხობდა სულელს და შეშლილს...“

— ძალიან გიყვარდა ბიძაჩვენი?

ნატალია ყრუდ ჩაიჩურჩულებდა:

— ძალიან.

— ლოცვისას თუ მოიხსენიებ ხოლმე?

— მუდამ.

— ამბობენ, სოშკიში რომ მიჰყავდათ, ნატალიას გული წაუვიდაო. მართალია?

— მართალია... შინაყმები ძალიან გულნაზი ხალხი ვიყავით, მდაბიო აზნაურებს ამტანობასა და მოთმინებაში ვერ ვუტოლდებოდით. ევსეი ბოდულიამ წამიყვანა სოშკიში და მახსოვს, ჯავრისა და შიშისაგან სულმთლად გამოთაყვანებული ვიყავი. გზად ქალაქში კინაღამ სული შემეხუთა, ხოლო სტეპზე რომ გავედით, იცოცხლეთ, მე ნეტარება ვიგრძენი! ვხედავ, ვიღაც ოფიცერი მოჰქრის ჩვენკენ, მთლად ბატონიშვილსა ჰგავს! დავინახე, შევყვირე და გრძნობაც დავკარგე. გონთ რომ მოვეგე, ფორანზე გულაღმა ვიწექი, მაშინვე ვავიფიქრე, რა კარგია ასე, ალბათ სამოთხეში ვარ-მეთქი.

— სასტიკი კაცი იყო ბიძაჩვენი?

— ღმერთმა გაშოროთ!

— ისე, ყველაზე თავქეიფა ხომ მაინც ტონია მამიდა იყო?

— ჭეშმარიტად. ხომ გიამბეთ, შესალოცადაც კი წაიყვანეს — წმინდანის ხატს შეავედრეს-მეთქი... ეჰ, ბევრი ჭირი გამოვიარეთ მე და იმ საწყალმა. ტონია ახლა ბედნიერად, ტკბილად იცხოვრებდა, რომ არ გაამპარტავნებულიყო... კუდაბზიკობამ დაღუპა, აგე, სიგიჟემდეც მიიყვანა... მერედა, როგორ უყვარდა ვოიტკევიჩს! მაგრამ, საქმეში ხართ — ვინ უთანაგრძნო!

— პაპა როგორი კაცი იყო?

— პაპაო? ჭკუანაკლული გახლდათ... ხანდახან ისე გაგულისდებოდა, რომ... მაშინ, მოგეხსენებათ, ყველანი ფხუკიანობდნენ. სამაგიეროდ ძველი ბატონები ახლანდელებივით არ თაკილობდნენ ყმებთან სიახლოვეს. ზოგჯერ მამათქვენი სადილობისას გერვასკას დასჯიდა, — ღირსიც იყო, — საღამოს კი, რას ვხედავთ: ან შინაყმებთან ლაზღანდარობენ, ან ორივენი ბალალაიკას უკრავენ...

— ახლა ის გვითხარი, ვოიტკევიჩი ლამაზი კაცი იყო?

— არა, ტყუილს ვერ გეტყვით, ყალმუხსა ჰგავდა, მაგრამ ძალზე დარბაისელი და თავის სიტყვა კაცი იყო! ტონიას სულ ლექსებს უკითხავდა, თან ეუბნებოდა, რომც მოვკვდე, შენს წასაყვანად მაინც მოვალო...

— პაპაჩვენიც სიყვარულმა გააგიჟა?

— კი, თქვენი ბებიის სიყვარულმა გადარია. ეგ უკვე სხვა ამბავია, ქალბატონო. ჩვენს სახლში მუდამ ბნელი და გაუხარელი ცხოვრება იყო. ღმერთმა გაშოროთ იმისთანა... ახლა კი, თუ ჩემს მოსმენას ინებებთ, ყური მიგდეთ, გიამბობთ...

და ნატალია დინჯი ჩურჩულით აუჩქარებლად დაიწყებდა გრძელი, გაუთავებელი ამბის თხრობას...

IV

ხალხის ნათქვამს თუ დავუჯერებთ, ჩვენი პაპათა პაპა მდიდარი კაცი ყოფილა, კურსკიდან სუხოდოლში მოხუცებული გადმოსახლებულა. არ უყვარდა თურმე იქაური ტევრები და გაუვალი ტყეები, მაგრამ აქაც ტყე დახვედრია. განა ტყუილად არის ნათქვამი, ძველად ქვეყანა ტყით იყო დაფარულიო... ადამიანებიც, ორასი წლის წინათ ამ მხარეში რომ მოდიოდნენ, ტყეტყე მოიკვლევდნენ გზას. ტყეში ყოფილა ჩაკარგული მდინარე კამენკაც და მისი მიდამოებიც, სოფლებიც და ამწვანებული ბორცვებიც. მაგრამ პაპაჩვენის დროს გარემო გადასხვაფერებულა, სურათი შეცვლილა: თვალში გეცემოდათ ნახევრად სტეპური მიდამო, ხრიოკი ფერდობები, ჭვავის, წიწიბურასა და შვრიის ყანები, დიდ გზაზე მხოლოდ აქა-იქ შემორჩენილი გამოფულრული წნორები და სუხოდოლის ზეგანის თეთრი სიშიშვლე. ტყეთაგან ტროშინის პაწია ტყეკორომილა გადარჩენილა. მარტო ჩვენი ბაღი ახარებდა თურმე თვალს თავისი სამოცდაათი ტოტებგადაშლილი არყისხის ფართო ხეივნით, ჭინჭრიანებში ამოზრდილი ბალამწარებითა და ვერცხლისფერ ალვის ხეთა წარაფით, პურის ყანებს რომ უერთდებოდა ბაღის კიდეში. სახლს მსხვილი ჩალის მჭიდრო, შავი სახურავი ჰქონდა და ვეება ეზოში იდგა. ეზოს განაპირას რამდენიმე წყე-

ბად ჩაერიგებინათ გრძელ-გრძელი შრამელები და სამოახლოები. ეზოს იქით უსასრულო მწვანე იალაღი გადაშლილიყო და ზედ დიდი და ვრცელი, მაგრამ ღარიბი და უდარდელი საბატონო სოფელი გაფანტულიყო. „ბატონებისა არ იყოს, — ამბობდა ნატალია, — სოფელსაც უდარდელობა, უყაირათობა და ხელგაშლილობა სჩვეოდა. სემიონ კირილეს ძე, პაპათქვენის ძმა, გაგვეყარა, რაც კარგი და მოსავლიანი მამულები იყო, თავად მიითვისა სამემკვიდრეოდან, ჩვენ მხოლოდ სოშკი, სუხოდოლი და ოთხასი სული ყმა-გლეხი გვარგუნა. მალე იმ ოთხასიდან თითქმის ნახევარი შემოგვეფანტა“.

პაპა პეტრე კირილეს ძე ორმოცდახუთი წლისა მომკვდარა. მამაჩემი ხშირად გვეტყოდა, ერთხელ ბაღში ხალიჩაზე წამოწოლილს ვაშლის ხის ძირში ჩაეძინა, უეცრად ქარიშხალი ამოვარდა და მძინარეს ვაშლების სეტყვა დააყარა, ამის შემდეგ გაგიჟდაო იგი. მაგრამ ნატალიას თუ დავუჯერებთ, შინაყმები სხვაგვარად ყვებოდნენ ამ ამბავს: პეტრე კირილეს ძემ თავისი მზეთუნახავი ცოლის სიკვდილი იდარდა და ამ დარდმა შეშალაო კიდეც. წინადღით კი, მწუხრის ჟამს, საშინელმა ჭექა-ქუხილმა გადაუარა სუხოდოლს. ცოლის სიკვდილის შემდეგ ამ წელში მოხრილმა, შავგვრემანმა კაცმა, შავი ალერსიანი თვალები რომ ჰქონდა და ცოტათი ტონია მამიდას ჰგავდა, სიცოცხლის დარჩენილი დღეები შეშლილობაში გაატარა. ნატალია ამტკიცებდა, მაშინ ფული თავზესაყრელად გვქონდაო, — ჰოდა, თურმე ტარსიკონის წაღებსა და ჭრელ ახალუხში გამოწყობილი პაპაჩვენი ფეხაკრეფით დაბორიალობდა სახლში, აქეთ-იქით იხედებოდა, ხომ არავინ მიყურებსო და მუხის ძელების ბზარებში ოქროებს არჭობდა.

— ტონიჩკას ვუნახავ სამზითვოდ, — ლუღლუღებდა, როცა წაასწრებდნენ, — ესე უფრო საიმედოა, ძვირფასებო, საიმედო... ჰო, კარგი, თქვენი ნებაა, მეტს აღარ ვიზამ, — მაგრამ მაინც არ იშლიდა თავისას... ხანდახან დარბაზსა და სასტუმროში დიდსა და უხეშ ავეჯს გადაადგილებდა, მუდამდღე ვიღაცას ელოდა, თუმცა სუხოდოლში მეზობლები არც არასდროს გვწვევიან; ზოგჯერ საყვედურობდა, შიმშილით ვკვდებიო, თავად იკეთებდა ბოღლირწოს: ხის ჯამში მწვანე ხახვს ჩასრესდა, პურს დააფშვნიდა, სქელ ქაფქაფა ბურახს დაასხამდა და იმდენ ქვამარილს ჩააყრიდა, გადამლაშებული ბოღლირწო აღარც იჭმებოდა... ნასადილევს ყველა თავის ამოჩემებულ ადგილს მიაშურებდა დასაძინებლად, კარ-მიდამოში სიცოცხლე მიყუჩდებოდა და პაპამ აღარ იცოდა, სად წასულიყო; მარტოობას რომ ვერ აიტანდა, ხან საძილე ოთახში შეიჭვრიტავდა, ხან წინკარში ან საქალებოში და ფრთხილად დასძახებდა მძინარეთ:

— არკაშკა, გძინავს? ტონიუშა, გძინავს? — მამილო, ღვთის გულისათვის, დაგვეხსენიო, ბრაზიანად უპასუხებდნენ და ისიც მაშინვე ნაჩქარევად დაამშვიდებდა: — კარგი, იძინე ჩემო სულიკო! ხელს აღარ შეგიშლი, — გზას განაგრძობდა, ახლა სხვას მიადგებოდა, მხოლოდ ლაქიების ოთახს არ ეკარებოდა, ლაქიებისა ეშინოდა, უხეში ხალხიაო, ამბობდა. ორიოდე წუთში ისევ უკან ბრუნდებოდა და ჩუმად გასძახოდა ვიღაცას სიბნელეში, მერე თვითონ იგონებდა, ვიღაცამ ჩაიარა სოფელში ზანზალაკებიანი ეტლით, იქნებ, ჩემი პეტენკა ჯარიდან შვებულებით ჩამოვიდაო, ხან კი იმას მოიგონებდა, ცაზე საშინელი სეტყვის ღრუბელი აიშალაო...—პაპას, ჩემო მტრედებო, ჭექა-ქუხილისა ძალიან ეშინოდა,—ყვებოდა ნატალია,—პატარა გოგონა ვიყავი, მაგრამ ყველა-

ფერი კარგად მახსოვს. ჩვენი სახლი ბნელი და უსიხარულო რამ იყო. უამრავი შინაყმა ჰყავდათ. ჯერ მარტო ხუთი ლაქია ემსახურებოდათ... ზაფხულში, მოგეხსენებათ, წლისოდენა დღეა, ჰოდა, რასაკვირველია, ახალგაზრდა ბატონები ნასადილევს იძინებდნენ; ვიძინებდით ჩვენც, მათი ყურმოჭრილი მონები და ერთგული მსახურნი. პეტრე კირილეს ძე საშველს არ გვაძლევდა, განსაკუთრებით გერვასკა ჰყავდა ამოჩემებული: „ბიჭო, გძინავს?“ გერვასკა კიდობანიდან თავს ასწევდა და ეტყოდა: „გინდა ამ წუთში ჭინჭრით დაგისუსხო ერთი ადგილი?“, „ვის ეუბნები ამას, შე უსაქმურო, შე მუქთახორავ, შენა?“ „ვისა, ბატონო, და ჭინკას ვეუბნები, ვეღარ გიცანით ნამძინარევზეო“. მხოლოდ ამის შემდეგ მოშორდებოდა იგი გერვასკას და დარბაზსა თუ სასტუმრო ოთახში გაივლ-გამოივლიდა, თან ერთთავად ფანჯარაში იცქირებოდა, ბაღს გაჰყურებდა, ღრუბლები ხომ არ აიშალნენო. ძველად ძალზე ხშირად და უსაშველოდ იცოდა ჭექა-ქუხილი. რამდენჯერ ყოფილა — ნასადილევს საქმეს მივადგებოდით, უცებ მოლაღური ჭახჭახს მორთავდა და ბაღსაც ღრუბლები გადაეფარებოდა... ჩამობნელდებოდა სახლი, აშრიალდებოდა შამბი და ჭინჭრისდედები, ინდაურები აივნის ქვეშ შეიყუჟებდნენ... პირდაპირ შემზარავი, მოსაწყენი სურათი იყო! ის კი, ბატონი, ოხრავდა, პირჯვარს იწერდა, ხატთან თაფლის სანთლებს აანთებდა, პაპის ნაანდერძევ პირსახოცს ჩამოჰკიდებდა, — ოჰ, როგორ მეშინოდა იმ პირსახოცის! — ან ფანჯრიდან მაკრატელს გადაისროდა. წყალი არ გაუვა, მაკრატელი კარგი რამ არის ჭექა-ქუხილისას...

* * *

სუხოდოლური სახლი გამოცოცხლდა და გამხიარულდა, როცა იქ ფრანგები ცხოვრობდნენ: ჯერ ვინმე ლუი ივანეს ძე მოვიდა, შემდეგ — ხანში შესული, ზამთარ-ზაფხულ მცივანა მადმუაზელ სიზი, ლუის უცნაური შარვალი ეცვა, ზემოთ განიერი და ქვემოთ დავიწროებული, გრძელი ულვაში და ცისფერი, მეოცნებე თვალები ჰქონდა, მელოტი თავი რომ დაეფარა, ყურიდან ყურამდე გადაიფენდა ხოლმე თმას. მთელი სახლი გამოცოცხლდებოდა, როცა ლუი ივანეს ძე არკაშკას უყვიროდა: მოშორდით, მეტად აღარ დამენახოთო! ან როცა საკლასო ოთახიდან მოისმოდა: „Maître corbeau sur un arbre perché[1]“ და ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა ტონეჩკა. რვა წელიწადი დაჰყვეს ფრანგებმა სუხოდოლში იმისათვის, პეტრე კირილეს ძეს არ მოსწყენოდა. ბავშვები საგუბერნიო ქალაქში სასწავლებლად რომ მიაბარეს, მხოლოდ მაშინღა მიატოვეს ფრანგებმა იქაურობა და ისიც მესამე რიგის არდადეგების დაწყებისას. არდადეგების შემდეგ, პეტრე კირილეს ძემ აღარც არკადი გაუშვა ქალაქში და აღარც ტონია, პეტენკა წავიდეს, ესეც საკმარისია, თქვენ კი ჩემთან დარჩითო. ამრიგად, ბავშვები უსწავლელი და უზედამხედველო დარჩნენ სამუდამოდ. ნატალია გვიყვებოდა:

— მე მათზე უმცროსი გახლდით, გერვასკა და მამათქვენი თითქმის ტოლები იყვნენ და, მაშასადამე, განუყრელი ძმაკაცებიც, ისინი, მართალია დაძმობილდნენ და სამუდამო მეგობრობა შეჰფიცეს ერთმანეთს, მაგრამ ხალხს

[1] „ხის კენწეროზე წამოსკუპდა ყვანჩალა“ (ფრანგ.).

განა ტყუილად უთქვამს, ცალს ცალმა უნდა უცალოსო, — გერვასკამ სულ მალე კინაღამ უბედურება დაატრიალა: მამათქვენი ლამის გუბურაში დაახრჩო! ის მუნიანი ბიჭი არამზადულ ოინბაზობათა დიდოსტატი გახლდათ. „მაშ, რომ გაიზრდებით, — ეუბნება ერთხელ ბატონიშვილს, — გამროზგავთ, არა?“ „უთუოდ!...“ „რომ ვერ გამროზგოთ?“... „როგორ თუ ვერ გაგროზგო?“ „ისე...“ — უცებ გუბურასთან, ბორცვზე, კასრი დაინახა და არკადი პეტრეს ძე შეაგულიანა, შეძვერი შიგ და დაგორდიო! „ჯერ შენ გაახურე, ბატონიშვილო, და მერე მეც...“ ჰოდა, დაუჯერა ბატონიშვილმაც, შეძვრა და ისეთი რახრახით დაგორდა ფერდობზე პირდაპირ გუბურისკენ, სულ მტვრის კორიანტელი დაყენა! კიდევ კარგი, მახლობლად მწყემსები იყვნენ, იმათ უშველით ღმერთი...

სანამ სუხოდოლში ფრანგები ცხოვრობდნენ, იქ სიცოცხლე დუღდა. ბებიას სიცოცხლეში სახლს ბატონიც ჰყავდა და პატრონიც, ყველაფერი თავის რიგზე იყო — უფროს-უმცროსობაც, საზეიმო სიმშვიდეც, საქმიდღეებიც და დღესასწაულებიც. ეს ყოველივე ფრანგების დროსაც თავთავის წესზე ყოფილა, მაგრამ ისინი რომ წავიდნენ, სახლი უპატრონოდ დარჩა. სანამ ბავშვები პატარები იყვნენ, თითქოს პეტრე კირილეს ძე თავკაცობდა, მაგრამ იმას რა შეეძლო! თავსა და ბოლოს ვერავინ გაუგებდა, ვინ ბატონი იყო და ვინ შინაყმა. ფორტეპიანო ჩაკეტეს, მუხის მაგიდიდან გაქრა სუფრა — უმისოდ სადილობდნენ, — დერეფანში მეძებარი ძაღლები დასუნსულებდნენ თავის ნებაზე, სისუფთავეზე აღარავინ ზრუნავდა, მუქ ძელურ კედლებს, ჭერ-იატაკს, გამჭვარტლულ მძიმე კარებს და ოთახის ერთ კუთხეში ჩამწკრივებულ ძველისძველ სუზდალურ ხატებს მალე ნახშირის ფერი დაედო. ავდრიან ღამეს, როცა ბაღს წვიმა უშხაპუნებდა, დარბაზში შემოჭრილი ელვის შუქი წამით გაანათებდა ხოლმე ჩაშავებულ ხატებს, ხოლო ბაღის თავზე დამხობილი მოცახცახე ოქროვარდისფერი ცა გაიხლიჩებოდა, შუაზე გაიფატრებოდა და მერე სიბნელეში გრგვინავდა მეხი. ღამით სახლში შფოთი და ძრწოლა სუფევდა, დღისით — ძილი, სიცარიელე, მოწყენილობა. გადიოდა წლები და პეტრე კირილეს ძეს თანდათან ეცლებოდა ხელიდან ძალაუფლება, ყურადღებას აღარავინ აქცევდა. დიასახლისობა პაპის ძიძამ, დაფეხვილ-დაძაბუნებულმა დარია იუსტინეს ასულმა ითავა, მაგრამ თავის შვილობილზე მეტი გავლენა არც იმასა ჰქონდა. დემიან მოურავი შინაურ საქმეებში არ ერეოდა, ჩემი საქმე მიწის სამუშაოაო, იტყოდა ხოლმე, რა ვქნა, ბატონებს ხომ ვერ ვაწყენინებო... მამაჩვენი მაშინ ჭაბუკი ყოფილა და სუხოდოლისათვის არა სცხელოდა — ნადირობას, ბალალაიკასა და თავის საყვარელ გერვასკასთან ერთად ოინბაზობას ყოფილა გადაყოლილი. გერვასკა ლაქიად იყო იმ სახლში, მაგრამ მთელი დღეები გადაიკარგებოდა ხოლმე ახალგაზრდა ბატონებთან ერთად მეშჩერის ჭაობებში ან ეტლის ფარდულში, სადაც ბალალაიკაზე უკრავდნენ, ან რაიმე ოინბაზობას იგონებდნენ...

— კარგად ვიცოდით, — გვიამბობდა ნატალია, — შინ მარტო ღამის გასათევად შემოძვრებოდა ბატონიშვილი, თუ შინ არ იყო, ან სოფელში დახეტიალობდნენ, ან ისევ ფარდულში ისხდნენ, ანდა სანადიროდ იყვნენ სადმე: ზამთრობით კურდღლებს დასდევდნენ, შემოდგომაზე — მელიებს, ზაფხულში — მწყერებს, იხვებს... დასხდებოდნენ ხოლმე სადღეო ეტლზე, თოფს გადაიკიდებდნენ, დასჭყივლებდნენ დიანკას და ღმერთმა უწყის, საით გასწევდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს რომ წისქვილებთან ინადირებდნენ, ხვალ მეშჩერის ჭაობებში ამოპყოფ-დნენ თავს, ზეგ — სტეპში, ყველაფრის მოთავე გერვასკა იყო, მაგრამ თავს იკატუნებდა, რა ჩემი ბრალია, ბატონიშვილი დამათრევსო. არკადი პეტრეს ძეს გერვასკა, თავისი მტერი, ნამდვილ ძმასავით უყვარდა, სამაგიეროდ, გერვასკა მუდამ ქირდავდა ბატონიშვილს. ზოგჯერ მამათქვენი ეტყოდა: „გერვასკა, აბა, ერთი ბალალაიკა დაუკარ, მასწავლე, თუ ღმერთი გწამს, „ტყის გადალმა წი-თელი მზე ჩაესვენა!“ გერვასკა შეხედავდა, ნესტოებიდან გამოაბოლებდა და ღიმილით ეუბნებოდა: „ჯერ ხელზე მაკოცე!“ სიბრაზისაგან გადაფითრებული არკადი პეტრეს ძე მთელის ძალით გააწნავდა სილას, გერვასკა უარესად გა-შავდებოდა, თავს გააქნევდა, ნამდვილი ყაჩაღივით შეიჭმუხნებოდა: „ადე, შე არამზადავ!“ — დაუყვირებდა არკადი. ისიც ადგებოდა, მწევარივით გაიწელე-ბოდა, ლამის ნიფხავი ჩავარდნოდა, ხმას არ იღებდა. „ბოდიში მომიხადე...“ „დამნაშავე ვარ, ბატონო!...“ ბატონიშვილი ამოიხვნეშებდა და აღარ იცოდა რა ეთქვა: „ბატონოს მოგცემ მე შენ! შენისთანა არამზადას გეძმობილები, სულსაც არ ვიშურებ შენთვის... შენ კი? განგებ მაბრაზებ?“

— საოცარი ამბავია, — ჩაიდუდუნებდა ნატალია, — ბატონიშვილსა და პა-პას გერვასკა ქირდავდა, მე კი — ბატონის ასულოო, ასე მომმართავდა. მაგრამ ბატონიშვილსა და, მართალი გითხრათ, პაპასაც მზე და მთვარე მაინც მასზე ამოსდიოდათ, მე კიდევა ბატონის ასულზე ვლოცულობდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხუტორიდან დავბრუნდი და ცოტათი მოვედი გონსა...

V

მათრახებით ხელში სადილად, უკვე პაპის სიკვდილის, გერვასკას გადაკარ-გვის, პეტრე პეტრეს ძის დაქორწინების, ტონია მამიდას ჭკუაზე შეშლისა და სოშკიდან ნატალიას დაბრუნების შემდეგ სხდებოდნენ. სიყვარულმა ტონია მამიდას ცნობიერება დააკარგვინა და თავი ნეტარი იესოს სასძლოდ გამოა-ცხადებინა, ხოლო ნატალიას გადასახლება აგემა.

პაპის დროინდელი ყრუ, უხალისო ცხოვრება ახალგაზრდა ბატონების დროს შეიცვალა. სუხოდოლში დაბრუნდა პეტრე პეტრეს ძე, რომელიც ყველასა-თვის მოულოდნელად გავიდა თადარიგში. მისი ჩამოსვლა ნატალიას და ტონია მამიდასათვის დამღუპველი გამოდგა: ორივენი შეუმჩნევლად გამიჯნურდნენ. თავდაპირველად კი ეჩვენებოდათ, „უბრალოდ, ცხოვრება უფრო მხიარული გახდაო...“

მართლაც პეტრე პეტრეს ძემ სუხოდოლში ცხოვრება ახალ ყაიდაზე გარ-დაქმნა. თან ჩამოიყვანა თავისი მეგობარი ოფიცერი ვოიტკევიჩი და ერთი ლოთი მზარეული, რომელიც ამრეზით უყურებდა ყელეს დაკბილულ ყალი-ბებსა და მოზრდილ დანა-ჩანგალს...

პეტრე პეტრეს ძე ცდილობდა ამხანაგისათვის ეჩვენებინა, ხელგაშლილი და მდიდარი კაცი ვარო, მაგრამ ძალზე უგერგილოდ და ბავშვურად გამოს-დიოდა. იგი გარეგნულად მართლაც რომ ბავშვს ჰგავდა, ნაზსა და ლამაზ ბავშვს, ბუნებით კი უკმეხი, მკაცრი და ღრჯუ გახლდათ, უბრალო რამეზეც კი აღშფოთდებოდა, ლამის ეტირა, წყენას დიდხანს ინახავდა გულში და ძაღლის ნაკბენივით იმახსოვრებდა.

— გახსოვს, ძმაო არკადი, — უთხრა მან სუხოდოლში ჩამოსვლის პირველსავე დღეს მამაჩვენს, — რა საუცხოო მადერა[1] გვქონდა?

პაპა წამოწითლდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა და მხოლოდ მკერდი მოიქექა. არკადი პეტრეს ძე გაოცდა:

— რომელი მადერა?

გერვასკამ კადნიერად გადახედა პეტრე პეტრეს ძეს და ჩაიცინა:

— დაგვიწყებიათ, ბატონო, — დაცინვის დაფარვა არც კი უცდია, ისე მიმართა არკადის, — უზღვავი გქონდათ ის რაღაცა მადერა, მაგრამ თქვენმა ყმებმა გავინაწილეთ. რა გვენაღვლებოდა, ღვინო ბატონისა იყო და ჩვენც ბურახის მაგიერ ვყლურწავდით.

— ეს რასა ჰგავს?! — იყვირა პეტრე პეტრეს ძემ და სახეზე ჩვეული სიწითლე გადაეფინა, — ხმა ჩაიკმინდე!

პაპამაც აღფრთოვანებით აუბა მხარი:

— ეგრე, პეტენკა, ეგრე! — წვრილ ხმაზე მხიარულად შესძახა მან და კინაღამ ატირდა, — ვერ წარმოიდგენ, რა დღეში ვყავარ ამ ბიჭს! რამდენჯერ მიფიქრია: მივეპარები და ფილთაქვით თავს გავუპობ-მეთქი... ღმერთმანი, მიფიქრია! ან არადა, ავდგები და ფერდში ხანჯალს ვადამდე შევურჭობ!

გერვასკა არც ახლა დაიბნა:

— მე, ბატონო ჩემო, გამიგონია, მაგისთანა საქმისათვის მკაცრად სჯიან, თორემ, გაგიხარიათ, მეც ხშირად მიფიქრია, დროა ბატონი გავამგზავრო სასუფეველსა შინა-მეთქი!..

მერე ბევრჯერ უთქვამს პეტრე პეტრეს ძეს, ასეთ მოულოდნელ, თავხედურ პასუხზე იმ უცხო კაცის ხათრით შევიკავეო თავი, მხოლოდ ეს უბრძანებია მაშინ გერვასკასათვის, ახლავე აქედან გაეთრიეო! მერე შერცხვა კიდეც თავისი უზომო გაცხარებისა და ვოიტკევიჩს მაშინვე მოუბოდიშა, თან ღიმილით მიაპყრო თავისი მომხიბლავი თვალები. — ოჰ, პეტრე პეტრეს ძის თვალებს ვერასოდეს დაივიწყებდით. ძალიან, ძალიან დიდხანს ვერ დაივიწყა ეს თვალები ნატალიამაც.... ხანმოკლე იყო ნატალიას ბედნიერება: ვინ იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სოშკიში გამგზავრებით გათავდებოდა მისი ბედნიერება! ხუტორი სოშკი დღესაც არსებობს, თუმცა დიდი ხანია ტამბოველ ვაჭარს ჩაუვარდა ხელში. ეს გახლავთ ტრიალ მინდორზე მდგარი მოგრძო ქოხი, ბეღელი, ოწინარიანი ჭა და ბაღჩაშემოვლებული კალო. ასეთივე ყოფილა ხუტორი პაპაჩვენის დროსაც. ასევე მაინცდამაინც დიდად არ შეცვლილა სუხოდოლიდან სოშკის გზაზე მდებარე ქალაქიც. კი მაგრამ, ამისთანა რა ჩაიდინა ნატალიამ; პეტრე პეტრეს ძის ვერცხლის ბუდეში ჩასმული ლამაზი სარკე თავისდა უნებურად მოიპარა — ეს იყო დანაშაული. იმ სარკის სილამაზემ ისევე გააოცა, როგორც პეტრე პეტრეს ძის სხვა ნივთები აოცებდა — ცდუნებას ვეღარ გაუძლო და... მოიპარა. ალისფერი ყვავილის ზღაპრისა არ იყოს, თავისი დანაშაულით დარეტიანებულმა, საშინელი საიდუმლოთი და ამ განძით მოხიბლულმა ქალმა, სარკის მოპარვიდან რამდენიმე დღე გულის ფანცქალით გაატარა. დასაძინებლად რომ წვებოდა, ღმერთს ევედრებოდა, მალე გაათენეო, რადგან სახლში საზეიმო განწყობილება სუფევდა, თითქოს რაღაც ახალმა შე-

[1] მადერა — მაგარი ღვინო, რომლის წარმოებას პირველად პორტუგალიის კუნძულ მადეირაზე მიჰყვეს ხელი, აქედან მოდის მისი სახელი „მადერა“ (მთარგმნელის შენიშვნა).

ავსოო, იქაურობა გამოცოცხლდა და ეს ყველაფერი მზეჭაბუკმა ბატონიშვილმა მოიტანა თან. აბა, ვის არ მოხიბლავდა კოხტად გამოწკეპილი, წითელსაყელოიან მუნდირში გამოწვართული შავგვრემანი, ნაზი ყმაწვილი. საზეიმოიერი დაჰკრავდა წინკარსაც, სადაც ნატალიას ეძინა. განთიადისას, კიდობანიდან რომ ჩამოხტებოდა, მაშინვე გაახსენდებოდა: უზომო სიხარული ელოდა ზღურბლთან: მეფისწულის საკადრისი ჩექმები უნდა გაეპრიალებინა. მაგრამ ყველაზე უფრო თავბრუდამხვევი შიში და სიხარული მას ბაღს იქით, მიყრუებულ აბანოში ეუფლებოდა, სადაც ვერცხლისბუდიანი სარკე ჰქონდა დამალული. დილით, ჯერ კიდევ ყველას რომ ეძინა, ცვრიან ბალახზე ფეხაკრეფით გარბოდა ნატაშა, რათა თავისი იდუმალი განძის ცქერით დამტკბარიყო: გამოიტანდა გარეთ, მცხუნვარე დილის მზეზე თავრეტის დასხმამდე შესცქეროდა საკუთარ ორეულს, მერე ისევ დამალავდა, უკანვე გამოიქცეოდა და მთელი დილა იმ კაცს ემსახურებოდა, ვისაც შეხედვასაც ვერ უბედავდა, ვისთვისაც ხშირ-ხშირად იცქირებოდა სწორედ იმ სარკეში, ეგებ ბედმა გამიღიმოს და მოვეწონოო... მაგრამ ალისფერი ყვავილის ზღაპარი მალე დასრულდა, ისეთი შერცხვენითა და თავლაფდასხმით დამთავრდა, სახელსაც რომ ვერ მოუგონებდა კაცი—ასე ფიქრობდა ნატალია. თავად პეტრე პეტრეს ძემ ბრძანა, თავი გადაეხოტრათ და დაემახინჯებინათ კოხტად ჩაცმული, სარკესთან კოპწიაობისას საოლავით წარბ-წამწამშეღებილი ნატალია. საბრალო გოგომ რაღაც ტკბილი იდუმალი და აუსრულებელი სიზმარეული სიახლოვე შექმნა თავისსა და ბატონიშვილს შორის, მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს — კაცი თავზე დაადგა და ქურდობად გამოაცხადა მისი დანაშაული, მოახლე გომბიოს სულელური საქციელი საამკარაოზე გამოიტანა. პერანგისამარა, ტირილით თვალდასიებული ნატაშა შინაყმათა თვალწინ ნეხვსაზიდ ფორანზე დასვეს და თავლაფდასხმული უცბად მოსწყვიტეს ყოველივე მშობლიურს: უკიდეგანო სტეპისაკენ, უცნობი საშინელი ხუტორისკენ გაამგზავრეს. ნატალიამ უკვე იცოდა, იქ, ხუტორში, წიწილების, ინდაურებისა და ბაღჩისთვის უნდა მოევლო, ყველასაგან მივიწყებული, მზეზე დახრუკულიყო. იქ წლისოდენა სტეპური დღეები და ბინდში ჩაძირული ჰორიზონტია, თანაც ისეთი სიწყნარე და პაპანაქება იცის, მთელი დღე მკვდარივით იძინებს, მაგრამ ვინღა მოისმინოს გამხმარი მუხუდოს პარკების ტკაცანი, გაფიცხებულ მიწაზე კრუხების შფოთვა-ქოთქოთი და ინდაურების მშვიდი ჭუკ-ჭუკი! ვინ შეუძახოს წვრილ, გაბმულ ხმაზე მაღლა ზეცაში მორიალე ქორს! იქ, ხუტორში კი მარტო ბებრუცუნა უკრაინელი ქალი ელოდა. ის იყო ნატალიას სიცოცხლისა და სიკვდილის მბრძანებელი და მოუთმენლად ელოდა თავის მსხვერპლს.

სიკვდილმისჯილებისაგან განსხვავებით ნატალიას ერთი უპირატესობა ჰქონდა: თავის ჩამოხრჩობა შეეძლო. ამის იმედით მიდიოდა გადასახლებაში, თანაც სამუდამო გადასახლებაში, როგორც თავად ფიქრობდა.

გზად, მაზრის ერთი თავიდან ბოლომდე, რა აღარ ნახეს მისმა თვალებმა! თუმცა არაფრის თავი არა ჰქონდა, მძიმე ფიქრები შემოსჯარვოდა. სიცოცხლე აღარ ღირს, ისე მძიმეა დანაშაული, ისე გაუსაძლისია შერცხვენა და თავლაფდასხმა. ჯერ რა უშავს, გვერდით ჰყავს ახლობელი ადამიანი — ევსეი ბოდულია, მაგრამ მერე რაღა ეშველება, როცა იმ ბებრუხანას მიჰგვრის, ღამეს იქ გაათევს, დილით კი წავა და სამუდამოდ მიატოვებს უცხო მხარეში! ნატალიამ ტირილით გული რომ იჯერა, მოშივდა. მისდა გასაოცრად, ევსეის არც

გაჰკვირვებია ეს ამბავი, პირიქით, ჭამის დროს ისე ელაპარაკებოდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. მერე ნატალიას ჩაეძინა და ქალაქამდე თვალი არ გაუხელია. ქალაქმა განაცვიფრა თავისი მოწყენილობით, სიმშრალით, დახუთული ჰაერით და კიდევ რაღაც გაურკვეველი სევდით, რომელიც სიზმარსა ჰგავდა, აუხსნელსა და მოუყოლელს. იმ დღეს ერთი რამ დაეამახსოვრდა: სტეპში ზაფხულობით აუტანელი სიცხე სცოდნია, თანაც ზაფხულის დღესა და ამ დიდ გზაზე გაუთავებელი ქვეყნად არაფერი ყოფილა. დაეამახსოვრდა, ქალაქის ალაგ-ალაგ მოკირწყლულ ქუჩაში როგორ მიხრიგინებდა ფორანი. შორიდან ქალაქს სახურავების სუნი ასდიოდა, საღამოს კი შუა მოედანზე „გაუმაძღარ" დუქნებთან, სადაც მათ შეისვენეს და ცხენი დააპურეს, მტვრის, კუპრისა და ცხენის ჩონჩორიკში ასვრილი დამპალი თივის სიმყრალემ სუნთქვა შეუკრა.

ევსეიმ ცხენი გამოხსნა. ფორანს გამოაბა და თივაზე მიუშვა, მერე გახუნებული ქუდი კეფაზე მოიგდო და სიცხისაგან მთლად გამავებული გაეშურა ტრაქტირისაკენ. წასვლისას ნატაშას დაუბარა, ცხენფორანს თვალყური ადევნე და თუ რამე მოხდეს, რაც ძალი და ღონე გაქვს, იყვირეო. ნატაშა გაუნძრევლად იჯდა და თვალს არ აშორებდა ახლად აშენებული ტაძრის გუმბათს, რომელიც სადღაც შორს, სახლების მიღმა ამოშვერილიყო და უზარმაზარი ვერცხლის ვარსკვლავივით ბრწყინავდა. მეფორნე იღლიაში პურამოჩრილი, გამხიარულებული და შეზარხოშებული დაბრუნდა. ღეჭვა-ღეჭვით ცხენს ხელნაში აბამდა და ბუტბუტებდა:

— დავიგვიანეთ, მეფის ასულო, ცოტათი! — კაცი ვერ გაიგებდა, ცხენს ელაპარაკებოდა ევსეი თუ ნატალიას,—ვინ იცის. იქნებ ჩამოგვახრჩონ კიდეც, ა? ნუ გეშინია, არ ჩამოგვახრჩობენ! რა მოხდა, ხანძარია თუ ქვეყანა იქცევა... სულაც არ მეჩქარება უკან დაბრუნება ამაღამ, ბატონის ცხენი, ჩემო კარგო. საკუთარ ყანყრატოს მირჩევნია, — ევსეი ახლა კი ნამდვილად დემიან მოურავს გულისხმობდა, მოუშვა, მაგრამ რა მოუშვა: მე შენ გიჩვენებ სეირს! იცოდე, შარვალი არ ჩამახდევინო! ოოჰ, ბრაზით გულ-მუცელი მეწვის! ჩემთვის ბატონებსაც არ ჩაუხდიათ შარვალი და შენ ვინა გდიხარ-მეთქი, შე პირშავო, ჰა? დაიმახსოვრეო... რა უნდა დავიმახსოვრო, შენზე ყეყეჩი ხომ არა ვარ-მეთქი; ჩემი ნება არ არის? სულაც აღარ დავბრუნდები! ჩავიყვან ამ გოგოს, პირველს გადავიწერ და საითაც მომეპრიანება, იქით მოვცოცხავ-მეთქი... ისე ამ გოგოს საქციელიც მაკვირვებს: ნეტა რაზე დარდობს ეს სულელი? ამოდენა ქვეყანაზე სხვა ადგილი აღარ მოიძებნება თუ? ხუტორთან ჩამვლელ მიკიტანს ან ვინმე ბერიკაცს რა გამოლევს, ერთი სიტყვაც არ უნდათ, როსტოვს იქით ამოაყოფინებენ თავს... უყარონ მერე კაკალი!

გადახოტრილ თავში ნატაშკას ახალი აზრი აეკვიატა: გაქცევა. ფორანმა გაიღრჭიალა და დაირწა. ევსეი დადუმდა და ცხენს ჭისაკენ წაუძღვა. მზე ტაძრის დიდი ბაღის გადაღმა ეშვებოდა და ტაძრის პირდაპირ აღმართული საპყრობილის სარკმლები ოქროსფრად ლაპლაპებდა. ნატალიამ საპყრობილის დანახვაზე კიდევ უფრო მტკიცედ გადაწყვიტა, გაქცეულიყო. ლტოლვილნიც ხომ ცხოვრობენ ქვეყნად! მაგრამ ამბობენ, ბერიკაცები მოტაცებულ გოგონებს ადუღებულ რძეს შეასხამენ თურმე თვალებში და ღვთისგლახებად უშვებენ ქუჩაში, მიკიტნები კი ზღვაზე ჩადიან, რათა ნოღაელებს მიჰყიდონ... ზოგჯერაც თავიანთ ურჩ ყმებს ბატონები იჭერენ, ხუნდებს ადებენ და საპყრობილეებში ყრიან... ნუთუ საპყრობილეში, გერვასკას თქმისა არ იყოს, მარტო გლეხებს

ყრიან? საპყრობილის ფანჯრები თანდათან ჩაბნელდა. ნატაშკას ფიქრები აერია: არა, გაქცევას ისევ თავის ჩამოხრჩობა სჯობს! ევსეი დუმდა, ეტყობა, გამოფხიზლდა.

— დავიგვიანეთ, გოგო! — წუხდა იგი, ფორანი მირახრახებდა და ევსეიც ჭალებს აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

შარაგზაზე რომ გავიდნენ, ფორანი უარესად არახრახდა, ახმაურდა ქვებზე... „ნეტავი ფორანს სუხოდოლისკენ მიაბრუნებდნენ... ავდგებოდი, ბატონიშვილს ფეხებში ჩავუვარდებოდი და პატიებასა ვთხოვდი“ — ფიქრობდა თუ გრძნობდა ნატაშკა, მაგრამ ბოდულია ცხენს წინ მიერეკებოდა. სახლებს მიღმა ვარსკვლავიანი ცა აღარ ჩანდა, წინ თეთრი, შიშველი ქუჩა, თეთრივე ქვაფენილი იდო და ეს ყველაფერი ერწყმოდა დიდ თეთრ ტაძარს, რომელსაც ახლად გადახურული თეთრი გუმბათი ამშვენებდა, გუმბათს ზემოთ ზეცას ღია ლურჯი ფერი დაედო. იქ, სუხოდოლში, ამ დროს უკვე ბალახი იცვარება, ბაღს სიცოცხლე ემატება, თბილი სამზარეულოდანაც საამო სუნი გამოდის, ხოლო შორს, პურის ყანებს იქით, ბაღის კიდეზე, ვერცხლისფერ ალვის ხეთა გადაღმა — ძველ სანუკვარ აბანოსთან მწუხრი იშრიტება. სასტუმრო ოთახის კარი ღიაა და მეწამული შუქი ბნელს შერევია. შავ-ყვითელი, შავთვალება ბატონის ასული, პაპასა და პეტრე პეტრეს ძეს რომ ჩამოჰგავს, წარამარა ისწორებს ნარინჯისფერ აბრეშუმის კაბის ფართხუნა სახელოებს, დაჟინებით ჩაშტერებია ნოტებს, ზურგი შეუქცევია ჩამავალი მზისთვის, ნაზად დაატარებს თითებს გაყვითლებულ კლავიშებზე და სასტუმრო ოთახს ოგინსკის პოლონეზის საზეიმო, ტკბილ-ნაღვლიანი ჰანგებით ავსებს. ქალიშვილი ვითომ ვერ ამჩნევს იქავე მდგომ ჯმუხ ოფიცერს, რომელსაც მარცხენა ხელით დოინჯი შემოურტყამს და დაძაბული და პირმოქუშული თვალს ადევნებს ტონიას თითების მოძრაობას.

„ტონიას თავისი ჰყავს, მე — ჩემი!“ — ფიქრობდა თუ გრძნობდა ნატაშკა და გულისფანცქალით გარბოდა ხოლმე ნამდაკრულ, გრილ ბაღში, ჩაიმალებოდა ჭინჭრებსა და ოროვანდებში და დიდხანს, ძალიან დიდხანს ელოდა აუხდენელის ახდენას: საცაა ბატონიშვილი აივნიდან ბაღში ჩამოხტება, ხეივანს გამოჰყვება, თვალს მომკრავს, ჩქარი ნაბიჯით ჩემკენ გამოემართება... ჰოდა, შიშისა და უზომო ბედნიერებისაგან გაბრუებული ნატაშკა კრინტსაც არ დასძრავს...

ფორანი კი კვლავ გულის გამაწყალებლად მირახრახებდა. ქალაქში ხვატი იდგა, ყარდა. ო, რა ჯადოსნური და მომხიბლავი წარმოედგინა ქალაქი წინათ! ახლა კი ავადმყოფური განცვიფრებით შესჩერებია გამოპრანჭულ ხალხს, ქუჩაში, სახლებთან, ჭიშკრებსა და კარღია დუქნებთან რომ მიდი-მოდიან: შესჩერებია და უკვირს, რატომ წამოვიდა აქეთ ევსეი ბოდულია, ან როგორ ბედავს თავისი ფორანი აქ ახრიგინოსო.

ჩაუარეს ტაძარს, ოღროჩოღრო, მტვრიან ფერდობს პატარა მდინარისაკენ დაჰყვნენ. გაიარეს სამჭედლოებთან, აშმორებულ ქოხებთან... უცებ ნაცნობი, მტკნარი, თბილი წყლისა და შლამის სუნი ეცათ. საღამოსპირა გრილმა, სტეპურმა სიომ გამოაცოცხლათ. პირველი სინათლე შორს აბრჭყვიალდა, გზის მოპირდაპირე გორაკზე, შლაგბაუმის მახლობლად, ეულ ქოხში... ვაკობზე გააღწიეს, ხიდი გადაიარეს, შლაგბაუმთან მივიდნენ და ღორღიანი, უდაბური, მიყრუებუ-

ლი გზა დაინახეს; გზას ბუნდოვანი სითეთრე დაფენოდა და გრილი, სტეპური
საღამოს სილურჯეში უსასრულოდ მიიკლაკნებოდა შორეთისაკენ... ცხენი
ჯერ თოხარიკზე გადავიდა, ხოლო შლაგბაუმს რომ გასცდნენ — ნაბიჯზე. და-
ღამდა. სიწყნარე დაეუფლა ცასა და მიწას, ოღონდ სადღაც შორს ნაღვლია-
ნად ჟღარუნებდნენ ზანზალაკები; ჟღარუნი თანდათან ახლოვდებოდა, ბოლოს
ცხენების მწყობრ თქარუნსა და ეტლის თვლების ხრიგინს შეერწყა — მალე
შარაგზაზე სამცხენა ეტლი გამოჩნდა. ეტლს ვიღაც ყმაწვილი მოაქროლებდა
თამამად, მგზავრი ოფიცერი გახლდათ. სახე კაპიშონიანი შინელის საყელოში
ჩაემალა. ფურგონს რომ გაუსწორდნენ, ოფიცერმა თავი ასწია და ნატაშამ
თვალი მოჰკრა წითელ საყელოს, შავ ულვაშსა და სათლისებური ჩაჩქანის
ქვეშ მოელვარე თვალებს... დაინახა, შეჰკივლა და გრძნობაც დაჰკარგა...

ქალს თავში გიჟურმა აზრმა გაურბინა, ნამდვილად პეტრე პეტრეს ძე არი-
სო! აგზნებულსა და დაბეჩავებულ გულში ელვასავით გაუარა ტკივილმა და
სინაზემ და იგი უცებ მიხვდა, სამუდამოდ რომ გამოეთხოვა თავის სათაყვანე-
ბელ კაცთან სიახლოვეს... ევსეი სამგზავრო კათხიდან წყალს ასხურებდა ნა-
ტალიას ულონოდ გადავარდნილ, გადახოტრილ თავს. ქალი გულისრევამ გამო-
აფხიზლა, მაშინვე ფურგონს გადაეკიდა, ევსეიმ სწრაფად შეაშველა ხელის-
გული მის ცივ შუბლს...

მალე შვება იგრძნო. საყელო დასველებოდა, სციოდა, გულაღმა იწვა და
ვარსკვლავებს შეჰყურებდა. შეშინებული ევსეი ხმას აღარ იღებდა, ფიქრობ-
და, ალბათ, დაიძინაო გოგომ, თავს გადააქნევდა და გამეტებით მიერეკებოდა
ცხენს. ნატაშას კი ეჩვენებოდა, სხეული აღარა მაქვს, მარტო სულიღა შემრჩა
და ეს სულია სწორედ „ისე რომ ნეტარებს, თითქოს ციურ სასუფეველ-
შიაო!“...

ნატალიას სიყვარული მართლაც ალისფერ ყვავილსა ჰგავდა, ზღაპრულ
ბაღებში გაფურჩქვნილს, მაგრამ სუხოდოლურ მივარდნილ ადგილებზე უფრო
მიყრუებულ სტეპურ სანახებშიც წაჰყვა მას ეს გრძნობა, რათა იქ, სიმყუდრო-
ვესა და მარტოობაში დაეძლია ტრფობის პირველი, ტკბილი და მწარე ტკივი-
ლები; მერე სამუდამოდ, კუბოს ფიცრამდე ჩაემარხა იგი თავისი სუხოდოლუ-
რი გულის კუნჭულში.

VI

სუხოდოლელებმა სიყვარულიც უჩვეულო იცოდნენ და სიძულვილიც. პა-
პა იმავე წელიწადს გამოასალმეს სიცოცხლეს. იგი ისევე უაზროდ დაილუპა,
როგორც მისი მკვლელი და საერთოდ ყველა, ვინც კი სუხოდოლში გამოთხო-
ვებია სიცოცხლეს. ხატობას პეტრე პეტრეს ძემ სტუმრები მოიწვია და ძალიან
ღელავდა, თავადაზნაურთა წინამძღოლი შემპირდა, მოვალო, მაგრამ ვაითუ არ
მოვიდესო. პაპაც მხიარულ გუნებაზე იყო, ოღონდ უცნაურად ღელავდა. თა-
ვადაზნაურთა წინამძღოლი მართლაც ეწვიათ და დიდებული სადილიც გაიმარ-
თა. იყო ერთი ჟრიამული და მხიარულება, ყველაზე მეტს პაპაჩვენი მხიარუ-
ლობდა... გამთენიისას კი იგი მკვდარი იპოვეს სასტუმრო ოთახში, იატაკზე.

თადარიგში რომ გავიდა, პეტრე პეტრეს ძეს არ დაუფარავს, ჩემი მომავა-

ლი ხრუშჩოვთა სახელის, საგვარელო ბუდისა და მამულის გადარჩენას უნდა შევწიოო. არც ის დაუფარავს, რომ მეურნეობასაც უნდა გაძღოლოდა, სურდა ნაცნობები გაეჩინა, რათა მაზრის განათლებულ, კეთილშობილ თავადებთან ემეგობრა, ხოლო დანარჩენებთან, უბრალოდ, კავშირი არ გაეწყვიტა. თავდაპირველად ჩანაფიქრს ზუსტად ასრულებდა — თითქმის ყველა მცირემამულიანი მოინახულა, მამიდამისს, ოლოა კირილეს ასულსაც ეწვია, საოცრად ჩაგოდრებულ, ფაშფაშა დედაკაცს, საღათას ძილისაგან რომ იტანჯებოდა და კბილებს მუდამ ბურნუთით იწმენდდა... შემოდგომაზე აღარავის უკვირდა, პეტრე პეტრეს ძე მამულს ერთპიროვნულად რომ მართავდა, ახლა იგი შინაურების მოსანახულებლად ჯარიდან დაბრუნებულ პეწენიკ ოფიცერს აღარა ჰგავდა—ნამდვილი ახალგაზრდა ბატონი გახლდათ და შეცბუნებისას სახე ლურჯ-წითლად აღარ აუფერადდებოდა ხოლმე წინანდებურად; დასრულდა, დავაჟკაცდა, ძვირფას ახალუხს იცვამდა, პატარა ფეხებს თათრული ფეხსამოსით ინებივრებდა, ხელები კი ფირუზისთვლიანი ბეჭდებით ჰქონდა დამშვენებული. არკადი პეტრეს ძეს ერიდებოდა მის თაფლისფერ თვალებში შეხედვა, არ იცოდა, რაზე ელაპარაკა მასთან. ამიტომ პირველ ხანებში ყველაფერს უთმობდა და ნადირობას იყო გადაყოლილი.

ხატობაზე პეტრე პეტრეს ძემ მოისურვა, დიდი და პატარა გულკეთილობით მოეხიბლა და დაემტკიცებინა, ამ სახლში პირველი კაცი მე გახლავართო. მაგრამ პაპაჩვენი, თურმე, მეტისმეტად უშლიდა ხელს. ბერიკაცი ბედის ნებიერი გახლდათ, მაგრამ როდის რა ეთქვა ან მოემოქმედა, არ იცოდა, საცოდავად გამოიყურებოდა თავისი გაქუცული ხავერდის ქუდითა და შინაური თერძის ნაცოდვილევი ახალი უზომოდ გაფარფაშებული კაზაკური შარვლით, მასაც ხელგაშლილ მასპინძლად მოჰქონდა თავი და დილიდანვე ფუსფუსებდა. სულელური ცერემონიები გამართა სტუმრების მიღებისას. წინკარიდან სასტუმრო ოთახში გამავალი ცალი კარი თავისდღეში არ გაღებულა, იმან კი იმ დღეს სკამი მიაჩოჩა, ზედ ძლივს აფოფხდა და რკინის ურდულები გადასწია. კარი რომ გააღო, ახლა ზღურბლთან დადგა და პეტრე პეტრეს ძის დუმილით გათამამებულს უკანასკნელი სტუმრის მოსვლამდე იქიდან ფეხი აღარ მოუცვლია. სირცხვილითა და სიბრაზით სახეალეწილმა პეტრე პეტრეს ძემ გადაწყვიტა, ყველაფერი უსიტყვოდ მოეთმინა. მოხუცმა მთლად აიშვა—წინკარიც გახსნა, აქაოდა, რომელიღაც ძველი ადათ-წესი მოითხოვსო ასე. აგზნებული მოხუცი ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, დარბაზში შემომავალს თუ ვინმეს მოჰკრავდა თვალს, შესახვედრად გარბოდა, საჩქაროდ წარუდგებოდა, ერთს შეხტებოდა, ცალ ფეხს უკან გაიშვერდა, თავს მდაბლად დაუკრავდა და სხაპასხუპით ეუბნებოდა:

— ო, რარიგ მიხარია! რარიგ მიხარია! რად დაგვივიწყეთ, მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით!

პეტრე პეტრეს ძეს ისიც აცოფებდა, რომ პაპა რატომღაც ყველას მოახსენებდა, ტონეჩკა ლუნევოს გაემგზავრა ოლოა კირილეს ასულთანაო: „ავადაა ტონეჩკა, ავად. ნაღველი შემოაწვა და მამიდასთან წავიდა, მთელ შემოდგომას იქ გაატარებს“.

„რას იფიქრებენ სტუმრები არამკითხე მოამბის ასეთი ლაყბობის შემდეგ? — წუხდა პეტრე პეტრეს ძე, — ვოიტკევიჩისა და ტონიას ამბავი ხომ ისედაც ყველამ იცის“... იქნებ ვოიტკევიჩს მართლა უყვარდა ტონია, განა ერ-

თხელ და ორჯერ აღმოხდენია ოხვრა, როცა მასთან ერთად მიუჯდებოდა ფორტეპიანოს ან დაბალ ხმაზე უკითხავდა „ლიუდმილას“. ზოგჯერ სევდიან ფიქრებში გართული ეტყოდა ხოლმე: „ხარ დაწინდული, მოკვდავს უთხრა სიტყვა ნაკურთხი!“.. მაგრამ თავქარიანი ტონია მის ყოველგვარ, უწყინარ საქციელზეც კი, — თუნდაც ყვავილის მირთმევაზე, — აპილპილდებოდა... და ვოიტკევიჩი მოულოდნელად წავიდა, წავიდა და ტონიასაც ძილი და მოსვენება გაუკრთა — მთელი ღამე ღია ფანჯარასთან იჯდა სიბნელეში, თითქოს დათქმული ჰქონდა, ერთსა და იმავე დროს ხმამაღლა აქვითინებულიყო და პეტრე პეტრეს ძე გაეღვიძებინა. ბატონიშვილი იწვა, კრიჭაშეკრული უსმენდა ტონიას მოთქმა-ქვითინსა და ფანჯრებს მიღმა, ბნელ ბაღში ალვის ხეთა შხაპუნა წვიმასავით ჩუმ შრიალს, მერე კი ადგებოდა და ტონიას დასაწყნარებლად მიეშურებოდა. მოცვივდებოდნენ ძილგატეხილი მოახლეები და შეშფოთებული პაპაჩვენიც. ტონეჩკა ფეხების ბრახუნს ატეხდა, აკივლდებოდა: „თავიდან მომწყდით, ვერაგებო!“ ბოლოს ამ დავიდარაბას უშვერი ლანძღვა-გინება და ლამის ჩხუბიც მოჰყოლია.

— ნუთუ არ გესმის... — გაცოფებული პეტრე პეტრეს ძე პაპაჩვენსა და მოახლეებს გააძევებდა, კარს მოაჯახუნებდა და სახელურს მაგრად ჩაეჭიდებოდა, — ნუთუ არ გინდა გაიგო, რას იფიქრებს ხალხი?

— ვაიმე! — შეშლილივით შეჰკივლებდა ტონეჩკა, — მამიკო, ფეხმძიმედა ხარო, მეუბნება!

პეტრე პეტრეს ძე თავში ხელს შემოირტყამდა და ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

პეტრე პეტრეს ძეს გერვასკაც ადარდებდა, ვაითუ ხატობაზე თავისებური უხეში რამე წამოაყრანტალოსო.

გერვასკა აყლაყუდა ყმაწვილი გახლდათ, უშველებელი და დაჯორჯვილი, მაგრამ მაინც ყველაზე თვალადი და ჭკვიანი მსახურთა შორის. სადღესასწაულოდ გერვასკასაც ლურჯი კაზაკურა პერანგი და ასეთივე შარვალი ჩაეცვა, ფეხზე ვაცის ტყავის რბილი, უქუსლო ჩექმა მოერგო, წაწვრილებულ ჩამუქებულ კისერზე იისფერი ღაზლის ბაღდადი შემოეხვია, შავი გრძელი, უხეში თმა პოლონურ ყაიდაზე კი არ შეეკრიჭა, უბრალოდ გარშემო შეემოკლებინა და გვერდზე გადაევარცხნა, სახეზე გასაპარსი არა ჰქონდა რა, მხოლოდ ნიკაპსა და ვეება პირის კუთხეებზე გამოსვლოდა მეჩხერი ჯაგარიევით წვერი. „პირი აქვს ყურებამდე მოხეული, ერთ ლუკმაზე არ ეყოფა დეკეულიო“, — სწორედ მასზე უთქვამთ. ფართო, გაძვალტყავებული მკერდი, მუშტისტოლა თავი, ღრმად ჩამსხდარი თვალები, თხელი, მოლურჯო-ნაცრისფერი ტუჩები და დიდრონი, მოცისფრო კბილები ჰქონდა. ამიტომ კარგა ხანია ამ ძველ არიელს, სუხოდოლელ სპარსს, ზედმეტ სახელად მწევარი შეარქვეს. კბილებს რომ დაკრეჭდა, ან ხველას მოჰყვებოდა, ყველანი წყევლიდნენ, ნეტა ერთი შენს ჩაძაღლებას მოვესწრებოდეთ, შე მწევარო, შენაო, მაგრამ პირში ამის თქმას ვერავინ უბედავდა, ის კი არა, გერვასი ათანასეს ძეს ეძახდნენ იმ ცინგლიანს.

ბატონებსაც ეშინოდათ მისი. მოგეხსენებათ, ბატონებსა და ყმებს ერთი რამ მაინცა აქვთ საერთო: ან უნდა დაჯაბნონ ვინმე, ან უნდა ეშინოდეთ ვინმესი. პეტრე პეტრეს ძის დაბრუნების დღეს გერვასკას რაღაც უკადრისი უკადრებია, მაგრამ შინაურები იმან უფრო განაცვიფრა, რომ თავხედს კადნიერება ხახვივით შერჩა. მხოლოდ არკადი პეტრეს ძეს უთქვამს მოკლედ:

„შენ, ძმობილო, ნამდვილი პირუტყვი ხარ!“ ამაზე პასუხიც მოკლე მიუღია: „არ მიყვარს ეს ბებერი, ბატონიშვილო!“. პეტრე პეტრეს ძეს კი მერე თავისი ფეხით ეახლა თურმე გერვასკა, ზღურბლთან შეჩერებულა, მოურიდებლად გაუჩაჩხავს უზომოდ გრძელი ფეხები, მარცხენა მუხლი წინ წაუხრია და შეხვეწნია, გამროზგეო.

— ერთი უკმეხი და ფიცხი კაცი ვარ, — გერვასკამ დიდი შავი თვალები დააცეცა. პეტრე პეტრეს ძე სიტყვა „ფიცხის“ გაგონებაზე მიხვდა, საითაც უკაკუნებდა ლაქია და დაფრთხა.

— მოესწრები, გეთაყვა, მოესწრები! — მოჩვენებითი სიმკაცრით დაუღრიალა მან, — ახლა კი, აქედან გაეთრიე! შენი დანახვაც კი მზარავს, თავხედო! — გერვასკა ერთხანს ჩუმად იდგა.

— თქვენი ნებაა, — ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა, საულვაშეზე ჯაგარი მოიწიწკნა, მოცისფრო კბილები ძაღლივით დაკრიჭა, სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოკებია, უცებ შებრუნდა და იქაურობას გაეცალა.

გერვასკამ გადაწყვიტა, ბატონებთან მუდამ ასე მოქცეულიყო, სახეზე არაფერი დაემჩნია და, რაც შეიძლება მოკლე პასუხები გაეცა. ამის შემდეგ პეტრე პეტრეს ძე მასთან საუბარს გაურბოდა და თვალებში შეხედვასაც ვერ უბედავდა.

ასევე გულგრილად, უცნაურად ეჭირა გერვასკას თავი ხატობაზეც. სადღესასწაულო სამზადისსა და ფაციფუცში ყველას არაქათი გამოეცალა — ბრძანებლობდნენ, ილანძღებოდნენ, დავობდნენ, იატაკებს რეცხავდნენ, მოლურჯო ცარცით აპრიალებდნენ ხატების ჩამავებულ ვერცხლის მძიმე ჩარჩოებს, დერეფანში შემოძურწულ ძაღლებს წიხლებით უმასპინძლდებოდნენ, ღელავდნენ, ვაითუ ჟელე არ შედედდესო, ჩანგლები არ გვეყოსო, კარტოფილის ბურბუშელა ჩაგვეხრაკოსო... მხოლოდ გერვასკა იყო მშვიდად და გაცოფებულ ლოთბაზარა მზარეულ კაზიმირს ეუბნებოდა: „ფრთხილად, მამაო დიაკონო, ფრთხილად, თორემ, ეგ ანაფორა ტანზე შემოგასკდება!“

— აბა, შენ იცი, ბევრი არ დალიო, — დაარიგა გერვასკა თავადაზნაურთა წინამძღოლის სტუმრობით აღელვებულმა და დაბნეულმა პეტრე პეტრეს ძემ.

— ჩემს სიცოცხლეში წვეთი არ გამისინჯავს, — როგორც თავის ტოლსწორს, ისე მიახალა გერვასკამ, — სულაც არ ვგიჟდები...

შემდეგ, სტუმრებთანაც, პეტრე პეტრეს ძე მთელი სახლის გასაგონად პირფერულად მიმართავდა გერვასკას:

— ნუ დაიკარგები ხოლმე, გერვასი, გეთაყვა! უშენოდ ხელფეხშეკრულივითა ვართ!

გერვასკაც თავაზიან და ღირსეულ პასუხს სცემდა:

— ნუ სწუხართ, ბატონო, აქა ვარ, ერთი წუთითაც არ მოვიცვლი ფეხს!

გერვასკას ასე ერთგულად არასოდეს უმსახურნია, ნამდვილად გაამართლა პეტრე პეტრეს ძის სიტყვები, სტუმრებს რომ მოახსენებდა:

— ეს აყლაყუდა დიდი უტიფარი ვინმეა, მაგრამ ნამდვილი გენიოსია და ოქროს ხელი აქვს!

აბა, რას იფიქრებდა ბატონიშვილი, რომ ვიღაცის მოთმინების ფიალაში წვეთს წვეთზე უმატებდა! გერვასკას ქებაზე პაპამ გულს მჯიღი იკრა და თავადაზნაურთა წინამძღოლს მთელი მაგიდის გასაგონად შესძახა:

— თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ დამეხმაროთ! როგორც მამას, ისე შე-

მოგჩივით, რა ავკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება არავის უფიქრია, დარბაზი თამბაქოს ბოლით იყო გაჟღენთილი და სუნ-თქვა ჭირდა, სიწყნარე სუფევდა, როგორც დღესასწაულის შემდეგ იცის ხოლმე. მაგიდებთან წვრილი ხურდა ფული ეყარა, მზრუნველობით აკრიფა, შემინული კარიდან ბაღს გადახედა და აღტაცების ძახილი აღმოხდა:

ცივი ლაჟვარდი დიდებულად ბრწყინავდა, თრთვილს აივანი და მოა-ჯირი მოეფერცხლა. აივნისქვეშა შიშველ ბარდებში მიხაკისფერი ფოთლები მიმოფანტულიყო, კარი გამოაღო — შემოდგომის ფოთლების სიდამპლის სუნი ეცა, მაგრამ ეს სუნი ზამთრისპირულ სიგრილეში მალე იფანტებოდა. ყვე-ლაფერს სიმშვიდე და უძრაობა დაუფლებოდა. სოფლის გადაღმა მზე ამოი-წვერა და ლამაზი ხეივნის ნახევრად შიშველი კენწეროები ააკაშკაშა. ტან-თეთრ არყის ხეთა ოქრონაპკურები ქოჩრები ლაჟვარდის შუქზე ამოდ კრთო-დნენ. უცებ აივნის ქვეშ ძაღლმა გაიძუნძულა, მის ფეხქვეშ ყინვით მომწვარ თითქოსდა მარილწაყრილ ბალახს ხრაშახრუში გაუდიოდა. ამ ხრაშახრუშმა პაპას ზამთარი მოაგონა და მხრები სიამოვნებით შეარხია... სასტუმროში და-ბრუნდა და სულგანაბული მოჰყვა ავეჯის მიდგმა-მოდგმას. მძიმე ავეჯი იატაკზე აუტანელად ღრჭიალებდა. ხანდახან სარკეს გახედავდა პაპა, საღაც ლამაზი ზეცა ირეკლებოდა. უეცრად ფრთხილი და ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა გერვასკა, როგორც შემდეგ თავად ამბობდა, ნამძინარევი, უკაბაკუროდ, თა-ნაც „ეშმაკივით გაავებულ-გაბოროტებული", შემოვიდა და მოხუცს ჩუმად დაუცაცხანა:

— რას აბრახუნებ? სხვის საქმეში რას ეჩრები?

აღელვებული პაპა მისკენ მიბრუნდა, სახეზე ისეთი ალერსი გადაჰფე-ნოდა, რაიც მთელი გუშინდელი დღე და წუხანდელი ღამე არ შორდებოდა; ჩურჩულითვე უპასუხა:

— აი, ხედავ, რანაირი ხარ შენ, გერვასკა! მე გუშინ მოგიტევე, შენ კი მადლობის მაგიერ ბატონს...

— თავი მომაბეზრე, შე ყეყეჩო, შემოდგომაზე უარესი აბეზარი ხარ! — შეაწყვეტინა გერვასკამ, — მოწყდი აქედან!

პაპამ შიშით ჰკიდა თვალი მის გამოშვერილ კეფას, მაგრამ მერე გაცხარდა და სალომბერო[1] მაგიდას გადაეფოფრა კუთხეში მისათრევად.

— შენ თვითონ გამეცალე! — წუთიერი შეკრთომის შემდეგ ხმამაღლა შეუძახა გერვასკას, — ბატონს შენ უნდა დაუთმო, შენ! იცოდე, იქამდე მიმიყ-ვან, აედგები და ფერდში ხანჯალს დაგიტრიალებ!

— აჰ, ასე არა? — ბრაზით გამოსცრა გერვასკამ და კბილებდაკრეჭილმა მძლავრად ატაკა ხელი მკერდში მოხუცს. მოხუცს გაპრიალებულ მუხის იატაკ-ზე ფეხი აუსხლტა, წაბარბაცდა, ხელები გაასავსავა, თავი ველარ შეიკავა და საფეთქელი მაგიდის კუთხეს მიახეთქა.

სისხლი, უზომოდ გადმოკარკლული თვალები და დაბჩენილი პირი რომ დაინახა, გერვასკამ ჯერ კიდევ თბილ პაპას ყელიდან ოქროს პაწია ხატი და გაცვეთილ თოკზე დაკიდული ავგაროზი მოაგლიჯა, მიიხედ-მოიხედა, არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ახლა ნეკა თითიდან ბებიასეული ჯვრისწერის ბეჭედიც

[1] ლომბერი — ბანქოს ერთ-ერთი ძველებური სახეობაა. მაუდგადაფარებულ მაგიდებზე თამაშობდნენ. შემდეგ ასეთ მაუდგადაკრულ მაგიდებს „სალომბერო" უწოდეს (მთარგმნელის შენიშვნა).

წააძრო, მერე უხმოდ, ჩქარი ნაბიჯით გაილალა სასტუმრო ოთახიდან და ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვეღარავინ გაიგო...

სუხოდოლელთაგან ნატალია იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ საზარელი ამბის შემდეგ გერვასკა იხილა.

VII

სანამ ნატალია სოშკიში ცხოვრობდა, სუხოდოლში ორი დიდი ამბავი მოხდა: პეტრე პეტრეს ძე დაქორწინდა და ძმები ყირიმის კამპანიაში წავიღნენ „მოხალისედ".

ორი წლის მერე დაბრუნდა ნატალია სუხოდოლს. ყველას გადაეწყვიტა, ბოდა საწყალი. სუხოდოლმა იგი ვეღარ იცნო, მან — სუხოდოლი...

ზაფხულის ერთ საღამოს ბატონის სახლიდან გამოგზავნილი ფორანი ღრჭიალით შეჩერდა სოფლურ ქოხთან. ნატაშამ ზღურბლთან მიირბინა და ევსეი ბოდულიამაც გაოცებისაგან შეჰყვირა:

— ნატაშკა, ნუთუ ეს შენა ხარ?

— მე ვარ, მაშ, ვინ უნდა იყოს? — ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მიუგო ქალმა. ევსეიმ თავი გადააქნია.

— როგორ დაუშნოებულხარ გოგო!

ნატალია მართლაც აღარ იყო ისეთი, როგორიც ევსეის ახსოვდა: სახეგრგვალი, თვალნათელი და თავგადახოტრილი გოგო გამხდარ, ტანკენარ და ალერსიან ქალიშვილად ქცეულიყო. უბრალო კაბა და მოქარგული პერანგი ეცვა, თუმცა მუქი თავსაფარი რუსულ ყაიდაზე მოეხვია, ცოტათი მაინც გაეშალებინა მზეს, სახეზე წვრილი, ფეტვისებური ჭორფლი დაყროდა. ჰოდა, ევსეის, ამ ჭეშმარიტ სუხოდოლელეს, რასაკვირველია, ეს მუქი თავსაფარიც და ჭორფლიც სიგონჯედ ეჩვენებოდა.

სუხოდოლისაკენ რომ გასწიეს, გზაში ევსეიმ ჰკითხა:

— შენ უკვე საპატარძლოდ შეღერებულხარ, გათხოვება არ გინდა?

ნატალიამ თავი გააქნია:

— არა, ევსეი ძია, არასოდეს გავთხოვდები!

— ვითომ რათაო? — შეეკითხა ისევ გაკვირვებული მეფორნე და პირიდან ყალიონიც კი გამოიღო.

ნატალიამ წყნარად აუხსნა: განა რა აუცილებელია ყველა ქალი გათხოვდეს, მე ალბათ, ბატონის ასულს მიმცემენ მხევლად, იმას კი ქრისტეს სასძლოდ აქვს თავი აღკვეთილი და, მაშასადამე, მეც არ მომცემს გათხოვების ნებას, თანაც ამ ბოლო დროს საშინელი სიზმრები მაქვსო...

— მაინც რა გესიზმრება? — ეკითხება ევსეი.

— ისეთი არაფერი, იმ დღეს გერვასკამ შემაშინა, გული გამიხეთქა უღმერთომ, იმდენი ახალი ამბავი მითხრა, საგონებელში ჩავვარდი, ალბათ, ძილში ჩამყვა, ჰოდა, მესიზმრა...

— მართლა წაიხემსა გერვასკამ თქვენთან? — თვალები გადმოკარკლა ბოდულიამ.

— წაიხემსა. მოვიდა და გვეუბნება: ბატონებმა თქვენთან ერთ დიდ საქმეზე გამომგზავნეს, ოღონდ ჯერ მაჭამეთ რამეო. ავდექით და გამოსადეგ კაცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეკადრება, იმისთანა სუფრა გავუშალეთ. კარგად გამოძღა, ქოხიდან გავიდა და მე თვალი მიყო. გავყევი, ქოხის კუთხეში ყველაფერი დაწვრილებით მიამბო, მერე თავისი გზით წავიდა...

— რატომ უფროსებს არ დაუძახე?

— ვერ გავბედე, ჩამისისინა, საღამომდე ხმა-კრინტი არ დასძრა, თორემ ენას ამოგგლეჯო. სხვების გასაგონად კი განგებ ხმამაღლა თქვა: წავალ ერთი, ცოტას ბეღლის ქვეშ წავიძინებო...

სუხოდოლის პატრონ-ყმანი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ სოშკიდან დაბრუნებულ ნატალიას, დობილები და თანატოლი გოგოები გულს უწყალებდნენ ათასგვარი შეკითხვებით, მაგრამ იგი, თითქოს რომელიღაც აჩემებულ როლს თამაშობსო, ყველას მოკლედ პასუხობდა:

— კარგად ვცხოვრობდი!

ერთხელ ღვთისმლოცველივით იღაღადა:

— დიდია და ყოვლისშემძლე ღმერთი ჩვენი! მისი წყალობით კარგად ვცხოვრობდი!

ნატალია დაუყოვნებლივ ჩაება შრომა-საქმიანობაში. სულაც არ უკვირდა, პაპა რომ ცოცხალი აღარ იყო და ახალგაზრდა ბატონები „მოხალისედ“ წასულიყვნენ ყირიმის ომში, ხოლო ბატონის ასულს „გაუფრენია“ და მამამისივით დაბორიალობდა ოთახში; არც ის გაჰკვირვებია, სუხოდოლს რომ ახალი, უცხო ქალბატონი მართავდა — პატარა, მსუქანი, მკვირცხლი, ორსული ქალი...

ერთხელ სადილზე ქალბატონმა ბრძანა:

— უხმეთ იმას... რა ჰქვია? ნატაშას!

ნატაშა სწრაფად, ფეხაკრეფით შევიდა, პირჯვარი გადაისახა, ჯერ თაყვანი სცა კუთხეში დაკიდულ ხატს, შემდეგ ბატონის ასულსა და ქალბატონს; შეკითხვისა თუ ბრძანების მოლოდინში გარინდული იდგა. შეკითხვით, რა თქმა უნდა, ქალბატონი ეკითხებოდა, ბატონის ასულს ერთი სიტყვაც არ დასცდენია. იგი დასრულებულიყო, ოღონდ გამხდარს თვალები უჩვეულოდ ჩალამებოდა, ისედაც წაწვეტებული ცხვირი უფრო წამახვილებოდა. უსმენდა კითხვა-პასუხს და გამოთაყვანებული იყურებოდა. ქალბატონმა ბატონის ასულის მოახლედ გაამწესა ნატალია, მანაც თავი მორჩილად დაუკრა და წყნარად წარმოსთქვა:

— მესმის, ქალბატონო.

ბატონის ასული მთელი დღე აღუშფოთველად და დაჟინებით შეჰყურებდა ნატალიას, საღამოს კი მოულოდნელად ეძგერა, მრისხანედ დაუბრიალა თვალები და ბოროტი სიამოვნებით დააგლიჯა თმა — აქაოდა, რატომ ასე უგერგილოდ გამხადე წინდებიო. ნატაშკა ბალღივით აქვითინდა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს. საქალებოში რომ შევიდა, ჩამოჯდა, აწეწილ-დაწეწილი თმა გაისწორა და გაიღიმა კიდეც, თუმცა წამწამებზე ცრემლი უბრწყინავდა ისევ.

— ოჰ, რა ულმობელი ქალია! — ამოიკვნესა ნატალიამ, — ვაი ჩემს დღეს მის ხელში!

ბატონის ასული მეორე დილით დიდხანს ნებივრობდა ლოგინში, ნატაშკა კი ზღურბლზე იდგა და თავდახრილი ალმაცერად შესცქეროდა მის გაფითრებულ სახეს.

— რა გესიზმრა? — ისე გულგრილად ჰკითხა ტონიამ, თითქოს მის მაგივრად ვიღაცა სხვა ლაპარაკობსო.

— არაფერი, ქალბატონო.

და გუშინდელივით ახლაც უცბად წამოხტა ბატონის ასული, ჩაით სავსე ფინჯანს დასწვდა და ნატაშკას ესროლა, მერე ლოგინში ჩაემხო და ხმამაღლა, მწარედ აქვითინდა. ნატაშკამ აიცდინა ფინჯანი; შემდეგში უფრო დაოსტატდა: მკვირცხლად უქცევდა ხოლმე გვერდს მისკენ გადმოსროლილ ნივთებს... თურმე ჩერჩეტი მოახლე ქალები ბატონის ასულს თუ უპასუხებდნენ, „არაფერი გვსიზმრებიაო“, ის თავქარიანი შეკივლებდათ: „იცრუეთ მაინც, თქვეო ოხრებო!“ ნატაშკას სიცრუე არ ეხერხებოდა, ამიტომ სხვა გზა არა ჰქონდა — ნასროლის აცდენაში უნდა დაოსტატებულიყო...

ერთხელ ტონიას აქიმი მოჰგვარეს. მკურნალმა ავადმყოფს უამრავი წამალი დაუტოვა. ბატონის ასულს ეშინოდა, საწამლავი არ შემომაპარონო და პირველად ნატაშას აყლაპებდა აბსა თუ სამკურნალო წვეთებს... გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ნატალიას ამბად მოუტანეს: ტონია შენს დაბრუნებას „დღის სინათლესავით“ ელოდა; ამოიჩემა თურმე, გინდათ თუ არა, ნატაშკა მომგვარეთო; ფორანი გამოგიგზავნა ხუტორში და მერე თვალი სულ გზისაკენ ეჭირა, სოშკიდან მომავალი ხომ არავინ ჩანსო. ყველას არწმუნებდა, დაბრუნდება ნატაშკა და ნახავთ, თუ არ გამოვჯანმრთელდებიო.

მაგრამ დაბრუნდა ნატალია და იგი გულცივად შეხვდა. იქნებ იმიტომ ტირის ბატონის ქალი, რომ იმედი გაუცრუვდა? ნატალიას ამის გაფიქრებაზე გული შეუთრთოლდა, დერეფანში გავიდა, კიდობანზე ჩამოჯდა და ისევ ატირდა.

— რა ჰქენი, მოგეშვა? — ჰკითხა ტონიამ, როცა ტირილით თვალდასიებული ნატალია მასთან შევიდა.

— დიახ, არა მიშავს რა, ქალბატონო, — ნატაშკას წამლებისაგან გული მოდუნებოდა და რეტი ესხმოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ბატონის ასულს ხელზე ემთხვია.

ამის შემდეგ თავის ქალბატონს დიდხანს არიდებდა თვალს, შეხედვისაც კი ეშინოდა მისი სიბრალულით გულაჩუყებულს.

— უჰ, შე ვერაგო ხახოლო! — უთხრა ერთ დღეს ნატალიას სიყრმის დობილმა სოლოშკამ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ნატაშკას მესაიდუმლე ყოფილიყო, მაგრამ ნატალია მუდამ მოკლედ და უბრალოდ პასუხობდა, ეს კი, მოგეხსენებათ, ქალიშვილთა მეგობრობას ძალზე უშლის ხელს.

ნატაშკამ ნაღვლიანად ჩაიცინა.

— მერე რა, ეგეც მართალია. შევეჩვიე იმათ. ხომ გაგიგონია; ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. ზოგჯერ დედ-მამაზე არა ვწუხვარ ისე, როგორც ჩემს კეთილ ხახოლებზე...

სოშკიში ნატალიას პირველად ყურადღება არც მიუქცევია იმ სიახლისათვის, რაც მის გარშემო იყო. განთიადისას ჩავიდნენ ხუტორში და საოცარი მხოლოდ ის ეჩვენა, რომ ქოხი გრძელზე გრძელი და თეთრი იყო, შორიდანაც კარგად მოჩანდა. გააოცა ხახოლი ქალის კეთილმა სალამმაც და იმანაც, რომ იმ ქალის ქმარი ევსეის ყბედობას სულაც არ უგდებდა ყურს. ბოდულია ენად გაიკრიფა, რა აღარა თქვა; ბატონებსა და დემიანს გადასწვდა, პაპანაქება სიცხეც ახსენა და ისიც მოიგონა, რა ჭამა იმ დღეს ქალაქში, პეტრე პეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს ძის ამბავიც მოყვა და რაღა თქმა უნდა, არც სარკის ამბავი დავიწყნია. ხახოლი შარი, ანუ როგორც მას სუხოდოლში ეძახდნენ — მაჩვი, მხოლოდ თავს უკანტურებდა და, როცა ეესეი გაჩუმდა, ჯერ დაბნეულმა გადახედა მას, მერე კი გახარებულმა შეჰყვირა:

— ძლივს არ დაისვენა ყურებმა! არ მიაყარა ქარბუქივით?

ნატალია თანდათან მოეგო გონს: რაც უფრო აკვირდებოდა ხუტორს, მით უფრო მეტად მშვენიერი და სუხოდოლისგან განსხვავებული ეჩვენებოდა იგი. მარტო ეს თეთრი ქოხი რად ღირდა თავისი გლუვი და სწორი ლერწმის სახურავით! რა მდიდრულად მოერთოთ შიგნით. სუხოდოლის ჩაბინძურებულსა და ღატაკ ქოხმახებს კი არ ჰგავდა! ან რა ძვირფასი, თითბრის ვარაყებში ჩასმული და ფერად-ფერადი ქაღალდის ყვავილებით მორთული ხატები ეკიდა კუთხეში, ლამაზი, ჭრელი პირსახოცების ქვეშ! რა მშვენივრად მოხატული, ნაყშიანი სუფრა ეფარა მაგიდას! ღუმელთან თაროზე ლურჯი ქოთნები ჩაემწკრივებინათ კოხტად. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მასპინძლები იყვნენ გასაოცარი. რით იყვნენ გასაოცარი, ნატალიამ კარგად არ იცოდა, მაგრამ გრძნობით კი გრძნობდა. არასოდეს ენახა შარისთანა პეწენიკი, მშვიდი და კეთილი გლეხი, იგი ტანდაბალი გახლდათ, წაგრძელებული თავი შეკრეჭილ ვერცხლისფერ ჯაგარივით თმას დაეფარა, ვერცხლისფერივე ულვაში თათრულ ყაიდაზე — წვრილად მოეშვა, მზემოკიდებული სახე და ყელკისერი ღრმად დანაოჭებოდა. უხერხული სიარული იცოდა—მძიმე ჩექმები ეცვა, გახუნებული ხამი ტილოს შარვალი ჩექმის ყელში ჩაეტანებინა, ხოლო შარვალში-ასეთივე საყელოგადაფენილი, ფართოსახელოიანი პერანგი. ფრთხილად დააბოტებდა ოდნავ წინ წახრილი, მაგრამ არც ეს სიარული, არც ღრმა ნაოჭები და არც ჭაღარა ასაკს არ მატებდა, არ აბერებდა — ჩვენებური მოსავებისა და მოდუნებისა არაფერი ეტყობოდა. მისი პატარა, მსუსხავი თვალები დამცინავად იცქირებოდნენ. შარიმ ნატალიას მოხუცი სერბიელი მოაგონა, ერთხელ საიდანღაც ვიოლინოზე დამკვრელ ბიჭთან ერთად სუხოდოლში რომ შემოიარა...

შარის ცოლს მარინას სუხოდოლელებმა ლახვარი შეარქვეს. ეს ორმოცდაათიოდე წლის მაღალი ქალი კარგი ტანადი გახლდათ. ფართოყვრიმალიან, არასუხოდოლურ, მოუხეშავ, მაგრამ მაინც ლამაზ სახეს მზისფერი გადაჰკრაოდა. კატისა არ იყოს, მასაც ხშირად ეცვლებოდა თვალების ფერი: ხან მოაკატისფრო ჰქონდა, ხანაც მორუხო-ქარვისფერი, პირდაპირ და მკაცრად შემოგცქეროდნენ. თავზე ჩალმასავით შემოეხვია წითლად დაწინწკლული მუქი-ოქროსფერი დიდი თავსაფარი, მოკლე და შავი კაბა მაღალკანჭებსა და თეძოებზე შემოტმასნოდა და პერანგის თეთრ ფონზე მკვეთრად გამოკვეთილიყო; ნალდარტყმულ მაშიებს შიშველ ფეხზე იცვამდა და წვრილი, მრგვალი, მზემოკიდებული წვიეები ყავისფერ პრიალა ხესავით უბრწყინავდა. ზოგჯერ საქმეში გართული შუბლს შეიჭმუხნიდა და ძლიერ მკერდისმიერ ხმაზე სიმღერას წამოიწყებდა იმაზე, თუ როგორ შემოარტყეს ურჯულოებმა ალყა პოჩაევოს:

„როგორ გაბრწყინდა მწუხრის ლაჟვარდი
პოჩაევოზე გადმოფრქვეული“,

ან იმაზე, თუ როგორ ღაღადებდა წმინდა ტაძარში თვით ღვთისმშობელი. მარინას ხმაში ისეთი უიმედობა და გლოვის ზარი, ამასთანავე ისეთი დიადი ძა-

ლა და მუქარა გამოსჭვიოდა, აღტაცებული ნატაშკა თვალს ვეღარ აშორებდა.

ხახოლები უშვილოები იყვნენ, ნატაშკა — ობოლი. სუხოდოლელებთან რომ ეცხოვრა, ალბათ ნაშვილევს დაუძახებდნენ ან კიდევ ქურდბაცაცას, ზოგჯერ შეიბრალებდნენ კიდეც, ზოგჯერ თვალებსაც ამოკორტნიდნენ; ხახოლები კი თითქმის გულცივები იყვნენ, მაგრამ ზომიერებას იცავდნენ, სიტყვაძუნწებს ცნობისმოყვარეობა არა ჰკლავდათ, ჩაკირკიტება არ უყვარდათ. შემოდგომაზე სათიბად და სალეწად კალუგელ ქალებსა და ქალწულებს მოუხმობდნენ. კალუგელებს ჭრელაჭრელა სარაფნები ეცვათ და ამიტომ „პერანგჩახსნილებს“ ეძახდნენ. ნატაშა ერიდებოდა მათ. ეს მკერდგამობზეკილი, უტიფარი, გარყვნილი და ავსენიანი ქალები ბილწი, უწმაწური გინებით იოხებდნენ გულს, ცხენზე მამაკაცურად სხდებოდნენ და დამთხვეულებივით დააქენებდნენ. ეჰ, დიახაც რომ გაუქარვებდა დარდსა და ნაღველს ჩვეულებრივი ცხოვრება, ალალად გადახსნილი გული, სიმღერა და ცრემლი, მაგრამ ვისთვის გადაეშალა თავისი გული, ვისთან ემღერა? „პერანგჩახსნილები“ სიმღერას თავიანთ უხეშ ხმაზე წამოიწყებდნენ ხოლმე, სხვები უთავბოლოდ აჰყეებოდნენ სტვენა-კივილით. მარტო შარი მღეროდა სახუმარო-საცეკვაოსნაირ სიმღერას. მარინა კი თავის სიმღერებშიც მკაცრი, ამაყი და ნაღვლიანი იყო, სატრფიალო სიმღერასაც კი მკაცრად მღეროდა:

„ქალოს თავში შრიალებენ
ტირიფები მე რომ დავრგე...

სევდიანად, გაბმულად მოსთქვამდა და უიმედოდ დასძენდა:

საღ ხარ, ჩემო საყვარელო,
ამდენხანს საღ დამეკარგე...“

ამგვარად, მარტოობაში, ნელ-ნელა გამოსცალა ნატალიამ თავისი პირველი, გაუზიარებელი სიყვარულის ტკბილ-მწარე სამსალით სავსე ფიალა, ვადაიტანა შერცხვენა, ეჭვიანობა და ლამაზი, მაგრამ სევდიანი სიზმრები. ბოლო მოეღო მის მტანჯველ ფრთაშეუსხამ ოცნებებსა და ლოდინს, რაიც დიდხანს უკლავდა გულს იმ წყნარ, მდუმარე დღეებში. ხშირად მწვავე შეურაცხყოფა და წყენა სინაზით ეცვლებოდა, ვნება და სასოწარკვეთილება — მორჩილებით, ყველაზე ჩუმ, შეუმჩნეველ არსებობას ნატრობდა „იმის“ ახლოს, არაფერს რომ არ მოელის, არაფერს რომ არ მოითხოვს, იმისთანა სიყვარულს ნატრობდა — ყველასაგან სამუდამოდ დაფარულს. სუხოდოლიდან მოღწეული ხმები და ამბები ასულდგმულებდა, მაგრამ იქიდანაც დიდხანს აღარაფერი ისმოდა, აღარაფერი იცოდა სუხოდოლურ ცხოვრებაზე და იქაურობა მაშინ კიდევ უფრო მშვენიერი, უფრო სასურველი, სანეტარო ეჩვენებოდა ნატალიას და ვეღარ უძლებდა მარტოობასა და ვარამ-ნაღველს. ამ დროს მოულოდნელად გერვასკა მოევლინა და სხაპასხუპით ჩაუკენჭა სუხოდოლური ცხელ-ცხელი ამბები. ნახევარ საათში იმდენი რამ უამბო, სხვა ალბათ, მთელ დღეს ვერ შეძლებდა. გერვასკას ისიც არ დაუმალავს, პაპაჩვენს სასიკვდილოდ რომ „უჯიკავა“ ხელი...

— ახლა კი მშვიდობით სამუდამოდ! — დარეტიანებულ ნატალიას გერ-

ვასკამ თავისი გადმოკარკლული თვალები მიაშტერა, მერე კი, გზას რომ დაადგა, მოაძახა: — თავიდან ამოიგდე სისულელეზე ფიქრი! ის კაცი სადაცაა ცოლს შეირთავს, შენ მის ხასადაც არ ვარგიხარ... გონს მოდი!

და ნატალიაც მოვიდა გონს — გადაიტანა ეს საშინელი ახალი ამბავიც.

ამის შემდეგ ერთფეროვანი, ნაღვლიანი დღეები ნელა მიზოზინებდნენ სალოცავად მიმავალი ღვთისმოშიში ქალებივით. ისინი ქოხთან მუხლს ქარს ამოაღებინებდნენ, ნატალიას დიდხანს ემასლაათებოდნენ, მოთმინებასა და ღვთის წყალობის იმედს უქადაგებდნენ, უაზროდ, საწყალობლად წარმოთქვამდნენ მამაზეციერის სახელს და ურჩევდნენ, ფიქრი გულს არ გაიკაროო.

— გინდა გიფიქრია, გინდ არა, სულ ერთია, ჩვენს საქმეს არაფერი ეშველება, — ეტყოდნენ წასვლისას, ქალამანს შეიკრავდნენ და სახეგატანჯულნი მჭმუნვარედ გახედავდნენ სტეპურ სივრცეს, — ერთმა ღმერთმა უწყის, რას მოგვაგებს.. .ერთი შენს ქალობას, ქენი სიკეთე, ცოტა ხახვი მოგვითხარე მალულად...

ზოგნი ცოდვებითა და საიქიოთი აშინებდნენ, ისეთ საშინელებას უამბობდნენ, ერთხელ ორი შემაზრზენი სიზმარიც ნახა. ნატალია დღენიადაგ სუხოდოლზე ფიქრობდა — თავდაპირველად გაუჭირდა, არ ეფიქრა! ფიქრობდა ბატონის ასულზე, პაპაზე, თავის მომავალზე, მარჩიელობდა კიდეც: გავთხოვდები თუ არა ოდესმე, ან თუ გავთხოვდები, როდის და ვის გავყვებიო. ერთხელაც ეს ფიქრები ძილში ჩაჰყვა: ცხელსა და მტვრიან, მშფოთვარე ქარიან საღამოს მხრებზე სათლებგადაკიდებული ნატალია სულმოუთქმელად გარბის გუბურისაკენ, უცებ მშრალ, თიხნარ ფერდობზე თავბომბორა ჯუჯა კაცს ჰკიდა თვალი, ჯუჯას დაფხრეწილი ჩექმა აცვია, თავშიშველს ქარი მწითურ ბანჯგვლებს უჩეჩავს, ქამარშემოხსნილი ცეცხლისფერი პერანგი უფრიალებს. „პაპა! — შეჰკივლა შეძრწუნებულმა ნატალიამ, — ხანძარია?“ „ამ წუთში ყველაფერი შთაინთქმება! — ჯუჯას ხმა ხორშაკში ძლივს ისმოდა, — ჯერუნახავი ღრუბელი მოდის; რა დროს გათხოვებაზე ფიქრია, სულელო!“ მეორე სიზმარი უფრო საშინელი გახლდათ: შუაღამისას ვითომ ნატალია დახუთულ ცარიელ ქოხში იდგა, კარი გარედან ვიღაცას ჩაერაზა; ქალი გარინდული ელოდა რაღაცას... უცებ ღუმელს უკნიდან უზარმაზარმა ნაცარა თხამ ისკუპა, ყალყზე შედგა, უხამსად აღგზნებული და ჟინმორეული ნატალიასაკენ გამოექანა, ნაკვერცხალივით ბრიალა, მუდარიანი თვალები მიაპყრო და კაცის ხმაზე შესძახა: „მე ვარ შენი საქმრო!“ თან სწრაფად უკანა ფეხების უგერგილო ბაკუნით მიუახლოვდა და წინა ფეხებით ძუძუმკერდზე მიეხარცხა...

გულგახეთქილი ნატალია ლოგინიდან წამოხტა, სუნთქვაშეკრულს ლამის გული ამოვარდნოდა საგულედან, ეშინოდა სიბნელისა და იმის გაფიქრებისაც, რომ ახლოს სულიერი არავინ ჰაჰანებდა...

— იესო ღმერთო! — სხაპასხუპით ჩურჩულებდა იგი, — ღვთისმშობელო, დედოფალო ზეციერო! წმინდანებო — მოციქულნო ღვთისანო, თქვენ შემიბრალეთ და დამიფარეთ მე!

მაგრამ, რადგან ყველა წმინდანი მერკურივით უთავო და ყავისფერი ჭარმოედგინა, მათი სახელის ხსენებაზე უარესმა ძრწოლამ შეიპყრო.

შემდეგ ნატალიამ ასე ახსნა თავისი სიზმრები: ქალიშვილობის წლები ჩემთვის უკვე დამთავრებულია და მომავალიც განსაზღვრულია, ამაოდ მარგუნა

ბედმა შეუფერებელი რამ — ბატონიშვილის სიყვარული. კიდევ მრავალი განსაცდელი მომელის და ისევ მირჩევნია ხახოლის ქალებს მივბაძო თავდაჭერილობაში, ღვთისმლოცველებს — უბრალოებასა და მორჩილებაში.. და, რადგანაც სუხოდოლელებს სჩვევიათ, თავი ისე მოაჩვენონ ყველას, ვითომც თავიანთ სულსა და ხორცს იმას შთააგონებენ, რაც მოსახდენია, უნდა მოხდესო, და იმ მოსახდენელ, მოსალოდნელსაც თავად გამოიგონებენ ხოლმე, ნატალიამაც გადაწყვიტა, ასე მოქცეულიყო.

VIII

სიხარულისაგან მუხლი მოეკვეთა, როცა პეტრე-პავლობის წინა დღეს ზღურბლს გადმოაბიჯა და ბოდულია დაინახა, მაშინვე მიხვდა, ჩემს წასაყვანად მოვიდაო. ქოხთან დამტვერიანებული, დანჯღრეული სუხოდოლური ფორანი იდგა და ზედ ბოდულია მოკალათებულიყო, გაბურძგნულ თავზე დაფხრეწილი ქუდი ეხურა, გამოხუნებული წვერი ამობურდოდა, დაღლილი და აღგზნებული, რაღაცნაირი, მისთვის შეუფერებელი ნაკვთებით დაუშნოებული სახე უდროოდ მობერებოდა. ნატალიამ იქვე ნაცნობ ხვად ძაღლსაც მოჰკრა თვალი, ბალანაბურძგნილი მარტო ბოდულიას კი არა, მთელ სუხოდოლს რომ ჰგავდა გარეგნულად. ხვადს ზურგზე მომუქო-ლურჯი, ხოლო მკერდზე — ხშირი, უსაკომურო ქოხების შავი კვამლისაგან გამჭვარტლული ბეწვი ჩამოჰყროდა. გაოგნებული ნატალია სწრაფად მოეგო გონს... გზაზე ბოდულია რაღას არ ჩმახავდა, ყირიმის ომზე ისე ლაპარაკობდა, კაცი ვერ გაიგებდა, უხაროდა თუ სწყინდა.

— რას იზამ, დროა დღე შეუმოკლონ ფრანგებს, — წინდახედულად ეუბნებოდა ნატაშკაც.

სუხოდოლისაკენ მიმავალი გზა ერთობ გრძელი ეჩვენა ნატალიას, თანაც მტანჯველი ფიქრებიც შემოეჯარა: ვინ იცის რა მძიმე დღეები ელის, ახალი თვალით უნდა შეხედოს ძველსა და ნაცნობს. სუხოდოლისაკენ რომ გადაუხვიეს, ნატალიამ ანეულებზე კვიცი დაინახა. ბიჭუნას შიშველი ფეხი თოკის სადავეზე დაედგა, კვიცს ფაფარში ჩაბღაუჭებოდა და ცდილობდა აღვირი თავს უკან გადაეტარებინა, მაგრამ კვიცი არ ნებდებოდა, გაურბოდა. ნატაშამ ფომკა პანტიუხინი იცნო და სიხარულმა აათრთოლა, მერე ასი წლის პაპა ნაზარუშკა შემოხვდათ, ცარიელ ფორანზე იჯდა ქალურად ფეხებგაწვდილი, სუსტი აწურული მხრები, უფერული, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და ისე გაძვალტყავებულიყო, „კუბოში ჩასასვენებელიც აღარა შერჩენოდა რა“. ქუდიც არ ეხურა, ღუმელზე გამუდმებული წოლისაგან ნაცრით გამტრედისფრებული, გაცვეთილი პერანგი ემოსა. ნატალიას კვლავ შეუტოკდა გული, სამი წლის წინანდელი ამბავი გაახსენდა: კეთილმა და უდარდელმა არკადი პეტრეს ძემ ნაზარუშკას ბოსტანში ბოლოკის ქურდობაზე წაასწრო და გაწკეპლვა მოუნდომა. შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი მოხუცი გულსაკლავად ტიროდა, შინაყმები გარს შემოერტყნენ და სიცილთ იგუდებოდნენ.

— არა, პაპილო, ტირილი არ გიშველის, სულ ერთია ნიფხვის ჩახდა არ აგცდება!

მაგრამ ნატალიას გული მაშინ აუძგერდა ძალუმად, როცა თვალწინ სუხო-

დოლის სანახები და საძოვარი გადაეშალა; გამოჩნდა ქოხმახები და ბატონის კარ-მიდამო, ბაღი, სახლის სახურავი, საჯალაბოს, ბეღლების, საჯინიბოთა უკანა კედლები და მათ გაყოლებაზე ჭვავის ყანა და ღიღილოები.

შვრიის ყანაში ვიღაცის ყავისფერლაქებიანი თეთრი ხბო ჩამალულიყო და თავთავებს აჩანაგებდა. ირგვლივ ყველაფერი მშვიდი, უბრალო და ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ყოველივე მაინც უჩვეულო და ამაღელვებელი ესახებოდა ნატალიას და განსაკუთრებით მაშინ აერია გონება, როცა ფორანმა მარდად გადაისრიალა ფართო ეზოზე: იქაურობა ისე იყო მოფენილი მძინარე მწევრებით, როგორც ეკლესიის ეზო საფლავის ლოდებით.

ორ წელიწადს ქოხში ცხოვრების შემდეგ შედგა ფეხი ნატალიამ მშობლიურ გრილ სახლში და მაშინვე თაფლის სანთლების ნაცნობი სუნი ეცა, წამში შეავლო თვალი ცაცხვის ხის კარ-ფანჯრებს, ბუფეტს, მუდამ წინკარში თაროზე დაგდებულ ორკადი პეტრეს ძეს კაზაკურ უნაგირს, სარკმლის თავზე ჩამოკიდებულ ცარიელ სამწყრე გალიებს... მოკრძალებით შეხედა მერკურის ხატს, პაპისეული ოთახიდან წინკარის კუთხეში რომ გადმოესვენებინათ. მოწყენილ დარბაზს წინანდებურად ანათებდა ბაღის მხრიდან მცირე სარკმელში შემოპარული მზის სხივები. სასტუმრო ოთახში გულსაკლავად წიოდა ეული წიწილა და გასაძრომს ეძებდა. მზეზე გახურებულ ფანჯრის რაფებს ცაცხვის სურნელება ასდიოდათ. ნატალიას მოეჩვენა: ყველაფერი ძველი ვანახლებულიყო, როგორც ხდება ხოლმე მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ. ყველაფერში, და განსაკუთრებით ყვავილთა სურნელებაში იგრძნობოდა თავად ნატალიას სულის, მისი ბავშვობის, ყრმობისა და პირველი უიღბლო სიყვარულის რაღაც ნაწილი. ნატალიას უცებ შეებრალა ყველა, გაზრდილიც, გარდაცვლილიც: შეებრალა სრულიად გამოცვლილი საკუთარი თავიცა და ბატონის ასულიც. დაზრდილან მისი ტოლი გოგო-ბიჭები, ხოლო დაძაბუნებულ-დაჩაჩანაკებული მოხუცები, — თავს რომ აკანტურებდნენ და ზოგჯერ საჯალაბო სახლის ზღურბლიდან უაზროდ მიშტერებოდნენ ღვთიურ სამყაროს, — სამუდამოდ გამქრალიყვნენ სააქაოდან, უფალს მიეღია დარია იუსტინეს ასულიც, აღარ არის პაპაც, ასე ბავშვურად რომ ეშინოდა სიკვდილისა და დარწმუნებული იყო: მიქელგაბრიელი ნელ-ნელა მომიღებსო ბოლოს. არადა, რა მოულოდნელად ესტუმრა საშინელი აღსასრული! ნატალიას არ სჯეროდა პაპაჩვენის სიკვდილი და არც ის, რომ სწორედ მისი ნეშტი იხრწნებოდა სოფელ ჩერკიზოვოს ეკლესიის ეზოში გათხრილ საფლავში.

ტონიამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; ნუთუ ეს შავი, გამხდარი, ცხვირწაწვეტილი ქალი — ხან აღელვებული და ხანაც გაფითრებული, ხან ენადგაკრეფილი და უზომოდ გულახდილი, შეუბრალებლად რომ აგლეჯდა თმას თავის მოახლეს, — ბატონის ასული ტონიჩკაა? უკვირდა ნატალიას. ისიც ვერ გაეგო, რატომ დიასახლისობდა ოჯახში ვიღაც კლავდია მარკის ასული, პატარა, ჯაჯღანა, ულვაშიანი დედაკაცი... ერთხელ ნატაშკამ მოკრძალებით შეიჭვრიტა მის საძინებელ ოთახში, იმ საბედისწერო ვერცხლისჩარჩოიან სარკეს მოჰკრა თვალი და ყველაფერი ერთბაშად მოასკდა მის გულს: უწინდელი შიში, სიხარული, სინაზე, შერცხვენისა და ნეტარების მოლოდინი, საღამო ხანის ნამით დაცვარული ოროვანდების **სურნელი...** მაგრამ ყველა გრძნობა და ფიქრი გულში ჰქონდა ჩამარხული. ძველი სუხოდოლური სისხლი ჩქეფდა მის ძარღვებში! იგი ხომ სუხოდოლის თიხნარ სანახებზე მოწეული

ხმიადითა და დამშრალი მდინარის კალაპოტში თავისი მამა-პაპის გათხრილ გუბურებში ჩამდგარი მტკნარი წყლით გაიზარდა! ქანცგამომცლელი შრომისა არ ეშინოდა, სხვა რამ — უჩვეულო რაღაც უფრო აშინებდა. სიკვდილისა არ ეშინოდა, სამაგიეროდ გულს უხეთქავდა სიზმარი, ბნელი ღამე, გრიგალი, ჭექა-ქუხილი, ხანძარი... მკერდქვეშ გაყუჩული ნაყოფივით დაატარებდა ნატალია მოსალოდნელი უბედურების აუხსნელ განცდას. ეს მოლოდინი აბერებდა მას, თანაც საკუთარ თავს დღენიადაგ ჩასჩიჩინებდა, სიყმაწვილე გაქრაო და ყველგან და ყველაფერში ამის დასტურს ეძებდა. სუხოდოლში მისი დაბრუნებიდან ერთ წელსაც არ გაევლო, რომ ყმაწვილური ფიქრები, რაც ხუტორიდან დაბრუნებულს აღეძრა, უკვალოდ გამქრალიყო...

კლავდია მარკის ასულმა მოილოგინა. მექათმე ფედოსია ძიძად დაუწესეს ახალშობილს და მანაც, ჯერ კიდევ ყმაწვილმა ქალმა შავი, ბებრული კაბა ჩაიცვა, მორჩილი და ღვთისმოშიში გახდა. ახალმოვლენილი ხრუშჩოვი უაზრო თვალებს ჯერ ძლივს ახელდა, ინერწყვებოდა, თავს უსასოოდ აქნევდა, მაგრამ სამაგიეროდ ყურისწამღებად ჩხაოდა. მას უკვე ბატონიშვილობით უხმობდნენ; ბავშვის ოთახიდან ძველთაძველი ნანინა ისმოდა: „აი, მოდის, მოცუხცუხებს ბერიკაცი ტომრიანი... ჰე, მოხუცო, არ მოხვიდე ჩვენთანა, არ გაგატანთ ბატონიშვილს დევთანა; არ მოხვიდე, იგი აღარ იტირებს, დაწვება და ტკბილად, ტკბილად იძინებს“...

ნატაშკაც ფედოსიას ბაძავდა: თავი ავადმყოფი ბატონის ასულის ძიძად მიაჩნდა, ძიძად და მეგობრად.

ზამთარში ოლღა კირილეს ასული გარდაიცვალა. ტონიას გული შინ აღარ დაუდგა და სულმიხრწნილ დედაბრებთან ერთად დაკრძალვაზე წავიდა. იქ წანდილი ჭამა და ლამის გული აერია. სუხოდოლში დაბრუნებული ბატონის ასული გულაჩუყებული უყვებოდა ყველას — ქალბატონი ცოცხალივით იწვა კუბოში, მაგრამ ბებრუცუნებს მაინც შეეშინდათ მიცვალებულისთვის დაეხედათო...

შემოდგომაზე ტონიას სოფელ ჩერმაშნიდან განთქმული გრძნეული კლიმ ეროხინი მოუყვანეს. იგი მდიდარი მდაბიო აზნაური გახლდათ, ლეგა წვერი და თმა ამშვენებდა, ძალზე საქმიანი და ჭკვიანი, უბრალო მოსაუბრე კაცი იყო, მაგრამ ავადმყოფის პირისპირ ჯადოქრად გადაიქცეოდა ხოლმე, ტანზე გამძლე და ფოლადისფერი უხეში მაუდის ხიფთანი ეცვა, ფეხზე — ჩექმები, ხიფთანზე წითელი სარტყელი შემოერტყა, ეშმაკი და ჭკვიანი თვალებით ფულდაგულ ეძებდა ხატს, ფრთხილად, ოდნავ მოხრილი შედიოდა სახლში და მაშინვე საქმიან საუბარს გაუბამდა მასპინძლებს: ჯერ მოსავლის ამბავს გამოიკითხავდა, წვიმასა და გვალვაზეც იტყოდა ორიოდე სიტყვას და მერე დიდხანს დარბაისლურად შეექცეოდა ჩაის, ბოლოს კი მეყვსეულად შეიცვლიდა ხმას და ავადმყოფს მოიკითხავდა.

— მწუხრი... ბნელდება... დროა, — იდუმალ ხმაზე იტყოდა იგი.

ბატონის ასულს ნამდვილი ციებ-ცხელება ემართებოდა, როცა თავის საძინებელ ოთახში იჯდა და კლიმის გამოჩენას ელოდა სიბნელეში. საშინელებისაგან ლამის იატაკზე გაგორებულიყო ბნედიანივით. იქვე მდგარი ნატალიაც ძრწოლა-კანკალს აეტანა. სახლში სიჩუმე გამეფებულიყო, ქალბატონსაც კი თავისი ოთახი გოგოებით აევსო და ჩურჩულით ლაპარაკობდა; სანთლის ანთებასაც ვერავინ ბედავდა, კრინტს ვერავინ ძრავდა, მუდამ მხიარულ სოლოშკა-

საც კი, — დერეფანში რომ მორიგეობდა, ვინიცობაა კლიმს რამე დასჭირებოდა, — გული უფანცქალებდა და თვალთ უბნელდებოდა... აი, გვერდით ჩაუარა გრძნეულმა, გზადაგზა პატარა, ჯადოსნური ძვლებით სავსე გაკვანძულ ცხვირსახოცს ხსნიდა, მერე საძინებელი ოთახიდან გამომავალმა მისმა უჩვეულოდ მოგუგუნე ხმამ სამარისებური სიჩუმე გაჰკვეთა:

— აღდექ, მხევალო ღვთისა!

მალე მისი ლეგა თავი გამოჩნდებოდა კარებში.

— ფიცარი! — უსიცოცხლოდ წამოისროდა იგი.

შიშისაგან თვალებგადმოკარკლულსა და მიცვალებულივით გაციებულ ტონიას კლიმი იატაკზე დადებულ ფიცარზე დააყენებდა; ჩაბნელებულ ოთახში ნატალია კლიმის სახეს ვერა ხედავდა... უცებ გრძნეული უცნაურსა და შორეულ, ყრუ ხმაზე იწყებდა:

— აღმოვალს ფილატ... სარკმლებს განაღებს... კართა განიხუნებს, იღაღადებს და იტყვის: ნაღველო, ნაღველო!

— ნაღველო, ნაღველო! — უეცრად რიხიანად და მბრძანებლურად წამოიძახებდა მერე, — ნაღველო, უკან ტყისაკენ იჩქარე, შენი ადგილი ახლა იქ არი! შორეულ ზღვაში, ოკეანეში, — ყრუდ, ავბედითი სხაპასხუპით ბუტბუტებდა შემდეგ, — ჩაკარგულ კუნძულ ბუიანეზე ერთ ხეს ნუკრი აქვს ვეება, ხმელი, რუხი საწმისი ჰკიდია ძველი...

ნატალია გრძნობდა, ამ სიტყვებზე საშინელი სიტყვები ქვეყნად არ არსებობდა და ალბათ, არც არასოდეს იარსებებდა. ამ სიტყვებმა მისი გონება სადღაც ველურ, ზღაპრულ, პირველყოფილ სამყაროში გადაჰკარგა და კლიმსავით ნატალიასაც სწამდა მათი ძალა. კლიმი ხომ თავისი გრძნეულებით სასწაულებრივად ჰკურნავდა სნეულთ. მისნობას რომ მოათავებდა, დაჯდებოდა, უბრალოდ, გასაგებად ლაპარაკობდა, გაოფლილ შუბლს ცხვირსახოცით იწმენდდა და ისევ ჩაის მიირთმევდა. — კიდევ ორი მწუხრიღა დარჩა... ეგების ღმერთმა ინებოს და ცოტათი მაინც გამოკეთდეს... ისე, ქალბატონო, წელს წიწიბურა თუ გითესიათ? ამბობენ, მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანსო.

ზაფხულში ყირიმიდან ბატონების ჩამოსვლას ელოდნენ, მაგრამ არკადი პეტრეს ძის „დაზღვეული“ წერილი მიიღეს, კვლავ ფულს ითხოვდა და იტყობინებოდა, შემოდგომამდე ვერ დავბრუნდებით, პეტრე პეტრეს ძე მსუბუქად არის დაჭრილი, მაგრამ მაინც ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროებაო... მაშინვე კაცი აფრინეს ჩერკიზოვოში მკითხავ დანილოვნასთან, უნდოდათ, გაეგოთ, კეთილად დამთავრდებოდა თუ არა ბატონიშვილის მკურნალობაო. დანილოვნამ თითები გაატკაცუნა და ერთი შეიკუნტრუშა, რაც რასაკვირველია, ნიშნავდა, ყველაფერი კეთილად დაგვირგვინდებაო... ქალბატონიც, რაღა თქმა უნდა, მაშინვე დამშვიდდა... ბატონის ქალსა და ნატალიას სხვისი ჯავრი არა ჰქონდათ, ტონიამ ერთხანს თითქოს მოიხედა, მაგრამ ნაპეტრე-პავლობევს ძველებურად შემოუტია ნაღველმა, მეხის, ხანძრისა და კიდევ რაღაცის იდუმალმა შიშმა, რასაც არავის უმხელდა. ასე რომ, ძმები სულ არ ედარდებოდა თავად სადარდებელს. არც ნატალიას სცხელოდა ბატონიშვილებზე ფიქრისათვის, მაგრამ ყოველი ლოცვისას პეტრე პეტრეს ძის ჯანმრთელობას მაინც შესთხოვდა ღმერთს. ბოლომდე გაჰყვა ეს ჩვევა, მთელი სიცოცხლე, კუბოს ფიცრამდე ამ კაცის სახელს ავედრებდა უფალს და მაინც ახლა ბატონის ასული მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო, მისგან გადაედო ნატალიას შიში,

უბედურების მოლოდინის განცდა და ისიც კი, რასაც გულში საიდუმლოდ იმარხავდა.

თაკარა ზაფხული იდგა, მტვრიანი, ქარიანი და ჰეჭა-ქუხილიანი, ხალხში ბნელი, შემაშფოთებელი ხმა დაირხა — ახალი ომი იწყებაო, ბუნტი და ხანძარია მოსალოდნელიო. ერთნი ამბობდნენ, საცაა, კაცებს შინ გაუშვებენო, მეორენი გაიძახოდნენ, პირიქით, შემოდგომიდან ქუდზე კაცს უხმობენო საომრად... სუხოდოლში მაწანწალები, ბერ-მონაზვნები, შეშლილ-შერყეულები მომრავლდნენ. ტონია მათ პურსა და კვერცხს უწყალობებდა. ქალბატონი უჯავრდებოდა ამ გულუხვობისათვის, მაგრამ ტონია არ ეპუებოდა და ლამის საჩხუბრად მიიწევდა მისკენ, ერთხელ დრონია „ეწვიათ“, მწითური, ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი ლოთბაზარა, მაგრამ რაც მართალი მართალია, საუკეთესო დამკვრელი. ისე ჩაფიქრებული მოაბიჯებდა პირდაპირ სახლისაკენ, რომ თავით კედელს დაეჯახა, მაგრამ მაინც მხიარულად ისკუპა უკან.

— ვაი, ჩემო ჩიტუნიებო! — დრონიამ ხმას დაუწვრილა, შეხტა, დაიმანჭა, და მარჯვენა ხელით ვითომ მზე მოიჩრდილა, — გაფრინდნენ ჩემი ჩიტუნიები, მაღლა ცაში გაფრინდნენ!

სხვა დედაკაცებივით ნატალიასაც ღვთის გლახად მიაჩნდა დრონია და უაზროდ, სიბრალულით უცქეროდა მას, მაგრამ ტონია უნდა გენახათ! ფანჯარას მივარდებოდა და აცრემლებული უყვიროდა მაწანწალას:

— წმინდაო, წმინდაო დრონია! შემავედრე უფალს მე ცოდვილი! ილოცე ჩემთვის! — ამ ყვირილზე ნატალიას საშინელი წინათგრძნობისაგან თვალები უშტერდებოდა...

კლიჩინოელი ტიმოშა კლიჩინსკი სუხოდოლის ხშირი სტუმარი იყო. პატარა, ქალივით ჩამრგვალებულ, მკერდდიდ, გამოთაყვანებულსა და სიმსუქნისაგან ხვნეშამორეულ, ყვითელთმიან კაცს ელამი ბავშვის სახე ჰქონდა, თეთრი ყალამქრის პერანგსა და მოკლე შარვალს იცვამდა. სწრაფად, მსუბუქად, მოკლე ნაბიჯებით დადიოდა, ჭიშკარს რომ მოუახლოვდებოდა, წვრილ თვალებს ისე აცეცებდა, იფიქრებდით, ეს ესაა წყლიდან ამომხტარა ან გარდაუვალი დაღუპვისაგან გადარჩენილაო.

— უბედურებაა! — ლუღლუღებდა და სულს ძლივს ითქვამდა, — უბედურებაა, უბედურებაა...

დაამშვიდებდნენ, დააპურებდნენ და რაღაცა ახალს ელოდნენ მისგან. მაგრამ იგი დუმდა, ქმინავდა და პირს ხარბად აწკლაპუნებდა, მერე ზურგზე ჩანთას მოიგდებდა და გაოგნებული ეძებდა თავის გრძელ საბიჯგ ჯოხს.

— ტიმოშკავ, კიდევ როდისღა შემოგვივლი?! — შეჰყვირებდა ბატონის ასული. ტიმოშკაც უსაშველოდ მაღალი კრინით უპასუხებდა, ოღონდ ტონიას მამის სახელი რატომღაც მუდამ ეშლებოდა:

— ღმერთმა უწყის, ლუკიანეს ასულო!

ბატონის ასული საბრალოდ მიჰკიოდა მიმავალს:

— ო, ანგელოზო, შემავედრე უფალს მე ცოდვილი, მარიამ მეგვიპტელი!

თითქმის ყოველდღე მოდიოდა ახალ-ახალი უბედურების მაუწყებელი ამბები — ეს მეხიო, ეს ხანძრებიო, — და სულ უფრო იზრდებოდა სუხოდოლში ცეცხლისადმი უძველესი შიში. საკმარისი იყო შეთვალებული პურის ყანების მოყვითალო-ქვიშისფერი ზღვა ეზოს გადაღმიდან წამოსულ ღრუბლებს მოექურუხებინა ან საძოვრებზე გრიგალს წამოეყო თავი და შორს მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ დაეგრგვინა მეხს, რომ დედაკაცები კართან მაშინვე ფაცხაფუცხით გამოალაგებდნენ ხატებსა და რძიან ქოთნებს, რაიც მოგეხსენებათ, ყველაზე სწრაფად იმორჩილებს ცეცხლსაც და მეხსაც. ბატონის მამულშიც ჭინჭრებში ყრიდნენ მაკრატლებს, საიდანღაც შეთქმულ პირსახოცსაც ამოქექავდნენ, ფანჯრებზე ფარდებს ჩამოაფარებდნენ და აცახცახებული ხელებით სანთლებს მოუკიდებდნენ.

კაცი ვერ გაიგებდა, ქალბატონს მართლა გადაედო სოფლელების შიში, თუ თვალთმაქცობდა, მეშინიაო. აქამდე სულ იმას ამტკიცებდა, მეხი ბუნებრივი მოვლენააო, ახლა კი სხვებივით პირჯვარს იწერდა და თვალებს ხშირ-ხშირად ხუჭავდა, გაელვებისას შეჰკივლებდა ხოლმე და საკუთარი თუ იქ მყოფთა შიში კიდევ მეტად რომ გაეზვიადებინა, ერთ ამბავს მოჰყვა: 1771 წელს ტიროლს თავს დაატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი და ერთ წამში ას თერთმეტი კაცი შეიწირაო. ქალბატონთან მყოფნი ერთმანეთს არ აცლიდნენ, თავადაც მოეყოლათ საშინელი ამბები. ერთმა ბებერი წნორის ამბავი გაიხსენა, დიდი ზეის პირას მეხმა რომ დაბუგა, მეორემ — ერთი ჩერკიზოვოელი დედაკაციც მოიგონა, მეხმა მოკლაო... ერთი სიტყვით, მათ მითქმა-მოთქმას ბოლოს ვიღაც იუშკაც, „ცოდვილი ბერი“, — როგორც თვითონ უწოდებდა საკუთარ თავს, — აყვა.

IX

იუშკა გლეხი გახლდათ, მაგრამ მუშაობით თავი არასდროს მოუკლავს, ცხოვრობდა ღვთისწყალობით, — ლუკმა პურს თავისი უსაქმურობისა და „დანაშაულის“ ამბების მოყოლით შოულობდა, „მე, ძმობილო, გლეხი კი ვარ, მაგრამ ჭკუა მაქვს, კუზიანსაც ეგავარ და ჩემი მუშაობა როგორ იქნება“, — იტყოდა ხოლმე.

იუშკას მართლაც კუზიანი კაცის გამოხედვა ჰქონდა, გესლიანი და ჭკვიანური. უწვერულვაშო იყო, გულმკერდის რაქიტი ჭირდა და ამის გამო მხრებაწურული დადიოდა, ფრჩხილებს იკვნეტდა, წვრილი და მაგარი თითებით წამდაუწუმ ისწორებდა გრძელ, მოწითალო-ბრინჯაოსფერ თმას. იუშკას ხვნა-თესვა აღრევე უგვანო და მოსაწყენ საქმედ მიუჩნევია, ამდგარა ერთ მშვენიერ დღეს და კიევის ლავრისაკენ გასდგომია გზას, „იქ გაზრდილა“, მაგრამ რაღაც „დანაშაულისათვის“ გამოუპანღურებიათ, მაშინვე მოუსაზრებია: ყარიბად რომ თავი გავასაღო, აღარ დამიჯერებენ, ხელსაც არ მაძლევს, შემოსავალი არა მექნება რა, ამიტომ სჯობს სხვა რამ ავირჩიოო; ანაფორის გაუხდელად დაადგა გზას და მოჰყვა და რა მოჰყვა ტრაბახს თავის უსაქმურობასა და ავხორცობაზე, ხელი მიჰყო თამბაქოს წევასა და უზომო სმას — დათრობით არასდროს თვრებოდა, ერთთავად ქირდავდა წმინდა ლავრს, მოურიდებლად ყვებოდა, რა საქმისათვის გამოაპანღურეს იქიდან, ყვებოდა და უხამსად იგრიხებოდა მთელი სხეულით.

— მოგეგხსენებათ, — უამბობდა იგი გლეხებს და თვალს აპაჭუნებდა, — ყოველივე ამისათვის ცოდვილ ღვთის მონას უეჭველი ჩამომახრჩობდნენ, მაგრამ ვერ მიართვეს, დავკარი ფეხი და შინისაკენ მოვცოცხე — რუსეთს მივაშურე, ჩვენში არ დავიკარგები-მეთქი...

არც დაკარგულა: რუსეთი ამ გარყვნილ ცოდვილს ნაკლებ ხელგაშლილი

როდი შეხვდა, ვიდრე წმინდა ადგილებისაკენ სულის საოხად მიმავალთ ხვდებოდა — აჭამა, ასვა, ღამის გასათევი მისცა, თან აღტაცებით უსმენდა მის ტყუილსა და მართალს...

— მაშ, სამუდამოდ აიღე მუშაობაზე ხელი, ხომ? — ეკითხებოდნენ ზოგჯერ გლეხები და გესლიანი პასუხის მოლოდინში თვალანთებული და პირდაბჩენილი შესცქეროდნენ მას.

— ახლა ეშმაკიც ვეღარ მამუშავებს! — პასუხობდა იუშკა, — ნასათუთები კაცი ვარ, ძმებო, ნასათუთები! ისე... იმ საქმეში ვაცივითა ვარ, თუმცა ეს გოგოები და დედაკაცები რომ მაჩუქო, არ მინდა! ეშინიათ ჩემი, მიფრთხიან წყეულები, მაგრამ სიყვარულით ყველას ვუყვარვარ. მაშ, რა გეგონათ! პირისახითა და წვერ-ულვაშით ვერ დავიკვეხნი, თორემ იმ საქმეში გაგიხარიათ, მაგარი ვარ, ჰო... ჰო... ჰო.

სუხოდოლში გამოჩენისთანავე იუშკამ პირდაპირ საბატონო სახლის წინკარს მიაშურა... იქ, სკამზე ნატაშკა იჯდა და წყნარად ღიღინებდა: „ერთხელ პაწიობისას, სამოახლოს ვგვიდიო, და ვიპოვე უეცრად შაქრის ერთი კვნიტიო“... იუშკას დანახვაზე შეშინებული წამოხტა:

— ვინა ხააარ?

— ადამიანი! — იუშკამ თავით ფეხამდე შეათვალიერა დამხვდური, — ქალბატონს მოახსენე, რომ...

— ვინ არის? — გამოსძახა დარბაზიდან ქალბატონმაც. იუშკამ იმ წუთშივე დაამშვიდა იგი: ერთი საწყალი ბერყოფილი ვარ, გამოპარული ჯარისკაცი არ გეგონოთ, სამშობლოში ვბრუნდები, თუ გნებავთ, გამჩხრიკეთ და მერე გამათევინეთ ღამე...

ამ გულახდილობით ქალბატონი ისე მოხიბლა, რომ იუშკა მეორე დღესვე სამოახლოში გადაბარგეს და სულ მალე შინაური კაცი გახდა. ქუხდა თუ წვიმდა, იგი დაუღალავად უამბობდა ქალებს თავის ფათერაკებს. ამშვიდებდა, სამერცხლულები დაჰკეტეთ და მეხი სახურავს ასცდებაო. საშინელ ჭექა-ქუხილში ზღურბლთან დადგებოდა, აქაოდა, ელჭექი საშიში სულაც არააო, ხანდახან მოახლეებს სამოვრის გაწყობაშიც ეხმარებოდა. გოგოები იუშკას უბღვერდნენ, რადგან ყოველ წუთს გრძნობდნენ მის ავხორცულ, მოურიდებელ მზერას, თუმცა მის ოხუნჯობაზე მაინც გულიანად კისკისებდნენ. ნატალია კი, — რომელიც იუშკამ რამდენჯერმე დაიმარტოხელა ჩაბნელებულ დერეფანში და სხაპასხუპით ჩასჩურჩულა, შემიყვარდი, გოგო, შემიყვარდიო, — თვალებში შეხედვას ვერ უბედავდა წეკოს სუნად ამყრალებულ ამ საშინელ კაცს.

საწყალმა გოგომ იცოდა, რაც მოხდებოდა. მას ხომ მარტოკა ეძინა წინკარში, ბატონის ასულის საძინებელი ოთახის კართან, თანაც იუშკამ გადაჭრით უთხრა: „თუნდაც მომკლა, მაინც მოვალ, მოვალ და იცოდე, თუ იყვირებ, აქაურობას დედაბუდიანად გადავწვავ!“ მაგრამ ნატაშკას ყველაზე მეტად უკლავდა გულს საშინელი შეგრძნება: მოსახდენი მალე მოხდება, სადაცაა აღსრულდება ის საშინელება, ვაცი რომ ვნახეო სიზმარში; ალბათ, დედის მუცლიდანვე დამებედა ბატონის ასულთან ერთად დავიღუპოო... სახლში უკვე ყველას სჯეროდა, ღამღამობით ნამდვილად ეშმაკი შემოდის და დაბორიალებსო. ახლა ყველამ იცოდა, ჭექა-ქუხილისა და ხანძრის შიშის გარდა, რა აკვნესებდა ბატონის ასულს ხან ტკბილად და ხანაც ველურად, აღარც ის უკვირდა ვინმეს, ბატონის ქალი მერე რომ წამოხტებოდა და ისეთ შემზარავ კივილს

ატეხდა, უძლიერესი მეხთა ჭექაც არარად მოეჩვენებოდა კაცს. „გველი სამოთხისაი, იერუსალიმისაი, მახრჩობს მე, მახრჩობს!“ — წიოდა ტონია... კი მაგრამ, ვინ არის ის გველი, თუ არ ალქაჯი? ან ის რუხი ვაცი, ღამღამობით ქალებთან და ქალიშვილებთან რომ დასუნსულებს? არა არის რა იმაზე საშინელი და შემაძრწუნებელი, ბნელში რომ გამოჩნდება მოულოდნელად, ბნელში და თანაც ავდრიან, ქუხილით დაყრუებულ ღამეში, როცა ელვა წამდაუწუმ დაძრწის ჩაშავებულ ხატებზე!

არაადამიანური ეთქმოდა იუშკას ავხორცულ ქინსა და სურვილს ნატაშასადმი. საბრალო გოგომ იცოდა, წინააღმდეგობის გაწევა ამაო იქნებოდა; ღამით, დერეფანში იატაკზე დაფენილ ჩულოზე იჯდა და ფიქრებს მისცემოდა, გულისფანცქალით ჩაშტერებოდა სიბნელეს, კრთებოდა ყოველ გაფაჩუნებაზეც კი, უკვე გრძნობდა საშინელი სენის პირველ შემოტევას, რაც შემდეგშიც დიდხანს სტანჯავდა: ჯოჯოხეთური ქავილი აუვარდებოდა ხოლმე ფეხისგულებში, მწვავე, მჩხვლეტავი ტკივილი დაუვლიდა ფეხებში, თითებს მოუკრუნჩხავდა, მერე მთელ ტანში ისე ტკბილ-მწარედ დაურბენდა, და ყელშიც სწვდებოდა, რომ ტკივილებისაგან განაწამებ ნატალიას ლამის ბატონის ასულზე მეტად ეყვირა, გამწარებითა და ვნებით, მაგრამ თავს იკავებდა. მოსახდენი მოხდა — იუშკამ მოაკითხა მიწურული ზაფხულის ერთ საშინელ ღამეს — წმინდა ილია მოწყალის, ძველი მეხთამტყორცნელის დღესასწაულის წინა ღამეს. ჭექა-ქუხილი არ დახრიგინობდა ცაში, მაგრამ ნატაშკას თვალს ძილი მაინც არ ეკარებოდა. ერთი პირობა ჩათვლიმა, მაგრამ იმწამსვე, თითქოს ვიღაცამ შეანჯღრიაო, თვალი გაახილა. შუაღამე კარგა გადასული იყო. გული ძალუმად აუძგერდა, წამოხტა, დერეფანს თვალი მიმოაელო, გარეთაც გაიხედა: იდუმალებით მოსილი ცა ოქროსფრად ენთო, იფეთქებდა ელვა, გაიკლაკნებოდა და თვალის მომჭრელად აკაშკაშებდა, დღესავით ანათებდა წინკარს. ნატაშა გაიქცა, მერე უცებ შეჩერდა, გაქვავდა: მოჭრილი ვერხვები რა ხანია ფანჯარასთან ყრია ეზოში და ახლა ელვის შუქზე დამაბრმავებლად ქათქათებდნენ. მერე დარბაზშიც შევიდა ნატალია, ერთი სარკმელი ღია დარჩენოდათ და ბაღიდან ხეთა წყნარი შრიალი მოისმოდა. ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდა კაცი, მაგრამ წამიდან წამზე ელვის შუქი იქაურობას სინათლეს ჰფენდა.

— შორეულ ზღვაში, ოკეანეში ჩაკარგულ კუნძულ ბუიანეზე... — წაიჩურჩულა ნატალიამ და უკან გამობრუნდა. იგრძნო, გრძნეულისეული შელოცვით მთლად ვიღუპავო თავს, ის იყო შემოტრიალდა და... მხრებაწურული იუშკაც დაინახა, ორიოდე ნაბიჯზე იდგა. ელვის შუქზე წამით გამოჩნდა მისი გაფითრებული სახე, ჩაშავებული გუგები... უხმაუროდ მიეჭრა ნატალიას, სწრაფად მოჰხვია ხელი წელზე და თვალისდახამხამებაში ჯერ მუხლზე დააჩოქა, მერე წინკარის ცივ იატაკზე გულაღმა დასცა...

იუშკამ მეორე ღამესაც მიაკითხა ნატალიას და მერეც დიდხანს მიდიოდა მასთან. საშინელებისა და ზიზღისაგან გონდაკარგული ნატალია მორჩილად ნებდებოდა: შეშინებულს წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია, ვერც ბატონებს მოუხმობდა საშველად და ვერც მსახურებს... მარტო ნატალია კი არა, ბატონის ასულიც ვერ ეურჩებოდა ეშმაკს ღამღამობით, მასთან რომ ნეტარებდა... თვით დიდედაც კი — პატივმოყვარე მზეთუნახავი — წინააღმდეგობას ვერ უწევდა შინაყმა ტკაჩს, საძაგელ არამზადასა და ქურდს, რომელიც

ბოლოს გაუციმბირებიათ კიდეც... გამოხდა ხანი და იუშკას მოყირჭდა ნატაშკა, სუხოდოლში გდებაც მობეზრდა და ერთ დღეს ისევე გაჰქრა, როგორც მოევლინა.

თვის თავზე ნატალიამ იგრძნო ორსულად იყო. სექტემბერში კი ახალგაზრდა ბატონების ომიდან დაბრუნების მეორე დღესვე, სახლს ცეცხლი გაუჩნდა და დიდხანს იწვოდა. ახდა ნატალიას მეორე სიზმარიც: სახლს ცეცხლი სწორედ მწუხრის ჟამს მოედო — თავსხმა წვიმაში მეხი დაეცა. სოლოშკა იფიცებოდა, დავინახე ოქროსფერი მორგვი ღუმელიდან გამოგორდა, ხტუნვა-ხტუნვით პაპას საძინებელ ოთახში შეგორდა და მერე ყველა ოთახი დაირბინაო...

ნატალიამ კვამლი და ცეცხლი რომ დაინახა, აბანოში იყო — იგი ახლა ჩვეულებრივ მთელ დღეებსა და ღამეებს იქ ტირილში ათენ-აღამებდა, — დაინახა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა სახლისაკენ მოჰკურცხლა. მერე ჰყვებოდა, ბაღში წითელკაბაჩიანს გადავეყარეო ვიღაცას, სირმიანი წოწოლა კაზაკური ფაფახი ეხურაო. ისიც თავქუდმოშვლეპილი გარბოდაო გალუმპულ ბუჩქებსა და ოროვანდებში... არ ვიცი, ეს ყველაფერი მართლა მოხდა თუ ნატალიას მოელანდა, — თავადაც ვერ ამბობდა გადაწყვეტილს, — ოღონდ ის კი უეჭველი გახლავთ, რომ შიშმა თავზარი დასცა ორსულ ნატალიას და მომავალი დედობისაგან გაათავისუფლა...

იმ შემოდგომის მერე ნატალია თანდათან ჩამოხმა, მისი სიცოცხლე საქმიან კალაპოტში ჩადგა და ასე გაგრძელდა სიკვდილამდე. ტონია მამიდა ერთი გზობა ვორონეჟში მიჰგვარეს წმინდანაწილიან ხატს. იმ დღიდან ეშმაკმა ფეხი მოიკვეთა მისი ოთახიდან და ავადმყოფიც დამშვიდდა. სულიერი და გონებრივი მოშლილობა ახლა მხოლოდ თვალების უაზრო კუსვა-კუსვასა და უკიდურეს სიბინძურეში გამოაჩნდა. ავდარიც აღიზიანებდა, ანაღვლიანებდა, ოღონდ წინანდებურად აღარ შმაგობდა... სალოცავში ბატონის ასულს ნატალიაც ახლდა და მანაც სულის სიმშვიდე ჰპოვა: შეუმსუბუქდა ჩადენილი ცოდვის სიმძიმე, რისგანაც თავის დახსნა შეუძლებელი ეჩვენებოდა; როგორ ეშინოდა პეტრე პეტრეს ძესთან შეხვედრისა. ვითომ თავს იმხნევებდა, მაგრამ მაინც ღელავდა მოსალოდნელი შეხვედრის გაფიქრებაზეც კი. იუშკას ამბავი, საკუთარი სირცხვილი, გაბახება და უბედურება სადღა დამალოს? ამ თავდატეხილმა უბედურებამ უჩვეულო, ღრმა ტანჯვამ, — ყოველივე ამას საშინელი ხანძარიც დაერთო, — წმინდანაწილიან ხატის წინაშე მონანიებამ, ნატალიას შეაგნებინა, უბრალოდ და მშვიდად ეცქირა გარშემომყოფთათვის, თუ გნებავთ, პეტრე პეტრეს ძისთვისაც კი: ნატალიასა და ბატონის ასულს ღმერთმა შეახო თავისი ყოვლისშემძლე ხელი და ადამიანებისა რაღად უნდა შეშინებოდა? მონაზონივით მორჩილი და უბრალო მხევალი, ცოდვათაგან განწმენდილი და განსპეტაკებული შევიდა სუხოდოლურ სახლში ვორონეჟიდან დაბრუნების შემდეგ და გაბედულად მიეახლა პეტრე პეტრეს ძეს; მხოლოდ წამით აუტოკდა გული, როცა ბატონის ფირუზისბეჭდიან პატარა ხელს შეეხო ტუჩებით...

სუხოდოლში ცხოვრება გაუფერულდა, ხმა დაირხა, ყმებს ათავისუფლებენო. შინაყმანი და მთელი სოფელი გაკვირვებული იყო, უარესი დღე ხომ არ მოგველის, ახალი ცხოვრების დაწყება ვაითუ გაგვიჭირდესო... ახალ

ყაიდაზე უნდა ეცხოვრათ ბატონებსაც, მათ კი, მოგეხსენებათ, ძველებურად ცხოვრების შნოც არა ჰქონდათ. პაპის სიკვდილმა, ომმა, კომეტამ, რამაც ქვეყანა შესძრა, — ხანძარმა, ახლა კი ყმათა გათავისუფლების ჭორებმა მსწრაფლ შესცვალა ბატონების სახეც და სულიც, გაუქრო მათ წინანდელი სიჩაუქე და დარდიმანდობა, სიფიცხე და ლმობიერება, სამაგიეროდ ღვარძლით, დარდით, ერთმანეთის შურითა და გაუტანლობით აღიესნენ. გახშირდა უთანხმოება და მამაჩემს თუ დავუჯერებთ, სწორედ ამის შემდეგ დაუწყიათ სუფრასთან შოლტმომარჯვებული ჯდომა. გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, — მათი საქმეც ასე იყო. სანამ ყირიმში იყვნენ, კარ-მიდამოს კაცის ხელი აკლდა, მერე ხანძარმა და ვალებმა ხომ სულ მოუთავეს ხელი და ძმებს ახლაღა მოაგონათ გაჭირვებამ, რომ გაპარტახებულ ნეურნეობას მოწესრიგება სჭირდებოდა, და ისინიც დაფაცურდნენ. მეურნეობის გაძღოლაში ძმები მხოლოდ ხელს უშლიდნენ ერთმანეთს. ერთი ნამეტნავად გულხარბი, მკაცრი და ეჭვიანი იყო, მეორე — უზომოდ გულუხვი, კეთილი და მინდობი... ბოლოს, როგორც იქნა, მორიგდნენ — გადაწყვიტეს სარფიანი საქმე წამოეწყოთ: დააგირავეს მამული, აღებული ფულით ბოშა ილია სამსონოვთან ერთად მთელი მაზრა შემოიარეს და სამასამდე გაძვალტყავებული ცხენი იყიდეს, აქაოდა, ზამთარში ცხენებს დავასუქებთ და გაზაფხულზე კარგ ფასში დავყიდითო. ცხენებმა ფუთობით ფქვილი და ბზე შეიწირეს, მაგრამ გაზაფხულზე რატომღაც ერთიმეორის მიყოლებით კი დაიხოცნენ...

ძმებს შორის უთანხმოება უფრო და უფრო ღრმავდებოდა, დანებსა და თოფებს უღერდნენ ერთმანეთს. ვინ უწყის, რით გათავდებოდა ეს ამბავი, სუხოდოლში ახალი უბედურება რომ არ დატრიალებულიყო: ერთხელ ზამთარში, ყირიმიდან დაბრუნების მეოთხე წელს პეტრე პეტრეს ძე ლუნევოში გაემგზავრა საყვარელთან. ორი დღე სმასა და განცხრომაში გაატარა და შეზარხოშებული უკან გამობრუნდა. დიდთოვლობა იყო. ნოფარდაგებულ მარხილში წყვილი ცხენი ება. ბატონიშვილმა ბოდულიას უბრძანა, კიდურბმული ფიცხი, ურა ულაყი გამოხსენიო. მსახური ასეც მოიქცა — ფაშარ თოვლში მუცლამდე ჩაფლული ცხენი გამოხსნა და მარხილს უკან გამოაბა. პეტრე პეტრეს ძე დასაძინებლად მოკალათდა, უკანგამობმული ცხენისაკენ თავმიქცეული. ევსეი ბოდულია ვასკა კაზაკის ნაცვლად დაჰყავდა ხოლმე პეტრე პეტრეს ძეს, ენდობოდა; მეეტლე ვასკასი ეშინოდა, ვაითუ ცემა-ტყეპისაგან გაბოროტებულმა ყმაწვილმა სიცოცხლე მომისწრაფოსო... „დაიძარი!“ — დაუყვირა პეტრე პეტრეს ძემ ბოდულიას და ერთი გვარიანი წიხლიც უთაევზა ზურგში. მარხილში შებმული, უკვე მთლად დასველებული, ოხშივარადენილი წაბლა ცხენი ელენთის გახეთქვამდე გაიბერა, გულსაკლავად შესჭიხვინა და მარხილი გაუკვალავ გზაზე გააქანა. ჯანღი ჩამოწვა; მიყრუებულ ველზე უარესად ჩამოქუროუხდა ზამთრის ღამე. შუაღამისას კი, როცა სუხოდოლს ღრმა ძილით ეძინა, წინკარის ფანჯარაზე ვიღაცამ დააკაკუნა. ნატალია წამოხტა და ფეხშიშველი გავარდა ზღურბლზე. ცხენები, მარხილი და ბოდულია დაინახა ხელში მათრახით.

— უბედურება მოხდა, ქალო, უბედურება, — მძინარესავით ყრუდ, უცნაურად ამოღერღა მოხუცმა, — ბატონი ცხენმა დაამარცხა... მარხილს მოაწყდა ოხერი, თავი ველარ შეიკავა და ფლოქვებით თავ-პირი ჩაუმტვრია... უკვე კვდება... მე არ მომიკლავს, ქრისტეღმერთია მოწამე, მე არ...

ნატალიას ხმა არ გაუღია, ფეხშიშველმა შეტოპა თოვლში, მუხლებზე დაეკაკა გაციებულ, გასისხლიანებულ თავს დაეკონა და კოცნა დაუწყო. მერე მთელი სოფლის გასაგონად გაჰკიოდა ველურად და სიამით, ტირილ-ხარხარით...

X

ქალაქის ორომტრიალით დაღლილნი სუხოდოლის წყნარ და მიყრუებულ კარ-მიდამოს რომ მივაშურებდით, ნატალია ისევ და ისევ გვიამბობდა თავისი გატანჯული ცხოვრების ამბავს, ხანდახან თვალები ჩაუმუქდებოდა, გაუშტერდებოდა და ხმაშიც სიმკაცრე ემატებოდა, წყნარად ჩურჩულებდა. მაშინვე თვალწინ წარმომიდგებოდა ჩვენი ძველი სახლის საჯალაბო ოთახის კუთხეში დაკიდული დიდი ხატი: თავმოკვეთილი წმინდანი მიდის თანამოძმეებთან. ხელში უჭირავს საკუთარი თავი — დასტური მომხდარი საზარელი ამბისა...

თანდათან ქრებოდა სიძველის ის მცირეოდენი ნარჩენებიც კი, რასაც სუხოდოლში ვხედავდით ოდესღაც. მამა-პაპას არც სურათები, წერილები და ერთი ნივთი რა არის, უბრალო ნივთიც კი არ დაუტოვებია ჩვენთვის; რაც დატოვეს, ისიც ხანძარმა შთანთქა. წინკარში დიდხანს იდგა პაპისეული სკივრი. თითქმის ასი წლის წინათ გადაკრული უხეში ტყავი გადაფხეკოდა და გაქუცოდა. კარელიური არყისხის უჯრები სავსე იყო შეტრუსულ-მიმწვარი ფრანგული ლექსიკონებითა და თაფლის სანთლის ნაწვეთებით სულ ერთიანად აჭრელებული საეკლესიო წიგნებით. ეს სკივრიც სადღაც გაჰქრა, დაიკარგა...

სასტუმრო ოთახსა და დარბაზში უზარმაზარი ავეჯიდან ზოგი რამ გადარჩა. ბევრიც მოიპარეს... სახლიც თანდათან იბრიცებოდა, ის წლები, რამაც ამ სახლს გადაუარა აქ მოყოლილი უკანასკნელი მოვლენებიდან, ნელი სიკვდილის წლები იყო... უფრო და უფრო ლეგენდარული ხდებოდა მისი წარსული...

სუხოდოლელნი ყრუ, ბნელით მოცულ გარემოში იზრდებოდნენ, მაგრამ ამ ყოფასაც ჰქონდა თავისი სირთულე — უკეთესი ცხოვრების სურვილი. ამნაირი ჩამორჩენილი ყოფისა და მისდამი სუხოდოლელთა ერთგულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — ასე უნდა გაგრძელებულიყო ბოლომდე, მაგრამ ნამეტნავად დამყოლნი და სუსტნი იყვნენ სტეპის მომთაბარეთა შთამომავალნი და როგორც სახნისის ქვეშ ერთმანეთის მიყოლებით ინგრევა ზაზუნების სოროები, ასე უკვალოდ და სწრაფად ქრებოდნენ ჩვენს თვალწინ სუხოდოლური ბუდეები, იღუპებოდნენ მათი ბინადარნი, ზოგიც წავიდ-წამოვიდა, ხოლო ისინი, ვინც რაღაც მანქანებით გადარჩენილიყვნენ, სულს ღაფავდნენ და ისე მიათრევდნენ თავიანთი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს. სუხოდოლში ჩვენ დაგვხვდა უკვე არა ცხოვრება, არამედ მასზე მოგონებები და თითქმის ველური უბრალოება. დრო გადიოდა, იშვიათად მოვინახულებდით ხოლმე სტეპებს, უფრო და უფრო ვშორდებოდით მას, თანდათან სუსტდებოდა კავშირი იმ ყოფასა და წოდებასთან, საიდანაც ვართ წარმოშობილი. ჩვენი ბევრი თვისტომი ჩვენსავით დიდგვაროვანი და ძველი წარმოშობისა არიან. ჩვენს გვარს მატიანეები იხსენიებენ. ჩვენი წინაპრები მხედართმთავრებიც ყოფილან და „სახელგანთქმული ვაჟკაცებიც", მეფეთა უახლოესი თანამდგომნი და ნა-

თესავებიც კი. ოღონდ ისინი რომ რაინდები ყოფილიყვნენ და ჩვენც ოდნავ დასავლეთში დავბადებულიყავით, ძალიან დიდხანს გავუძლებდით ჟამთა სრბოლას, — ვამტკიცებდით ჩვენ, — რაინდთა შთამომავალი ვერ იტყოდა, რაღაც ნახევარ საუკუნეში მთელი გვარი აღიგავაო პირისაგან მიწისა, ბევრი ჭკუაზე შეიშალა, ბევრმა თავი მოიკლა, გალოთდა, გადაიკარგა ან დაგლახავდაო; რაინდის შთამომავალი ჩემსავით ვერ აღიარებდა მცირეოდენი ზუსტი ცნობებიც კი არ გაგვაჩნია ჩვენი შორეული წინაპრების ცხოვრებაზე და ამის გამო უფრო და უფრო ბინდით იფარება, ძნელი წარმოსადგენი ხდება სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინანდელი მოვლენებიო...

ის ადგილი, ლუნევოში, სადაც ჩვენი სახლ-კარი იყო, დიდი ხანია გადახნეს და დათესეს კიდეც, სხვა მრავალ სახლ-კარსა და ეზო-გარემოს მსგავსად. სუხოდოლს ჯერ კიდევ ედგა სული, მაგრამ უკანასკნელი არყისხეებიც რომ მოჩეხეს ბაღში, მთელი სახნავ-სათესი რომ ნაჭერ-ნაჭერ დანაწილდა, მაშინ მიატოვა იგი პატრონმა — პეტრე პეტრეს ძის შვილმა და რკინიგზაზე კონდუქტორად სამუშაოდ წავიდა. თავიანთი სიბერის დღეებს სიდუხჭირეში ატარებდნენ სუხოდოლის ძველი ბინადარნი: კლავდია მარკის ასული, მამიდა და ნატალია, გაზაფხულს ზაფხული მოსდევდა, ზაფხულს — შემოდგომა, შემოდგომას — ზამთარი... მათ უკვე არეოდათ ჟამთასვლის ანგარიში, მარტო მოგონებებითღა ცხოვრობდნენ, სიზმრებს უყვებოდნენ ერთმანეთს, დავობდნენ, კამათობდნენ და დღეებს ლუკმაპურზე ზრუნვაში ატარებდნენ...

ზაფხულობით ის ადგილები, სადაც წინათ ჩვენი ფართო, ვრცელი კარ-მიდამო იყო, გლეხთა ჭვავის ყანებით იფარებოდა. ყანებით გარშემორტყმული ეული სახლი, ჯაგნარი და ბაღის ნაშთი შორიდანაც კარგად მოჩანდა. იქაურობა ისე გაველურებულიყო, ახლა მწყერები ზედ აივანთან ქვითქვითებდნენ. ეჰ, ზაფხულს კიდევ რა უშავს, ზაფხული ჩვენთვის სამოთხეაო, ჩიფჩიფებდნენ დედაბრები, სუხოდოლში გაუთავებელი და მძიმე, წვიმიანი შემოდგომა და თოვლიან-ყინულიანი ზამთარი იცის. სიცივე და შიმშილი მეფობდა დასანგრევად განწირულ სახლში, ქარბუქი ნამქერით ავსებდა იქაურობას, სუსხიანი სტეპური ქარი აღმა-დაღმა დათარეშობდა. ცეცხლს კი იშვიათად ანთებდნენ... საღამოობით მოხუცი ქალბატონის ოთახის ფანჯრიდან თუნუქის მბჟუტავი ჭრაქის მკრთალი სინათლე გამოდიოდა. ქალბატონს ტანთ ჯუბაჩა ეცვა, ფეხზე — თექის ჩექმები, სათვალე მოერგო და ჭრაქზე დახრილი წინდასა ქსოვდა. იქვე, ცივ ტახტზე, ნატალია წამოწოლილიყო და თვლემდა. ბატონის ასული თავის ქოხში იჯდა, ყალიონს აბოლებდა და პირწავარდნილ ციმბირელ მისანსა ჰგავდა. თუ ტონია მამიდა რძალთან ნაჩხუბარი არ იყო, მაშინ კლავდია მარკის ასული ჭრაქს მაგიდაზე კი არა, ფანჯრის რაფაზე დგამდა. სახლის სილრმიდან გაყინულ ქოხში შელწეული შუქი სუსტად ანათებდა ოთახს, სადაც ძველისძველი ავეჯი და დამსხვრეული ჭურჭელი ერთმანეთში არეულიყო და გვერდზე გადაფარებული ფორტეპიანო იდგა. ისე ციოდა, ამ ნამსხვრევებსა და ნამტვრევებზე შებუდრულ ქათმებს ფეხებიც კი ეყინებოდათ — საწყალი ტონია მამიდა ბოლო დროს მთელ ძალ-ღონეს ქათმებზე ზრუნვას ახმარდა თურმე...

ამჟამად სუხოდოლური კარ-მიდამო მთლად დაცარიელებულა, ზემოთ მოხსენებული, ყველა უფალმა მიიბარა, ახლო-მახლო მეზობლებსა და მათ ტოლებსაც მიქელგაბრიელმა მოაკითხათ. ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, ცხოვრობდნენ კი ნამდვილად ამ ქვეყანაზე-მეთქი?

მხოლოდ სასაფლაოზე ვგრძნობ, რომ ცხოვრობდნენ, ის კი არადა, რაღაც საშინელ სიახლოვესაც ვგრძნობ მათთან, მაგრამ აქაც, სასაფლაოზეც, თავს ძალა უნდა დავატანო, ჩამოვჯდე მშობლიურის საფლავის ლოდზე, თუკი რასაკვირველია, ვიპოვი მას, — და ჩავფიქრდე. მრცხვენია ამის აღიარება, არადა, დაფარვაც შეუძლებელია: არც დიდედისა და არც პაპის, არც პეტრე პეტრეს ძის საფლავები არ ვიცით სად არის. გაგვიგონია, მხოლოდ, სოფელ ჩერკიზოვის ძველთაძველი ეკლესიის მახლობლად არიანო დასაფლავებული. ზამთარში იქ ვერ გააღწევ — წელამდე თოვლი და ნამქერი იცის... ზაფხულში ავდივარ ხოლმე. გავივლი სიცხით გათანგულ დაცარიელებულ — ჩაჩუმებული სოფლის შუკას, ეკლესიას მივადგები და გალავანზე ცხენს გამოვაბამ. გალავნის გასწვრივ მწვანე კედელივით აღმართულან და სიცხეში იხრუკებიან ნაძვები, ღიად დაგდებულ ჭიშკარს იქით, თეთრი, ჭვავისფერგუმბათიანი საყდრის მიღმა, მთელი წარაფია დაბალი, დატოტვილ-დაბუჩქული თელებისა და იფნებისა. დიდხანს დავეხეტები ბორცვებსა და ორმოებს შორის, ზოგი მათგანი წვრილ ბალახებს დაუფარავს, ზოგს ლოდები ადევს, ლოდები თითქმის ნახევრამდე მიწაში ჩაფლულან, წვიმისა და ქარ-ყინვისაგან დასვრეტილან, დაღარულან და ფაშარი ხავსიც მოჰკიდებიათ... აი, ორი-სამი რკინის ჯვარი. ვისია ნეტავ? — ვფიქრობ გუნებაში და ვაკვირდები: სიძველისაგან ისეთი მომწვანო-ოქროსფერი დასდებიათ, წარწერებს ეშმაკიც ველარ ამოიკითხავს.

ნეტა რომელ ბორცქვეშაა დიდედისა და პაპის ნეშტი? — ვეკითხები თავს, მაგრამ აბა, რა ვიცი, ალბათ მხოლოდ ღმერთმა უწყის, სხვამ აღარავინ, მწამს კი, რომ სადღაც აქვეა, სულ ახლოს... ვზივარ. ვფიქრობ და ვცდილობ წარმოვიდგინო ყველასაგან მივიწყებული ხრუშჩოვები. გარდასული დრო-ჟამი ხან უსასრულოდ შორეული, ხანაც ძალზე ახლობელი მეჩვენება და საკუთარ თავს ვეუბნები:

— არა, სულაც არ არის ძნელი წარმოიდგინო, რაც გარდასულა, ოღონდ ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ ეს მობრეცილი, მოოქრული ჯვარი წინაპართა დროსაც ასე იყო აშვერილი ზაფხულის ლურჯ ცაში... ასევე მწიფდებოდა მწიფობისას თვალუწვდენელ ხორშაკიან მინდვრებში ჭვავი... აქ, სასაფლაოზე, მაშინაც ჩრდილები, სიგრილე და ბუჩქები იყო. ბუჩქებში ასევე დახეტიალობდა და ძოვდა სწორედ ამისთანა ბებერი, თეთრი ჯაგლაგი ცხენი, იმასაც მომწვანო გაქუცული ფაფარი და დაჩეჩქვილი ვარდისფერი ფლოქვები ჰქონდა...

ვასილევსკოე, 1911 წ.

⊡

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი

რუსულიდან

თარგმნა კარლო არსენაშვილმა

●

ბალოსთან, ზვინზე წამოწოლილი დიდხანს ვკითხულობდი—და უცებ აღვშფოთდი. კვლავ ალიონიდან მოყოლებული ვკითხულობ, კვლავ წიგნი მიკავია ხელთ! ბავშვობიდან ასე ვარ ყოველდღე. სიცოცხლის ნახევარი გამოგონილ სამყაროში გავატარე, იმ ადამიანთა შორის, რომლებიც არ არსებულან ამქვეყნად. მათი ბედ-იღბალი, სიხარული თუ მწუხარება საკუთარივით მაღელვებდა. სამუდამოდ დავუკავშირე ჩემი თავი აბრაამსა და ისაკს, პელაზგებსა და ეტრუსკებს, სოკრატესა და იულიუს კეისარს, ჰამლეტსა და დანტეს, გრეტჰენსა და ჩაცკის, სობაკევიჩსა და ოფელიას, პეჩორინსა და ნატაშა როსტოვას! ახლა კი როგორ გავერკვიო, რომელია ნამდვილი და რომელი გამოგონილი ჩემი მიწიერი არსებობის თანამგზავრთა შორის? როგორ გავაცალკევო ისინი, რანაირად ავწონ-დავწონო, ვინ როგორი და რა ძალის ზეგავლენა მოახდინა ჩემზე?

ვინემ მე ვკითხულობდი, სხვათა გამონაგონებით ვცხოვრობდი, მინდორი, კარ-მიდამო, სოფელი, გლეხები, ცხენები, ბუზები, კელები, ფრინველები, ღრუბლები, — ყველა თავისი ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობდა. ჰოდა, როცა ეს მოულოდნელად ვიგრძენი, გონს მოვედი, წიგნი ნამჯაზე დავაგდე და, გაკვირვებულმა და გახარებულმა, რაღაც სხვა თვალით მიმოვიხედე ირგვლივ; მკაფიოდ დავინახე, გავიგონე, ვიყნოსე ყველაფერი — რაც მთავარია, ვიგრძენ რაღაც არაჩვეულებრივი უბრალოება და ამავე დროს არაჩვეულებრივი სირთულე, ის ღრმა, გასაოცარი, ენით უთქმელი და გამოუხატავი რაღაც, რაიც არსებობს ცხოვრებაში, არსებობს თვით ჩემს სულში და რაზეც არასოდეს ისე არ წერენ წიგნებში, როგორც საჭიროა.

სანამ ვკითხულობდი, ბუნება იდუმლად შეცვლილიყო. თუ მანამდე მზიანი, ჩინებული ამინდი იდგა, ახლა ყველაფერს ჟამისფერი დაჰკრავდა, გარინდულიყო. ცაში თანდათან მოჯარებულა ღრუბლები. აქა-იქ — განსაკუთრებით სამხრეთით, ჯერ კიდევ ქათქათა, ლამაზი ქულები ჩანდა, ხოლო დასავლეთით,

სოფელს იქით, ტირიფებს მიღმა ცა საავდროდ, მოლურჯოდ და მოწყენით მოლრუბლულიყო, იგრძნობოდა შორეული მინდვრის წვიმის თბილი სურნელი. ბაღში ერთი მოლაღური გალობდა.

სასაფლაოდან გლეხკაცი ბრუნდებოდა გამომხმარ ბილიკზე, კალოსა და ბაღს შუა რომ გადიოდა და იისფერი ჩანდა. მხარზე თეთრი ბარი გაედო. ბარს ლურჯად მბზინავი შავი მიწა მიჰკვროდა. გაახალგაზრდავებულიყო, პირისახეზე ნათელი გადასდიოდა, გაოფლილი შუბლიდან ქუდი გადაეწია.

— ჟასმინის ბუჩქი დავურგე ჩემს გოგოს! — მხნედ ჩაილაპარაკა მან. — გამარჯობა თქვენი. სულ კითხულობთ, სულ წიგნებს იგონებთ?

ეს კაცი ბედნიერია. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ სულდგმულობს ამქვეყნად, მაშასადამე, რაღაც ყველაზე მიუწვდომელს ასრულებს სამყაროში.

ბაღში მოლაღური გალობდა, სხვა ყველაფერი მიყუჩებულიყო, მამლის ყივილიც არ ისმოდა. მარტო მოლაღური გალობდა — აუჩქარებლად რაკრაკებდა. რატომ, ვისთვის? თავისათვის თუ იმ ცხოვრებისთვის, რითაც ეს ასი წელია ცხოვრობს ბაღი და კარ-მიდამო? ან იქნება ეს კარ-მიდამო იმისთვის არსებობს, რომ მან იგალობოს?

„ჟასმინის ბუჩქი დავურგე ჩემს გოგოსო“. მაგრამ გოგო გაიგებს ამას? გლეხკაცს ჰგონია, გაიგებსო, და შეიძლება მართალიც იყოს. გლეხკაცს მწუხრის ჟამს გადაავიწყდება ის ბუჩქი, — მაშ, ვისთვისღა აყვავდება იგი? აყვავებით კი აყვავდება, შენც გეგონება, რომ ამაოდ კი არა, ვიღაცისთვის და რაღაცისთვის ჰყვავის.

„სულ კითხულობთ, სულ წიგნებს იგონებთო“. მაგრამ რატომ ვიგონებთ? რა საჭიროა გმირები? რა საჭიროა რომანი, მოთხრობა, კვანძის შეკვრა და გახსნა? იმიტომ რომ, სულ გეშინია, არავის ეგონო ნაკლებ წიგნიერი, ნაკლებ მიმგვანებული სახელგანთქმულთ და სახელმოხვეჭილთ! იმიტომაც ეწამები და იტანჯები ნიადაგ — მუდამ დუმხარ, არ ლაპარაკობ სწორედ იმაზე, რაც ჭეშმარიტად შენია და რაც ერთადერთი სინამდვილეა, რაიც კანონით ყველაზე მეტად მოითხოვს გამოთქმას, ესე იგი ხორცშესხმასა და კვალის დარჩენას თუნდაც სიტყვაში!

20 აგვისტო, 1924 წ.

ბორის ოლიინიკი

ლექსები

უკრაინულიდან

თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

* *

დღეს უკვე წლები აღარ მიგელავს
ფაფარაშლილი კვიცების რემად,
ვით აქლემები ცხელ უდაბნოში,
მიიზლაზნება დაღლილი წლები...
უფრო და უფრო ადვილად ამჩნევ,
როგორ ყალბდება ვიღაცის კდემა,
უფრო და უფრო ვერცხლის ჩხრიალით
მოუსყიდველი და მკაცრი ხდები.

უკვე ზოგადად ყამის კი არა,
გაწევს კისერზე წამების ღალა,
ფსიზელ ანალიზს გრძნობა მარწუხში
ჰყავს მომწყვდეული ძალისძალათი.
უფრო და უფრო ატყობ ვიღაცას
უზენაესი ოცნების ღალატს,
უფრო და უფრო, უფრო და უფრო
ჭირს მიტევება მსგავსი ღალატის.

უკვე პირველი აღფრთოვანებით
არ გიბრმავდება ორთავე თვალი,
გამოცდილ თვალებს არ უჭირთ უკვე
ის აარჩიონ, იყოს რაც ღირსი.

უფრო და უფრო მოიწევს შენსკენ,
        გიახლოვდება მარადი რკალი,
უფრო და უფრო უჩინარდება
        დაუბინდავი, შორი საწყისი.

უკვე ერთბაშად არ იხიბლები,
        როცა პირველი ენძელა ჰყვავის,
ძნელია ნახო ქალი, რომ იყოს
        შენი საქები და მოსაწონი.
უკვე არ გნუსხავს პირველი მზერა,
        არც უმიზეზოდ გიბრუის თავი,
უფრო და უფრო მატულობს შენში
        სურვილი განსჯის, აწონ-დაწონვის.

ფრთხილად იტოვებ განზე ორმოებს
        და ძველებურად არა ხარ ჩქარი.
ყოველ ხუმრობას და მოძრაობას
        ბრძნული სიძუნწის ბეჭედი აზის.
უფრო და უფრო ცოტაა საფრთხე,
        რომ გადაიდგას ნაბიჯი მცდარი,
რადგან მატულობს უფრო და უფრო
        ნებისმიერი შეცდომის ფასი.

□

მელოდია

შემეყრება სენი,
        ცრემლებს დავღვრი, ვიქვითინებ მწარედ,
ხოლო ხალხში ღიმილს
        გადავიფენ, არ დამცდება კვნესა.
შენს ზესლავურ სახეს
        დავუჩოქებ, მასზე მგლოვიარე.
ვარსკვლავები ბეჭედს
        დაუსვამენ მდუმარებას ჩემსას.

დაიბარდნა თეთრად,
        კიდით-კიდე დაიბარდნა მიწა.
ეუმზერ ფოთლის ფარფატს,
        ვით თოლიას მოტეხილი ფრთების.

სად ზაფხული ჩვენი
ბალახების მწვანე ყდაში იწვა,
დაიბარდნა თეთრად,
დაიბარდნა უხილავის ნებით.

სიზმარეულ ხმებად,
სიზმარეულ ხმებად მოდის ასე
მდინარეთა ჩქამი
თუ ცრემლები თუ ჩურჩული ნელი?
ჰორიზონტზე წვება,
ვით ელინურ მარმარილოს ქვაზე
სილუეტი მკრთალი
შროშანივით უნაზესი ხელის.

მე ხხვებისავის დავჭკნი,
მე ყვავილი გულში გადავმალე.
უცხო თვალთა გამო
შემოდგომის ნისლი მოვიფარე,
მაგრამ შენ თუ მოხვალ,
თუ ჩემს ტოტებს უწილადებ ალერსს,
მოგანათებ ისე,
როგორც ახლადგავსებული მთვარე.

შემეყრება სენი,
ცრემლებს დავღვრი, ვიქვითინებ მწარედ,
ხოლო სალხში ღიმილს
გადავიფენ, არ დამცდება კვნესა.
შენს ზესლავურ სახეს
დავუჩოქებ, მასზე მგლოვიარე,
ვარსკვლავები ბეჭედს
დაუსვამენ მდუმარებას ჩემსას.

□

* *

უკვე არბევენ ჩემს საყუდარს ცივი ქარები
და ლურჯი კვრინჩხი გრძნობს, მის ფოთლებს მალე აჰგვის დრო.
შენ სარ აპრილი, კვირტთა სკდომას ნაზიარები,
მე კი აგვისტო... ყრუ აგვისტო...
მუნჯი აგვისტო.

დამდგარა ჟამი, მწუხრისპირზე ვთიბო ქათიბი,
ბარემ თქვას მთვარემ, — ეგ შენი გზა გზაა დაგვის-თქო.
შენ, ჩემო ერთავ, სამაისოდ განემზადები,
მე სააგვისტოდ... სააგვისტოდ...
მე სააგვისტოდ.

თანა მდევს წყევლა: არ ამისდეს მე განზრახული,
შეადნეს ჩემი ლაღი ფრთები ცისკიდეს მღუარს,
და ჩვენს ორს შუა საუკუნოდ იდგეს ზაფხული,
ვით აპრილსა და... აპრილსა და აგვისტოს
შუა.

□

* *

ო, ეს წეროთა დაძახილი გულგამპობელი!
ფოთლები კვდება, ქვაფენილზე ცვივა გუნდებად.
წრეს პირველადქმნილს უბრუნდება ქვეყნად ყოველი,
ქვეყნად ყოველი პირველადქმნილ წრეს უბრუნდება.

ჩემო ჭაღარა მეგობარო! შენგან მოველი
საჩინო სიბრძნით გაამხნევო მიუსაფარი:
წრეს პირველადქმნილს უბრუნდება ქვეყნად ყოველი
და აჩრდილივით მიქანაობს შორი ზღაპარი.

აჰა, ტაიჭმა გადასერა მთა, მინდორ-ველი,
ბედი წყალობს და მუხლი მისი არ მოდუნდება.
წრეს პირველადქმნილს უბრუნდება ქვეყნად ყოველი,
მარტოდენ წლები სიჭაბუკის არ უბრუნდება.

რა მათრობელი ნაწნავები გეყარა მხრებზე,
რა სანუკვარი... მეშინოდა მათგან მონუსხვის.
დასანანია, რომ მათ ხილვას ვერასდროს შევძლებ,
რომ ის დღეები დღეს შორსაა, როგორც პოლუსი.

სიმყუდროვეა... სიმყუდროვე მნელსაპოვნელი,
ვიღაცა ცოდვას ინანიებს... ცრემლი ღვარად დის.
წრეს პირველადქმნილს უბრუნდება ქვეყნად ყოველი,
არ უბრუნდება ოდენ სიტყვა. რჩება მარადის.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

წრის ცენტრში დგომას მნათობს ვუმადლი,
შავმიწითა მაქვს პეშვები სავსე.
ნაძვთა გოთური ტაძრის გუმბათი
ლამის ნიაღვრად დამექცეს თავზე.

გადავიწვიმებ... სდევდეს წამი წამს...
მე აქ დავიცდი... არ წავალ არსად...
და როცა ვიგრძნობ, რომ დედამიწა
მიმიღებს ხეთა ფესვების მსგავსად,

რომ ვერ დამშლიან ციფრების წყებად
(მეც ჩემებურად ვხვდები ზოგ რამეს!),
რომ ჩემს სატკივარს, სურვილს და ნებას
უკვე ვერავინ დააპროგრამებს,—

ვიყვირებ:
უქმად ნუ იხარჯებით
და შორ პლანეტებს გამოეკიდეთ,
მე კი მიწაზე ძეწნად დავრჩები,
როგორც პირველი ბორბლის მემკვიდრე.

□

ნაძვის ხე

რუხი ყურცქვიტა,
აგრე ციცქნა...
აგრე ეული.
ბომბორა მგელი,
თეთრი ციყვი,
ცბიერი მელა...
საით წავიდნენ,
საით უძევთ
გზა შორეული,

მორჩა ზღაპარი,
არსით ჩქამი...
დავკარგე ყველა.

ჭალარა ტევრის,
ლურჯი ტევრის
თავზე ზუზუნით
დაძრწის ზამთარი,
ღმუის, ბორგავს,
იბრალებს არც ვის.
ციცქნა ყურცქვიტა
კუნძის ძირას
ზის მობუზული
და ტირის მწარედ,
მოუჭრია
ვიღაცას ნაძვი.

მე ის ბაზრიდან
მოვიტანე
წუსელ და ხელად
ოთახში დავდგი —
უნეტარეს
ხილვათა მცველი.
ფერხულს უვლიან
მის გარშემო
ცბიერი მელა,
მხდალი კურდღელი,
ნაზი ციყვი,
მელოტი მგელი.

რა მომდის ნეტავ,
რატომ ვეძებ
სიცილში შველას,
ნაცვლად იმისა,
რომ მდიოდეს
ცრემლები ცხელი?
მიტყაპუნებენ
ზურგზე ძმურად
ცბიერი მელა,
მხდალი კურდღელი,
ნაზი ციყვი,
მელოტი მგელი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ისინი სულაც
არ გაზრდილან
ზღაპრის მხარეში.
მათ არ ეშლებათ
ზომა-წონა,
მცირე და დიდი.
მე მათთან ერთად
ვაჩსაკუნებ
საანგარიშოს
და ხელგაშლილი
ძვირფას ზღაპარს...
გულგრილად ვყიდი.

რა მომდის, ნეტავ,
მეგობრებო,
რა მემართება?
ვერცხლისფერ მწუხრზე
თუ მიწამლებს
მე ნეკერჩხალი.
გაციებდა გული,
მეც არ მათბობს,
თვითაც არ თბება,
ბთვარეც, მთიებიც
ჩაინავლა,
ვით ნაკვერჩხალი.
გაქრა ზღაპარი...
შემრჩა დარდი
ფიჩხივით ხმელი...
ვინ მექაჩება
სახელოზე
ნელი ჩურჩულით.
— შეხედე... შეხე...
ეფარება
ნაძვის ხეს მგელი,
იქვეა მელაც
საჩუქრებით
შემოქუჩული.

— ეს შენ ხარ, შვილო?
გჯერა ზღაპრის?
რა გენაღვლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გწამდეს სიკეთის,
სისპეტაკის
არსება გრძელი.
მე არ გაგიმხელ,
რომ იქ ერთურთს
გლეჯენ ძაღლები,
გეგონოს მელა,
თეთრი ციყვი,
მელოტი მგელი.

წამიყვან, შვილო,
საუფლოში
გავშვობის ფერთა?
სად გარდასული,
სანუკვარი
ქანაობს ჩრდილი,
სად ბარდას ფქვავენ
დათუნები
მელასთან ერთად,
პირს იტკბარუნებს
თეთრი ციყვი
ოქროსფერ თხილით.

ეს ალბათ, სვალე...
დღეს კი, შვილო,
მიჯობს წავიდე
მაძღარ ოჯახში,
სად მელასთან
თამაშობს მგელი.
მე ჩემს ნაძვის ხეს
მოკრძალებით
მსარზე გავიდებ
და ბრძენ ნაძვნარში
დავაბრუნებ
საკუთარ ხელით.

იქნება დილაც,
მზის ამოსვლაც,
იქნება თოვლიც,

ცბიერი მელაც,
თეთრი ციყვიც,
ტკბილი ზღაპარიც.
რუხი ყურცქვიტა
მივარდება
ქვეყანამოვლილ
ნაძვის ხეს ჩემსას,
რათა სთხოვოს
თავშესაფარი.

შემინდეთ შვილო,
თეთრო ციყვო,
ცბიერო მელავ —
მსარი მექცა და...
სიბერისკენ
მივესეტები.
შეხეთ, მშობელ ტყეს
უბრუნდება
ნაძვები ნელა,
ჩვენც ვუბრუნდებით
მარადიულ
ზღაპარს დედების.

□

კავაბატა იასუნარი

მშვილდის უგე

მოთხრობა

თარგმნა ინგა კალაძემ

ჭაე სასტუმრო ოთახში შევიდა და მამას მოახსენა, ერთი ქალბატონი გკითხულობსო. ასე თქვა, მამათქვენი — კასუმი ამ ოცდაათი წლის წინ გავიცანიო პატარა ქალაქ იუმიურაში. კასუმიმ ოთახში მიიწვია ქალბატონი.

ისე დღე არ გავიდოდა, მწერალ კასუმის ვინმე არ სწვეოდა უცხო სტუმარი. ახლაც, დეკემბრის კვალობაზე უჩვეულოდ თბილ საღამოს, მასთან სამი სტუმარი მოსულიყო ერთად. ყველა თავის სატკივარზე სწვეოდა მწერალს, მაგრამ ამჟამად საერთო საუბრით იქცევდნენ თავს.

ახალმოსულმა კარი გააღო და დამხვდურთ მდაბლად მიესალმა, ოთახში შესვლა რატომღაც დააყოვნა, უცხოების დანახვამ თუ შეაკრთო.

— მობრძანდით, ქალბატონო, გთხოვთ, — შეეგება კასუმი.

— ოჰ, დიახ... დავიბენი... — ქალს ხმა აუთრთოლდა, — იმდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს... ჩემი გვარია ტაი, ხომ გახსოვთ?.. ახლა ქმრის გვარზე ვარ — მურანო.

კასუმიმ ყურადღებით შეათვალიერა სტუმარი. ქალი ორმოცდაათს იქნებოდა გადაცილებული, მაგრამ მაინც თავშენახულად გამოიყურებოდა, ფერმკრთალ სახეზე თვალები ახალგაზრდულად უელავდა, არც სიმსუქნე შეჰპარვოდა გარეგნობაში, როგორც მისი ასაკის ქალებს სჩვევიათ.

— თქვენ სულ არ შეცვლილხართ, კასუმი-სან, — ქალი აღტაცებული შესცქეროდა მასპინძელს. ის კი უაზროდ მისჩერებოდა სტუმარს და ცდილობდა გაეხსენებინა მოსულის ვინაობა. — სახის მოყვანილობა, გამოკვეთილი ნიკაპი, მხრები წინანდებური შეგრჩენიათ, წლები არ დაგტყობიათ.

კასუმი შეაცბუნა საკუთარი გარეგნობის ასე გამოწვლილვით აღწერამ. უხერხულობის გრძნობა კიდევ უფრო გაუძლიერდა მაშინ, როცა თავს გამოუტყდა, ნამდვილად არ მახსოვსო ეს ქალბატონი.

ქალი ტანდაბალი იყო, მოქნილი სხეული და თხელი, ცოცხალი სახე ჰქონდა. სადა, გვარიანად დაძველებული კიმონო ემოსა. სახელოებზე საგვარეუ-

ლო გერბები ამოექარგათ. პატარა ხელის თითებს ერთი ბეჭედიც არ უმშვენებდა, მაგრამ არც ღარიბსა და მიუსაფარს ჰგავდა იგი.

— გახსოვთ, კასუმი-სან, ოცდაათი წლის წინათ ჩვენს პატარა ქალაქ იუმიურაში რომ ჩამობრძანდით? სწორედ მაშინ მესტუმრეთ შინაც, ერთ პატარა ოთახში. ეგებ დაგავიწყდათ კიდეც, საღამო ხანს ტაძრის ღღეობაზე რომ შევხვდით ერთმანეთს...

— მართლა? საკვირველია... — ნუთუ ოდესღაც შინაც სტუმრებია ამ ქალს? კასუმიმ გონება დაძაბა, იქნებ როგორმე გავიხსენოო. ოცდაათი წლის წინ ეს ქალი, ალბათ, ლამაზი იქნებოდა, თვითონაც მაშინ ოცდახუთი წლის უცოლო ყმაწვილი იყო..

— თქვენ მაშინ ხიროსი კიდას და კურო აკიამას ახლდით კიუსიუზე მოგზაურობის დროს. ჩვენთან, იუმიურაში, ნაგასაკიდან ჩამობრძანდით. არ გახსოვთ, ახლად დაარსებული გაზეთი თავის დაბადებას ზეიმობდა, თქვენც მოგიწვიათ რედაქციამ ამ ზეიმზე.

მწერლები ხიროსი კიდა და კურო აკიამა ახლა არც ერთი აღარ იყო ცოცხალი. კასუმიზე უხნესი იყვნენ ათი წლით მაინც. ოცდაათი წლის წინ ისინი სამწერლო დიდების მწვერვალზე იმყოფებოდნენ და მას, ოცდახუთი წლის დამწყებ მწერალს, მფარველობდნენ, იმ ხანებში ხიროსი კიდამ და კურო აკიამამ მართლა იმოგზაურეს ნაგასაკიში. მარტო კასუმიმ კი არა, მთელმა იაპონიამ იცოდა ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ზოგი მათი წიგნებიდან, ზოგიც — დღიურებიდან.

ამ ქალბატონს რაღაცა ეშლება. გამოდის, საქვეყნოდ ცნობილმა მწერლებმა ახლად გამომცხვარ მწერალს პატივი დასდეს და ნაგასაკიში მოგზაურობისას თან იახლეს, ჰოდა, ახლა კასუმი ისე გაკადნიერდა და გამოჩერჩეტდა, რომ დავიწყებას მისცა ეს ღირსშესანიშნავი ამბავი! შეცბუნებული კასუმი აწრიალდა, მერე გარკვევით და ნათლად აღუდგა მეხსიერებაში ესოდენ საყვარელ და პატივსაცემ მწერალთა სახეები. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ამოდგომიან მხარში და დახმარების ხელი გაუწვდიათ მისთვის გაჭირვების ჟამს! კასუმის ნელ-ნელა დაეუფლა ის თბილი და სევდიანი გრძნობა, რაც ხშირად თან სდევს ხოლმე მოგონებას, და ეს გრძნობა, ეტყობა, მის სახეზეც აღიბეჭდა.

— აი, ხომ ხედავთ, გაგახსენდათ, — აღელვებით წარმოთქვა ქალმა. — მე სწორედ თქვენი ჩამოსვლის წინ შევიჭერი თმა და ახლებურად დავივარცხნე. გახსოვთ, გითხარით კიდეც, ახალი ვარცხნილობა ძალზე მეხამუშება, ყურებზე ისე მცივა, თითქოს ყინული მედოს-მეთქი. მაშინ ხომ გვიანი შემოდგომა იდგა. ჩვენს პატარა ქალაქში გაზეთის გამოშვება დაიწყეს, მე კი რედაქციაში რეპორტიორად მოვეწყვე და თმაც მოკლედ შევიკრიჭე. ნემსის ნაჩხვლეტივით ვკრთებოდი, როცა გაშიშვლებულ კისერზე შემომხედავდით. მერე კი გახსოვთ, ოთახში შესვლისთანავე ნაირფერი ბაფთებით სავსე ყუთი გიჩვენეთ. მინდოდა დამერწმუნებინეთ, ცოტა ხნის წინ მეც გრძელი თმა რომ მქონდა. თქვენ გაგიკვირდათ კიდეც, რამდენი ბაფთა გქონიათო. მე ბავშვობიდანვე მიყვარდა ბაფთები...

ქალის ქცევაში იყო რაღაც ისეთი, რამაც პირველად მოსული სამი სტუმარი დაადუმა. მათ თავი ისე ეჭირათ, თითქოს არც ესმოდათ, რაზე მუსაიფობდნენ ქალი და მათი მასპინძელი.

— ... საზეიმო სხდომის შემდეგ ზღვისკენ დავეშვით. გრძელი და სწორი ბილიკი ჩასდევდა გორაკს. ისეთი დაისი ენთო, კაცი იფიქრებდა, სადაცაა მთელ ქვეყანას ცეცხლი წაეკიდებაო. ახლაც მახსოვს, კასუმი-სან, თქვენი სიტყვები: ირგვლივ ყველაფერი — სახლების სახურავები და თქვენი სახეც — მეწამული სპილენძისაგან ჩამოსხმულს ჰგავსო. მე კი გიპასუხეთ, იუმიურა განთქმულია თავისი დაისით-მეთქი. იმ დღეს ხომ საგანგებოდ ლამაზი იყო მზის ჩასვლა! მთიან ნაპირში შეჭრილი უბე მშვილდს წააგავს. ამიტომ ჰქვია ქალაქსაც იუმიურა — მშვილდის უბე. მის სიღრმეში დაისის ფერებს სიმუქე და სიმკვეთრე ემატება. ფუმფულა ღრუბლებით აფორეჯებული ცაც იმ საღამოს უჩვეულოდ დაბლა დაწეულიყო, ჰორიზონტიც ისე ახლოს ჩანდა, კაცი იფიქრებდა, ფრინველებს გასაფრენი ადგილი აღარსად აქვთო. უბეში ალისფრად ანთებული ცა ჩაყუდებულიყო. წყალზე ნაირფერი ალმებით აჭრელებული ნავები დასრიალებდნენ. ნავებში ლამაზად გამოწყობილი ბავშვები დოლსა სცემდნენ და საყვირს უკრავდნენ. თქვენ უყურებდით ნავებს და უცებ თქვით: ასე მგონია, ამ ბავშვების ალისფერ ტანსაცმელს ასანთი რომ მიეკაროს, მთელი ზღვა და ცა აბრიალდებაო. გახსოვთ?

— საოცარია, მაგრამ არაფერი არ მახსოვს.

— მეც ძალიან გულმავიწყი გავხდი გათხოვების შემდეგ. ცხოვრებაში აღამიანს ცოტა რამ ახარებს და ამიტომაც არც არაფერი აქვს მოსაგონარი. თუმცა თქვენსავით საქმიან და ქუდბედნიერ კაცსაც აღარ უნდა რაიმეს გახსენება, აბა, რაში სჭირდება ყოველგვარი წვრილმანის გახსენებით შეიწუხოს თავი! ჩემთვის კი ყველაზე საუკეთესო მოსაგონარი იუმიურაში გატარებული დროა.

— ახლაც იქ ცხოვრობთ? — საუბრის აწყობა სცადა კასუმიმ.

— არა, ჩვენი შეხვედრიდან ნახევარი წლის შემდეგ გავთხოვდი და ნუმაძუში გადავედი. ახლა უკვე მოსწრებული შვილები მყავს. ვაჟმა უნივერსიტეტი დაამთავრა და მუშაობს, ქალიშვილი კი დანიშნულია... მე სიძუოკაში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ შემდეგ დედინაცვალს ვეღარ შევეთვისე და იუმიურაში გამგზავნეს, ნათესავებთან. ჩასვლისთანავე პროტესტის ნიშნად გაზეთში დავიწყე მუშაობა, მაგრამ ოჯახში შეიტყვეს, დამაბრუნეს და ნუმაძუში გამათხოვეს. ერთი სიტყვით, იუმიურაში სულ შვიდი თვე დავყავი...

— თქვენი ქმარი სად მუშაობს?

— ნუმაძუს სინთოისტური ტაძრის წინამძღვარია.

კასუმი ასეთს არავის იცნობდა და მეტის ინტერესით შეათვალიერა მოსაუბრე, მისი მაღალი, ლამაზი შუბლი და ძველმოდური ვარცხნილობა, ახლა ასე აღარავინ ივარცხნის თმას, სახელი — „ფუძიც“ კი გადაავიწყდა ყველას. კასუმის კი სწორედ ამ ვარცხნილობამ მოსწყვიტა თვალი.

—... ადრე ქმარს კარგი შემოსავალი ჰქონდა და არ ვვიჭირდა. ომის შემდეგ ცხოვრება შეიცვალა, გაუარესდა... შვილებს ძალიან ვუყვარვარ, აი, მამას კი ვერ ეწყობიან — ყველაფერზე ედავებიან.

ქალის მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელმა ერთმა წინადადებამ კასუმი მიახვედრა, ოჯახში განხეთქილება ჩამოვარდნილიყო.

— ნუმაძუს სინთოისტური ტაძარი ბევრად დიდია იუმიურას ტაძარზე, სადაც ამ ოცდაათი წლის წინათ შეგხვდით, დიდია და მისი წინამძღვრობაც არ არის ადვილი. ახლა, ყველა სიკეთესთან ერთად, ჩემმა ქმარმა ტაძრის ბა-

ღიდან ათი ძირი კრიპტომერია გაყიდა თვითნებურად... იცით, ახლა ქმრის უჩუმრად ჩამოვედი ტოკიოში.

—?..

— კურთხეული რამ არის ადამიანის მეხსიერება! ღვთის წყალობაა, როცა კაცს უნარი შესწევს, ცხოვრების მთელი დავიდარაბის მიუხედავად შეინახოს წარსულის ხსოვნა... გახსოვთ, კასუმი-სან, ზღვისკენ რომ დავუყევით ბილიკს და იმ ტაძარს ჩავუარეთ, სადაც საზეიმო პარაკლისი სრულდებოდა, თქვენ მითხარით: „ნუ შევალთ, ბავშვებით არის სავსე". ტაძრის მახლობლად კამელიის ბუჩქი ხარობდა... რამდენჯერ მიფიქრია, რა ფაქიზი სულის პატრონი უნდა იყოს ის კაცი, ვინც ეს ბუჩქი დარგო-მეთქი.

კასუმის ეჭვი აღარ ეპარებოდა — ქალის მოგონებებში იგი ცხოვრობდა, როგორც იუმიურაში მომხდარი ამ პატარა ამბების რეალური მონაწილე და თვითმხილველი, უსმენდა სტუმარს და ეჩვენებოდა, თვითონაც ენახოს თითქოს დაისის ფერებით ცეცხლწაკიდებული, მშვილდად მოზიდული სანაპირო და კამელიის აყვავებული ბუჩქი. თუმცა იმასაც გრძნობდა, მოგონებათა ზღვაში შეცურებულ ქალს ვერაფრით ვერ აუბამდა მხარს, რაღაც გადაულახავი ზღუდე ჰყოფდა მათ ერთმანეთისაგან, თითქოს ერთი მათგანი ცოცხალი იყო, მეორე — მკვდარი.

ბოლო ხანებში კასუმის თავისი ასაკისათვის ნაადრევი გულმავიწყობა დასჩემდა. დიდი ხნის ნაცნობ ადამიანთან საუბრისას უცებ დასცეცხლავდა თავში: მოსაუბრის სახელი აღარ ახსოვდა. ეს საშინელიც იყო და დამაფიქრებელიც. აი, ახლაც იგი გონებას ძაბავდა და დაჟინებით ცდილობდა იუმიურაში მოგზაურობა როგორმე გაეხსენებინა, მაგრამ ეს მტანჯველი ძიება მდუმარე სიცარიელეს აწყდებოდა კვლავაც და კასუმისაც ლამის თავი გასკდომოდა ფიქრით.

—... იუმიურაში ერთ პატარა უბრალოდ მოწყობილ ოთახში ვცხოვრობდი, ყოველთვის, როცა კი კამელიის დამრგველი გამახსენდება, მაშინვე გავივლებ გუნებაში, უფრო ლამაზად უნდა მომერთო ჩემი პატარა სამყოფელი, ისე ლამაზად, რომ იმის დამნახავს მაშინვე ეფიქრა, ამ ოთახში ნამდვილად ქალიშვილი ცხოვრობსო... თქვენ მხოლოდ ერთხელ მესტუმრეთ იქ... და აი, ახლაღა შეგხვდით ოცდაათი წლის შემდეგ...

რამდენიც არ ეცადა, კასუმიმ ვერა და ვერ შესძლო ქალის ოთახი მაინც გაეხსენებინა. დაძაბულობისაგან წარბები შეკრა და სახე მოეჭუფრა. ქალმა შენიშნა და აჩქარდა:

— მაპატიეთ, ასე დაუპატიჟებლად რომ შემოგეჭერით, ძალიან, ძალიან დიდი ხანია, თქვენთან შეხვედრას ველოდი. ძალზე მოხარული ვარ, რომ გიხილეთ. მე... მე კიდევ იმდენი რამის თქმა მინდოდა... თუ ნებას მომცემთ ერთხელ კიდევ გესტუმრებით.

—დიდი სიამოვნებით, მობრძანდით.

ქალს, ეტყობა, დამხვდური სტუმრებისა მოერიდა და სათქმელი ბოლომდე ვერ თქვა. კასუმი გასაცილებლად გაჰყვა, ოთახის კარი რომ მოიხურა, უცბად შეამჩნია — ქალი თითქოს სხეულს ველარ იმორჩილებსო, ერთბაშად მოდუნდა და მოითენთა. ასეთ სისუსტეს ქალი მხოლოდ იმ მამაკაცის წინაშე გრძნობს, ვინც ოდესმე მას მოჰხვევია.

— წეღან რომ ოთახში შემომიძღვა, თქვენი ქალიშვილი იყო?

— დიახ.

— ვწუხვარ, თქვენი მეუღლეც რომ ვერ ვნახე.

კასუმის არაფერი უთქვამს. იგი წინ მიდიოდა. წინკარში ქალს მოუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ ამბობთ, ოდესღაც შინაც მსტუმრებიხართო?

— დიახ, სწორედ იქ, ჩემს პატარა ოთახში, მთხოვეთ ხელი.

— რა თქვით?

—... მაგრამ მე უკვე დანიშნული ვიყავი ჩემს ახლანდელ ქმარზე, არც დამიმალავს. უარი გითხარით, თუმცა...

კასუმის გული შეეკუმშა. რაც გინდა ცუდი მეხსიერება ჰქონდეს კაცს, ისე როგორ უნდა გამოთაყვანდეს, ვეღარაფრით მოიგონოს ის ქალიშვილი, ვისთვისაც ხელი უთხოვია. ეს უკვე სასაცილო კი არა, შემაძრწუნებელი ამბავი იყო. არადა, არც ახალგაზრდობაში ეხერხებოდა კასუმის სასიყვარულოდ გადაეშალა ვინმესთვის გული.

— თქვენ მაშინ გონივრულად მომექეცით, კასუმი-სან, — ქალს თვალებში ცრემლი გაუბრწყინდა. ხელის კანკალით გახსნა ჩანთა და სურათი ამოიღო. — ჩემი შვილებია. ქალიშვილი ჩემზე მაღალია. ძალიან მაგონებს ჩემს ახალგაზრდობას.

კასუმი სურათს დააცქერდა, ნუთუ ოდესმე იმ ქალაქში მართლა შეხვდა ასეთ ქალიშვილს, ცოლობა სთხოვა და ახლა კი არ ახსოვს?

— იქნებ ქალიშვილთან ერთად გესტუმროთ როდისმე. ჩემს ახალგაზრდობას გაგახსენებთ, — ქალის ხმაში ცრემლმა იძალა. — ორივე შვილს ვუამბე თქვენზე, მათ ყველაფერი იციან, კასუმი-სან, და სიყვარულითაც გახსენებენ... ჰო, კიდევ იმისი თქმა მინდოდა... ორივე ფეხმძიმობა ძალზე მძიმე მქონდა. მაგრამ იცით, ზოგჯერ მეჩვენებოდა, თითქოს... თითქოს თქვენს შვილს ვატარებდი მუცლით და ეს ფიქრი ტკივილს მიყუჩებდა, ტანჯვას მიმსუბუქებდა... უცნაურია, არა? რამდენჯერ გამოვტყდომივარ თავს, რომ ქმრის მოკვლა მეწადა... შვილებმა ესეც იციან.

— რას ბრძანებთ, ეგ რამ გაფიქრებინათ!.. — კასუმის სიტყვა შემოაკლდა და გაჩუმდა, მაგრამ ერთი რამ მაინც მისთვის ცხადი გახდა: ეს ქალი ძალიან უბედური უნდა ყოფილიყო, ოჯახშიც უთანხმოება დატრიალებულიყო და ყოველივე ამის მიზეზი, როგორც ჩანს, მხოლოდ კასუმია... თუმცა ვინ იცის, იქნებ სულაც კასუმიზე ოცნება აცოცხლებდა ქალს, ალამაზებდა მის უღიმღამო ცხოვრებას...

კასუმი თავს დამნაშავედ გრძნობდა: რატომ და რანაირად მოხდა, რომ დავიწყებას მისცა, უკვალოდ გააქრო ის წარსული, რასაც ასე სათუთად ინახავდა ეს ქალი?

— სურათი დაგიტოვოთ?

— არა, რა საჭიროა.

ქალი ნელი ნაბიჯით გაუყვა ჭიშკრისაკენ მიმავალ ბილიკს და ბოლოს თვალსაც მიეფარა.

სასტუმრო ოთახში კასუმი იაპონიის დიდი ატლასითა და „გეოგრაფიულ სახელების ლექსიკონით“ ხელში დაბრუნდა. სტუმრებთან ერთად გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასმით გადასინჯა ატლასიც და ლექსიკონიც, მაგრამ ვერც კუნძულ კიუსიუზე და ვერც ერთ სხვა კუნძულზე ქალაქი იუმიურა ვერ იპოვა.

— საოცარია პირდაპირ, — კასუმიმ თვალები მოჭუტა და ხმამაღალ ფიქრს მიჰყვა: — კარგად მახსოვს, ომამდე კიუსიუზე არ ვყოფილვარ... ნამდვილად არ ვყოფილვარ. კიუსიუზე პირველად ომის დროს გავფრინდი, სამხედრო კორესპონდენტად ვიყავი მივლინებული. მეორეჯერ ნაგასაკიში გავემგზავრე იმ საბედისწერო აფეთქების შემდეგ. სწორედ მაშინ მიამბო ერთმა იქაურმა კაცმა კიდასა და აკიამას მოგზაურობის შესახებ.

სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს, მთელი ეს ამბავი ამ უცნაური ქალბატონის ფანტაზიის ნაყოფიაო და დაასკვნეს, დალაგებული ჭკუის პატრონი არ ჩანდაო მოსული. არანაკლებ არეოდა გონება კასუმისაც, მართალია, იგი თავიდანვე ეჭვით უსმენდა სტუმარ ქალს, მაგრამ მაინც რამდენი დრო და ძალა შეალია იმის გარკვევას, იქნებ მართლა მოხდაო ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ. კიდევ კარგი, ამჯერად ტყუილი გამოდგა — ქალაქი იუმიურა არ არსებობს, მაგრამ კასუმის ცხოვრებიდან რამდენი ნამდვილი შემთხვევა, თავად რომ დავიწყების ფერფლი გადააყარა, ცოცხლობს უცნობი ადამიანების მეხსიერებაში... ცოცხლობს ისევე წარუშლელად, როგორც ამ ქალის გონებაში... დრო მოვა, კასუმი აღარ იქნება, მაგრამ ქალი მაინც დაჯერებულად მოიგონებს იმ დღეს, როცა კასუმიმ ერთ პატარა ქალაქში ოდესღაც ცოლობა სთხოვა...

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე ფუ

ლექსები

თარგმნა **ჯარჯი ფხოველმა**

სიზმრად ვხედავ ლი გოს

რომ დავეშორეთ სიკვდილის წამს, ცივს და ნისლიანს,
დავმშვიდდებოდი მაშინ უდავოდ.

ბაგრამ ამგვარი განშორება გაუძლისია,
გაუძლისია და სამუდამო

და ძიანანი — უამური მხარე — ჭირის და
ჭაობების და სნების მხარეა.

ჩემი დევნილი მეგობარი იმ ადგილიდან
აღარ მწერს წერილს დიდი სანია...

შენ დამესიზმრე, მეგობარო, სამგზის გიხილე
სიზმრად... შემაშრა თვალზე სისველე.

მაშ, ცოცხალი ხარ, შენი რაშიც ისევ ჭიხვინებს,
და ჩემზე ფიქრობ, ალბათ, ისევე.

ბაგრამ იქნება შავეთს ხარ და შენი სულია
ჩემს სიზმრებში რომ შემოფრიალდა.

რომ შემოფრინდა ჩემს სენაკში თავისუფალი
და შეიფარა ქოხის წყვდიადმა.

ჭაობიანი სამხრეთიდან მოვიდა იგი,
გადმოიარა სივრცე ზვიადად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისევ წავა, გაფრინდება და მე სრულიად
მარტო დავრჩები, მარტო ნიადაგ...

ბედის ბადეში გახლართულხარ ბედის ალაფი,
ვერ გამოდიხარ, ირგვლივ ნისლია.

და მძლავრი ფრთების აწევა და გაშლა არაფრით,
ვატყობ, არაფრით არ შეგიძლია...

მთვარე დანათის ქოხის წინკარს, მთვარემ ციალით
აარიურაჟა არე მდუმარი.

მე მეჩვენება ლი ბოს სახის ნათელი არის
ცით ჩამოსული — ჩემი სტუმარი...

მანდ, სად ტალღები შფოთავენ და ნავებს მრისხანედ
ფსკერზე ახლიან, — მინდა მჯეროდეს, —

რომ აყალყული დრაკონები და ქარიშხალი
ვერ წაგაქცევენ, ძმაო, ვეროდეს.

□

ფიქრებში ჩავიძირე

ჟღურტულებს სველ ტოტზე,
ჟღურტულებს მოლაღური;

შორს, კუნძულს ზემოით
ფარფატებს თოლია.

დახრილა ყვავილი,
მიმწუხრით მოლახული,

მოღელავს მდინარე —
წაგვლეკავს მგონია...

ვზი ბებრუსუნა.
ვხდი შარბათს ფეტვისას.

მწუხრი დგას ფანჯრებთან
და წვიმა ხმიანებს.

წასულან წელნი...
წაუღიათ მეხის ფეხის ხმა —

აწ ის დიდება აღარ გვალხენს
ადამიანებს.

□

დამავალი მზე

ფარდას დანათის ალისფერი
ღრის მიწურვილი,

ნაკადულს ქარი ჩამოუქრის —
თითქოს აფსიზლებს,

ბაღიდან მოაქვს ყვავილების
ამო სურნელი

და აქანავებს
სანდალს ნაპირზე.

გადასუნძლულან ბეღურებით
სეთა წვეტები,

შორით მოფრინავს
ნემსიყლაპია...

ვინ დააყენა ეს ქაფქაფა
ღვინო, ნეტავი? —

ბალევ და ქრება მწუხარება,
თითქოს ქაფია.

□

სიმარტოვის ჟამს ვსვამ ღვინოს

უღრანში დავეხეტები
მშვიდი და აუშფოთველი,

არსაით მიმეჩქარება,
ღვინოს ვსვამ სვენებ-სვენებით...

შევსედავ: მისწებებია
ფუტკარს ტირიფის ფოთოლი,

შესცოცებიან ფათალოდ
სეს შავი ჭიანჭველები.

შორს მიმავალი არა ვარ,
არ ველი ამა სოფელით

ქუდს და ეტლს... საქმეს ვერა ვიქმ
ლიდმოსელეთა დასადარს.

ეულად ყოფნა მისარის,
გულს ვალსენ მარტომყოფელი,

კაცთა წინაშე ტრაბახი
არ მიღირს ჩალის ფასადა.

□

შემოდგომის სტანსებიდან

I

ნიშანს გაჰყურებს პენლაის სასლის
ბჭე ნათლიერში მდგარი.

ჩენლუს ოქროს სვეტს ეცემა მაღლით
ცივი ციური ცვარი. .

იაოჩის ტბას ვხედავ დასავლით,
ტბაში სივანმუ ჩადის.

ხოლო იისფერ კვამლში სავსავებს
ხანის კარიბჭის ლანდი.

გადამავალი ღრუბლის მარაო
ადგას სასახლის თაღებს.

მზეზე აენთო დრაკონის ქერცლი —
ვიცან ხელმწიფის სახე.

ვზი მდინარესთან სანმოთეული,
მაწევს სიბერის ნისლი.

სად არს წყალობა ხელმწიფეული? —
კვალიც გამქრალა მისი.

II

ძიუიტანის ვიწროები... შორს: არემარე,
ამოდ სამზერი ძიუძიანის.

ათი ათასი ლი აშორებთ, თუმცა ქარ-წვიმით
აერთებს სთველის ჟამი გვიანი.

ხუაეს კოშკის დერეფნები, სად სვედიადი
იმპერატორი დაიარების.

ლოტოსის ბაღი... მტილოვანი... აქ ყოვლიარი
გასენილია სევდის ქარებით.

ფარდების ბრწყინვა... ზარნაშიან სვეტთა გარშემო
დაგოგავს, დადის ყანჩა ყვითელი.

სპილოს ძვლის ანძებს თოლიები შემოსხდომიან,
ეტლაშუნება ნაპირს ზვირთები.

სხვა მხარეს ვუმზერ... არ ეთნევის გულს სიმღერები,
ძიუძიანის ცას რომ მიაპობს...

ო, ჩანიანო! დიდმეფეთა სამკვიდრებელო,
უძველეს ცინის მიწავ დიადო!

□

ბორის ლავრენიევი

სასწრაფო დავალება

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა

I

ბონსტანტინეპოლის ნავსადგურში „მეჯი დალტონი“ რეიდზე იდგა. ის იყო მარჯვენა ქიმიდან ღუზა და ჟანგიანი კიბე ჩამოუშვეს, რომ მასთან ნავიც მიცურდა. თურქმა ფოსტალიონმა, ფესის გაქონილი ფოჩი გაოფლილ კეხიან ცხვირთან რომ დასთამაშებდა, მოქანავე კიბე აიარა და დეპეშა გემზე აიტანა.

კიბის ზედა ბაქანზე კაპიტანი ჯიბინსი იდგა, დეპეშა მან ჩაიბარა. კალმის ერთი მოსმით მიაჩხაპნა გვარი, ფოსტალიონს მუჭში პიასტრი ჩაუდო და კაიუტას მიაშურა. იქ აუჩქარებლივ გატენა ჩიბუხი ყანთრით „Navy cut“, რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და დეპეშას კიდეებზე დაწებებული ვიწრო, ცისფერი არშია ააცია.

დეპეშა ნიუ-ორლეანიდან იყო. გემის პატრონი ატყობინებდა, რომ კომპანია „ლენსბი, ლენსბი და ვაჟიშვილი,“, ვისაც ახლა „მეჯი“ ემსახურებოდა, დაჟინებით მოითხოვდა, გემი ოდესაში სასწრაფოდ დაეტვირთათ და დაუყოვნებლივ უკან გამობრუნებულიყვნენ, რადგან კოპტონის სასუქს, რისთვისაც „მეჯი“ შორეულ რუსეთში წამოსულიყო, შესაძლოა კარგი მუშტარი გამოუჩნდესო.

კაპიტანმა მხრები აიჩეჩა, ჩიბუხი პირის ერთი კუთხიდან მეორეში გადაიტანა, კვამლის შავი ბოლქვები გამოუშვა და კბილებში გამოსცრა:

— Cod damn! [1]

გაახსენდა, როგორი ხელმომჭირნეობა გამოიჩინა პატრონმა, ქვანახშირში ორიოდ ცენტით ზედმეტის გადახდა დაეწანა და გემი ისეთი ნაგავით გატენა, რომ ატლანტიკის ოკეანეში „მეჯი“ ტალღებისა და ქარის საწინააღმდეგოდ ძლივს მიღოღავდა.

ასე რომ, რაც უნდა მოენდომებინა, გემი უფრო სწრაფად ვერ ივლიდა,

[1] დალახვროს ეშმაკმა! (ინგლ.)

მაგრამ კაპიტანს ბრძანება ხელში ეჭირა, ბრძანებას კი შესრულება უნდოდა. ზარით მოიხმო სტიუარდი და უფროსი მექანიკოსი ო'ჰიდი დაიბარა.

ერთი წუთის შემდეგ კაიუტის კარში მოკლედ თმაშეკრეჭილი ქერა თავი გამოჩნდა. წელში ოდნავ მოხრილს, ტანთ ფეხბურთელის მაისური და საბანაო ტრუსები ეცვა. კაიუტას კეთილი, ღიღილოსფერი თვალები მოავლო და კაპიტანს მიუბრუნდა.

— ფრედ, რამ მოგაფიქრათ ჩემი შეწუხება? — ჰკითხა უხალისოდ,—ლამის დამახრჩოს ამ დაწყევლილმა ჰავამ, აბაზანიდან ვერ ამოვსულვარ. შინ რომ დავბრუნდებით, პატრონს ვთხოვ, ჩრდილოეთისაკენ გამაგზავნოს.

ო'ჰიდიმ, მუცელი ჩავარდნაზე რომ ჰქონდა, ტრუსები აიწია და დაუმატა:

— თუ კაცი კლონდაიკში დაიბადე და ნახევარი სიცოცხლე ბეწვის ტომარაში გაატარე, ძნელია მიეჩვიო ამ ჯოჯოხეთურ სიცხეს.

— მაშინ სამახარობლო შენზეა, — გაეპასუხა კაპიტანი, — მე აქ კვირამდე ვაპირებდი დარჩენას, რომ მეზღვაურებს მოესწროთ გალატის დუქნებში ფულის გაფლანგვა, თანაც მინდოდა ოდესაში შესვლამდე გემის ქიმი შემეღება, მაგრამ აგერ, პატრონის დეპეშა მივიღე... მაჩქარებს, ერთი სიტყვით, საღამოს გავდივართ. ოდესა ალიასკა არ არის, მაგრამ მაინც უფრო გრილა.

— ასე რამ შეაფუცხუნათ? — ჰკითხა ო'ჰიდიმ და ჩიბუხი კაპიტნის თუთუნით გატენა.

— ლენსბებს საჩქაროდ სჭირდებათ კოპტონი, ბაზარზე მუშტრები გამოუჩნდათ.

შეფიქრიანებულმა მექანიკოსმა ხელი შიშველ მუხლზე დაიტყაპუნა.

— მაგრამ თქვენ ხომ იცით, ფრედ, რომ ოდესაში ქვაბების გასაწმენდად მოგვიხდება გაჩერება.

ახლა კი აქამდე გულგრილი კაპიტანი ჯიბინსი უმალ დაინტერესდა. პირიდან ჩიბუხი გამოიღო.

— რაო, რაო? წინა რეისზე არ დავწმინდეთ, ახლა მაგის დრო გვაქვს, ისედაც გვაჩქარებენ.

ო'ჰიდიმ საფერფლეში ჩააწიტა და ჩაიცინა.

— რა ძუძუმწოვარა ბალღივით გულუბრყვილო კითხვებს იძლევით. ხომ იცით, რანაირი ქვანახშირით ვახურებთ?

— ვიცი, — ცივად მიუგო კაპიტანმა.

— მაშ რაღას მეკითხებით! ამისთანა ნარევი შეიძლება მხოლოდ ბეჰემოთის სწორ ნაწლავში იპოვოთ. მილები ისე გაიმჭვარტლა, კვამლს აღარ ატარებს. თუ არ გავწმინდეთ, უკან ვეღარც წავალთ, მით უმეტეს ასე დატვირთულები.

—ეგ შეუძლებელია, ვინ იცის, პრემიაც დავკარგოთ. რაც შეიძლება მალე მორჩით ამ დავიდარაბას. ყოველი წუთი ძვირფასია.

— შეეცდები. საბედნიეროდ, ოდესაში ბატონი ბიკოვი მეგულება. ფულის გულისათვის შეუძლებელს შეიძლებს.

კაპიტანი, ეტყობა, დააკმაყოფილა ამ პასუხმა და პირისახე კვლავ გულგრილი გაუხდა.

— კარგი, თქვენი იმედი მექნება. ოღონდ ყველანი გააფრთხილეთ, რომ

საღამოს ექვს საათზე აქ იყვნენ. თუ ვინმე დააგვიანებს, არ დავუცდი. დაე, ჩვენს დაბრუნებამდე გალატში იმათხოვროს. შავ ზღვაში მზის ჩასვლამდე უნდა გავიდეთ, სანამ წყეული თურქები სასიგნალო ზარბაზანს გაისვრიან, არადა, დილამდე მოგვიხდება დაცდა.

II

მზის ჩასვლისას, როცა ტალღები ოქროსფრად აელვარდა, „მეჯი დალტონმა“ ბოსფორის ვიწრო კარიბჭე გაიარა და გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო.

კაპიტან ჯიბინსს ლურჯსირმებიანი ქუდი ჩამოეფხატა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბოგურაზე იდგა.

იმ დროს, როცა ტალღები ოქროსფრად აბრწყინდება, მსოფლიო საზღვაო გზებსაც მრავალი გემი დაადგება—ოკეანისა თუ ზღვის მლაშე წყლით ალოკილი ძველი ტვირთმზიდავები, სწრაფი სტიმერები, დიდებული ექვსსართულიანი სამგზავრო ბუმბერაზები, ხმაურით რომ მიარღვევენ დამორჩილებული წყლის ტალღებს, ღამით კი ვარსკვლავთა მოციმციმე მაქმანებით ნაქსოვ საზღვაო გზებს სერავენ და წყვდიადში დანთქმულ სამყაროს ფერად-ფერადი ნათურების შუქით გაჰყურებენ.

ამ მწვანე უფსკრულთა დასალაშქრად გემებს მიერეკება ბანკები, კანტორები, გემთკომპანიები. მიერეკება ფულის ძალა, რომელიც არავის ინდობს და არავის იბრალებს, რომელიც არავის და არაფრის გულისათვის წუთითაც არ შეფერხდება. ზღვის დასალიერის ცისფერ ბინდბუნდში ზღაპრული ქვეყნების მირაჟები მოჩანს. იქ ელოდება ამ გემებს ბანკებისა და კანტორებისათვის ესოდენ სასურველი ტვირთი. ყვითელკანიანი, ყავისფერი თუ შავი მონები ლანძღვა-გინებასა და შოლტების ტკაცუნში ავსებენ გემთა რკინის სტომაქებს ქსოვილებითა და სანელებლებით, ბამბითა და მადნით, ხილითა და კაუჩუკით, ასეთივე შოლტების ტკაცუნში რომ მოუპოვებიათ და მოუწევიათ მათ თანამოძმეებს. ჯალამბრების გრუხუნში გემი ნელ-ნელა ეშვება სარკესავით კრიალა სიღრმეში, სანამ სატვირთო წყალხაზს არ დაფარავს წყალი.

ნისლიანსა თუ ვარსკვლავიან ღამეებში, გრიგალების შემზარავ ღმუილში გემებს ციმციმ მიაქვთ თავიანთი ტვირთი შორეული ნავსადგურისაკენ, რათა იქ, ხმაურიან ქუჩებზე მდგარ შენობათა სარკისებრი მინების ნახევრად ჩამოშვებული აბრეშუმის ფარდებს მიღმა არ შეწყდეს საანგარიშო კოჭების იდუმალი ჩხაკუნი. ამ ფარდებს მიღმა სიხარბე მეფობს.

მაღლა დაკიდული ნათურებიდან თანაბარი, მქრქალი შუქი იღვრება მაღალ მაგიდებზე, სადაც დავთრებს ჩაჰკირკიტებენ გამელოტებული, სათვალიანი ადამიანები, მიწისფერი რომ ადევთ სახეზე. ისინი ისე გამომშრალან და გამომხმარან, როგორც საკანტორო წიგნის ფურცლები. მათი ტუჩების ცმაცუნიც ფურცლების შრიალს მოგაგონებთ. ქაღალდზე ციფრთა სვეტები იზრდება. ისინი განაგებენ გემებით ჩამოტანილი ტვირთის ბედს, იმ ტვირთისა; აბრეშუმივით ნეჭში რომ გაუხვევიათ და ჰორიზონტის ცისფერი ნისლის მიღმა მდებარე ზღაპრული ქვეყნების უცნაური, გამაღიზიანებელი სურნელი შემორჩენიათ.

თუმცა ბანკებსა და კანტორებში ჩამსხდარი ადამიანები ამ სურნელებას

ვერ გრძნობენ, მათ მხოლოდ ტკიცინა ქაღალდების სუნი იციან, სადაც ასე მოსაწყენად ჩარიგებულა ციფრები და მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე ჩაწერილი მოკლე-მოკლე სიტყვები.

ბანკებსა და კანტორებში მომუშავე ადამიანებმა დავთრებში გატარებული ტვირთი ფერად-ფერადი ქაღალდებისა და წკრიალა ლითონის ფულად უნდა აქციონ. ეს ჯადოსნური ფერისცვალება კი რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოახდინონ, რათა ბირჟის შავ დაფაზე მაკლერის მიუკერძოებელი ხელით გამოყვანილმა ციფრებმა კეთილდღეობის სასურველი დონე აჩვენოს. ჰოდა, დახარბებული გემებიც კვლავ ძაბავენ ფოლადის კუნთებს, ამოძრავებენ გაზეთილ მუხლებსა და ბერკეტის იდაყვებს, ოკეანეთა კრიალა ცაში გაორკეცებული ძალით აბოლქვებენ მომწამვლელ ჭვარტლს, სწრაფად ატრიალებენ ხრახნებს, კაპიტნებიც ხშირ-ხშირად ეკითხებიან მორიგე გუშაგებს, ლაგი რას უჩვენებსო.

კაპიტნები ისეთივე გამოცდილი და მშვიდი ხალხია, როგორც კაპიტანი ჯიბინსი. ლურჯსირმებიანი ქუდი ჩამოფხატიათ და, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი, გულგრილად დგანან ბოგურებზე, თვალმოჭუტულნი გასცქერიან ვერცხლისფერი ქაფის ნაფლეთებში გამავალ სხვებისათვის უხილავ გზას.

კაპიტანი ჯიბინსი კარგად იცნობს ამ გზას, რომელიც ნიუ-ორლეანის მწვანე დამრეცი ნაპირებიდან იწყება და ოდესის ზღვისპირეთის ღიაყვითელ ფხვიერ კლდეებამდე აღწევს. მისთვის ნაცნობია ის გზაც, როგორ უნდა გადაიქცეს მისი გემის ტვირთი ფერადი ქაღალდისა და ლითონის ფულად, რომლის ნაწილი კაპიტნისა და მეზღვაურების შრომის ანაზღაურებას მოხმარდება. კაპიტანი ამ ფულის მეტ ნაწილს ოჯახის უზრუნველსაყოფად, შავი დღისათვის ზოგავს. მეზღვაურები კი, დასაზოგი რომ არაფერი აბადიათ, როცა სევდა შემოაწვებათ, ფულს ნავსადგურის მიკიტნებთან და საცოდავ, გათხუპნულ კახპებთან ფლანგავენ. ფულიც წინასწარ ნავარაუდევ წრებრუნვას შეასრულებს და კვლავ ბანკებს დაუბრუნდება, კანტორის წიგნებში გატარდება და ახალ ტვირთად გადაიქცევა. გემებიც გაავსებენ ტრიუმებს და კვლავ იმ მუხანათ საზღვაო გზებს გაუყვებიან, კაპიტანსა და მეზღაურებს დაღუპვითა თუ სამუშაოს დაკარგვით რომ ემუქრება. ეს უკანასკნელი კი დაღუპვაზე უარესია. ამიტომაც მოკლე პალტოში გამოწყობილი კაპიტანი ჯიბინსი ღამით სამჯერ გამოვიდა გემბანზე. მალ-მალე ეკითხებოდა გუშაგს, რას აჩვენებსო სპილენძის ტრიალა, სევდიანად რომ დასწკრიალებდა კიჩომდე ამოფოფრილ, ქაფმორეულ ტალღებს.

III

რკინიგზის ლიანდაგს მიღმა, გველივით დაგორგლილი ხიმინჯებიანი ფიცარნაგის ქვემოთ, დამრეც ქუჩაზე ქვით ნაშენი დაბალი, გაჭვარტლული სახლები ჩარიგებულა. შენობებს დღითა და ღამით ნაკადად მიმავალი აგურისფერი მატარებლები აზანზარებენ და ჭვარტლს აფრქვევენ. ამ მატარებლებს ტვირთი მიაქვთ და მოაქვთ ნავმისადგომიდან, რომელსაც მუქმწვანე წყალი შარიშურით ეხახუნება.

ერთ-ერთი სახლის კარზე აქერცლილი ოქროსფერი ასოები მოჩანს: „პ. კ. ბიკოვის გემის ქვაბების გამწმენდი და შემკეთებელი კანტორა“.

კანტორაში, საწერ მაგიდასთან თვით პროვ ბიკოვი ზის. იგი მარტო ემსახურება თავის საწარმოს და დილიდან საღამომდე ფეხს არ იცვლის განიერ სავარძლიდან. კანტორაში სხვა არავინ არის, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ სრულიად რუსეთის მბრძანებელ იმპერატორ ნიკოლოზ მეორისა და იოანე კრონშტანდელის სურათებს.

თვითმპყრობლის სურათი ორ ადგილას ტყვიით არის გახვრეტილი. ეს ორი წლის წინათ მოხდა, სწორედ იმ დღეებში, აჯანყებული ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ ოდესის ნავსადგურში რომ შემოდიოდა. ჯავშნოსანი ნავსადგურში ორი დღე იდგა, ქალაქში რევოლუციის ქარიშხალი ააბობოქრა, ხელისუფალთ გაუგონარი შიში აჭამა და მერე სამხრეთისაკენ წავიდა. გონსმოსულმა სატრაპებმა ოდესა ბარიკადების დამცველთა და ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლით მორწყეს, გააფთრებულმა შავრაზმელებმა სისხლიანი რბევა მოაწყვეს. აი, პროვ ბიკოვის კანტორაშიც მეფის სურათისათვის მაშინ შემოცვივდნენ მთვრალი მაწანწალები, რომ მბრძანებლის სახელს ამოფარებოდნენ და მოსახლეობის რბევით გული მოეოხებინათ. მეფის სურათს უნდა ეკურთხებინა ძარცვა და ხოცვა-ყლეტა, მაგრამ პირიქით მოხდა: რბევა მარტო ქალქის ღატაკ უბნებს კი არა, მდიდართა უბნებსაც დაემუქრა, ეტყობა, გაქელვას ვეღარც ებრაელთა სახლები გადაურჩებოდა. შეშინებულმა ქალაქის ხელისუფლებმა ბრძანება გამოსცეს, ყველა ზომა ეხმარათ რბევა-თარეშის შესაწყვეტად. ის იყო გაცოფებული ურდო კანტორის კუთხეს მიეფარა, რომ თოფმა სამჯერ იგრიალა. პროვ ბიკოვმა დაინახა, როგორ ჩაუქროლეს მის ფანჯრებს გონდაკარგულმა მძარცველებმა. ერთმა მათგანმა კი მეფის სურათი ქვაფენილზე დააგდო.

დრაგუნებმა რომ ჩაიქროლეს და ყველაფერი მიწყნარდა, პროვ ბიკოვი თავისი სოროდან მაჩვივით გამოძვრა და უკანვე შეიტანა მეფის სურათი. ჩარჩოდან შუშა გამოვარდნილიყო, თვითმპყრობელს კი ორი ტყვია მოხვედროდა. ერთ ტყვიას ყური გაეხვრიტა, მეორეს კი ნესტო, როგორც ჩანს, ვიღაც ორ მსროლელს მეფის სურათზე მაინც ეყარა ჯავრი.

პროვ კირიაკოვიჩმა მწარედ ამოიოხრა. ცხადია, ახალი სურათი უნდა ეყიდა, მაგრამ ფული დაენანა. ჰოდა, სურათი რომ შეათვალიერა, დაასკვნა, საქმის გამოკეთება კიდევ შეიძლებაო. გახვრეტილი ნესტო აღარ დაუწებია — სულ ერთია, იქ მაინც ნახვრეტი უნდა იყოსო, ყურზე კი ქაღალდი მიაწება და ფანქრით გააფერადა.

ასე შერჩა თვითმპყრობელს ერთი საღი ნესტო კანტორის მტვრის შესასუნთქად. ბიკოვის ქვაბის მფხეკავმა ბიჭუნებმა, ყოველთვის კანტორის ეზოში რომ ირეოდნენ, ფანჯრიდან თვალი შეასწრეს ამ სურათს და აგდებულად შეარქვეს: „კოლკა — გაგლეჯილი ნესტო“.

პროვ ბიკოვის კანტორა მთელ ნავსადგურში ცნობილი იყო. წელიწადის ყველა დროს ასობით გემი შემოდის ოდესის ნავსადგურში. ზოგ მათგანს კიჩოზე სახელი და ნავსადგურის ნიშანი ისეთ ენაზე აწერია, რომ თვით ლოთი სტუდენტი-ფილოლოგი მიტკა ხლიუპიც კი, ზამთარში წაღების მაგიერ ფეხებზე თათრულ ნაბდის ქუდებს რომ იხვევს, ვერაფერს იგებს.

დიდხანს არიან გემები ზღვაში, ჭვარტლით ევსებათ საკვამლე თუ საქვაბე მილები. გზა რომ განაგრძოს, გემმა უნდა უაქიმოს თავის სტომაქს, გაიწმინდოს რკინის ნაწლავები, ჩამოაფხიკოს მას ჭვარტლი და ჭუჭყი. ამისთანა წვრილმანის გულისათვის დოკში გაჩერება ხელსაყრელი არაა, და ამიტომაა,



ხატვარი ტარიელ ვართაგავა

რომ გზაშივე იჭერენ თადარიგს. აი, მაშინ ეწვევა ხოლმე ავადმყოფ გემებს დასახმარებლად ქვაბების ექიმი პროვ კირიაკოვიჩი.

საამისოდ მას ბიჭუნების მთელი ასეული ჰყავს.

ისედაც წვრილი მილები ჭვარტლისა და ნახშირისაგან მეტისმეტად ეიწროვდებიან და მოზრდილი ადამიანი აქ ვერაფერს გახდება, ათ წლამდე ბიჭუნა კი სწორედ მისწრებაა, — გასხმარტალდება და დაცოცავს იმ ჩახუთულ და აქოთებულ მილში ფოლადის საფხეკით, ხოლო სადაც საჭიროა, ჭვარტლისა და ნახშირის სქელ ფენებს თეგით ამტვრევს.

პროვ კირიაკოვიჩი ამ ბიჭებს ქალაქის ყველაზე ღარიბ ბუნაგებში — პერესიპზე, ახლო თუ შორეულ წისქვილებსა და მოლდავანკაზე[1] აგროვებს. მხოლოდ იქ იშოვი დღეში ხუთ ალტინად ტანჯვის მსურველებს.

ბიკოვის კანტორის კარს დასნეულებული გემების ყველა ეროვნების მექანიკოსები მოადგებიან ხოლმე. ბიკოვი შეკვეთებს ღებულობს და ბატისფეხურით დიდი ვაივაგლახით შეაქვს სავაჭრო წიგნში. წერა უჭირს, რის ვაინაჩრობით აქვს შესწავლილი. ასოების გამოყვანისას ქსუტუნებს, ქაღალდზე მელანს წვერით თხაპნის, ჯუჯა ჩერნომორივით რომ გაჩეჩია. მიიღებს თუ არა შეკვეთას, სარკმელს აღებს და ეზოში მთელი ხმით გასძახის:

— სენკა, მიშკა, პაშკა, ლიოშკა... ჰაიდა, ძილისგუდებო, სამუშაოზე! ნუ ზოზინებთ, ცოცხლად!

IV

დარაიის ახალ კოსტუმში და პრიალა ნარინჯისფერ უყელო წაღებში გამოწკეპილი ო'ჰიდი ბამბუკის საბიჯგი ჯოხით ოდესის ბულვარის ფართე კიბეზე დაეშვა. აქ ნაყინი დიდძალი მიირთვა და ნახშირის მტვრით დაფარულ ქუჩას გაუყვა. თან კომისიონერი ლეიზერ ცვიბელი ახლდა.

ლეიზერს ყველა კაპიტანი და მექანიკოსი იცნობდა, ვისაც კი ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი ოდესის ნავსადგურში. იგი ყველანაირ დავალებას კისრულობდა, ეს იქნებოდა ოკეანის ბუმბერაზების დოკში ურიგოდ შეყვანა თუ მიწაზე გადმოსულ გართობას მოწყურებული მეზღვაურებისათვის უზრუნველი, თავაპტიჟს მიუჩვეველი გოგოების შოვნა.

ამიტომაც ლეიზერმა ყველა ენა იცოდა იმდენად, რამდენადაც ეს ნავსადგურის კომისიონერისათვის იყო საჭირო. ყველა ენას უმოწყალოდ ამახინჯებდა, მაგრამ იმდენს მაინც ახერხებდა, რომ სათქმელს უსათუოდ იტყოდა. იგი უცხო ქალაქში გზააბნეულ მეზღვაურებს დიახაც ლაბირინთის ხლართებიდან გამომყვან არიადნას მხსნელ ძაფად მოვლენოდა. მაგრამ თუ რამეზე აღელვებული იყო, ყველა ენას ერთად ურევდა ხოლმე და მისი ლაპარაკიდან აზრის გამოტანა მაშინ მართლაც შეუძლებელი იყო.

ამჯერად ლეიზერი ო'ჰიდის აცილებდა პროვ კირიაკოვიჩის კანტორამდე. მექანიკოსი თვითონაც გაიგნებდა გზას — იგი პირველად როდი ტკეპნიდა ლავის ლურჯ ფილებს ოდესის ტროტუარებზე — მაგრამ ბიკოვთან მოლაპარა-

[1] ოდესის გარეუბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

�ebs დამოუკიდებლად არ შეეძლო. პროვ კირიაკოვიჩმა ინგლისურად მარტო მეზღვაურული გინება იცოდა, ო'ჰიდის კი შეეძლო წარმოეთქვა სულ რამდენიმე აუცილებელი რუსული წინადადება: „გამარჯობ", „როგორ ცხოვრობ" „შენ ლამაზი გოგო, მიკვარხარ", მაგრამ საქმიანი მოლაპარაკებისათვის ეს არ კმაროდა.

პროვ კირიაკოვიჩი დარბაისლურად შეეგება მექანიკოსს და ფუნჩულა, შავბალნიანი კოტიტა თათი გაუწოდა. ო'ჰიდიმ ღონივრად ჩამოართვა ხელი. ლეიზერი კი ფრთხილად შეეხო ბიკოვის კოტიტა თითებს.

— რას შვრებით, პროვ კირიაკოვიჩ? — ალერსიანად მოიკითხა მან და დამფრთხალი, დაბეჩავებული კაცის ღიმილი შეაგება.

— ვცხოვრობ ნელ-ნელა. შენ როგორღა ხარ, იერუსალიმის ქათამო?

— ეჰ, ქათამი რა ბედენაა, მე რომ ქათამი ვყოფილიყავი, შინ ყოველდღიურად თითო-თითო მარცვალს მივუტანდი შვილებს, მაგრამ აბა სადაური ქათამი ვარ... სათქმელადაც მეთაკილება.... ფუჰ... აი, იქნება დღეს ვიშოვო რამე, ასე თუ ისე, მუშტარი მოგიყვანეთ... მერე როგორი მუშტარი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს! ცოტაოდენს ეგ მომცემს, ცოტაოდენს თქვენც და გავკეთდები საწყალი ებრაელი.

— რა სამუშაოა? — იკითხა ბიკოვმა და თან დაკვეთების წიგნი გადაფურცლა.

— აბა რა საკითხავია? მეფური სამუშაოა, ისემც კაი დაგემართოს! ამ ბატონს სურს, რომ ორ დღეში გაიწმინდოს ქვაბები, რადგან ბატონს თავის ამერიკაში მიეჩქარება. მას ისეთი სასწრაფო დავალება აქვს, როგორიც მე არასოდეს მექნება.

— ორ დღეში? მაშინ გასამრჯელოც ორი დღის შესაფერისი უნდა იყოს,— გაეპასუხა მოღუშული ბიკოვი.

— განა მეც მაგას არ ვამბობ? ბატონს აბა რა ენაღვლება? ის ხომ ბებერ ლეიზერზე ცოტა მდიდარია. ყაბულსაა გადაიხადოს.

— რაკი ყაბულსაა, მით უკეთესი. გადაეცი, რომ ეს ეღირება...

ბიკოვმა ცხვირი მოიფხანა და თავბრუდამხვევი ციფრი დაასახელა. ცვიბელი შეცბუნდა და გაფითრდა.

— ოჰო-ჰო,—დაიჩურჩულა,—მეტისმეტია, გამეორებაც კი მიჭირს. გავიმეორო?

— რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს, — იმავე კილოზე უპასუხა ბიკოვმა, — ახლა ისეთი დროა, მუშტრები არ მაკლია, ეგ თუ არა, სხვა გამოჩნდება.

ლეიზერმა ხელები გაასავსავა და მექანიკოსს მორიდებულად დაუსახელა ციფრი. მისდა გასაკვირად ო'ჰიდის წარბიც არ შეუხრია, მოკლედ უპასუხა: „very well!" და თან დასძინა, თუ სამუშაო ორ დღეღამეში არ მომთავრდება, ყოველი გადაცდენილი დღისათვის ბიკოვს ამ თანხის ოცდახუთი პროცენტი დაექვითებაო.

— ეგრე იყოს, — ჩაილაპარაკა ბიკოვმა და თან შეკვეთა ჩაიწერა, — ეგენი მაინც ვერაფერს დამიქვითავენ. რახან თავს ვიდებ, გავაკეთებ კიდეც.

მექანიკოსმა ბე დადო მაგიდაზე, ხელწერილი აიღო და ცვიბელს საკომისიო ხუთი დოლარი მიუგდო, მერე ისევ ჩამოართვა ხელი ბიკოვს და კანტორიდან გავიდა, ცვიბელი კი ბიკოვთან წვრილმანებზე მოსალაპარაკებლად დატოვა.

ტროტუარზე რომ გავიდა, შეჩერდა. მისი ყურადღება ხმაურმა და სიცილმა მიიპყრო. ხუთიოდე ტურტლიანი, შემოგლეჯილი ბიჭი ქვაფენილზე კლასობანას თამაშობდა, ისინი ტაფელს ისროდნენ და ასკინკილათი მისდევდნენ უკან.

ო'ჰიდის არასოდეს ენახა ეს თამაში და ახლა ცნობისმოყვარეობით უმზერდა.

ყველაზე მარჯვედ ერთი პატარა, თმააბურძგნილი ბიჭი დახტოდა და თან ლაღად კისკისებდა. ალბათ ის თუ უხაროდა, ბედი რომ უმართლებდა. ტერფის მოხერხებული მოძრაობით ცარცით მოხაზული კვადრატიდან ტაფელი რომ გამოისროლა, თავი ასწია და მექანიკოსი დაინახა. დაინახა და მყის ღიმილი მოეფინა პირისახეზე, იელვა რძესავით თეთრი კბილების ორმა სწორმა მწკრივმა.

მერე ხტუნვა-ხტუნვით მიირბინა ო'ჰიდისთან, მაიმუნივით შავი თათი გაუშვირა და შესძახა:

— კაპიტან, კაპიტან! გიფ მი შილინგ იფ იუ პლიზ, შე მგლის კერძო შენა! გუდ ბაი, ჰავ დუ იუ დუ?

ო'ჰიდიმ კბილები დაკრიჭა, ინგლისურ ფრაზაში გარეული რუსული სიტყვები ვერ გაიგო, მაგრამ გაახსენდა ნიუ-ორლეანის ნავმისადგომებთან ნანახი ასეთივე თამამი ეშმაკუნები და მშობლიური ქარის თბილი სუნთქვა იგრძნო.

მისი ხელი თავისით ჩაცურდა პიჯაკის ჯიბეში და ბიჭის გამოწვდილ თათზე ბრჭყვიალა დოლარი დადო. ბიჭმა ელვის სისწრაფით ჩაიგდო ფული პირში, მერე გადაკოტრიალდა, ყირაზე დადგა, შიშველი ტერფები ერთმანეთს მიუტყაპუნა და დაიძახა: „ჰიპ, ჰიპ, ვაშაა!"

ო'ჰიდიმ უფრო ალერსიანად დაკრიჭა კბილები, ფეხზე წამომდგარ ბიჭუნას ლოყაზე ხელი მოუთათუნა. გააკვირვა ბიჭუნას საუცხოო კბილებმა, და თავისი მხსნელი ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებებიდან ერთ-ერთი მოიშველია:

— გამარჯობ, როგორ ცხოვრებ?

ბიჭები ახორხოცდნენ, ერთმა გააპურჭყა და აღტაცებით წამოიძახა:

— უყურე ერთი. ჩვენებური სცოდნია ამ პირძაღლს.

ო'ჰიდის კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ლამაზი გოგოსათვის სიყვარულის ასახსნელი სიტყვები აშკარად არ შეეფერებოდა ამ ვითარებას და უმწეოდ ჩაახველა.

უხერხული მდგომარეობიდან კანტორის პარმაღზე გამომდგარი ბიკოვის მჭექარე ხმამ იხსნა.

— პეტკა!.. სანკა!.. ვირთხავ! სამუშაოზე!

ო'ჰიდიმ თავაზიანად ასწია ქუდი, ბიჭუნებს თავი დაუკრა და ნავსადგურისაკენ გასწია.

V

ქვაბისმხეხავ ბიჭებში, ბიკოვთან რომ მუშაობდნენ, მთელ შავ ზღვაზე განთქმული იყო თერთმეტი წლის მიტკა, მეტსახელად „ვირთხა", სწორედ ის, ვინაც ცინცხალი დოლარი დასტყუა ო'ჰიდის და ვისი თეთრი კბილებიც ასე მოეწონა მექანიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ იცოდა, საიდან იყო მიტკა, ვისი შვილი ან რა გვარისა. ორი წლის წინათ, შემოდგომის ერთ ღამეს პროვ კირიაკოვიჩმა ხიმინჯებიანი ფიცარნაგის ქვეშ სიცხით გათანგული ცოცხალ-მკვდარი ბიჭი იპოვა, მოარჩინა, აჭამა, ასვა და საქმეში ჩაბა.

დანარჩენი ბიჭები ოდესელი ღარიბების—მტვირთავებისა და მედროგეების შვილები იყვნენ. მიტკას კი, ოდესაში თუ მის ირგვლივ, არავინ ჰყავდა. მრავალგზის გამოკითხვის შედეგად მას მხოლოდ ერთი წვრილმანი გამოსძალეს, რომ დედამისს ლურჯი ქვედაკაბა ეცვა. მაგრამ ქვეყნად ბევრს აცვია ლურჯი კაბა და მიტკასაც არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა. ამ ნიშნით ეპოვა დაკარგული დედიკო, რომელმაც ნავსადგურში მიატოვა შვილი.

პროვ კირიაკოვიჩის მიტკაზე გაღებულ ხარჯებს უქმად არ ჩაუვლია. კანტორისათვის იგი მართლაც რომ განძი გამოდგა. ეს ჩხირივით წვრილი, შავგვრემანი ბიჭი ისეთნაირად იღუნებოდა და იგრიხებოდა, მის ადგილას სხვა ადამიანს ალბათ ძვლები გადაემტვრეოდა და სისხლძარღვებიც დააწყდებოდა. პროვ კირიაკოვიჩის საქმეში კი მოქნილობა ითვლებოდა მთავარ ღირსებად. თუ სხვა ბიჭები ვერაფერს გააწყობდნენ, მაშინ მიტკას უხმობდნენ. ის გველთევზასავით დაძვრებოდა ყველაზე ვიწრო მილებში, ისეთ კუნჭულებში და ხვრელებში შეცოცდებოდა, სადაც არავითარი ხერხით არ შეიძლებოდა შეღწევა. ერთხელ მან მოახერხა გამძვრალიყო ისეთ დაგრეხილ მილშიაც კი, ყოველი მეტრ-ნახევრის შემდეგ მახრჩობელა გველის რგოლებივით რომ დახვეულიყო. ამ ოინმა მთელ ნავსადგურში გაუთქვა სახელი. ბიკოვის მოშურნეებმა ორმაგი ხელფასი შეაძლიეს, რათა გადაებირებინათ ეს საოცარი ბიჭი, მაგრამ მიტკას, ვისაც მხოლოდ დედის კაბის ფერი ახსოვდა, თავისი რაინდული წესები ჰქონდა. ის ზიზღით ჩაისრუტუნებდა, წაწვეტებულ ცხვირს ააბზუებდა, სწორედ ამის გამოც შეარქვეს „ვირთხა“, და ბრაზმორეული პასუხობდა:

— მაშ მე ჩემს პატრონს ქურდზე უარესი ოინი ვუყო? მან მასვა, მაჭამა, მე კი ბრანწი შევჩარო ცხვირში? მასთან თავს კარგად ვგრძნობ.

გაწბილებული მოშურნეები ლანძღვა-გინებით მიდიოდნენ. ისიც სცადეს, მიტკა თავიდან მოეშორებინათ და ათამდე ბიჭი წააქეზეს „პალტო წაეფარებინათ“ მიტკასათვის, მაგრამ ჩხუბი დროულად შეამჩნიეს „ჩიხაჩევის“ მეზღვაურებმა და გასისხლიანებული ბიჭი ხელიდან გააგდებინეს მათ.

ასე დარჩა თავისი პირველი პატრონის ერთგული ვირთხა. პროვ კირიაკოვიჩი სულ უბრალო რამისათვის, რითაც მოხვდებოდა, იმით სცემდა ხოლმე ბიჭებს, მაგრამ თავის დღეში თითი არ დაუკარებია მიტკასთვის, იმიტომ კი არა, რომ ეცოდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ეშინოდა, ასე ძვირფასსა და საუცხოო ქმნილებას რაიმე ზიანი არ მივაყენოო.

ახლაც მიიღო თუ არა ხელსაყრელი დაკვეთა, გადაწყვიტა სამუშაოდ მიტკა გაეგზავნა, რადგან იცოდა, რომ ის ერთი შეასრულებდა ათი ბიჭის სამუშაოს. ბიკოვმა საფხეკები, თეგები და ჩაქუჩები დაურიგა ბიჭებს და თან ლეიზერიც გააყოლა. უჩვენე ბიჭებს, გემი სადაც დგასო.

ო'ჰიდი გემზე მისვლისთანავე კაპიტან ჯიბინსის კაიუტაში შევიდა.

— ღორობაა, — თქვა მან და შუბლი შეიმშრალა, — წელს ოდესაში ტროპიკებზე მეტად არ გრილა, მთლად გამოვშრი კაცი. მოიტათ, ჩამაყლაპეთ ის თქვენი წყეული ჩერი.

— გადაჭარით, — ჯიბინსმა ჭიქა გაუვსო, — როგორაა ქვაბების საქმე?

— მოვურიგდი. მისტერ ბიკოფი კისრულობს, ორ დღე-ღამეში გავაკეთებო.

— ოლ რაიტ. პატრონისაგან ახალი დეპეშაა. ლენსბები თანახმანი არიან გაგვიორკეცონ პრემია, თუ უკან დაბრუნებისას გზას კიდევ ორი დღით შევამცირებთ. ჩვენ გავმდიდრდებით, დიკი. მე შემეძლება ბანკში ცოტაოდენი ფული შევიტანო ჩემი ბავშვების მომავლის უზრუნველსაყოფად.

მექანიკოსმა ერთი მოსმით დაცალა ჭიქა.

— მე რაში მჭირდება, ბავშვები არ მყავს... მაგრამ თქვენ თანაგიგრძნობთ. ახლა წავალ, საბანაო კოსტუმში გამოვეწყობი, თორემ ლამის კიბოსაეით მოვიხარშო.

ო'ჰიდი წავიდა. ჯიბინსი საწოლთან მიდგა. კედელზე ტანსრული, გრუზათმიანი ქალის სურათი ეკიდა. ქალს ორი ბავშვი ეჭირა ხელში. კაპიტანმა ამოიოხრა, საწოლზე გაიშოტა და წათვლიმა.

VI

ო'ჰიდი ის იყო ჭყუმპალს მორჩა, რომ კაიუტის კარი ყურთამდე გააღო ზეთით გაპოხილ კომბინიზონიანმა ცეცხლფარეშმა.

—სერ, ქვაბების გასაწმენდად მოვიდნენ.

— საქვაბეში ჩაიყვანეთ, ახლავე მოვალ.

ტანი შეიწმინდა, ტრუსები ტანზე აიწუთხა, პირსახოცი ჩამოჭიდა და გემბანით სამანქანო ლუკამდე მივიდა, მსუბუქად ჩაირბინა ლითონის მოზრიალე კიბე და საქვაბეში შევიდა. მილებში რომ ტანი არ დაფხაჭნოდათ, ბიჭებს ბრეზენტის ამოჭრილი ტომრები გადაეცვათ.

ლეიზერ ცვიბელმა ზრდილობიანად დაუკრა თავი მექანიკოსს.

— ესენი ახლავე დაიწყებენ, ისეთი მარდი ბიჭები არიან, არხეინად ბრძანდებოდეთ.

ცვიბელის ხმაზე ერთი ბიჭი შემობრუნდა და ჩაბნელებულ საქვაბეში მისმა ბროლივით თეთრმა კბილებმა იელვა. მექანიკოსმა ის ბიჭი იცნო, ვისაც დოლარი აჩუქა, თვალი ჩაუკრა და ძველებურად შეესიტყვა:

— გამარჯობ, როგორ ცხოვრებ?

— აიჩემა რაღა კაჭკაჭივით ერთი და იგივე, — ჩაიცინა მიტკამ, — გითხარი, რომ კარგად ვარ. შენ ნუ გეშინია, ბიძავ, რახან დავიწყეთ, გავწმენდთ. აბა, ბიჭებო, ჰაიდა!

მან თეგი და ჩაქუჩი ტომრის ჯიბეში ჩაიწყო, ხელში საფხეკი აიღო, ერთხელ კიდევ გაუღიმა მექანიკოსს და მერე მილში შეძვრა. ო'ჰიდიმ დაიცადა, ვინემ სხვა მფხეკავებიც გაუჩინარდებოდნენ მილებში, ცვიბელს მოუბრუნდა და თავაზიანად მიიწვია ყავაზე. ცვიბელს ფრიად ეამა ასეთი დაფასება და მექანიკოსს უკან მიჰყვა კიბეზე. ფეხებს ისე მაღლა სწევდა, დაფხრეწილი წინდებიც კი უჩანდა.

მერე ამერიკელის კრიალა კუპეში ტკბილ ყავას სვამდა და ნამცხვარს ატანდა. დალია ერთი ჭიქა ლიქიორიც და უცბად სევდა შეამოაწვა. მოაგონდა თავისი საცოდავი ბინა მოლდავანკაზე, სადაც მუდამ მშიერი რახილი და ხუთი ბავშვი უცდის, მოაგონდა, რომ მისი ბინის ახლოს პოლიციის უბანია, სადაც ბატონი ბოქაული ზის და ამ ბოქაულს ყოველთვიურად ათი მანეთი უნ-

და მიუტანოს, სამიც უბნის პოლიციელს მიართვას. ამ ფიქრებმა ცვიბელს გული ისე დაუმძიმა, დაავიწყდა კიდეც, სად იყო. თავისი დამტვრეული ინგლისურით მოუყვა ამერიკელს თავისი გაჭირვება და ისიც ზრდილობიანად უსმენდა. მაგრამ ლეიზერმა მალე შეამჩნია, რომ ამერიკელს თავი მოაბეზრა, შერცხვა, წამოდგა და გამოსამშვიდობებლად აწრიალდა. ამ დროს კაიუტის კარი გაიღო და ზღურბლთან ისევ ის ცეცხლფარეში გამოჩნდა.

— მაპატიეთ, სერ... დაუყოვნებლივ დაბლა უნდა ჩამოხვიდეთ.

— რა მოხდა? — უკმაყოფილოდ იკითხა ო'ჰიდიმ.

— ცუდი ამბავია, სერ. ერთი ბიჭი მილში გაიჭედა და ვეღარ გამოდის.

— რაო? Damn. — შეიგინა მექანიკოსმა და კაიუტიდან გავარდა.

საქვაბეში მემანქანეები, ცეცხლფარეშები და ბიკოვის ბიჭუნები დახვდნენ. მათ მჭიდრო რკალი შეეკრათ მილის ღიობთან.

— რაშია საქმე? — მკაცრად იკითხა ო'ჰიდიმ, — რატომაა ეს ზედახორა? რანაირად მოხდა ასეთი რამე?

— ბიჭი უკვე კარგა ღრმად იყო მილში, — დინჯად აუხსნა უფროსმა მემანქანემ, — რომ უცბად ყვირილი მორთო. ჩვენ მაშინვე მივცვივდით, მაგრამ რას ყვიროდა, ვერ გავიგეთ. ახლა ტირის. ეტყობა, გაიჭედა და წინ ვეღარ მიდის.

— ვაიმე, რა ამბავია? — წამოიყვირა ო'ჰიდის კვალდაკვალ ზემოდან ჩამოფოფხებულმა ლეიზერმა, — ბიჭებო, მითხარით, რა მოხდა?

— მიტკა ჩაიჭედა მილში.

— შეძვრა და გამოძვრომა აღარ შეუძლია.

— ღრიალებს.

— უნდა გამოვიყვანოთ, — აყაყანდნენ ბიჭები სხვადასხვა ხმაზე.

ლეიზერმა თავი მილში შეყო და, როცა ჩუმი სლუკუნი გაიგონა, აღელვებით ჰკითხა:

— „ვირთხავ", ეგ რას ნიშნავს? რა დაგემართა, შენ გაგიხმეს ეგ თავი, ასე რომ გვარცხვენ მეცა და პატრონსაც.

„ვირთხას" ხმა, დროდადრო ტირილი რომ გამოერეოდა, ყრუდ ისმოდა მილიდან:

— მე თვითონ ვერ გამიგია, ლეიზერ აბრამოვიჩ... მე, ღმერთმანი, დამნაშავე არა ვარ. მივძვრებოდი, როგორც ყოველთვის, და უცბად მკლავი მუცელქვეშ ამომიბრუნდა... ვერა და ვერ გამომიღია... მტკივა! — მიტკა კვლავ ატირდა.

ლეიზერმა ხელი ხელს შემოჰკრა.

— მკლავი ამოუბრუნდა! გინახავთ ასეთი რამ? ან რატომ ამოგიბრუნდა, როცა ფულს იმაში გაძლევენ, რომ არ ამოგიბრუნდეს. გამოძვერ, შე სასიკვდილევ, შე დამთხვეულო შენ!

მილიდან ფაჩუნი და კვნესა მოისმა.

— უჰ, არ შემიძლია... უჰ, ძვალი მემტვრევა, — ისმოდა ხმა.

ლეიზერი აცმუკდა.

— შენ გინდა დამღუპო, საძაგელო? — შესძახა მან მილში, — გიჯობს გამოძვრე, თორემ ვეტყვი პროვ კირიაკოვიჩს და ყურებს დავაგლეჯს.

— არ შემიძლია...

— ჰაა?.. არ შეუძლია.. გაგიგონიათ ასეთი რამ? პეტკა, შეძვერი მილში,

სწვდი ფეხებში, ჩვენ კი ორივეს ერთად გამოგათრევთ. შეძვერი-მეთქი, საზიზღარო. ვაჰ, ეს რა უკუღმართი ბავშვები არიან.

პეტკა მილში შეძვრა.

— ფეხები მაგრად დაუჭირე, არ გაგეშვას, — იძლეოდა განკარგულებას ლეიზერი, — ჩასჭიდე ხელი? აბა, ბიჭებო, ფეხებით დაითრიეთ პეტკა. ის ისევე უვნებელი უნდა გამოვიყვანოთ, როგორც მე ვარ.

ბიჭები ხარხარით მოეჭიდნენ მილიდან გამოშვერილ პეტკას ჭუჭყიან შიშველ ფეხებს და გამოსწიეს. ანაზდად მილიდან მიტკას განაწამები, გულის გამგმირავი კივილი მოისმა:

— ვაიმე, ბიჭებო, გენაცვალეთ!.. გამიშვით!.. მტკივა!.. ვაი, ხელი!. ვაი... ვაი, ვაი!..

დაბნეულმა ბიჭებმა ხელი უშვეს პეტკას ფეხებს და მოღუშვით შეხედეს ერთმანეთს. ლეიზერი გაფითრდა.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, ბატონო მექანიკოსო, — სწრაფად ჩაილაპარაკა მან, — ეს არაფერია... სულ უბრალო რამეა... მე ახლავე ბატონ ბიკოვს მოვიყვან, ის წუთში გამოათრევს.

კიბისაკენ გავარდა და ისეთი სისწრაფით აირბინა, თვითონ ო' ჰიდისაც კი შეშურდებოდა.

დანარჩენები ჩუმად იდგნენ მილთან, საიდანაც ქვითინი ისმოდა.

— ზეთი უნდა ჩავასხათ, — წაილაპარაკა მემანქანემ, — მილი გაილიპება და ბიჭსაც ადვილად გამოვათრევთ.

ო'ჰიდი მილის ღიობთან დაიხარა. იგი შეწუხდა, როცა გაიგო, რომ მილში სწორედ ის თეთრკბილება ეშმაკუნა გაჭედილიყო, ვინაც დანახვისთანავე მიიპყრო მისი ყურადღება.

მექანიკოსს გულისკოვზთან დაუწყო წიწკნა, ძალიან უნდოდა რითიმე დახმარებოდა ბიჭს და, თავისი უძლურებით გულდაწყვეტილმა, ალერსიანი ხმით შესძახა:

— ჰელო, ბები, გამარჯობ, როგორ ცხოვრებ?

ბიჭებმა ჩაიხითხითეს. მილიდან ტირილთან ერთად სევდიანი პასუხი მოისმა:

— ცუდად... ხელი მტკივა, ნაღდად მოტეხილია.

რაკი ვერაფერი გაიგო, ო'ჰიდი უფრო მეტად შეწუხდა და აღელდა. იგი მოღუშული სცემდა ბოლთას ვიწრო საქვაბეში.

VII

კიბე შექანდა და შეზანზარდა. ზედ პროვ კირიაკოვიჩი ჩამოდიოდა.

ბიკოვს აღელვებულ ო'ჰიდისათვის არც შეუხედავს, მაშინვე მილთან შეჭუჩულ ენაჩავარდნილ ბიჭებს ებდღვნა.

— თქვენ რა, მუქთახორობას აპირებთ აქა? მერედა ვიღამ იმუშაოს? შეძვერით მილებში, ძაღლის ნაშიერებო, თორემ ყველას თაქები მოგხვდებათ.

— „ვირთხა" გაიჭედა, პროვ კირიაკოვიჩ, — საწყალობლად აწრიპინდა პეტკა.

პროვ კირიაკოვიჩმა ლამის ყური აახია ბიჭს.

— შენ კიდევ ხმას იღებ, ცინგლიანო? შენ ვიღა გეკითხება?.. ჩაიჭედაო... მე მაგას ვაჩვენებ ჩაჭედვას... ჰაიდა მილებში. თუ სამუშაოს ვადაზე არ შეასრულებ, ფულს თქვენ გადამიხდით?... უჰ, თქვე ძაღლის ლეკვებო!

ბიჭები დაიფანტნენ და მილებში გაუჩინარდნენ.

პროვ კირიაკოვიჩი მძიმე ნაბიჯებით მივიდა იმ დანავსულ მილთან.

— მიტკა, — მუქარით დაუძახა მან, — შენ რა, უსირცხვილო, საქმე გინდა წამიხდინო? გამოძვერი ამ წუთში.

— პროვ კირიაკოვიჩ, გეთაყვა, ნუ გამიჯავრდებით, საყვარელო, მე თვითონ სიხარულით გამოვძვრებოდი, მაგრამ არ შემიძლიან, ღმერთი, რჯული, ხატი. ძალიან ვიღრძე ხელი, — მოისმა ლითონით დახშული სუსტი ხმა.

ბიკოვს სისხლი მოაწვა.

— მე შენ სეირს ნუ გამიმართავ, ეშმაკის კერძო, გამოძვერი, გეუბნები, თორემ სიფათს ამოგინაყავ.

მილიდან ტირილი მოისმა.

— სჯობია, მომკლათ, მეტი ტანჯვის ატანა აღარ შემიძლია, ვაი, მტკივაა...

პროვ კირიაკოვიჩმა კეფა მოიფხანა.

— ხედავ შენ... მართლა გაჭედილა ძაღლის ლეკვი... საჭიროა ფეხებზე თოკი მოვაბათ და გამოვათრიოთ.

ლეიზერი უკანიდან ფრთხილად მიუახლოვდა ბიკოვს.

— რა უბედურებაა, რა უბედურება... ჩვენ უკვე ვსინჯეთ, მაგრამ ვერ გამოვათრიეთ... ბატონი მემანქანე ამბობს, საპოხი ზეთის ჩასხმაოო საჭირო, მაშინ უფრო გალიპდებაო...

— აცხა, ურიავ! — შეაწყვეტინა ბიკოვმა, — უშენოდაც ვიცი. უთხარი ინგლისელებს, მოიტანონ ზეთი.

მხარბეჭიანმა კანადელმა ცეცხლფარეშმა, ნაჭრილობევი რომ აჩნდა მთელ ლოყაზე, სათლით მოიტანა სქელი ზეთი. პროვ კირიაკოვიჩმა ლუსტრინის პიჯაკი გაიძრო და ერთი აქნევით ღრმად შეასხა ზეთი მილში.

— ცოცხი! — უყვირა მან შეშინებულ ლეიზერს, მერე ცეცხლფარეშს ხელიდან გამოსტაცა ცოცხი და მილში ატაკა.

— კიდევ ზეთი!

მუქმწვანე ლიპი წუმპით სავსე მეორე სათლიც დგაფუნით ჩაიღვარა მილში.

— პეტკა, შეძვერი, არამზადავ, და თოკი მოაბი ფეხებზე.

პეტკა მილში შეძვრა. ჭუჭყიან ლოყებზე ოფლი და ცრემლი დასდიოდა, ეშინოდა და თან „ვირთხაც“ ეცოდებოდა. მალე უკანვე გამოძვრა გამურული და ზეთით გალიპული.

— მოვაბი, — თქვა და გააფურთხა.

პროვ კირიაკოვიჩმა თოკის ბოლო ხელზე დაიხვია, მხარზე გადაიგდო და გამოსწია. მილი განწირულმა კივილმა შესძრა.

— კრინტი! — გაშმაგდა ბიკოვი, — ბატონი გამიხდა! მოუთმინე, ამწამს გამოგაძრობ, — მან მეორედ მოსწია თოკი და საქვაბე აუტანელმა ღრიალმა გააყრუა.

ვინემ პროვ კირიაკოვიჩი მესამედ გამოსწევდა, ო'ჰიდი მხრებში სწვდა და საქვაბის კუთხეში მიყრილ წიდის გროვაზე გადაისროლა.

— უთხარით, მე ნებას არ მივცემ აწვალოს ბიჭუკელა, — დაუყვირა მან ლეიზერს.

სიბრაზისაგან წამოჭარხლებული ბიკოვი წამოდგა.

— შენ... გადაეცი ამ ურჯულოს — რაკი ასეა, დაე თვითონ იწვალოს. თუ ესეც არ უნდა, მაშინ მილის გამომტვრევა მოგვიწევს.

გაშეშებულმა ლეიზერმა გადათარგმნა.

ო'ჰიდიმ თავი დააქნია.

— კარგი. მე წავალ, კაპიტანს მოვახსენებ.

მან კიბე აირბინა და საძრომში გაუჩინარდა. პროვ კირიაკოვიჩს უნდოდა ერთხელ კიდევ გამოეწია თოკი, მაგრამ სახენაჭრილობევმა კანადელმა მუქარით აღმართა მუშტი და ბიკოვიც აღარ განძრეულა.

საძრომიდან კვლავ გამოჩნდა ო'ჰიდის თავი.

— ბატონო ცვიბელ, ამოდით და სთხოვეთ ბატონ ბიკოვსაც ამოგყვეთ. კაპიტანს სურს მოგელაპარაკოთ.

პროვ კირიაკოვიჩმა გააპურჭყა, შეიგინა და ზემოთ ავიდა.

კაპიტანი ჯიბინსი საძრომთან იდგა და ცივი, მოჭუტული თვალებით ბიკოვს შესცქეროდა. მან სთხოვა, აეხსნათ მისთვის, თუ რა მოხდა. ლეიზერს მოუსმინა და ნაყე-ნაყედ, მოწყენილად თქვა:

— გემისა და ტვირთის მფლობელების თანხმობის გარეშე მილის გამომტვრევის უფლებას ვერ მოგცემთ. მე ახლავე გავგზავნი სასწრაფო დეპეშას ნიუ-ორლეანში. მანამდე სცადეთ, იქნებ როგორმე გაათავისუფლოთ ბიჭუნა.

გაცოფებული ბიკოვი ძირს ჩავიდა. მილში კვლავ ზეთს ასხამდნენ, თოკს ხან სწრაფად, ხან ფრთხილად, დაყოვნებით ეწეოდნენ. თოკის ყოველი გამოწევა აუტანელ ტკივილს აყენებდა მიტკას და იქაურობას გულისწამღები კივილით სძრავდა. მიტკა ქვითინებდა და იხვეწებოდა, მირჩევნია უცბად მომკლათო.

ასე გაგრძელდა საღამომდე. საღამოს ბიკოვს ლანძღვა-გინების მარაგი შემოელია და ნაპირზე ჩავიდა. ცეცხლფარეშები ბიჭის ყრუ ქვითინს უგდებდნენ ყურს და ჩუმად საუბრობდნენ.

— ის დიდხანს ვერ გაატანს, — თქვა შეფიქრიანებულმა კანადელმა, — ისევ აცეტილენით უნდა გაიხერხოს მილი.

— ჯიბინსი არ დათანხმდება, — გამოეპასუხა მეორე ცეცხლფარეში.

— არამზადა! — ჩაიხიხინა კანადელმა და მილს მუშტი შემოჰკრა.

VIII

კაპიტანმა ჯიბინსმა დილითვე მიიღო დეპეშის პასუხი და კაიუტაში წაიკითხა. ყოველი სტრიქონის წაკითხვის შემდეგ სახე უფრო და უფრო უქვავდებოდა. პატრონი აუწყებდა: ის არამც და არამც არ დაუშვებს რომელიღაც მურდალი რუსი ბიჭის გულისთვის საქმე შეფერხდეს და დაგვიანების გამო მთელ პასუხისმგებლობას ჯიბინსს აკისრებს.

„ამერიკაში მუდამ მოვნახავთ ისეთ კაპიტანს, ვინაც შესძლებს უფრო ერთგულად დაიცვას ფირმის ინტერესები“, — ასე თავდებოდა დეპეშა.

კაპიტანმა ჯიბინსმა თვალები დახუჭა. თვალწინ წარმოუდგა ცოლი და

ორი ბავშვი. სახე მოეღრიცა. სწრაფად გაფხრიწა დეპეშის ფურცელი და გემბანზე გავიდა. იქ, ო'ჰიდის წინ ბიკოვი იდგა და ცვიბელს ხელების ქნევით რაღაცას უხსნიდა. ცვიბელმა კაპიტანი დაინახა და საცოდავი, შეშინებული მზერა მიაპყრო.

— ბატონო კაპიტან, ამერიკიდან უკვე მიიღეთ პასუხი?

— დიახ, — ცივად უპასუხა ჯიბინსმა, — გადაუთარგმნეთ ბატონ ბიკოვს, რომ არც ერთი საათით არ შევფერხდები. დღეს საღამოს საცეცხლეები უნდა აინთოს, ხვალ დილით გავალთ. თუ ბატონი ბიკოვის მიზეზით ეს არ მოხდება, ის მოვალე იქნება გადაიხადოს ჩემიც და კომპანიის ზარალიც.

ბიკოვმა ხელები მომუშტა **და გულიანად შეიგინა.**

— ოჰ, შე წყეულო ნაბუშარო! ჩაეღრძე მაინც მაგ მილში, მამაძაღლო!

ლეიზერი უკან გახტა.

— ეგ რა თქვით, პროვ კირიაკოვიჩ! განა ბავშვმა რა დააშავა, რომ ასეთ ცუდ ადგილას მოკვდეს?

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — დაიღრიალა ბიკოვმა.

კაპიტანმა ჯიბინსმა კაიუტაში დააპირა წასვლა, მაგრამ იგი სახენაჭრილობევმა კანადელმა შეაჩერა, სამანქანოდან რომ ამომძვრალიყო გემბანზე:

— მაპატიეთ, ბატონო, ხალხი მილის გაჭრის ნებართვას გთხოვთ. მეტის დაყოვნება აღარ შეიძლება, ბავშვი ოდნავღა სუნთქავს. ჩვენ...

ჯიბინსის გაპარსულ ლოყებს ვარდისფერმა გადაჰკრა. ხმა არ აუწევია, ისე უპასუხა:

— გიკრძალავთ.

— მაგრამ ეს მკვლელობაა, ბატონო, — მუქარით წაიწია მისკენ კანადელი, — ჩვენ ამას არ დავუშვებთ, თქვენი თანხმობის გარეშეც გავჭრით მილს.

— აბა სცადეთ! — უფრო ჩუმად წარმოთქვა ჯიბინსმა, — თქვენ კარგად იცით, რას ნიშნავს ამბოხება გემზე და რას ამბობს ამაზე კანონი. მე ორ პენსაც არ გავიმეტებდი თქვენს ტყავში. გასაგებია?

კანადელს სისხლი მოაწვა ნაჭრილობევზე. მან გამგმირავად შეხედა ჯიბინსს, სწრაფად მიბრუნდა და საძრომში გაუჩინარდა.

— თვალი გეჭიროთ, ო'ჰიდი, სამანქანოს ხალხზე თქვენ აგებთ პასუხს, — ბრაზით ესროლა ჯიბინსმა მექანიკოსს და კაიუტისაკენ წავიდა.

ბიკოვი და ცვიბელი საქვაბეში ჩავიდნენ. მიტკა აღარ პასუხობდა ძახილზე, მხოლოდ ოდნავ გასაგონად გმინავდა. ზარმა სადილზე მოუხმო მეზღვაურებს, საქვაბე დაცარიელდა. ბიკოვი მილთან დაიხარა და დიდხანს აყურადებდა, მერე გასწორდა და წარბებზე კეპი ჩამოიფხატა.

— წავიდეთ კაპიტანთან, — უბრძანა მან ცვიბელს და ზევით აფოფხდა.

კაპიტანი ჯიბინსი ბივფშტექსს გეახლებოდათ და მშვიდი, უშფოთველი თვალებით შეჰყურებდა ბიკოვსა და ცვიბელს.

— გამოიყვანეთ? — იკითხა მან და თან ხორცს ცვრიანი ნაჭერი მოათალა.

— არაფერი გამოდის, ბატონო კაპიტანო, ვაი, რა უბედური შემთხვევაა, — დაიწყო ლეიზერმა, მაგრამ ბიკოვმა შეაწყვეტინა, ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და აჭარხლებული სახე უცბად გადაუფითრდა.

— უთხარი მას, ლეიზერ, — წამოიწყო ხმადაბლა, თუმცაღა მისი ნათქვამის გაგება ცვიბელის მეტს არავის შეეძლო, — უთხარი, რომ იმ ტუტუცის გამოყვანა შეუძლებელია, მე კი ზარალის გადახდა არ შემიძლია. სადა მაქვს

ამდენი ფული! — ბიკოვი შეჩერდა, მთელი მკერდით ჩაისუნთქა ჰაერი და ყრუდ ამოიოხრა, — დაე გაახურონ საცეცხლეები.

ლეიზერმა ამოიგმინა.

— ვაიმე, პროვ კირიაკოვიჩ! ვის გაუგია ასეთი ხუმრობა? როგორ ვუთხრა ამერიკელ კაპიტანს, რომ ბავშვი მოკლას? ჯობია თქვენ თვითონ უთხრათ, რაც გსურთ, მე არ შემიძლია. აწი ხომ აღარ გაგვახარებს ღმერთი არც მე და არც ჩემს შვილებს.

ბიკოვი მაგიდაზე გადაიხარა.

— მომისმინე, ლეიზერ, — ჩაუსისინა მან, — არ გეხუმრები. მე არ შემიძლია სამათხოვროდ გავიხადო საქმე ამ ნაბიჭვრის გულისათვის. აი, ჩემი სიტყვა: თუ არ ეტყვი კაპიტანს, რაც გითხარი, პირჯვრის მადლმა, ბატონ ბოქაულს ვუამბობ, შარშანწინ რომ დადიოდი დერიბასოვკაზე წითელი ალმით და მეფის წინააღმდეგ ყვიროდი.

ლეიზერს ზურგში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მაინც სცადა.

— მერედა რა მოხდა? — თქვა მან საცოდავი ღიმილით, — ბატონი ბოქაული არაფერსაც არ იტყვის. რომელი ებრაელი არ დადიოდა მაშინ წითელი ალმით და არ ყვიროდა სისულელეებს?

— სისულელეებს? არწივის ამბავი დაგავიწყდა? თუ გგონია, არ ვიცი.

ლეიზერი შეტორტმანდა. ეს მომაკვდინებელი ლახვარი იყო. მაშ ბიკოვს სცოდნია ის, რასაც ლეიზერი მთელი ეს ხანი გულმოდგინედ მალავდა და ეგონა, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარაო. მაშ იცის, რომ მარაზლიევსკაიაზე გამწარებულ სტუდენტებთან ერთად ლეიზერ ცვიბელმა აფთიაქიდან არწივი ჩამოგლიჯა და გაშმაგებით თელავდა ფეხებით მის შავ ფრთებს. ეს წითელ ალამზე გაცილებით უარესი ამბავი იყო. ლეიზერმა თვალები დახუჭა, ბიკოვი კი სისინს განაგრძობდა:

— შლიკერმანიც აღარ გახსოვს?

ცვიბელმა დაიკვნესა. მას გაახსენდა საპოლიციო უბანი, შლიკერმანის დამახინჯებული სხეული, პოლიციელებმა რომ ცემით მოკლეს, მწარედ ამოიოხრა და წაილუღლუღა:

— ცოდვა თქვენზე იყოს, პროვ კირიაკოვიჩ... კარგი, ვეტყვი კაპიტანს.

როცა ბიკოვის სიტყვებს კაპიტან ჯიბინსს უთარგმნიდა, ლეიზერს ხელები უკანკალებდა, ტუჩები უთრთოდა. ჯიბინსი ხმაამოუღებლივ უსმენდა. სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია. მერე პირიდან ჩიბუხი გამოიღო და დინჯად უპასუხა:

— უთხარით ბატონ ბიკოვს, რომ ეს მისი საქმეა, ბიჭუნაც მისია და საწარმოც. დაე მოაგვაროს ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია... თუკი შესძლებს ყოველივე დაუმალოს მეზღვაურებს და როგორმე მოატყუოს ხალხი. მე არაფერი მსმენია და არაფერი ვიცი. ოღონდ საღამოს საცეცხლეები უნდა აინთოს.

ბიკოვი პირმოკუმული გამოვიდა გემბანზე ცვიბელთან ერთად. საღამო იყო, წყნარ ზღვაზე ფირუზისფერი ჩრდილები გაწოლილიყო. სიმშვიდეს მხოლოდ თოლიების კივილი არღვევდა. ბიკოვი ცვიბელს მიუბრუნდა და მრისხანედ ჩასჩურჩულა:

— გახსოვდეს, ვინმესთან კრინტი და — გამქრალი ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

საქვაბეში ბიჭების გარდა არავინ იყო. ამერიკელები ჯერ არ ჩამობრუნებულიყვნენ სადილიდან. ბიჭები მილთან იდგნენ, რომლის ღრუშიც პეტკას შეეყო თავი, და ჩურჩულებდნენ... ბიკოვი ბეჭებზე აჩაჩულ ბრეზენტში სწვდა პეტკას და თავისკენ მოსწია. პეტკას გამურულ სახეზე თეთრი ღილებივით აინთო შიშისაგან დაჭყეტილი თვალები.

— სად შემძვრალხარ, უსირცხვილოვ? ისევ ზარმაცობთ? ყველას დაგხოცავთ, ეშმაკსაც წაუღიხართ! — დაიყვირა პროვ კირიაკოვიჩმა და პეტკა მაღლა ასწია.

— უკვე მოვრჩით, პროვ კირიაკოვიჩ, — აწრიპინდა პეტკა, — ხელდახელ მოვრჩით ყველა მილს. „ვირთხა“ რომ არა, გეფიცებით, ყველაფერს ერთი საათით ადრე მოვათავებდით.

პროვ კირიაკოვიჩმა ახედა საძრომის კვადრატულ ჭრილს, საიდანაც ლურჯი ცა მოჩანდა, თავისკენ მიითრია პეტკა და წაუდუდღუნა:

— ახლავე მილში შეძვერი „ვირთხასთან“. აჰა თოკი, ფეხზე შეიბი და შეძვერი. როგორც კი ინგლისელები სადილიდან დაბრუნდებიან, მე გამოთრევას დაგიწყებ, შენ კი ისეთ ხმაზე იყვირე, ვითომ პეტკა კი არა, ვირთხა ხარ.

— ეგ რისთვის, პროვ კირიაკოვიჩ?

— კიდე რომ მეკითხება... როგორც კი გამოგათრევ, ძროხასავით დაიწყე ბღავილი, ვითომ სიხარულისაგან. აბა გასწი, თორემ ხელდახელ ეშმაკთან გაგამწესებ, თქვენ კი ენას კბილი დააჭირეთ, ქვად იქეცით, თორემ ათმაგ ტყავს გაგაძრობთ, — უყვირა მან დანარჩენ სამს.

პეტკა მილში გაუჩინარდა, საიდანაც მხოლოდ თოკის ბოლო მოჩანდა. საძრომის ჭრილი დაიჩრდილა, ამერიკელი მეზღვაურების ფეხქვეშ კიბე აჟღრიალდა. ცვიბელმა ხმაურით ამოიოხრა და ბიკოვს იდაყვზე გაუბედავად შეეხო.

— პროვ კირიაკოვიჩ, — უთხრა ხმის კანკალით, — ნუთუ თქვენს თავს გინდათ ანაცვალოთ უდანაშაულო ბავშვი?

ბიკოვმა შეხედა.

— მეტისმეტად კეთილი გული აქვს შენს ერს! — თქვა მან ზიზღნარევი გაკვირვებით, — ეტყობა, ამიტომაც გდევნიან ყველა ქვეყანაში... — და უცბად ბრაზით აენთო და დაუყვირა: — შენია თუ? შენი რა საქმეა? მე ვიპოვე და მევე ვაგებ მაგაზე პასუხს. სულ ერთია უსახლკაროა, არავინ მოიკითხავს. თუ მოიკითხავენ, ეეტყვი, გაიქცა, ინგლისელებს გაჰყვა-მეთქი... მომწყდი თავიდან.

ლეიზერი უკან გახტა. ჩამოსული ცეცხლფარეშები მილს მიუახლოვდნენ. ბიკოვმა ჩაახველა, თოკს ჩაეჭიდა და მთელი ძალით მოსწია.

მილში პეტკა აყმუვდა, თოკი დაიძრა.

— გამოსწი, გამოსწი! — აყვირდა ბიკოვი.

ცეცხლფარეშები მიხვდნენ, ისინიც ჩაეჭიდნენ თოკის ბოლოს. გამოჩნდა პეტკას ფეხები, საჯდომი და ბოლოს მთელი ტანი გამოცურდა. ხელებგაფარჩხული პეტკა პირქვე დაენარცხა წიდის წვეტიანი ბელტებით დაფარულ

რკინის იატაკზე, შუბლი დაარტყა და უკვე გულწრფელად აბღავლდა. აყაყანებულმა ცეცხლფარეშებმა ასწიეს და კიბე-კიბე აათრიეს გემბანამდე. კანადელმა ხელსახოცით მოსწმინდა პეტკას გამსკდარი შუბლიდან მონადენი სისხლი, უნდოდა სახიდანაც მოეწმინდა შავი ზეთი, მაგრამ ბიკოვმა ხელიდან წაგლიჯა ბიჭი და ნავსადგურზე ჩამავალ კიბისკენ წაათრია. გზაში ხმაურზე გამოსულ ო'ჰიდის შეეფეთა.

— რა მოხდა? — იკითხა მექანიკოსმა.

კანადელმა სხაპასხუპით აუხსნა, ბავშვის გამოყვანა მოხერხდაო.

ო'ჰიდი ბიკოვთან მივიდა. უნდოდა გამამხნევებელი საალერსო რამე ეთქვა გადარჩენილისათვის, ხელისგულით შეეხო პეტკას გაწებილ თმას. პეტკამ თავი მოაბრუნა და პირი გააღო. მექანიკოსმა შავი, ჭიანი კბილები დაინახა, სულ რომ არ ჰგავდა მიტკას ჩაკიწკიწებულ ბროლივით კბილებს.

ო'ჰიდიმ ხელი მოაშორა და გაკვირვებულმა გაადევნა თვალი ბიკოვს, სწრაფად რომ ჩარბოდა ნავმისადგომზე და თან პეტკას მიათრევდა. როცა ისინი საწყობის კუთხეს მიეფარნენ, მექანიკოსი ქიმს მოშორდა და საქვაბეში ჩავიდა.

ბიჭებს იარაღი შეეგროვებინათ და წასასვლელად ემზადებოდნენ. ო'ჰიდიმ შეიცადა, სანამ ისინი მაღლა ავიდოდნენ, მერე ბარჯი აიღო და ღრმად შეყო მილში. ბარჯი რაღაცა რბილს წამოედო და ო'ჰიდის ოდნავ გასაგონი კნავილი მოესმა.

მან ბარჯი ძირს დააგდო და რამდენიმე ნახტომით აირბინა კიბე. გემბანზე ნაბიჯი შეანელა და კაპიტნის კაიუტის კარზე დააკაკუნა.

ჯიბინსმა გაკვირვებით შეათვალიერა მექანიკოსის გაფითრებული პირისახე, გაგანიერებული ღიღილოსფერი თვალები და ოფლით დაცვარული შუბლი.

— დიკი, რა დაგემართათ? — შეეკითხა იგი.

მექანიკოსს სული ეხუთებოდა.

— ფრედ!.. საშინელება მოხდა, ამ არამზადა ბიკოვმა მოგვატყუა. მილიდან სხვა ბიჭი გამოათრია, ის იქვე დარჩა, თითქმის მკვდარია, პასუხის გაცემაც კი აღარ შეუძლია...

კაპიტანი ჯიბინსი ჩიბუხს ატრიალებდა ხელში, პირისახე გაუქვავდა.

— ასეც მეგონა, — წყნარად ჩაილაპარაკა.

მექანიკოსი განცვიფრდა.

— როგორ? თქვენ ეს იცოდით?

— არ ვიცოდი, მაგრამ ეჭვი მქონდა, — ჯიბინსმა კბილები დააჭირა ჩიბუხს, ასანთის ღერი ლანჩს ამოჰკრა და ნელა მოუკიდა თუთუნს. — მაგრამ ეს სულ ერთია. ჩვენ მეტი გამოსავალი არა გვაქვს. ჩვენ მოვალენი ვართ ხვალ დილით გავიდეთ, როგორც კი უკანასკნელ ტომარა კოპტონს გადმოვიტანთ. საღამოს ათ საათზე საცეცხლეებს გაახურებთ.

— თქვენ გაგიჟდით? მერე ბავშვი?

კაპიტანმა ჯიბინსმა თავი ასწია. მომწვანო თვალები ყინულის ნატეხებად ექცა.

— მომისმინეთ, მეგობარო, თუ მე პატრონის ბრძანებას არ შევასრულებ, გამაგდებენ და შავ სიაში შემიტანენ. მერე არც ერთი კომპანია აღარ მიმიღებს სამუშაოზე. თქვენ უცოლო ხართ, მე კი ცოლიც მყავს და შვილებიც. ვიცი, რომ ჩადენილია დანაშაული, თუკი მაღალი ზნეობის თვალსაზრისით

ვიმსჯელებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მე პირადი ზნეობის თვალსაზრისით ვმსჯელობ. მე არ მინდა ჩემი ოჯახი ქუჩაში შიმშილით ამოწყდეს. ჩემთვის ძვირფასნი არიან ჩემი ბავშვები. შეიძლება თქვენ ვერ გამიგოთ, მაგრამ როცა ვფიქრობ იმაზე, თუ რა მოუვათ ჩემს შვილებს, ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას... და არც თქვენ მოინდომებთ ჩემი შვილებიც ისეთსავე მათხოვრებად და მაწანწალებად აქციოთ, როგორიც ეგ ბიჭია...

— მაგრამ მეზღვაურები?..

— ისინი ვერაფერს გაიგებენ, თუ თქვენ არ ეტყვით. თქვენ კი გაჩუმდებით. იმიტომ, რომ არ ისურვებთ ჩემი შვილების დაღუპვას. ეგ ბიჭი სულერთია ვერ გადარჩება, კიდევ ორი-სამი საათი და გაიგუდება... ათ'ხე ჩვენ ნახშირს ვყრით საცეცხლეებში, ეს ჩემი ბრძანებაა!

ო'ჰიდიმ საფეთქლები მოისრისა, მოეჩვენა, რომ თავი რეზინის ბურთივით ებერებოდა და სადაც იყო გაუსკდებოდა.

— კარგი... ჩუმად ვიქნები. ღმერთმა შეგვინდოს მეცა და შენც, ფრედ.

X

„მეჯი დალტონი“ ზუსტად შუადღისას გავიდა ოდესის ნავსადგურიდან. ნავმისადგომზე კაციშვილი არ ჰაჰანებდა, მხოლოდ საწყობებთან ჩანდა გაცვეთილ, გრძელ სერთუკიანი ვიღაც მოკრუნჩხული კაცი. ლეიზერ ცვიბელი გემის გასაცილებლად მოსულიყო. მას მხოლოდ ცარიელი ჯიბე და ადამიანისათვის უსარგებლო ჩვილი გული გააჩნდა. როცა „მეჯი“ თვალს მოეფარა, ცვიბელი ნავმისადგომს წელში მოხრილი მოსცილდა, თითქოსდა ზურგზე ყველასათვის უჩინარი საშინელი ტვირთი აწვა.

„მეჯიმ“ მშვიდობიანად გაიარა ბოსფორი და გიბრალტარი. მანქანები კარგად მუშაობდნენ, ოდესაში ნაყიდი ნახშირი კარგი ხარისხისა გამოდგა, ხალხიც ჩინებულად მუშაობდა. მხოლოდ უფროსი მექანიკოსი ო'ჰიდი ვერ იყო გუნებაზე, დილიდანვე უგონოდ თვრებოდა ხოლმე და ისე დასიებული და შეშუპებული იწვა თავის კაიუტაში, კაცს მისი დანახვა შეაშინებდა.

„მეჯი“ გიბრალტარის სრუტით ატლანტიკის ოკეანეში გავიდა — შეუპოვარი გენუელის მიერ ხუთი საუკუნის წინათ გაკვალულ გზაზე. პირველსავე ღამეს, გუშაგის, მეზღვაურების თვალწინ, ო'ჰიდი ზღვაში გადახტა. გრილი ამინდი იყო, ქარს ტალღები წამოეფოფრა და კანჯოების ჩაშვება სარისკო იყო. კაპიტანმა ჯიბინსმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვით აღნიშნა ეს სამწუხარო შემთხვევა სავახტო ჟურნალში.

თერთმეტი დღე სერავდა „მეჯი“ ოკეანის ტალღებს, მეთორმეტე დღეს კი მშობლიურ ნავმისაბმელთან გაჩერდა ნიუ-ორლეანის ნავსადგურში. გემის პატრონი და ხმელ-ხმელი ჯენტლმენი, ფირმის მეთაური ლენსბი, თეთრი ცილინდრი რომ ეხურა, ერთად ავიდნენ გემბანზე, რათა კაპიტნისათვის მადლობა ეთქვათ მარჯვე მგზავრობისა და სანიმუშო სამსახურისათვის.

— პრემიის გარდა ჩვენ გაძლევთ საგანგებო ჯილდოსაც. მისტერ ლენსბიმაც თავის მხრივ საჭიროდ სცნო დაეჯილდოებინეთ გულმოდგინებისათვის... ჰო, მართლა, ოდესაში როგორ მოაგვარეთ ის საქმე?

კაპიტანმა ჯიბინსმა თავი დახარა.

— გმადლობთ. უბრალო რამე იყო, არც ღირს გასახსენებლად, — უპასუხა კაპიტანმა. მას, როგორც ყოველთვის, სირმებიანი ლურჯი ქუდი ეხურა და ტარდაღრღნილი ჩიბუხი კბილით ეკავა. მშვიდ პირისახეზე არც ერთი ნაოჭი არ ემჩნეოდა.

ღამით, როცა განთავისუფლებული მეზღვაურები ნაპირზე ჩავიდნენ და გემზე მხოლოდ გუშაგი დარჩა, კაპიტანი ჯიბინსი საქვაბეში ჩავიდა. საგულდაგულოდ დაკეტა ბანის საძრომი, გრძელი საჩხრეკი აიღო და მილში შეყო. დიდხანს უჩხიკინებდა მილს. რკინის იატაკზე რამდენიმე დამწვარი ძვალი ჩამოვარდა, მერე ხმაურით ჩიკორივით პატარა თავის ქალა გამოგორდა. ხელმეორედ რომ შეჰყო საჩხრეკი, იატაკზე ზრიალით დაეცა რაღაც. ჯიბინსი დაიხარა და აიღო. ეს იყო რკინის პატარა კოლოფი, რომელშიც იაფფასიან შაქარყინულს ინახავენ ხოლმე. კოლოფი გამურული იყო. კაპიტანმა დანა ამოიღო და კოლოფი გახსნა. მის ფსკერზე სპილენძის რამდენიმე ღილი და ცეცხლისგან გაშავებული დოლარი ეყარა. ჯიბინსმა კოლოფი დახურა და ჯიბეში ჩაიდო, მერე ჩაიმუხლა, ცხვირსახოცი გაშალა და ზედ ძვლები და თავის ქალა დააწყო. შემდეგ გემბანზე ავიდა, ქიმთან მიდგა და გამოკრული ცხვირსახოცი ოდნავ მოციმციმე შავ წყალში გადააგდო.

კაიუტაში დაბრუნდა, მაგიდიდან ვისკით სავსე ბოთლი აიღო და ჭიქაში ჩაისხა, მაგრამ ვერ დალია. ერთ წუთს ასე იყო გარინდული, მერე პირისახეზე ხელი მოისვა, თითქოს უნდოდა ყვრიმალს ქვემოთ აკანკალებული კუნთის მოძრაობა შეეჩერებინა, ღია ილუმინატორთან მივიდა და ვისკი ზღვაში გადაასხა. დილით, ნაპირზე ჩამოსვლისთანავე, კაპიტანმა ჯიბინსმა ნაცნობ ოქრომჭედელთან შეიარა და სთხოვა, დამწვარი დოლარი მისი სათუთუნის სახურავზე მიერჩილა.

— ეს დოლარი საიდან? — შეეკითხა ოქრომჭედელი და თან დოლარი მსუქან თითებში შეატრიალა.

კაპიტანი ჯიბინსი მოიღუშა.

— არ მსურს მოყოლა, არასასიამოვნო ამბავია, მაგრამ მინდა კი ეს ფული სახსოვრად მქონდეს.

იგი თავაზიანად დაემშვიდობა ოქრომჭედელს და ქუჩაში გავიდა. მიუხაროდა შინ, რადგან ნახავდა ცოლ-შვილს და გააბედნიერებდა ოჯახს, მას ხომ გულმოდგინე სამსახურისათვის პრემიას მისცემდნენ. ხვალინდელი დღე უკვე აღარ აშინებდა, მშვიდად მიაბიჯებდა ქუჩის ორომტრიალში, იმ სახლების გვერდით, სადაც აბრეშუმის ფარდებით ნახევრად დაფარული სარკისებური ფანჯრების მიღმა საანგარიშო კოჭები ტკაცუნობდა და სადაც ადამიანური სიხარბე მეფობდა.

□

ედუარდას მეჟელაიტისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა გივი ალსაზიშვილმა

დედამიწის ნამცეცი

მიწის სხეული — ქვები ვეება,
მთა — ხერხემალი შუა გამყოფი,
მდინარეები — ლურჯი ვენები,
სხეული ჩემი — მიწის ნაყოფი.

მინდვრის ყვავილთა შუქით ავინთე,
მე ჩრდილოეთის მზრდიდნენ ქარები,
ეს მე ვარ წყალი,
ცეცხლი,
ამინდი,
ცად ღრუბელივით მივექანები.

ოვლის ფიფქიდან, სუსტი ღეროდან
და გლეხის ოფლით მორწყულ მიწიდან,
სხეული ჩემი მოიმღეროდა,
ეგი სორბლიდან ამოიზიდა.

ეს მე ვარ პური —
შრომით, კვნესითა,
ვინმე მაშვრალი შინ რომ მიიტანს,
ამოვიზარდე მძლავრი ფესვიდან,
ქერის მარცვლიდან,
მზიდან,
ხვიიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ ერთობა თევზთა და ზღვათა
ჩამორღვეული კლდეთა ფიქალი,
მწიფე ნაყოფი, სეზე რომ ჩანდა,
ჩემი სათავეც ალბათ იქ არი.

ჩემი მდინარე დრომ თუ დაწრიტა,
თუ დავუბრუნდი მიწას წვეთ-წვეთად,
ვიცი აღვდგები კვლავაც ნაცრიდან,
ისევ ჭაბუკი და ტანწერწეტა.

□

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲕᲐᲠᲗᲐᲒᲐᲕᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედგარ პო

მოთხრობები

ინგლისურიდან

თარგმნა ზაურ კილაძემ

ხფინქსი

ნიუ-იორკში ქოლერის მძვინვარების ჟამს ერთმა ნათესავმა მიმიწვია ორიოდე კვირით ჰუძონის ნაპირას მდებარე cottage orne [1]-ში. საზაფხულო გასართობი არაფერი გვაკლდა, ასე რომ ტყეტყე ხეტიალით, ხატვით, თევზაობით, ბანაობით, მუსიკითა თუ წიგნებით დროს კარგადაც გავატარებდით, რომ ხალხმრავალი ქალაქიდან შემაძრწუნებელი ცნობები არ მოგვსვლოდა ყოველ დილით. დღე ისე არ გავიდოდა, ვინმე ნაცნობის ავადმყოფობა არ გაგვეგო. რაკიღა ეს უბედურება აღარ თავდებოდა, შიშმა დაგვრია ხელი, ვაითუ, დღეს-ხვალ რომელიმე მეგობრის დაღუპვის ამბავი შეგვატყობინონ-თქო. ამ ყოფაში ჩვენი დაგვემართა და თავგზააბნეული ველოდით წერილის დამტარებლის მოსვლას. თითქოს სულთამხუთავის სუნთქვა მოჰქონდა სამხრეთულ ქარებსაც. დაბოლოს, მთლად მომიცვა ღონის წამრთმევმა ფიქრებმა და ასე გატანჯული ვაღამებდი და ვათენებდი. მასპინძელი არ გახლდათ ჩემსავით მგრძნობიარე კაცი და თუმც თავადაც შეურვებული იყო, ჩემს გამხნევებას მაინც ცდილობდა. ფანტაზიები არასდროს ჩაითრევდა მის ძალუმ ფილოსოფიურ გონს. საზარელ სინამდვილეს დიახაც განიცდიდა, მაგრამ მის ჩრდილებს არ დაგიდევდათ.

შავი ფიქრებით დათრგუნვილ კაცს გუნება ვერ გამომიკეთა. ჩემი გულისმომწყველელი განწყობილება კი გამოეწვია მის ბიბლიოთეკაში მიკვლეულ წიგნებს. სწორედ ამ წიგნებში ამონაკითხმა გამიღვივა მემკვიდრეობით გამოყოლილი მორწმუნეობის თესლი. ნათესავმა არ იცოდა, რას ვკითხულობდი. ასე რომ, ხშირად ვერც ხვდებოდა ჩემი ნამეტნავი შფოთის მიზეზს.

ხალხში გავრცელებული იმ ავის მომასწავებელი ნიშნების ამბავმა გამიტაცა, წინათგრძნობას რომ უკავშირებენ. ამ ნიშნების არსებობას იმხანად

[1] ქალაქგარე აგარაკი (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის გაუთავებლად ვამტკიცებდი და ცხარედ ვეკამათებოდი ნათესავს ამ საგანზე. მას სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნდა ასეთი შეხედულებანი. მე კი ვეუბნებოდი, ადამიანის უნებური რაიმე წინათგრძნობა მისდათავად შეიცავს-მეთქი უცდომელი ჭეშმარიტების ყურადსაღებ კვალს.

საქმე ის იყო, რომ მთლად აუხსნელი რაღაც შემემთხვა ახალჩამოსულს, ფრიად ღირსშესანიშნავი ამბავი გადამხდა, რომლის ავ ნიშნად მიჩნევა სწორედ რომ მეპატიება, თავზარი დამცა, რამდენიმე ხანს საგონებელში ჩამაგდო და გონება ამიმღვრია. მხოლოდ მრავალი დღის შემდეგ მოვიკრიბე. ძალა, ჩემი ნათესავისთვის ეს შემთხვევა მეამბნა.

პაპანება დღე ილეოდა, წიგნით ხელში ვუჯექი ღია სარკმელს, საიდანაც მოჩანდა მდინარის სანაპიროს თვალუწვდომელი ხედი და შორეული სერი, რომლის უახლოესი კალთა თითქმის მოტიტვლებული იყო, რამდენიმე ხეღა შერჩენოდა ნამეწყრალ ალაგს. წანაკითხს ვერაფერს ვხვდებოდი, რაკიღა ფიქრები მომძალებოდა მეზობლად მდებარე გაჩანაგებულ ქალაქზე. წიგნს თვალი რომ მოვაცილე, დავინახე მთის მოშიშვლებული ფერდობი და ზედ რაღაც... რაღაც შემზარავი აღნაგობის ურჩხული, კორტოხიდან მალიად ჩამოვიდა და ცოტა ხნის შემდეგ უსიერ ტევრში მიიმალა. ჯერ გავიფიქრე, ხომ არ შევქანდი ან თვალმა ხომ არ მომატყუა-მეთქი. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დავრწმუნდი, თურმე არც შევშლილვარ და არც სიზმარში ვყოფილვარ. მაგრამ ვაითუ იმ ურჩხულის აღწერის მერე (რომელიც ნათლად ვიხილე და ვინემ მიიმალებოდა, თვალი არ მომიშორებია) მკითხველმაც არ დაიჯეროს ეს ამბავი.

ურჩხული მეწყერს გადარჩენილ იმ გოლიათ ხეებს დავატოლე თვალით, რომელთა ახლოსაც ჩამოიარა. მაშინვე გავიფიქრე, ეს საოცრება ყველანაირ სახაზო ხომალდზე დიდია-მეთქი. სახაზო ხომალდი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ ჩვენმა სამოცდათოთხმეტზარბაზნიანმა გემმა შეიძლება წარმოგვადგენინოს ურჩხულის ანაგობა. პირი ჰქონდა სპილოს ტანის სისხო სამოცი თუ სამოცდაათი ფუტი სიგრძის ხორთუმის ბოლოს. ხორთუმის ძირში ისეთი ხშირი ბანჯგვლები უჩანდა, ოცამდე ბიზონსაც ეყოფოდა. ამ ბანჯგვლებიდან ველური ტახის დარად ცერად ჩამოშვეროდა ზღაპრული სიდიდის ორი მოზიმზიმე ეშვი. ფერდებზე მოუჩანდა ოცდაათი თუ ორმოცი ფუტი სიგრძის რაღაც გამონაზარდი, წმინდა კრისტალებივით უზადოდ კრებული პრიზმის მაგვარი, თვალისმომჭრელად რომ აელაპლაპებინა ჩამავალ მზის სხივებს. მახვილივით ბოლოსკენ წაწვრილებულ სხეულზე ზევით-ქვევით ჰქონდა ლითონის ქიცვოვანი ასი იარდი ზომის ორი წყვილი ფრთა, ყოველი ქიცვი ათი თუ თორმეტი ფუტი დიამეტრისა იქნებოდა, ყველა ფრთა კი ერთმანეთთან რაღაც სქელ ჯაჭვს გადაება. მაგრამ მეტადრე თავის ქალის გამოსახულებამ შემზარა, მთელი მკერდის ჩაშავებულ ზედაპირზე თითქოს ვინმე მხატვარს საგულდაგულოდ რომ გამოეყვანა თოვლზე უთეთრესი ხაზებით. ვინემ შეძრწუნებული და უბედურების მოლოდინის გრძნობით თავზარდაცემული ვუყურებდი ამ საზარელ ცხოველს და განსაკუთრებით მის მკერდს, ხორთუმის ბოლოში უცებ გაიღო ვეებერთელა ხახა და ჩამესმა ისეთი ძლიერი და სასოების წამრთმევი ხმა, რომ გულმა დოლაბივით დამიწყო ბრუნვა; მიეფარა თუ არა მთის ძირს ცხოველი, იმ წუთას უგონოდ გავიშხლართე იატაკზე.

გონს მოსულმა, რაღა თქმა უნდა, პირველად გავიფიქრე, ნანახსა და გა-

გონილს ჩემს მეგობარს ვუამბობ-მეთქი. მაგრამ რაღაც ენით უთქმელმა და გაურკვეველმა ზიზღის გრძნობამ გამაჩერა და არაფერი მითქვამს.

სამი თუ ოთხი დღე იქნებოდა გასული ამ შემთხვევის შემდეგ, როცა საღამო ხანს იმავე ოთახში ვიმყოფებოდი, საიდანაც ის ჩვენება ვიხილე და იმავე სარკმელთან ვიჯექი, მასპინძელი კი იქვე ტახტზე წამოწოლილიყო. ადგილისა და დროის ასოციაციით ჩაგონებულმა ვუამბე იმ საოცრებაზე. ბოლომდე მომისმინა, ჯერ გულიანად გაეცინა, მერმე დაჩუმდა და მოიღუშა, თითქოს უკვე საბოლოოდ ირწმუნაო ჩემი სულიერი ავადობის ამბავი. უცებ ნათლად დავინახე ურჩხული და გულგახეთქილმა ჩემს მასპინძელს შევძახე, აბა შეხედე-მეთქი. გულისყურით გახედა და ასე მითხრა, ვერაფერს ვხედავო, თუმცა ზუსტად ვუჩვენებდი მოტიტვლებულ გვერდობზე ჩამომავალ ცხოველს.

უსაზღვრო შიშმა ამიტანა, რაკიღა ეს ზმანება ჩემი აღსასრულის ან კიდევ უარესი, მოახლოებული სიგიჟის მაცნედ ჩავთვალე. შეწუხებული გადავაწყდი სავარძელს და სახე ხელებში ჩავმალე. თვალი რომ გავახილე, ჩვენება გამქრალიყო.

მაგრამ ჩემს ნათესავს კი რამდენადმე გამოუკეთდა გუნება და წვრილად გამომკითხა ფანტასტიკური ურჩხულის ანაგობა. ყველაფერი რომ მოვუყევი, შვებით ამოისუნთქა და, ჩემი აზრით, ფრიად შემაძრწუნებელი თავდაოკებით მოჰყვა მსჯელობას ფილოსოფიის განყენებულ საკითხებზე. მახსოვს, განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა, ყოველგვარი გამოკვლევის ცდომილებათა თავწყარო ის გარემოებაა, როცა ადამიანს არ შეუძლია სწორად შეაფასოს ან განსაზღვროს საგანი, რაკიღა ზუსტად ვერ გამოითვლისო ხოლმე მანძილს ამ საგნამდე. „სრულიად რომ შეფასდეს, მაგალითად, — ასე თქვა, — კაცობრიობაზე რა გავლენას მოახდენდა დემოკრატიის საყოველთაო გავრცელება, უცილობლად უნდა განიჭვრიტოს **ეპოქის სიშორე**, როცა ეს გავრცელება მოხდება. დამისახელეთ თუნდაც ერთი ავტორი, რომელიც აგვიწერს მმართველობის ფორმებს და ეს საკითხი მნიშვნელოვნად მიუჩნევია?“

შემდეგ წამით შეჩერდა, წიგნის კარადასთან მივიდა და „საბუნებისმეტყველო ისტორიის“ ცნობარი გადმოიღო. მერე მთხოვა, ადგილები გავცვალოთო, რაკიღა აქ, სარკმელთან უკეთ შეძლებდა წვრილად ნაბეჭდის გარჩევას. წიგნი გადაშალა და წინანდელ კილოზე განაგრძო საუბარი:

— ის ურჩხული რომ აგრე წვრილად არ აგეწერა, — მითხრა მან, — ვერც მივხვდებოდი და ვერც რასმეს გეტყოდი. მაგრამ ჯერ აი, ამ სასკოლო ცნობარიდან ერთ ადგილს წაგიკითხავ Sphinx-ის სახეობაზე, Crepuscularia-ს გვარეულობას, Lepidoptera-ს ჯგუფს, Insecta-ს კლასს რომ ეკუთვნიან, ანუ მწერები არიან. აბა, ყური მიგდე: ლითონივით მბზინავი პატარა, ფერადი ქიცვებით დაფარული ოთხი აპკოვანი ფრთა; ყბების გაგრძელებაზე ხორთუმივით დახვეული პირი, რომელსაც გვერდებზე აქვს ჩანასახობრივი საღეჭები და ფაფუკი საცეცები. ხეშეშა ბალნით შეერთებული ზედა და ქვედა ფრთები; მოგრძო, პრიზმისებური მსხვილბოლოებიანი პრწკალები. ეს მწერი, რომელსაც თავისქალიანი სფინქსი ეწოდება, ზოგჯერ თავზარსა სცემს საქმეში ჩაუხედავ ხალხს თავისი საწყალობელი ხმითა და მკერდზე სიკვდილის ემბლემის გამოსახულებით.

წიგნი რომ დახურა, სავარძელი იმ ადგილისკენ მიაჩოჩა, საიდანაც თვალი მოვკარი „ურჩხულს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰო, ის არის, ის! — წამოიძახა უცებ, — ფერდობზე მოძვრება, მართლაც უცნაური სანახავი კია, უნდა გამოვტყდე. მაგრამ არც ისე დიდია და არც ისე შორსაა, შენ რომ გეგონა. მართალი თუ გინდა, იგი მიჰყვება ამ სარკმლის კიდეებს შუა გაბმულ ობობას ქსელს, რომელიც ასე თექვსმეტი დიუმის[1] სიგრძისაა და ჩემს თვალს ასევე დაახლოებით თექვსმეტი დიუმით არის დაცილებული.

□

უილიამ უილსონი

ამაზე რაღა ითქმის? რას მეტყვის სინდისი,
ჩემს გზაზე მდგომი მრისხანე აჩრდილი?

უ. ჩ ე მ ბ ე რ ლ ე ნ ი[2] „ფარონიდა“

თქვენი ნებართვით, უილიამ უილსონს ვუწოდებ ახლა თავს. წინარე გაშლილი სუფთა ქაღალდი ნამდვილი სახელით არ მინდა დავსვარო. ჩემს საგვარეულოს ისედაც ყოველ წუთს ზარავდა ჩემი სახელი და ნიადაგ სიძულვილითა და წყევლა-შეჩვენებით მიხსენიებდნენ. დედამიწის უშორეს კუთხეებსაც ხომ არ მოსდეს მძვინვარე ქარებმა ჩემი უმაგალითო სიბილწის ამბავი? ჰოი, მთლად მოკვეთილო, უბილწესო ბილწთა შორის! განა მკვდრადშობილი არ ხარ ამ სოფლისთვის? მის პატივს, მის ყვავილებს, მის სხივთა მთოველ სიამეთ მოკლებული? ღრუბელი განუჭვრეტელი და უკიდეგანო სამარადჟამოდ ხომ არ ჩადგა შენს სასოებასა და ზეცას შუა?

რომც შემძლებოდა, აქ და დღეს არ შევუდგებოდი ჩემი ცხოვრების უკანასკნელი წლების ენით უთქმელი უკუღმართობისა და მიუტევებელი ცოდვების აღწერას. ამ ბოლო დროს ისე ღრმად და ღრმად ჩავიფალ ბიწიერების ჭაობში, რომ დღეიდან ერთი მიზანი მაქვს—მხოლოდ მის სათავეზე გიამბობთ. კაცი ბიწიერებას ჩვეულებრივ თანდათან ეჩვევა ხოლმე, მე კი ქუდივით უმალ გადამძვრა მადლი. შედარებით პატარა ცოდვებიდან გოლიათური ნაბიჯებით მივაღწიე იმას, რომ ჰელიოჰაბალუსის[3] საკადრისი დიდი ცოდვა დამედო. რა შემთხვევამ ან რა ძალამ ჩამადენინა ეს ყველაფერი? გთხოვთ მომისმინოთ. აღსასრული მიახლოვდება და სულს დამეფინა იმისი წინამორბედი ჩრდილი. ბნელ ველზე მიმავალს მოყვასის თანაგრძნობა მჭირდება, კინაღამ წამომცდა — შებრალებამეთქი. მინდა დავაჯერო ჩემი მოყვასი — კაცის უნებური რამ ძალის მსხვერპლი ვიყავი და მსურს აქ გამოწვლილვით ნაამბობი ჩემი უბედურების მიზეზად

[1] დიუმი — 2,54 სმ.

[2] XVII ს. ინგლისელი მწერალი.

[3] რომის იმპერატორი (218—222).

ბედისწერა მიიჩნიონ — რაღაც პატარა ოაზისი ცთომილებათა უდაბნოში. დაე აღიარონ, შეუძლებელია არ აღიარონ — თუმცა საცდური შეიძლება ადრეც მრავალი იყო, მაგრამ არასოდეს ასე რიგად არ უმოქმედია კაცზე და, რაღა თქმა უნდა, **ასე რიგად** არავინ დაცემულა და სული არ წაუწყმედია. იქნებ ამიტომ არც არავინ გატანჯულა ესოდენ? განა მე მართლაც სიზმარში არ ვიყავი? განა ახლა არ ვკვდები საშინელებისა და შეუცნობლის მსხვერპლი, მსხვერპლი უსაზარლესი ზმანებებისა მთვარისქვეშეთში?

ჩემი ჩამომავლობა იმ გვარისაა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სიფიცხითა და მგრძნობიარობით. ყრმობის წლებიდანვე მივხვდი: სრულად გამომყოლოდა მემკვიდრეობითი ნიშნები. გადიოდა ხანი და ხსენებული ნაკლი უფრო და უფრო მიმტკიცდებოდა და ეს ამბავი მრავალი მიზეზის გამო მეტად აშფოთებდა ჩემს მეგობრებს, თავად მე კი ძალიან მვნებდა. ერთობ ჟინიანი, თავისნება, თავგასული, დაუოკებელ ვნებათა მონა შევიქენი. მშობლებიც ჩემნაირივე ნიშნით იყვნენ ცხებული. ამ უნებისყოფო ადამიანებს ვეღარ მოეთოკათ ბოროტებისადმი ჩემი ლტოლვა. მათი უძალო და მოუქნელი მცდელობა მათივე სრული მარცხით და, რაღა თქმა უნდა, ჩემი სრული გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ ჩვენს ოჯახში კანონად იქცა ყოველი ჩემი სიტყვა და იმ ასაკიდანვე, როცა ბალღს ჯერ კიდევ ჩვეულებრივ დედის ხსენი არ შეშროობია პირზე, მხოლოდ საკუთარი გულის წადილს ვისრულებდი, ჩემს ნებაზე ვიქცეოდი.

ინგლისის ერთ ნისლიან-ბურუსიან სოფელთან, ელისაბედ დედოფლის დროინდელ დიდ და ულაზათო შენობასთანაა დაკავშირებული ჩემი ადრინდელი მოგონებები. ვეება დაკორძილ ხეებს გაედგა აქ ფესვები, სიძველე მორეოდათ სახლებს. ეს ძველი, ღირსსაცოდნელი დაბა ზღაპრული, მყუდრო და უშფოთველი ადგილი იყო. ვწერ ამ სიტყვებს და ნათლად ვგრძნობ მისი ჩრდილოვანი ბილიკების საამურ გრილოსა და მისი ყვავილოვანი ბუჩქნარის სურნელს. ცის კარი გადამეხსნება ხოლმე, როცა ჟამიდანჟამ ბინდსა და მდუმარებაში ჩაფლული გოთურჩუქურთმიანი სამრეკლოდან მესმის გარემოს შემაჩქვიფებელი ჩუმი გუგუნი.

გულსა და სულს მესალბუნება — რამდენადაც შემრჩენია ამისი უნარი — სკოლის დღეებისა და მასთან შერთული ყოველი წვრილმანის მოგონება. სატანჯველში, ვაგლახმე, უცილობელ სატანჯველში ჩავარდნილს მომეტევება შემთხვევითი და უთავბოლო წვრილმანი ამბების მოჩხრეკით თუნდაც წამიერი შვების მოპოვების სურვილი. განა რამეთი გამოირჩეოდნენ ეს წვრილმანი ამბები, ალბათ სიცილადაც არ ეყოფოდა ვინმეს, თუმცა ჩემს მოგონებაში მათ აქვთ მსწრაფლწარმავალი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაკიღა უკავშირდება იმ დროსა და იმ ადგილს, საიდანაც აგორდა ბედისწერის ის ბორბალი, რომელმაც შემდეგ მთლად ჩამითრია. აჰა ის, რაც გამახსენდა.

როგორც მოგახსენეთ, შენობა ძველი და უშნოდ ნაგები იყო. დიდი ეზო ყოველი მხრიდან აგურის ფართო, მაღალი კედლით შემოეზღუდათ. კედლის თავანი კირით მოეთეთრებინათ და შუშის ნატეხებით მოეფინათ. ჩვენს სამყოფელს ციხესავით შემორკალოდა გალავანი: კვირაში სამჯერ შეგვეძლო ეზოდან გასვლა — შაბათს ნაშუადღევს ორი ზედამხედველის თავდგომობით მცირე ხნით მივდიოდით შემოგარენის მინდვრებში სასეირნოდ, და კვირადღით ორჯერ—მწკრივად დაწყობილნი მივემართებოდით დილისა და მწუხრის წირვაზე

სოფლის საყდარში. ამ საყდრის წინამძღვრადაც ჩვენი სკოლის თავი იყო. რა გაოცებული და შეცბუნებული შევყურებდი ხოლმე საქორალოდან, როცა იგი ნელი და საზეიმო ნაბიჯით ადიოდა კათედრაზე! სიკეთე და თავმდაბლობა დაფენოდა ამ დროს სახეზე ღირსეულ მოძღვარს, საკვირაო, ფოფინა საზეიმო სამოსელი ერთთავად უბრჭყვიალებდა და ეხურა უხვად პუდრმოფრქვეული პარიკი. ნუთუ ეს ის კაცი გახლდათ, ვინც მერე, სახეჩამომტირალი და გაავებული, სასწავლებლის საზარელი კანონების ძალით იქმოდა სამართალსა და სასჯელს? ჰოი, შეუწონელო პარადოქსო, გასაგებად მეტად შემზარავო!

დიდი კარიბჭე იბღვირებოდა ვეებერთელა ზღუდეთა კუთხიდან, მოჭედილი რკინის კოპებითა და რკინისავე წვეტებით. რა თავმოდრეკილი, რა შეშინებული ვჭვრეტდით მას! კარიბჭე, როგორც მოგახსენეთ, კვირაში მხოლოდ სამჯერ განიხვნებოდა; და ამ დროს ანჯამების ღრჭიალში მრავალსახა იდუმალების მოხილვა შეიძლებოდა, აგრეთვე უამრავი საბაბის მოძებნა ნაღველიანი სიტყვისა და ნაღვლიანი ფიქრისთვის.

ეზოს ეს დიდი ზღუდე უსწოროდ იყო ნაგები. სათამაშოდ შიგ სამი თუ ოთხი საკმაოდ მოზრდილი, მოხრეშილი და მოსწორებული მოედანი მოეწყოთ. კარგად მახსოვს, იქ არც ძელსკამი იდგა, არც ხე და არც არაფერი. რაღა თქმა უნდა, მოედნები შენობის უკან გაემართათ. წინ კი გაეშენებინათ მარადმწვანე ბზები, მრავალნაირი ბუჩქები და ყვავილნარი. მაგრამ სულ რამდენჯერმე თუ გაგვივლია ამ ნაკრძალში: ერთხელ მაშინ, სკოლაში პირველად რომ შევდგით ფეხი, მეორედ სკოლის დამთავრებისას და კიდევ იმ დროს, მშობლები ან მეგობრები რომ გვესტუმრებოდნენ და გახარებულნი საახალწლო ან საზაფხულო არდადეგებზე შინ მივეშურებოდით ხოლმე.

ჰოი, რა ძველი, რა საკვირველი შენობა იყო ეს ჩვენი სკოლა! ჩემთვის მართლაც მოჯადოებული სასახლე გახლდათ! ბოლოს ვერ უნახავდა კაცი იმის მიხვეულ-მოხვეულ ტალანებს, მოულოდნელ პატარ-პატარა დერეფნებს. შენობა ორსართულიანი იყო, მაგრამ კაცს მაინც გაუჭირდებოდა ეთქვა, რომელზე იმყოფებოდა იმ წუთას. ერთი ოთახიდან მეორეში შესასვლელად სამოთხი საფეხური უნდა აგვევლო ან ჩაგვევლო. იმდენი დერეფანი და მოსახვევი შეგვხვდებოდა ყოველ ნაბიჯზე, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად ოთახების ზუსტი განლაგების დადგენა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც უსასრულობის მოხილვა. სკოლაში ყოფნის ხუთი წლის მანძილზე ისიც კი ვერ მოვახერხე, სწორად ამომეცნო: სად, რომელ კუთხეში მიგვიჩინეს საძინებელი ადგილი მე და ჩემს ამხანაგებს — თვრამეტ თუ ოც მოწაფეს.

ჩვენი სამეცადინო დარბაზი ყველაზე დიდი იყო ამ შენობაში და, როგორც იმხანად მეგონა, მთელ ქვეყნიერებაზეც. ამ წაგრძელებულ პალატს ჰქონდა ვიწრო, სულის შემხუთავად დაბალი მუხის ჭერი და გოთურ ყაიდაზე წაწვეტებული სარკმლები. მის შორეულ, შემზარავ კუთხეში გამოეყოთ რვაათი ფუტის ოდენა სამყოფი, იმ სკოლის უფროსის — პატივცემული დოქტორ ბრენ ბის sanctum[1] ადგილი. კედლებში მთლიანი, მძიმე კარი დაეტანებინათ. ჩვენი „dominie"-ს[2] იქ არყოფნისას მის გაღებას peine forte et dure[3]-ით სიკვდილი გვერჩივნა. ასევე სხვა კუთხეებსაც ნახავდით აქ, იმ პირველთან შედარებით ნაკლებ მოსარიდებელს, მაგრამ მაინც ზარდამცემ ადგილებს. ერთში

[1] წმიდათაწმიდა (ლათ.).

[3] ბატონი (ლათ.).

[3] ძლიერი და ხანგრძლივი წამებით (ფრანგ.).

„კლასიკურის“ კათედრა იმყოფებოდა, ერთიც „ინგლისურსა და მათემატიკას“ დაეკავებინა. სამეცადინო ოთახის მთელ სიგრძე-სიგანეზე უამრავი ჩაშავებული, დაძველებული, ჭიისგან დაფუტურობებული სკამი და მერხი მიმოფანტულიყო და ზედ წიგნები მიეყარ-მოეყარათ. ათასნაირი ინიციალებით, სახელებითა და უცნაური ფიგურებით დაკაწრულ სკამ-მერხებს ადრინდელი პეწი გასცლოდათ. ოთახის ერთ ბოლოში წყლიანი ვედრო იდგა, მეორეში — ვეებერთელა საათი.

ჩემი ცხოვრების მესამე ხუთწლეული თითქმის მოწყენისა და ზიზღის გარეშე გავატარე ღირსსახსოვარი სასწავლებლის ჭერქვეშ. ბავშვის გონება თავისდა საზრდოდ არ საჭიროებს გარესამყაროს გასაოცარ ამბებსა და გასართობებს; ჩემი სკოლამდელი ყოფის აშკარა ერთფეროვნება უფრო სავსე და გაჯერებული იყო მძაფრი მღელვარებით, ვიდრე ამას შემდეგ, ყმაწვილკაცობის დროინდელ ფუფუნებაში ვპოულობდი, ხოლო შედარებით გვიან — მძიმე ცოდვებში. და მაინც, ეტყობა, იმთავითვე ბევრი უცნაურობა მომდგამდა, ასე განსაჯეთ — outré[1]-ც კი. მოწიფულ ასაკში ყრმობის წლებიდან იშვიათად თუ გადმოყვება კაცს გარკვეული შთაბეჭდილებანი, ბუნდოვანი რამ ჩრდილიღა რჩება — მცირე სიამეთა და ენით უთქმელ სატანჯველთა სუსტი, აწეწილ-დაწეწილი მოგონებები. მე არ ვიყავი ასეთი. ალბათ ბავშვობიდანვე ვაჟკაცურ ძალას ვგრძნობდი, რაკიღა ჩემი მაშინდელი ცხოვრების ამბები ისე მკაფიოდ, ღრმად და ცოცხლად მაქვს ჩაჭდეული მეხსიერებაში, როგორც exergues[2] კართაგენულ მედლებს.

მართალიცაა ეს საყოველთაო აზრი, თავისი ყრმობის ხანისა კაცს ცოტაღა აქვს მოსაგონარიო! დილით გაღვიძება, საღამოს ძილი, გაკვეთილების ზუთხვა, გამოკითხვა, სადღესასწაულო დღეები, ხეტიალი, სათამაშო მოედანი, იქ დაკადაკა, სეირის ყურება, ბუტვა და ზაკვა. ყველაფერ ამას, მრავალი ჟამით დაფარულს, წარმოსახვის ჯადოსნურობის კვალობაზე თან სდევდა ზღვა გრძნობები, საარაკო თავგადასავლები, განცდების მთელი სამყარო და სულის დამმონებელი უსაზომო ვნებები. „Oh, le bon temps, que ce siécle de fer!“ [3].

მართლაც გულფიცხობამ, გრძნობიერებამ და მბრძანებლობამ მალე გამომარჩიეს თანაკლასელებში და თანდათან, მიუძალებლად ამ ზნე-ხასიათის გამო ყველა დამმორჩილდა, ჩემზე ცოტა უფროსებიც კი, გარდა ერთისა. ეს იყო ჩემი გვარისა და სახელის მოზიარე ბიჭი — არაფერს ნიშნავდა ეს ამბავი, რაკიღა, თუმც მაღალ წრეს ვეკუთვნოდით, ეს უბრალო გვარი ოდითგანვე მდაბიოთა გვარი იყო. სწორედ ამიტომ დავირქვი ახლა უილიამ უილსონი, ნამდვილისგან მცირეოდნავად განსხვავებული სახელი. მხოლოდ ჩემი სეხნია მიბედავდა მეტოქეობას სწავლაში, თამაშსა და ჩხუბში იმათ შორის, ვინც, როგორც მაშინ ვიტყოდით ხოლმე, „ჩვენს მარაქაში“ გადიოდა, მხოლოდ ის ბედავდა ეჭვით მოკიდებოდა ჩემს სიტყვას, წინაღდგომოდა ჩემს სურვილსა და ჩემს ყოველ უდიერ საქმეს. მთელ ქვეყანაზე თუკია დიდზე დიდი და შეუბ-

---

1 არაბუნებრივი (ფრანგ.).

2 წარწერები (ფრანგ.).

3 ჰოი, რა კარგი ხანაა ეს რკინის საუკუნე (ფრანგ.).

ღუდავი ძალაუფლება, ეს არის ბიჭობის წლებში ერთის ბატონობა მეორეზე, იმაზე, ვინც შედარებით დამყოლია და სუსტი.

უილსონის ამბოხმა უფრო იმიტომ ამიბნია თავგზა, რომ, თუმც ხალხის თვალწინ წესად მქონდა მისი ბაქიობა არაფრად ჩამეგდო, ჩუმად მეშინოდა ამ ბიჭისა. ვგრძნობდი, რაკიღა ასე ადვილად შეუძლია ჩემთან გატოლება, ეს ამბავი მის ეჭვმიუტანელ უპირატესობას მოასწავებს-მეთქი. მართლაც მხოლოდ და მხოლოდ გაუთავებელი ბრძოლის შედეგად ვერ ეჯობნა ჩემთვის. ძაგოან რაღაც აუხსნელი სიბეცის გამო ვერავინ ამჩნევდა მის ამ უპირატესობას ან თუგინდ გატოლებას. სინამდვილეში მისი ქიშპობა და განსაკუთრებით მისი კადნიერი ჟინიანობა, როგორმე ჩემთვის ხელი შეეშალა გულისწადილის შესრულებაში, ფარული იყო, თუმცაღა უცილობელი. ამავე დროს თითქოს სრულიად არ მოსდგამდა ის პატივმოყვარეობა, რაიც მე მამოძრავებდა და ის სიფიცხე, რითაც აგრე ვიყავი გამორჩეული სხვებში. კაცს შეიძლება ეფიქრა, ამ მეტოქეობას ერთი ნიშანი ეცხო: წინააღმდეგობა გაეწია ჩემთვის, დავეჩაგრე ან დავემცირებინე; თუმცა ხანდახან გაოცებული, გაჯავრებული და შეურაცხყოფილი ვამჩნევდი, რომ კამათისას დამცინოდა თუ გულს მიკლავდა, სულმუდამ ეტყობოდა ცხადი და ფრიად შეუსაბამო **გულითადობა.** ჩემი აზრით, წმინდა წყლის თავდაჯერებულობით გამოწვეულ ამ მის გაუგებარ საქციელს მდაბიური მზრუნველობისა და ქომაგობის ელფერი დაჰკრავდა.

ამ ამბავმა და კიდევ იმ გარემოებამ, რომ გვარი ერთი გვქონდა და განგების ნებით სკოლაში ერთ დღეს მოვედით, აფიქრებინა უფროსკლასელებს, ესენი უთუოდ ძმები არიანო. უკვე ვთქვი ან ადრევე უნდა მეთქვა, რომ უილსონი არაფრით მენათესავებოდა. ძმები რომ ვყოფილიყავით, რაღა თქმა უნდა, უსათუოდ ტყუპები ვიქნებოდით, რადგან ბატონ ბრენსბის დაწესებულება რომ დავტოვე, მაშინღა გავიგე შემთხვევით, ჩემი სეხნია 1809 წლის ცხრამეტ იანვარს დაბადებულა, რამდენადმე საყურადღებო თანხვდომილება — თურმე იმავე დღეს ამ ქვეყანაზე მეც გავჩენილვარ.

იქნებ უცნაურიც იყო, რომ უილსონის გაუთავებელი ჩუმი ჭიდილისა და ნიადაგ შემაწუხარი მეტოქეობის მიუხედავად მაინც ვერ შევიძულე ეს ბიჭი საბოლოოდ. თითქმის ყოველდღე ვჩხუბობდით და როცა საჯაროდ პირველობის ალამს დამითმობდა, კიდევაც მაგრძნობინებდა, წესით იგი მე მეკუთვნისო. და მაინც ჩემი მზვაობარი ბუნება და მისი ალალი ღირსება ხელს უწყობდა ჩვენ შორის, როგორც იტყვიან, „საერთო ენის“ გამონახვას. ამავე დროს ზნეხასიათით ერთმანეთს დიდად ვგავდით და ხშირად მიფიქრია, ჩვენი უჩვეულო მდგომარეობა რომ არა, ვინ იცის, იქნებ მეგობრებიც ვყოფილიყავით-მეთქი. მართლაცდა ძნელია განსაზღვრა ან თუნდაც აღწერა იმ გრძნობისა, მისადმი რომ განვიცდიდი. ნაირფერ გრძნობათა ნაერთი იყო ეს — ერთწილ გაარჯლებული მტრობა, ჯერ კიდევ სიძულვილში გადაუსვლელი; ერთწილ კრძალვა-მოწიწება, უფრო მეტი პატივისცემა, უსაზმო შიში და მოზღვავებული ცნობისწადილი. მორალის მქადაგებელმა კაცმა სჯობს ისიც გაიგოს, რომ სულ ერთად ვიყავით უილსონი და მე.

ეჭვი არაა, სწორედ ჩვენი უჩვეულო დამოკიდებულება განაპირობებდა, რომ ამ ბიჭის საწინააღმდეგო ჩემი ყოველი გამოხდომა (ვინღა მოთვლის, რამდენი შეფარული თუ აშკარა) უფრო ქილიკაობა და ღლაბუცი ჩანდა (ვითომცდა თავის შესაქცევადო, მაგრამ სინამდვილეში მეტად ღვარძლიანი), ვინემ

ნამდვილი და საცხადო შუღლი. მაგრამ ამ მხრივ ჩემს თუნდაც ფრიად მახვილგონივრულად მოფიქრებულ ცდებს ყოველთვის როდი გაუმარჯვია, რადგან ჩემი სეხნია ისეთი თავშეკავებული და თავმდაბალი იყო, რომ აქილევსის ქუსლს ვერ უპოვიდა კაცი და მისი ხუმრობა სულმუდამ გულში მოგხვდებოდათ, ხოლო თავად დაცინვის საგნად არავის გაუხდებოდა. უილსონის ნაკლი ესლა იყო — რაღაც დაავადებით გამოწვეული ზადი ჰქონდა და ამით ჩიხში მომწყვდეული ჩემნაირი კაცი თუ ისარგებლებდა. ჩემს მეტოქეს წართმეოდა ჩვეულებრივი მეტყველების უნარი, ხმამაღლა ვერაფერს ამბობდა, **ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა.** და საქმე საქმეზე როცა მიდგებოდა, მისი ამ მცირე ნაკლოვანებით სულ ვხეირობდი.

უილსონიც მრავლად მიზღავდა სამაგიეროს; ერთი ისე კარგად მოეფიქრებინა, რომ უზომოდ გულს მიწვრილებდა. ვფიქრობ და ვერ გამომიცვნია, პირველად როდის მიხვდა, ასეთი პატარა რამე რომ მოთმინებას მაკარგვინებდა. მაგრამ მიხვდა კია და ანწუხზეც მაგებდა. ჩემი ჩვეულებრივი, სულ უბრალო გვარი, მდაბიურიო, რომ არა ვთქვათ, ნიადაგ მეთაკილებოდა, მისი გაგონება გულს მიკლავდა; და როცა სკოლაში მისვლისთანავე მეორე უილიამ უილსონიც გამოჩნდა, იმ წუთას წამოვენთე რისხვით: ამ გვარის ვიღაც ყოფილა აქ და მისი გაგონება ორჯერ მეტად მომიხდება-მეთქი, ამიტომ იგი ორჯერ მეტად შემძაგდა; ესეც გავიფიქრე, ამ გვარის ბიჭი თვალთაგან აღარ მომშორდება და ჩვეულებრივ სასკოლო ცხოვრებაში მის სიტყვასა და საქმეს ამ ბედითი თანხვდომილების გამო ჩემს სიტყვასა და საქმეში აურევენ-მეთქი.

ყოველი შემთხვევა ნათლად წარმომიჩენდა ხოლმე ჩემსა და იმ ბიჭს შორის სულიერ თუ გარეგნულ მსგავსებას. ამის კვალობაზე მიძლიერდებოდა აგრე გულის მომწყვლელად ჩაბუდებული ზემონახსენები გრძნობა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ის საგულისხმო ამბავი, რომ ჩემი კბილა იყო; მაგრამ ვხედავდი, სიმაღლე ერთი გვქონდა და იმასაც ვამჩნევდი, ერთმანეთს საოცრად ვგავდით სახის ნაკვთებითა და ანაგებით. თანაც გულს მიმღვრევდა უფროსკლასელებში დარხეული ხმაც, თითქოსდა ის ჩემი ნათესავი იყო. ერთი სიტყვით, ისე არაფერი მაშფოთებდა (რასაც საგულდაგულოდ ვმალავდი), როგორც ვინმეს ნათქვამი: რა ძალიან ჰგვანანო ერთმანეთს. მაგრამ უნდა გითხრათ, არ გამიგია, ეს მსგავსება (ხმები მხოლოდ ჩვენს ნათესაობაზე დადიოდა და ამაში უილსონს მიუძღოდა წვლილი) თანაკლასელებს შეემჩნიათ და სალაპარაკოდ გაეხადათ. მაგრამ **თავად** კი ამას მშვენივრად ხედავდა, ცხადია, ჩემსავით. ამასთან ყოველ წვრილმანში აუარება გასაცინარ-გასაქირდავს აღმოაჩენდა, რაც მოწმობდა, როგორც მოგახსენეთ, მის გასაოცარ გამჭრიახობას.

უილსონს მიზნად დაესახა გამოწვლილვით მოებაძა ჩემთვის გამოთქმასა და მიხრა-მოხრაში და კიდევაც მიაღწია სრულ მსგავსებას. ჩემი ჩაცმულობის გადაღებას რა დაუშლიდა; ჩემი სიარული და თავის დაჭერაც სულ ადვილად შეითვისა; ზემოთ ხსენებული იმ ბუნებრივი ზადის მიუხედავად კარგადაც ახერხებდა ჩემი ხმის მიმსგავსებას. რაღა თქმა უნდა, ხმამაღალი საუბარი არ შეეძლო, მაგრამ გამოთქმა იგივე ჰქონდა; **და სწორედ რომ ჩემი ხმის ექო გახდა მისი თავისებური ჩურჩული.**

თუ რა შემაწუხარი გამხდარიყო ჩემთვის ეს წაბაძვა (რომლის კარიკატურად მიჩნევა შეუძლებელი იყო), ახლა აღარ გეტყვით. გულს ერთი გარემოება მიფონავდა — მხოლოდ მე ვამჩნევდი ამ წაბაძულობას და, როგორც ჩანს,

მხოლოდ მე მიხდებოდა ჩემი სეხნიის იქედნური ღიმილის მოთმენა. საწადელის მიღწევით ფრიად კმაყოფილს, თითქოს უხაროდა ჩემი გულისტკივილი და სულაც არაფრად მიაჩნდა მქუხარე ტაშისკვრა, რასაც სულ ადვილად მოიხვეჭდა თავისი გონებამახვილობით. მე კი დიდხანს მაღელვებდა და ვერ გამომეცნო ის ამბავი, სკოლაში რატომ ვერვინ მიუხვდა ამ ზრახვას და მასთან ერთად არავინ დამცინოდა. **თანდათან** რომ მემსგავსებოდა, შესაძლოა სწორედ ამიტომ ვერ ხვდებოდნენ ვერაფერს, თუმცა ჭკუასთან ახლოს ეს უნდა ყოფილიყო: სხვათა ყბაში რომ არ ჩავვარდნილვარ, ჩემი წამბაძველის დიდი ხელოვნების წყალობა იყო, რაკიღა გარემსგავსებას არაფრად აგდებდა (მხოლოდ ბრიყვისთვისაა ეს მთავარი) და უნაკლოდ გადმოსცემდა ორიგინალის სულს. ამას კი მხოლოდ მე ვამჩნევდი და ჩემთვისღა იყო საწყენი.

ბევრჯერ ვახსენე იმისი გულისამრევი, სამოწყალო მფარველობის ამბავი, რაიც ნიადაგ ჩემს საქმეებში ჩაჩრითა და კადნიერ რჩევა-დარიგებაში გამოიხატებოდა. თანაც ეს დარიგება პირდაპირ და ნათლად კი არა, ჩუმად და მიკიბ-მოკიბულად იყო ნათქვამი. ზიზღმორეული ვისმენდი და წლიდან წლამდე მიძლიერდებოდა ამ ბიჭის სიძულვილი. მას შემდეგ დიდი დროა გასული და ახლა მინდა ჩემს მეტოქეს კუთვნილი მივაგო და ვაღიარო: ერთხელაც არ ყოფილა მისი შეგონება მცდარი ან ცეტური, თითქოს რომ უნდა ჩვეოდა მის სიყრმესა და მოჩვენებით გამოუცდელობას; ყოველ შემთხვევაში, თავისი ნიჭითა და ცხოვრებისეული სიბრძნით თუ არა, ზნეობრივად ბევრად მჯობდა; ვინ იცის, ასე ხშირად რომ არ უარმეყო ის მრავლისმეტყველი, ჩემგან ასე სასტიკად შეძულებული ჩურჩულით წარმოთქმული დარიგება, დღეს უკეთესი ვიქნებოდი და, მაშასადამე, ბედნიერიც.

მაგრამ მისმა გულისგამაწვრილებელმა მეთვალყურეობამ ბოლოს და ბოლოს მეტად შემაშფოთა და მეც დღითი დღე ვეღარ ვმალავდი წყენას ამ, როგორც მეგონა, უსაშველო ქედმაღლობის გამო. უკვე იცით, რომ სწავლის პირველ წლებში ადვილად შემეძლო დავმეგობრებოდი და თუმცა ჩემი იქ ყოფნის უკანასკნელ თვეებში მისი საქციელი, ეჭვი არაა, აღარ იყო ისეთი მომაბეზრებელი, მე იგი, პირიქით, კიდევ უფრო შემზიზღდა. მგონი, ერთხელ კიდევაც შენიშნა ეს ამბავი და მას მერე სულ მერიდებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, თავს მაჩვენებდა ასე.

მეხსიერება თუ არ მღალატობს, ერთ დღეს, დაახლოებით იმავე ხანებში მაგრად წავიჩხუბეთ. განრისხებულმა, მისთვის ჩვეულებრივი სიფრთხილე უკუაგდო და ისე ჯიქურ მოიქცა, აქამომდე რომ არასოდეს გვენახა. მაშინ შევნიშნე — ან იქნებ კიდევაც მომეჩვენა — მის სიტყვაში, მის საქციელში რაღაც ისეთი, რამაც პირველად შემაშინა, შემდეგ კი მეტად დამაინტერესა. მისმა მოქცევამ ჩემი ყრმობისდროინდელი სურათები ამომიტივტივა მეხსიერებაში, იმ ხანის უწესრიგოდ მოძალებული მქრქალი მოგონებები, როცა მეხსიერება ჯერ კიდევ არ გამჩენოდა. ამ წამიერ დამთრგუნველ გრძნობას უკეთ გამცნობთ, თუ ვიტყვი, რომ ისე მეჩვენა, თითქოს უხსოვარი ხანიდან ვიცნობდი ამ ჩემ წინ მდგომ ბიჭს. თუმცა ეს ზმანება იმ წუთასვე გამიქრა და ეს ამბავი მხოლოდ იმ დღის აღსანიშნავად გავიხსენე, როცა უკანასკნელად ვესაუბრე ჩემს საკვირველ სეხნიას.

ამ ვეებერთელა ძველ შენობაში იყო ერთმანეთში გამავალი რამდენიმე დიდი დარბაზი, სადაც მოსწავლეებს ეძინათ. მაგრამ აქ ბევრგან ნახავდით

პატარ-პატარა ოთახებსაც (ასე უსწოროდ ნაგებ შენობაში ეს გარდაუვალია), დოქტორ ბრენსბის ბრძნული მომჭირნეობით ეს ადგილები ასევე საძინებლებად ექციათ, თუმცა თავდაპირველად ისინი საკუჭნაოდ უნდოდათ და თვითეულში ერთი მოწაფე თუ დაეტეოდა. სწორედ ასეთი მომცრო სამყოფელი ჰქონდა უილსონსაც.

ერთხელ ღამით, სკოლაში ყოფნის მეხუთე წლის მიწურულს ზემოთ ხსენებული ჩხუბის შემდეგ, დავიცადე, სანამ ყველა დაიძინებდა, მერე ავდექი და ლამპით ხელში ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული გასასვლელებით ჩემი საძინებელი ოთახიდან მეტოქესთან შევიპარე. უკვე კარგა ხანია ვაპირებდი მომეწყო მისთვის ერთი ბოროტი ოინი, რაიც აქამომდე ვერ მომეხერხებინა. ჰოდა, ახლა გულისწადილს რომ ავისრულებდი, დიახაც მიხვდებოდა, რა დიდი ბოღმა და ჯავრი მკლავდა მისი. ამ ბიჭის პატარა ოთახს რომ მივატანე, შუქფარიანი ლამპა კარს უკან დავდგი, უხმაუროდ გადავაბიჯე ზღურბლზე და ჩემი სეხნიის წყნარ სუნთქვას ყური მივუგდე. სძინავს-მეთქი, რომ დავრწმუნდი, დერეფანში გავბრუნდი, ლამპა ავიღე, მოფარდაგებულ საწოლს მივუახლოვდი—მოსახდენი უნდა მომხდარიყო — ფარდა ფრთხილად გადავწიე და როცა სინათლე დაეფინა ძძიხარის სახეს, კარგად დავაკვირდი და უცებ გავხევდი, სისხლი გამეყინა ძარღვებში, ასე მეგონა, გული საგულედან ამომივარდებოდა, მუხლი მომეკვეთა, ტან-იოგში დამშალა რაღაცა უსაგნო გრძნობამ, სული ძლივს მოვიბრუნე. ნუთუ ეს... **ეს** ნაკვთები უილიამ უილსონისაა? რა თქმა უნდა, ვხედავდი, მისი სახე იყო და არ მჯეროდა. მაინც ასე რამ შემაშფოთა? უთავბოლო ფიქრები ამეშალა. დღის ფაცაფუცში, მღვიძარე არ ჩანდა **ასეთი.** სახელი იგივე, ნაკვთები იგივე, სკოლაში მოსვლის დღეც იგივე! და კიდევ ჩემი სიარულის, ჩემი ხმის, ჩემი ჩვევების, ჩემი მიხრა-მოხრის უაზრო და გამუდმებული წაბაძვა. ნუთუ შესაძლოა, რომ ჩემს დასაცინად მომართული ჩვეულებრივი ვარჯიშის შედეგი იყო ის, **რაც ახლა ვიხილე?** ლამპა ჩავაქრე, შეძრწუნებული, აკანკალებული ოთახიდან უხმოდ გამოვსხლტი და იმ საათშივე დავტოვე ეს ძველი სკოლა, რათა იქ აღარასოდეს მიმედგა ფეხი.

რამდენიმე თვის შინ განცხრომის შემდეგ იტონის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. საკმარისი აღმოჩნდა სულ მცირე ხანი, რომ დოქტორ ბრენსბის სასწავლებლის ამბებს ფერი მიხდოდა ან, ყოველ შემთხვევაში, შემცვლოდა ის განწყობა და ახლა იმ დროს სხვა გრძნობით ვიგონებდი. მართლაც, ხანი რომ გამოხდა, წარსული აღარ მეჩვენებოდა ასეთი ტრაგიკული. მეტად მაეჭვებდა მაშინდელი ჩემი გრძნობების სიცხადე, იშვიათადაც ვიწუხებდი თავს მათი მოგონებით და თუ ვიგონებდი, მევე მაოცებდა ჩემი გულუბრყვილობა და ღიმს მგვრიდა ის ამბავი, წინაპართაგან მემკვიდრეობით წარმოსახვის რა ძალუმი უნარი დამყვა-მეთქი. იტონში ცხოვრებამ ხომ სულ შეუწყო ხელი ამ შეხედულების განმტკიცებას. ყოველივე წარხოცა თავაწყვეტილმა და შემაქცევარმა ღროსტარებამ, რასაც მყისვე მივეცი თავი, ერთბაშად დაინთქა მძიმე და ღირსსახსოვარი შთაბეჭდილება და მეხსიერებაში შემომრჩა მხოლოდ იმ პირვანდელი არსებობის აუმღვრეველი სიმსუბუქის შეგრძნება.

მაგრამ არა მსურს აქ გამოწვლილვით მოვყვე კანონთა უარმყოფელი ჩემი გარყვნილი ცხოვრება, რაიც შეუმჩნეველი რჩებოდა იტონის უფროსობას. სამი წლის გადაბმულ ღრეობას ის შედეგიღა ჰქონდა, რომ ბოროტება ძვალ-რბილში გამიჯდა. კიდევ იმხანად სიმაღლეში ძალიან მოვიმატე. ერთხელ

მთელი ერთი კვირის გაუთავებელი ქეიფის შემდეგ ჩემთან ჩუმად მოვიწვიე მცირე ჯგუფი, ისინი, ვისთანაც უფრო დაახლოებული ვიყავი. დილამდე რომ გაეტანა ლხინს, ჩვეულებისამებრ ღამე მოვიყარეთ თავი. ღვინო ულეველი გვქონდა, არც სხვა, უფრო სახიფათო გართობანი დაგვიკლია და აღმოსავლეთი შეფერიანებული იყო, როცა ჯერ კიდევ შუა ქეიფში ვიყავით. ღვინითა და კარტის თამაშით სახეშეშლილი, ჯიუტად ვლამობდი ერთი უსაძაგლესი სადღეგრძელოს წარმოთქმას, რომ უცებ მსწრაფლ, თუმც პატარაზე გამოიღო წინაოთახის კარი და მსახურის შეშფოთებულმა ხმამ გამიხმო, ვიღაც კაცი ჩქარობს, სიტყვა აქვსო თქვენთან სათქმელი.

ღვინით გონებაანთებული რომ ვიყავი, ალბათ იმიტომ უფრო გამახარა მოულოდნელმა სტუმრობამ, ვიდრე გამაოცა. ფეხარეული იმ წამსვე გავედი. ამ დაბალჭერიან, პატარა სამყოფში ლამპა არ ენთო, არც სინათლე შემოდიოდა, დილა-ბინდიღა ატანდა მომრგვალებული სარკმლიდან. ზღურბლს გადმოვაბიჯე თუ არა, ყმაწვილი ვინმე შევნიშნე, დაახლოებით ჩემი სიმაღლისა, ახალმოდურად შეკერილ თეთრი ქიშმირის ისეთსავე სამოსელში იყო გამოწყობილი, როგორიც მე მეცვა იმ ღამეს. ბინდბუნდში ესღა გავარჩიე, სახის ნაკვთები ბნელში დაძიროდა. ოთახში შემოსული მსწრაფლ შემომეგება, გაგულისებით და მოუთმენლად მტაცა ხელი და ჩამჩურჩულა: „უილიამ უილსონ!“

იმ წამსვე გამოვფხიზლდი.

უცნობის მიხრა-მოხრასა და იმაში, თუ როგორ უთრთოდა ჩემ თვალწინ სარკმლის შუქზე ზე აწვდილი თითი, იყო რაღაც უზომოდ გასაოცარი. მაგრამ ამას ისე არ ავუღელვებივარ, როგორც სულით ხორცამდე შემძრა მრავალისმეტყველმა საზეიმო გაფრთხილებამ, განუმეორებელი, ჩუმი, სისინა ხმით წარმოთქმულმა და განსაკუთრებით უბრალო, ნაცნობმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტმა ჩურჩულმა, რამაც განახვნა გარდასული დღეების მოგონებათა კარიბჭე და სულსა და გულში რაღაცამ დამიარა გალვანური ბატარეის დენივით. გონს რომ მოვედი, ამ კაცის კვალიც გამქრალიყო.

თუმცა ჩემს არეულ გონებაზე ამ შემთხვევამ მეტად იმოქმედა, მაგრამ როგორაღაც შთამბეჭდავი, ასევე სწრაფწარმავალი აღმოჩნდა იგი. პირველ ხანებში გულმოდგინედ ვიძიებდი ამ ამბავს, მწარე ფიქრების მღვრიე მორევში ვიყავი დანთქმული. საკუთარი თავისთვის არ დამიმალავს ვინაობა იმ პიროვნებისა, ვინც ასეთი თავგამოდებით ერეოდა ჩემს საქმეებში, აღარ მასვენებდა თავისი შემბარავი რჩევა-დარიგებით. მაგრამ ვინ ან რა კაცი იყო ეს უილსონი? საიდან გამოტყვრა? გულში რა ჰქონდა? ვერც ერთ კითხვას ვერ ვუპასუხე. მხოლოდ ის გავიგე, რომ იმ საღამოს, როცა დოქტორ ბრენსბის დაწესებულება დაეტოვე, ისიც წასულიყო იქიდან; თურმე შინ რაღაცა უბედურება მოსვლოდა. ამ ამბავზე ფიქრს სულ მალე თავი გავანებე, რადგან ჩემი ყურადღება მთლიანად მიიპყრო ოქსფორდში გამგზავრების სამზადისმა. მართლაც ცოტა ხანში გზას დავადექი, მშობლების უსაშველო პატივმოყვარეობისდა კვალად თავით-ფეხამდე დიდებულად ვიყავი შემოსილი, წლიური სარჩოც იმდენი დამიწესეს, ჩიტის რძეც არ დამაკლდებოდა. ფუფუნებით ცხოვრება დიახაც უკვე გამიტკბა. მფლანგველობაში მეტოქეობას გავუწევდი დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი და წარჩინებული ოჯახის დიდგულ შვილებსაც კი.

ამგვარად, რაკილა ბოროტება კარგად მეხერხებოდა და თანაც დაბადებითვე ვნებაულევი ბუნებისა ვიყავი, გაორკეცებული მგზნებარებით მივეცი თავი გარყვნილების მღვრიე მორევს და ზიზღით უარვყავი კაცურკაცობის წესები. საკმარისია ითქვას, რომ მხარჯველობაში ჰეროდესაც[1] კი ვაჯობე. სხვა, ჯერ არგაგონილი ათასი სიგიჟე მოვიგონე და ამით გვარიანად გავადიდე ბიწიერების გრძელი სია, რითაც სახელი ჰქონდა გავარდნილი ევროპის ამ ყველაზე უფრო ზნედაცემულ უნივერსიტეტს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ საკუთარი თავისთვისაც აქაც აღარ მიღალატნია და პროფესიონალი მოთამაშეების უმსგავსო ფანდები გადმოვიღე. ამ ბილწ მეცნიერებას ისე კარგად დავეუფლე, რომ გულუბრყვილო ძმაბიჭების ხარჯზე ისეღაც აღურიცხველი ქონების პატრონი უფრო და უფრო გავმდიდრდი. და სწორედ ის, რომ დანაშაული აგრე საშინელი იყო, ყოველგვარ ადამიანურობასა და პატიოსნებას მოკლებული, უეჭველია, გახლდათ მთავარი მიზეზი, თუ ერთადერთი არა, ჩემი სრული დაუჯველობისა. მართლაც თუნდ უგარყვნილესი ჩემი ძმაკაცი უმალ საკუთარ წმინდა გრძნობაში დაეჭვდებოდა, ვიდრე ცუდს იფიქრებდა მხიარულ, უზაკველ, გულწრფელ უილიამ უილსონზე — მთელ ოქსფორდში მორჭმულ და სახელიან სტუდენტზე, რომლის თავაშვებულობა (ასე იტყოდა მისი ჯამილოკია) მხოლოდ ბავშვური ფანტაზიის ნაყოფი იყო, ხოლო ბიწიერება მისი უმაგალითო ჟინიანობისა და დაუოკებელი ხასიათის შედეგი.

ასე გულმხიარულად გავატარე მთელი ორი წელი, როცა უნივერსიტეტში მოვიდა ყმაწვილი, გუშინდელი აზნაური გლენდენინგი, როგორც ამბობდნენ, სიმდიდრის ადვილად მომხვეჭელი ჰეროდე ატიკელივით[2] დიდ ქონებას ფლობდა. ჭკუადახედულობით რომ არ გამოირჩეოდა, ამას სულ მალე მივხვდი და, რაღა თქმა უნდა, ვიფიქრე, ჩემი საქმისთვის გამომადგება-მეთქი. ხშირად ვჯდებოდი მასთან სათამაშოდ და ბადეში კარგად რომ მომყოლოდა, ყველა არამზადა მოთამაშის დარად ჯერ დიდი ფული მოვაგებინე. დაბოლოს, როცა შესაფერისი დრო დადგა, ჩვენი მეგობრის (ბ-ნ პრესტონის) ბინაზე შევხვდი (იმ ეარაუდით, რომ ეს შეხვედრა საბოლოო იქნებოდა). ბ-ნი პრესტონი ჩვენ ორივეს ერთნაირი თვალით გვიყურებდა და სამართალი უნდა მივაგო — ჩემს განზრახვაზე არაფერი იცოდა. სათანადო გარემოს შესაქმნელად რვა-ათკაციან ჯგუფს მოვუყარე თავი, რა არ ვილონე და ბოლოს კიდეც მოვახერხე, რომ თითქოს სრულიად შემთხვევით მოგვინდა თამაში, და სწორედ ჩემმა მსხვერპლმა გამოთქვა პირველად სურვილი ამის თაობაზე. სიტყვას აღარ გავაგრძელებ ამ ბინძურ ამბავზე, მხოლოდ დავსძენ, რომ იმ საღამოს ყველა ხრიკი მოვიშველიე, რასაც ამ დროს მიმართავენ ხოლმე. მიკვირს და ვერ მივმხვდარვარ, ასეთი ჭკუადაბღერტილი მაინც როგორ არიან ადამიანები და აგრე იოლად როგორ გაებმებიან ხოლმე მახეში.

გვიან ღამემდე ვისხედით. დაბოლოს შევძელი, რომ გლენდენინგის პირისპირ მხოლოდ მე დავრჩენილიყავი. რაღა თქმა უნდა, ჩემს საყვარელ ეკარტეს ვთამაშობდით. სხვებს დაეყარათ თავ-თავიანთი კარტი და, თამაშის

[1] იგულისხმება ჰეროდე დიდი, 40 წ. ძვ. ა. რომაელთა მიერ დანიშნული ებრაელთა მეფე.

[2] II ს. მცხოვრები ათენელი, სიმდიდრით სახელგანთქმული კაცი.

შედეგით დაინტერესებულები, ჩვენ გვიყურებდნენ. გუშინდელ აზნაურიშვილს მოსვლისთანავე კარგად ბლომად დავალევინე და ახლა მეტად აღელვებული ჭრიდა და არიგებდა კარტს, რაიც, ჩემი ფიქრით, ნაწილობრივ და არა მთლად მისი სიმთვრალით აიხსნებოდა. ცოტა ხანში დიდი ფული წააგო, თასით პორტვეინი გადაჰკრა და ის გააკეთა, რასაც გულცივად მოველოდი, ანუ წინადადება მომცა ისედაც დიდი ფსონი ერთი-ორად გაგვეზარდა. ვითომცდა ამ თხოვნით შეშფოთებული ჯერ დიდ უარზე დავდექი, ხოლო როცა ცეცხლი გამოშალა კბილებიდან და ჩემი თანხმობა უკვე **თავმოყვარეობაშელახული** კაცის თანხმობად გამოჩნდებოდა, დასტური მივეცი. მერე რაც მოხდა, რაღა თქმა უნდა, იმას მოწმობდა, რომ სრულიად გამოჭერილი მყავდა ეს კაცი: რამდენიმე წუთიც და ვალი გაუოთხკეცდა. მალე ღვინით წამოწითლებულ სახეზე ჩემდა გასაოცრად მკვდრისფერი დაედო. ჩემდა გასაოცრად-მეთქი, ვინაიდან იმთავითვე ჩემი დაბეჯითებული გამოკითხვის შედეგად ვიცოდი, რომ გლენდენინგი აღურიცხავი სიმდიდრის პატრონი იყო; ჰოდა, შეც გავიფიქრე, მართალია, ბევრი წააგო, მაგრამ ამ თანხის დაკარგვას ასე მაინც არ უნდა ემოქმედა ამ კაცზე, ღვინო რომ დალია, ალბათ ამან თუ მოათავა-მეთქი; თანამესუფრეთა თვალში რომ ჩირქი არ მომცხებოდა, უფრო ამიტომ მოვითხოვე თამაშის შეწყვეტა. ამ დროს უცებ გვერდით მსხდომნი შეწრიალდნენ, რაღაც ჩაილაპარაკეს, ხოლო გლენდენინგს კვნესა-ვაება აღმოხდა. და მივხვდი, თურმე მათხოვრად მიქცევია ჩემი მსხვერპლი, ისე გამეკოტრებინა, რომ მისი ცოდვით ქვაც კი ატირდებოდა, თავად ეშმაც ვეღარ მიაგებდა მეტ ბოროტებას.

აწ ძნელია იმის თქმა, რას ვიზამდი, როგორ მოვიქცეოდი. ამ არიფის საცოდაობამ ყველა დააბნია და თავზარი დასცა; რამდენიმე ხნით გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოწვა და ვიგრძენი, ზოგიერთი არც ისე გათახსირებული მოქეიფის მრისხანე შემოხედვაზე როგორ წამომენთო ღაწვები. უნდა ვაღიარო, იმ უჩვეულო ამბავმა, რაც შემდეგ მოხდა, მღელვარებით შებოჭილი მკერდი წამით შვებით ამიშვა. ერთბაშად განიხვნა ფართო, მძიმე კარი და თითქოს რაღაც ჯადოთი ოთახში ყველა სანთელი ჩაქრა. მაგრამ ჩამობნელებამდე თვალი შევასწარი ვიღაც ახალშემოსულს, ჩემი სიმაღლისა რომ იქნებოდა და მთლიანად გახვეულიყო მოსასხამში. ამ წყვდიადში მხოლოდ **ვგრძნობდით,** რომ ის აქ, ჩვენ შორის იდგა, ვერ კი ვხედავდით. ასეთი თავხედური მოხდომით თავგზადაკარგულნი ჯერ კიდევ გონზე არ ვიყავით მოსულნი, რომ ხმა გაისმა.

— ბატონებო, — თქვა ამ კაცმა დაბალი, მკაფიო, მარად დაუვიწყარი ჩურჩულით და მეც ტანზე ეკალი ამესხა, — ბატონებო, მაპატიეთ, მაგრამ მოვალეობამ ჩამადენინა ეს საქციელი. თქვენ, რაღა თქმა უნდა, არ იცნობთ ბატონ გლენდენინგისთვის ეკარტეში დიდი თანხის მომგები კაცის ჭეშმარიტ ბუნებას. ამიტომ ყველაფერი ზუსტად რომ გაიგოთ, უნახეთ გადმოკეცილი სახელოს სარჩული, გაუჩხრიკეთ ხალათის ფართო ჯიბე და იქ სხვა კარტებსაც უპოვით.

სანამ ამას ამბობდა, მდუმარება ჩამოვარდა. დაასრულა და როგორც მოვიდა, ისევე უცებ გაქრა. შევძლებ კი იმის აღწერას, რა დამემართა? ან რა ჯოჯოხეთური ტანჯვა გადამხდა? მაგრამ აღარ დამცალდა ფიქრი. მრავალი ხელი უხეშად მწვდა, იმ წუთას აანთეს სანთელი და გამჩხრიკეს. სახელოში ყველა მომგებიანი კარტი მიპოვეს, ხალათის ჯიბეში კი ისეთივე კარტების დასტა, როგორითაც ჩვენ ვთამაშობდით. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც ამ საქ-

მის მცოდნენი ამბობენ, ისინი arrondées [1] დაემუშავებინათ; დიდი კარტები ბოლოებში იყო ამობურცული, მცირენი—გვერდებზე. ამ შემთხვევაში მსხვერპლი, წესისამებრ. სიგრძივ რომ მოუჭრის დასტას, მომგებიან კარტებს მოწინააღმდეგეს დაუტოვებს და თავად ბედის ანაბარაღა რჩება.

ასეთი გამოაშკარავების შემდეგ ყურის წამღები ღრიანცელი ჩემზე უფრო ნაკლებად იმოქმედებდა, ვიდრე ის ზიზღიანი სიჩუმე თუ თავშეკავებული დაცინვა, რითაც შეხვდნენ ამ ამბავს.

— ბატონო უილსონ, — წარმოთქვა მასპინძელმა და ჩემ ფერხთით დაგდებული უძვირფასესი ბეწვით გაწყობილი მოსასხამი აიღო. — ბატონო უილსონ, ეს თქვენია (ციოდა, წამოსვლისას ხალათის ზემოდან მოსასხამი მოვიგდე და შემოსვლისთანავე იქვე იატაკზე მოვისროლე). კარგად დახელოვნებულხართ, მაგრამ ჩვენთვის კი მართლაც კმარა. უნდა დატოვოთ ოქსფორდი, ყოველ შემთხვევაში ეს სახლი მაინც.

დამცირებულს, თავლაფდასხმულს ამ შეურაცხმყოფელ სიტყვებზე შესაძლოა სილა გამეწნა მისთვის, რომ მთელი ჩემი გულისყური ერთ შემაძრწუნებელ გარემოებას არ მიეპყრო. ისე იშვიათი და ძვირფასი ბეწვით იყო გაწყობილი ის ჩემი მოსასხამი, თქმაც ვერ გამიბედავს. უსაზღვროდ მოყვარული ჩაცმა-დახურვისა რას არ ვიგონებდი, ეს მოსასხამიც ჩემი ფანტაზიის მიხედვით შევაკერინე. ამიტომ, როცა ბ-ნმა პრესტონმა კართან მიგდებული მოსასხამი აიღო და გამომიწოდა, გაოცებისგან ზარდაცემულმა შევნიშნე, ის, საკუთარ მკლავზე რომ მქონდა გადაგდებული (რაც, ეჭვი არაა, უნებურად გავაკეთე) და ისიც, რომელიც ახლა მომცეს, ზუსტად ერთნაირი იყო. გამახსენდა, იმ ჩემს ასე უღვთოდ გამომაჭენებელ მომხდურსაც ჩემნაირივე მოსასხამი მოეგდო მხრებზე. გონება მთლად მაინც არ დამიკარგავს, პრესტონს მოსასხამი გამოვართვი, შეუმჩნევლად ჩემსას გადავაფარე და, ვინემ წავიდოდი, იქ მყოფთ მკაცრად, ზიზღით მოვავლე თვალი. დილაუთენია კი გატანჯულმა და სირცხვილნაჭამმა სასწრაფოდ დავტოვე ოქსფორდი და კონტინენტზე გადავედი.

მაგრამ **ამაოდ გადავიხვეწე**. ბედისწერა რაღაც ბოროტი სიხარულით ყველგან მომწვდა და ცხადი გახადა, რომ ახლაღა დაეწყო თავისი იდუმალი ძალის გამოვლინება. შევდგი თუ არა პარიზში ფეხი, მაშინვე გადამხდა ერთი ამბავი, რამაც დამიდასტურა—სწორედ უილსონი ჩარეულიყო კვლავაც საზიზღრად ჩემს საქმეებში. გადიოდა წლები და ვეღარ და ვეღარ მოვითქვი სული. არამზადა! რა უდროოდ, რა ლანდად ჩადგა რომში ჩემსა და ჩემი წადილის საგანს შუა! ასევე ბერლინში, ასევე მოსკოვში! **ყველგან** წყევლა-კრულვით ვიხსენიებდი ამ კაცს! დაბოლოს ვეღარ ავიტანე ენით უთქმელი ჩაგვრა, გამოვექეცი, როგორც შავ ჭირს. სად არ წავედი, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდი. სულ **ამაოდ გადავიხვეწე**.

ისევ და ისევ, ჩემს თავს იდუმალ რომ ვესაუბრებოდი, ვიკვლევდი: „ვინ არის? საიდანაა? რა უნდა?“ მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობდი და გამოწვლილვით ვიძიებდი მთავარს, რაც ამ უკადრის ზედამხედველობაში იმალებოდა. ოღონდ ამ მხრივაც დასკვნისთვის ხელმოსაჭიდი ცოტაღა მქონდა. თუმცა ეს კი ჩანდა: მრავალგზის რომ გადამიდგა, მხოლოდ იმ გულისწადილის შესრულება

[1] მრგვალად (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხოლოდ ის საქმეები ჩამიფუშა, რომლებსაც დიდი ბოროტების მოტანა შეეძლო. რა უსუსური გამართლება გახლავთ იმისათვის, რომ ასე უსაზღვროდ მჯაბნიდა! რა კადნიერად თელავდა ჩემს თავისუფლებას, არ მანებებდა სურვილისამებრ მოვქცეულიყავ.

კარგა ხანია ამასაც ვამჩნევდი — ჩემს საქმეებში ამდენგზის ჩარევისას ერთხელაც არ დამინახავს ჩემი მწვალებლის სახე (თუმცა ამავე დროს ცდილობდა ზუსტად ჩემსავით ჩაეცვა). ვინც უნდა ყოფილიყო უილსონი, მაინც გონებაღახმული და ბეცი ბრძანდებოდა, ნუთუ ერთი წამითაც შეეძლო გულში გაევლო, რომ ვეღარ ვიცნობდი ჩემს იტონელ ჭკუის დამრიგებელს, ოქსფორდში ჩემი სახელის შემარცხვენელს — იმას, ვინც რომში წინაღუდგა ჩემს პატიმოყვარეობას, პარიზში — შურისძიებას, ნეაპოლში — ვნებიან სიყვარულს ან იმას, რომელმაც ეგვიპტეში ჩემს საქმეებს ოქროსმომხვეჭელობა შეარქვა. სკოლის წლებიდანვე ჩემს მტერსა და ბოროტ სულს, უილიამ უილსონს, ჩემს სეხნიას, ძმაბიჭს, ზიზღისა და ზარის მომგვრელ მეტოქეს დოქტორ ბრენსბის სასწავლებლიდან? შეუძლებელია. მაგრამ, თქვენი ნებართვით, ამ დრამის ბოლო სურათსაც გიამბობთ ახლა.

აქამომდე უხეოდ, თავმოდრეკით ვითმენდი მის ძალადობას. შიშსა და მოწიწებას ვგრძნობდი უილსონის სიბრძნით გამორჩეული, ღრმადმხედველი, ყოვლისშემძლე გონების წინაშე. თუ დავურთავთ იმ მარადიულ შემზარავ გრძნობას, რასაც მგვრიდა მისი ხასიათის სხვა თვისებები და საკუთარი ვარაუდები, რაღა გასაკვირია, რომ ბოლოს ასეთი დასკვნა გამოვიტანე: მთლად უსუსური და უილაჯო ვყოფილვარ და რა გზა მაქვს, ისევ მისი მორჩილება მმართებს-მეთქი. იმ უკანასკნელ ხანებში გაუთავებლად ვსვამდი. ღვინომ და თანდაყოლილმა სიფიცხემ უფრო ჭირვეული და მოუთმენელი გამხადა. ჰოდა, მეც დავეჭვდი, აღვშფოთდი, ავზვავდი, ურჩობის გუნებაზე დავდექი. ნუთუ მხოლოდ ჩემმა ფანტაზიამ დამარწმუნა, რომ ჩემი სიმტკიცის ზრდის კვალობაზე იმისი შესუსტდა-მეთქი? ასე იყო თუ ისე, დიდი ფიქრის შემდეგ სასოწარკვეთილებამ მკაცრ გადაწყვეტილებამდე მიმიყვანა, უნდა თავი დავაღწიო-მეთქი ამ გაუთავებელ დამცირებას.

18... წლის რომის კარნავალის დროს ნეაპოლელი ჰერცოგის, დი ბროლიოს სასახლეში მასკარადზე წავედი. ღვინო ჩვეულებრივზე მეტი დაელია, ისე რომ გაუსაძლისი შეიქნა ჩემთვის სულისშემხუთველი ჰაერისა და აუარება ხალხის ატანა. თანაც სისხლი ყელში მებჯინებოდა, რომ ამ ორომტრიალში ვერა და ვერ გავაღწიე. მე კი მოუთმენლად დავეძებდი (რა ულირსი მიზნისთვის, აღარ ვიტყვი) დაჩაჩანაკებული და პირგანაცრებული დი ბროლიოს მხიარულ, მშვენიერ, ნორჩ მეუღლეს. სულ ცოტა ხნით ადრე ქალმა ურცხვად შემატყობინა, რა სამეჯლისო სამოსელში იქნებოდა მორთული. თვალი მოვკარი და მაშინვე მივაშურე. იმ წუთას ვიღაცამ მხარზე რბილად დამკრა ხელი და ოდინდელი, ჩუმი, დაწყევლილი **ჩურჩული** ჩამესმა.

მრისხანებისგან თვალდაბნელებული მივვარდი ჩემს სულთამხდელს და გამეხებულმა სახელოზე ხელი ვტაცე. ზუსტად ჩემსავით იყო მორთულ-მოკაზმული, როგორც სჩვეოდა. ლურჯი ხავერდის ესპანური მოსასხამი მოესხა, წელზე მეწამული ფერის სარტყელი შემოერტყა დაშნითურთ. შავი აბრეშუმის ნიღაბი მთლიანად უფარავდა სახეს..

— გათახსირებულო!—შევძახე ბრაზით ხმაჩახრინწულმა, თითქოს ვგრძნობდი, ყოველი წარმოთქმული ბგერა სულ უფრო მიმატებდა მრისხანებას, — გათახსირებულო! თვითმარქვია! წყეულო! აწ ველარ, ველარ მომიწამლავ წუთისოფელს! მომყე ან არადა, აქვე აგიგებ ანდერძს! — და სწრაფად წავათრიე გვერდით ოთახისკენ. ისიც წინააღმდეგობის გაუწეველად გამომყვა.

შესვლისთანავე გაცეცხლებულმა ხელი ვკარ და კედელს მივახეთქე. მერე წყევლა-კრულვით კარი გადავკეტე და ვუბრძანე, თავი დაიცავი-მეთქი. წამით შეყოყმანდა, შემდეგ ამოიხვნეშა, მდუმარედ ამოიღო დაშნა და თავდასაცავად მოემზადა.

ბრძოლა ხანმოკლე გამოდგა. ყველანაირი სახის და ჯურის ჩემმა მრისხანებამ ათი კაცის ძალა მომგვარა მარჯვენაში. ორიოდე წამი და კუთხეში მივიმწყვდიე გაშმაგებულმა. კარგად ვხედავდი, ჩემს ხელთ იყო და მხეცური კბილთა ღრჭენით დაშნა რამდენიმეჯერ ვატაკე მკერდში.

ამ დროს კარს ვიღაცა წაეპოტინა. შევშფოთდი, ვაითუ ვინმე შემოვიდეს-მეთქი. ურდული გავამაგრე და მყისვე მომაკვდავ მეტოქესთან გამოვბრუნდი. მაგრამ მეყოფა კი ძალა იმ გაოცებისა და შიშის ზარის გადმოსაცემად, რაც განვიცადე? თვალი რომ მოვაცილე, ეს ერთი წამი საკმარისი აღმოჩნდა ოთახის მეორე ბოლოში მომხდარი საკვირველი ცვლილებისათვის. დიდი სარკე — ამ მღელვარებაში პირველად ასე მეგონა, მომეჩვენა-მეთქი — იქ დავინახე, სადაც წეღან არაფერი შემინიშნავს და როცა შეძრწუნებულმა ფეხი გადავდგი, საკუთარი თავი დაველანდე, ფერმილეული და სისხლით მოთხვრილი, ბარბაცით ჩემკენ დაძრული.

მომეჩვენა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ასე არ ყოფილა. მეტოქე — უილსონი იდგა ჩემ წინ, სულთმობრძავი, სახემორღვეული; ნიღაბი და მოსასხამი იქვე ეგდო იატაკზე. მისი სამოსელის ყოველი ნაკერი, მისი განუმეორებელი სახის ყოველი ნაკვთი სრულიად დამთხვეოდა ჩემსას.

ეს გახლდათ უილსონი; და როცა დაილაპარაკა, თითქოს მე ვამბობდი ამას:

— გათავდა, მორჩა, შენ გაიმარჯვე, მაგრამ აწ მკვდარი ხარ. მკვდარი ამ სოფლისთვის, სასოებისთვის, მაღლა ცისთვის! ჩემში იყო შენი არსობა და ჩემშია შენი სიკვდილიც, საკუთარი სახე გამცნობს, ვით მოიკვეთე სამარადისოდ.

□

„შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე!“

რეტლბოროს გამოცანა რომ ამოვხსნა, ოიდიპოსის როლი უნდა გავითამაშო ახლა. მხოლოდ მე შემიძლია გითხრათ, რა მანქანებით გამოაშკარავდა რეტლბოროული სასწაული — ერთადერთი, ჭეშმარიტი, აღიარებული, უცილობელი, უცდომელი სასწაული, რომელმაც გულისხმაში ჩააგდო ზოგი მიუხვედრელი რეტლბოროელი და დღეს უკვე გადამღრძვალი დედაბერივით ღვთის მოშიში გახადა აქამომდე ყველა გაკადნიერებული ურწმუნო.

ეს მოხდა — უკაცრავად კი ვარ ჩემი მონათხრობის ასეთი შეუფერებელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქი კილოს გამო — 18... წლის ზაფხულს. ბ-ნი ბარნაბას დგიმუაუგოთი[1], ერთი აქაური შეძლებული და პატივცემული კაცი, რამდენიმე დღე აღარ გამოჩენილა და ამ ამბავმა ხალხი საგონებელში ჩააგდო. ბ-ნი დგიმუაუგოთი რეტლბოროდან შაბათს სისხამ დილით გასულა ცხენზე ამხედრებული. ასე უთქვამს, მივემგზავრებიო ქალაქ ...ს, თხუტმეტიოდე მილით რომ იყო დაცილებული. იმ საღამოსვე აპირებდა თურმე მობრუნებას. მისი გამგზავრების ორი საათის შემდეგ ცხენი უმხედროდ დაბრუნდა, ლაფში ამოვლებული, დაჭრილი, ის ჩანთებიც არ ჩანდა, პატრონს თან რომ წაეღო. ამ გარემოებამ, რაღა თქმა უნდა, მეტად შეაშფოთა დაკარგული კაცის მეგობრები. ბ-ნი ბარნაბას დგიმუაუგოთი დილითაც რომ აღარ გამოჩნდა, მთელი დაბა en masse[2] დაირაზმა მის საძებნელად.

ძებნის სულისჩამდგმელი გახლდათ ბ-ნ დგიმუაუგოთის გულითადი მეგობარი ბ-ნი ჩარლზ სულიკოუ ან, როგორც ყველა ეძახდა: „ჩარლი სულიკოუ“ თუ „ძია ჩარლი სულიკოუ“. ვერ გეტყვით, გასაკვირველი თანხვდომილებაა თუ თავად სახელს აქვს ხასიათზე იდუმალი ზეგავლენა, ეს კია, არასდროს მინახავს ვინმეს ჩარლი ერქვას და ის კაცური კაცი არ ყოფილიყო, ალალი, პატიოსანი, დიდბუნებოვანი, გულმხიარული, ტკბილ ხმაზე მოუბარი, სულმუდამ რომ თვალს გისწორებთ და თითქოს გეუბნებათ: „სინდისი წმინდა მაქვს, არც არავისი მეშინია, ყოველ შემთხვევაში ცუდს არასდროს ვიქმ“. აი, რადაა, რომ ყველა გულიან, დარდიმანდ კაცს ჩარლი უნდა ერქვას ნამდვილად.

ექვსი თვე იქნებოდა გასული, რაც „ძია ჩარლი სულიკოუ“ რეტლბოროში გამოჩნდა. და თუმცა აქაურთაგან არვინ იცნობდა, მაგრამ შეუჭირვებლად კი გაიჩინა დაბის დარბაისელ ხალხში ქვეყნის ნაცნობი. ერთი ეთქვა და დაუყოვნებლივ მიიღებდა სესხად თუნდაც ათას დოლარს; ხოლო ქალები მისთვის სულსაც არ დაიშურებდნენ. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩარლი ერქვა, ამ სახელის პატრონი კი უთუოდ უნდა ყოფილიყო შუბლგახსნილი ადამიანი, ვისზეც ასე ამბობენ ხოლმე: „ამ კაცის თვალები მისი გულის სარკეაო“.

უკვე მოგახსენეთ, რომ ბ-ნი დგიმუაუგოთი ერთ-ერთი უპატივცემულესი და, ჭეშმარიტად, უმდიდრესი კაცი იყო რეტლბოროში, მისი გულისთვის „ძია ჩარლი სულიკოუ“, როგორც იტყვიან, წყალში გადავარდებოდა. კარის მეზობლები იყვნენ ეს მოხუცი ჯენტლმენები და თუმცა ბ-ნი დგიმუაუგოთი ათასში ერთხელ თუ შეივლიდა „ძია ჩარლისას“, თუმცა პური იქ ერთხელაც არ გაუტეხია, როგორც უკვე ვთქვით, ეს ამბავი მათ მეგობრობას ხელს არ უშლიდა. მართლაც დღე ისე არ გავიდოდა, რომ „ძია ჩარლის“ სამჯერ, ოთხჯერ არ შეერბინა მეზობლის სანახავად, ხშირადაც რჩებოდა ხოლმე საუზმეზე თუ ჩაის დასალევად, სადილზე კი ყოველთვის, ხოლო რამდენი ჭიქა ღვინო გადაუკრავთ ამ ორ ძმაკაცს, ამას ვინ მოთვლის. „ძია ჩარლის“ მეტად უყვარდა Chateau Margaux[3] და, როცა ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, ბ-ნი დგიმუაუგოთი სიამოვნებით შესცქეროდა თავის სტუმარს: ჰოდა, ერთხელაც ღვინით კარგა რომ შეეიყინდნენ, ბ-ნმა დგიმუაუგოთმა მხარზე ხელი დაჰკრა თანამესუფრეს: „შენ გეუბ-

---

[1] დედანში: mr. Barnabas Shuttleworthy. ედგარ პო ზოგჯერ მოთხრობის გმირის გვარში გარკვეულ შინაარსს ჩააქსოვს ხოლმე. ასე რომ, რაღა თქმა უნდა, მთარგმნელი იძულებულია შეძლებისდაგვარად გვარიც თარგმნოს. ამ მხრივ უფრო საინტერესოა მთავარი გმირი — mr. Charles Goodfellow — მისტერ ჩარლზ გუდფელოუ. გუდფელოუ — კაცური, კარგი კაცი.

[2] აქ: ერთხმად (ფრანგ.).

[3] შატო-მარგო.

ნები-მეთქი, „ძია ჩარლი“, სული არ წამიწყდეს, ამ ხნის კაცი ვარ და შენისთანა კაი მეგობარი ჯერ არ მყოლია; რაკიღა აგრე გყვარებია ყლურჭვა, ეშმაკის კერძი გავხდე, დიდი ყუთი შატო-მარგო თუ არ გაჩუქო — (ბ-ნ დგიმუაუგოთს ჰქონდა ერთი საძრახისი ჩვევა, ხანდახან შეკურთხება უყვარდა ხოლმე. „ეშმაკის კერძი გავხდე“ ან „მიწა გამისკდეს“ თუ „დასწყევლოს ღმერთმა“ — მეტს არ იკადრებდა) — „ეშმაკის კერძი გავხდე“, განაგრძო მან, „თუ ამ ნაშუადღევს ქალაქში არ დავუკვეთო ვეებერთელა ყუთი შენი მოსაწონი საუკეთესო ღვინო. მორჩა და გათავდა, იცოდე, ამ მოკლე ხანში მოგაყენებ კარზე“. ბ-ნ დგიმუაუგოთის გულუხვობაზე იმიტომაც მოგახსენეთ, იცოდეთ-მეთქი ამ ორი ადამიანის **დიდი** მეგობრობის ამბავი.

ჰოდა, როცა იმ კვირა დილით მიხვდნენ, ბ-ნი დგიმუაუგოთი ხიფათს რასმე გადაჰყრიაო, „ძია ჩარლი სულიკოუსავით“ აგრე მეხდაცემული ჯერ არავინ მინახავს. პირველად რომ გაიგო, ცხენი უმხედროდ, უჩანთებოდ მობრუნდა, დამბაჩის ტყვიით დაჭრილი, მკერდი რომ შეენგრია საბრალო ოთხფეხისთვის, მაგრამ არ მოეკლა, — ყველაფერი ეს რომ გაიგო, სულზე უტკბესი ღვიძლი ძმის თუ მამის დამკარგავი კაცივით გადაფითრდა და ციებცხელებიანივით თავით ფეხამდე აკანკალდა.

მეტისმეტად გულდაშანთულმა პირველად ვერც ვერაფრის გაკეთება შეძლო, ვერც რამის მოსაზრება; ის კი არადა, დიდხანს ეხვეწა ბ-ნ დგიმუაუგოთის მეგობრებს, სჯობს ცოტა ხანს შევიცადოთ, ასე ერთი-ორი კვირა ან ერთი-ორი თვე, ეგებ რამე გაირკვეს ამ დროში, ეგებ თავად ბ-ნი დგიმუაუგოთი საღ-სალამათი მოვიდეს და გვითხრას, ცხენი შინ როგორ გამოექცაო. ალბათ ხშირად შეგიმჩნევიათ, დამწუხრებული კაცი რომ მუდამ ფეხს ითრევს ან სულაც სახვალიოდ გადასდებს ხოლმე საქმეს, თითქოს ჭკუაშეშლილს განძრევაც კი ზარავს და, როგორც ხანდაზმული ქალები იტყვიან, „კაეშნის სალოლიავებლად“ მივარდნილს წოლის მეტი აღარაფერი უნდა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ნიადაგ უდგას გლოვის კარავი.

მართლაც „ძია ჩარლის“ სიბრძნისა და წინდახედულობის დიდი თაყვანისმცემელი რეტლბოროელების უმრავლესობა თანახმა იყო აღარაფერი მოემოქმედა, ვინემ „რაიმე გაირკვეოდა“, როგორც ბრძანებდა ეს პატივცემული მოხუცი ჯენტლმენი; და ვფიქრობ, ბოლოს ამ აზრს დაადგებოდნენ ყველანი, რომ ფრიად საეჭვოდ არ ჩარეულიყო ბ-ნ დგიმუაუგოთის დისწული, ერთი მეტად უწესო, გიჟლარა ყმაწვილი კაცი. ამ უკანასკნელს, გვარად უსავარგოს, გაგონებაც კი არ სურდა — რის ლოდინიო, რა ლოდინიო, ახლავე უნდა ვეძებოთ „მოკლულის გვამიო“. დიახ, სწორედ ასე წამოიძახა. იმწამსვე სამართლიანად ბრძანა ბ-ნმა სულიკოუმ, რა **უცნაურად** თქვაო ამ ბიჭმა. ბრბოსაც ასევე დასცა მეხი „ძია ჩარლის“ ამ სიტყვებმა, ერთმა კიდეც იკითხა ხაზგასმით, კი მაგრამ ამ ყმაწვილმა, ბ-ნმა უსავარგომ საიდან იცის ასე წვრილად თავისი ბიძის ასავალ-დასავალი, აგრე აშკარად და პირდაპირ რომ აცხადებს — „ბიძაჩემი მოკლულიაო“. ცოტა წაკინკლავებაც მოხდა, ზოგიერთებს კიდევაც შემოელანძღათ ერთმანეთი, მეტადრე „ძია ჩარლისა“ და ბ-ნ უსავარგოს. მაგრამ რაკიღა ეს სამი თუ ოთხი თვე ისინი ერთმანეთთან ვერ იყვნენ კარგად, მათი წაკიდება, რაღა თქმა უნდა, აღარავის გაკვირვებია. ერთხელ ჩხუბიც კი მოუვიდათ — იმ დღეს ბ-ნმა უსავარგომ მუშტი სთხლიშა და ძირს დასცა ბიძამისთან სტუმრად მოსული „ძია ჩარლი“. მიზეზი ის იყო, რომ ამ უკანასკნელ-

მა თითქოს რაღაც ისე ვერა თქვა და ისე ვერ მოიქცა იმ ოჯახში, სადაც თავად ბ-ნ დგიმუაუგოთის დისწული ცხოვრობდა. როგორც ამბობენ, იმ წუთას სამაგალითო იყოო „ძია ჩარლის“ თავშეკავება და ქრისტიანული სათნოება, წამოდგა, ტანისამოსი გაისწორა, სამაგიეროს გადახდა არც კი უცდია. მხოლოდ წაიდუდუნა, სულ მალე გიჩვენებო სეირს, რაიც ბუნებრივი და სრულიად მისატევებელი გამოხატულება გახლდათ მრისხანებისა და, ცხადია, ამ სიტყვების თქმა და დავიწყება ერთი იყო.

ასეა თუ ისე (ამ ამბავს ქვემორე მონათხრობთან არავითარი კავშირი არ აქვს), ის კია ცნობილი, რომ ბ-ნ უსავარგოს დაჟინებით ბოლოს გადაწყვიტეს დაბის შემოგარენში გასვლა დაკარგული ბ-ნ დგიმუაუგოთის მოსაძებნად. ხოლო როცა ეს გადაწყვიტეს, როცა ყველა მიხვდა, ძებნა აუცილებელიაო, ესეც თქვეს, უთუოდ უნდა დაიყონ მძებნელები, ანუ შემოგარენის უკეთ მოსაჩხრეკად ხალხი ჯგუფ-ჯგუფად უნდა წავიდესო. აღარ მახსოვს, როგორ და რა სიტყვებით, მაგრამ „ძია ჩარლიმ“ ბოლოს ბრძნულად დაასაბუთა ამ გეგმის ყოვლად უვარგისობა და ბ-ნ უსავარგოს გარდა ყველამაც დაუჯერა. დასასრულ დაადგინეს, მოქალაქეებს en masse-დ გულდასმითა და გამოწვლილვით დაეძებნათ ის არემიდამო თავად „ძია ჩარლის“ წანამძღოლობით.

მართლაც ვერც კი ინატრებდნენ „ძია ჩარლიზე“ უკეთეს მეთაურს. ყველამ იცოდა, ფოცხვერივით მახვილი თვალი რომ ჰქონდა ამ კაცს. ხალხი ჯერეთუნახავი ბილიკებით სად არ ატარა და რა გადაკარგული ორმოები და კუნჭულები არ მოაჩხრეკინა. და თუმცა თითქმის მთელი ერთი კვირა დღე და ღამე ეძებდნენ, ბ-ნ დგიმუაუგოთის ნაკვალევს მაინც ვერსად მიაგნეს. ნაკვალევს ვერ მიაგნეს-მეთქი რომ ვამბობ, არაა მთლად ზუსტი ნათქვამი, რადგან რაღაც ნაკვალევი, ცხადია იპოვეს. საბრალო ჯენტლმენს მართლაც დაეტოვებინა კვალი. მისი ცხენის ნაჩლიქარმა (საგანგებო ნალებით რომ დაეჭედათ) ხალხი დაბის აღმოსავლეთით მიიყვანა, ასე, სამიოდე მილით დაცილებულ, ქალაქს მიმავალი შარაგზის ერთ ადგილას. მერმე აქ ნაკვალევმა გადაუხვია და ტყის ვიწრო ბილიკით ისევ დიდ გზაზე გამოვიდა, რამაც ჩვეულებრივი სავალი თითქმის ნახევარი მილით მოჭრა. კიდევ ქვემოთ რომ გაუყვნენ ნაფეხურებს, ბილიკის ხელმარჯვნივ მაყვლის ბუჩქებში სანახევროდ ჩამალულ ტბორს მიაღწიეს, სადაც კვალი აღარ ჩანდა. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ აქ რაღაც ბრძოლა ყოფილა და კაცის სხეულზე დიდი და მძიმე რამ საგანი ბილიკიდან ტბორისკენ გადაეთრიათ. ტბორის ფსკერი საგულდაგულოდ ორგზის მოჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს და ხალხს იმედი გადაეწურა. განგებამ თუ ჩაგონა ბ-ნი სულიკოს, როცა თქვა, ტბორიდან წყალი სულ ამოვხაპოთო, რასაც სიხარულით დაეთანხმა „ძია ჩარლის“ სიბრძნისა და მიხვედრილობის მაქებარი ხალხი. ბევრს ნიჩბები წამოეღო, ეგებ გვამის ამოთხრა დაგვჭირდესო. ასე რომ წყლის ამოხაპვა არ გაძნელებიათ: ჯერ კიდევ ხეირიანად არც გამოჩენილა ფსკერი, რომ შლამში იპოვეს შავი ხავერდის ჟილეტი, რომელიც. თითქმის ყველამ ბ-ნ უსავარგოს კუთვნილებად შეიცნო. ჟილეტი სულ დაგლეჯილი და სისხლით მოთხვრილი იყო. რამდენიმემ დასტურ გაიხსენა, ბ-ნი დგიმუაუგოთის ქალაქს გამგზავრების დილას სწორედ ეს ჟილეტი ეცვაო ბ-ნ უსავარგოს. ზოგმა ესეც კი თქვა: თუ გინდათ დავიფიცებ, იმ ავბედითი განთიადის შემდეგ **მთელი დღე არ გვინახავსო** ბ-ნ უსავარგოს ტანზე ეს ჩასაცმელი, ხოლო

ერთსაც არ უთქვამს, ბ-ნ დგიმუაუგოთის დაკარგვის მერმეც უტარებიაო ეს ჟილეტი ბ-ნ უ-ს.

ბ-ნ უსავარგოს საქმე ვერ იყო კარგად. ამას ისიც მოწმობდა, როცა ჩაეკითხნენ, თავს რითი იმართლებო, მკვდრისფერი დაედო, ხმა ველარ ამოიღო. ცხადია, ამ ამბავმა უფრო დააეჭვა ხალხი. მაშინვე ბედის ანაბარად მიატოვა ბ-ნი უსავარგო იმ ორიოდე მეგობარმაც, ქეიფებსა და დროსტარებაში გვეოდიდან ოომ არ მორდებოდნენ და კიდევაც აჯობეს ყვირილში ამ ბიჭის დიდი ხნის საცხადო მტრებს — იქაურობა აიკლეს, ახლავე უნდა დავიჭიროთო. ამ ამბის მერე კიდევ უფრო გაიბრწყინა ბ-ნ სულიკოუს სულგრძელობამ, რომელმაც თავი გამოიდო ბ-ნ უსავარგოს დასაცავად. და ფრიად გულიანი და მგზნებარე სიტყვა თქვა. არაერთგზის აღნიშნა, დიდი ხანია ნამდვილად დამავიწყდა და ვაპატიეო ამ ყრმა ჯენტლმენს, „პატივცემული ბ-ნ დგიმუაუგოთის მემკვიდრეს“, ის შეურაცხყოფა, რაც მან (ყრმა ჯენტლმენმა) მომაყენა. რაღა თქმა უნდა, მრისხანებისგან ჭკუაშეშლილმა. სწორედ აგრე განაცხადა, მიმიტევებია მთელი სულითა და გულითო; თავად მას (ბ-ნ სულიკოუს) სრულიადაც არ სურს დამძიმება იმ ბრალდებისა, რაც, სამწუხაროდ, ბ-ნ უსავარგოს წინააღმდეგ აღიძრა და იგი (ბ-ნი სულიკოუ) თავის უბადრუკ მჭევრმეტყველებას არ დაიშურებს, ყველაფერს გააკეთებს, რომ... რომ... რომ რამდენადმე მაინც, საკუთარ სინდისზე მიუმძლავრებლად სხვარიგად გააშუქოს ამ ბნელით მოცული საქმის სამძიმო გარემოებანი.

ბ-ნი სულიკოუ ასე და ამგვარად ლაპარაკობდა მთელი ნახევარი საათი. და თუმცა კი მოიხვეჭა ბრძენი და თაფლიკაცის სახელი, მაგრამ ვაი რომ თავისი კეთილი გულით მისთანა კაი ხალხი ხშირად გაებმება ხოლმე contretemps-ის[1] და mal a proposisms-ის[2] ხვანჯებში და მეგობრის საშველად დიდად მოწადინებულს, მისთვის ყოველგვარი სიკეთის მოსურნეს, ძალაუნებურად დახმარების მაგივრად ზიანი უფრო მოაქვს.

ახლაც ასე მოხდა „ძია ჩარლის“ მჭევრმეტყველების მიუხედავად; რადგან, მართალია, თავგადაკლული კი ცდილობდა ეჭვების გაფანტვას, მაგრამ როგორღაც თუ რაღაც მანქანებით დამსწრეთა თვალში თავის გამოსაჩენად უნებლიეთ წარმოთქმულმა მისმა ყოველმა სიტყვამ ის თავდაპირველი ეჭვი და რისხვა უფრორე გაამრავლა ამ ყმაწვილისადმი და ჯავრით ააყაყანა ბრბო.

სიტყვით გამოსულის ერთ-ერთი საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ წამოცდა, ეჭვმიტანილი „პატივცემული მოხუცი ჯენტლმენის, ბ-ნ დგიმუაუგოთის მემკვიდრე გახლავთო“. მართლაც, აქამომდე ხალხს ეს არც მოჰგონებია. ისღა ახსოვდათ, რომ ერთი თუ ორი წლის უკან ბიძამისი (რომელსაც დისწულის გარდა სხვა ნათესავი არ ჰყავდა) დაემუქრა, სამემკვიდრეოს დაგიკარგავო, ასე რომ უკვე შესრულებული ეგონათ მუქარა — აი, ასეთი გულუბრყვილო ხალხი ცხოვრობდა რეტლბოროში; მაგრამ „ძია ჩარლის“ უნებლიე სიტყვებმა ბრბო იმწამსვე ჩააფიქრა, ხომ შეიძლება ზოგჯერ მუქარა **მუქარადვე დარჩესო.** მაშინვე წამოიჭრა ბუნებრივი კითხვა: cui bono? — კითხვა, ჟილეტზე უფრო რომ ადანაშაულებდა ყმაწვილ კაცს. აქ კი, თქვენი ნებართვით, სწორედ რომ გამიგოთ, ორიოდე სიტყვას ვიტყვი აგრე მრავალგზის შეცდომით ნათარგმნი

[1] აქ: არასასურველი წვრილმანები (ფრანგ.).

[2] უადგილო განმარტებანი (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაგებული ზემოთ ხსენებული ამ სულ პატარა და უბრალო ლათინური ფრაზის გამო. „Cui bono?“ ყველა მწერალს ყველა გახმაურებულ რომანსა თუ სხვა თხზულებაში, აი, თუნდაც ერთ მწერალ ქალს, ციტატები რომ მოჰყავს ქალდეურიდან მოყოლებული ჩიკასოს ტომის ენაზეც, ვისაც აუცილებლად მიაჩნია ბ-ნ ბეკფორდის[1] ციტირება — აი, ამ ქალბატონ გორსაც[2] („სესილის“ ავტორს), აგრეთვე ბულვერსა[3] და დიკენსს, და კიდევ ბევრ სხვას და ბოლოს ქისისლალასა[4] და აინსუორტს[5], ერთი სიტყვით ყველა ამ შემოქმედს, ვიმეორებ, თავის გახმაურებულ რომანში ეს ორი ლათინური სიტყვა—cui bono—ასე აქვს განმარტებული: „რა მიზნით?“ ანდა (თითქოს ეს იყო quo bono) „რის გულისთვის?“ მაშინ როცა ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა ასეთია: „ვისდა სასიკეთოდ?“ cui — ვისდა, bono — შესარგოდ. წმინდა იურიდიულია ეს სიტყვები, რომლებსაც ბ-ნ უსავარგოს საქმის მსგავსს შემთხვევაში გამოიყენებენ, როდესაც ეჭვმიტანილი პიროვნება გამტყუნდება სავარაუდო სარგებლის არსებობის კვალობაზე და მას დამნაშავედ ცნობენ. ამჯერადაც ეს კითხვა — cui bono აშკარად ბრალს სდებდა ბ-ნ უსავარგოს. ბიძამისმა ჯერ ხომ თავისი ქონება მას უანდერძა, მერმე დაემუქრა, დავხევო ანდერძის ქაღალდს, მაგრამ მუქარა არ შეუსრულებია და, როგორც ჩანს, ხელიც არ უხლია პირვანდელი საბუთისთვის. ანდერძი რომ **შეეცვალა**, მკვლელობის ერთადერთი საგულვებელი მიზეზი იქნებოდა ყმაწვილის ჩვეულებრივი შურისგების წყურვილი. მაგრამ ამ მიზეზის უკუგდება შეეძლო ასეთ მოსაზრებას: იქნებ ბიძიას კვლავ წყალობის თვალით შეეხედა ძმისწულისთვის. ხოლო თუ ანდერძი ხელუხლებელი იყო და ბრალდებული შიშობდა, ვაითუ ბიძიამ ძველი ანდერძი გააუქმოსო, იმწამსვე გამომზეურდებოდა მხეცური მკვლელობის საფუძველი; სწორედ ასე დაასკვნეს დიდად გამჭრიახმა და დიდად პატივცემულმა რეტლბოროელებმა.

ასე რომ ბ-ნი უსავარგო აქვე დააპატიმრეს. იმ არემიდამოს მცირეოდენი მოჩხრეკის შემდგომ ხალხი ტუსაღითურთ შინ წამოვიდა. მაგრამ გზად გადახდათ ერთი ამბავი, რამაც ეჭვი უფრო გაუღრმავა ხალხს. თავგამოდებული ბ-ნი სულიკოუ, ცოტათი რომ უსწრებდა დანარჩენთ, უცებ რამდენიმე ნაბიჯით წინ გავარდა და ხალხმა დაინახა, როგორ აიღო ბალახიდან პატარა საგანი. ისიც შეამჩნიეს, ბ-ნმა სულიკოუმ მალიად რომ გადაავლო თვალი ნაპოვნს, პალტოს ჯიბეში მოინდომა ჩაჩურთვა. მაგრამ ვეღარ მოასწრო, რადგან ხალხმა მოირბინა. ესპანურ დანას მალავდა თურმე. ათიოდემ იმ წუთას თქვა, ეს იარაღი ბ-ნ უსავარგოს ეკუთვნოდაო. ტარზე ამოჭრილი ინიციალებიც ამას ადასტურებდა. სისხლიანი და უბუდო ეგდო მიწაზე. დისწულის დანაშაული უკვე ყველასთვის ნათელი გახდა და რეტლბოროში მისვლისთანავე გამომძიებელს მიჰგვარეს კიდეც.

ყმაწვილს აქ საქმე უფრო ცუდად წაუვიდა. პატიმარი რომ დაკითხეს, სად იყავი და რას იქმოდი ბ-ნ დგიმუაუგოთის დაკარგვის დილასო, ბ-ნმა უსავარგომ კადნიერად უპასუხა: იმ დროს თოფით ირემზე ვნადირობდიო ტბორის

---

[1] ინგლისელი მწერალი (1760—1844).
[2] ინგლსელი მწერალი ქალი (1799—1861).
[3] ინგლისელი მწერალი ე. ბულვერ-ლიტონი (1803—1873).
[4] დედანში: Turnapenny; რუსული თარგმანის მიხედვით, Зашибирош.
[5] ინგლისელი მწერალი (1805—1882).

სიახლოვეს; სწორედ იქ, სადაც ბ-ნი სულიკოუს გონებაგახსნილობის წყალობით სისხლით მოთხვრილი ჟილეტი იპოვეს.

ბ-ნი სულიკოუ გამოვიდა და, ცრემლმორეულმა, ჩვენების მისაცემად სიტყვა მოითხოვა. ჩემი შემოქმედისა და ასევე ჩემი მოყვასის წინაშე მოვალეობა მალაპარაკებსო, ასე განაცხადა. ეს ყმაწვილი ძალიან უყვარდა (თუმცა იგი ბ-ნ სულიკოუს კარგად ვერ მოექცა), ამიტომაც რა არ იფიქრა, ოღონდ კი ბ-ნ უსავარგოს წინააღმდეგ მეტყველი დამაეჭვებელი გარემოებანი უკუეგდო. მაგრამ ახლა ყველაფერი **მეტისმეტად** ნათელია და სარწმუნო. რაღაი ბევრი ჭოჭმანი აღარ ეგების, იტყვის, რაც იცის, თუმცა მწუხარებისგან მისი (ბ-ნ სულიკოუს) გული მთლად დაშანთულია. იმ ავბედითი დილის წინადღის საღამოს, ვიდრე ბ-ნი დგიმუაუგოთი ქალაქს გაემგზავრებოდა, ამ პატივცემულმა მოხუცმა ჯენტლმენმა თავის დისწულს უთხრა მისი (ბ-ნ სულიკოუს) თანდასწრებით, ხვალ ვაპირებო „საფერმერო და მანქანა-იარაღების ბანკში" კარგა დიდი თანხის შეტანას. სწორედ მაშინ ბ-ნმა დგიმუაუგოთმა პირდაპირ უთხრა დისწულს, საბოლოოდ მაქვს გადაწყვეტილი, ჩემი ანდერძი გავაუქმო და სულ უკაპიკოდ დაგაგდოო. ბრალდებულს მან (მოწმემ) საზეიმოდ მოუწოდა, აბა თქვი, ეს ჩემი (მოწმის) ჩვენება ძირითადად მართალია თუ არაა მართალი. ყველას **გასაკვირად** ბ-ნმა უსავარგომ პირდაპირ თქვა, — **დიახ, მართალია.**

მაშინ გამომძიებელმა თავის მოვალეობად ჩათვალა ებრძანებინა ორი კონსტებლისთვის იმ ოთახის გაჩხრეკა, დისწულს რომ ეჭირა ბიძამისის სახლში. გაგზავნილები მალე მობრუნდნენ და ყველასთვის კარგად ნაცნობი, ფოლადის წვრილი სალტით შემოვლებული შინდისფერი ტყავის ქისა მოიტანეს, მრავალი წელიწადი რომ თან დაჰქონდა მოხუც ჯენტლმენს. მაგრამ ქისა ცარიელი იყო. ამაოდ ჩაეკითხა გამომძიებელი ტუსაღს, აბა, მითხარი, სად დახარჯე ან სად გადამალე ეს ფულიო, მაგრამ ყმაწვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ფულზე არაფერი ვიციო. კონსტებლებმა ამ უბედურის ლეიბ-საბნის ქვეშ იპოვეს მისივე ინიციალებით დაქარგული პერანგი და ყელსახვევი, ორივე მსხვერპლის სისხლით მოთხვრილი.

ასე იყო ეს ამბავი, როცა მოიტანეს ცნობა, დაღუპული მოხუცი ჯენტლმენის დაჭრილი ცხენი ეს წუთია თავის თავლაში მოკვდაო. ბ-ნმა სულიკოუმ განაცხადა, დაუყოვნებლივ უნდა მოვახდინოთ ცხოველის post-mortem[1] გაკვეთა, ეგებ ტყვია მოინახოსო. ასეც მოიქცნენ. თითქოს საბოლოო ეჭვების უკუსაგდებად ბ-ნმა სულიკოუმ მკერდის ღრუს საგულდაგულო გასინჯვის შემდეგ ნახა და ამოიღო უჩვეულო სიდიდის ტყვიის გულა, რომელიც, როგორც დაადგინეს, ბ-ნ უსავარგოს თოფით იყო ნასროლი. ასეთი თოფი არავის ჰქონდა იმ დაბასა თუ არემიდამოში. უფრო მეტიც, ტყვიას ზედ ეტყობოდა ნაკაწრი თუ ნახოკი, რაც შეჯერებისას ზუსტად დაემთხვა ჩვეულებრივ ნაგდევს იმ თოფის ლულისას, რომელიც, როგორც განაცხადა ბ-ნმა უსავარგომ, მისი იყო. ტყვიის ნახვისა და შემოწმებისთანავე გამომძიებელმა აღარ მოისურვა ჩვენების ჩამორთმევა და პატიმრის საქმე მაშინვე გადასცა სასამართლოს. თავდებით მის განთავისუფლებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, თუმცა ასეთი გულქვაობა სასტიკად დაგმო ბ-ნმა სულიკოუმ და კიდეც სურვილი გამოთქვა ყმაწვილის თავდებით გამოსაყვანად შეეტანა ნებისმიერი თანხა. „ძია ჩარლის" სულგრძელობა დიახაც შეეფერებოდა მის მადლიან და რაინდულ ხასიათს, რითაც **რეტლბოროში** ჩამოსვლისთანავე გამოირჩეოდა. ამ ღირსეულ კაცს ყმაწვილის

[1] სიკვდილის მერმინდელი (ლათ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახსნა ისე უნდოდა, რომ თავისი ახალგაზრდა მეგობრისთვის სათავდებო თანხის შესატანად მომზადებულს, როგორც ჩანს, სრულიად დაავიწყდა, თავად მას (ბ-ნ სულიკოუს) სულს იქით რომ არაფერი ებადა.

შემდგომ რაც მოხდა, ადვილი მისახვედრია. მთელ რეტლბოროელებში გათათხულ-მოყივნებული ბ-ნი უსავარგო წარდგა სასამართლოს წინაშე. არაპირდაპირი სამხილები (ბ-ნ სულიკოუს წმინდა სინდისმა ბევრი დამატებითი გამამტყუნებელი ფაქტი წარმოუჩინა ხალხს, ასე რომ ახლა ამ სამხილების უარყოფა აღარ იქნებოდა) ისეთი ნათელი და უთუო გამოდგა, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა იმწამსვე, მოუთათბირებლად გამოიტანეს ასეთი ვერდიქტი: **ბრალდებულს განზრახ მოუკლავს, დამნაშავეა**". მალე ამ უბედურ კაცისმკვლელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და გადააგზავნეს საოლქო საპყრობილეში, სადაც უნდა დალოდებოდა კანონის უწყალო შურისგებას.

ამის შემდგომ ღირსეული „ძია ჩარლი სულიკოუ" პატივცემულ დაბელებს უფრო მეტად შეუყვარდათ, ათწილ უფროორე სანდომ-საამური გახდა ეს კაცი მათთვის; და რაკიღა ყველასთვის სასურველი სტუმარი იყო, ცხადია, თავადაც ნება-უნებურად უარი უნდა ეთქვა თავის წინანდელ სავაგლახო ხელმომჭირნეობაზე. ასე რომ ახლა ხშირად მართავდა შინ პატარა réunions-ს[1], სადაც, მართალია, კი ლაღობდნენ და ილხენდნენ... მაგრამ ცოტათი მაინც დაღონდებოდნენ ხოლმე, როცა მოაგონდებოდათ ამ გულუხვი მასპინძლის აწ გამოტირებული სათაყვანებელი მეგობრის დისწულის უბედური და დღემოკლე ხვედრი.

ერთ მშვენიერ დღეს ერთობ გააოცა და თან გაახარა ეს დიდებული მოხუცი ჯენტლმენი ასეთმა ბარათმა:

„ჩარლზ სულიკოუს, ესკვაირს.

მოწყალეო ცელმწიფევ, ჩვენი პატივცემული მუშტრის, ბ-ნ ბარნაბას დგიმუაუგოთის ამ ორი თვის წინანდელ თხოვნას ვასრულებთ და დღეს დილით გიგზავნით დიდ ყუთ შატო-მარგოს, „ანტილოპას" მარკისას, იისფერ გეჰ-დიანს, ყუთის ნომერი და ნიშანი იხ. არეზე.

პატივისცემით
თქვენი მონა მორჩილი
ქოსმენი, გომგეშოუ, ტავარნა და კ°. ქალაქი ..., 18... წლის 21 ივნისი.

P. S.

ყუთს მიიღებთ ამ ბარათის მოსვლის მეორე დღეს, ფურგონით. ბ-ნ დგიმუაუგოთს ჩვენი კეთილი სურვილები.

ძ., ბ., ტ., კ°.

რეტლბორო
ჩარლზ სულიკოუს, ესკვ. ძ., ბ., ტ. და კ°. შატო-მარგ. ა — № 1. 6 დუჟ. ბოთლ. (0,5 ბროსი)

ცხადია, ბ-ნ სულიკოუს დაპირებული შატო-მარგოს ხილვის იმედი გადაწყვეტოდა ბ-ნ დგიმუაუგოთის სიკვდილის შემდეგ. ჰოდა, განგების ხელი დაინახა ამ ამბავში. სიხარულით აღფრთოვანებულმა, რაღა თქმა უნდა, მეორე დღისთვის მეგობართაგან ბევრი იწვია petit souper[2]-ზე კეთილი მოხუცი ჯენტლმენის საჩუქრის საგემებლად. მაგრამ დაპატიჟებულებისთვის **არ უთ-**

[1] აქ: წვეულება (ფრანგ.).
[2] მცირე ვახშამი (ფრანგ.).

ქვამს, „კეთილი მოხუცი ჯენტლმენის საჩუქარიაო“. დიდი ფიქრის შემდეგ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ამაზე სიტყვაც არ დაეძრა. მეხსიერება თუ არ მღალატობს, ერთხელაც არ უხსენებია, შატო-მარგო ნაჩუქარიაო. უბრალოდ უთხრა მეგობრებს, მოდით და მშვენიერი, საამური ღვინო დავლიოთ, ორიოდე თვის უკან რომ შევუკვეთე ქალაქში და ხვალ ჩამომივაო. ხშირად მიფიქრია, „ძია ჩარლიმ“ რად არა თქვა-მეთქი, ეს ღვინო რომ მის მოხუც მეგობარს გამოეგზავნა, მაგრამ ვერა და ვერ ჩავწვდი ამ დუმილის მიზეზს, თუმცა უთუოდ დიდებული და მეტად ქველი მოსაზრება ექნებოდა საფუძვლად.

ეს ხვალეც დადგა. ბ-ნ სულიკოუსთან დიდძალმა ღირსეულმა ხალხმა მოიყარა თავი. თითქმის ნახევარი დაბა მოსულიყო. კარგა მოსაღამოვებულიყო, „ძია ჩარლის“ ხვავრიელი სუფრისთვის სტუმრებს უკვე პატივი მიეგოთ, მაგრამ შატო-მარგო კი ჯერ არსად ჩანდა და მასპინძელი დიდად სწუხდა. ბოლოს მოიტანეს ვეებერთელა ყუთი; გამხიარულდა ყველა, ისედაც დიდებულ განწყობაზე რომ იყვნენ და nem. con.[1] ასე დაადგინეს, ყუთი მაგიდაზე დავდგათ და ამწამსვე ვადინოთო ბდღვირი.

თქმა და ქმნა ერთი იყო. მეც გამოვიღე ხელი; არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ და ყუთი მაგიდაზე, ბოთლებსა და ჭიქებს შუა ჩავდგით. ბევრი ჭურჭელი დაილეწა ამ ჭიდილში. „ძია ჩარლი“ მაგრად შეჭიკჭიკებულიყო, მთლად წამოშარხლებული და სასაცილოდ გაფხორილი იდგა სუფრის თავში, დოქისთვის ხელი წამოევლო და გაშმაგებული ბაგაბუგი აეტეხა, გაჰყვიროდა, წესრიგი დავიცვათო „ამ საუნჯის გახსნისას“.

და ჰა, ბოლოს ყველა გაისუსა, როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე, გამეფდა ღრმა და მრავლისმეტყველი მდუმარება. სახურავის ახდა მე მთხოვეს და, რაღა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით მივეცი დასტური. საჭრისი რომ გავურჭე და ჩაქუჩი რამდენჯერმე ოდნავ დავკარ, უეცრივ აიხადა ყუთის სახურავი და იმავე წამს იქიდან, სწორედ მასპინძლის წინარე ამოიმართა ნაგვემი, გასისხლიანებული, თითქმის გახრწნილი გვამი თავად მოკლული ბ-ნ დგიმუაუგოთისა. რამდენიმე წამს ბ-ნ სულიკოუს შეაჩერდა უსიცოცხლო, შესაბრალისად შუქდაშრეტილი, შემპალი თვალებით; მერე ყრუდ, მაგრამ ცხადლივ გაისმა გულისმომწყვლელი სიტყვები: „შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე!“[2] შემდეგ კი, თითქოს საბოლოოდ გულმოოხილიო, ხელებგაშლილი სხეული კიდობნიდან მაგიდას გადმოაწყდა.

თუ რა მოხდა ამის მერე, ამას ვერა ენა ვერ აწერს. კარ-ფანჯრებთან შემაძრწუნებელი ჯგლეთა გაიმართა, ბევრ მოწიფულ ვაჟკაცსაც კი სული კოჭებში გაეპარა, მუხლთ მოეკვეთა. მაგრამ როცა პირვანდელი შიშის ზარი ჩაცხრა, ყველა შეაცქერდა ბ-ნ სულიკოუს. ას წლამდეც რომ მივატანო, რა დამავიწყებს ამ ცოტა ხნის უკან ლხენითა და ლხინით გაღაჟღაჟებული კაცის სულთმობრძავივით საზაროდ დაღმეჭილ სახეს. რამდენიმე წუთს მარმარილოს ქანდაკებასავით გაქვავებული იჯდა; ყოველგვარ გრძნობისგან დაცლილი თვალები თითქოს ჩაებრუნებინა თავისი ბოროტი სულის სამზერად.

---

[1] ერთხმად (nemine contrdicente—ლათ.).

[2] ბიბლიური სიტყვებია — „და ჰრქუა ნათან დავითს: „შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე...“ ბიბლია. მეფეთა წიგნი.

ბოლოს უცებ თითქოს მობრუნდა სააქაოს, სკამიდან წამოიჭრა, თავ-მკერდით მძიმედ დაემხო მაგიდაზე ბ-ნ დგიმუაუგოთის გვამთან და ჭკუაარეულმა საჩქაროდ მოგვიყვა ის შემზარავი დანაშაული, რის გამოც ბ-ნი უსავარგო გამოამწყვდიეს და სიკვდილი მიუსაჯეს.

და აი, რა გავიგეთ: თითქმის გუბემდე მიჰყოლია მსხვერპლს, ცხენისთვის დაუხლია დამბაჩა, ტარის დარტყმით მხედარი გაუთავებია, ცხენი, რომელიც მკვდარი ეგონა, დიდის ვაივაგლახით წყლისპირას, მაყვლის ბუჩქებში გადაუთრევია, მერე საკუთარ ბედაურზე ბ-ნ დგიმუაუგოთის გვამი დაუკრავს, ტყეტყე წამოუღია და ერთ მივარდნილ ადგილას ჩაუჩუმქრავს.

ჟილეტი, დანა, საფულე და ტყვია კი შურისსაგებად მიუგდო ბ-ნ უსავარგოს; ისიც მოაწყო, რომ სისხლიანი ცხვირსახოცი და ყელსახვევი ამ ყმაწვილის სახლში ეპოვათ.

შესაზარელი აღსარების დასასრულს სისხლიგუდა ენას ძლივსღა იბრუნებდა, ხმაც დაკარგოდა, ჩვენება რომ მოათავა, მოსწყდა მაგიდას, გადმოქანდა და იქვე დაეცა **უსულოდ.**

ამ ფრიად დროული აღსარების ძალისძალად ამოგლეჯის ხერხი, მიუხედავად თავისი ქმედობაუნარიანობისა, მეტად უბრალო გახლდათ. ბ-ნ სულიკოუს ნამეტნავი პირისწყლიანობა არ მეჭაშნიკა და იმთავითვე დავეჭვდი. როცა ბ-ნმა უსავარგომ მუშტი უთავაზა, მე მის გვერდით ვიმყოფებოდი და მისი თვალების ბოროტმა, თუმცა წამიერმა გაკვესებამ დამარწმუნა, თავის მუქარას ეს კაცი უთუოდ აასრულებს-მეთქი. მაშასადამე კეთილი რეტლბოროელებისგან განსხვავებით უკვე შემზადებული ვიყავი სხვარიგად შემეხედა „ძია ჩარლის“ **საქციელისთვის.** თავიდანვე შევნიშნე, რომ ყველა პირდაპირი თუ არაპირდაპირი სამხილი ამ კაციდან მოდიოდა, ხოლო ბ-ნ სულიკოუს მიერ ცხენის გვამში **ნაპოვნმა** ტყვიამ საბოლოოდ ამიხილა თვალი. რეტლბოროელების **მსგავსად** მე არ დამვიწყებია ცხოველის ორი ნაჭრილობევი—სადაც მოხვდა ტყვია და საიდანაც **გასხლტა.** ჰოდა, რაკიღა ტყვია ცხენის სიკვდილის შემდეგ **იპოვეს,** მაშინ სწორედ მისი დამმალავი იქნებოდა მისი მპოვნელი. ტყვიის შემდეგ სისხლიანმა ცხვირსახოცმა და ყელსახვევმა კიდევ უფრო დამარწმუნა ჩემს ვარაუდებში, რადგან შემოწმებისას სისხლი დიდებული წითელი ღვინო აღმოჩნდა და სხვა არაფერი. ამ ამბებმა, აგრეთვე უკანასკნელ ხანებში ბ-ნ სულიკოუს ხელგაშლილობამ და დიდმა ხარჯებმა უფრო მეტად გამიღვივა ეჭვი და თუმცა არავისთვის გამიმხელია, მაინც ოდნავადაც არ შემიმცირდა.

ამავე დროს სრულიად საიდუმლოდ დავიწყე ბ-ნ დგიმუაუგოთის ნეშტის ძებნა და, რაღა თქმა უნდა, ვეძებდი იმ ადგილებიდან შორს, სადაც ბ-ნ სულიკოუს ხალხი დაჰყავდა. რამდენიმე დღის შემდეგ გადავაწყდი კიდეც მაყვლის ბუჩქებში თითქმის სულ ჩამალულ ძველ გამშრალ ჭას, რომლის ფსკერზე ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი.

ისე მოხდა, რომ შემთხვევით შევესწარი ორი ძმაკაცის საუბარს, როცა ბ-ნმა სულიკოუმ დაპირება დასტყუა მასპინძელს და საჩუქრად მოელოდა ერთ ყუთ შატო-მარგოს. სწორედ ეს დაპირება გამოვიყენე. ვიშოვე ვეშაპის კბილი, ყელში ჩავუყარე ბ-ნ დგიმუაუგოთის ნეშტს და აგრე რიგად ჩავდევი ძველ საღვინე ყუთში. ვეშაპის კბილის გამართვისას ისიც უნდა გამართულიყო. მერმე ყუთის სახურავი ძლივძლივობით დავხურე და სანამ ლურსმნით დაეჭე-

დავდი, ხელი არ ამიშვია: ასე რომ, რაღა თქმა უნდა, როგორც კი ყუთი **აიხდებოდა**, გვამიც **წამოიწევდა**.

მერე ყუთი მოვნიშნე, დავნომრე და უკვე იცით, ზედ რა მისამართი წავაწერე. შემდეგ ბ-ნი დგიმუაუგოთის ნაცნობი ღვინის ვაჭრების სახელით წერილი დავწერე და მსახურიც დავარიგე, რომ ჩემს ნიშანზე მოეყენებინა ეს ყუთი ბ-ნ სულიკოუს კარწინ. ხოლო ის სიტყვები რომ წარმოთქვა ნეშტმა, ეს მე ვიყავი, რაკიღა კარგად მომდგამდა მუცელმოგვი[1] კაცის ნიჭი. სწორედ ამ ხერხის იმედი მქონდა, კაცის მკვლელს აღსარებას წამოვაცდენინებმეთქი.

მეტი აღარაფერი დამრჩა სათქმელი. ბ-ნი უსავარგო იმ ღამითვე გაათავისუფლეს, მემკვიდრეობად მიიღო ბიძამისის სარჩო-საბადებელი, ამ მწარე გაკვეთილის შემდეგ ახალ ცხოვრებას მიჰყო ხელი და მას აქეთ ბედი არასოდეს შემოსწყრომია.

□

მორელა

Αυτο καθ' αυτο μεθ' αυτου, μονοειδεζ αει ον.
თავისთავთან მიწყივ ერთსახოვანი, თავისთავში არსებული და თავისთავადი.

პლატონი. „ნაღიმი“ 2

დიდი და რაღაც გასაოცარი გრძნობით შევთვისებოდი ჩემს მეგობარ მორელას. მრავალი წლის წინ შემთხვევით შევხვდი და ამ შეხვედრამ იმთავითვე აქამდის განუცდელი ცეცხლით ამინთო გული. მაგრამ ეს არ იყო ეროსის ცეცხლი, და უფრო და უფრო გამწარებული და გაწამებული ვგრძნობდი, ვერასგზით შევიცნობდი ამ ცეცხლის უჩვეულო ბუნებას, ანუ ვერ შევძლებდი იმისი ბუნდი გზნების მოთოკვას. და მაინც ჩვენ შევხვდით ერთმანეთს; საკურთხეველთან შეგვაერთა ბედმა, თუმცა სიტყვაც არ მითქვამს ვნებაზე, არც მიფიქრია სიყვარულზე. საზოგადოებას ზურგი აქცია და თავი მხოლოდ მე შემომწირა მორელამ, ბედნიერი გამხადა. ბედნიერებაა სასწაულის ხილვა, ბედნიერებაა ოცნება.

ფრიად განსწავლული ქალი იყო მორელა. ჩემს მზეს ვფიცავ, ნიჭიც საკვირველი ჰქონდა მომადლებული, გონების ძალამოსილება — დაულეველი. ვგრძნობდი ამას და ბევრ რამეში დავემოწაფე. პრესბურგში[3] მიღებული განათლების ბრალი თუ იყო, რომ მალე ამ ქალმა გამაცნო აუარება მისტიკური ნაწარმოები, რომლებსაც ჩვეულებრივ ადრინდელი გერმანული ლიტერატურის

[1] მუცელმოგვობა — აქ: ტუჩის უძრავად რაიმეს თქმას ნიშნავს.

[2] თარგმანი ბ. ბრეგვაძისა.

[3] ამჟამად ბრატისლავა.

ნაწურად მიიჩნევენ. ვერ გეტყვით, აგრე თავგამოდებული დღენიადაგ რად სწავლობდა და თაყვანსა სცემდა ამ საგანს. ხანი რომ გამოხდა, მეც ასე ვმეცადინეობდი. მიზეზი ამისა უბრალო, მაგრამ მისი ჩვეულებისა და მაგალითის ქმედობუნარიანი ზეგავლენა იყო.

ყოველივე ამას, მგონი, ჭკუამიუტანებლად ვაკეთებდი. ჩემს შეხედულებებზე, რამდენადაც მახსოვს, არასდროს უმოქმედია იდეალურს, ვერც მისტიციზმით შეზავებული წიგნების ზეგავლენის კვალს ვპოულობდი, თუ არა ვცდები, ჩემს საქმეებსა და ჩემს ფიქრებში. აგრე ჩაგონებული ბრმად მივენდე ჩემი ცოლის წინამძღოლობას და იმის ძიებათა ხვანჯებში უშიშოდ ჩავები. და მაშინ, მაშინ, როცა ნაკრძალი სტრიქონების მკითხველი ვიგრძნობდი ნაკრძალი სულის კიაფს, მორელას გრილი ხელი ჩემსას სალბუნად დაედებოდა და მკვდარ ფილოსოფიას ფერფლს გადააცლიდა ყრუდ წარმოთქმულ რამდენიმე გასაოცარი სიტყვითღა, რომელთა იდუმალი მნიშვნელობა კიდევ დიდხანს მენთო მეხსიერებაში. და მაშინ, მისი ხმის მუსიკით მოჯადოებული, საათობით ვუჯექი, ვინემ შიში არ მომერეოდა, თრთოლა არ ამიტანდა ამ არამიწიერი ბგერების მსმენელ ფერდაკარგულ კაცს, შავად არ შემეღებებოდა სიხარული და მშვენიერი შესაზარელად არ წარმომიდგებოდა გეენად გადაქცეული ენომის მსგავსად.

ხსენებულ თხზულებებზე პაექრობის შესახებ გამოწვლილვით მოყოლას აქ აზრი არა აქვს. თუმცა კარგა ხანს ეს იყო ჩემი და მორელას საუბრის საგანი. მცოდნენი იმისა, რასაც თეოლოგიური მორალი შეიძლება ვუწოდოთ, უმალ მიხვდებიან ჩვენი ცილობის არსს, მაგრამ უმეცარნი ყველა შემთხვევაში ამ ამბისას ვერაფერს გაიგებენ საბოლოოდ. ფიხტეს დაუოკებელი პანთეიზმი, სახეშეცვლილი ΠαλιΥΥενεσια პითაგორელებისა, და უფრო მეტად შელინგის მიერ აგრე საგულდაგულოდ შესწავლილი **თავისთავადობის** თეორია — აი, ჩვეულებრივ რა საკითხებით იყო გატაცებული მგრძნობიარე მორელა. პიროვნული რომ უწოდებიათ, ის თავისთავადობა, ვფიქრობ, სწორედ განუსაზღვრავს ლოკს, როგორც თავისთავადობა გონიერი არსებისა. რადგანაც პიროვნების სახით წარმოგვიდგება გონებით დაჯილდოებული ადამიანიშვილი და ცნობიერებაც აზროვნების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ყველას გვაქვს ის ნიშანი, რისთვისაც მეობა შეგვირქმევია, რითაც განვსხვავდებით სხვა გონიერ არსებათაგან და რასაც ჩვენთვის პიროვნული თავისთავადობა მოუნიჭებია. ამ ამბის — ანუ principium individuationis[2]-ს **თავისთავადობა სიკვდილისთანავე იკარგება თუ სამარადისოდ რჩება** — შესწავლა სულმუდამ მიტაცებდა და ეს ცნობისწადილი არა ისე ამაღელვებელსა და ბუნდოვან დასკვნებს გამოეწვია, როგორც ამ წუთას მორელას სიტყვის მგზნებარებასა და განათებულ სახეს.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს, თითქოს მომნუსხესო, ცოლის იდუმალება გულზე ლურსმნად დამერჭო. უკვე მზარავდა მისი ცვილისფერი თითების შეხება, ყრუ ხმა, სევდიანი თვალები. ეს ყველაფერი იცოდა მორელამ, მაგრამ ერთხელაც არ უთქვამს საყვედური; მგონი, მიხვდა ჩემს უღონობასა თუ გონების დაბნელებას და ღიმილით განგების ნებად მიეჩნია. ეტყობა, მიმიხვდა ჩემ-

---

[1] აქ: სულების გადავლენა (ძვ. ბერძნ.).

[2] ინდივიდუალურის საწყისი (ლათ.).

თვისაც გაუგებარ თანდათანობითი გულისაყრის მიზეზს, მაგრამ ამაზე სიტყვაც არ გადმოუკრავს. მაგრამ ქალი იყო და დღითი დღე ილეოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სახეზე მეწამული ფერის ლაქები დააჩნდა და ფერმილეულ შუბლზე დაეტყო ცისფერი ძარღვები. ამ ქალის სიბრალულმა წამით გული მომიკლა. მაგრამ მის მრავალისმეტყველ გამოხედვას რომ წავაწყდი, მაშინვე მუხლი მომეჭრა და თავბრუ დამესხა. ასე დაესხმის რეტი უსაზომ, შავბნელ უფსკრულში მაცქერალ კაცს.

განა უნდა დავმალო, რომ დიდხანს მოუთმენლად ველოდი მორელას სიკვდილს? დიახ, ასე იყო; მაგრამ კიდევ მრავალ დღეს, მრავალ კვირას და მრავალ გულის გადამლევ თვეს მისი ნაზი სული ეპოტინებოდა მტვრის ამ საუფლოს, ვიდრე არ მძლია გაწამებულმა ნერვებმა და მთლად არ .გამაცოფა ასეთმა დაგვიანებამ. ეშმასებრ გაბოროტებული უკვე ვწყევლიდი იმ გაუთავებელ დღეებს, საათებსა და მწარე წამებს, როდესაც ილეოდა ამ ქალის სათუთი სიცოცხლე მომაკვდავი დღის ჩრდილის მსგავსად. მაგრამ ერთხელ, შემოდგომის დღის მწუხრზე, ზესკნელს რომ გარინდულიყო ქარი, თავის სარეცელთან მიმიხმო მორელამ. რძისფერი ნისლი მოჰფენოდა მთელ მიწას. თბილი ნათელი დადგომოდა წყალს, ხოლო ოქტომბრის ხვავრიელფოთლოვან ტყეს ცის კიდურიდან მოწყვეტილი ცისარტყელა დასცემოდა.

— დღეს დღეა დღეთაგანი, — თქვა, როგორც კი მივუახლოვდი, — დღეა ყველა დღეთაგან — დღე სიცოცხლის ან სიკვდილისა. დიდებული დღეა მიწისა და სიცოცხლის ძეთათვის... ჰაი, უფრორე დიდებულია ზეცისა და სიკვდილის ასულთათვის!

შუბლზე ვაკოცე, მან კი განაგრძო:

— ვკვდები და მაინც ვიცოცხლებ.

— მორელა!

— დღე არ იყო, რომ გყვარებოდი... და სიცოცხლეში შესაზარელს ცამდე აიყვან სიკვდილის შემდეგ.

— მორელა!

— ვკვდები-მეთქი, ხომ გეუბნები. მაგრამ ჩემშია ნაყოფი იმ ალერსის — ჰოი, რა მცირედის! — მე, მორელას რომ მომაგებდი. და ახლა, სული რომ გამეყრება, ბავშვი იცოცხლებს, შენი და ჩემი, მორელას ბავშვი. და დღენი შენი იქნება სევდის დღენი, იმ სევდისა, ყველაზე დიდხანს რომ ძლებს კვიპაროსის დარად. დაილია საათები შენი ბედნიერებისა; სიცოცხლეში ორგზის არ იყვავილებს სიხარული პესტუმის[1] ვარდივით. დროს არ გაეთამაშები აწ ტეოსელის[2] მსგავსად და, ვით მუსულმანი მექაში, სუდარამოსხმული ივლი ამ მიწაზე, დამვიწყებელი ტვიისა და ღვინის.

— მორელა! — შევყვირე, — მორელა! ეს საიდანღა იცი? — მაგრამ სახე მიაბრუნა თავით ფეხამდე თრთოლამოკიდებულმა, სული დალია და მისი ხმა უკვე აღარასოდეს გამიგონია.

და ამიხდა მისი სიტყვები — დედის სიკვდილამდე დაიბადა ბავშვი. ჩვილი სუნთქავდა, დედას კი სული ამოხდომოდა, მისი შვილიღა ცოცხლობდა, მისი გოგონა. და როცა საოცრად მოიჩიტა სულიერად და ანგობითაც, სრულიად

[1] ძველი ქალაქი იტალიის ტერიტორიაზე.

[2] ანაკრეონტი ტეოსიდან, ძველი ბერძენი პოეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემგვანა წასულს იმქვეყნად. მაშინ შევიყვარე იგი მხურვალე სიყვარულით. ვერასგზით ვიფიქრებდი აქამომდე, აგრე ძლიერად თუ გავაღმერთებდი ვინმე სულდგმულს.

ვაგლახ, ამ წმინდა გრძნობის ცარგვალს მალე მოედო შავბნელი, შემზარავი, სევდამომგვრელი, მტანჯავი ღრუბელი. აკი ვთქვი, ანაგობითაც და სულიერადაც იზრდებოდა-მეთქი ბავშვი. მართლაც, რა უცებ მოიმატა სიმაღლეში, მაგრამ როცა მის საზრიანობას ვაკვირდებოდი, ჰოი, რა შესაზარელი ფიქრები მომეძალებოდა; ან გასაკვირი აქ რა იყო, თუკი დღითი დღე ვამჩნევდი ბალღის მსჯელობაში მოწიფული ქალის ძალასა და ნიჭს, თუკი ნორჩის ბაგენი ცხოვრებისეულ სიბრძნეს მეტყველებდნენ, თუკი ნიადაგ ვეჭვრეტდი მის დიდრონ, ჭკვიან თვალებში ასაკსრულის გამოცდილებასა და სიმტკიცეს; როცა ყველაფერი ეს, ვიმეორებ, თავგზადაკარგულმა თრთოლვით აღვიქვი და გავისაკუთრე, რაღა გასაკვირია, თუ ზარდამცემი ეჭვი შემეპარა გულში? ხალხის თვალს გადავუმალე არსება, ვისი თაყვანისცემაც ბედმა მარგუნა და განმარტოებული, შიშატანილი თვალს არ ვაშორებდი ჩემს სალოცავს.

ხანი გადიოდა და დღენიადაგ ვუმზერდი მის ნათელ, მშვიდ და მრავლისმეტყველ სახეს. ეფიქრობდი, რა მალე წამოიჩიტა-მეთქი. დღენიადაგ სულ უფრო და უფრო მეტ მსგავსებას ვპოულობდი შვილსა და დედას შორის, ვხედავდი ნაღველსა და სიკვდილის დაღს. ყოველ საათს მეტად და მეტად მუქდებოდა ჩრდილი ამ მსგავსებისა, ხდებოდა უფრო სრული, უფრო ცხადი, უფრო გულის ამრევი, უფრო შემაძრწუნებელი. კიდევ შემეძლო მისი ღიმილის დათმენა, ასე რიგად რომ მიუგავდა დედის ღიმილს, მაგრამ კანკალი ამიტანდა ხოლმე დედა-შვილის სრული **იგივეობის** დამნახველს... კიდევ გავუძლებდი მათი თვალების მსგავსებას, მაგრამ ვაი რომ ეს თვალები თავად მორელასნაირი ძალოვანებით ხშირად მწვდებოდნენ სულში და გონებას მირევდნენ. გოგონას მაღალი შუბლი, მისი ცვილისფერი თითებით შერხეული აბრეშუმისნაირი დალალ-კავები, სევდისმომგვრელი ხმა და მეტადრე კი, ჰოი, მეტადრე კი განსვენებულის იერი და სიტყვები, ჩემი საყვარელი შვილის ნათქვამი, თავზარსა მცემდა, გულს დარდით მიჭამდა **მარად** მოფუთფუთე მატლივით.

ასე გახდა ათი წლის ჩემი გოგონა. მაგრამ მისთვის სახელი ჯერაც არ დამერქვა. „ჩემი შვილი", „ჩემი გოგონა" — ამ სიტყვებს ჩვეულებრივი მამობრივი გრძნობა მათქმევინებდა, ხოლო სრულიად მარტომყოფი ვეღარავის ხედავდა ჩემ გარდა. მორელას სიკვდილთან ერთად მოკვდა მისი სახელიც. შვილთან დედაზე ერთხელაც არ დამიძრავს სიტყვა, ვერც ვუხსენებდი. თავისი ხანმოკლე არსებობის ჟამს გარესამყაროდან არავითარი შთაბეჭდილება არ მიუღია, გარდა იმისა, რის საშუალებასაც აძლევდა მისი კარჩაკეტილი ცხოვრება. დაბოლოს შესაზარელი ბედისწერის ასაცილებლად ჩემს მთლად აფორიაქებულსა და დაღლილ გონებას უცებ ნათლობა მოაფიქრდა. სახელის შესარჩევად ემბაზთანაც კი ვმერყეობდი. ენის წვერზე მადგა ძველი თუ ახალი, მშობლიური თუ სხვა მხარეების მშვენიერ და ბრძენ ქალთა ნაზი, ბედნიერი და ლამაზი სახელები. განსვენებულის ხსოვნის შეშფოთება ნეტავ რამ ჩამაგონა? რა ეშმაკის ძალამ ამომათქმევინა ის ბგერები, რომელთა მოგონებაზე სისხლი ალისფერ ნაკადად დაეშვებოდა საფეთქლებიდან გულისაკენ? სულის წიაღიდან რა ეშმამ ამომძახა, როცა მიბუნდვილ ეკვდერში სულიერ მამას ჩავჩურჩულე ეს სიტყვა — მორელა! თუ ეშმამ არა, მაშინ ვინ შეუჭმუხნა შუბლი

ჩემს გოგონას და მკვდარივით გააფითრა? როგორც კი გაიგონა ეს ჩუმი ნათქვამი, მონისლული თვალი ზეცას მიაპყრო და, საგვარეულო სამარხის შავ ფილებზე გადავარდნილმა, მარქვა: „აქ ვარ!“

მკაფიოდ, ცივად, ნათლად ჩამესმა ეს რამდენიმე ბგერა და გამდნარი ტყვიისნაირად ჩამეღვარა ტვინში შიშინით. წლები, წლები გაივლის, მაგრამ ამ წამს რა დამავიწყებს! კვლავაც მიყვარდა ყვავილი და ღვინო და მაინც დღისით და ღამით ჩრდილად მედგა ციკუტა და კვიპაროსი. სივრცე და დრო არ გამიზომია, ცაზე ჩამქრობოდნენ ბედის ვარსკვლავები და. წყვდიადმა რომ მოიცვა მიწა, მათი აუარება სახება ლანდებად ფრთხიალებდა ჩემ წინ. მაგრამ მე კი ერთსღა ვხედავდი მათ შორის — მორელას, მხოლოდ ერთ სახელს შრიალებდა ცისქვეშეთის ქარი, მარადჟამს ერთ სახელს ჩურჩულებდნენ ზღვის ტალღები — მორელა. მაგრამ ის მოკვდა, საგოდებელზე ჩემივე ხელით წავიღე; და დიდხანს ვიცინოდი საწყალობლად: იმ პირველის ნაკვალევსაც ვერ მივაგენი, როცა საძვლეში ჩავასვენე მეორე მორელა.

□

მოპარული წერილი

Nil sapientiae odiosius acumine nimio.

Seneca.[1]

ერთხელ პარიზს 18... წლის შემოდგომის მრუმე, ქარბუქიანი მწუხრის ჟამს ფიქრებში გართული ჩიბუხს ვეწეოდი ჩემს მეგობარ შ. ოგიუსტ დიუპენთან ერთად მის პატარა ბიბლიოთეკასა თუ, უფრო სწორედ, წიგნის საცავში, au troisième No. 33 Rue Dunôt Faubourg St. Germain.[2] თითქმის ერთი საათი სრული სიჩუმე სუფევდა და ასე იფიქრებდა ვინმე შემთხვევით შემოსწრებული, მთელი გულისყური ამათ თამბაქოს კვამლის ბოლქვებისთვის მიუპყრიათო. პირადად მე გარკვეულ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი. იმ საღამოს მორგის ქუჩაზე მომხდარ ამბავსა და მარი როჟეს საიდუმლოებით მოცულ მკვლელობაზე ვსაუბრობდით. იმიტომაც შევკრთი, როცა კარი გაიღო და შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი, პარიზის პოლიციის პრეფექტი მესიე გ.

მართალია ხალხი ცუდად იხსენიებდა მას, მაგრამ სამაგიეროდ შესაქცევარი ხასიათის კაცი გახლდათ და თავს არ მოგაბეზრებდათ. ამასთან რამდენიმე წელი არ გვენახა და გულითადად შევხვდით. ბინდი შემოდიოდა გარედან და დიუპენი ლამპის ასანთებად წამოდგა, მაგრამ ისევ დაჯდა, რადგან სტუმარმა უთხრა, ერთი ფრიად უსიამოვნო ამბავი მომივიდა და იქნებ რამე მირჩიოთ, თქვენი აზრი მინდა გავიგოო.

---

[1] ტყუილ ბრძნობაზე უარესი სიბრძნისთვის არაფერია. სენეკა (ლათ.).

[2] სენ-ჟერმენის გარეუბანი, დიუნოს ქუჩა, № 33, მეოთხე სართული (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ამ საქმეს ფიქრი სჭირდება, — დიუპენმა ლამპა აღარ აანთო, — ფიქრი ბნელში სჯობს.

— უცნაური ლაპარაკი იცით, — თქვა პრეფექტმა.

ეს კაცი „უცნაურს“ ეძახდა ყოველივეს, რასაც ჭკუა ვერ მიუწვდებოდა და ამიტომაც სულმუდამ „უცნაურობებით“ იყო სავსე მისი ცხოვრება.

— მართალი ბრძანდებით, — მიუგო დიუპენმა, სტუმარს ჩიბუხი შესთავაზა და კეთილნახელავი სავარძელი მიუჩოჩა.

— მაინც რა მოხდა, — შევეკითხე ამ კაცს, — ვინმე ხომ არ მოუკლავთ?

— ო, არა, მაგდაგვარი არაფერი მომხდარა. ნამდვილად **სულ** უბრალო საქმეა და, რაღა თქმა უნდა, თავადაც კარგად მოვუვლით, მაგრამ დიუპენს მინდა ზოგი რამ მაინც ვკითხო, იქნებ დაინტერესდეს. მეტისმეტად **უცნაური** საქმე კია.

— უბრალო და უცნაური? — გაიმეორა დიუპენმა.

— დიახ... უფრო სწორედ, არა. მართალი თუ გინდათ, ყველა გაოგნებული ვართ, ასეთი მარტივი საქმეა და თავგზა კი აგვიბნია.

— იქნებ სწორედ სიმარტივემ შეგაჭირვათ, — უთხრა ჩემმა მეგობარმა.

— აბა, რას ამბობთ! — გულიანად გაეცინა პრეფექტს.

— იქნებ სულ ადვილი ამოსახსნელია ეს საიდუმლო, — თქვა დიუპენმა

— ღმერთო ჩემო, რასა ბრძანებთ?

— დიახ, სულ ადვილია-მეთქი.

— ხა! ხა! ხა! ხო! ხო! ხო! — ხარხარებდა ჩვენი ფრიად გამხიარულებული სტუმარი, — ჰოი, დიუპენ, ერთხელაც იქნება, სიცილით მომკლავთ!

— მაინც რა მოხდა ასეთი? — ახლა მე შევეკითხე.

— კი ბატონო, გიამბობთ, — თქვა პრეფექტმა, კარგა ღრმა ნაფაზი დაარტყა და სავარძელში მოხერხებულად ჩაჯდა, — გიამბობთ ორიოდე სიტყვით, მაგრამ იცოდეთ, გაიგებს ვინმე თქვენ გარდა და უსათუოდ დამატოვებინებენ სამსახურს.

— განაგრძეთ, — ეუთხარი პრეფექტს.

— და თუ შეიძლება მოკლედ გვიამბეთ, — თქვა დიუპენმა.

— დიახ, ფრიად მაღალი წრეებიდან მაცნობეს, რომ სამეფო პალატში დაიკარგა უდიდესი მნიშვნელობის საბუთი. ქურდი ცნობილია — ხელმრუდობის დროს დაუნახავთ, ისიცაა ცნობილი, რომ საბუთი კვლავ მის **ხელთაა.**

— საიდან იცით? — ჰკითხა დიუპენმა.

— ეს საბუთი განსაკუთრებული შინაარსისაა, — მიუგო პრეფექტმა, — ქურდობას ჯერჯერობით ცუდი შედეგი არ მოჰყოლია და არც არაფერი იქნება მანამ, ვიდრე ქურდი ნაპარავისგან ხელს არ დაიცლის ან, უფრო სწორედ, დასახული მიზნებისთვის არ გამოიყენებს. საუბედუროდ, ამ შედეგს სულ მალე ვიხილავთ.

— ცოტა უფრო ნათლად გვიამბეთ, — ვთხოვე პრეფექტს.

— პირდაპირ გეტყვით: ეს საბუთი მის მფლობელს გარკვეულ ძალას ანიჭებს გარკვეულ საქმეში, სადაც ამ ძალის მნიშვნელობა დიდია, — დიპლომატიური გამოთქმები უყვარდა პრეფექტს.

— და მაინც არაფერი მესმის, — თქვა დიუპენმა.

— არა? ჰმ... თუ ამ საბუთს გადასცემენ მესამე პირს, ვისი სახელიც,

გთხოვთ, არ მკითხოთ, მაშინ მეტად წარჩინებული პიროვნების ღირსება შეილახება. საბუთი გარკვეულ ძალას ანიჭებს მის მფლობელს და მის ხელთაა ამ წარჩინებული პიროვნების სიმშვიდე და პატიოსნება.

— მაგრამ ეს ძალა, — ჩავერიე საუბარში, — იმაზეა დამოკიდებული, იცის თუ არა დაზარალებულმა ქურდის ვინაობა. ვინ გაბედავს...

— ქურდი მინისტრი დ.-ა, — თქვა გ.-მ, — ეს კაცი კი რას არ გაბედავს და რას არ იკადრებს. მარჯვედ და აშკარად მოიპარა საბუთი. ეს საბუთი, უფრო სწორედ, წერილი მიიღო ქალმა, რომელიც ამ დროს მარტო გახლდათ სამეფო ბუდუარში. კითხვისას შემოუსწრო მეორე წარჩინებულმა პიროვნებამ, სწორედ იმან, ვისაც არ უნდა ენახა ნაწერი. ქალმა სცადა ბარათი უჯრაში ჩაეგდო, მაგრამ ვერ მოასწრო. წერილი მაგიდაზე დარჩა. რაკი მისამართი ზემოდან თვალსაჩინოდ ეწერა, თავად წერილისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ამ დროს შემოვიდა დ., რომლის მახვილმა თვალმა იმწუთასვე შეამჩნია წერილი, იცნო მისამართის დამწერის ხელიც, არ გამოეპარა ქალის შეცბუნებაც და ყველაფერს მიხვდა. ხანმოკლე საქმიანი საუბრის მერე მინისტრმა ამოიღო თითქმის ისეთივე წერილი, გაშალა ვითომც წასაკითხავად და ცოტა ხნის შემდეგ იმ პირველს დაუდო გვერდით. თხუთმეტიოდე წუთი კვლავ ისაუბრეს სახელმწიფო საქმეებზე. მერე დ. წავიდა და თან წაიღო სხვისი წერილი, რომლის კანონიერმა მფლობელმა ქალმა ყველაფერი დაინახა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იმ მესამე პირთან სიტყვაც ვერ დაძრა. მაგიდაზე კი დარჩა მინისტრის საკუთრება, უმნიშვნელო შინაარსის ბარათი.

— აი, ის პირობაც, რაც სრულ ძალაუფლებას ანიჭებს წერილის მფლობელს, როგორც თქვენა თქვით, — მითხრა დიუპენმა, — ქურდმა იცის, რომ დაზარალებულმაც იცის, ვინ არის ქურდი.

— დიახ, — დაეთანხმა პრეფექტი, — უკვე რამდენიმე თვეა ქურდი ბოროტად იყენებს ამ ძალაუფლებას ფრიად საშიში პოლიტიკური მიზნებისთვის. დაზარალებული ქალი დღითი დღე რწმუნდება, რომ წერილი აუცილებლად უნდა დაიბრუნოს, მაგრამ ამ ამბავს, ცხადია სააშკარაოზე ვერ გამოიტანს. დაბოლოს სასოწარკვეთილმა მე მიმიხმო.

— მართლაც, — თქვა თამბაქოს ბოლში გახვეულმა დიუპენმა, — უფრო მარჯვესა და გონიერს ვერც ვერავის ნახავდა.

— ქათინაურს მეუბნებით, — მიუგო პრეფექტმა, — თუმცა ზოგი კი მართლა გახლავთ მაგ აზრის.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, — ვუთხარი პრეფექტს, — წერილი, რა თქმა უნდა, ისევ მინისტრთანაა და ამაშია მისი ძალა. წერილის გამოყენების შემდეგ ეს ძალაც მოისპობა.

— მეც აგრე ვფიქრობ, — კვერი დამიკრა გ.-მ, — იმთავითვე კარგად მოვჩხრიკე მინისტრის ბინა. ჩემი მთავარი საზრუნავი იყო, ჩხრეკის თაობაზე არაფერი გაეგო. სხვა რომ არა, გამაფრთხილეს კიდეც, ეჭვი რომ აიღოს, უარესი იქნებაო.

— ისედაც ამგვარ ძიებაში მეტად au fait[1] ბრძანდებით. პარიზის პოლიციას ჩხრეკის მეტი რა გაუკეთებია, — ვუთხარი მე.

— დიახ, და სწორედ ამიტომ არ გამტეხია გული. თავად მინისტრიც

[1] გამოცდილი (ფრანგ.).

მშველოდა. ხშირად მთელი ღამეები შინ არაა. მსახურიც არა ჰყავს ბევრი. საძინებელი ოთახები მათთვის პატრონის დარბაზებისგან კარგა მოშორებით მიუჩენიათ. მოგეხსენებათ, ნეაპოლელები ღვინის მოყვარული ხალხია. თქვენ იცით, გასაღების მთელი დასტა მაქვს და პარიზში ყველა ოთახის თუ კარადის გაღება შემიძლია. სამი თვე თითქმის ყოველ ღამე ვჩხრეკდი დ.-ს სახლს. ჩემი ღირსება აქ სასწორზეა შეგდებული. სრულიად საიდუმლოდ უნდა გამცნოთ — გასამრჯელოც დიდია. ასე რომ. იქამდე არ შემიწყვეტია ძიება, სანამ იმედი არ გადამეწურა, ქურდმა მაჯობა-მეთქი. მისი სახლის კუთხე და კუნჭული არ დამიტოვებია მოუჩხრეკავი. ყველგან ვნახე, სადაც კი შეიძლებოდა წერილის დამალვა.

— იქნებ წერილი სხვაგან შეინახა მინისტრმა? — შევეკითხე მე.

— არა მგონია, — ჩაილაპარაკა დიუპენმა, — სამეფო კარზე ახლა ისეთი მდგომარეობაა, თანაც დ., თქვენ იცით, ისეთ ხრიკებშია ჩათრეული, რომ წერილი სადმე ახლოს უნდა დაემალა, რათა ყოველ წუთს შეეძლოს მისი წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გახდება.

— როგორა თქვით, ყოველ წუთს შეეძლოს წარდგენაო? — ჩავეკითხე დიუპენს.

— ანუ მოსპობაო, — მითხრა დიუპენმა.

— დიახ, — მივუგე, — მაშინ სწორედ შინა აქვს წერილი. ცხადია, მინისტრს თან არ დააქვს.

— ცამდე მართალი ბრძანდებით, — თქვა პრეფექტმა, — ვითომ გაძარცვის მიზნით ორჯერ ჩავუსაფრე ხალხი, თავით ფეხამდე გაჩხრიკეს ჩემი მეთვალყურეობით.

— ტყუილად გარჯილხართ, — მოუჭრა დიუპენმა, — დ. არც ისეთი უჭკუო გახლავთ, არ იცოდეს, თავს დამესხმებიანო.

— არც ისეთი უჭკუოო, — გაიმეორა გ.-მ, — ის ხომ პოეტია, უჭკუობამდე რაღა უკლია.

დიუპენი ფიქრებს მიეცა, მერე ჩიბუხს მოქაჩა და ჩაილაპარაკა:

— მართალია. თუმცაღა, სულო ცოდვილო, ერთ დროს მეც ვწერდი ლექსებს.

— წვრილად გვიამბეთ, — ვთხოვე პრეფექტს, — თქვენი ჩხრეკის ამბავი.

— კაცმა რომ თქვას, არ ავჩქარებულვართ. მოვჩხრიკეთ ყველა კუნჭული. ამგვარ საქმეებში დიდად გამოცდილი ვარ. ერთი ოთახიც არ დაგვიტოვებია უნახავი; მთელი კვირა ღამღამობით ვეძებდით. ჯერ ავეჯი მოვჩხრიკეთ, მერე ყველა უჯრა. თქვენც იცით, გამოწვრთნილი პოლიციელისთვის საიდუმლო უჯრა არ არსებობს. ასეთი ძებნის დროს „საიდუმლო“ უჯრა ბოთეს თუ გამორჩება. ამას რა ლარი და ხაზი უნდა — ყოველ კარადას გარკვეული მოცულობა და ფართობი აქვს, ასე, რომ არაფერი დაგვრჩებოდა შეუმჩნეველი. კარადების მერე სავარძლებს მივადექით, მოგრძო ნემსებით დავჩხვლიტეთ, როგორ ხდებაეს, თქვენც კარგად იცით. მაგიდებს ზედა ფიცარი მოვაცილეთ.

— ეგ რაღა საჭირო იყო?!

— ხანდახან მაგიდის თუ სხვა ავეჯის ფიცარს ააცლიან ან ფეხს მოაძრობენ და შიგ ჩამალავენ რაიმეს, მერე კი ისევ თავის ადგილას მოარგებენ. საწოლშიც შეიძლება ასევე დამალონ.

— განა მიკაკუნებით ვერ მიხვდებით, სად არის სიცარიელე? — შევეკითხე მე.

— ვერამც და ვერამც. საკმარისია ის ღრმული ბამბით გაჭედონ და ველარაფერს გახდებით. თანაც ყველაფერი უხმაუროდ უნდა გაგვეკეთებინა.

— მთელ ავეჯს ხომ ვერ დაშლიდით იმ სამალავის მოსაძებნად, ხომ შეიძლება. საქსოვი ჩხირივით წვრილად დაეხვიათ წერილი და ასე დაემალათ, ვთქვათ, სავარძლის ფეხში. ყველა სავარძელი ხომ არ დაგიშლიათ?

— რა თქმა უნდა, არ დაგვიშლია, მაგრამ მთელი ავეჯი გამაღიდებელი შუშით მოვჩხრიკეთ. სულ მცირეოდენ ნაკვალევსაც იმ წუთას შევამჩნევდით — პატარა ნაკაწრიც კი მომსხო ჯოხის ოდენად გამოჩნდებოდა. ხელის თითების პატარა ანაბეჭდიც კი ვერსად შევნიშნეთ.

— სარკეებიც ხომ ნახეთ — ჩარჩოსა და მინის შუა კარგი სამალავი ალაგია; ქვეშაგებს, თეთრეულს, ნოხებსა და ფარდაგებს მოჩხრეკდით, არა?

— დიახ, ყველაფერი მოვჩხრიკეთ. შემდეგ მთელი სახლის ფართობი კვადრატებად დავყავით და დავნომრეთ, ისე რომ აღარაფერი აგვერეოდა; მერე მივყევით და ყოველი დანაყოფი მოვათვალიერეთ. ასევე ორ მეზობელ სახლშიც კუნჭული არ დაგვიტოვებია, სულ ლუპით დავათვალიერეთ.

— კიდევ ორი სახლი? — შევძახე გ.-ს. — ათასად გაჭრილხართ და ეგაა!

— დიახ, მაგრამ გასამრჯელოსაც ზღაპრულს გვპირდებიან.

— ეზოში თუ დაძებნეთ?

— იქაურობა სულ აგურითაა მოკირწყლული და ასე აღარ გავრჯილვართ. აგურებს შორის ხვიფლი ხელუხლებელი იყო.

— რაღა თქმა უნდა, ქაღალდებიც მოიძიეთ, ბიბლიოთეკაშიც შეიხედავდით?..

— დიახ, ყველა საქაღალდე გავხსენით; წიგნები ზერელედ კი არა, ფურცელ-ფურცელ ვნახეთ. ასევე შევამოწმეთ ყოველი წიგნის გარეკანის სისქე და მერე ლუპით გავსინჯეთ. საეჭვო რამეს უთუოდ შევამჩნევდით. საამკინძაოდან ახლახან მოტანილი ხუთი თუ ექვსი წიგნიც გრძელი ნემსებით ასევე გულდაგულ მოვჩხრიკეთ.

— იატაკი თუ ნახეთ ნოხებქვეშ?

— რაღა თქმა უნდა, ნოხები ავიღეთ და ფიცრები ლუპით მოვათვალიერეთ.

— შპალერი?

— ისიც.

— სარდაფებში თუ ეძებეთ?

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, — ვთქვი მე, — შემცდარხართ და ეგაა, მაშასადამე, ის წერილი შინ არ ჰქონია!

— მართალს უნდა ბრძანებდეთ, — თქვა გ-მ, — თქვენ რას მირჩევდით, დიუპენ?

— ხელახლა უნდა გაჩხრიკოთ.

— რაღა აზრი აქვს, — უპასუხა გ.-მ, — ცხადზე ცხადია, წერილი შინ არ ჰქონია.

— აბა მეტს ვერაფერს გირჩევთ, — თქვა დიუპენმა, — ცხადია, წერილის ზუსტი აღწერილობა გექნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, — პრეფექტმა უბის წიგნაკი ამოიღო და ხმამაღლა წაგვიკითხა იმ წერილის შინაარსი, მერმე გამოწვლილვით აგვიწერა მისი გარეგნული იერი. დაბოლოს ისე დაღრეჯილი დაგვემშვიდობა, როგორც არასოდეს გვენახა ეს ჩვენი კარგი ნაცნობი.

ერთი თვის მერე კვლავ გვეწვია. ძველებურად დავხვდით. მანაც აიღო ჩიბუხი, სავარძელში მოკალათდა და საუბარი გაგვიბა, ხან ცისა თქვა, ხან ბარისა. ველარ მოვითმინე და ვკითხე:

— იმ დაკარგულ წერილზე ახალს რას იტყვით? იმედი ხომ არ გადაგიწურავთ, მინისტრს ველარ ვაჯობებთო?

— ღმერთმა დასწყევლოს მაგისი თავი. მე მაინც დიუპენის რჩევისამებრ კვლავ გავჩხრიკე სახლი: ამაოდ დავშვრი, თუმცა ვიცოდი, ასეც იქნებოდა.

— როგორა ბრძანეთ, გასამრჯელო რამდენიაო? — ჰკითხა დიუპენმა.

— ძალიან დიდი, მეტისმეტად დიდიც, ხოლო რამდენი — ვერ გეტყვით. ვინც წერილს მაპოვნინებს, იმას, ჩემდათავად ორმოცდაათ ათას ფრანკს მივცემ. საქმე ისაა, რომ ეს წერილი დღითიდღე მნიშვნელოვანი ხდება. ჯილდოც ამ ცოტა ხნის უკან გაორკეცდა. თუგინდ გაასამკეცონ, მე მეტი არ შემიძლია.

— ჩემი აზრით, — ჩაურთო დიუპენმა და ნაფაზი ნაფაზზე დაარტყა, — თქვენ ყველა ღონე არ გიხმარიათ ამ საქმეში. ცოტა კიდევ შეიძლებოდა გარჯა, არა?

— კი მაგრამ როგორ? რაღა უნდა მექნა?

— ასე... ჰუუ, ჰუუ... შეიძლებოდა... ჰუუ... ჰუუ... რჩევა გეკითხათ ვინმესთვის, არა?.. ჰუუ... ჰუუ... აბენეთის [1] ამბავი თუ გახსოვთ?

— არა, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია!

— კი, ბატონო, აგრე იყოს. ოღონდაც ერთმა ფულიანმა კრიჟანგმა ერთხელ გაიფიქრა, მოდი და რჩევას დავტყუებო აბენეთის. სახელოვანი ექიმის სიტყვა რაც ღირს, კარგად მოგეხსენებათ. ჰოდა, მეგობრული საუბრის დროს მოუყვა ვითომ ვიღაც გაჭირვებულის ამბავი, სინამდვილეში კი თავისი ავადობის სურათი აღუწერა. რას იტყოდით, ჰკითხა ქვაწვიამ, ექიმო, **თქვენ** რას ურჩევდითო ასეთ ავადმყოფს? რასა და ექიმს **მიმართეთ-მეთქი**, ამას ვურჩევდიო, მიუგო აბენეთიმ.

— კი მაგრამ, — ოდნავ შეცბა პრეფექტი, — მე ხომ უარზე არა ვარ, ჩემს მრჩეველსა და დამხმარეს მართლაც მივცემ ორმოცდაათ ათას ფრანკს!

— რახან ასეა, — თქვა დიუპენმა, უჯრა გამოაღო და თავისი ჩეკის წიგნაკი ამოიღო, — შეავსეთ მაგ თანხაზე ჩეკი, ხელი მოაწერეთ და თქვენი იყოს ის წერილი.

გავხევდი. მეხნაკრავივით იჯდა პრეფექტიც. გაქვავებულს სიტყვა ველარ ეთქვა, პირდაღებული უნდოდ შეჰყურებდა ჩემს მეგობარს. ცოტაც და თვალები ბუდიდან წამოუცვივდება-მეთქი, ვიფიქრე. მერე გონს მოვიდა, კალამს ეცა, როგორც იყო ორმოცდაათ ათას ფრანკზე შეავსო ჩეკი და ხელიც მოაწერა, თუმცა რამდენიმეჯერ კი შეჩერდა გაშტერებული. დაბოლოს დიუპენს წიგნაკი გადააწოდა. ჩვენმა მასპინძელმა გააღო escritoire [2]. წერილი ამოიღო და პრეფექტს უჩვენა. სიხარულით აღფრთოვანებულმა გ.-მ გამოსტაცა წერი-

---

[1] ინგლისელი ექიმი (1764—1831).

[2] ნამაგიდო საწერი მოწყობილობის ყუთი (ფრანგ.).

ლი, ხელის კანკალით გახსნა, მალიად გადაათვალიერა, წამოდგა, კარისკენ გა-ვარდა, იქ წამით შედგა, მაგრამ სიტყვა აღარ უთქვამს, ხმაგაუღებლივ გავიდა ოთახიდან.

პრეფექტის წასვლის შემდეგ ჩემმა მეგობარმა ყველაფერი ამიხსნა.

— პარიზის პოლიციას, — ასე თქვა, — თავის მხრივ ტოლი არა ჰყავს. მტკიცე. მარჯვე, მრავალნაცადი ხალხია, კარგადაც იციან თავიანთი ხელობა. სახლის გაჩხრეკის წესი წვრილად რომ მიამბო გ.-მ, მივხვდი, წერილის მისაკვ-ლევად ამ კაცს რაც შეეძლო ყველაფერი გაუკეთებია-მეთქი.

— რაც შეეძლოო? — გამიკვირდა მისი ნათქვამი.

— დიახ, — თქვა დიუპენმა, — ჩხრეკის საუკეთესო ხერხი შეურჩევია და მშვენივრადაც გამოუყენებია. მაგრამ წერილი ხომ ისე არ იყო დამალული, როგორც ეგენი ეძებდნენ!

გამეცინა, თუმცა დიუპენი, როგორც ჩანს, არა ხუმრობდა.

— მართალია, — განაგრძო მან, — თავისთავად ეს ხერხი კარგი იყო და კარგადაც მომარჯვებული, მაგრამ ყოველთვის ხომ არ გაჭრის. ამ ჩვენს პრე-ფექტს პროკრუსტეს საწოლად გადაქცევია რამდენიმე მეტად ეშმაკური ხერხი და სწორედ ამ ხერხებით ცდილობს ფონს გასვლას, მაგრამ ის, ვინც საქმეს ხან ძნელად, ხანაც მარტივად უყურებს, წამდაუწუმ ცდება და სკოლის მოწაფე მეტ საზრიანობას გამოიჩენდა ნამდვილად. ერთ რვა წლის ბიჭს ვიცნობდი, „ლუწ-და-კენტის“ თამაშში ტოლი არ ჰყავდა. თამაში სულ უბრალოა, ერთი მუჭში დამალავს კენჭებს, მეორემ კი უნდა გამოიცნოს, ლუწია თუ კენტი მათი რიცხვი. თუ გამოიცნო — გამარჯვებულია. სკოლაში მთელი კენჭები ამ ბიჭს რჩებოდა, რაკიღა ერთი გარკვეული წესი მოემარჯვებინა — დაკვირებო-და და გამოეცნო, რამდენად მოსაზრებული იყო მისი მეტოქე. მაგალითად, როცა კენჭების დამმალავი ვინმე არიფი შეეკითხებოდა, ლუწია თუ კენტი, ეს ბიჭი ეტყოდა, კენტიო და წააგებდა. მეორე ხელზე კი იგებდა ასეთი მსჯე-ლობის შედეგად: „ამ ბრიყვს პირველად კენტი ვუთხარი, ლუწი კი ჰქონია, ახ-ლა ეგ ერთ კენჭს ან მოიკლებს, ან დაიმატებს, ამიტომ ამჯერადაც ვეტყვი, კენტია-მეთქი“. ჰოდა, ასე გაიმარჯვებდა კიდეც. ხოლო პირველზე ცოტა უფ-რო ჭკვიან არიფთან კი სულ სხვანაირად მსჯელობდა: „რაკიღა ჯერ კენტი ვთქვი, მეორე ჯერზეც ეს ბიჭი უცებ იმ არიფივით იფიქრებს, დავიმატებ ან დავიკლებო ერთ კენჭს, მაგრამ მერე გადაწყვეტს, ამის მიხვედრას რა უნდაო და ბოლოს ხელში კენჭების ისევ ლუწ რაოდენობას დაიტოვებს, ამიტომ ახ-ლა ვეტყვი, ლუწია-მეთქი“. ხშირადაც იგებდა ხოლმე ასეთი მსჯელობის შე-დეგად. მეგობრები ამ ბიჭს „იღბლიანს“ ეძახოდნენ, მაგრამ მისი ასეთი მსჯელო-ბა რას მოწმობს?

— იმას, რომ ამ ბიჭს სწორედ შეეძლო თავისი მეტოქის უნარის შეფა-სება.

— დიახ, — მითხრა დიუპენმა, — როცა იმ ბიჭს ვკითხე, შენი მეტოქის აზრის გამოცნობას და სულმუდამ მოგებას როგორ ახერხებ-მეთქი, ბიჭმა მი-პასუხა: „თუ მინდა გავიგო, რა ჭკუის პატრონია ან რამდენად კეთილია თუ ავი, ან ამ წუთას რას ფიქრობს ჩემი მეტოქე, ვცდილობ მისეული გამომეტყვე-ლება მივიღო და მერე ვიცდი, აბა რას გავიფიქრებ და რა გუნებაზე დავდგები. ასე ვრჩები ყოველთვის მოგებული“. ამ ჩემი მოწაფის შეხედულება ესაძირკვ-

ლება იმ ვითომ სიბრძნეს, რასაც მიაწერენ ლაროშფუკოს [1], ლაბრიუერს [2], მაკიაველსა [3] და კამპანელას [4].

— ხოლო მეტოქის უნარის შეფასება, — ვთქვი მე, — თუკი სწორედ მესმის, მისი ინტელექტის გამოცნობაზეა დამოკიდებული.

— დიახ, მართალია, — მიპასუხა დიუპენმა, — პრეფექტი და მისი ჯგუფი ცდებიან ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ ცდილობენ შეაფასონ მეტოქის **უნარი** და, მეორეც, მცდარად წარმოუდგენიათ ან, უფრო სწორედ, სულაც არ იციან იმისი ინტელექტი. **საკუთარი** გამჭრიახობით დაიმედებულნი ეძებენ იმის მიხედვით, თუ როგორ გადამალავდნენ თავად. ხშირად გამართლებიათ, როცა მათი საზრიანობა **ხალხის** საზრიანობას დამთხვევია; მაგრამ თუ დამნაშავე ჭკუით სჯობნის მათ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, დამარცხება არ აცდებათ. სულ ასეა ხოლმე, როცა ბოროტმოქმედი პოლიციელზე უფრო ჭკვიანია ან უფრო სულელი. ეგენი თავიანთ ხერხს არასოდეს სცვლიან და ნიადაგ თავიანთ ერთფეროვან ძიებათა ხვანჯებში არიან გაბმულნი. თუ, ვთქვათ, დიდი გასამრჯელო მოელით — თავისი სამოქმედო წესის ძირისძირის შეუცვლელად განავითარებენ ან უკიდურესობამდე მიიყვანენ ამ წესს. ასე მოუვიდა გ.-საც, რაკიღა ისევ თავისი პირვანდელი წესის შესაბამისად მოქმედებდა. ეს ყველაფერი — ბურღვა, ხვრეტა, კაკუნი, ლუპით გასინჯვა, მთელი შენობის კვადრატებად დაყოფა და დანომვრა — ყველაფერი ეს უკიდურესობამდე დაყვანილი ერთი სამოქმედო წესია, რაც იმ შეხედულებაზეა დამყარებული, პრეფექტს რომ ჩამოუყალიბდა მრავალი წლის სამსახურის დროს. თქვენ დაინახეთ, ამ კაცს ეჭვი არ ეპარებოდა, ყველა ისე მოძებნის, როგორც მე ვეძებო — შეიძლება წერილი მაინცდამაინც სავარძლის ფეხში არ იყოს, მაგრამ უსათუოდ **სადღაც** გადაკარგულ კუთხესა თუ კუნჭულში იქნება ჩამალული. და მისი ეს აზრი ნაკარნახევია იმავე ფიქრით, რაც კაცს სავარძლის ფეხში დაამალვინებს საგანს. თქვენთვისაც ცხადია ახლა, რომ ამგვარი recherche [5] სამალავის არსებობა მხოლოდ ჩვეულებრივ შემთხვევაშია საგულვებელი — მხოლოდ მარტივი ინტელექტის კაცი მოიფიქრებს, ამგვარად გადამალოს რაიმე და მოძებნა თუ დასჭირდება, პირველ ყოვლისა, ეს recherche ხერხი მოაგონდება. ამ დროს საგნის პოვნა მძებნელის გამჭრიახობაზე კი არაა დამოკიდებული, უფრო მეტად მის მოთმინებას, გულისყურსა და სიმტკიცეს მოითხოვს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქმე **მნიშვნელოვანია** და გასამრჯელოც დიდია, მაშინ ხსენებული თვისებების მქონე **პიროვნებას არასოდეს** მოეცარება ხელი. ახლა ხომ მიხვდით, რას ვგულისხმობდი წეღან, როცა გითხარით, პრეფექტის ძიების წესისამებრ რომ დაემალათ მოპარული წერილი, ანუ დამალვის ხერხი რომ თანხვდომოდა პრეფექტის მიერ მომარჯვებულ მისაკვლევ ხერხს, წერილს უსათუოდ იპოვიდნენ-მეთქი. მაგრამ ბოლოს მოტყუებული დარჩა პრეფექტი და ამ დამარცხების თავი და თავი მიზეზი ის არის, რომ მისი შეხედულებით მინისტრი ჭკუანაღრძობია, რაკი ამ კაცს პოეტის სახელი აქვს მოხვეჭილი. ყველა ჭკუანაღრძობი პოეტია — ასეთი **ქვეშეცნეული** აზრის გახლდათ პრეფექტი და დასკვნაც ამდაგვარი გაე-

---

1 ფრანგი მწერალი (1613—1680).

2 ფრანგი მწერალი (1645—1696).

3 ფლორენციის რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი (1469—1527).

4 იტალიელი ფილოსოფოსი (1568—1639).

5 აქ: საგანგებო (ფრანგ.).

კეთებინა საბოლოოდ. ყველა პოეტი ჭკუანაღრძობიაო, non distributio medii [1] იყო ამ კაცის დანაშაული.

— მაგრამ მინისტრი განა პოეტია, — ვუთხარი დიუპენს, — მე ვიცი, ორი ძმაა, ორივეს გამოუცია წიგნები. მინისტრმა, მგონი, დიფერენცირებულ გამოთვლებზე დაწერა შრომა. ასე რომ ეს კაცი მათემატიკოსია და არა პოეტი.

— ცდებით. კარგად ვიცნობ — ერთიცაა და მეორეც. ერთნაირად უჭრის გონება, როგორც პოეტს და როგორც მათემატიკოსსაც; მხოლოდ მათემატიკოსი რომ ყოფილიყო, პრეფექტი იოლად მოუვლიდა ამ საქმეს.

— რაღაც საკვირველს ამბობთ, — ვთქვი მე, — მაგნაირი აზრით ხომ ეწინააღმდეგებით საყოველთაო შეხედულებას, არაფრად აგდებთ საუკუნეების მანძილზე შექმნილ აზრს, რომლის მიხედვით მათემატიკური გონი აღიარებულია როგორც გონი par excellence [2].

Il y a á parier, — შამფორის სიტყვებით მიპასუხა დიუპენმა, — que toute idée publique, toute convention reçue, est une sottise, car elle a convenu au plus grand nombre [3]. მათემატიკოსებმა, მე გეთანხმებით, ქვეყანას მოსდეს ეს საყოველთაო შეცდომა, მის გასავრცელებლად ღონე არ დაუშურიათ. ასე, მაგალითად, სხვა შემთხვევაში რომ უფრო მოსაწონი იქნებოდა, ისეთი სიმარჯვით შეაპარეს ალგებრაში ტერმინი „ანალიზი". ეს ყველაფერი კი ფრანგების ბრალია. თუკი აქვს ტერმინებს რაიმე მნიშვნელობა, თუკი მხოლოდ გამოყენებისდა კვალად შეფასდება სიტყვა, მაშინ „ანალიზი" ისევე ნიშნავს „ალგებრას", როგორც ლათინური „ambitus" [4] — ამბიციას, „religio" [5] — რელიგიას, „homines honesti" [6] — ჰონორიან ხალხს.

— ჩხუბს ვერ გადაურჩებით, როგორც ვხედავ, ალგებრის თაყვანისმცემლებთან პარიზში, — ასე მივუგე, — მაგრამ, მგონი, სიტყვა შეგაწყვეტინეთ.

— ყოველგვარი გონის ღირსებაში ეჭვი მეპარება, სპეციფიკურ ფორმებად რომაა დანერგილი, გარდა აბსტრაქტულ ლოგიკურისა. განსაკუთრებით მათემატიკის შესწავლით გაწვრთნილი გონი მეეჭვება. მათემატიკა ფორმისა და რაოდენობის მეცნიერებაა, მათემატიკური გონი ესაა ფორმასა და რაოდენობაზე დასაკვირვებლად გამოყენებული მარტივი ლოგიკა. უდიდესი შეცდომის შემცველია ეს შეხედულება: **წმინდა** ალგებრად წოდებული მეცნიერების კანონები საყოველთაო აბსტრაქტული კანონებიაო. ეს შეცდომა ისე დიდია, რომ მიკვირს, როგორ ვერ ხედავენ ამას. მათემატიკური აქსიომები როდია საყოველთაო ჭეშმარიტების აქსიომები. ფორმისა და რაოდენობის მიხედვით რაიც ჭეშმარიტია, ის ხშირად იქნება მეტად მცდარი, მაგალითად, მორალთან დამოკიდებულებაში. მორალის შემთხვევაში შესაკრებთა ჯამი არ უდრის მთელს. ქიმიაშიც არ გამოდგება ეს აქსიომა. მოტივების განხილვის დროსაც უმართებულოა იგი, ვინაიდან ორ სხვადასხვა მოტივს თანხვდომისას სულაც არ ექნება ის ძალა, ცალ-ცალკე აღებულ ამ მოტივთა შეკრებით რომ მიიღება.

[1] საშუალის გაუთიშველობა (ლათ.).

[2] ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით (ფრანგ.).

[3] სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ყოველი გავრცელებული იდეა, საყოველთაოდ მიჩნეული შეხედულება, რაკიღა მოსაწონი გამხდარა უმრავლესობისთვის—სულელურია (ფრანგ.). ს. შამფორი (1741 — 1794)—ფრანგი მწერალი და დრამატურგი.

[4] ტრიალი (ლათ.).

[5] სინდისიერება (ლათ.).

[6] ღირსეული ხალხი (ლათ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ მათემატიკურ ჭეშმარიტებას ვხვდებით, ჭეშმარიტებანი რომაა მხოლოდ ამ მეცნიერების საზღვრებში. თავისი **შეზღუდული** მათემატიკური ჭეშმარიტების კვალობაზე მათემატიკოსი, როგორც წესი, ფიქრობს, თითქოს ეს იყოს საყოველთაო ხასიათის ჭეშმარიტება—თუმცა ხალხიც ხომ ასეთი შეხედულებისაა. მცდარობის ანალოგიურ თავგადასავლის მოიხსენიებს ბრაიანტი[1] თავის ფრიად მეცნიერულად დაწერილ „მითოლოგიაში"; „თუმცა", ასე ამბობს, „არავის გვჯერა წარმართული მითებისა, მაინც ერთთავად გადაგვივარდება ხოლმე გულიდან ეს გარემოება, და ვითომც ნამდვილი ამბავი მოგვესმინოს, ისეთი დასკვნები გამოგვაქვს საბოლოოდ". მაგრამ ალგებრისტები თავად არიან წარმართები, სჯერათ კიდეც „წარმართული მითებისა" და შესაბამისი დასკვნები გამოაქვთ არა ისე გულმავიწყობის, როგორც გონებრივი სიბეცის გამო. ერთი სიტყვით, ჯერ არ შემხვედრია ისეთი მათემატიკოსი, ვისაც ფესვების ტოლობის გამოყვანის გარდა სხვა რამეში ენდობა კაცი. მოდით და სცადეთ, ერთ ამ ჯენტლმენთაგანს უთხარით, ხანდახან შეიძლება და x^2+px მთლად არ უტოლდებოდეს q-ს, ეტყვით ამას და სასწრაფოდ თავს უშველეთ, რადგან ეჭვი არაა, საცემრად გამოიწვევა.

— მე იმისი თქმა მინდა, — განაგრძო დიუპენმა, როცა მის უკანასკნელ სიტყვებზე გულიანად გამეცინა, — მინისტრი რომ მათემატიკოსი ყოფილიყო, მაშინ პრეფექტს არ მოუწევდა ჩემთვის ფულის მოცემა. მაგრამ ეს კაცი მათემატიკოსიცაა და პოეტიც. ჰოდა, იმისი უნარისა და იმისი გარემო პირობების გათვალისწინებით ვიმოქმედე. ისიც ვიცოდი, რომ სასახლის გაბედული intrigant[2]-ი გახლავთ, ასეთ კაცს კი პოლიციის ჩვეულებრივი ხერხები მშვენივრად ეცოდინებოდა. აკი კიდევაც გაუთვალისწინებია, რომ გზაზე დახვდებოდნენ. ეფიქრობ, იმასაც მიხვდა, რომ სახლს მალულად გაუჩხრეკდნენ, იმ ამბავმა, რომ მთელი ღამეები შინ არ იმყოფებოდა ეს კაცი, პრეფექტს წარმატების იმედი მისცა, მე კი შემაეჭვა. მინისტრი უთუოდ ამას ვარაუდობდა, სუყველაფრის გაჩხრეკის შემდეგ გ. მალე დარწმუნდეს, წერილი სხვაგან შეუნახავთო. ბოლოს ხომ მართლაც ასე ჩათვალა გ.-მ. ცხადია, მეც ვიფიქრე, თუ პოლიცია გადამალული საგნების ძიებისას თავის უცვლელ წესს მისდევს, რაზეც წელან დაწვრილებით გიამბეთ, ეს მიკვლევის წესი შეიძლება ისევე მშვენივრად იცოდეს-მეთქი მინისტრმაც, როგორც მე. სწორედ ამიტომ უარყო მან ყველა ჩვეულებრივი სამალავი. აგრე ჭკუადაბღერტილი როგორ უნდა ყოფილიყო და ვერ მიმხვდარიყო, რომ სახლის სულ გადაკარგულ კუნჭულსაც ისევე მიწვდებოდნენ პრეფექტის ნემსები, ბურღები, ლუპები, როგორც რომელიმე კარადას. მივხვდი, რომ ამისდა კვალად **სიმარტივეში** უნდა ეძია ხსნა. ხომ გახსოვთ, პირველად რომ გვეწვია პრეფექტი, რა გულიანად იცინა ჩემს სიტყვებზე, იქნებ სწორედ ამ საქმის **მეტისმეტმა** სიმარტივემ შეგაჭირვათ-მეთქი.

— დიახ, — მივუგე ჩემს მასპინძელს, — მახსოვს, რარიგ გამხიარულდა, ასე მეგონა, ცოტაც და სიცილით გული წაუვა-მეთქი.

— მატერიალური სამყარო, — განაგრძო დიუპენმა, — არამატერიალურს სრული ანალოგიებით უკავშირდება; ამიტომაცაა რაღაც სიმართლის შემცველი რიტორიკის ერთი დოგმათაგანი: მეტაფორასა და შედარებას შეუძლია არა მარ-

[1] ინგლისელი მწერალი (1715—1804).

[2] ინტრიგანი (ფრანგ.).

ტო აღწერის შემკობა, უტყუარობის მინიჭებაცო. მაგალითად, vis inertiae[1]-ს პრინციპი, როგორც ჩანს, ერთია ფიზიკურისა და მეტაფიზიკურისთვისაც. თუ პირველ შემთხვევაში სწორია, დიდი სხეული მცირესთან შედარებით ძნელად ამოძრავდება და მისი ინერციის ძალა პირდაპირ პროპორციულია ამ სიძნელისა, ასევე სწორი იქნება ის, რომ დიდი უნარის ინტელექტი თუმც უფრო ძლიერი, უფრო შეუცვლელი, უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ დაბალი, მაგრამ ეს ძლიერი ინტელექტი გაცილებით მძიმედ ამოძრავდება და გაცილებით თავგზააბნეული, გაცილებით მერყევი ჩანს პირველი ნაბიჯებისას. კიდევ: ქუჩაში, დუქნის კარის თავზე, რომელ აბრებს უფრო მიუქცევიათ თქვენი ყურადღება?

ამაზე არასდროს მიფიქრია-მეთქი, ვუპასუხე დიუპენს.

— ერთი თამაში ვიცი, — თქვა დიუპენმა, — თამაშობენ რუკის საშუალებით. მოთამაშეთაგან ერთი ჩაითქვამს ფერებით აკრელებულ რუკაზე ამა თუ იმ ქალაქს, მდინარეს, სახელმწიფოს თუ იმპერიას, მეორემ კი უნდა გამოიცნოს, რა ჩაითქვა მან. ხამი კაცი წვრილი ასოებით დაწერილ სახელს ჩაითქვამს, გამოცდილი კი სხვანაირად მოიქცევა, მოწინააღმდეგის დასაბნევად დიდზე დიდ ასოებიან წარწერას შეარჩევს, რუკის ერთი ბოლოდან მეორეში რომ გადაჭიმულა. ასეთი სახელები, როგორც ქუჩაში გამოკიდული ვეებერთელა აბრები, სწორედ თავისი სიდიდის გამო დარჩება კაცს შეუმჩნეველი. თვალის ფიზიკური თვისება აქ ზუსტად შეესაბამება გონებრივ სიბეცეს, რომლის მეოხებით ადამიანს თვალიდან გამორჩება ხოლმე ახლომდებარე და ძალზე საჩინო საგანი. მაგრამ ამ გარემოებას პრეფექტი, როგორც ჩანს, ვერ შეწვდენია გასაგებად. ეს კაცი რას იფიქრებდა, ქვეყნის თვალწინ დადებდა მინისტრი წერილს იმ ვარაუდით, რომ არავინ ნახოსო.

ცხადია, რაც უფრო მეტს ვიფიქრებდი ამ ძლიერ, გაბედულ და ჭკვიან კაცზე, იმაზეც, რომ ქაღალდი სულმუდამ ხელთ უნდა ჰქონოდა, რათა დროულად შეძლებოდა მისი გამოყენება, რაკიღა ისიც ვიცოდი, რომ გარკვეული წესითღა მოძებნიდა მას პრეფექტი, — ყოველივე ამან მიმახვედრა, მინისტრი სრულიად მარტივ გზას მიმართავს და წერილის დასამალავად თავს სულაც არ შეიწუხებს-მეთქი.

ამგვარად განწყობილმა ერთ მშვენიერ დილას მოვირგე მწვანე სათვალე და ვითომც ისე, შემთხვევით ვეწვიე მინისტრს. შინ დამხვდა, წარამარა ამთქნარებდა, სრულიად უსაქმური კაცის სახე მიეღო და თითქოს შეწუხებულიც ჩანდა — ამ ennui[2]-მ გამათავაო. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ დროს გახლდათ საქმიანი და შემართული, მაგრამ ამას ვერავინ შეამჩნევდა ვერასდროს.

მეც არ ჩამოვრჩი და თავადაც შევჩივლე, თვალები მტკივა და სათვალე დამჭირდა-მეთქი. თანაც სათვალიდან ამასობაში ყურადღებითა და წვრილად მოვათვალიერე მთელი ოთახი, თუმცა კი ჩანდა, თითქოს ჩემს მასპინძელთან საუბრით ვიყავი გართული.

განსაკუთრებული გულისყურით შევათვალიერე დიდი საწერი მაგიდა, რომლის ახლოსაც თავად იჯდა. მაგიდაზე ეყარა აუარება წერილი და სხვა ქაღალდი, რამდენიმე მუსიკალური საკრავი და წიგნი. საეჭვო იქ ვერაფერი შევნიშნე.

---

[1] ინერციის ძალა (ლათ.).

[2] მოწყენა (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოს, როცა რამდენჯერმე თვალი მოვავლე ოთახს, დავინახე, რომ ბუხრის თაროს ქვემოთ, პატარა ბრინჯაოს კოპზე ცისფერი, ჭუჭყიანი ზონრით ეკიდა მუყაოს ჩანთა-საქაღალდე. ამ ჩანთას ოთხი განყოფილება ჰქონდა და შიგ ხუთი-ექვსი სავიზიტო ბარათი და ერთი წერილი იდო, დასვრილ-დაჭმუჭნული და შუაში ორ ადგილას განახევი, თითქოსდა ამ გამოუსადეგარი წერილის ჯერ დახევა მოუნდომებიათ, მაგრამ მერე გადაუფიქრებიათო. წერილზე ჩანდა დიდი შავი ბეჭედი დ.-ს მონოგრამითურთ, მისამართი და ქალის ხელით მინაწერიც — მინისტრ დ.-ს. ქაღალდი უდიერად და ასე განსაჯეთ, თითქოს ზიზღითაც ჩაეჩარათ ჩანთა-საქაღალდის ერთ-ერთ ზედა უბეში.

თვალი მოვკარი თუ არა ბარათს, მივხვდი, რასაც ვეძებ, ვიპოვე-მეთქი. რაღა თქმა უნდა, ეს წერილი სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, ასე გამოწვლილვით რომ აგვიწერა პრეფექტმა. ამ წერილზე დ.-ს მონოგრამიანი შავი ბეჭედი ერტყა, იმ ბარათზე პატარა წითელი ბეჭედი, ჰერცოგ ს.-ს საგვარეულო გერბით დამშვენებული; ეს წერილი მინისტრის სახელზე გამოეგზავნათ და მისამართი ქალის წვრილი ხელით წაეწერათ; იმ წერილზე კი მისამართი მკაფიო, მტკიცე ხელით იყო დაწერილი, ხოლო ადრესატი სამეფო გვარის პიროვნება გახლდათ. მხოლოდ ზომა ჰქონდა ერთნაირი ორივე ბარათს. მაგრამ იმ ამბავმა, რომ ეს ბარათი ესოდენ განსხვავდებოდა პრეფექტის მიერ აღწერილი ქაღალდისგან, რომ ასე დასვრილი და გახეხილი იყო და ასეთ ბარათს მინისტრი არ შეინახავდა, კიდევ იმ გარემოებამ, რომ თითქოს საქვეყნოდ ღაღადებდა თავის უმნიშვნელობაზე და ყველა შემოსული პირველად სწორედ იმ ბარათს დაინახავდა, დამარწმუნა, არ შევმცდარვარ-მეთქი. ვიმეორებ, ყველაფერი ეს დაეჭვებდა იმას, ვინც აქ იმთავითვე დაეჭვებული შემოვიდოდა.

შეძლებისდაგვარად კარგა ხანს გავაგრძელე ჩემი სტუმრობა, გაცხოველებით ვესაუბრე მინისტრს იმ თემაზე—რაც მშვენივრად ვიცოდი—აღელვებდა ამ კაცს, და ამავე დროს თვალი არ მომიშორებია წერილისთვის. კარგად დავიმახსოვრე მისი ყოველი წვრილმანი და ისიც, თუ როგორ იდო. დასასრულ კიდევ ერთი გარემოება შევამჩნიე და საეჭვო აღარაფერი დამრჩა. დავინახე, რომ წვრილის კიდეები მეტისმეტად დაჭმუჭნული ჩანდა. ასე ხდება ხოლმე, როცა პრეს-პაპიეთი გადაკეცავენ მაგარ ქაღალდს და მერე გადმოკეცავენ, რის შედეგად ის პირვანდელ სახეს მიიღებს. ამან ყველაფერს მიმახვედრა, წერილი ხელთათმანივით უკუღმა გადმოებრუნებინათ, ზედ ახალი მისამართი წაეწერათ და სხვა ბეჭდით დაებეჭდათ. დავემშვიდობე მინისტრს და წამოვედი. მაგიდაზე კი ოქროს სათუთუნე დავტოვე.

მეორე დილით ისევ მივაკითხე სათუთუნის წამოსაღებად და ის იყო იმავე თემაზე საუბარმა გაგვიტაცა, რომ უცებ გაისმა ჭახანი, თითქოს სწორედ იმ დარბაზის ფანჯრებთან გაისროლესო თოფი. შემდეგ ვიღაცამ შემზარავად იკივლა და ბრბოს ღრიანცელიც მოისმა. დ. ფანჯარასთან მიიჭრა, გამოაღო და გადაიხედა, მე კი მუყაოს ჩანთა-საქაღალდეს მივუახლოვდი, წერილი ავიღე, ჯიბეში შევინახე, ხოლო მის ადგილას მოვათავსე მისი fac-simile[1] (ანუ გარეგნულად მისი მსგავსი). ეს უკანასკნელი ადრევე შინ გავამზადე, დ.-ს მონოგრამა პურის გულიდან გაკეთებული ბეჭდით გადმოვიღე ჩინებულად.

ვიღაც შეიარაღებულ კაცს აყალმაყალი აეტეხა ქუჩაში, ქალებსა და ბავ-

[1] ზუსტი პირი (ლათ.).

შვებში გაუსროლია თოფი. მაგრამ რაღაი ნასროლი ფუჭი გამოდგა, შფოთის ამტეხი გაუშვეს, ვინმე გიჟი ან ლოთი იქნებაო. გიჟის სცენა იმ კაცს მე გავათამაშებინე. ის რომ თავის გზას გაუდგა, დ. მოშორდა ფანჯარას, რომელსაც წერილის შეცვლისთანავე მეც მივადექი. ცოტა ხნის შემდეგ ჩემს მასპინძელს გამოვემშვიდობე და წამოვედი.

— მაგრამ რაღად დაგჭირდათ, — შეეკითხე დიუპენს, — იმ ბარათის ადგილას ფაქსიმილეს მოთავსება? პირველივე სტუმრობისას გეტაცათ ხელი წერილისთვის და წამოგეღოთ!

— დ., — მიპასუხა დიუპენმა, — უშიშარი და ძლიერი კაცია. ამასთან. შინ უსათუოდ ეყოლებოდა ერთგული ხალხი. აგრე უგნურად მოქცეული ნამდვილად არ გადავრჩებოდი ცოცხალი და კეთილი პარიზელები ვერც გაიგებდნენ ჩემს ასავალ-დასავალს. მაგრამ მე სხვა მიზანი მქონდა. თქვენ იცით ჩემი პოლიტიკური სიმპათიები. ამ შემთხვევაში ქალის მხარეზე გახლდით. თერამეტი თვეა ხელში ჰყავდა იგი მინისტრს. ახლა კი პირიქითაა. ამ კაცმა ხომ არ იცის წერილის ამბავი, თავისას არ დაიშლის და, ცხადია, მისი პოლიტიკური კარიერაც მყისვე დამთავრდება, თანაც ცუდად. თუმცა ამბობენ, რომ facilis descensus Averni [1], მაგრამ როგორც სიმღერაზე უთქვამს კატალანის [2], ამაღლება გაცილებით ადვილია, ვიდრე დადაბლება. ამჯერად ვერც ვუთანაგრძნობ და ვერც შევიბრალებ დ.-ს, რადგან ის monstrum horrendum [3] გახლავთ, ფრიად ნიჭიერი, მაგრამ უპრინციპო კაცი. ცოდვა გამხელილი სჯობს და ძალიან მინდა ვნახო, რა ხასიათზე დადგება იმ, როგორც პრეფექტი იტყოდა, „ერთი პიროვნების“ წინააღმდეგობის შემდეგ, როცა მუყაოს ჩანთა-საქაღალდეში მისთვის ჩადებულ წერილს წაიკითხავს.

— როგორ? განა შიგ რამე დაუწერეთ?

— დიახ, ცარიელი ქაღალდი არ ჩამიდვია — შეურაცხყოფა იქნებოდა. ერთხელ ვენაში დ.-მ ნემსზე დასაცემად გამიხადა საქმე, მაშინ ვუთხარი, სრულიად უბოროტოდ კი, ამას არ დაგივიწყებთ-მეთქი. მართლაც ცოდვა იყო არ გაეგო, ასე ვინ გააცურა. რაკი ჩემს ხელწერას იცნობს, ავიღე და იმ ცარიელ გვერდზე დავუწერე:

... Un dessein si funeste
S'il n'est digne d'Atrée, est digne de Thyeste.[4]

კრებიიონის [5] „ატრეესში“ შეგიძლიათ ნახოთ ეს სიტყვები.

□

---

[1] იოლია ქვესკნელს ჩასვლა (ლათ.).
[2] გამოჩენილი იტალიელი მომღერალი ქალი (1780—1849).
[3] შემზარავი ურჩხული (ლათ.).
[4]... დამღუპველი ესე გეგმა თუ არა ატრეესს, თიესტეს მაინც შეეფერება (ფრანგ.).
[5] პ. კრებიიონი-უფროსი (1674—1762)—ფრანგი დრამატურგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ (ᲛᲔᲛᲝᲣᲚᲔᲑᲘᲗ)

თარგმნა **ᲑᲘᲒᲚᲐ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

●

ცხენის კისერს რომ მიასატოს ადამიანის
თავი მსატვარმა და შეუმბლოს ნაირფერადად,
შეაკოწიწოს მთელი ტანი იწილბიწილად,
ვთქვათ, თევზის კუდით, ქალის სახით, ამის მნახველი.
მარქვით, ძმობილნო, შეიკავებთ თავს სიცილისგან?
დამერწმუნენით, პიზონებო,[1] ამგვარ ნასატს ჰგავს,
წიგნი, რომელიც ავადმყოფის ბოდვას გვაგონებს,
სად ხატი ბურუსს დაუფარავს, სადაც ტან-ფეხი
არ ეფარდება თავის ზომას; დიას, ჩვენც ვუწყით
და არანაკლებ ხალისითაც ვუწყოდეთ ეგეებ,
რომ პოეტ-მსატვართ წარმოსახვა ძალუძთ თამამი.
გარნა კეთილი ბოროტისგან უნდა სსვაობდეს,
რომ გველი ჩიტთან არ შეწყვილდეს, ვეფხი — ბატკანთან.
მსატვარი ბევრგზის დიდსა რასმე გვპირდება ტილოს,
ფერ-მდიდარს, მაგრამ მიმოსატავს ფუნჯით ამაოდ
ყვავილ-ჭრელადი ღვთაებრივი დიანას[2] ჭალას,
მსიარულ ნაკადთ, გადამდინართ ტურფა მინდვრებზე,
მდინარე რენას ან ნაწვიმარ ცის ცისარტყელას; —
სულ უადგილოდ, ხენეშ-ხენეშ, ვთქვათ დიდებულად
ხატავ კიპარისს, მაგრამ იქვე რა სძირავს ხომალდს
და ზღვაში იგი ვით ინთქმება, ვინც ხმელეთზეა?
დოქს თუ ძერწავდი, როგორ შეგრჩა ხელში ქოთანი?
რაგინდ-რა იყოს, სრულქმენ ოდენ უბრალოებით.
პოეტთა დიდ წილს, ღირსეულო მამა-შვილებო,
გვაცთუნებს სახე გარეგანი, ბევრს არ შეგაწყენთ,
დავდგები ჩრდილში; მსუბუქ ყოფას ვინც ეტანება —
სულმდაბალია, ვინც დიდებას ესწრაფვის — ფუყე.

ქარის ზედმეტად მოშიშარი მიწაზე ხოხავს.
ხოლო ვინც საგნებს ადგილს უცვლის გარდამეტებით,
ის მდინარეში ღორს ჩახატავს, ტყეში კი—ნიანგს.
სცდების და სცდების ხელოვანი, თუ უვიცია.
ემილიუსის სკოლის[3] გასწვრივ ყველა მოხელე
შენ ჩამოგისხამს ბრინჯაოსგან თავსა და ფეხებს,
ქანდაკებას კი ვერ შეგიქმნის, რადგან არ ძალუძს
მთელ ჰყოს წილადი. მე პირადად ვამჯობინებდი,
რაგინდ-რა თვალ-და-თმამშვენიერ ვყოფილიყავი, —
ცხვირი უშვერად მაინც წინ არ გამომტყვრომოდა.
ზოგჯერ ახალი ძალისხმევით იმოსვის სიტყვა
სიტყვათ ასლებურ თანწყობაშიც, ხოლო თუ ზოგჯერ
უცხო საგანი ახალ სიტყვით უნდა გავნათლოთ, —
რაიცა თუნდაც არ სმენიათ ჯერაც ცეტეგებს,[4] —
ეს ხითამამეც მოიპოვებს მსატვრულ უფლებას
და ენა ჩვენი მშობლიური შეირგებს სიტყვას;
რომელსაც ბერძნულ ენისწყალში სიფრთხილით გავძრავთ.
რაც ძალუძს პლატუსს, ცეცილიუსს, რად არ ძალუძდეს
ვერგილიუსს და ვარიუსსაც?[5] და მეც ასევე
რად არ გავიღო მცირე წვლილი შეძლების კვალად,
თუ კატონმა და ენიუსმა მრავალ სიახლით
გამოაბრწყინეს ენა ჩვენი? გვაქვს ნება ჩვენაც
ჩავდოთ სიტყვაში ახალი რამ ნიშან-თვისება.
როგორც ტყის ფოთოლთ ფერს უცვლიან წელიწადები
და ძირს აცვენენ, გარნა ახალთ აღაყვავებენ,
ცვალებადობენ მყოვარ-ჟამად ეგრე სიტყვებიც.
ჩვენ და ყოველი ჩვენეული — სიკვდილს ეკუთვნით;
აკვილონისგან[6] ნეპტუნუსი[7] იცავს ხომალდებს
მეფური შრომით, მაგრამ აგერ ბამბალებს ხოფი
დამბალ ჭაობზე და მახლობელ ქალაქთა გუთნებს
ინახავს ფსკერზე. გადადიან მდინარეები
კაცთა ნაღვაწზე, — მომაკვდავია საქმე ყოველი.
როგორც ბუნება, ვერ იმწვანებს ენაც მარადის,
ახალ სიტყვათა მრავალთაგანს დრო გადააცვენს,
მრავალთაგანიც განახლდება ძველი რტოიდან,
რამეთუ ამას ითხოვს ენის წესი და რიგი.
მეფე-სარდალთა საქმეთათვის და მძიმე ომთა
სათხრობად მოგვცა ჰომეროსმა ლექსის საზომი.
ჯერ უთანაბრო ორტაეპედს მოსდგამდა ოხვრა,
მერმე საღთქმო ჩანართებიც გაჩნდა შიგდაშიგ.
ღღესაც ამ მწირი ელეგიის შემქმნელის გამო
ტრამატიკოსნი ბევრს დაობენ, რაც დავად რჩება.
არქილოქუსმა[8] მიანიჭა სიმძაფრე იამბს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა პოეტი ვარ, თუ ვერ ვიცავ აზრს, რიგს, კოლორიტს?
უვიცის ბრიყვულ სიმორცხვეს სჯობს თამამის ცოდნა.
ტრაგიკულ ლექსებს კომიკური საქმე არ უყვართ.
მსუბუქი ცეკვის ფეხსაცმელი უღირსად აქცევს
ღირსად მოსათხრობ თიესტუსის სამძიმო ნადიმს.
თავის ადგილას აქვს ყველგან და ყველაფერს ფასი.
თუმცა ხშირია, კომედიაც ხმას რომ აუწევს.
როს, მაგალითად, წყევლა-კრულვას ანთხევს ქრემესი[9]
ტრაგედიასაც მოსდგამს სიტყვა ხმადაწეული,
როს ტელეფუსი და პელევსი[10] ღატაკ-ღარიბნი
ისვრიან ბუშტებს და მარტივი სიტყვების გროვას,
რათა აღგვიძრან სიბრალული სინატიფის წილ.
ცივი სიტურფე არა კმარა, ლექსს უნდა სითბოც,
რომ ჩვენში სულის უკეთესნი აღძრან სურვილნი.
გულწრფელად მცინარს ჩვენც მივცინით, მივსტირით—მტირალს
თუ მაყურებელს წრფელად გინდა განაცდევინო,
გთქვათ, სატკივარი ტელეფუსის ან პელევსისა, —
ჯერ განიცადე წრფელად თვითონ, ცრუ განცდაზე კი
ვიცინებ ანდა ჩავთვლემ სულაც. მწუხარე სახეს
მწუხრისა უნდა სიტყვაც, სოლო მრისხანეს — რისხვის,
მასხარას — მასხრის, დარბაისელს — დარბაისლისა.
განსხვავებაა, — ვინ საუბრობს, — ღმერთი თუ კაცი,
ჟამხანიერი მოხუცი თუ ფიცხი ჭაბუკი,
დიასახლისი ხელგამრჯე თუ ფუსფუსა ძიძა,
მინდვრად მარები გუთნისდედა თუ სოვდაგარი,
კოლხი, ასური, თებელი თუ არგოსის მკვიდრი.
ან ცნობილ ამბავს უნდა მიჰყვე ან სწორ ჩანაფიქრს,
მწერალო, როცა გამოიყვან ქებულ აქილევსს.
ის უნდა იყოს მარდი, ფიცხი, დაუდგრომელი,
ვინც ქვეყნად ოდენ იარაღის კანონი უწყის.
მედეა იყოს გულ-სასტიკი, ინო — მწუხარე,
ცრუ — იქსიონი, იო — მსხემი, კუშტი — ორესტე.
განსხვავებული თუ გსურს რამე შესძინო სცენას,
შექმნა ახალი ხასიათი, იყავ ერთგული,
ბევრგზისად ძერწე სახე ერთგზის ჩაფიქრებული.
ზოგჯერ არც ისე ადვილია რჩევის მოცემა, —
ვთქვათ, ილიონში გარდახდილი ამბები შეთხზა
თუ ამჯობინო არსმენილნი ჯერაც შენამდე.
ხალხურ მასალის სარგებლობის გაქვს შენ უფლება
თუ უატკეპნილი გზით არ ივლი და ყოველ ამბავს
არ გადმოდეჭავ სიტყვა-სიტყვით, ვით თარჯიმანი,
არც შორს გატოპავ, როგორც ურცხვი იმიტატორი,
რომ უხერხულად ლექსში ფეხი არ წაიტეხო.
მით ნუ დაიწყებ, რაც სჩვევია კიკლიურ მწერალს — [11]
„პრიამუსის ხვედრს ვუმღერებო და ომს დიდებულს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სასიკეთოს დაგპირდება ეს შეპირება?
ეს იგივეა — მთამ ბღავილით შობოს წრუწუნა.
მართლის მთხრობელი უქადილოდ გვთავაზობს სიტყვებს:
„მომითხრობდეო, მუზავ, გმირზე, ტროა რომ დასცა
და მრავალ სალსთა ზნე ისილა და ქალაქები“.
იგი ცეცხლს კვამლად კი არ აქცევს, არამედ — ალად,
რომ გაანათოს ღამიერი დევთა სამყარო,
ანტიპატესი, კიკლოპის თუ სცილა-ქარიბდის.
ის არ აურევს დიომედეს მელეაბრეში
და ტროას ამბებს ლედასა და გედის ამბებში.
ამბავთ მორევში მიგვაქანებს იგი პირდაპირ,
ნაპირისა კი თითქოს თავად ვუწყოდით უკვე,
რამეთუ თხრობად ამბავთაგან უმთავრესს არჩევს.
და განაზავებს ტყუილ-მართალს ესევითარმედ,
რომ შეეთანხმოს ერთურთს შუა, თავი და ბოლო.
სხვაგვარად ჰგონებს მოწიფული კაცის გონება —
ეძებს სიმდიდრეს, მეგობრულ წრეს, სახელ-დიდებას,
გაურბის საქმეს საალბათოს, ფუჭად დაშვრომას.
ბერიკაცს მისჭირს მძიმე ზნენი სიბერისანი,
რა ჩარა ჰყრია — რას დაეძებს, ანდა რას ჰპოებს.
ყოველგვარ საქმეს ეკიდება უნდილად, მფრთხალად,
ჩანჩალებს, მედღე-მესვალიობს სიცოცხლის სარბი,
მქისე, უმწეო, აქებს მხოლოდ თავის გარდასულ
ყმაწვილკაცობას, აწინდელ ყრმათ ლანძღავს და კიცხავს.
მრავალ მოსაღებს მოიღებენ მოსული წლები,
ხოლო წასაღებს წარიღებენ; არ დავაკისროთ
ჭაბუკს მოხუცის, ხოლო ყმაწვილს მოხუცის როლი.
ყოველი კაცი თავის ასაკს უნდა მოერგოს.
ღრამა, არც მეტი, არც ნაკლები, სუთ მოქმედებად
უნდა დაიყოს — გასაძლისად მაყურებლისთვის.
არ ჯერ არს ღმერთის შეწუხება წვრილმან კვანძისთვის,
ზედმეტი გასლავთ საუბარში მეოთხე პირი.
ნაწილობრივად მსახიობის მოვალეობას
კისრულობს გუნდი, თუ ის გალობს აქტთა შუარე,
აჯამებს სათქმელს, ჰქმნის შესაფერ განწყობილებას,
უკეთეს რჩევას აძლევს რჩეულთ და ამწყალობლებს,
აცხრობს მრისხანეთ და გულდინჯად ამშვიდებს ღელვილთ.
ღარიბულ სუფრას არ დაამცრობს და განაჩინებს
მართალ განაჩენს, მშვიდობისთვის განაღებს კარებს;
ფარავს დაფარულს, შესთხოვს ღმერთებს, რათა ფორტუნა
სწყალობდეს მდაბალთ, ხოლო ზურგი აქციოს მაღალთ.
  უწინ ფლეიტა [12] არ ყოფილა მოსპილენძული,
ვერ მოვიღოდა იგი ბუკთან მეჩხრად ნასვრეტი,
მაგრამ ხმას მაინც გუნდს უწყობდა და თან შეეძლო
რომ თხელ რიგებზე ხმა-მსუბუქად ვაღაექროლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად სალსი ისსდა რიგიანი, რიცსვით კნინ-მცირე,
მოადათწესე, მომჭირნე და მოკრძალებული.
სოლო მერმე კი, ოდეს ერმა გამარჯვებულმა
შორს გადასწია საზღვრის მიჯნა და შემოცისა
ქავით ქალაქი, — სადღეობო თამაშებს უკეთ
განარიგებდნენ, აკურთხებდნენ ღვინით გენიუსს.
რას გრძნობდა ამ დროს, ქალაქელის გვერდით მჯდომელი
სოფლელი გლეხი, დიდებულის გვერდით—უბირი?
ადრეულ სცენას შეემატა ეშხი და პეწი
და მეფლეიტეს ფიცარნაგზე სთრევდა სამოსი.
გამრავალფერდა სუსტი სიმი ახალ ბგერებით,
სიტყვამ იტვირთა იმოდენი იერ-სატება,
რომ ქორო თავის მომავალის განმკითხაობით
სცენას დელფოსის სამისნოზე უფრო დაშორდა.
ახლა პოეტი ტრაგიკოსი თხისთვის დავაში[13]
ენა უშვერად აშიშვლებდა სცენაზე სატირთ,
საცდურისა და სიახლისთვის, რომელსაც ითხოვს
მაყურებელი ღვთაებრივი ლხინის ზარსოშში.
მასხრებსა ჰმართებს — სატირები როლის თანახმად
აამეტყველონ, ითამაშონ ისეთნაირად,
რომ ღმერთებმა და იმ გმირებმა, მათ რომ ასლავან,
ასლასან ოქრო-ოქსინოში რომ ბრწყინვალებდნენ,
პირ-ბილწთა ქოსში არ ამოჰყონ თავი და ვიდრე
მიწაზე დგანან, არ ეკიდნონ ღრუბლებზე ცაში.
უსერსულსა ხდის სიმსუბუქე ტრაგედიის ლექსს,
როგორც მატრონას სადღეობო ტანთსამოსელი,
როდესაც მორცხვად სატირთ შორის გაივლის იგი.
ყარიბი სიტყვით არ მივყოფდი სელს, პიზონებო,
სატირის წერას სახელების ოდენ სსენებით;
ტრაგიკულ სურათს არ მივცემდი ისეთ კოლორიტს,
რომ განსხვავება ვერ ენახათ ვინ ლაპარაკობს, —
პითია, სიმონს თავხედურად ფულებს რომ სტყუებს
თუ სილენუსი, ძიძა ძვირფას ძიძობილისა.
უჩვეულოსაც ჩვეულებრივ სიტყვებით შეთსზავ,
რაც ყველასათვის მისაწვდომი სულაც არ არის.
სრულიად ახალ მნიშვნელობას იძენს სიტყვები,
პოეტისაგან ასლებური წყობით წყობილნი.
ვერ წარმოაჩენ ისე ფავნებს, ტყის დამტოვებელთ,
ვით რომის ქუჩა-მოედანთა ზედა დაზრდილებს.
ერთნი ნატიფად ნათსზავ სიტყვებს იმსახურებენ.
მეორენი კი ყაყანებენ პირწავარდნილად.
ორივ ცალ-ცალკე დიდგვაროვანს არ ეამება,
ასევე არცა ცერცვის მხალავს და კაკლის მმტვრეველს,
ამგვარი ლექსი ვერ დაიდგამს შარავანდს თავზე.
ცუდი პოეტი იმსახურებს შენდობას იმით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მას ამ ქვეყნად არ კითხულობს თითქმის არავინ.
პირველი, ლექსი ვინც ტრაგიკულ კამენას უძღვნა,
სცენას ეტლებზე რომ მართავდა — იყო თესპისი.
მსახიობები მაშინ სახეს თხლით ითხუპნიდნენ;
მხოლოდ ესქილემ განუწესა იმათ ნიღბები,
დამოსა ძვირფას მოსასხამით და კოთურნებით; —
გადაიქუსა დიდმა სიტყვამ მცირე სცენიდან.
მერმე მოვიდა კომედია. არცთუ მცირედი
სახელ-დიდებით, მაგრამ ლაღმა ზეაღმატებამ
ის ააცდინა ძველ კანონებს, ახალ კანონით
დაკნინდა ქორო და დაჰკარგა სიტყვის სიმძაფრე.
ნიჭი ცოდნაზე მაღლა დგასო, თქვა დემოკრიტემ, —
და ჰელიკონი ჭკვიანთათვის დაკეტილია.
მე, თავად ლექსის არა მწერალს მაქვის უფლება,
ვუჩვენო პოეტს თავი-წყარო პოეზიისა.
განვჩხრიკო ლექსის ავ-კარგი და ნაკლ-ღირსებანი.
პწერლობის სიბრძნე რთული აზრის უბრალოდ თქმაა.
ზოგჯერ სომ მარჯვედ მიგნებული მცირე ამბავიც
დიდოსტატობით არა, მაგრამ წრფელად ნათხრობი
ღონიერია და საკმაოდ დიდსანს ძლებს ხალხში,
ვიდრე უსაგნო, უარაფრო მყვირალა ლექსი.
სიტყვის სიმჭევრე მოსდევდათ და სწყალობდათ მუზაც,
ო, ბერძნებს, ბერძნებს, მარადისი დიდების მსვეჭველთ!
აქ რომაელი ბავშვები კი დიდსანს სწავლობენ
თუ როგორ გაპყონ ას ნაწილად რკინის ასსუმი.
„ალბინუსის ძევ, სუთ ასსუმს თუ გამოვაკელით
ერთი უნცია, რა დარჩება, თქვი, — „მესამედი“.
—„ყოჩად, უგროშოდ არ დარჩები; რომ მივუმატოთ?“
„ნახევარი“. „ჰო“. ასე უანგავს სულს ანგარიში“.
და ამგვარ სულში მშვენიერი შეითხზვის ლექსი,
ღირსი კიპრისის გვირგვინის და კედრის რტოისა?
სასიამოვნო უჯობს პოეტს ან სასარგებლო —
ან ცხოვრებისგან ის ორივეს მიღებას ლამობს.
მოკლედ და სხარტად თქვი სათქმელი, — სხარტად ნათქვამი
სულსაც აამებს და სხოვნასაც გაიერთგულებს.
სული გადაღვრის ყოველივეს, მისთვის ურგებელს.
წარმოსახული უნდა იყოს ნახულის მსგავსი;
ყოველ ნათხზავის არა გვჯერა, შენც ნუ ამოგყავს
უძღებ ლამიის ფაშვ-მუცლიდან ცოცხლად ბალღები.
თუ ცენტურიის უხუცესნი სიბრძნეს რჩეობენ,
უცხო ხილია იგივ სიბრძნე ფიცხი მხედრისთვის.
მიზანს ასრულებს სასარგებლო საამოდ თქმული,
როდესაც მკითხველს დაატკბობ და განსწავლი კიდეც.
სოზიუსების ღირსი არის ასეთი წიგნი,
ზღვებს გადალახავს და დიდებას მოუტანს ავტორს.

შეცდომისგან კი არვინ არის თავდაზღვეული:
არ მორჩილებენ სულს და სელებს ზოგჯერ სიმები,
შესაფერისი ბგერა მუდამ არ მოსდევს ქამანს.
არცა ისარი სვდება მუდამ სამიზნე ნიშანს.
ამიტომ არც მე აღვშფოთდები თუ დავინახე
ლექსის ბრწყენაში გარეული შავი ლაქები:
ასატანია ბუნებრივი ნაკლნი კაცთანი.
მაგრამ ისევე, როგორც ცუდი გადამწერალი
ბევრგზისად იწერს ერთგზის ცდომას, სასაცილოა
ის კითარედიც, ერთ და იმავ სიმზე რომ ცოდავს.
აგრე ზოგ პოეტს ქერილუსის ზნე მისჭირს სწორედ,—
რომ ვეგუებით ნაკლს და გვხიბლავს მცირე ღირსებაც.
თვით ჰომეროსიც ჩათვლემს ზოგჯერ და ეს, პირიქით,
გვეხამუშება, თუმც დიდმაშვრალს ჩათვლემაც მართებს.
ზოგი ნახატი ახლო დგომას ითხოვს, რომ სრულად
წარმოჩნდეს იგი, ზოგს სიშორე ათვალისცხადებს.
ზოგს ჩრდილი შვენის, საჩინოობს, ზოგიც ნათელში
და არ აშინებს უმკაცრესი მსაჯულის თვალი,
ერთი ერთგზისად მოგვწონს მხოლოდ, ზოგიც — მრავალგზის.
ულცროსთა შორის შენ — უფროსო, თუმც მშობლიური
მართლსწავლულება საკმარისი და ჭკუა მოგდგამს,
მისმინე მაინც, სხვა საქმეში ასატანია
საშუალო კაცი, იურისტი ან ორატორი,
თუნდაც ისინი მეტისმეტად ჩამორჩებოდნენ
მესალას ანდა კასცელიუს ავლუსუსს ნიჭით,
მაგრამ საშუალო პოეტობას არ გვაპატიებს
არცა თუ კაცი, ღმერთი და არც წიგნების დასლი.
ისევე, როგორც სიმფონია ლხინის სუფრაზე,
მსუყე კარაქი ან სარდინის თაფლში ყაყაჩო
გვეზედმეტება, რადგან სუფრა, ისედაც სუფრობს.
ასევე სიტყვაც, ჩვენი სულის ნაზი ნაყოფი,
გაცუდებული უმწიფრობით უვარგისდება.
ვინაც შეჯიბრში არ წრთობილა, არ უკეჭნია,
დისკს არ სტყორცნიდა ან სირბილში არ აღგა ჯაფა,
ხალხის სამასხრო შეიქნება მისთვის არენა:
მაგრამ უვიციც ლექსის წერას ბედავს: -- რად არა?
ღანარჩენი რამ არ აკლია, — თავისუფლება,
მხედრის წოდება, ყოფა-ქცევა თუ გვაროვნება.
შენ კი მინერვას გულის გარე ნურაფერს დასწერ,
მოიღე ჩემგან რჩევა ესე. მაინც თუ დასწერ,
აჩვენე იგი ამა საქმის მცოდნე მეციუსს,
ან მამას, ან — მე. სახლში გედოს ნაწარმოები
ცხრა წელიწადი, მასში წაშლი რასაც ინებებ;
სიტყვას კი, ერში გადაგდებულს, ვერ დაიბრუნებ.
საკითხავია, რა ანიჭებს ლექსს უფრო ძალას —

შრომა თუ ნიჭი. მე თუ მკითხავ, უნაყოფოა
ნიჭი შრომისა, ხოლო შრომა — ნიჭის გარეშე.
ორივ ერთმანეთს საჭიროებს, ჩემო ძმობილო.
სანამ დასძლევდა მორბენალი სასურველ მიჯნას,
ჯერ ვარჯიშობდა, თავს იწრთობდა სიცხე-სიცივით,
ღვინოს, ვენერას გაურბოდა; ვისაც პითიის
მეოსნობა სურდა, ის მოძღვარსაც უსმენდა დიდსანს.
მავანი იტყვის, — ლექსის წერა ხომ მეხერხება
და ეს სავსებით კმარა ჩემთვის. მე კი არა მთნავს
ის არ ვიცოდე, რისი ცოდნაც სწავლით შემეძლო.
როგორც სახლ-კარის გასასყიდად ბრბოს უსმობს მაცნე,
ზოგჯერ პოეტიც სეირისთვის გარს იკრებს მლიქვნელთ,
თუმც არ აკლია მას ფული და ადგილ-მამული.
ვინც მაამებელ სტუმართათვის ნადიმებს მართავს,
ლატაკს ჰპირდება თავმდებობას, სასამართლოზე
ეჩრება მისთვის გაურკვეველ უცხო დავაში, —
გამიკვირდება — გაარჩიოს ბრუნდი მართლისგან.
ვისაც საჩუქარს აძლევს უსვად ანდა ჰპირდება,
ლექსთა სასმენად ნუ მოიწვევ, — ის ლექსს შეგიქებს,
იტყვის — კარგია, ბრწყინვალეა, ჩინებულია,
სახეზე ფერსაც კი შეიცვლის და თვალებიდან
ცრემლსაც გადმოღვრის, შესტება და შეიბაკუნებს.
ისევე, როგორც დაკრძალვაზე ქირით მტირალნი
მეტად ვაებენ, ვიდრე თავად ჭირისუფალნი,—
ჭეშმარიტ მქებლის არრა სცხია მყვირალა თვალთმაქცს.
სპარსი მეფენი წმინდა ღვინით აღსავსე თასებს
აცლევინებენ კაცს, როდესაც უნდა შეიტყონ
წრფელად თუ ძალუძს მეგობრობა; შენც ოდეს ლექსს სწერ,
ერიდე თვალთმაქცთ და მელიურ მათს კუდის ქიცინს.
გულწრფელი კაცი გამოგიჩხრეკს შენ ლექსის ავ-კარგს,
სენეშს განაგდებს, ნიშნს დაადებს საეჭვო ადგილს,
მარჯვე კალამით გამოკაფავს ზედმეტ სამკაულს,
სტრიქონს სინათლე თუ აკლია, შუქს მოუმატებს,
ბუნდოვან ადგილს შესაცვლელად აღნიშნავს იგი.
არისტარხუსის დარი კაცი არ იტყვის ესრეთ, —
წვრილმანებისთვის მეგობარი რად დავკარგოო,
რამეთუ სწორედ წვრილმანები დაკარგავს პოეტს,
ვითარცა ვინმე ხარბი ანდა ზაფრით სნებული,
ფანატიკოსი, დიანასგან შექანებული
უჭკვო პოეტიც ასეთია, — გაურბის ყველა,
ანდა, პირიქით, სტვენით სდევენ ქუჩის ბიჭები.
თავაღერილი რომ დადის და ბუტბუტებს ზეპირ;
როგორც ცუდმადა მეჩიტბადემ ანაზდეულად
ორმოში თავი რომ ამოჰყოს და გაჰყვიროდეს
„მიშველეთ ხალხნო, მიშველეთო!“ — არვინ მისედავს

ხოლო თუ ვინმე თოკს ჩაუწვდის, მე შევაჩერებ:
„რა იცი, ძმაო, იქნებ ამ კაცს ნებავს სიკვდილი,
შენ ხელს რად უშლი?“ მოგაგონებთ სიცილიელი
პოეტის სიკვდილს: ღვთიურ სახელს მოწყურვებული.
ეტნის ვულკანში ემპედოკლე გულგრილად ჩახდა.
პოეტს სიკვდილის უფლებასაც ვერვინ წაართმევს:
ვერ გადაარჩენ, გადარჩენა ვისაც არა სურს.
ვინც არაერთხელ ცდილა სიკვდილს სახელისათვის,
ეგი არა სდებს ფასს სიცოცხლეს, ვერცრას გახდები
თანაც არ ვიცით გიჟ-პოეტად რა ცოდვა-ბრალმა
აქცია იგი, იქნებ მშობლის საფლავს დააფსა,
ან იქნებ წმიდა ნამესარი გათელა ფეხით
და გალიიდან გამომხტარი დათვივით იბრდღვენს?
ასეთს, ნასწაელი-უსწავლელი—გაურბის ყველა.
თუ დაგიხელთა, ლექსაობით გაგასავათებს,
სიხსლისგან დაგცლის, ვით წურბელა, ბოლოწვეთამდე.

მცირე შენიშვნები

1. პიზონები—ლუციუს კალპურნიუს პიზონი და მისი ორი ვაჟიშვილია, რომელთაც უძღვნა „პოეტური ხელოვნება“ პორაციუსმა.
2. დიანა—რომაელი ქალღმერთი, ცხოველთა, მცენარეთა ნიეთიერების, აგრეთვე, მთავარისა და სინათლის ღვთაება.
3. ემილიუსის სკოლა—იგულისხმება რომის გლადიატორთა სკოლა.
4. ცეტეგები—ამ გვარეულობიდან ძვ. წ. მე-3 საუკუნის ბოლოს კონსულობდა ერთ-ერთი, რომელსაც ციცერონი პირველ რომაელ ორატორად მოიხსენიებს.
5. ჩამოთვლილია ძვ. წ. მე-3—1 სს. ცნობილი რომაელი პოეტები.
6. აკვილონი—გრიგალი.
7. ნეპტუნუსი—ზღვის ღმერთი, სიმბოლური ზედწოდება მეზღვაურისა.
8. არქილოქუსი—არქილოქე პაროსელი — ძვ. წ. მე-7 საუკუნის ცნობილი ბერძენი ლირიკოსი.
9. ქრემესი—კომედიის ცნობილი პერსონაჟი.
10. ტელეფუსი, პელევსი—უბედურ მეფეთა სახეები ტრაგედიაში.
11. კიკლიური მწერალი—იგულისხმება ჰომეროსის მიმბაძველთაგანი, რომელიც თავის გადანამღერში აფართოებდა და აერცობდა ჰომეროსისეულ მითოსური თემატიკის ციკლს (ბერძნ. „კიკლოს“).
12. ფლეიტა—გუნდის სამუსიკო ინსტრუმენტი.
13. თხისთვის დავაში—ბერძნული სიტყვის „ტრაგედიის“ პირველადი, სალსური გაგება დასაბამს იღებს ამავე კომპოზიტური სიტყვის ძირიდან „სიმღერა თხისთვის“ ან — „თხაზე“.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა დოსტოევსკაია

მოგონებები (ნაწყვეტები)

თარგმნა სოლომონ დემურსანაშვილმა

დოსტოევსკის გაცნობა. ჟორნინება

1866 წლის 3 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე, ჩვეულებისამებრ გამოვცხადდი მეექვსე ვაკთა გიმნაზიაში, სადაც ლექციებს კითხულობდა სტენოგრაფიის მასწავლებელი პ. მ. ოლხინი. ლექცია ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო, დაგვიანებულ მოსწავლეებს უცდიდნენ. ძველ ადგილზე დავჯექი და ის იყო. რვეული გადავშალე, რომ ამ დროს მომიახლოვდა ოლხინი, ჩემს გვერდით ჩამოჯდა და მითხრა:

— ანა გრიგორიევნა, სტენოგრაფიულ სამუშაოს ხომ არ აიღებთ? დავალებული მაქვს, ვიშოვო სტენოგრაფი და მეც თქვენზე ვიფიქრე, ეგებ ეს სამუშაო მან აიღოს-მეთქი.

— სიამოვნებით, — ვუპასუხე მე, — დიდი ხანია მაგაზე ვოცნებობ, ოღონდაც ვშიშობ, მეყოფა კი ცოდნა საამისოდ?

ოლხინმა დამამშვიდა. მისი აზრით, შემოთავაზებული სამუშაო არ საჭიროებდა იმაზე უფრო სწრაფ წერას, ვიდრე ეს მე შემეძლო.

— ვის სჭირდება სტენოგრაფი? — დავინტერესდი მე.

— მწერალ დოსტოევსკის. იგი ახალ რომანზე აპირებს მუშაობას და განზრახული აქვს ამჯერად სტენოგრაფი დაიხმაროს. დოსტოევსკი ვარაუდობს, რომ რომანი დაახლოებით შვიდი ნაბეჭდი თაბახი გამოვა და მთელ ამ სამუშაოში 50 მანეთს იძლევა.

მაშინვე დავთანხმდი. დოსტოევსკის სახელი ბავშვობიდანვე ცნობილი იყო ჩემთვის. იგი მამაჩემის საყვარელი მწერალი გახლდათ. თვითონ მეც აღტაცებული ვიყავი მისი ნაწარმოებებით, ცრემლიც კი დამიღვრია „მკვდარი სახლის ჩანაწერებზე“. ძალიან ამაღელვა და გამახარა იმ ამბავმა, რომ ნიჭიერი მწერალი ახლა არა მარტო პირადად უნდა გამეცნო, არამედ შემოქმედებით მუშაობაშიც უნდა მივხმარებოდი.

ოლხინმა მომცა პატარა ოთხადდაკეცილი ქაღალდი, რომელზედაც ეწერა: სტოლიარნის შესახვევი, მ. მეშჩანსკის ჩიხი. ალონკინის სახლი, ბინა № 13, იკითხეთ დოსტოევსკი. — შემდეგ ოლხინმა მითხრა:

— ძალიან გთხოვთ, ხვალ მიხვიდეთ დოსტოევსკისთან თორმეტის ნახევარზე, „არც ადრე, არც გვიან“, — ეს მისი სიტყვებია. — ამის შემდეგ ოლხინმა გამიზიარა თავისი შეხედულება დოსტოევსკიზე, რასაც შემდგომ მოგახსენებთ.

ოლხინმა საათზე დაიხედა და კათედრას მიაშურა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ის ლექცია ჩემთვის არ არსებობდა. სავსე ვიყავი სიხარულით: აღსრულდა ჩემი იდუმალი ოცნება, სამუშაო ვიშოვე! რაკი მკაცრსა და მომთხოვნ ოლხინს მიაჩნია, რომ საკმარისად ვიცი სტენოგრაფია და სწრაფადაც ვწერ, მაშასადამე, ეს მართლაც ასეა, თორემ სამუშაოს არ შემომთავაზებდა. ეს ამბავი განსაკუთრებით მახარებდა და საკუთარ თვალში ფასსაც მმატებდა.

ვგრძნობდი, იწყებოდა ახალი ხანა ჩემი ცხოვრებისა, უკვე შემეძლო საკუთარი შრომით მეშოვა ფული და მეცხოვრა დამოუკიდებლად. ხოლო დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ სწრაფვა ჩემთვის, როგორც 60-ანი წლების ყველა ქალიშვილისათვის, იყო უმაღლესი მიზანი. მაგრამ ყველაზე უფრო ის მახარებდა, რომ საძუალება მეძლეოდა მემუშავა დოსტოევსკისთან და პირადად გამეცნო იგი.

როგორც კი შინ დავბრუნდი, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე დედაჩემს. ჩემმა წარმატებამ გაახარა იგი. მღელვარებისა და სიხარულისაგან თითქმის მთელი ღამე არა მძინებია. სულ დოსტოევსკი მელანდებოდა. მამაჩემის ხნის კაცად მყავდა წარმოდგენილი. ალბათ უკვე მოხუცი იქნება-მეთქი, კეფიქრობდი. ხან სქელ, მელოტ კაცად მესახებოდა, ხანაც მაღალ, გამხდარ, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, მკაცრ და კუშტ ადამიანად, როგორც ოლხინმა დაახასიათა. უფრო იმაზე ვფიქრობდი, როგორ მოვახერხებდი მასთან ლაპარაკს. დოსტოევსკი სწავლულ და ბრძენ კაცად მიმაჩნდა, ამიტომ წინასწარ მათრთოლებდა მასთან წარმოთქმული ჩემი ყოველი სიტყვა, ხეირიანად არც მახსოვდა მისი რომანების გმირთა სახელები თუ მამის სახელები და ესეც ძალიან მაშფოთებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ უსათუოდ იტყოდა მათზე რამეს. ჩემს წრეში არასოდეს შევხვედრივარ კამოჩენილ ლიტერატორს: რაღაც განსაკუთრებულ ადამიანებად წარმომედგინა ისინი, იმათ საუბარიც კი უჩვეულო ეცოდინებათ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

ახლა, იმ დროს რომ ვიგონებ, ეხვდები, რა ბავშვი ვიყავი მაშინ, თუმცა უკვე ოცი წლისა გახლდით.

* *

4 ოქტომბერს, ჩემს მომავალ ქმართან პირველი შეხვედრის ღირსსახსოვარ დღეს, მეტად კარგ გუნებაზე გავიღვიძე. დღეს ფრთები უნდა შესხმოდა ჩემს სანეტარო, დიდი ხნის ნაღოლიავებ ოცნებას: დროზე გამესრულებინა სწავლა და დამეწყო მოღვაწეობა არჩეულ სარბიელზე.

სახლიდან ადრე გამოვედი. უნდა შემევლო ქარვასლაში, მარაგად ამეღო სხვადასხვანაირი ფანქრები და მეყიდა პატარა ხელჩანთა. ასე მეგონა, ჩანთა საქმიანი ადამიანის იერს მომცემდა. ყველაფერი ვიყიდე, ამასობაში თერთმეტი საათიც შესრულდა. დოსტოევსკისთან „არც ადრე, არც გვიან“ რომ არ მივსულიყავი, როგორც ეს წინასწარ იყო დათქმული, ბოლშაია მეშჩანსკაიას ქუჩის გავლით ნელი ნაბიჯებით გავემართე სტოლიარნის შესახვევისაკენ, თან ერთთავად საათზე ვიყურებოდი. თორმეტის ოცდახუთ წუთზე ალონკინის სახლთან ვიდექი. ჭიშკართან აყუდებულ მეეზოვეს ვკითხე, 13 ნომერი ბინა სად არის-მეთქი. მან მარჯვნივ მიმითითა იმ კარებისკენ, რომლის თაღქვეშაც შესასვლელი კიბე მოჩანდა. ეს დიდი სახლი პატარ-პატარა ბინებად იყო დაყოფილი და იქ ვაჭრები და ხელოსნები ცხოვრობდნენ. მაშინვე ის სახლი გამახსენდა, სადაც „დანაშაული და სასჯელის“ გმირი რასკოლნიკოვი ცხოვრობდა.

13 ნომერი ბინა მეორე სართულზე აღმოჩნდა. ზარი დავრეკე. კარი მაშინვე გამიღო ხნიერმა მოსამსახურემ, მხრებზე მწვანე უჯრედებიანი შალი ჰქონდა წამოსხმული. არცთუ ისე დიდი ხნის წაკითხული მქონდა „დანაშაული და სასჯელი“. ამიტომ ჩემდაუნებლიეთ გავიფიქრე — ეს ხომ არ არის პროტოტიპი დრადედამის შალისა, ესოდენ დიდი როლი რომ ითამაშა-მეთქი მარმელადოვების ოჯახში. როცა მოსამსახურემ მკითხა, ვინა გნებავთო, ვუპასუხე, ოლხინმა გამომგზავნა და ეს თქვენმა ბატონმაც უკვე იცის-მეთქი.

მოსასხამის მოხდაც ვერ მოვასწარი, რომ მისაღების კარი გაიღო და მკვეთრად განათებული ოთახის ფონზე გამოჩნდა ძალზე შავგვრემანი, თმაგაწეწილი და გულგაღეღილი ახალგაზრდა კაცი. უცხო ადამიანის დანახვაზე მან შეჰყვირა და მყისვე განის კარებში გაქრა.

მოსამსახურემ სასადილო ოთახში შემიპატიჟა. ეს იყო უბრალოდ მოწყობილი ოთახი, კედლებთან პატარ-პატარა ხალიჩებგადაფარებული სკივრები იდგა, ხოლო ფანჯარასთან კომოდი მოეთავსებინათ, ზედ თეთრად ნაქარგი ქსოვილი იყო გადაფარებული. ერთი კედლის გასწვრივ დივანი დაედგათ. დივანის ზემოთ კედლის საათი ეკიდა, საათი ზუსტად თორმეტის ნახევარს უჩვენებდა.

მოსამსახურემ მითხრა, ბატონიც ახლავე მოვაო. მართლაც, ორიოდე წუთის შემდეგ

შემოვიდა ფეოდორ მიხაილოვიჩი, მან კაბინეტში შემიპატიჟა, თვითონ კი, როგორც მერე გამოირკვა, იმიტომ გასულა, რომ ჩაის მოტანა ებრძანებინა. ფეოდორ მიხაილოვიჩის კაბინეტი დიდ ორფანჯრიან ოთახში იყო მოწყობილი. იმ მზიან დღეს, კაბინეტი კაშკაშებდა, ხოლო მოღრუბლულ ამინდში მეტისმეტად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა, ამ დროს ოთახში გამეფებული სიჩუმე და მოწყენილობა პირდაპირ თრგუნავდა ადამიანს.

ოთახის შუაგულში რბილი დივანი იდგა, ზედ ყავისფერი, გახუნებული ნაჭერი იყო გადაფარებული. დივანის წინ მრგვალი მაგიდა მოეთავსებინათ, ზედაც წითელი მაუდის ხელსახოცები დაეწყოთ. მაგიდაზე ლამპა და ორი თუ სამი ალბომი იდო. მაგიდის გარშემო სავარძელი და რბილი სკამები შემოეწყოთ. დივანის თავზე კაკლის ხის ჩარჩოში ჩასმული პირხმელი ქალის სურათი ეკიდა. ქალს შავი კაბა ეცვა და ქუდიც შავი ეხურა. „ალბათ დოსტოევსკის ცოლია-მეთქი“ — გავიფიქრე. მისი ოჯახური ყოფისა ჯერ არაფერი ვიცოდი.

ფანჯრებს შორის შავჩარჩოიანი დიდი სარკე იდგა. სარკე, სახმარად რომ მოხერხებული ყოფილიყო, მარჯვენა ფანჯრისკენ მიედგათ და ამის გამო ძალიან უშნოდ გამოიყურებოდა. ფანჯრები ლამაზი ფორმის ჩინური ლარნაკებით მოერთოთ. კედლის გასწვრივ დიდი, მწვანე ხალიჩაგადაფარებული დივანი იდგა, ხოლო მის გვერდით — მომცრო მაგიდა, ზედ წყლის სურა შემოედგათ. პირდაპირ კი, გარდიგარდმო, იდგა საწერი მაგიდა. ამ მაგიდასთან ვიჯექი ხოლმე ყოველთვის, როცა ფეოდორ მიხაილოვიჩი რომანს მკარნახობდა. უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ყველაზე უბრალო კაბინეტი, რაც კი ოდესმე მინახავს ჩემს ნაცნობ ღარიბ ოჯახებში.

სმენადაძაბული ვიჯექი და ერთთავად მეჩვენებოდა, თითქოს ბავშვების ჟივილ-ხივილს ანდა მათი დოლის ბრაგუნს გავიგონებდი. ან არადა, გაიღება კარი და შემოვა პირხმელი ქალი, რომლის სურათსაც ახლახან ვუყურებდი-მეთქი.

მაგრამ ოთახში ფეოდორ მიხაილოვიჩი შემოვიდა, დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა და მერე მკითხა:

— დიდი ხანია სტენოგრაფად მუშაობთ?

— სულ ნახევარი წელია.

— ბევრი მოსწავლე ჰყავს თქვენს მასწავლებელს?

— თავიდან ას ორმოცდაათზე მეტი მსურველი ჩაეწერა. ახლა კი ოცდახუთიოდეღა დავრჩით.

— რატომ ასე ცოტა?

— ბევრს ეგონა, ადვილად შეისწავლიდა სტენოგრაფიას, მაგრამ, როცა მიხვდნენ, რომ ეს იოლი არ იყო, თავი დაანებეს.

— ასეა ყოველთვის, როცა ახალ საქმეს მოჰკიდებენ ხელს, — თქვა ფეოდორ მიხაილოვიჩმა, — ხალისით იწყებენ, მაგრამ მერე გულს აიყრიან და მიატოვებენ. შეატყობენ, რომ ოფლის ღვრაა საჭირო, საამისოდ კი თავი დღეს ვის ემეტება?

პირველ დანახვაზე დოსტოევსკი ხნიერი მომეჩვენა, მაგრამ როგორც კი დაილაპარაკა, მაშინვე გაუახალგაზრდავდა სახე და მე გავიფიქრე, დიდი-დიდი ოცდათხუთმეტი-ოცდაჩვიდმეტი წლისა თუ იქნება-მეთქი. საშუალო სიმაღლის, გამართული ტანი ჰქონდა. ღია წაბლისფერი, თითქმის წითური თმა გულმოდგინედ დაეევარცხნა, მაგრამ, რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, ეს დოსტოევსკის თვალები იყო, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ: ერთი თაფლისფერი იყო, მეორე თვალის გუგა კი ისე გაფართოებოდა, რომ თვალის ფერი აღარც ეტყობოდა. ეს განსხვავება მის პირისახეს იდუმალ გამომეტყველებას აძლევდა. დოსტოევსკის ფერმკრთალი და ავადმყოფური სახე ძალზე ნაცნობი მეჩვენა, ალბათ იმიტომ, რომ მანამდე მისი სურათები მქონდა ნანახი. გახუნებული ლურჯი ფერის ჯემპრი ეცვა, საყელო და სამაჯურები კი თოვლივით უქათქათებდა.

ხუთი წუთის შემდეგ მოსამსახურე შემოვიდა და ორი ჭიქა მაგარი, თითქმის შავი ჩაი შემოიტანა. ლანგარზეც ორი ცალი ფუნთუშა იდო. ჩაის სმა დავიწყე, თუმცა აღარ მინდოდა, მითუმეტეს, რომ ოთახში ცხელოდა, მაგრამ მეტიჩრობად არ ჩამომართვან-მეთქი, გავიფიქრე. პატარა მაგიდის წინ კედელთან დავჯექი, ხოლო დოსტოევსკი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა, ხან ოთახში დადიოდა და ეწეოდა. პაპიროსს მალიმალ აქრობდა და ახალს უკიდებდა. მეც შემომთავაზა, ხომ არ მოსწევთო, მაგრამ მე უარი ვუთხარი.

— ზრდილობის გამო ხომ არ მეუბნებით უარს! — მითხრა მან.

შევეცადე დამერწმუნებინა, რომ არამცთუ არ ვეწეოდი, უფრო მეტიც, იმასაც ვერ ვიტანდი, როცა სხვები, რაღა თქმა უნდა, ქალები, ეწეოდნენ.

ვსაუბრობდით ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თანაც დოსტოევსკი წამდაუწუმ ცვლიდა თემას. ავადმყოფური გამომეტყველება ჰქონდა. გამაოცა მისმა გულახდილობამ, როცა მითხრა, ამ დღეებში გულყრა დამემართა და საერთოდ ავი ზნით ვიტანჯებიო. მომავალ სამუშაოზე დოსტოევსკი რაღაც გაურკვევლად ლაპარაკობდა.

— ვნახოთ, რა გამოგვივა, მოვსინჯოთ, შევძლებთ თუ ვერა?

თავიდან მომეჩვენა, რომ ჩვენი ერთად მუშაობა არ მოხერხდებოდა. ისიც კი ვიფიქრე, დოსტოევსკის ეეჭვება ამგვარად მუშაობის შესაძლებლობა, უკვე ყოყმანობს და უარის თქმასაც აპირებს-ძეთქი. უხერხულობიდან რომ დამეხსნა, მე თვითონ ვუთხარი:

— კეთილი, ვცადოთ, ოღონდ თუ დაატყოთ, რომ მე არ გამოგადგებით, პირდაპირ მითხარით, დარწმუნებული იყავით, არ მეწყინება.

დოსტოევსკიმ გადაწყვიტა, ჩემთვის ეკარნახა „რუსული მოამბის“ ტექსტი, და მთხოვა, სტენოგრამა ჩვეულებრივ გადაათეთრეთო. მკარნახობდა სწრაფად. შევაჩერე და ვთხოვე, ჩვეულებრივ საუბარზე ჩქარა ნუ მიკარნახებთ-მეთქი.

შევუდექი სტენოგრამის გადატანას და უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ მალე გადავწერე, თუმცა დოსტოევსკი მაინც მაჩქარებდა და მსაყვედურობდა, ნელა წერთო.

— მე ხომ ნაკარნახევი ტექსტი შინ უნდა გადავწერო და არა აქ, — დავამშვიდე იგი, — თქვენთვის კი სულ ერთი არ არის, რამდენ ხანს მოვუნდები ამას.

როცა დოსტოევსკიმ ნამუშევარი გადაათვალიერა და შეამჩნია, რომ ერთგან წერტილი გამომეტოვებინა, ხოლო მეორეგან მაგარი ნიშანი რაღაც გაურკვევლად დამესვა, მკაცრად მისაყვედურა. ეტყობოდა, გაღიზიანებული იყო და სათქმელს თავს ვერ უყრიდა. ერთი კი მკითხა, რა გქვიაო. მაგრამ მაშინვე დაავიწყდა, მერე ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. დიდხანს დადიოდა ასე, თითქოს ჩემი იქ ყოფნაც აღარ ახსოვდა. გაშეშებული ვიჯექი, მეშინოდა, მისი ფიქრები არ გამეწყვიტა.

ბოლოს მითხრა, ახლა არ შემიძლია მუშაობა და საღამოს რვა საათზე ხომ ვერ მოხვალთ, რომანს მაშინ გიკარნახებთო. მეძნელებოდა ხელმეორედ მოსვლა, მაგრამ სამუშაოს გადადებაც არ მინდოდა, ამიტომ დავთანხმდი.

გამომშვიდობებისას დოსტოევსკიმ მითხრა:

— ძალიან გამიხარდა, როცა ოლხინმა სტენოგრაფი ქალი გამომიგზავნა და არა მამაკაცი. თუ იცით რატომ?

— რატომ?

— იმიტომ რომ კაცები სვამენ. თქვენ კი, იმედი მაქვს, არა სვამთ.

ლამის სიცილი ამიტყდა, მაგრამ თავი შევიკავე.

— ნამდვილად არ ვსვამ, ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, — სერიოზულად ვუპასუხე მე.

დოსტოევსკის სახლიდან დანაღვლიანებული წამოვედი, რადგან მან ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. უკვე ვეჭვობდი, რომ მუშაობას გავაგრძელებდით. ოცნება დამოუკიდებელ ცხოვრებაზე წყალს მიჰქონდა. ეს მით უფრო მტკენდა გულს, რომ მახსენდებოდა დედაჩემი, რომელსაც ასე გაუხარდა გუშინ ჩემი ახალი საქმიანობის დაწყება.

ორი საათი სრულდებოდა, როცა იქიდან წამოვედი. ჩემს სახლამდე კარგა მანძილი იყო: ვცხოვრობდი სმოლნის ახლოს, კოსტრომის ქუჩაზე, დედაჩემის, ანა ნიკალაევნა სნიტკინას სახლში. ამიტომაც გადავწყვიტე, ნათესავთან შემევლო, რომელიც იქვე ფარნის შესახვევში ცხოვრობდა. იმასთან ვისადილებდი და საღამოს ხელახლა დოსტოევსკისთან დავბრუნდებოდი.

ნათესაევები ძალიან დაინტერესდნენ ჩემი ახალი ნაცნობით და დაწვრილებით მეკითხებოდნენ დოსტოევსკის ამბებს. საუბარში დრო მალე გავიდა და რვა საათზე ისევ მივადექი ალონკინის სახლს. კარის გაღებისთანავე მოსამსახურეს ვკითხე, შენს ბატონს რას ეძახიანმეთქი. მის წიგნებზე, მახსოვდა, ფეოდორი ეწერა, მაგრამ მამის სახელი არ ვიცოდი. ფეოდსიამ (ასე ერქვა მოსამსახურეს) ისევ სასადილო ოთახში შემიპატიჟა და გავიდა, რომ ჩემი მოსვლა მოეხსენებინა მასპინძლისათვის. მერე დაბრუნდა და კაბინეტში შემიპატიჟა. ფეოდორ მიხაილოვიჩს მივესალმე და ჩემს ადგილზე მოვეწყვე პატარა მაგიდასთან. მაგრამ მას ეს არ მოეწონა და მთხოვა, დიდ საწერ მაგიდასთან გადავმჯდარიყავი. თან მარწმუნებდა, აქ უფრო მოხერხებულად იმუშავებთო. უნდა ვაღიარო, რომ იმ მაგიდასთან ჯდომა, სადაც სულ მოკლე ხნის წინ დაიწერა შესანიშნავი რომანი „დანაშაული და სასჯელი“, სიამაყით მავსებდა.

მე დიდ მაგიდასთან გადავინაცვლე, ფეოდორ მიხაილოვიჩმა კი ჩემი ადგილი დაიკავა. ჩემი სახელი და გვარი რომ გაიხსენა, მკითხა, თქვენი ნათესავი ხომ არ იყო ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი სნიტკინი, ახლახან რომ გარდაიცვალაო. მხოლოდ ჩემი მოგვარე იყო-მეთქი, ვუპასუხე. მერე მკითხა, ოჯახში რამდენი ცხოვრობთო, ადრე საიდ სწავლობდით და რამ გაიძულათ სტენოგრაფიისათვის მოგეკიდათ ხელიო.

ყველა კითხვაზე უბრალოდ და სერიოზულად, თითქმის მკაცრად ვპასუხობდი, როგორც შემდეგ მარწმუნებდა ფეოდორ მიხაილოვიჩი. ადრევე გადავწვიტე: სტენოგრაფიულ სამუშაოზე კერძო პირთან ბინაზე თუ მომიხდებოდა მისვლა, მასთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა დამეჭირა, სითამამე არ გამომეჩინა, რომ ზედმეტი სიტყვა არ ეკადრებინათ ჩემთვის. მგონი, ფეოდორ მიხაილოვიჩთან საუბრისას ერთხელაც არ გამიღიმია და თურმე ჩემი საქციელი ძალიან მოსწონებია. დიდი ხნის შემდეგ გამომიტყდა: შენი თავდაჭერილობა მესიამოვნაო. იგი ჩვეული იყო საზოგადოებაში ნიჰილისტებთან შეხვედრას, ხედავდა მათ დამოკიდებულებას და ეს ძალიან აღშფოთებდა. ამიტომ უფრო გაუხარდა, როცა იმდროინდელი ქალიშვილებისაგან განსხვავებულ ხასიათს წააწყდა.

ამასობაში ფედოსიამ ორი ჭიქა ჩაი, ფუნთუშები და ლიმონი შემოგვიტანა. ფეოდორ მიხაილოვიჩმა ხელახლა შემომთავაზა პაპიროსი და მერე მსხლით გამიმასპინძლდა.

ვსვამდით ჩაის და თან გულახდილად, მეგობრულად ვსაუბრობდით. უცებ მომეჩვენა, თითქოს ადრეც ვიცნობდი მას, რის გამოც სულში სითბო და სიმსუბუქე ჩამიდგა.

რატომღაც სიტყვა ჩამოვარდა პეტრაშეველების სიკვდილით დასჯაზე. ფეოდორ მიხაილოვიჩი მოგონებებში ჩაიძირა.

— მახსოვს, — დაიწყო მან, — როგორ ვიდექი სემიონოვის მოედანზე მსჯავრდადებულ ამხანაგებს შორის და ვუყურებდი პროცესის სამზადისს. ვიცოდი, ხუთი წუთის სიცოცხლეღა დამრჩენოდა, მაგრამ ეს წუთები მიღირდა წლებად, ათეულ წლებად, მთელ სიცოცხლედ მიღირდა! აი, ჩვენ უკვე ჩამოგვაცვეს სასიკვდილო ტომრები და სამ-სამად დაგვაწყლეს. მე მერვე ვიყავი მესამე რიგში. პირველი სამეული უკვე მიაკრეს ბოძებს. სამიოდე წუთის შემდეგ ორივე რიგი დახვრეტილი იქნებოდა და ჩვენი ჯერიც დადგებოდა. ოო, როგორ მინდოდა მაშინ სიცოცხლე, ღმერთო ჩემო! რა ძვირფასი მეჩვენებოდა ცხოვრება, რამდენი კარგი საქმე შემეძლო გამეკეთებინა. ჩემი წარსული გამახსენდა და მიეხვდი, ხეირიანად რომ ვერ გამოვიყენე იგი. ახლა მეწადა ყველაფერი თავიდან დამეწყო, მეცხოვრა დიდხანს, დიდხანს. უცბად საყვირის ხმა შემომესმა და თითქოს გავმხნევდი. ჩემი ამხანაგები ბოძებიდან ახსნეს და უკანვე მორეკეს, მერე წაგვიკითხეს ახალი განაჩენი: მე ოთხი წლის ეატორღა მომისაჯეს. ჩემს ცხოვრებაში ამაზე უფრო ბედნიერი დღე არ მახსოვს. ალექსეევსკის ნატუსაღოში ვიმყოფებოდით. დავაბიჯებდი ჩემს განმარტოებულ საკანში და ვმღეროდი, მიხაროდა — მე ხომ სიცოცხლე მაჩუქეს. ჩემს ძმას ნება დართეს გამომშვიდობებოდა განშორების წინ. ქრისტეშობის წინა დღეს გამამწესეს შორეულ გზაზე. ახლაც ვინახავ წერილს, რომელიც აწ განსვენებულ ძმას მივწერე მაშინ, განაჩენის წაკითხვის დღეს. ამას წინათ დამიბრუნა ივი ჩემმა ძმისშვილმა.

ფეოდორ მიხაილოვიჩის ნაამბობმა საშინელ გუნებაზე დამაყენა. თანაც ძალიან გამიკვირდა, რომ ასე გადამიშალა გული მე, თითქმის გოგონას, რომელსაც დღეს შეხვდა პირველად. დიახ, ეს გარეგნულად გულჩახვეული, მკაცრი კაცი ისეთი დაწვრილებითა და ნდობით მიამბობდა თავისი წარსული ცხოვრების ამბავს, რომ პირდაპირ გაოცებული ვიყავი. მიზეზი ამ გულახდილობისა და ნდობისა ვვიან შევიტყვე, მაშინ, როცა მის ოჯახურ მდგომარეობას გავეცანი. იმ ხანებში ფეოდორ მიხაილოვიჩი სულ მარტო, მისდამი მტრულად განწყობილი ადამიანებით იყო გარშემორტყმული. იგი ამას ძალიან განიცდიდა და თავის ფიქრებს მაშინვე ანდობდა ყველას, ვინც მის მიმართ ყურადღებასა და სიკეთეს გამოიჩენდა. სწორედ ამ გულახდილობამ, ჩვენი გაცნობის პირველ დღეს რომ გამოამჟღავნა, ჩემზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

საუბარი ამბიდან ამბავზე გადადიოდა, სამუშაოს კი ჯერაც არ შევდგომოდით, ეს მოსვენებას მიკარგავდა. უკვე გვიან იყო, მე კი საკმაოდ შორს ვცხოვრობდი. დედაჩემს შევპირდი, დოსტოევსკისაგან პირდაპირ სახლში მოვალ-მეთქი და ახლა ის, ალბათ, ჩემზე დარდით აღარ იყო. ვერ ვბედავდი, შემეხსენებინა დოსტოევსკისთვის ჩემი მოსვლის მიზანი. როგორ გამიხარდა, როცა მითხრა, მუშაობა დავიწყოთო. მოვემზადე, ფეოდორ მიხაილოვიჩი ჩქარი ნაბიჯებით მოჰყვა ოთახში სიარულს. კარებიდან გეზად გადაუჭრიდა ოთახს, ღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთან მივიდოდა და აუცილებლად ორჯერ დააკაკუნებდა ზედ. თან ეწეოდა, ხშირ-ხშირად უკიდებდა სიგარეტს და მხოლოდღა ნახევრად დამწვარს საფერფლეში აგდებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ფეოდორ მიხაილოვიჩმა მთხოვა, წამეკითხა ნაკარნახევი, და პირველსავე სიტყვაზე შემაჩერა.

— როგორ — „დაბრუნდა რულეტენბურგიდან?" მე ვახსენე რულეტენბურგი?

— დიახ, ფეოდორ მიხაილოვიჩ, თქვენ მიკარნახეთ ეს სიტყვა.

— შეუძლებელია.

— მაპატიეთ, არის თქვენს რომანში ამ სახელწოდების ქალაქი?

— დიახ. ამბავი მოთამაშეთა ქალაქში ხდება, რომელსაც მე რულეტენბურგი ვუწოდე.

— რაკი ასეა, მაშ ეჭვი არ არის, ამ სიტყვას თქვენ მიკარნახებდით, ისე საიდან გამახსენდებოდა?

— მართალი ხართ, — დამეთანხმა ფეოდორ მიხაილოვიჩი, — ალბათ, რაღაც შემეშალა.

გამეხარდა, რომ ამ გაუგებრობის მიზეზი მე არ შევიქენი. ალბათ ფეოდორ მიხაილოვიჩი ფიქრებმა გაიტაცეს, ანდა შეიძლება ძალიან დაიღალა, იმიტომაც მოუვიდა ასეთი შეცდომა. თვითონვე მიხვდა, რომ მუშაობა არ აეწყობოდა და მთხოვა, სახვალიოდ, თორმეტი საათისთვის გადავდოთო. აღვუთქვი, უსათუოდ მოვალ-მეთქი.

თერთმეტი ხდებოდა, წასასვლელად რომ მოვემზადე. როცა გაიგო, პესკაზე ვცხოვრობდი, დოსტოევსკიმ მითხრა, მაგ უბანში არასოდეს ვყოფილვარ და არც ის ვიცი, სად მდებარეობს. თუ შორს არის, მოსამსახურეს გაგაყოლებო. მე, ცხადია, უარი ვუთხარი. მან კარებამდე მიმაცილა და ფედოსიას უბრძანა, კიბე გაენათებინა ჩემთვის.

შინ რომ მივედი, დედას ვუამბე, რა კეთილი და გულახდილი ადამიანი იყო დოსტოევსკი. თანაც, გული რომ არ დასწყვეტოდა, ბოლომდე არ გავუმხილე ის მძიმე შთაბეჭდილება, რაც სხვა დროს არ განმეცადა და რაც ასე ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში იმ მეტად მღელვარედ გატარებული პირველი დღიდან. შთაბეჭდილება კი მართლა მძიმე იყო: პირველად შევხვდი ჭკვიანსა და კეთილ, მაგრამ უიღბლო ადამიანს, რატომღაც ყველასაგან მიტოვებულს, და ჩემს გულში გაჩნდა მისდამი სიბრალულის გრძნობა.

დაღლილი ვიყავი და მაშინვე დავწექი. დედას ვთხოვე, ადრე გავეღვიძებინე, რათა ტექსტის გადაწერა და დათქმულ დროზე მიტანა მომესწრო.

* *

დილას ადრე ავდექი და მაშინვე გადაწერას შევუდექი. ნაკარნახევი ბევრი არ იყო, მაგრამ მინდოდა ლამაზად გადამეწერა, ამას კი საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. როგორ არ ვეცადე, ნახევარი საათი მაინც დამაგვიანდა. ფეოდორ მიხაილოვიჩი აღელვებული დამხვდა. მომესალმა თუ არა, მითხრა:

— უკვე იმედი გადავიწყვიტე, ვიფიქრე, ალბათ სამუშაო ეძნელა და აღარ მოვა-მეთქი. თქვენი მისამართი არ ჩამიწერია და ვშიშობდი, ისიც არ დამეკარგა, რაც გუშინ გიკარნახეთ.

— ძალიან მრცხვენია, რომ დავიგვიანე, — ვუპასუხე, — მაგრამ გარწმუნებთ, უარიც რომ მეთქვა მუშაობაზე, აქ მაინც მოვიდოდი და მოგიტანდით ორიგინალს.

— უფრო იმიტომ ვღელავდი, — ამიხსნა ფეოდორ მიხაილოვიჩმა, — რომ ეს რომანი პირველ ნოემბრამდე უნდა დავამთავრო. მე კი ჯერ გეგმაც არ შემიდგენია ახალი რომანისა. მხოლოდ ის ვიცი, რომ სტელოვსკის გამოცემით შვიდ თაბახზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მე დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი და ფეოდორ მიხაილოვიჩმა ნათლად დამიხატა ის მართლაც დიდი საფრთხე, რაც მას მოელოდა.

უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ ფეოდორ მიხაილოვიჩმა იკისრა გადაეხადა მთელი ვალი ჟურნალ „ვრემიასი", რომელსაც მისი ძმა სცემდა, ვალი თამასუქის წესით იყო და კრედიტორები პირდაპირ სულს ხდიდნენ ფეოდორ მიხაილოვიჩს, ემუქრებოდნენ, უძრავ-მოძრავ ქონებას აგიწერთ, ხოლო თვითონ შენ ციხეში ამოგალპობთო. მაშინ იოლად შეეძლოთ ამის გაკეთება.

ნაწილი ვალისა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაეხადა, შეადგენდა 3000 მანეთს. ფეოდორ მიხაილოვიჩი ბევრს ეცადა ეშოვა ფული, მაგრამ ვერაფერი გაახერხა. როცა

ყველა ცდა კრედიტორებთან მორიგებისა ამაო გამოდგა და უკვე სასოწარკვეთამდეც მი-
ვიდა, აი, სწორედ მაშინ მასთან გამოცხადდა გამომცემელი ფ. ტ. სტელოვსკი და შესთავაზა,
სამი ათასად ვიყიდი თქვენი თხზულებების სამ ტომად გამოცემის უფლებასო. გარდა ამისა,
ფეოდორ მიხაილოვიჩს ამავე თანხის ანგარიშში უნდა დაეწერა ახალი რომანი. მეტი გზა
არ ჰქონდა; დოსტოევსკი კონტრაქტის ყველა პირობას დაეთანხმა, ოღონდაც კი თავი და-
ეხსნა ხიფათისაგან, თავისუფლების აღკვეთას რომ უქადდა. კონტრაქტი დაიდო 1865 წლის
ზაფხულში. სტელოვსკიმ დათქმული თანხა შეიტანა ნოტარიუსში და ეს ფული მესამე
დღესვე გადაუხადეს კრედიტორებს. ამგვარად, ფეოდორ მიხაილოვიჩს ხელზე არაფერი
დარჩა; მაგრამ ყველაზე მეტად საწყენი ის იყო, რომ რამდენიმე დღეში მთელი ეს ფული
ისევ უკან დაუბრუნდა სტელოვსკის. აღმოჩნდა, რომ მან ჩალის ფასად ჩაიგდო ხელთ
დოსტოევსკის თამასუქები და სხვა პირების მეშვეობით უკან ამოიგო ეს ფული. გაიძვერა
სტელოვსკი უღვთოდ ძარცვავდა ჩვენს მუსიკოსებსა და ლიტერატორებს (პისემსკის, კრეს-
ტოვსკის, გლინკას). დაუდარაჯდებოდა და როცა მძიმე წუთები დაუდგებოდათ, მაშინვე
მარწუხებში მოაქცევდა მსხვერპლს. სამი ათასი მანეთი მხოლოდღა გამოცემის უფლების
საფასურად ძალზე ცოტა იყო, რადგან მაშინ დოსტოევსკის რომანებზე უკვე დიდი მო-
თხოვნილება იყო. ფეოდორ მიხაილოვიჩისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო პირობა. რომე-
ლიც ავალდებულებდა ახალი რომანის ჩაბარებას 1866 წლის პირველ ნოემბრამდე. თუ
დათქმულ დროზე დოსტოევსკი ვერ მოახერხებდა ჩაბარებას, მაშინ პირობის დარღვე-
ვისათვის დიდძალი ჯარიმა უნდა გადაეხადა. უკეთუ ვერც იმავე წლის პირველ დეკემბრამდე
მოასწრებდა, მაშინ საერთოდ დაკარგავდა უფლებას თავის თხზულებებზე და იგი გადავიდო-
და სტელოვსკის მუდმივ კუთვნილებაში. ცხადია, სტელოვსკიმ ყველაფერი გაითვალისწინა,
სწორედ იმ წელს ფეოდორ მიხაილოვიჩი გატაცებით წერდა „დანაშაულსა და სასჯელს“.
უნდოდა მხატვრულად დაეხვეწა ბოლომდე. და სად ჰქონდა მას, ავადმყოფ ადამიანს იმდენი
ძალა, რომ კიდევ ახალი მოზრდილი ნაწარმოები დაეწერა?

შემოდგომაზე ფეოდორ მიხაილოვიჩი მოსკოვიდან დაბრუნდა და რაოდენ დიდი იყო
მისი მწუხარება, როცა ცხადად დაინახა, სტელოვსკისთან დადებული კონტრაქტის შესრულე-
ბის შეუძლებლობა, მით უმეტეს, რომ ვადა სულ მალე — ერთ-ორ თვეში გათავდებოდა.

დოსტოევსკის მეგობრებმა — ა. ნ. მაიკოვმა, ა. პ. მილიუკოვმა, ი. გ. დოლგომოსტევმა
და სხვებმა, — რომელთაც ძალიან უნდოდათ დაეხსნათ იგი უბედურებისაგან. შესთავაზეს:
რომანის გეგმა შეედგინა და ყოველი ჩვენგანი თითო ნაწილს დაწერსო. დათქმულ დროში
დაამთავრებდნენ რომანს, ხოლო ფეოდორ მიხაილოვიჩი დახვეწდა და რედაქციას გაუკეთებდა,
რაც აუცილებლად დასჭირდებოდა ამგვარად დაწერილ ნაწარმოებს, მაგრამ ეს ფეოდორ მი-
ხაილოვიჩმა შორს დაიჭირა. სჯობს ჯარიმა გადავიხადო, ანდა საავტორო უფლება დაეკარგო,
ვიდრე სხვის ნაწარმოებს ჩემი გვარი მოვაწეროო. მაშინ მეგობრებმა ურჩიეს, აეყვანა სტე-
ნოგრაფი. ა. კ. მილიუკოვმა გაიხსენა, რომ იცნობდა სტენოგრაფიის მასწავლებელს კ. ბ. ოლ-
ხინს. თუმცა მილიუკოვი ეჭვობდა ასე მოკლე დროში რომანის დაწერას, მაინც ურჩევდა მუ-
შაობაში სტენოგრაფი მოიშველიეო.

იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი კარგად ადამიანებს, მაგრამ სტელოვსკის საქციელმა
მაინც უსაზღვროდ შემაშფოთა. ჩაი მოგვართვეს და ფეოდორ მიხაილოვიჩმა დაიწყო კარნახი.
ეტყობოდა, უჭირდა მუშაობა, ხშირად ჩერდებოდა, დიდხანს ფიქრობდა, მალ-მალე მთხოვდა
წამეკითხა ნაკარნახევი. ერთი საათის შემდეგ კი განაცხადა, დავიღალე და დასვენება მინდაო.

გუშინდელივით ისევ საუბარი დავიწყეთ. იგი აღელვებული იყო და სწრაფად გადადიოდა
ერთი თემიდან მეორეზე. ისევ მკითხა, რა გქვიაო და იქვე დაავიწყდა. ორჯერ შემომთავაზა
პაპიროსი, თუმცა ერთხელ უკვე ვუთხარი, რომ არ ვეწეოდი. მე ვეკითხებოდი ჩვენს მწერ-
ლებზე, ამან იგი გამოაცოცხლა. ხალისით მპასუხობდა შეკითხვებზე, თითქოს აკვიატებული
ფიქრებიდან გამოერკვაო, ლაპარაკობდა მშვიდად, თითქმის მხიარულად. მაშინდელი საუბ-
რიდან ბევრი რამ დამამახსოვრდა.

ნეკრასოვს თავის სიყრმის მეგობრად თვლიდა, მის პოეზიასაც მაღალ შეფასებას აძლევ-
და. მაიკოვი უყვარდა, როგორც ნიჭიერი პოეტი და ჭკვიანი, არაჩვეულებრივი ადამიანი. ტურ-
გენევი პირველხარისხოვან ტალანტად მიაჩნდა. ოღონდ იმას წუხდა, დიდხანს რომ ცხოვრობდა
უცხოეთში და რუსეთსა და რუს ხალხს ნაკლებად იცნობდა.

ცოტახნის შესვენების შემდეგ ხელახლა მივუბრუნდით სამუშაოს, მაგრამ მალე დოს-
ტოევსკი ისევ გაღიზიანდა. შფოთავდა, ეტყობოდა, არაფერი გამოსდიოდა. ალბათ, იმიტომ,
რომ იგი თავის ნაწარმოებს კარნახობდა სრულიად უცხო ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოებით ოთხ საათზე წასასვლელად მოვემზადე. შევპირდი, ხვალ თორმეტ საათზე გადაწერილს მოგიტანთ-მეთქი. დამშვიდობებისას დოსტოევსკიმ მკრთალად დახაზული საფოსტო ქაღალდების მთელი შეკვრა მომცა, ჩვეულებრივად ის ასეთ ქაღალდზე წერდა ხოლმე, და მასწავლა როგორ უნდა დამეტოვებინა ნაპირზე ადგილი.

ასე დაიწყო და გრძელდებოდა ჩვენი მუშაობა. მივდიოდი თორმეტზე და ვრჩებოდი ოთხ საათამდე. ამ ხნის განმავლობაში სამჯერ მკარნახობდა ნახევარ-ნახევარ საათს, ან ცოტა მეტხანს, დანარჩენ დროს ჩაის ვსვამდით და ვსაუბრობდით. მე მიხაროდა, რომ ფეოდორ მიხაილოვიჩი უკვე თანდათან ეჩვეოდა მუშაობის ახალ ფორმას და ჩემი მისვლისთანავე დამშვიდდებოდა ხოლმე. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა შესამჩნევი, როცა დავთვალეთ და დავაზუსტეთ, სტელოვსკის ერთი საგამომცემლო გვერდი ჩემს მიერ მჭიდროდ დაწერილ რამდენ გვერდს მოიცავდა. მე უკვე შემეძლო გამეგო, რამდენი იყო ნაკარნახევი, უსაზღვრო იყო ფეოდორ მიხაილოვიჩის სიხარული, როცა ხედავდა, როგორ მატულობდა ნაწერი და იზრდებოდა გვერდების რაოდენობა. ხშირად მეკითხებოდა: „გუშინ რამდენი გვერდი დაეწერეთ? სულ რამდენი გვაქვს დაწერილი? როგორ გგონიათ, დავამთავრებთ ვადამდე?“

მეგობრული საუბრისას ფეოდორ მიხაილოვიჩი მიამბობდა თავისი ცხოვრების სევდიან ამბებს, და ჩემს გულში უნებლიეთ ფეხს იკიდებდა ღრმა სიბრალული.

თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენებოდა, მისი შინაურებიდან რომ ვერავის ვხედავდი. არ ვიცოდი, ვინ ჰყავდა ოჯახში, ან სად იმყოფებოდნენ ისინი. მხოლოდ ერთხელ, თუ არ ვცდები, ეს იყო მეოთხედ მისვლისას, მუშაობას რომ მოვრჩი და სახლის კარებიდან გამოვდიოდი, ვიღაც ახალგაზრდამ შემაჩერა. ვიცანი. ეს ის ყმაწვილი იყო, რომელსაც წინკარში მოვკარი თვალი ფეოდორ მიხაილოვიჩთან პირველი მისვლისას. ახლოდან უფრო ულამაზო მეჩვენა იგი. შავგვრემანი, თითქმის ყვითელი პირისახე ჰქონდა, შავი თვალები და თამბაქოს წევისაგან ჩაყვითლებული კბილები.

— ვერ მიცანით? — მოურიდებლად მკითხა ახალგაზრდამ. — მე თქვენ მამაჩემთან გნახეთ. არ მინდა ისეთ დროს შემოვიდე, როცა მუშაობთ, მაგრამ ძალიან კი მაინტერესებს გაგიგო, რა ჯანდაბაა ეს სტენოგრაფია, მით უფრო, რომ მალე თვითონ უნდა დავიწყო მისი შესწავლა. მაპატიეთ. — და მან მარჯვედ გამომართვა პორტფელი, გახსნა და იქვე, ქუჩაში დაიწყო სტენოგრამის დათვალიერება. ისე დამაბნია მისმა თავხედობამ, რომ ვეღარაფერი ეთქვა. — ეშმაკის მოგონილია — და დაუდევრად გამომიწოდა პორტფელი. „ნუთუ ისეთ საყვარელ და კეთილ ადამიანს, როგორც ფეოდორ მიხაილოვიჩია, ასეთი უზრდელი და უტიფარი შვილი უნდა ჰყავდეს?“ — გავიფიქრე.

თეოდორ მიხაილოვიჩი დღითი დღე სულ უფრო გულთბილად მეპყრობოდა. ხშირად „მტრედოო“ მეძახდა (ეს მისი საყვარელი საალერსო გამოთქმა იყო). „კეთილო ანა გრიგორევნაო“, „ძვირფასოო“. ამ სიტყვებს მე მოწყალებად მივიჩნევდი, რასაც იგი ჩემთვის როგორც ქალიშვილისათვის, თითქმის გოგონასათვის იმეტებდა. მსიამოვნებდა, რომ შრომას ვუმსუბუქებდი, ჩემი შეგონებანი, რომ საქმე კარგად აეწყო და რომანს დანიშნული დროისათვის დავამთავრებთ-მეთქი, ახარებდა და ახალისებდა ფეოდორ მიხაილოვიჩს, თავადაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ყოველივე კარგად დასრულდებოდა.

მე ვამაყობდი, რადგან საყვარელ მწერალს მარტო მუშაობაში კი არ ვეხმარებოდი, არამედ მის გუნება-განწყობილებაზედაც სასიკეთო ზემოქმედებას ვახდენდი. ყველაფერი ეს საკუთარ თვალში მამაღლებდა.

თანდათან დავთრგუნე შიში „სახელოვანი მწერლის“ წინაშე, გულახდილად და თავისუფლად ვესაუბრებოდი, როგორც უფროს მეგობარს. ვეკითხებოდი მისი ცხოვრების ამა თუ იმ ამბავზე და ისიც ხალისით აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. დაწვრილებით მიამბობდა თავის რვათვიან პატიმრობაზე პეტრე-პავლეს ციხეში. როგორ ესაუბრებოდა კედელზე კაკუნით მეზობელი საკნების პატიმრებს. მიყვებოდა კატორღულ ცხოვრებასა და დამნაშავეებზე, ვინც მასთან **ერთად იხდიდნენ სასჯელს.** გაიხსენა უცხოეთში მოგზაურობა და იქაური ნაცნობები, მოსკოველი ნათესავები, რომლებიც ძალიან უყვარდა.

ცოლის ამბავიც მიამბო, რომელიც სამი წლის წინათ გარდაცვლილიყო. სურათიც მაჩვენა, მაგრამ არ მომეწონა. ეს სურათი, როგორც ფეოდორ მიხაილოვიჩმა მითხრა, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გადაეღოთ, როცა დოსტოევსკაია მძიმედ იყო ავად. ალბათ ამიტომაც ჰქონდა სურათზე მომაკვდავის ეერი. ისიც შეეტყვე, — და ეს, სხვათაშორის, გამიხარდა, — რომ თავხედი ახალგაზრდა, რომელიც ძალიან არ მომეწონა მაშინ, ფეოდორ მიხაილოვიჩის

შვილი კი არა, გერი ყოფილა, იგი დოსტოევსკაიას, მის ცოლს შესძენოდა პირველი ქმრის ალექსანდრე ივანოვიჩ ისაევისაგან.

ფეოდორ მიხაილოვიჩი ხშირად წუხდა ვალებზე, უფულობასა და სიღარიბეზე. შემდეგში მე თავად გავხდი მოწამე, რა მძიმე დღეში იყო უფულობის გამო.

ფეოდორ მიხაილოვიჩის ნაამბობი ისეთ ცუდ გუნებაზე მაყენებდა, რომ ერთხელაც ველარ მოვითმინე და ვუთხარი:

— ფეოდორ მიხაილოვიჩ, სულ ცუდ ამბებს რად იხსენებთ, ზოგი კარგიც მოიგონეთ, როცა ბედნიერი იყავით.

— ბედნიერი? ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, ბედნიერება ჩემგან ყოველთვის შორს იყო, მე მასზე მხოლოდ ვოცნებობდი. ახლაც ველი ბედნიერებას. სწორედ ამ დღეებში წერილი მივწერე ჩემს მეგობარს — ბატონ ვრანგელს, მიუხედავად გადატანილი მწუხარებისა, მაინც ვოცნებობ. დავიწყო ახალი, ბედნიერი ცხოვრება-მეთქი.

გული ჩამწყვიტა მისმა ნათქვამმა. უცნაური არ იყო?! ამ უნიჭიერესმა, კეთილშობილმა და თითქმის უკვე ასაკოვანმა ადამიანმა ჯერაც ვერ იპოვა სასურველი ბედნიერება და მხოლოდ-ღა ოცნებობდა მასზე.

ერთხელ ფეოდორ მიხაილოვიჩმა წვრილად მიამბო, როგორ აპირებდა შეერთო ანა ვასილევნა კორვინ-კრუკოვსკი, როგორ გაიხარა, როცა ამ ჭკვიანმა, კეთილმა და ნიჭიერმა ქალიშვილმა თანხმობა მისცა. მაგრამ დარწმუნდა თუ არა, რომ სხვადასხვა შეხედულებისანი იყვნენ და მათი ბედნიერება შეუძლებელი იქნებოდა, თავისი სიტყვა უკან წაიღო.

ერთხელ, ფეოდორ მიხაილოვიჩმა, მეტისმეტად ცუდ გუნებაზე რომ იყო, მითხრა: ისეთ ყოფაში ვარ, თითქოს გზაჯვარედინზე ვიდგე. ვყოყმანობ, საით წავიდე, აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლსა თუ იერუსალიმში, სადაც შეიძლება სამუდამოდ დავრჩე, თუ ევროპაში გავემგზავრო და მთელი არსებით მივეცე რულეტის მიმზიდველ თამაშს ან არადა ხელახლად დავქორწინდე — ოჯახური ბედნიერება და სიამე ვეძებოო.

ამ საკითხების გადაჭრა, რასაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა მისი მძიმე, გაუხარელი ცხოვრება, ძალიან აწუხებდა ფეოდორ მიხაილოვიჩსა და როგორც მის გულშემატკივარს, მე გამანდო, რას მირჩევო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემზე მონდობილმა საკითხმა დამაბნია, მისი სურვილი, წასულიყო აღმოსავლეთში ან მოთამაშე გამხდარიყო, გაუგებარი და წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. ჩემს ირგვლივ მრავლად იყვნენ ბედნიერი ოჯახები. ამიტომაც ვურჩიე, მეორედ დაქორწინდით, ოჯახური ბედნიერება ჰპოვეთ-მეთქი.

— მაშ მირჩევთ, მეორედ დავქორწინდე? — მკითხა მან. — მერედა გამომყვება ვინმე? როგორი ცოლი შევირთო, ჭკვიანი თუ კეთილი?

— რა თქმა უნდა, ჭკვიანი.

— არა. თუ არჩევაა, მაშინ კეთილს ავირჩევ, რომ შეეებრალო და შემიყვაროს.

როცა ცოლის შერჩევაზე საუბარს მოვრჩით, ფეოდორ მიხაილოვიჩმა მკითხა: რატომ არ გათხოვდებიო. ვუთხარი, ორნი მთხოულობდნენ, ორიეენი ლამაზები არიან და პატივსაც ვცემ მათ, მაგრამ არც ერთი არ მიყვარს, უსიყვარულოდ კი ვერ გავთხოვდები-მეთქი.

— დიახ, სიყვარულით უნდა გათხოვდეთ, — მხურვალედ დამიჭირა მხარი ფეოდორ მიხაილოვიჩმა, — ქორწინება რომ ბედნიერი იყოს, მარტო პატივისცემა არ კმარა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გორეგლიადი

ძენ-ბუდიზმის ფილოსოფია

ბინამდებარე წერილში შევეცდებით გიამბოთ, თუ როგორ წარმოიშვა რელიგიური მიმდინარეობა „ძენი“ და რატომ გახდა იგი ეს ოდენ პოპულარული იაპონურ ბუდიზმში.

ცნობილია, რომ მსოფლიო რელიგიათაგან, ბუდიზმი ყველაზე უფრო დანაწევრებული სხვადასხვა მიმდინარეობად, სკოლად და სექტად, ამის მიზეზი ცალკე მსჯელობის საგანია.

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სამყაროს აგებულების შესახებ არსებობს მრავალი შესედულება, რაც საშუალებას იძლევა ესა თუ ის რელიგიური მიმდინარეობა, სკოლა თუ სექტა მხოლოდ ბუდისტურ რელიგიას მივაკუთვნოთ. ეს შესედულებები მეტ-ნაკლებად უკავშირდება ბუდიზმის ევრეთ წოდებულ ოთხ „ჭეშმარიტებას“:—ტანჯვის ჭეშმარიტება („ყოფიერება ტანჯვაა“); ჭეშმარიტება ტანჯვის მიზეზებისა („ყოფიერება ტანჯვაა ცუდი კარმების დაგროვების შედეგად“); ჭეშმარიტება ტანჯვათა დასასრულისა („ტანჯვის მიზეზის აღმოფხვრა—შესაძლებელია“); და ჭეშმარიტება სურვილების დასასრულისა (არსებობს საშუალება ტანჯვათა მიზეზის აღმოფხვრისა). მსგავსად ტანჯვისა ყოფიერებას საწყისი არ გააჩნია. იგი მარტო სიცოცხლით არ შემოისაზღვრება. ადამიანი ტანჯვით იბადება, ტანჯვაში იზრდება, იტანჯება ავადმყოფობათა გამო და ტანჯვითვე კვდება, რათა მომავალში სხვა სახით იშვას. ასე მეორდება მრავალ ათასჯერ. ტანჯვას განაპირობებს არა ცოდვები, როგორც ამას ქრისტიანობა გვასწავლის, არამედ ტანჯვა თვისებაა ყოველი ცოცხალი არსებისა. თუმცა ტანჯვა შესაძლებელია გაძლიერდეს ან შემსუბუქდეს კარმის ზემოქმედებით — მიზეზობრიობის კანონით.

ადამიანს არ შეუძლია ახსოვდეს თავისი წინანდელი არსებობა, მაგრამ იგი პასუხისმგებელია თავის საქციელზე როგორც აწმყო, ასევე თავის წარსულ სიცოცხლეშიც [1]. ადამიანის ქცევა და ზრახვები აძლიერებს მის ტანჯვას მომავალში (მომავალ სიცოცხლეში). ცუდ კარმას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის დაბადება ცხოველად ან რომელიმე ჯოჯოხეთურ ქმნილებად— ამგვარი დაბადება „უზნეო დაბადებაა“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ტანჯვას. უსასრულო დაბადებებსა და სიკვდილებში ტანჯვათა ჯაჭვი სამუდამოდ შეიძლება იქნას გაწყვეტილი: ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყოველი ცოცხალი არსება შედგება უმცირესი ნაწილაკებისაგან — დჰარმებისაგან. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, დჰარმის ორგანიზაციისა და აგებულების საშუალებები განაპირობებს ადამიანის გარეგნობას, ხასიათს, მონაცემებსა და მის სოციალურ მდგომარეობას. დჰარმების ორგანიზება ხდება მრავალი საშუალებით, კარმის შესაბამისად. რაც უფრო კარგია კარმა განსაზღვრულ წარსულ სიცოცხლეში, მით უფრო კარგია ადამიანის აწმყო სიცოცხლე. არავის ბრალი არ არის, რომ ერთი ფუფუნებაში ცხოვრობს, მეორე კი — ხიდატაკეში: ყველა ჩვენთაგანმა დაიმსახურა თავისი ბედი ჯერ კიდევ წარსულ სიცოცხლეში.

ერთ-ერთ ძველ ბუდისტურ ტრაქტატში კარმული დამოკიდებულების პრინციპი ძემდეგნაირადაა განმარტებული: „ყოველი მოკვდავი სჩადის კეთილსა და ბოროტ საქმეებს, ვიდრე ამ ქვეყნადაა, ეს არის ის, რაც მოკვდავს შეუძლია საკუთარ თავისთვის მოიმოქმედოს, სოლო როდესაც მიდის ამ ქვეყნიდან, მას თან მიაქვს თავისი ბოროტი და კეთილი საქმეები. ეს არის ის, რაც თან სდევს მას ჩრდილივით და მისგან მარად განუყოფელია“.

თუკი ბედკრული ოცნებობს კეთილდღეობაზე — მაშასადამე თავის კარმას იუარესებს, თავს წარაგზ მომავალში უფრო „უზნეო“ დაბადებას. მაგრამ ადამიანს შეუძლია თავის თავს უშველოს მხოლოდ თვითხრულყოფის გზით. თუ ადამიანმა მიაღწია სრულყოფას—„განათლდა“, იგი ხწყვეტს მაშინ ტანჯვათა ჯაჭვს და ინთქმება ნირვანაში. მისი დჰარმები აღარ გარდაიქმნებიან, ადამიანში ქრება საკუთარი „მეს“ არსებობა. იგი თავისუფლდება ახალი დაბადებებისა და სიკვდილისაგან, „დარდიანობისაგან“ მიწიერ ვნებათა გამო.

ნირვანას რომ მიაღწიო, ამისათვის საჭიროა სურვილებისაგან განთავისუფლდე, ვინაიდან სურვილებია მიზეზი ტანჯვისა, რომელიც ჰგავს ყოფიერებას. ტანჯვათაგან, ე. ი. პიროვნულ არსებისაგან მომავალ დაბადებაში თავის დახაღწევად არსებობს სამი გზა, რომლებსაც ბუდიზმი

---

[1] ინდური თეოლოგიის თანახმად ადამიანი სიკვდილის შემდეგ, ხელმეორედ იბადება და განაგრძობს სიცოცხლეს (მთარგმნელი).

ითვალისწინებს. ეს გზებია: აზროვნება, განჭვრეტა და რწმენა. ბუდიზმის ყველა სკოლას ამ სამუალებათაგან ერთ-ერთიც კი ძალზე ქმედითად მიაჩნია. თანამედროვე ძოძღვრებებში, მეოთხე საშუალება-ქმედება, თვითსრულყოფის საწყის პირობად ითვლება.

გარე სამყარო, მთელი რიგი ბუდისტური სკოლების თანასმად, რეალურად არსებობს, თუმცა ეს არსებობა არაშეშმარიტია, ეფემერული, მოჩვენებითი („ქვეყანა ქაფის ბუშტსა ჰგავს, ან ცვარის წვეთს ფოთოლზე"). მისი შეცნობა შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის, ჩვენი ამოსავალი წერტილი არა გრძნობათა ორგანოების მონაცემებია, არამედ შეცნობადი ობიექტების ღრმა სულიერი არსი, რომლის გაიგივება შეიძლება ყოვლისმომცველ აბსოლუტის („კოსმიურ ბუდპას") სულსა და ჩვენ საკუთარ არსთან.

ამრიგად, შემეცნების პროცესი უახლოვდება თვითჩაღრმავებას (თვითწვდომას), რომლის მიზანია გამოავლინოს ზემოხსენებული უნივერსალური არსი. მხოლოდ ასეთი შემეცნება შეიძლება მივიჩნიოთ ბრძნულ შემეცნებად, სოლო საგნობრივი, ფენომენოლოგიური შემეცნება კი, რომლის ობიექტია საგნის ინდივიდუალური თვისებები და მოვლენები, არაბუნებრივი და ზედაპირულია. მას არ შეუძლია იხსნას ადამიანი იმ ბედუკუღმართობისაგან, რომლის მიზეზიც ყოფიერებაა. სხვაგვარადაც რომ ვთქვათ, შემეცნების თეორიის თვალსაზრისით უმრავლესობა ბუდისტური სკოლებისა აღიარებს ეკლექტურ მოძღვრებას, რომელიც წარმოადგენს ძატერიალისტურ და იდეალისტურ შესედულებათა შენარევს. მეთოდის თვალსაზრისით აქ შუდმივად ბატონობს მიამიტური დიალექტიკა (ყოველგვარი უცვლელობის უარყოფა).

ბუდისტური ფილოსოფია, როგორც დისციპლინალური და საკულტო პრაქტიკა, ემყარება „ტრიპიტაკას" (ტიპიტაკა)[2]. კანონს, რომლის შორეულ-აღმოსავლური ვარიანტი დაახლოებით თორმეტი ათას ნაწილს შეიცავს (სუტრები ბუდპა საკიამუნისა და მის მოწაფეთა ქადაგებანი; ძოთხრობები საკიამუნის ცხოვრებაზე; შასტრები — სუტრების კომენტარები და ბუდიზმის უმთავრესი ცნობების განმარტებანი; ვინაები — ბუდისტური საბერმონაზვნო თემის წესდება).

როგორც წესი, ბუდიზმის ყოველ სკოლას ძირითადად მიაჩნია სუტრების გარკვეული ტრიადა, მაგრამ არც სხვა დანარჩენ სუტრებს უარყოფს. უმთავრესი სუტრები გამოყენებულია ქადაგებებში, რომელთა გადაწერა კარმის გაუმჯობესების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება. გულმოდგინედ სდება შესწავლა ზოგი ისეთი ავტორიტეტული სუტრის (მაგ. „ლოტოსის სუტრა") კომენტარისა, რომელიც ათას სუთასი წლის წინათ შეიქმნა.

ყველა ზემოხსენებული შესედულება სამყაროსა და ადამიანის საბოლოო ძიზნის შესახებ, მთლიანად განეკუთვნება ბუდისტურ მსოფლმსედველობას, მაგრამ არსებობს ისეთი ფილოსოფიური კატეგორიაც, რომელსაც ბუდიზმის მხოლოდ ზოგიერთი სკოლა აღიარებს. ასეთია ძაგალითად: ნაგარჯუნას (ინდური ბუდიზმის თეორეტიკოსი II ს. ჩ. ერამდე) მიმდევრების ძადპიამიკების დოქტრინა „სიცარიელის" შესახებ. ამ დოქტრინის თანასშად სიცარიელე (შუნიატა) ნიშნავს არა „არაფერს", არამედ აბსოლუტს, რომელსაც არ გააჩნია საპირისპირო ცნება (მატერიალური-სულიერი, გადიდება-შემცირება, სიკეთე-სიბოროტე და ა. შ.) «სუტრაში სიბრძნის შეცნობის სულის» შესახებ ნათქვამია: — «აქ ფორმა — სიცარიელეა. სიცარიელე — ფორმაა, ფორმა ერთგვარი სიცარიელეა და სხვა არაფერი. ერთსა და იმავეს შეგვიძლია ვუწოდოთ არსიც, აზრიც, სტრუქტურაც და გონიერებაც. საგნები ერთიმეორისაგან სიცარიელით განსხვავდებიან: ისინი არც იბადებიან, არც ნადგურდებიან, არც იხრწნებიან, არც იბილწებიან, არც დიდდებიან და არც მცირდებიან".

სუტრაში ნათქვამია, რომ ბოდპისატვა ავალოკიტეშვარა ჩასწვდა სიცარიელის არსს პრაჯნია-პარამატის სიბრძნის თვითწვდომისას. გონება-ჭვრეტის გარკვეულ საფეხურზე იგივე შეუძლია ისილოს ყოველ ჭეშმარიტ ადამიანს. „შუნიატას" დოქტრინას აღიარებს ძენ-ბუდიზმიც, ეს უკანასკნელი მასზე აგებს მთელ თავის პრაქტიკას, თუმცა ცდილობს არ გამოტყდეს ამაში, ვინაიდან მის მიერ ნებისმიერი თეორიული მსჯელობის აღიარება ნიშნავს თავისსავე ძირითადი დებულებების უარყოფას.

ძენ-ბუდიზმის პატრიარქებმა ჩამოაყალიბეს ოთხი პრინციპი, რასაც მთელი მათი ტრადიცია ეყრდნობა.

1. დამოუკიდებლობა დამწერლობისაგან (ე. ი. წიგნის ღირსების უარყოფა).

---

[2] „ტიპიტაკა" — „სამი კალათა კანონებისა" — ბუდისტურ თხზულებათა ძირითადი კრებულია, რომელიც კანონის როლს ასრულებს. ტიპიტაკა განეკუთვნება უძველეს პალიურ (შუაინდოეთის) ტექსტებს. იგი ჩაწერილია 80 წელს. ჩ. წ. აღრიცხვით ცეილონზე, შეფე ვაგატამანის დროს, თუმცა მისი ძირითადი ნაწილი გაცილებით ადრე შეიქმნა (მთარგმნელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოძღვრებისაგან დამოუკიდებლად, დოქტრინის უარყოფა, ჭეშმარიტების განმარტება განსაკუთრებული გზით.

3. ადამიანის სულის არსზე პირდაპირი მინიშნება (განჭვრეტა ინტელექტის გარეშე).

4. ადამიანის შინაგანი არსის (ბუნების) წვდომა და ბუდპას სრულყოფის მიღწევა.

ეს ნიშნავს, რომ ძენ-ბუდისტები იმთავითვე უარყოფენ ჭეშმარიტებას (ზოგიერთი ძალ-ძღვრების თანასმად — საკმარისობას) ყოველგვარი ფილოსოფიისა თუ წიგნის ქადაგებას, არ ცნობენ საიდუმლო არსის ლოგიკური წვდომის შესაძლებლობას. ამტკიცებენ, რომ ინდივიდუ-ალისტური მეთოდი სულიერია და არა მგრძნობელობითი ან ლოგიკური საშუალება.

„როდესაც ძენს ხსნიან ლოგიკურად ან ფსიქოლოგიურად,—წერდა ამ სფეროში უდიდესი ავტორიტეტი სუძეკი დაისეცუ,—ან როდესაც, მას განიხილავენ, როგორც ბუდისტურ ფილ-სოფიას, რომლის არსის გამოხატვაც შესაძლებელია განსაკუთრებული გონებაჭვრეტითი ბუ-დური ტერმინოლოგიით, მაშინ ძენი ქრება“.

ძენის თვითმყოფადობით გატაცებული ზოგიერთი მქადაგებელი აცხადებს, რომ ეს სკოლა დამოუკიდებელია არა მარტო ტრადიციულ ბუდისტურ ფილოსოფიისაგან, არამედ ზოგად-ბუ-დისტურ ტერმინებისა და ცნებებისაგანაც.

მაშ რაღას ეწოდება ძენ-ბუდიზმის ფილოსოფია?

ჩვეულებრივ, ძენის ფილოსოფიაში იგულისხმება დისციპლინალური წვრთნის განსაკუთ-რებული მეთოდი და ძენიანელი-მქადაგებლის მიერ ამ მეთოდის ახსნა-განმარტება.

„ძენი — იაპონური წარმოთქმაა სანსკრიტული სიტყვისა „დჰიანა“ (მედიტაცია, გონებით ჭვრეტა). მაგრამ თუკი „დჰიანას“ ცნება უახლოვდება „ტრანსს“, როდესაც მორწმუნე განსა-კუთრებულ პოზაშია და მისი ყურადღების დაუნჯება ხდება სიცარიელის არსზე, მაშინ ძენში იგულისხმება იმ ბაშუალებათა ჯამი, რომელიც საჭიროა მიზნის მისაღწევად.

მორწმუნის ყურადღების დაუნჯების — ძა-ძენის პოზაში ჯდომა პირველი და მარტივი საფეხურია. რაში მდგომარეობს ძენის დისციპლინალური წვრთნის აზრი და შინაარსი?

ამ კითხვაზე შედარებით ზუსტი პასუხი შემდეგია: სამყაროს საფუძველი საიდუმლო არსია, რომელიც გაიგივებულია ბუდას ბუნებასთან (არსთან) — იგი ყოვლის მომცველია, ის არის ყველგან და ყველაფერში, ისაა ჭეშმარიტი სიბრძნე, რომლისთვისაც უცხოა ხიმრავლე და წარმოადგენს აბსოლუტურ ერთიანობას.

ამიტომ, ბუდას საწყისი ბუნება (არსი) განუყოფელია, მიუსედავად იმისა, რომ იგი ყველა ადამიანში სუფევს. მარტო ის არის ყველგან, მისი აღმოჩენა ერთგან, ნიშნავს მის აღმოჩენას ყველგან და ყველაფერში, ცალ-ცალკე. მის ხიმრავლეს იგივეობის სახე აქვს. აქედან ძენ-ბუ-დისტებს პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გამოუყავთ.

უმოკლესი გზით რომ მიაღწიო სამყაროს საიდუმლო არსს — ბუდას პირველსაწყის ბუნე-ბას, ეს ნიშნავს, რომ მიიღო უზენაესი განათლება — ბოდჰი: „სულის თვითგანთქმა“ — ჩაწვდე ხაკუთარი სულის არსს.

ადამიანს შეუძლია შეასწავლოს თავისი ფიზიკური, გონებრივი და ფსიქოლოგიური მონა-ცემები, ამგვარი თვითშემეცნების საფუძველზე გააკრიტიკოს თავისი საქციელი, წინასწარ განჭვრიტოს თავისი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში, მაგრამ ყოველივე ამას არ გააჩნია ჭეშმა-რიტი ღირებულება, ვინაიდან ყოველივე ეს დაკავშირებულია არა უნივერსალური „მეს“ წვდომასთან, არამედ უფრო „დაბალ“ კონკრეტულ „მესთან“, რომლის წვდომაც მგრძნობ-ელობითი და ლოგიკური ასპექტებით შემოიფარგლება. უნივერსალური „მეს“ წვდომის მეთოდ-პრინციპულად განსხვავებულია. იგი ინტუიტივისტური მეთოდია, იდუმალის თვალით დანახვა ისევე შეუძლებელია, როგორც მისი გაგონება, შეგრძნება. შეუძლებელია აგრეთვე მისი შეცნობა ლოგიკურად. ძენის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ლოგიკური შემეცნება განუყოფელია ანალი-ზისაგან, წარსულისა და მომავლის ურთიერთკავშირისაგან. ობიექტის არსში წვდომა უნდა მიმდინარეობდეს თავისთავად მოცემულ წამში, მის „ჭეშმარიტ ასეთობრივობაში“

მიზნის მისაღწევად, ძენ-ბუდისტებს პირველსაწყის პირობად მიაჩნიათ ჩახსნა ძლიერი სურვილისა, რომელიც გადაიზრდება „შეკითხვის“ სურვილში. მორწმუნემ ყურადღება უნდა მოიკრიბოს, რომ მას ძალიან სურს ჩაწვდეს ყოფიერების ფარულ (იდუმალ) ჭეშმარიტებას. ამის პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძა-ძენი-ჯდომა—„უაზროდ“ (უფიქროდ-შუსინი), საგანგებოდ ფესვგადაჯვარედინებული, წელში გამართული, ნასვრადთვალგახელილი და ა. შ. ამგვარი პოზა, როგორც ძენ-ბუდისტები ამტკიცებენ, ადამიანს ხელს უწყობს რომ ხისლით არ გადაიტვირთოს თავის არე, საამო იყოს სხეულის მდგომარეობა თვითწვდომისას. ამ დროს არაა საჭირო, არც ეზალტაცია და არც ტრანსში გადასვლა, საჭირო მხოლოდ მი-

ვეცდებოთ საკუთარი „მეს“ შეცნობისას სიძნელის გადალახვას, ვივარჯიშოთ ისე, რომ არ ვაზროვნოთ ლოგიკური კატეგორიებითა და სახეებით. ამგვარი წვრთნისათვის ძენურ მონასტრებში გამოყოფილია საგანგებო დარბაზები — ძენდოები, სადაც მონაზონი ყოველ დღე გარკვეულ დროს ზის ჭილოფზე (ხძინავს ამავე ჭილოფზე).

ყოველ მონაზონს გამსჭვალულს „შეკითხვის სულით“, რომელიღაც პრობლემა თანდათან უფრო უმთავრესად ეჩვენება, რომ იგი ქვეყნის აგებულების არსის გასაღებია. იგი მთლიანად შეპყრობილია ამ საკითხით, ცდილობს წვდომისას არ გამოიყენოს ლოგიკური საშუალებები. ბუნებრივია, აღრე თუ გვიან, მორწმუნე ჩიხში ექცევა და საშველად სულიერ მოძღვარს მიმართავს: სწორედ ამ დროს აღგილი აქვს „მონდოს“ — კითხვა-პასუხს, რაც ძენის არსენალში ძირითად იარაღს წარმოადგენს. ვინც კითხვას იძლევა იგი ცდილობს გააძლიეროს „შეკითხვის სული“ კრიტიკულ წერტილამდე: სულიერი მოძღვარი კი შეკითხვის ხასიათს ასკვნის, თუ რამდენად მიაღწია სასურველ მიზანს იმ პირმა, ვინაც კითხვა დასვა. სულიერი მოძღვრის პასუხები ყოველთვის უნდა იყოს არალოგიკური, რათა მან მოწაფე აიცდინოს მსჯელობის სწორ გზას.

მაგალითად: მოწაფე ეკითხება სულიერ მოძღვარს: „ვინ არის ბუდა?“ სულიერი მასწავლებელი პასუხობს „ვინც უნდა იყოს“, მოძღვარს შეუძლია ჩააფიქროს მოწაფე, რომელიც ამგვარი პასუხის შემდეგ ცდილობს მოძებნოს კავშირი მასწავლებლის პასუხსა და თავის შეკითხვას შორის. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი (სულიერი მოძღვარი) მოწაფეს თავიდან იცილებს. რადგანაც მოწაფე განაგრძობდა აზროვნებას ლოგიკური კატეგორიებით, მოწაფეს ვერ მიაღწია მიზანს, როდესაც „უაზრო“ თვითგაუცხოების („არა მეს“) მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ზოგჯერ მოწაფის პასუხი ან ასალი შეკითხვა მოწმობს დასმული კითხვის „სულის“ ძალმოსილებას, მის ძალვას. ასეთ შემთხვევაში ძენიანელები მიმართავენ „შოკოთერაპიას“. ისინი შეგირდს ტალახში აგდებენ, თავში ჯოხს ურტყამენ, ჩქმეტენ, ცხვირს უგრეხენ და ა. შ. სულიერი მოძღვრის ამგვარმა მოულოდნელმა მოქმედებამ უნდა გარდაქმნას შეგირდის გონების მთელი სტრუქტურა, რის შემდეგაც შეიძლება ითქვას, რომ მოწაფე (შეგირდი) „განათლდა“. არსებობს რამოდენიმე სხვა დამხმარე საშუალებაც იმისათვის, რომ მოწაფემ (შეგირდმა) „განათლებას“ მიაღწიოს: სუტრების წარმოთქმა „სულის შეცნობის შესახებ“, ბუდას სახელის გუნდური წარმოთქმა, სულიერი მოძღვრის დარიგებათა მოსმენა. ყოველივე ეს არ შეესაბამება ძენის დებულებას: „ჭეშმარიტება სწავლების გარეშე“, მაგრამ შეგირდის „განათლების“ ეს საშუალებები ძენიანელთა მონასტრებში უყოყმანოდ სრულდება.

მთავარი აღგილი ამ საშუალებათა შორის კოანს უჭირავს. კოანი, ისევე როგორც დეკლარაცია, შეგირდს უშუალოდ არ ეხმარება ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრაში. არ კარნახობს მზა პასუხს. კოანი შეგირდის ძიებას მხოლოდ საჭირო მიმართულებას აძლევს, მას შეგირდი განუწყვეტლივ ფსიქოლოგიურად დაძაბულ მდგომარეობაში პყავს, რაც მართებულად მიაჩნიათ ძენიანელებს, რომლებიც ცდილობენ უარყონ მათ წინაშე წამოყენებული ბრალდება, რომ თითქოს ისინი არ იცავენ თანმიმდევრობის პრინციპს.

კოანის არსი მდგომარეობს შემდეგში: ძენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ფიქსირებულია სულიერ მოძღვართა მრავალი საინტერესო გამოთქმა. მოწაფეს, რომელმაც გაიარა წინასწარი მომზადება, სთავაზობენ ერთ-ერთ ასეთ გამოთქმას. შეგირდმა ამ გამოთქმაზე უნდა დაუნჯოს ყურადღება და ჩასწვდეს მის არსს. სწორედ ამას ეწოდება „წინასწარ დასახული იდეა“.

ზოგიერთ ძენ-ბუდისტს კოანი უნაყოფო ფაქტორად მიაჩნია. სხვები კი ფიქრობენ, რომ ჩვენს დროში კოანის გარეშე ჭეშმარიტი „ჭვრეტა“ შეუძლებელია, საჭიროა მხოლოდ შეგირდს (მოწაფეს) გულწრფელად სურდეს კარმის ჯაჭვის გაწყვეტა და საკუთარ თავში მოახდინოს ბუდას ბუნების (არსის) რეალიზება, რათა მისვდეს, რომ აქ გონება არაფერ შუაშია, მთავარია „შეკითხვისას“ სულით იყო მტკიცე. მაგალითად, შეგირდს კოანის სახით აძლევენ ასეთ კითხვას: „ყველა საგანი უბრუნდება ერთიანს, მაშ რაღას უბრუნდება ერთიანი?“. მოწაფეს მიუთითებენ განუწყვეტლივ გაარინდოს ყურადღება კოანზე, მოაქციოს იგი ყურადღების ცენტრში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაჭრას საკითხი ლოგიკური საშუალებებით, არ უნდა ახსოვდეს არანაირი სიტყვა, ან სად იმყოფება, არ უნდა გრძნობდეს რა გარემოა მის გარშემო, შეკითხვისას სული უნდა დაძაბოს ფსიქოლოგიურ უკიდურესობამდე. უნდა გაიგივოს თავისი თავი კოანთან, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია შეგირდს ჭეშმარიტი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭვრეტა, თავისი გონების მთლიანი გარდაქმნა, რომელიც ქმნის ჭკუიდან შეშლილობის საშიშროებას.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეების მედიცინაში ცნობილია, რომ ძენ-მონაზონთა ფსიქიკა ვერ უძლებდა ზემოთ აღწერილ ფსიქოლოგიურ სტრესს. ამიტომ მონასტრებში შემოიღეს ბერად მიღების მკაცრი დისციპლინური წესები და შეზღუდვები (ბერად ღებულობდნენ არა უმცირეს 19 წლის ასაკისა, გარკვეული გამოცდის შემდეგ).

ბერ-მონაზონთა დისციპლინალურ წესებში შედის მათი ღღის განაწესი, მათი ყოველი ნაბიჯის რეგლამენტი, რიტუალის ყველა ეესტიკულაციის ჩათვლით ჭამის დროს, როცა ყოველგვარი ზედმეტობა გამორიცხულია (ვეგეტარიანული საჭმელი ძირითადად დამზადებულია პარკეულისაგან) ეს წესი ითვალისწინებს ყოველდღიურ ფიზიკურ დატვირთვასაც.

ძენიანელთა სამონასტრო ძირითადი ლოზუნგია — „ღღე უშრომელად — ღღე უჭამადოდ" — ყოველივე ეს ითვლება „ყველაზე კეთილმომქმედ პირობად" განათლებისათვის.

ამრიგად, ფსიქოლოგიური ჩიხი, რომლითაც მთავრდება კოანი, გადალახულია და რჩება სატორი-გონების განათლება „შეუცნობლობის უმაღლესი საფეხური".

ძენ-ბუდისტები ამბობენ, რომ სატორის მიღწევა—ესაა „შეკითხვა, ძიება, მომწიფება, აფეთქება", რომელიც გამორიცხავს სამყაროს დუალურ ურთიერთწინააღმდეგობრივობას, ამ დროს ადამიანი „სიკეთისა და სიბოროტის მიღმაა", სუბიექტი ერწყმის ობიექტს, სიმრავლე ადგილს უთმობს იგივეობას, ვინაიდან პლაცდარმი, რომელიც საფუძვლად უძევს ყოველივე არსებულს, ერთ ადგილას გაშიშვლებულია და მასში არსებული საიდუმლო ქვეყნისა და ყოველისა, აღარაა უკვე საიდუმლო.

ძენ-ბუდისტები ამტკიცებენ, რომ სატორის აღწერა შეუძლებელია სიტყვით, შეუცნობელია ლოგიკური მეთოდებით, თუმცა ისინი მრავალ ათას გვერდზე ცდილობენ ახსნან სატორის არსი ლოგიკური კატეგორიებით.

სამყაროს ყველაზე დიდი ჭეშმარიტება, ძენის მოძღვრების თანასმად, „ბუდა" შაკიამუნიმ გადასცა მის მოწაფეს — მაჰა-კაშიაპას, არა თავისი ქადაგებებით, ან სიტყვებით, არამედ უშუალოდ — „გულიდან გულს".

სწორედ ეს ჭეშმარიტება ნათელი ხდება მხოლოდ მათთვის, ვინც განიცადა — სატორი. სატორის მომენტში, ობიექტი, ვთქვათ „მთა", რომელსაც ადამიანი უმზერს — უცებ ქრება, ვინაიდან ძენის მსოფლმხედველობის თანასმად, „მთა" ადამიანისათვის იყო არა მთა როგორც ასეთი, არამედ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, ან კიდევ ხდებოდა მისი გაიგივება იმ სიტყვებსა და ეტერადობასთან, რომლებითაც მთას აღწერენ, ან კიდევ ადამიანის შეშეცნებაში „მთა" იცვლებოდა „თითით", რომელიც ამ მთაზე მიათითებდა. შემდეგ მთა ისევ მთად იქცევა, მაგრამ ახლა იგი აღიქმება, როგორც მთა უშუალოდ და მთლიანად.

ადამიანი, რომელიც განიცდის სატორს, მოცემულ წამში მთას ხედავს ისეთს, როგორიცაა იგი სინამდვილეში. ეს თეზისი მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიურად. მყისიერად ობიექტი ამყარებს თავის არსს, მისთვის არ არსებობს წარსული და მომავალი, არსებობს მხოლოდ „აბსოლუტური აწმყო".

და ბოლოს, გავიხსენოთ მტკიცება, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ძენის თავდაპირველ პროპაგანდაში:

ადამიანი, რომელმაც სატორი განიცადა, გარეგნულად უცვლელი რჩება. მან უსაზღვრო ფსიქოლოგიური სიამოვნება მიიღო, შედეგიც მარადიულია, „განათლებული" სიტყვაძეარია, აღსავსეა დიდი ნებისყოფით, ნებისმიერ სიტუაციაში იგი სწრაფად პოულობს ერთადერთსა და სწორ გადაწყვეტილებას.

ეს უკანასკნელი პუნქტი იქცა უმთავრეს ღებულებად ძენ-ბუდიზმის გავრცელებისათვის შუასაუკუნეების იაპონიაში.

იდეები და მოძღვრებები ვრცელდება არა იმიტომ, რომ ისინი ლამაზად არიან „გაფორმებული" და იზიდავენ ადამიანის ფანტაზიას, არამედ იმიტომ, რომ მათში მომწიფებულია აუცილებლობა.

მოძღვრება — ძენი საბოლოოდ ჩამოყალიბდა იაპონიაში, მაგრამ ჩაისახა ჩინეთში. ამ მოძღვრების პირველ მქადაგებელს — სულიერ მოძღვარს ერქვა ბოდჰიდჰარმა (გარდაცვალ. 628 წ.). იგი იყო ინდოელი მონაზონი, რომელმაც მადჰიამიკების მსოფლმხედველობაში შეუსისხლხორცა დაოსიზმის ზოგიერთი ელემენტი. ძენ-ბუდიზმის პროპაგანდა იაპონიაში დაიწყო XII საუკუნის დამლევს, ხოლო მისი ჩამოყალიბება და აყვავება—XV—XVI საუკუნეებში.

მე-12 საუკუნის დასასრული შუასაუკუნეების იაპონიაში წარმოადგენს გარდატეხის ხანას. 1185 წელს სამოქალაქო ომი დამთავრდა სისხლისმღვრელი ბრძოლით დონაურთან, სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ იგდო მონამოტოს ფეოდალურმა საგვარეულომ, რომელიც სამურაების რაზმებს ედგა სათავეში ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებში. დამთავრდა სამეფო არისტოკრატიის, დასვეწილი ლიტერატურისა და მეცნიერების, სასახლეებისა და ტაძრების მშენებლობისა და უგუნური, არაგეგმაზომიერი მეურნეობის განვითარების პერიოდი, როდესაც განიავდა სახელმწიფო ქონება და გაღატაკდა გლეხობის უმეტესი ნაწილი.

გასულ საუკუნეებში იაპონიაში ბუდიზმი წარმოადგენდა გაბატონებულ რელიგიას. მისი მთავარი ფორმა — ტანტრიზმი („საიდუმლო სწავლება") გამოირჩეოდა მეტისმეტად რთული ფილოსოფიური აგებულებით (სტრუქტურით), ცერემონიებითა და ადათ-წესებით, რომლებიც მეტად ძვირი ჯდება. ადეფტებისაგან ისინი მოითხოვდნენ მაღალ მორალურსა და ინტელექტუალურ დონეს: ყოველივე ეს სამურაებს ხელს არ აძლევდა, როდესაც მათ ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს, ისინი სრულიად ვერ ერკვეოდნენ ბუდური სქოლასტიკის ნიუანსებში — ისინი ტლანქი გაუნათლებელნი იყვნენ. მათ არ სწამდათ კარმის გაუმჯობესებისა მომავალ დაბადებებში. მკვლელობა ერთ-ერთი უდიდესი ცოდვაა ბუდიზმის თანახმად, ამავე დროს კი საჭირო იყო უმოკლესი მიზეზების პოვნა „სხნისაკენ", ვინაიდან იაპონელი ბუდისტების წარმოდგენით უკვე დადგა ეპოქა „კანონის დასასრულისა" — საყოველთაო დეგრადაციისა და აღრეულობის ხანა — ბუდური მოძღვრების ისტორიის უკანასკნელი ეტაპი. ასეთ მდგომარეობიდან ყველაზე საუკეთესო გამოსავალი, თავდაპირველად, თითქოს და ბუდური მოძღვრების ამიტამიზმის გავრცელება იყო. ამიტამიზმი თავის მხრივ ქადაგებს ბრმა თაყვანისცემას «ბუდა-ამიტაბჰასას», რომლის „სხნის უნარიანობის არსიც" ბრმად უნდა იწამოს ადეფტმა. ეს მოძღვრება მორწმუნეთაგან არ თხოულობს ბუდური აღთქმისა და კანონების მკაცრ დაცვას. „სხნას რომ მიაღწიო" ამისათვის ყველაზე ზნედაცვეულ ადამიანისთვისაც კი საკმარისია ვაიმეორო ფორმულა: „ნამუ ამიდაბუცუა".

სამურაები ბუდიზმის ამ სკოლას უჭერდნენ მხარს, და ვიდრე შინაბრძოლები მიმდინარეობდა, ამგვარი ტენდენცია საკმაოდ ემთხვეოდა სამურაეთა სამხედრო მეთაურთა ინტერესებს. ფეოდალებს ხელს აძლევდა რელიგია, რომელიც ერთგულებას ქადაგებდა, მაგრამ ამ რელიგიის უარყოფითმა მხარეებმა მაშინვე იჩინეს თავი, როგორც კი სახელმწიფოს მართვის დრო დადგა. ამიდაიზმი ზრდიდა ბრმა შემსრულებლებს, ავითარებდა მათში უუფლებობას, ართმევდა მათ საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარს. სახელმწიფოში მძიმე ვითარება შეიქმნა. არისტოკრატიას კიდევ პქონდა იმედი, რომ ძალაუფლებას დაიბრუნებდა. არ ცხრებოდა გლეხთა აჯანყებები. სამურაელი, რომელიც კვლავ მეომრად რჩებოდა, უნდა ქცეულიყო მტკიცე და გაქნილ პოლიტიკოსად. და, აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ძენიანელები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რეგულარულ წვრთნას, ნებისმიერი საკითხის მსოლოდ არსზე ყურადღების მოკრებას და ამ არსის გამოყოფის უნარს, ყოველივე უარყოფის. გზით, აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, არა მარტო საბერო-სამონაზვნო, არამედ საერო ცხოვრებაშიც. არაფრის ცოდნა არაა საჭირო. უნდა იწრთობოდეს მხოლოდ ნებისყოფა. ეს იდეა მოეწონათ საზოგადოების ყველაზე მაღალ ფენებს — მონამოტოს სიოგუნებს (სამხედრო-ფეოდალური მმართველობა იაპონიაში).

ძენის ქადაგებისათვის ოფიციალურად დაწესდა „ხუთი მონასტრის სისტემა", რომლის შესაბამისად ძენის ხუთი მონასტერი გამოცხადდა უმთავრესად, დანარჩენი ათი კი — მეორე ხარისხოვან მონასტრებად.

ხუთი უზენაესი მონასტრის წარმომადგენლები მთავრობაში აღიარებული იყვნენ სულიერ მოძღვრებად და პოლიტიკურ მრჩევლებად. ისინი მონაწილეობდნენ საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში.

ძლიერი იყო მათი გავლენა სახელმწიფოში. გადმოცემით, ცნობილია, რომ მე-13 საუკუნის დამლევს, როდესაც იაპონიის კუნძულებზე მონღოლთა შემოჭრის საფრთხე შეიქნა, სახელმწიფოს მმართველი სოძე ტოკი მუნე (1251-1284) თავისი ჯარით, ვიდრე მტერს საბრძოლველად შეხვდებოდა, ძენიანელ სულიერ მოძღვარს მიმართავს, გზა დამილოცეო, გამგებელმა მიმართა მოძღვარს:

„დიდო მასწავლებელო, დადგა გადამწყვეტი ჟამი!

— როგორ აპირებ მტერთან შეხვედრას? — ჰკითხა მბრძანებელს სულიერმა მოძღვარმა. პასუხის გაცემის ნაცვლად ტოკიმუნემ შემზარავად დაიღრიალა და ჰაერში შესტა. მოძღვარს მოეწონა გამგებლის ასეთი საქციელი და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამდვილი ლომი ხარ! შესანიშნავია შენი ლომისებური დრიალი. ასლავე ბრძოლის ველზე გადი და უკან არ მოისედო!"

მე-13 საუკუნეში გაჩნდა ერთგვარი „ხუთი მონასტრის ლიტერატურა"—ბუდისტური რელიგიური პოეზია, რომელიც „განათლებას" უმღეროდა. ამ დროს ფართო გავრცელება პპოვა „ძენურმა აღსარება-ანდერძებმა" და „სიცოცხლესთან განშორების ლექსების" შექმნის წესჩვეულებამ არა მარტო ბერ-მონაზონთა შორის, არამედ ერისკაცთა შორისაც. ძენიანელმა სულიერმა დამრიგებლებმა დაამუშავეს ფარიკაობის ვარჯიშების განსაკუთრებული მეთოდი, შემოიღეს ჩაის სმის საკმაოდ რთული რიტუალი, რომლის ყოველი ფესტი ღრმა შინაარსით იყო გამსჭვალული. მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს იაპონურ არქიტექტურაში, აღმოაჩინეს მონოქრომული ფერწერის ასალი ხერხი, შემოიღეს ეგრეთწოდებული „ქვის ბაღების" გაშენება, ამგვარი ბაღები არქიტექტურის ეროვნული ნიშანს წარმოადგენდა. ისინი დღემდე მრავალ ტურისტის ყურადღებას იპყრობს. ძენურმა „ბოლომდე არ თქმის" ესთეტიკამ მე-17-18 საუკუნეებში დიდი გავლენა იქონია სოკუს (ჩვიდმეტმარცვლოვანი სამსტრიქონიანი ლექსი) განვითარებაზე.

სწორედ ძენის მოძღვრების პრაქტიკული შედეგები საშუალებას გვაძლევენ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ძენი საბოლოოდ იაპონიაში ჩამოყალიბდა.

ძენის ჩინელ მქადაგებლებს უმთავრეს ამოცანად მიაჩნდათ „განათლება", იაპონელ მქადაგებლებს კი—„განათლების" გამოყენება პრაქტიკაში, საგანთა არსის წვდომა. ეს იმიტომ, რომ ადამიანმა იოლად გადმოსცეს ვთქვათ „ბაღის" „ბაღობა", ბრძოლაში ბრძოლის სული, პოეზიაში პეიზაჟის არსი (არა მოცემულის, არამედ საერთოდ პეიზაჟის), ანდა გაკვრით დასატული სურათის ამსახველი აიძულოს სურათის შექმნის აქტში მიიღოს მონაწილეობა. ყოველივე ეს ძენის დევიზად იქცა, რაც მსჯელობის ცალკე საგანს წარმოადგენს.

რაც შეეხება უშუალოდ ძენის ფილოსოფიას, იგი ზოგადბუდისტური ფილოსოფიაა, რომლის ზოგიერთი ასპექტი ძალზე რთული და საყურადღებოა. ძენის მოძღვრების ყველაზე დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი მთლიანად უარყოფს სიტყვას — მის ძნიშვნელობას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ძენ-ბუდიზმის იდეოლოგიური საფუძვლები და მისი მქადაგებლების პრაქტიკული საქმიანობა ერთმნიშვნელოვანია. ძენის პროტესტი აზროვნების სტანდარტიზაციისა და შაბლონების წინააღმდეგ, წარმოადგენს პროგრესულ მოვლენას. ეშვს არ იწვევს ძენის პრაქტიკული წვლილი იაპონური კულტურის სხვადასხვა სფეროში. ჩვენს დროში სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ ძენის დასავლეთევროპის კულტურაზე გავლენის შესახებ, იმ გავლენაზე, რომელიც შეინიშნება ევროპაში ინტერიერების გაფორმებიდან პოეზიამდე.

„შუამავლობის" უნაყოფობის იდეას შემეცნების პროცესში დიდი მნიშვნელობა მქონდა მხატვრული შემოქმედებისათვის საშუალო საუკუნეებში, ვინაიდან ეს იდეა მოუწოდებდა ინდივიდუალური ძიებისაკენ. იგი სრულიად აუფასურებდა არაპირადული გამოცდილების როლს შემოქმედებაში, უარყოფდა ტრაფარეტს, რითაც ესოდენ გატაცებული იყვნენ შუა საუკუნეების ავტორები.

ამასთანავე ძენ-ბუდიზმის ცალკეული დებულებები შეიცავენ არანაკლებ რეაქციულ პოტენციასაც. ნაწილი ამ დებულებებისა რეალიზებულია პრაქტიკულად, სოლო ნაწილი კი ძენის მოძღვრების დადებითი მხარეების ნეიტრალიზაციას ახდენს. ამრიგად, არაპირადული გამოცდილების უარყოფა შემეცნებაში—აშკარა უაზრობაა, თუ მოვიშველიებთ ბუნების მეცნიერულ შემეცნებას, რომელიც წარმოუდგენელია ტრადიციული მეშკიდრეობის გარეშე. ძიების პროცესში ინდივიდუალური ხაწყისის ძენური მტკიცება ნიშნავს ადამიანის სოციალური არსის იგნორირებას: ინდივიდის მოჩვენებითი აქტიურობა, უფასურდება თვით შადამიანეების დებულებით, რომ ხამყაროში ყველაფერი აზრს კარგავს ისეთი „მუდმივი ცნებების" გვერდით, რომორიცაა ხიცარიელე, ნირვანა, ბუდა (იგულისხმება არა ბუდას პიროვნება, არამედ გონების „განათლება". მთ. შ.).

დროისა და სივრცის ხანგრძლივობის პრინციპიალური უარყოფა სატორის მომენტში, ეს ნიშნავს აცსოვრო მოცემულ წამში, სიტუაციაში, მისი ანალიზის, საკუთარი მომავლის და ევგმის გარეშე.

და ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იაპონიის ისტორიაში ძენ-ბუდიზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ერთ-ერთი რეაქციული მოძღვრების ჩამოყალიბებაში, რომელიც ეხება შუასაუკუნეების რაინდულ მორალს — ბუსიდოს.

ძენის თანამედროვე მიმდევრები, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავენ, წინა პლანზე სწევენ ხან ძენის — მოძღვრების იდეებს, რომლებიც უფრო ნაყოფიერია მხატვრული შემოქმედებისათვის, ხან კიდევ — შუასაუკუნეობრივ შეხედულებებს საზოგადოებრიობის განვითარების შესახებ.

თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი რიჭინაშვილი

არისტოტელეს „ORGANONI“

ვამომცემლობა „მისლმა“ ამას წინათ ფილოსოფიური მეძკვიდრეობის ხერიით დასტამბა ანტიკური სანის უდიდესი მოაზროვნის არისტოტელეს თხზულებათა ოთხტომეულის მეორე ტომი, რომელშიც „ORGANONის“ სრული თარგმანიც შეეიდა.

ამ ტომის გამოსვლა მრავალმსრივაა ნიშანდობლივი. დღემდე რუსულ ენაზე არისტოტელეს „ORGANONის“ მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები თუ გამოქვეყნებულა, კერძოდ: „კატეგორიები“, „განმარტებისათვის“, „პირველი და მეორე ანალიტიკა“. რაც შეეხება „ტოპიკას“ და ტრაქტატს „სოფისტური გაბათილებანი“, ისინი რუსულად არასოდეს უთარგმნიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრების დიდზე დიდი ნაწილი უცნობი რჩებოდა რუსი და არა მხოლოდ რუსი მკითხველისათვის. უეჭველად აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე. რადლოვის მიერ 1891 წელს თარგმნილი ტრაქტატი „განმარტებისათვის“ დაზღვეული არ იყო სერიოზული შეცდომებისაგან და ახალი გამოცემისათვის იგი თითქმის ხელახლა ითარგმნა.

აშრიგად, შეიძლება უყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ ხელთა გვაქვს მეტად დიდმნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად პირველსარისხოვანი გამოცემა.

თუმცა რა დიდმნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს თვით ფაქტი „ORGANONის“ თარგმანის სრული გამოცემისა, მაინც მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება გაწეული ძრომის მეცნიერული ღირებულება. უეჭველად აქვე უნდა აღინიშნოს ლოგიკის ისტორიაში, არისტოტელეთმცოდნეობაში და, კერძოდ, ORGANONთმცოდნეობაში ჩვენი თანამემამულის, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოჩენილი ლოგიკოსის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგის ზურაბ მიქელაძის დიდი წელილი. სწორედ მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით იქნა არისტოტელეს „ORGANONი“ ორიგინალურად ინტერპრეტირებული და თარგმანის ტექსტიც მანვე მოამზადა გამოსაცემად. ზ. მიქელაძე გასლავთ მთელი გამოცემის მეცნიერ-რედაქტორი და ავტორი წინასიტყვაობისა — „არისტოტელეს ლოგიკის საფუძველი“. მასვე ეკუთვნის ერცელი კომენტარები. ეს ყველაფერი საქმის მსოლოდ გარეგნული მხარეა. მაგრამ თუკი არსებითზე ვილაპარაკებთ, მაშინ არაერთ ფუნდამენტურ პრობლემას, კერძოდ, მოდალობის არსს, მოდალურ სილოგისტიკას, შემთხვევითი მოვლენების პრობლემას, ტოპის პრობლემას და არისტოტელეს „ORGANONში“ ტოპიკის ადგილს, რაიც აქამდე ლოგიკის ისტორიაში, ფილოსოფიის ისტორიასა და ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევათა კომპლექსში ამოუხსნელი რჩებოდა, ნათელი მოეფინა ზურაბ მიქელაძის ნაშრომმა. აქ შეუძლებელია ამომწურავად შეეფასოთ არისტოტელეთმცოდნეობაში ზურაბ მიქელაძის თუნდაც ერთი რომელიმე აღმოჩენა — ისინი უეჭველად გასდებიან მთელი სწავლული საზოგადოების ყურადღებითი შესწავლის საგანი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხსენებულ პრობლემათა გამოწვლილვით ახსნა-განმარტება განხორციელდა იმ ბედნიერი დამთხვევის წყალობით, რაც თვით მკვლევარის პიროვნებაში გამოსახატა: ზ. მიქელაძე ამ ნაშრომში წარმოგვიდგა, როგორც დიდად ერუდირებული ფილოსოფიის ისტორიკოსი, თანამედროვე მათემატიკურ ლოგიკასა და ფილოლოგიურ მეცნიერებაში განსწავლული კაცი. გამოკვლევა რომ წარმატებით დასრულებულიყო, მარტო ის როდი კმაროდა, ბერძნული ტექსტი გულდასმით შეეჯერებინათ ევროპულ ენებზე თარგმნილ ტექსტებთან ან თანამედროვე მეცნიერებაში არსებული არისტო-

ტელეს ლოგიკური მოძღვრების უთვალავი ინტერპრეტაცია ძირისძირობამდე შეესწავლათ და ბოლოს, მთარგმნელ იტკინთან ერთად თავაუდებლივ ემუშავათ ორიგინალის „ბნელ“ ადგილების განსამარტავად, — ამაკე დროს მტკიცედ უნდა უარეყოთ უდიდესი ფილოსოფოსის, ნაშრომებისადმი ის ტრადიციული მიდგომაც, რის გამოც მისი მოძღვრების აზრი და ზეშ-მარიტი მნიშვნელობა აქამდე ღირსეულად არ იყო დაფასებული.

ზ. მიქელაძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ უსაფუძვლობაა შემწყნარებლურად მივუდგეთ არისტოტელეს ლოგიკურ მემკვიდრეობას. არისტოტელე თანამედროვეა ამ სიტყვის პირდა-პირი და გადატანითი მნიშვნელობითაც და მისი ზეშმარიტი შეცნობა შესაძლებელი გახდა მსოლოდ თანამედროვე ლოგიკური მეცნიერების უმაღლეს დონეზე განვითარების შედეგად, რამეთუ ვიწრო ჩარჩოებში ჩაკეტილი ტრადიციული ლოგიკა უძლური იყო ღრმად და ძირეულად ჩახწვდომოდა ანტიკური ხანის გამოჩენილი სწავლულის დახვეწილ და დასაბუთებულ ლოგიკურ შეხედულებებს, მოეცა მათი ადექვატური განმარტება.

არისტოტელეს „ორგანონის“ გამოქვეყნება და თანამედროვე მეცნიერებისათვის მისი უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება შევადაროთ ევკლიდეს „დასაწყისის“ თარგმანსა და მისი ინტერპრეტაციის დიდმნიშვნელოვან ღირებულებას („დასაწყისი“ რუსულ ენაზე ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში თარგმნა დ. მორდუხაი-ბოლტოვსკიმ). „დასაწყისისა“ და „ორგანონის“ მსგავს თხზულებათა სათარგმნელად მსოლოდ ფილოლოგობა და ორივე ენის სრულყოფილი ცოდნა როდი კმარა. ასეთი ნაწარმოებების თარგმნა უპირველესად მათემატიკოსებისა და ლოგიკოსების საქმეა, იმათი საქმეა, ვისაც ძალუძს თავისი განსწავლულობითა და დახვეწილი სტილით სინათლე შეიტანოს ტექსტის სიღრმეებში.

ამგვარ გამოცემ[illegible] გაწეული მუშაობის გამოცდილება ეჭვს გარეშეა გამოადგებათ არისტოტელეს „ორგანონის“ ქართულ ენაზე მთარგმნელებსაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფილოსოფიური და ლოგიკური ტრაქტატების თარგმნას საქ[illegible]ში მრავალი საუკუნის ტრადიცია აქვს (გავიხსენოთ თუნდაც ეფრემ მცირესა და არსენ [illegible]თელის თარგმნილი „იოანე დამასკელის დიალექტიკა“, რომელიც არსებითად არისტოტ[illegible]ეს „კატეგორიისა“ და ტრაქტატის „განმარტებისათვის“ კომპილაციას წარმოადგენს), ეს კი იმის უტყუარი საბუთია, რომ დღესდღეობით ჩვენ შესაბამისი, გულმოდგინედ დამუშავებული ტერმინოლოგია გაგვაჩნია. გაოცებასა და გულისწყრომას იწვევს მსოლოდ ის ფაქტი, რომ „კატეგორიისა“ და და ტრაქტატ „განმარტებისათვის“ პროფესორ სერგი დანელიასეულმა ახალქართულმა თარგმანმა აქამდე ვერ იხილა დღის სინათლე, არადა, ეს თარგმანები აუცილებლად წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა „ორგანონის“ სრულად თარგმნის საქმეში.

ზურაბ მიქელაძემ არისტოტელეს ტექსტზე გაწეული მუშაობისას უდიდესი გამოცდილება შეიძინა და ღრმად გვწამს, მას ძალუძს მეცნიერულად უსელმძღვანელოს „ორგანონის“ ქართული თარგმანის მომზადების საქმეს. ხოლო ამგვარი შრომატევადი საქმის დამთავრებამდე, ვიმედოვნებთ, რომ არისტოტელეს „ორგანონის“ შესწავლისას ზ. მიქელაძის მიერ მიღწეულ შედეგებსა და აღმოჩენებს ქართველი მკითხველი ძალე გაეცნობა მშობლიურ ენაზე დაწერილ მის მონოგრაფიაში.

□

მამუკა მაჭარაშვილი. „ჩარლი ჩაპლინი“.
7 წ. 85-ე საშ. სკ.

გუგა არაგული. „დედიკო“.
8 წ. მეორე ექსპერ. სკ.

მანანა ქავთარაძე. „სპილო“. 8 წ. 43-ე საშ. სკ.



ნინიკო ცუცქირიძე. „კურდღელი“.
7 წ. 101-ე საშ. სკ.

მანანა ქავთარაძე. „იხვი“. 8 წ. 43-ე საშ. სკ.

66/57

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ცუცქირიძე. „ფერები“. 8 წ 101-ე საშ. სკ.

მამუკა მაჭარაშვილი. „თუში მეცხვარე“. 7 წ. 85-ე საშ. სკ.

76132